3
ქ

დავით ძამუკაშვილი

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

ინტელექტი

დავით ძამუკაშვილი

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი



წინამდებარე წიგნი გამოდის მესამე, გადამუშავებული გამოცემის სახით და გამიზნულია იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთათვის. პირველი ნაწილში მოცემულია ინტელექტუალური უფლებების იურიდიული საფუძვლები. ცალკე ნაწილად წარმოდგენილია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები. გარდა სტუდენტებისა იგი სასარგებლო იქნება მოსამართლეთათვის და სხვა პრაქტიკოს იურისტთათვის, აგრეთვე, დაეხმარება მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს, მომღერლებსა და სხვა შემსრულებლებს, გამომგონებლებსა და მეწარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საკუთარი უფლებების შეცნობასა და გამოყენებაში.

რედაქტორი **სანდრო ჯორბენაძე**
მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ილუსტრაციები *იოსებ ძამუკაშვილი*
ზაალ სულაკაური

მესამე გამოცემა

ISBN 99940-59-04-1

© დავით ძამუკაშვილი, 2006.
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2006.

ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ სამეცნიერო ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მ. 27

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელქტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23

NASCUNTUR AB HUMANO INGENIO OMNIA ARTIS INVENTORUMQUE OPERA* QUAE OPERA DIGNAM HOMINIBUS VITAM SAEPIUNT* REIPUBLICAE STUDIO PERSPICIENDUM EST ARTES INVENTAQUE TUTARI*

ARPAD BOGSCH

ადამიანის გენია ხელოვნების ქმნილებათა და გამოგონებათა წყაროა. ეს ქმნილებანი ადამიანის ღირსეული ყოფის გარანტიაა. სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს ხელოვნების ქმნილებათა და გამოგონებათა საიმედო დაცვა.

არპად ბოგში

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან 9

ინტელექტუალური საკუთრების ცნება და ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში 11

ნაწილი I. საავტორო სამართალი

კარი I. საავტორო და მომიჯნავე უფლებები 21

თავი 1. საავტორო სამართლის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 21
თავი 2. საავტორო სამართლის ობიექტები 30
თავი 3. ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმები 37
თავი 4. ნაწარმოებები, რომლებზეც საავტორო უფლებები არ ვრცელდება 41
თავი 5. საავტორო უფლებათა სუბიექტები 43
თავი 6. საავტორო უფლებები 47
თავი 7. მომიჯნავე უფლებები 75
თავი 8. განსაკუთრებული უფლებები სამსახურებრივ ნაწარმოებსა და შესრულებაზე 81
თავი 9. განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები 83
თავი 10. საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ფარგლები 95
თავი 11. უფლებათა გადაცემა 97
თავი 12. ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვა 104
თავი 13. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა და დაცვა 106

ნაწილი II. სამრეწველო საკუთრების სამართალი

კარი II. საპატენტო სამართალი 118

თავი 14. საპატენტო სამართლის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 118
თავი 15. საპატენტო დაცვის ობიექტები 127
თავი 16. პატენტუნარიანობის კრიტერიუმები 135
თავი 17. დაცვითუნარიანი ობიექტები 147
თავი 18. გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ობიექტები 150
თავი 19. პატენტის გაცემის პროცედურა 154
თავი 20. საერთაშორისო განაცხადი 174
თავი 21. საპატენტო უფლება-მოვალეობანი 177
თავი 22. პატენტიდან გამომდინარე უფლებების დარღვევა და საპატენტო დავების განხილვა 201

კარი III. სასაქონლო და მომსახურების ნიშნების სამართალი 210

თავი 23. სასაქონლო ნიშნების დაცვის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 210
თავი 24. ტერმინოლოგია 215
თავი 25. სასაქონლო ნიშანი, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი 218
თავი 26. სასაქონლო ნიშნის სახეები 223
თავი 27. სასაქონლო ნიშნის დაცვითუნარიანობა 243
თავი 28. სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვება 252
თავი 29. განსაკუთრებული უფლებების ფარგლები 282
თავი 30. სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლება-მოვალეობები 286
თავი 31. სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული დავები 289

კარი IV. სხვა კომერციული აღნიშვნების სამართალი 301

თავი 32. გეოგრაფიული აღნიშვნები 301
თავი 33. საფირმო სახელწოდება 312
თავი 34. სავაჭრო კაზმულობა 323

ნაწილი III. ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები

კარი V. სასელექციო მიღწევა 328
კარი VI. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა 337
კარი VII. საწარმოო-კომერციული საიდუმლოება (ნოუ-ჰაუ) 347
კარი VIII. ინტეგრალური სქემები 354
კარი IX. დომეინი 360

ნაწილი IV. საერთაშორისო ხელშეკრულებები

კარი X. ზოგადი დებულებები 365
კარი XI. კონვენციები და ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილე საქართველოა 368

თავი 35. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია 368
თავი 36. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია 372
თავი 37. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია 399
თავი 38. შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია) 430
თავი 39. მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია 442

თავი 40. ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ 446
თავი 41. ისმოს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ 452
თავი 42. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება 457
თავი 43. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი 466
თავი 44. წარმოშობის ადგილის დასახელებათადაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შეხახებ (ლისაბონის ხელშეკრულება) 471
თავი 45. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმება და ჟენევის აქტი 478
თავი 46. საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების ბუდაპეშტის ხელშეკრულება 485
თავი 47. ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის ხელშეკრულება 488
თავი 48. ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ, კონტრაფაქციული საქონლით ვაჭრობის ჩათვლით (TRIPS) 490

კარი VI. სხვა კონვენციები და ხელშეკრულებები 507

თავი 49. საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია 507
თავი 50. ფონოგრამების მწარმოებლების უფლებების დაცვის კონვენცია მათი ფონოგრამების უნებართვო კვლავწარმოებისაგან 510
თავი 51. კონვენცია პროგრამების მატარებელი, თანამგზავრით გავრცელებული სიგნალების განაწილების შესახებ 513
თავი 52. ხელშეკრულება საპატენტო კანონმდებლობის შესახებ 515
თავი 53. საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ სტრასბურგის შეთანხმება 518
თავი 54. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაწესების ლოკარნოს შეთანხმება 520

თავი 55. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ 523
თავი 56. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება (მადრიდის ხელშეკრულება) 525
თავი 57. საქონელზე ყალბი ან შემაცდენელი აღნიშვნის დატანის აღკვეთის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება 528
თავი 58. ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დამფუძნებელი ვენის ხელშეკრულება (ვენის ხელშეკრულება) 530
თავი 59. ოლიმპიური სიმბოლოს დაცვის ნაირობის ხელშეკრულება 532
თავი 60. ევროპის საპატენტო კონვენცია 533
თავი 61. ევრაზიის საპატენტო კონვენცია 536
თავი 62. ხელშეკრულება გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნის შესახებ 538
თავი 63. ხელშეკრულება გაერთიანებული ევროპის სამრეწველო ნიმუშების შესახებ 540
თავი 64. ხელშეკრულება აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის შესახებ 542
თავი 65. ხელშეკრულება სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციის შესახებ 543

ლიტერატურა 544

ავტორისაგან

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ამოქმედებიდან მე-15 წელი მიმდინარეობს. დროის ამ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ, მიღებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების დაცვისადმი გამიზნული ყველა ძირითადი კანონი, ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სისტემა, დაიწყო ინტელექტუალურ-საკუთრებითი დავების განხილვა, რაც სამოსამართლო სამართლის განვითარების საწინდარია. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასაბამიდანვე ამ პროცესების სათავეში იდგა. კერძოდ, პირველივე ნორმატიული აქტების შემუშავება მიმდინარეობდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე, ღვაწლმოსილი ქართველი ცივილისტების, პროფესორების სერგო ჯორბენაძის და ზურაბ ახვლედიანის მონაწილეობით.

ამჟამად უკვე სხვა უნივერსიტეტებშიც ისწავლება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კურსი. სტუდენტები იცავენ დიპლომებს, ეწევიან მეცნიერულ კვლევა-ძიებას სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად. საქმიანობა დაიწყო თსუ-იუნესკოს ერთობლივმა სექციამ და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო წიგნი გახდა იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის.

ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ წიგნის გადამუშავებული სახით მესამედ გამოცემა უფრო მოსახერხებელი სასწავლო წიგნის როლს შეასრულებს. იგი ორ ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი აშუქებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის საფუძვლებს, ხოლო II ნაწილში წარმოდგენილია ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ანალიზი.

ინტელექტუალური საკუთრების ცნება და ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში

ინტელექტუალური საკუთრების ცნება რომ გადმოვცეთ პირველ რიგში უნდა შევეხოთ საკუთრების ამ განსაკუთრებული სახის საგანს (ობიექტებს), რომელთა არსობრივი გაგება და საგნობრივი ფარგლები ამჟამად აღარ არის დამოკიდებული სამართლებრივი ოჯახების თავისებურებებზე.

ისტორიულად არსებული განსხვავებების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი ობიექტების საერთაშორისო ნორმით განმტკიცება. 1967 წელს მიღებული ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ამ ორგანიზაციას შემდგომ შემოკლებით "ისმო" მოვიხსენიებთ) დამფუძნებელი კონვენციის მე-2(VIII) მუხლი ინტელექტუალურ-საკუთრებით უფლებას შემოფარგლის ჩამოთვლილი ობიექტების მიხედვით.

მითითებული მუხლის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს მიეკუთვნება:

1. ლიტერატურული, მხატვრული და სამეცნიერო ნაწარმოებები;

2. მსახიობთა შესრულებები, ხმის ჩაწერა, რადიო და ტელეგადაცემები;

3. გამოგონებები ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში;

4. სამეცნიერო აღმოჩენები;

5. სამრეწველო ნიმუშებში

6. სასაქონლო და, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები და სხვა კომერციული აღნიშვნები;

7. არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა, და სხვა, რაც კი სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ ან მხატვრულ სფეროში ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია.

მოცემული საერთაშორისო ნორმა ინტელექტუალური საკუთრების არეში მოაქცევს ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებით ნაყოფს და პირდაპირ უთითებს, რომ დასაცავი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის მიერ შექმნილი ნებისმიერი ქმნილება, რომელიც არის *ინტელექტუალური (გონებრივ-შემოქმედებითი) საქმიანობის შედეგი.*

ქმნილების გარდა ინტელექტუალურ საკუთრებას მიკუთვნებულია ობიექტები, რომლებიც შემქმნელობით შემოქმედებას არ მოითხოვს (მაგალითად კომერციული აღნიშვნები). ფაქტობრივად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ორი კატეგორიაა მოცემული ისმოს ჩამონათვალში – **ობიექტები, რომლებიც პირველად იქმნება და მოითხოვს შემქმნელობით (საავტორო) შემოქმედებას** (ქმნილებები – ნაწარმოები, გამოგონება, მეცნიერული აღმოჩენა და ა.შ) და **ობიექტები, რომლებიც დასაცავია იმის გამო, რომ მათი კონკრეტული მიზნით სარგებლობა დაკავშირებულია სამეწარმეო-გამოყენებითი ხასიათის შემოქმედებასთან და უმეტეს შემთხვევაში პირველი კატეგორიის ობიექტების ეკონომიკურ სარგებლობას უწყობს ხელს** (ნაწარმოების შესრულება, ფონოგრამა, სამაუწყებლო გადაცემა, სასაქონლო და მომსახურების ნიშანი, საფირმო სახელწოდება, სხვა კომერციული აღნიშვნები)[1].

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად წარმოიშობა იდეალური ობიექტი – ქმნილება, რის ნაირსახეობებსაც იძლევა „ისმოს“ ჩამონათვალი. ქმნილებანი ყოველთვის უსხეულო ობიექტებია, რადგან ადამიანის გონი სხვაგვარ ობიექტს ვერ შექმნის[2]. ჩამონათავლით მოცემული ყველა ქმნილება ერთგვაროვანია ამ ნიშნით. ჩამონათვალში ობიექტების განთავსებისათვის მათი ეს თვისება გადამწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ობიექტი ძალზე ძნელად თუ შეიძლება იქნეს აღქმული, როგორც ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად შექმნილი. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ სამეწარმეო ან სავაჭრო საქმიანობის ადგილის თავისებური გაფორმება-მოწყობა, ან ჩვეულებრივი ტექნიკური გაუმჯობესება კონკრეტუ-

---

[1] საკითხი დაწვრილებით არის გამოკვლეული 2006 წელს ჩვენი ავტორობით გამოცემულ ნაშრომში „ინტელექტუალური უფლებები“, რომელიც მთლიანად არის მიძღვნილი ინტელექტუალური უფლებების არსის შესწავლისადმი და მათი ადგილის მიჩენისათმი სამართლებრივ სისტემაში.

[2] ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ქმნილება რომ არამატერიალურ, ანუ უსხეულო, იდეალურ ობიექტს წარმოადგენს აღიარებულია საყოველთაოდ. ინტელექტუალური შემოქმედების ნებისმიერი მკვლევარი ხაზს უსვამს ქმნილების ამ თავისებურებას. მაგალითად მოვიშველიებთ XIX–XX საუკუნის ცნობილი რუსი იურისტის ა. პილენკოს ნათქვამს "Изобретение всегда невещественно" იხ. მისი წიგნი "Право изобретателя", М., 2001, г.. с., 268; 273-ე გვერდზე მითითებულია "წარმოშობის თვალსაზრისით ნაწარმოებსა და გამოგონებას შორის განსხვავების არ არსებობის გამო საავტორო სამართალი საპატენტო სამართლის სრულ ანალოგიას წარმოადგენს.

ლად მოცემულ პირობებთან მისადაგების მიზნით, ხოლო არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა საერთოდ ქმნილებად ან გონების სხვაგვარ ნაყოფადაც კი ვერ განიხილება. ამ კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე გეოგრაფიული აღნიშვნები.

წარმოადგენს რა უსხეულო ობიექტს, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი ქმნილება, მიჩნეულია, რომ ეკუთვნის არამატერიალურ სიკეთეთა რიცხვს[1] და შეადგენს ამ სიკეთეთა სპეციფიკურ ჯგუფს. სპეციფიკურობა ის არის, რომ ინტელექტუალური ქმნილებანი ონტოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე წარმოშობს ორგვარ უფლებას – ***პირად არაქონებრივსა და ქონებრივს,*** რომლებიც მათ წარმომშვებ ობიექტებთან ერთად ქონებას უნდა შეადგენდეს, თუკი საუბარი მათზე როგორც ინტელექტუალური **საკუთრების ობიექტებზე** გვაქვს. მაგრამ მეცნიერულად აღიარებული ის ფაქტი, რომ ქონებისადმი არაქონებრივი უფლებების მიკუთვნება იურიდიულად სრულიად უმართებულოა მტკიცებას არ მოითხოვს ნებისმიერი იურისტისათვის. როდესაც საქმე "ისმოს" ჩამონათვლის მეორე კატეგორიის ობიექტებთან გვაქვს, რომლებიც ქმნილებას არ წარმოადგენს ვითარება განსხვავებულია – ისინი მხოლოდ ქონებრივი უფლებებით აღიჭურვება და მათი ქონებისადმი მიკუთვნება არ წარმოშობს ქმნილებების მსგავს უხეხულობას. ასეთი ობიექტებია, მაგალითად, ფონოგრამა, სამაუწყებლო გადაცემა, ვიდეოგრამა, საფირმო სახელწოდება და სხვა კომერციული აღნიშვნა.

"ისმოს" ჩამონათვლის ზოგიერთი ობიექტი კი ქონებას საერთოდ ვერ მიეკუთვნება, რადგან ქონებრივ უფლებებს თავისი ბუნებით ვერ წარმოშობს. ასეთი ობიექტია, მაგალითად, მეცნიერული "აღმოჩენა". თუკი ეს ასეა, მაშინ "აღმოჩენა" ინტელექტუალურ **საკუთრებას** არ უნდა იქნეს მიკუთვნებული.

ყოველივე აღნიშნულისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, გამომდინარე იქიდან, რომ ქონება საკუთრებასთან მჭიდრო, განუყოფელ კავშირშია ნათელია, რომ უხერხულობას ქმნის ტერმინი "ინ-

---

[1] ქართველი მეცნიერებიც, მაგალითად, პროფესორები ბესარიონ ზოიძე, ლადო ჭანტურია მიიჩნევენ ინტელექტუალურ-საკუთრებით ობიექტებს არამატერიალურ სიკეთედ, რაც ჩვენი აზრით არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არც ნორმატიულ და არც არსობრივ-კონცეპტუალურ დანაწესს. ამ აზრის გამოთქმის საფუძვლები დაწვრილებით გვაქვს გადმოცემული 2006 წელს ჩვენი ავტორობით გამოცემულ ნაშრომში "ინტელექტუალური უფლებები".

ტელექტუალური საკუთრება". უხერხულობა წარმოიშობა სამართლებრივ იმ ფაქტობრივ გარემოებიდან, რომ ინტელექტუალური საკუთრება პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების ასხმითაა წარმოდგენილი ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით. აღნიშნული ვითარება ცნობილია მეცნიერთათვის და ისინი ამ კუთხით ტერმინს „ინტელექტუალური საკუთრება" პირობით, იურიდიულად უზუსტო ტერმინად თვლიან. ჩვენც ასე ვთვლით და მივიჩნევთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ტერმინად **„ინტელექტუალური უფლებები" ან „შემოქმედებითი უფლებები" დამკვიდრებულიყო** — ეს ტერმინები ფართო არსისაა და თავისუფლად მოიცავს როგორც ქონებრივ შემოქმედებით უფლებებს, ანუ თავად ინტელექტუალურ საკუთრებას, ისე პირად არაქონებრივ უფლებებს.

ინტელექტუალური საკუთრება როგორც ქონებრივი უფლება საყოველთაოდაა მიკუთვნებული კერძო-სამართლებრივ სფეროს. ზოგი მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ ამ სახის საკუთრებაზე მეტი სუბიექტური უფლება არ არსებობს ქონებრივ უფლებათა შორის (მას ხომ კონკრეტული სუბიექტის შემოქმედება წარმოშობს) და ამიტომ მიიჩნევენ, რომ მისი მიკუთვნება კერძო სამართლისადმი, დანარჩენ უფლებებთან შედარებით, ყველაზე უფრო უპრიანია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინტელექტუალური უფლებების და, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების ადგილი სამართლებრივ სისტემაში კერძო სამართალია. ამ პრინციპს ემორჩილება რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის ნებისმიერი ქვეყნის სამართალი. გამონაკლისი არც საქართველოა.

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია პიროვნულ შემოქმედებასთან და სელშეუვალ უფლებად არის აღიარებული (23-ე მუხლი). ამასთან, კონსტიტუციის ამ მუხლით გამოყენებული ტერმინი "ინტელექტუალური საკუთრება" ზემოთ აღნიშნულ იურიდიულ უზუსტობას არ ქმნის, რადგან მის შემადგენელ უფლებებზე არ ამახვილებს ყურადღებას. ხოლო მუხლის აგებულებიდან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთ ნაწილში ინტელექტუალურ საკუთრება პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლადაა მოხსენებული, მეორე ნაწილში კი, რომელშიც პიროვნების შემოქმედებითი დამოუკიდებლობაა გამოცხადებული პირადი არაქონებრივი უფლებების განუხრელი დაცვის აუცილებლობაზეა მითითებული, ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად. პირადი არაქონებრივი უფლებების დამოუკიდებლობა უპირობოდაა ასახ-

ული საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და სპეციალურ კანონებში (მაგალითად, კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, საპატენტო კანონი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კონსტიტუციურ მიდგომას განამტკიცებს და კონკრეტულად გამოკვეთს იმ გარემოებას, რომ ინტელექტუალური საკუთრება კერძო სამართალს ეკუთვნის. ეს ვითარება სრულიად ნათელია უკვე იმ ფაქტიდან, რომ სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების მოწესრიგებისათვის გამიზნული სპეციალური IV წიგნი, რომელსაც მიეჩინა განსხილული კუთხით ორაზროვნების გამომრიცხავი სათაური — "ინტელექტუალური საკუთრების სამართალი".

ყოველივე აღნიშნულის შეჯამებისათვის გვინდა დავასკვნათ: **ინტელექტუალური საკუთრება კერძო სამართლებრივი უფლებაა და მისი საგანია ინტელექტუალური (გონებრივი) შემოქმედების შედეგად შექმნილი ან ეკონომიკურ უერთიერთობებში პირველად ჩართული ობიექტები. შემოქმედებითი ხასიათით თუ დავყოფთ, ეს ობიექტები ორი კატეგორისაა: საავტორო-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი (პირველქმნილი ქმნილება: ნაწარმოები, გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში და ა.შ) და სამეწარმეო-გამოყენებითი შემოქმედების შედეგად პირველად ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში (კომერციული აღნიშვნები: სასაქონლო და მომსახურების ნიშანი, საფირმო სახელწოდება, გეოგრაფიული აღნიშვნები და ა.შ).**

შემოქმედების ხასითიდან გამომდინარე პირველქმნილი ქმნილება წარმოშობს ორგვარ ინტელქტუალურ უფლებას: პირად არაქონებრივსა და ქონებრივს[1]. ამ ობიექტით წარმოშობილი უფლებების აღსანიშნავად ტერმინი "ინტელექტუალური საკუთრება" პირობითია, სინამდვილეში ის უფრო ფართოდ გაიგება. ამ ტერმინს "ინტელექტუალური უფლებები" შეესაბამება როგორც

---

[1] ამ კუთხით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის IV წიგნის სათაური თუ შეიცვლება სათაურით "ინტელექტუალური უფლებები", მაშინ ამ უფლებათა აღმნიშვნელი ტერმინის "ინტელექტუალური საკუთრება" იურიდიული უხერხულობაც მოიხსნება და აღარ შეიქმნება შთაბეჭდილება თითქოს სასაქრთველოს სამართლის მიხედვით ინტელექტუალურ საკუთრებას ქონებრივ უფლებებთან ერთად პირადი არაქონებრივი უფლებებიც შეადგენს.

თეორიულად, ისე იურიდიული პრაქტიკიდან გამომდინარე. კომერციული აღნიშვნების უფლებებისათვის ტერმინი "ინტელექტუალური საკუთრება" ზუსტი ტერმინია, რადგან ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ ქონებრივ უფლებებთანა გვაქვს.

წარმოვადგინეთ რა ინტელექტუალური უფლებების ზოგადი გაგება უპრიანია ინტელექტუალური საკუთრების სისტემას შევეხოთ.

ინტელექტუალური საკუთრება ტრადიციულად იყოფა ორ დიდ შტოდ: საავტორო-სამართლებრივ უფლებებად (მომიჯნავე უფლებების ჩათვლით) და სამრეწველო საკუთრებად.

საავტორო სამართლებრივი უფლებების დაცვის საგანი ნაწარმოები, შესრულება, ფონოგრამა და სამაუწყებლო გადაცემაა. ამ ობიექტების უმრავლესი ნაწილი ექვემდებარება ასლის კეთებას (კოპირებას), ამიტომ ქონებრივი უფლება მათი უნებართვო კოპირებისა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის საწინააღმდეგო უფლებაა. ზოგი ობიექტი, როგორიცაა, მაგალითად, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები, კერძოდ, სამკაულები, აგრეთვე, არქიტექტურული პროექტები ნაწარმოების მიხედვით მატერიალირ ობიექტად დამზადებას ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, საავტორო ქონებრივი უფლება ქმნილების უნებართვო დამზადებისა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის საწინააღმდეგო უფლებაა. უფლების ამ ორი გამოვლინებიდან საავტორო ქონებრივი უფლებები შეიძლება განხილულ იქნეს სამრეწველო და/ან კომერციული ხასიათის საკუთრებით უფლებებად.

აღნიშნული თვისება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ინტელექტუალური საკუთრება თავისი მოქმედებით შემოიფარგლება მხოლოდ მრეწველობითა და კომერციით. ამ გარემოებას ცხადს ხდის ის მრავალრიცხოვანი შეზღუდვები, რომლებიც ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებებისათვის დაწესებულია ყოველი ობიექტის მიმართ, რაც ცალკეული ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებისა და მისი ობიექტებით სარგებლობის თავისებურებების ამ წიგნში წარმოდგენილი დახასიათებიდან გახდება ნათელი. საავტორო-შემოქმედებითი ქმნილების მაგალითზე განხილული ეს თვისება საერთოა ნებისმიერი ინტელექტუალური უფლების ობიექტისათვის.

საავტორო-სამართლებრივი უფლების გარდა ინტელექტუალურ საკუთრებას სამრეწველო საკუთრება შეადგენს. სამრეწველო საკუთრების ობიექტები გამოგონებები (პატენტები), სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები და კომერციული აღნიშვნებია.

გამოგონება და სასარგებლო მოდელი ტექნიკური ქმნილებებია, შესაბამისად, მათთან დაკავშირებული უფლება უპირველესად მიმართულია სამრეწველო წესით მათი უნებართვო დამზადების საწინააღმდეგოდ. ამ კუთხით, აღნიშნული უფლება სამრეწველო (ინდუსტრიული) ურთიერთობებში მოქმედი უფლებაა. ერთდროულად, სამრეწველო საკუთრება მისი ობიექტების ეკონომიკურ ბრუნვაში უნებართვო ჩართვის საწინააღმდეგო უფლებაა. სანრეწველო ნიმუშიც სრულად ხასითდება ამ თავისებურებებით, ოღონდ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მხატვრულ-ტექნიკური შემოქმედები შედეგად შექმნილი ქმნილებაა და მას საავტორო სამართლებრივი ობიექტების თვისებებიც ახასიათებს.

კომერციული აღნიშვნების შემადგენელ ობიექტებთან დაკავშირებული უფლება მოქმედებას, მხოლოდ ამ ობიექტების პირდაპირი ან მათი მსგავსი აღნიშვნების კომერციულ ურთიერთობებში უნებართვოდ სარგებლობის საწინააღმდეგოდ. ამიტომ ამ ობიეტქებთან დაკავშირებული ქონებრივი უფლებები არ ვრცელდება ინდუსტრიულ ურთიერთობებზე და სამრეწველო საკუთრების მხოლოდ მეორე შემადგენელს — კომერციულ საკუთრებას წარმოადგენს.

ინტელექტუალური საკუთრების ცნების განხილვას დავასრულებთ მითითებას იმაზე, რომ საავტორო-სამართლებრივი ქმნილება წარმოშობითვე წარმოქმნის ყველა საავტორო უფლებას და ამ უფლებების მოპოვებისათვის არანაირი ადმინისტრაციული პროცედურების ან სხვა ფორმალობების განხორციელება საჭირო არ არის. საპირისპიროდ ამისა, სამრეწველო-საკუთრებითი ობიექტები აუცილებლად ან უპირატესად მოითხოვს ფორმალობებსი განხორციელებას — პატენტის მიღებას, კომერციული აღნიშვნის ან სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციას უფლებამოსილ ორგანოში. ამასთან, კომერციულ აღნიშვნებზე და სამრეწველო ნიმუშებზე უფლება შეიძლება გამოყენების გზითაც იყოს მოპოვებული. თუმცა უფლების ამ გზით მოპოვებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, ხოლო უფლების გამოყენებისათვის აუცილებელია ძნელად წარმოსაჩენი და ძვირად მოსაპოვებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

ყოველივე განხილულის შემდეგ ისღა დაგვრჩენია წარმოვადგინოთ საქართველოში მოქმედი სამართლის წყაროები, რომლებიც პირდაპირ ეხება ინტელექტულაური უფლებების დაცვას.

I. ეროვნული სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ
4. საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ
5. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
6. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ
7. საქართველოს საპატენტო კანონი
8. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
9. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ
10. საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ
11. საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ
12. საქართველოს კანონი სელექციური მიღწევების შესახებ (ამჟამად მიმდინარეობს ამ კანონის ბაზაზე ახალი ორი კანონის მიღების პროცესი, ესენია კანონი მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ და კანონი ცხოველთა ახალი ჯიშების შესახებ).
13. საქართველოს კანონი სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ (გაუქმებულია)
14. საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ (გაუქმებულია და მის ნაცვლად მიღებულია კანონი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებს აღარ შეიცავს)

II. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

1. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დამფუძნებელი კონვენცია
2. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია
3. ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ

4. შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია)
5. ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ
6. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია
7. შეთანხმება ვაჭრობის ტანსვედრი ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების შესახებ (TRIPS)
8. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება (PCT)
9. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი
10. საპატენტო პროცედურებისათვის მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება
11. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების ჰააგის შეთანხმება და მისი ჟენევის აქტი
12. წარმოშობის ადგილია დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულება (ლისაბონის ხელშეკრულება)
13. ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის ხელშეკრულება
14. მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV)

ნაწილი I

საავტორო სამართალი

კარი I. საავტორო და მომიჯნავე უფლებები

თავი 1. საავტორო სამართლის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

საქართველოში ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის მიღებამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ადამიანის შემოქმედებითი შრომის შედეგების სამართლებრივ დაცვას. ცნება „ინტელექტუალური საკუთრება“ დამკვიდრდა საკანონმდებლო ტერმინად. საერთაშორისო სამართალში ეს ცნება მიღებულ ტერმინად იქცა 1967 წ. 14 ივლისს ხელმოწერილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის ძალით.

აღნიშნული კონვენციის სათაურმა თავადვე დააკანონა ცნება „ინტელექტუალური საკუთრება“, ხოლო მისმა მე-2(viii) მუხლმა განსაზღვრა მოცულობის ფარგლები. მასში ნათქვამია: **„ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც განეკუთვნება:**

- **ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოებებს,**
- **მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას, ხმის ჩაწერას, რადიო და ტელე გადაცემებს,**
- **გამოგონებებს ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში,**
- **სამეცნიერო აღმოჩენებს,**
- **სამრეწველო ნიმუშებს,**
- **სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს,**
- **არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას, აგრეთვე ყველა სხვა უფლებას, რომლებიც სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ ან მხატვრულ სფეროში ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია“.**

მოცემული ჩამონათვალის პირველი, მეორე და ნაწილობრივ ბოლო პოზიცია განსაზღვრავს საავტორო სამართლის მოქმედების სფეროს, ხოლო დანარჩენი უმთავრესად სამრეწველო საკუთრების სამართალს ეკუთვნის.

ისტორიულ მიმოხილვას ინგლისში მიმდინარე მოვლენებით დავიწყებთ, რადგან ეს ქვეყანა ითვლება საავტორო სამართლის

სფეროში მიღებული კანონის პიონერად და მის მაგალითზე ნათლად წარმოჩინდება განვითარების პრობლემები და თავისებურებები.

საავტორო სამართლის თანამედროვე შეხედულებამდე და პრინციპებამდე მისვლას ხანგრძლივი დრო და მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა, სახვითი ხელოვნების დარგში მოღვაწე პროფესიონალთა და იურისტ-მეცნიერთა დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

სამართლის ამ სფეროში კანონმდებლობის შემოღებას ხანგრძლივი წინაისტორია გააჩნია. საავტორო სამართლის განვითარება მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ახალი ტექნოლოგიური საშუალებების შექმნასა და გამოყენებასთან. მეცნიერთა წრეში ითვლება, რომ ავტორთა უფლებების დაცვა გარკვეული მოცულობითა და ფორმით ხდებოდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში. ამ ქვეყნებში ცნობილი იყო ავტორთა უფლებების დაცვა პლაგიატისგან, რომელიც განიხილებოდა როგორც უპატიოსნო ქმედება და გაკიცხვის საგნად იყო გამოცხადებული. პლაგიატორობა ლიტერატურულ ქურდობად ითვლებოდა და სახელმწიფო, მის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ, შესაფერის სამართლებრივ ზემოქმედების ზომებსაც მიმართავდა.

ძველი რომის დროინდელ ავტორებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ მათი ნაწარმოებების გამოქვეყნება ან რაიმენაირად განსახიერება ეხებოდა არამარტო მათ შემოქმედებით, არამედ პირად, მათ შორის ქონებრივ ინტერესებსაც. იურისტ-მეცნიერთა აზრით, საავტორო სამართლის ცნება უკვე არსებობდა, თუმცა ის არ იყო ასახული კანონმდებლობაში. ამ ვითარების გამომწვევი ერთერთი მიზეზი სპეციალური კანონმდებლობის არარსებობაც იყო.

ტრადიციულად ტერმინი „საავტორო სამართალი“ საერთო სამართლისათვისაც არ იყო ცნობილი. ეს ტერმინი ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებში დღესაც ვერ იქცა საკანონმდებლო ტერმინად. ევროპის ქვეყნებში ავტორთა უფლებების დაცვას უკავშირებენ გერმანიაში იოჰან გუტენბერგის მიერ მოძრავი ლიტერებით წიგნების ბეჭდვის ახალი ტექნიკური საშუალების გამოგონებას. ამ ფაქტმა დააჩქარა და მნიშვნელოვნად გაადვილა წიგნების გამოცემის და გავრცელების პროცესი. შესაძლებელი გახდა წიგნებისა თუ სხვა სახის ნაბეჭდი პროდუქციის ასლების დიდი რაოდენობით გამრავლება, რასაც შეეძლო და მოჰქონდა კიდეც დიდი შემოსავალი, მათ შორის „ლიტერატურულ მეკობრეებისათვისაც“.

წიგნის ბეჭდვის ტექნიკის განვითარებამ ინგლისში გამოიწვია ახალი სახის საქმიანობის – წიგნებით ვაჭრობის განვითარება და აღმასვლა. ამ სფეროში შეიქმნა გაერთიანებები, რომლებმაც დაიწყეს საკუთარი უფლებების დაცვაზე მიზანმიმართული ბრძოლა. მათი საქმიანობა საკმაოდ დიდ ფინანსურ რისკთან იყო დაკავშირებული. ისინი ავტორისაგან იძენდნენ ხელნაწერ ნაწარმოებებს, ბეჭდავდნენ მას და შემდგომ საკუთარი რისკის ფასად ასაღებდნენ.

ის ნაწარმოები, რომელსაც წარმატება ახლდა მეკობრეთა ყურადღების განსაკუთრებული ობიექტი ხდებოდა. აღნიშნული მოვლენები XV საუკუნის ინგლისში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტად გავრცელდა. ამას ხელს უწყობდა ინგლისურენოვანი ქვეყნების არსებობა, რადგან იოლი იყო გასაღების ბაზრის გაფართოება. იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთზეც. ლიტერატურული მეკობრეობის მიმდევრები ამ ვითარებით კარგად სარგებლობდნენ და დაუმსახურებელ დივიდენდებს იმკიდნენ. მაგალითად, ინგლისურ ენაზე გამოცემული ნაწარმოებების ასლები (ან უნებართვოდ გამოცემული წიგნები) ფართოდ საღდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ხოლო ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნები არანაკლები წარმატებით იყიდებოდა თვით ევროპაში. ცნობილია, თავის დროზე ფრიად გახმაურებული ამბავი, დაკავშირებული ემილ ზოლას „ხაფანგთან“. იგი ავტორის ნებართვის გარეშე, ბელგიაში უფრო ადრე გამოქვეყნდა და გავრცელდა, ვიდრე საფრანგეთში. გარდა ამისა, აღნიშნული წიგნი წარმატებით ვრცელდებოდა ევროპის სხვა მრავალ ქვეყანაში, ხოლო საფრანგეთში კონტრაბანდის სახით შემოდიოდა. იმ დროს ცალკეული ქვეყნები, კერძოდ, ბელგია და ჰოლანდია ლიტერატურული მეკობრეობის სერიოზული ცენტრები იყვნენ. ემილ ზოლას აღნიშნულ წიგნთან დაკავშირებული სიტუაციის განმუხტვა მოხერხდა მხოლოდ 1852 წელს საფრანგეთსა და ბელგიას შორის დადებული ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ძალით. ამ ხელშეკრულებამ გაითვალისწინა სპეციალური მოთხოვნები საავტორო უფლებათა მფლობელების დაცვის შესახებ.

გამომცემლები, თავის მხრივ, საკუთარ წეს-ჩვეულებებს აყალიბებდნენ ავტორებთან ურთიერთობებში და ცდილობდნენ მათგან შეძენილი უფლებების გავრცელებას კოპირებაზე – მესამე პირების მიერ ნაწარმოებების უნებართვო გამრავლების საწინააღმდეგოდ. დასახული მიზნის განხორციელებისას გამომცემლებმა თავიანთი მოკავშირე ჰპოვეს ინგლისის სამეფოს სახით და პირვე-

ლად რასაც მიაღწიეს, უცხოეთიდან წიგნების ექსპორტისაგან დაცვა იყო. ეს ფაქტი 1534 წელს მოხდა. ცოტა ხნის შემდეგ – 1556 წ. დედოფალმა მარიამ ტიუდორმა გამომცემელთა კომპანიას უბოძა პრივილეგია, რომლის ძალითაც გამოცემის საქმიანობაზე ზედამხედველობის გარდა, გამომცემლებს მიეცათ უფლება, გამოევლინათ და გაენადგურებინათ უნებართვოდ დაბეჭდილი წიგნები. ამ პრივილეგიამ გააძლიერა გამომცემელთა პოზიცია და ლიცენზირების რეჟიმის განვითარებაზე დადებითი გავლენა იქონია. იმისათვის, რომ წიგნი დაბეჭდილიყო, საჭირო გახდა საგამომცემლო კომპანიის ნებართვა, რამაც ეს პროცესი კონტროლირებადი გახადა. ამგვარი ვითარება აწყობდა როგორც მეფეს, ისე ეკლესიას, რადგან, შესაძლებელი გახდა გარკვეული დონის ცენზურის განხორციელება. მიუხედავად აღნიშნულისა, შემდგომში პრივილეგიების გაცემის პრაქტიკა უარყოფილ იქნა და გამომცემელთა უფლებების დაცვა კვლავ საერთო სამართლით თუ შეიძლებოდა. გამომცემლები ცდილობდნენ აღედგინათ დაკარგული პრაქტიკა, მაგრამ პარლამენტმა უარყო მათი დაჟინებული მოთხოვნა და ძველებურად „კოპირების უფლების“ ამარა დატოვა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც შეეძლოთ განეხორციელებინათ ეს უფლება საქმიანობაში დამკვიდრებული ჩვეულებების ძალით, რასაც მეტ-ნაკლებად განამტკიცებდა ადრე შემოღებული ნაწარმოების რეგისტრაციის წესი.

საბოლოოდ, გამომცემლებმა თავისას მხოლოდ 1710 წელს მიაღწიეს დედოფალ ანას სტატუტის მიღებასთან ერთად, და იგი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში მიღებულ პირველ კანონად ითვლება. მისი ძალაში შეყვანის დადგენილების სათაური – „ბილი განათლების (სწავლების) განვითარების ხელშეწყობისა და ავტორების და წიგნების კანონზომიერად გაკეთებული ასლების (კოპიების) მფლობელთათვის საკუთრების უფლების დაკანონების შესახებ“ – ნათლად მიუთითებს შინაარსზე.

სტატუსით მინიჭებული უფლებები გამომდინარეობდა კომერციული მიზნების განხორციელების პრინციპიდან და არა ავტორთა შემოქმედებითი ღვაწლის დაცვის პრინციპიდან. უფლებათა დაცვა და განხორციელება დამოკიდებული იყო გამომცემელთა კომპანიაში რეგისტრირების ფაქტზე. სავალდებულო იყო წიგნის 9 ეგზემპლარის დეპონირება უნივერსიტეტებისა და ბიბლიოთეკებისათვის. დაცვის საშუალებანი ითვალისწინებდნენ დაყადაღებასა და ჯარიმებს. უფლებების მოქმედება დროში განისაზღვრა 14 წლით

გამოცემის დღიდან, ხოლო თუ ავტორი კვლავ ცოცხალი იყო, მაშინ შესაძლებელი იყო მათი მომდევნო 14 წლით გაგრძელება. კოპირების უფლების სხვა სახეებს (other "copy-rights~) დედოფალ ანას სტატუტი არ ითვალისწინებდა. წიგნის გამოცემამდე ავტორთა უფლებების დაცვა, როგორც ზოგადად უფლებების დაცვა ლიტერატურულ საკუთრებაზე, შესაძლებელი იყო საერთო სამართლის ნორმებით.

დედოფალ ანას სტატუტით მინიჭებული „კოპირაიტის" უფლებათა მოცულობა და საერთო სამართლით დაცვადი „კოპირაიტის" მოცულობა საბოლოოდ გაიმიჯნა სამოსამართლო სამართლით. 1774 წელს „დონალდსონი ბეკეტის წინააღმდეგ" საქმის განხილვის შედეგად დაწესდა, რომ საერთო სამართლის მიხედვით ავტორს გააჩნდა უფლება მხოლოდ წიგნის დაბეჭდვასა და გამოცემაზე. ხოლო, თუ წიგნი გამოიცა, მაშინ ავტორთა უფლებების მოწესრიგება 1710 წლის სტატუტის მიხედვით შეიძლებოდა. ეს ურთიერთდამოკიდებულება ინგლისში გრძელდებოდა 1911 წელს მიღებული კანონის (Copyright Act) ძალაში შესვლამდე, რის შემდეგაც ყველა უფლების რეგულირება ხდება აღნიშნული კანონით.

წიგნის გამომცემლებთან ერთად თავისი უფლებების დაცვის განმტკიცებაზე ზრუნავდნენ გრავიორები, რომლებმაც მიაღწიეს სპეციალური საკანონმდებლო აქტების (Engraving Copyright Acts) მიღებას 1734 და 1766 წელს. უფლებების მოქმედება შეზღუდული იყო 28 წლით. მიღებულ იქნა აგრეთვე აღნიშნული აქტების დამატებანი 1777 და 1836 წწ. დიზაინერებმაც ტანსაცმლის მოდელირების სფეროში სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღებას მიაღწიეს 1789 წ., რომელმაც დააწესა ტანსაცმლის ახალი ორიგინალური მოდელების დაცვა. მისი ძალით მოდელიორი დაცული იყო უნებართვო გამოშვებისა და კოპირებისაგან. დაცვის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2 თვით, რაც 1794 წ. 3 თვემდე გახანგრძლივდა. ეს საკანონმდებლო აქტი შემდგომში სამრეწველო ნიმუშების დაცვის შესახებ კანონის წინამორბედი გახდა. გარდა აღნიშნულისა, 1798 და 1814 წწ. შემოღებულ იქნა მოქანდაკეთა შემოქმედების შედეგების დაცვა, რომელიც 1862 წლის კანონის თანახმად, გადაიქცა სახვითი ხელოვნების შედეგების დაცვის აქტად. ახლად მიღებულ კანონს ეწოდა The Fine Arts Copyright Act და მან გაითვალისწინა მხატვართა ნაწარმოებების, ფოტოგრაფიებისა და ნახაზების დაცვა. ამასთან, ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაცვის ხანგრძლივობა გაიზარდა და შეადგინა 42 წელი გამოქვეყნე-

ბის დღიდან, ან ავტორის სიცოცხლეს მიმატებული 7 წელი (რომელიც უფრო მეტი იყო, ის ვადა გამოიყენებოდა). ანალოგიურად ვითარდებოდა შემსრულებელთა უფლებების დაცვა. 1833 წელს მიღებულმა კანონმა (Dramatic Copyright Act) დააწესა მსახიობ-შემსრულებელთა უფლებების დაცვა. 1842 წელს დაცვა გავრცელდა მუსიკალურ სფეროში მოღვაწე შემსრულებლებზე, რაც გაითვალისწინა ახალმა კანონმა „Literary Copyright Act". როგორც ცხადად ჩანს, ინგლისის პრაქტიკამ ჩაუყარა მყარი საფუძველი მომიჯნავე უფლებების დაცვასაც.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული ნაბიჯები ინგლისში გადაიდგა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა უფლებების დასაცავად და ამ უფლებების დაცვა გახდა სპეციალური საკანონმდებლო აქტების საგანი, ტერმინი „საავტორო უფლება" იქ არ იქნა გამოყენებული. დღესაც ინგლისი ავტორთა და შემსრულებელთა უფლებების დაცვის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „კოპირაიტ". აღსანიშნავია, რომ, საზოგადოდ, კოპირაიტისათვის უცხოა მორალური უფლებების დაცვა. ის მხოლოდ ქონებრივ უფლებებს იცავს. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება საერთო სამართლით. აქვე დავძენთ, რომ ნაწარმოებებთან დაკავშირებული მორალური უფლებების დაცვა განვითარდა კონტინენტური ევროპის სამართლის ზეგავლენით.

საფრანგეთში, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, საავტორო სამართლის განვითარების ევოლუცია ინგლისის მაგალითზე აღწერილის მსგავსად მიმდინარეობდა. ავტორთა და გამომცემელთა უფლებების დაცვის პრივილეგიებით განმტკიცების სისტემას მეფე ლუდოვიკო XVI-ს 1777 წლის ექვსმა ორდონანსმა შეურყია საფუძველი. რევოლუციის შემდგომ 1791 და 1793 წწ. საკონსტიტუციო ასამბლეამ მიიღო ორი დეკრეტი, რომლებმაც საბოლოოდ უარყვეს პრივილეგიები და ჩაუყარეს საძირკველი საავტორო უფლებათა დაცვის საფრანგეთის თანამედროვე კანონმდებლობას. ამ დეკრეტებმა აღიარეს განსაკუთრებული უფლებები ნაწარმოებების გამოყენებასა და მათ კვლავწარმოებაზე. 1791 წლის დეკრეტმა გაითვალისწინა ავტორთა უფლებების დაცვა ნაწარმოების საჯარო შესრულებაზე. ეს დაცვა გრძელდებოდა ავტორის სიცოცხლის მანძილზე პლუს 5 წელიწადი. მეორე – 1793 წლის დეკრეტმა ავტორებს უბოძა უფლება ნაწარმოების კვლავწარმოებაზე, რაც დაცული იყო ავტორის სიცოცხლეში და კიდევ 10 წელი. ამ დეკრეტებმა წარმოაჩინეს განსხვავება საფრანგეთისა და ინგლისის სამართალს შორის. მთავარი ის იყო, რომ საფრანგეთში პირველად

იქნა შემოღებული ცნება „საავტორო სამართალი“, მაშინ როდესაც საერთო სამართალი და ინგლისში მოქმედი სტატუტები ცნობდნენ მხოლოდ „კოპირაიტ“-ს. ამას გარდა, საფრანგეთში საავტორო უფლებების დაცვას არ ესაჭიროებოდა რაიმე ფორმალობების შესრულება. მაგალითად, არ იყო საჭირო ნაწარმოების რეგისტრაცია ან სხვა პროცედურული ქმედების განხორციელება. აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ საფრანგეთის საავტორო სამართალი ჯერ კიდევ არ იცნობდა ავტორთა პირად არაქონებრივ უფლებებს – „მორალურ უფლებებს“.

შუა საუკუნეების გერმანიაში საავტორო უფლებების დაცვას უკავშირებენ ბუნებითი სამართლის პრინციპების ცხოვრებაში გატარებას. ნაწარმოების დაცვაზე ვრცელდებოდა პრინციპი „რაც არ გეკუთვნის, შენი არ არის“, ანუ აკრძალული იყო სხვისი ქონების ხელყოფა. გერმანიაში ერთიანი კანონის მიღებას წინ უსწრებდა ავტორთა უფლებების დაცვის შემოღება ცალკეულ მიწებზე. მაგალითად, საქსონიის 1686 წლის მეფის ბრძანებულებამ ავტორებს უბოძა მათი ნაწარმოებების უნებართვოდ გამოყენების აკრძალვის უფლება. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამომცემელსაც ავტორისაგან უნდა შეეძინა ნაწარმოების გამოცემის უფლება. ცნობილია, აგრეთვე, რომ პრუსიის სამოქალაქო კანონმდებლობით, თუ ავტორს მეფისაგან ჰქონდა უკვე მიღებული ნებართვა წიგნის გამოქვეყნებაზე, მაშინ აღარავის შეეძლო მისი თანხმობის გარეშე გამოეცა წიგნი, რადგან ეს ქმედება ავტორის უფლებათა დარღვევად იქნებოდა მიჩნეული. საბაზისო კანონი მიღებული იქნა ჩრდილოეთი გერმანიის ფედერაციის არსებობის ხანაში 1845 წელს, რომელიც შემდგომ გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს (რაიხის) კანონად გადაიზარდა.

ადრე აღვნიშნეთ, რომ ავტორთა „მორალური“ უფლებების დაცვა კონტინენტური ევროპის სამართალმა შემოიღო. ეს ფაქტი გერმანიის სამართლის გავლენით მოხდა. **მორალური უფლებების დაცვას ურყევი საფუძველი გამოჩენილი ფილოსოფოსის ემანუილ კანტის შეხედულებებმა ჩაუყარა.** მისი აზრით, ავტორი და ნაწარმოები განუყრელ ერთიანობას წარმოადგენს, რადგან ნაწარმოების შექმნისას ავტორი საკუთარ პიროვნულ გამოხატულებას აქსოვს მასში. ნაწარმოების შექმნა ყოველთვის ავტორის სულიერ შემოქმედებასთან არის მჭიდრო კავშირში და შესაბამისად ნაწარმოებიც სწორედ მისი სულიერი სიმდიდრით სულდგმულობს. ამ შეხედულებას იზიარებს თანამედროვე კანონმდებლობაც და ითვალისწინებს ავტორთა მორალური უფლებების დაცვას, რაც საყო-

ველთაოდ არის გავრცელებული ამჟამად მთელ მსოფლიოში. მორალური უფლებების ერთ-ერთი გამოვლინება – სახელის უფლება, გაცილებით მეტი ღირებულებისა შეიძლება იყოს, ვიდრე ქონებრივი. ამისი მაგალითებია კაცობრიობის ისტორიის მარადიულ კუთვნილებად გამხდარი შოთა რუსთაველის, აბუ იბნ სინას, აინშტაინის, გალილეო გალილეის, ედისონის, ფიროსმანის, პლატონის, პუშკინის და სხვათა სახელები. ამ მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს მორალური უფლებების დაცვის მნიშვნელობა, ფიროსმანს ხომ სახელის მეტი არა დარჩენია რა. მათი მსგავსი შემოქმედების სახელები კაცობრიობის ისტორიას მრავლად ახსოვს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტორთა უფლებების დაცვა შემოღებულ იქნა 1790 წელს მიღებული კანონის ძალით, რომელიც დაეფუძნა ინგლისის მეფე ანას სტატუტს. კანონმა დაცვის ობიექტებად დაასახელა წიგნები, რუკები და სქემები. ავტორთა უფლებები დაცული იყო 14 წელიწადს ნაწარმოების გამოქვეყნების დღიდან. დაშვებული იყო აღნიშნული ვადის გაგრძელება კიდევ ერთი 14 წლიანი პერიოდით, თუ ავტორი ცოცხალი იყო. უფლებათა დაცვისათვის დადგინდა ნაწარმოების რეგისტრირებისა და დეპონირების მკაცრი წესი. მიჩნეულია, რომ ამერიკის აღნიშნული კანონის მიღება განაპირობა კონსტიტუციის პირველივე რედაქციამ, რომელმაც დაუდგინა კონგრესს უფლებამოსილება: „ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს, დაიცვას განსაზღვრული დროით ავტორებისა და გამომგონებლების განსაკუთრებული უფლებები მათ ნაწარმოებებსა და აღმოჩენებზე". [To promote the progress of science and useful arts, by securing fo limited time to authors and inventors the exclusive right to their recpective writings and discoveries;].

XVIII-XIX საუკუნეები სხვა ქვეყნებისთვისაც ავტორთა უფლებების დაცვის შემოღების აქტიურ პერიოდად განიხილება. დანიასა და ნორვეგიაში 1814 წლამდე, ახალი კანონების მიღებამდე მოქმედებდა. 1741 წელს იქნა მიღებული მეფის დეკრეტი, დეკრეტი ავტორთა ქონებრივ უფლებებს იცავდა მათი სიცოცხლის მანძილზე. 1762 წელს ესპანეთში იქნა მიღებული კანონი, რომელიც წიგნის გამოცემის უფლებას მხოლოდ ავტორთან აკავშირებდა.

რუსეთის იმპერიაში ავტორთა უფლებების დაცვა შემოღებულ იქნა 1830 წლის სპეციალური კანონით. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის საქართველო რუსეთის იმპერიაში იმყოფებოდა და ამდენად, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ ქვეყნის საავტორო უფლებების განვითარების ამსახველ მოვლენებს. რევოლუციამდელი რუსეთის აღნიშნულმა კანონმა დაცვა გაავრცელა ლიტერატურულ

ნაწარმოებზე, რომელსაც მოეთხოვებოდა რაიმე ფორმით ყოფილიყო გამოხატული – ზეპირი (სიტყვიერი) ან წერილობითი. ნაწარმოები ამავე დროს უნდა ყოფილიყო განკუთვნილი საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებდა ავტორის უფლებას მისი ნებართვის გარეშე თარგმანის გაკეთების აკრძალვაზე. ლიტერატურულთან ერთად დაცვას ექვემდებარებოდა მხატვრული ნაწარმოებები. ავტორთა უფლებები დაცული იყო ავტორის სიცოცხლის მანძილზე პლუს 50 წელიწადი. ეს ვადა აითვლებოდა ნაწარმოების შექმნის ფაქტიდან. რეგისტრაციის ან სხვა სახის პროცედურა დაწესებული არ იყო. საავტორო უფლებები ავტორთა კუთვნილებად გამოცხადდა და სავსებით ეთანადებოდა იმდროინდელ სამართლებრივ მოთხოვნებს. მაგრამ წიგნის გამოცემა მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა.

რევოლუციის შემდეგ მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჩამოართვა ქონებრივი უფლებები ავტორებს და დაუტოვა მხოლოდ უფლება დადგენილი განაკვეთის საავტორო ჰონორარის მიღებაზე. 1973 წლიდან, სსრ კავშირის საავტორო უფლებათა ჟენევის კონვენციისადმი მიერთების შემდეგ შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია „Всесоюзное агентство по авторским правам" (საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტო) შემოკლებით – ВААП, რომელიც ახორციელებდა კონტროლს საავტორო უფლებებსა და ნაწარმოების გავრცელებაზე, განსაკუთრებით საზღვარგარეთ. ავტორებს და მომიჯნავე უფლებების სუბიექტებს პირადი არაქონებრივი უფლებები ეკუთვნოდათ მეტ-ნაკლებად, მაგრამ ქონებრივი უფლებებიდან მათი მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ოდენობის ჰონორარის მიღების უფლება ჰქონდათ. ამგვარი დამახინჯებული სახით მოქმედებდა საავტორო სამართალი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის საქართველოში.

1997 წლამდე, საქართველოს ახლანდელი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, ავტორთა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შეიცავდა სპეციალურ, მეოთხე კარს, სათაურით „საავტორო სამართალი". კარი შედგებოდა 40 მუხლისაგან და სსრ კავშირის საავტორო სამართალთან სრულ თანადობაში იყო. აღნიშნული კოდექსი სამოქმედოდ 1965 წლიდან იქნა შემოღებული და დააწესა ავტორთა როგორც ქონებრივი (სახელმწიფოს მიერ განკარგვით), ასევე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომიჯნავე უფლებების დაცვა გათვალისწინებული არ იყო. ვითარება

გამოასწორა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულმა საავტორო სამართალმა (IV წიგნი „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი", კარი I „საავტორო სამართალი", 1017-1099-ე მუხლები) და პირველად საქართველოს ისტორიაში დაამკვიდრა შემსრულებლების, ფონოგრამის (ვიდეოგრამის) დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებების დაცვა. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საავტორო განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვრა 50 წლით ავტორის გარდაცვალებიდან. მომიჯნავე უფლებების მოქმედების ხანგრძლივობაც 50 წლით განისაზღვრა, ოღონდ ამ ვადის ათვლა დაუკავშირდა პირველ შესრულებას, ფონოგრამის (ვიდეოგრამის) პირველად ჩაწერას ან გამოქვეყნებას, მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პირველ გადაცემას. კოდექსის 1508-ე მუხლით საბჭოთა კავშირის დროს დაცული საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედება უკუქცევით გახანგრძლივდა 50 წლამდე ნაცვლად 25-ისა.

1999 წლიდან ძალაში შევიდა საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი, რომლის მიღებამაც გამოიწვია სამოქალაქო კოდექსით წარმოდგენილი საავტორო სამართლებრივი ნორმების მოქმედების შეწყვეტა. სამოქალაქო კოდექსში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვასთან დაკავშირებით დარჩა ერთი ნორმა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონზე მითითებით. მიღებულმა კანონმა საავტორო უფლებების მოქმედება გაახანგრძლივა 70 წლამდე გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით.

თავი 2. საავტორო სამართლის ობიექტები

როგორც ცნობილია, ინტელექტუალური სამართალი ორ შტოდ იყოფა. შესაბამისად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართალი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მეოთხე წიგნის მიხედვით, მოიცავს საავტორო სამართალსა და სამრეწველო საკუთრების სამართალს. ეს ორი შტო ერთმანეთისაგან უმთავრესად იმ ობიექტებით არის გაყოფილი, რომლებიც შეადგენენ საავტორო ან სამრეწველო საკუთრების დაცვის საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საავტორო სამართალი არ იცავს ისეთ ობიექტებს, როგორიცაა გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, კომერციული აღნიშვნები (სასაქონლო და მომსახურების ნიშანი,

ნაწარმოებების ჩამონათვალი	
ბერნის კონვენცია	**საქართველოს საავტორო სამართალი**
1. ლიტერატურის, მეცნიერების ნაწარმოებები	
წიგნი, ბროშურა და სხვა; ლექცია, საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა, მიმართვა, ქადაგება და სხვა;	წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ;
2. ხელოვნების ნაწარმოებები	
დრამატული, მუსიკალურ-დრამატული; ქორეოგრაფიის და პანტომიმის; მუსიკალური კომპოზიციები სიტყვათა თანხლებით, ან უსიტყვო; კინემატოგრაფიული და მასთან გათანაბრებული კინემატოგრაფიული პროცესის ანალოგიური პროცესით შექმნილი ნამუშევარი; ნახატები, ფერწერის, არქიტექტურის, სკულპტურის, გრაფიკის და ლითოგრაფიის; ფოტოგრაფიული და მასთან გათანაბრებული ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებით შექმნილი ნაშრომები; გამოყენებითი ხელოვნების ნაშრომები;	დრამატული, მუსიკალურ-დრამატული; ქორეოგრაფიის, პანტომიმის და სხვა სასცენო; მუსიკალური, ტექსტით თუ უტექსტო; აუდიოვიზუალური (კინო, ტელე- და ვიდეოფილმი და სხვა მსგავსი); სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნების და სხვა მსგავსი; ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის მსგავსი საშუალებით შექმნილი და სხვ.; დეკორატიულ-გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების, თეატრალურ-დეკორატიული;

ნაწარმოებების ჩამონათვალი	
ბერნის კონვენცია	**საქართველოს საავტორო სამართალი**
3. გადამუშავებული და შედგენილი ნაწარმოებები	
თარგმანი;	თარგმანი;
ადაპტაცია;	ადაპტაცია;
მუსიკალური არანჟირება;	მუსიკალური არანჟირება;
ენციკლოპედია, ანთოლოგია;	კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა შედგენილი ნაწარმოები;
სხვა გადამუშავებული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაშრომი;	მიმოხილვა;
მხატვრული ნაწარმოების პწკარედი;	ინსცენირება; კომპილაცია; მხატვრული ნაწარმოების პწკარედი; მეცნიერების და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება;
4. სხვა სახის ნაწარმოებები	
ილუსტრაციები, რუკები, გეგმები, ესკიზები, სამგანზომილებიანი ნაწარმოებები, რომლებიც, გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას განეკუთვნება.	არქიტექტურის, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო ხელოვნების; რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და მსგავსი სხვა, რომლებიც მიეკუთვნება გეოგრაფიას, კარტოგრაფიას და სხვა დარგებს.

გეოგრაფიული აღნიშვნები, საფირმო სახელწოდება), სასელექციო მიღწევა.

საავტორო სამართლის ობიექტები ჩამოთვლილია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ბერნის კონვენციაში (მე-2 მუხლი), რომელსაც შეესაბამება საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი (მე-6 მუხლი).

ნაწარმოებების წარმოდგენილ ჯგუფებად დაყოფა პირობითია და უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება მიეკუთვნოს როგორც ერთს, ასევე სხვა ჯგუფსაც, მაგალითად, მესამე ჯგუფსა და პირველს (ენციკლოპედია, ანთოლოგია).

ბერნის კონვენცია საზღვრავს იმ ობიექტების მინიმალურ რიცხვს, რომლებსაც მისმა მონაწილე ქვეყნებმა უნდა მიანიჭონ დაცვა. ქვეყნებს შეუძლიათ გააფართოონ დაცვას დაქვემდებარებული ნაწარმოებების ნუსხა და, თუ საქმე ახალი სახის ქმნილებებთან გვაქვს (როგორც თავის დროზე კომპიუტერული პროგრამა იყო), მიაკუთვნონ შესაბამის ნაწარმოებთა ჯგუფს.

ბერნის კონვენციის განმარტებით, ტერმინი „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები" მოიცავს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნებისმიერ ნაწარმოებს, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გამოხატული (შექმნილი). როგორც აღნიშნულიდან ჩანს, განმარტება ძალზე ფართოა და სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან მეტად რთულია უკვე არსებული სახეების ამომწურავად ჩამოთვლა, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი ახალი სახის შესაძლო გამოჩენაზე ახლო მომავალში. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდშიც კი ძნელი იყო ვიდეოფილმების შესაძლო გამოჩენისა და სწრაფად გავრცელების განჭვრეტა.

ბერნის კონვენციის ამ განმარტების გათვალისწინებით, საქართველოს საავტორო სამართლით მოცემული ნაწარმოებების ჩამონათვალს თავად ბერნის კონვენციაში მოცემულს თუ შევუფარდებთ და მხედველობაში ვიქონიებთ ავტორისეულ დაჯგუფებასაც, თვალში საცემ შეუსაბამობებს ვერ შევნიშნავთ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საქართველოს საავტორო სამართალი კომპიუტერულ პროგრამებს პირდაპირ ლიტერატურის ნაწარმოებთა რიცხვში მოიხსენიებს. საქართველოს საავტორო სამართალი გაჰყვა თანამედროვე ტენდენციებსა და საერთაშორისო მოთხოვნებს და მონაცემთა ბაზებთან ერთად პირდაპირ ჩართო ეს ობიექტი საავტორო სამართლის ნორმებით დასაცავთა რიცხვში. ეს მომენტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი ამ ორგანიზაციის მოთხოვნებთან. კერძოდ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომ „ვმო") მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებაში ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ [Agreement on Trade - Related Aspects of

Intellectual Property Rights (TRIPS)– შემდგომში გამოვიყენებთ ამ ინგლისურ აბრევიატურას], პირდაპირ მიუთითებს, რომ კომპიუტერული პროგრამა თავდაპირველი ან საბოლოოდ დასრულებული სახით დაცვას ექვემდებარება, როგორც ლიტერატურის ნაწარმოები ბერნის კონვენციის მე-10.1 მუხლის თანახმად. ამ მოთხოვნებს იზიარებს ვმო-ს წევრი თუ არაწევრი მრავალი ქვეყანა და ეროვნული კანონმდებლობის გადამუშავებასაც ახდენს, TRIPS-ის ამ მოთხოვნის შესაბამისად. გაერთიანებული ევროპის საბჭო სპეციალურ დირექტივასაც გამოსცემს კომპიუტერული პროგრამების დაცვის შესახებ, რომელიც ითხოვს ეროვნული კანონმდებლობების აღნიშნულთან შესაბამისობაში მოყვანას. საქართველოს საავტორო სამართლის დაცვის ობიექტების ნუსხა, ისევე როგორც ბერნის კონვენციისა, ამომწურავი არ არის. შესაბამის შემთხვევაში მოსამართლემ თავად უნდა გადაწყვიტოს განეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ობიექტი საავტორო სამართლით დაცვის სფეროს. ამასთან, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში ობიექტების გადმოცემისას უზუსტობაა დაშვებული. კერძოდ, მისი მე-6 მუხლის „კ" პუნქტში ნათქვამია: „ რომლებიც მიეკუთვნება გეოგრაფიას, ფოტოგრაფიას ან სხვა დარგებს". ეს ნორმა ბერნის კონვენციის მოთხოვნებიდან მომდინარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, დამახინჯებულად გადმოიცა. უნდა იყოს „(რომლებიც მიეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას (და არა კარტოგრაფიას), არქიტექტურას ან მეცნიერებას". სასურველი იქნება ამ ხარვეზის გამოსწორება.

ზემოთ მოყვანილი საავტორო სამართლის ობიექტების საკანონმდებლო ჩამონათვლის განხილვასთან ერთად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი მიმოხილვა წარმოვადგინოთ მეცნიერულ ლიტერატურაში არსებულის შესაბამისადაც, რომლის მიხედვითაც ლიტერატურულ ნაწარმოებს განეკუთვნება შემდეგი სახის დაბეჭდილი, ან ხელნაწერი ან სხვაგვარად დაფიქსირებული ნაწარმოებები:

– რომანი, მოთხრობა, ლექსი, პოემა, პიესა, საგაზეთო ან საჟურნალო სტატია, ქადაგება, საჯარო სიტყვა, მეცნიერული ხასიათის ნაშრომი ვრცელი სტატიის, მონოგრაფიის ან სხვა სახით, რეფერატული ინფორმაცია ან ანოტაცია, ანეკდოტი, შაირი, კალამბური, სცენარი, საინფორმაციო მიმოხილვა დ ა.შ.

ლიტერატურული ნაწარმოების დაცვის უნარიანობის თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა თუ რა ხასიათის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე შინაარსობრივად – წარმოადგენს ის ფანტაზიას, თუ

რეალურ ფაქტზეა აგებული, მოკლეა თუ პირიქით, ძალზე დიდი მოცულობის მქონე; რა დანიშნულება გააჩნია მას, ხელით არის ნაწერი თუ ნაბეჭდია, წიგნის, ბროშურის სახით არის გამოცემული თუ ერთი ცალკეული ფურცლის სახით, გამოქვეყნებულია თუ ჯერ არა. ამასთან, ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად მნიშვნელობა არა აქვს ნაწარმოების ავკარგიანობას. გარდა ამისა, ზეპირსიტყვითი ნაწარმოებიც სარგებლობს საავტორო სამართლით დაცვას.

ჩამოთვლილის გარდა, დაცვას ექვემდებარება ისეთი „მარტივი" ნაწარმოებები, როგორიცაა: ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი, სავაჭრო კატალოგები, საგამოცდო მასალა, ქუჩების ცნობარი, ფეხბურთის მატჩების ცხრილი, რადიო და ტელემაუწყებლობის პროგრამები და ა.შ.

დაცვადია აგრეთვე გადამუშავებული და შედგენილი ლიტერატურული ნაწარმოებები: თარგმანი, ენციკლოპედია, ლიტერატურული ადაპტაცია (მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო გადამუშავებული საშუალო სკოლისათვის), ანთოლოგია და სხვ.

ცალკე გამოყოფენ კომპიუტერულ პროგრამებსა და ინფორმაციის მონაცემთა ბაზებს, რომლებიც ლიტერატურულ ნაწარმოებად განიხილება.

დრამატული ნაწარმოები სცენაზე განსახორციელებლადაა განკუთვნილი, მისი სახეებია:

პანტომიმა, ხალხური ცეკვის წარმოდგენა, სპექტაკლი (დრამატული, კომედიური, ან სხვაგვარი, რომლებიც მხოლოდ მუსიკალურ თანხლებაზე არ არის დაფუძნებული). ამ სახის ნაწარმოებზე საავტორო უფლება ერთდროულად შეიძლება ორ ან მეტ პირსაც კი ეკუთვნოდეს, მაგალითად, რეჟისორს და დრამატურგს. დამოუკიდებელი დაცვის საგანი შეიძლება იყოს სასცენო ეფექტები და სამოსი (კოსტიუმი). ამ სახის ნაწარმოების დაცვაც მის ავკარგიანობაზე ან მოცულობაზე და ა.შ. დამოკიდებული არ არის.

მუსიკალური ნაწარმოები სხვადასხვა ბგერებისაგან შედგენილი ნაწარმოებია, რომლის წაკითხვა შესაძლებელია ნოტური ტექსტის საშუალებით. მისი სახეებია:

სიმღერა, პოლიფონიურის ჩათვლით, ერთი საკრავისათვის დაწერილი მუსიკა (სოლო), რამდენიმე საკრავისათვის დაწერილი მუსიკა (სონატა, კამერული მუსიკა), მრავალი საკრავისათვის დაწერილი მუსიკა (საორკესტრო ნაწარმოები), ოპერა, ოპერეტა, მიუზიკლი და ა.შ.

ხელოვნების ნაწარმოები შეიძლება იყოს ორ ან სამგანზომილებიანი და დაცვადია, მიუხედავად მისი შინაარსისა (აბსტრაქცია, რეალიზმი და სხვ.), დანიშნულებისა (წმინდა ხელოვნება), ან რაიმე სხვა მიზნისა (მაგალითად, საგამოფენო ეგზემპლარი). ხელოვნების ნაწარმოების სახეებია:

ნახატი – პორტრეტი, პეიზაჟი, ავანგარდისტული სურათი, კომიქსი, გრაფიკული მოთხრობა, კარიკატურა, აპლიკაცია, პლაკატი, მოზაიკა; ფოტოგრაფია; ქანდაკება და ა.შ.

არქიტექტურული ნაწარმოების (მათ შორის არქიტეკტურული მოდელი იგულისხმება) სახეებია:

ქალაქმშენებლობის ესკიზი, სქემა, არქიტექტურული ობიექტის ნახატი, მაკეტი, პროექტი, მათ შორის ცალკეული ობიექტის – შენობის გეგმა, პროექტი მაკეტი და ა.შ., აგრეთვე ბაღის ან პარკის გაშენების სქემა, გეგმა, მაკეტი და ა.შ.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების სახეებია:

საიუველირო ნაწარმი, ფურნიტურა, ავეჯი, სათამაშოები, სასწავლო თამაშობები, ჭურჭელი, ნოხი, ხალიჩა, თეატრალური სამოსი, სასცენო ეფექტისათვის განკუთვნილი ნაწარმოები და სხვ. ასეთი ნაწარმოების დაცვა შეიძლება სამრეწველო ნიმუშადაც და ავტორს უფლება აქვს ერთდროულად ისარგებლოს საავტორო და საპატენტო უფლებებით საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მოძრავსურათებიანი ნაწარმოები – კინემატოგრაფიული და აუდიოვიზუალური სხვა ნაწარმოები, საჭიროებს დაცვას მიუხედავად წარმოშობისა, დანიშნულებისა, ხასიათისა, ტექნიკური საშუალებისა (ელექტრონული ვიდეოფირი, ჩვეულებრივი გამჭვირვალე ფირი და ა.შ.). მოძრავსურათებიანი ნაწარმოების სახეებია:

მხატვრული ფილმი, კომედია, მუსიკალური ფილმი, მულტფილმი (ანიმაციური ფილმი), სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათის ფილმი, კინოჟურნალი და ა. შ., ანუ მოძრავსურათებიან ნაწარმოებს განეკუთვნება ფირზე ჩაწერილი ნებისმიერი ნაწარმოები.

ცალკე ჯგუფად უნდა განვიხილოთ გეოგრაფიულ-ტექნიკური ხასიათის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა გეოგრაფიული რუკა, გლობუსი, ტოპოგრაფიული სქემა ან გეგმა და ნახატი, ტექნიკური ხასიათის ნახაზები, ესკიზები, მოდელები, მაკეტები და სხვ.

იმისათვის, რომ ნაწარმოები საავტორო სამართლის დაცვის ობიექტი გახდეს, მან უნდა უპასუხოს გარკვეულ მოთხოვნებს – კრიტერიუმებს. სამრეწველო საკუთრების სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც პირდაპირ ასახელებს დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს, საავტორო სამართალი ანალოგიურ კრიტერიუმებს გამოკვეთილად არ მოიხსენიებს. ამგვარი მიდგომა შეინიშნება, როგორც საერთაშორისო საავტორო სამართლის, ისე ეროვნული სამართლის დონეზე. მაგალითად, საპატენტო სამართალი დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებად სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას აწესებს. საავტორო სამართლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოები ყოველგვარი ფორმალობების გარეშე. ეს დებულება ბერნის კონვენციიდან მომდინარეობს და მას იზიარებს თანამედროვე საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი ნებისმიერი ქვეყნის კანონი. მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ნაწარმოების დაცვისადმი საერთოდ არავითარი მოთხოვნები არ არის დაწესებული. დასტურად ბერნის კონვენციის მე-2(5) მუხლის რედაქცია გამოდგება, რომლის მიხედვითაც შედგენილი ნაწარმოები დაცვადია, თუ ის ინტელექტუალურ ქმნილებას წარმოადგენს. ეს დებულება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების, მათ შორის საავტორო სამართლის ობიექტების დაცვის ძირეულ მოთხოვნას წარმოადგენს, რაც შესაბამისად არის ასახული საქართველოს საავტორო სამართალშიც. საავტორო სამართლის ობიექტების დაცვისათვის დადგენილი ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, როგორც კონტინენტური ევროპის სამართალი, ისე საერთო სამართალი. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ განსხვავებული მიდგომა შეინიშნება ნაწარმოებისადმი, როგორც ინტელექტუალური (შემოქმედებითი) ხასიათის ქმნილებისადმი. საერთო სამართლის მიხედვით, დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც შეიძლება კოპირების საგანი იყოს. კონტინენტური ევროპის სამართალი კი ნაწარმოებში ინტელექტუალური შემოქმედების გამოხატულების არსებობას მოითხოვს. განვითარების პრინციპებისა და შეხედულებების ურთიერთგაზიარებით მოხდა კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის დაახლოება, ნაწარმოების დაცვისუნარიანობისადმი საერთო მიდგომის შემუშავება და სხვა ქვეყნებზე გავრცელება. მაგალითისათვის 1991 წ. **Noah v. Shuba** საქ-

მესთან დაკავშირებულ ინგლისის სასამართლო პრეცედენტს მოვიხმობთ. ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების თანახმად, ლიტერატურულ ნაწარმოებად არ იქნა ცნობილი შემდეგი ფრაზა: **„ავადმყოფი რომ გამოჯანმრთელდეს, მოვლისას მიჰყევით კლინიკურ პროცედურას. თუ გაჰყვებით სწორად შერჩეულ პროცედურას, მაშინ არ წარმოიშობა ვირუსული ინფექციით დაავადების საშიშროება“**. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ ფრაზაზე კოპირაიტის ნორმები არ გავრცელდა და მის დაცვას უარი ეთქვა. ამგვარი საქმეების განხილვისას ხელმძღვანელობენ აღნიშნული პრეცედენტით, რომელიც, თუ მასზე გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარს ჩავუღრმავდებით, ნაწარმოებისათვის გარკვეული დონის ინტელექტუალური (შემოქმედებითი) ხასიათის გამოხატულების არსებობას მოითხოვს.

კონტინენტური ევროპის სამართალი ამ მოთხოვნას საკანონმდებლო ნორმად აქცევს. მაგალითისათვის, რომ აღარ შევეხოთ გერმანიის ან საფრანგეთის კანონებს, საქართველოს საავტორო სამართალიც კმარა, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართალს ეფუძნება. კერძოდ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-5 მუხლი ადგენს: **„საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს“.**

რა საზომით შეიძლება განისაზღვროს „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის დონე“? – ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციისათვის არის დატოვებული.

მრავალ პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით მიღებულია, რომ საავტორო სამართლით დაცვის თვალსაზრისით საკმარისია ნაწარმოები ორიგინალურ ქმნილებას წარმოადგენდეს, ანუ ის კონკრეტული პირის შემოქმედების შედეგი იყოს. სხვა სიტყვებით – ნაწარმოები „ახალი“ უნდა იყოს. თუ ნაწარმოები სხვა ნაწარმოებს იმეორებს, ბუნებრივია ის საავტორო უფლებებს ვეღარ წარმოშობს – საავტორო უფლებით პირველი (ორიგინალური) ნაწარმოები ისარგებლებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ **ნაწარმოების დაცვისათვის დადგენილია კრიტერიუმები – „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი“ და „ორიგინალობა“**. ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი ზემოთ იქნა დახასიათებული. ორიგინალობის კრიტერიუმს, გერმანიის საავტორო სამართლის მიხედვით, ისეთი ნაწარმოები უპა-

სუხებს, რომელიც შეიძლება „პიროვნულ ინტელექტუალურ ქმნილებად" იყოს განხილული. ნაწარმოები უნდა იყოს განსხვავებული მისი ინდივიდუალურობით და მას უნდა გააჩნდეს გარკვეული შემოქმედებითი დონე (ეს მოთხოვნა საპატენტო სამართალში არსებულ კრიტერიუმებთან – სიახლესთან და საგამომგონებლო დონესთან პარალელის გავლების შესაძლებლობას გვაძლევს). ასეთ მიდგომას კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების სამართალიც იზიარებს. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ „მაღალი" ლიტერატურული ან მხატვრული ღირსება მოითხოვება ნაწარმოებისაგან. გერმანიის საავტორო სამართლიდან ცნობილია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის განსაზღვრის კრიტერიუმი „Kliene Munze", რომელიც ინგლისური სამართლით შემოღებული კრიტერიუმის „ორიგინალობის" ტოლია. აღნიშნულის თანახმად, საავტორო სამართლით დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი, თუნდაც ტრივიალური შინაარსისა და მხატვრული ღირსების მქონე ნაწარმოები. ამასთან, ნაწარმოების ინდივიდუალობა და ორიგინალობა უნდა მომდინარეობდეს არა მისი შინაარსიდან, არამედ გამოხატვის ფორმიდან. დაცვას ექვემდებარება ნაწარმოების ცალკე ნაწილიც. მაგალითად, თუ დაკმაყოფილდება საავტორო სამართლით დადგენილი მოთხოვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მიზნით ნაწარმოების სათაურიც კი შეიძლება იქნეს დაცული.

ორიგინალობა, ნაწარმოების შემოქმედებით დონეს განსაზღვრავს, სხვადასხვა სახის ნაწარმოებისათვის სხვადასხვაგვარად დგინდება. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში გამოკვეთილი უნდა იყოს ესთეტური თავისებურება, რითაც იგი, თანამედროვე გაგებით, მიჩნეულ იქნება ხელოვნების მოცემული დარგის ობიექტად. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ გამოყენებითი ხელოვნების ობიექტი შეიძლება სამრეწველო ნიმუშადაც იყოს დაცული. ამგვარი მიდგომა საქართველოს გარდა გერმანიისა და კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების სამართლისთვისაც არის ცნობილი. მაგალითად, ტანსაცმლის მოდელების დაცვის შემთხვევები სამრეწველო ნიმუშად და/ან საავტორო სამართლის ობიექტად ფართოდ არის ცნობილი აღნიშნული ქვეყნების პრაქტიკისათვის.

საავტორო სამართლით დაცვადი ობიექტებისადმი მოთხოვნად შეიძლება დაწესდეს ნაწარმოების რაიმე ობიექტური ფორმით არსებობა (დაფიქსირება). შესაბამისად, ნაწარმოების დაცვა რეალურად შეიძლება განხორციელდეს მისი პირველად გამოქვეყნების

მომენტიდან. ეს მიდგომა ყველა შემთხვევისთვის იქნება დამახასიათებელი. ზემოთ მითითებული არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ნორმას, კერძოდ, ნაწარმოები დაცვადია, განურჩევლად იმისა, გამოქვეყნებულია იგი თუ არა (მთავარია, რომ რაიმე ობიექტური ფორმით არსებობდეს). აღნიშნული ნორმა პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით. მისი შინაარსი, ჩვენი აზრით, განიმარტება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში გავრცელებული „სახელშეკრულებო თეორიით“. აღნიშნული თეორიის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებად განიხილება საავტორო უფლებათა მფლობელი და სახელმწიფო. ინტელექტუალური ქმნილება დაცვის საგანს წარმოადგენს მაშინ, როდესაც მისი შემქმნელი (ხელშეკრულების ერთი მხარე) საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის მას. თუ ეს პირობა დაცული იქნება, მაშინ სახელმწიფო (ხელშეკრულების მეორე მხარე) ვალდებულია დაიცვას ავტორის უფლებები. ამდენად, სანამ ნაწარმოები მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, ავტორმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარი ქმნილების დაცვაზე მისი ხელყოფისაგან. თუ მოხდება ამ ნაწარმოების ტირაჟირება ან სხვაგვარად გავრცელება, ცხადია, ის საავტორო სამართლის დაცვის საგანი გახდება. მნიშვნელობა არა აქვს თავად უფლებათა მფლობელი გახდის აღნიშნულ ნაწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომს, თუ მისი თანხმობის გარეშე მოხდება ეს ფაქტი. ყველა შემთხვევაში ნაწარმოების დაცვა შეიძლება განხორციელდეს საავტორო სამართლით, რადგან საჯაროდ ხელმისაწვდომლობის პირობა შესრულებული იქნება. ავტორის ნებართვის გარეშე ნაწარმოების ტირაჟირების ან სხვაგვარად გამოყენების შემთხვევაში თავად ავტორმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებანი, რომ ნაწარმოები მისია და რომ ის არსებობდა, სანამ უფლებათა დარღვევის აღნიშნული ფაქტი მოხდებოდა. ამდენად, როგორც ვხედავთ, ის ნორმა, რომ ნაწარმოები დაცვას ექვემდებარება გამოუქვეყნებლობის შემთხვევაშიც კი, არ ნიშნავს, რომ საავტორო უფლებათა დაცვა პრაქტიკულად შეიძლება განხორციელდეს ნაწარმოების გამოქვეყნებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე.

თავი 4. ნაწარმოებები, რომლებზეც საავტორო უფლებები არ ვრცელდება

საავტორო სამართალი ზოგიერთი სახის ნაწარმოებზე აწესებს უფლებათა შეზღუდვას, ხოლო ზოგიერთს გამორიცხავს დაცვის სფეროდან. ამგვარი წესები გათვალისწინებულია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების ძალით, ისე საქართველოს საავტორო სამართლითაც. **აღიარებულია, რომ საავტორო სამართალი არ ვრცელდება და დაცვას არ ექვემდებარება თავად იდეები, ამა თუ იმ ნაწარმოებში ჩადებული, პროცედურები, ექსპლუატაციის მეთოდები და სხვ.** საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, ამგვარი ნორმები გათვალისწინებულია TRIPS-ის 9(2)-ე მუხლით. ბერნის კონვენცია აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას პირდაპირ არ ეხება. მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე თვალსაჩინოა, რომ იდეა თავისთავად არ შეიძლება მიეკუთვნოს ნაწარმოებს და შესაბამისად, საავტორო სამართალი მას ვერ დაიცავს (გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში იდეის დაცვა შეიძლება სამრეწველო სამართლით მოგვარდეს). აქედან გამომდინარე საავტორო სამართლის მიხედვით ვერ აიკრძალება რომელიმე წიგნში ან სხვა ნაწარმოებში აღწერილი რაიმე კონკრეტული მოწყობილობის, ტექნოლოგიის ან ნივთიერების და ა.შ. პრაქტიკული განხორციელება.

გარდა ამისა, საერთაშორისო სამართალი, კერძოდ, ბერნის კონვენცია, ეროვნულ კანონმდებლობას უტოვებს უფლებას, რომ დაადგინოს მიენიჭება დაცვა თუ არა ოფიციალურ ტექსტებსა და მათ თარგმანებს. აღნიშნული საკითხების მოწესრიგებას საავტორო სამართალი ერთგვაროვნად უდგება და ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-8 მუხლის ჩამონათვლის მოყვანა. აღნიშნული მუხლის თანახმად, **საავტორო უფლება (ქონებრივი) არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე:**

- **ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე;**
- **სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდო, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);**

– **მოვლენებისა და ფაქტების (მათ შორის ისტორიული) შესახებ ინფორმაციაზე.**

აღსანიშნავია, რომ მოცემული ჩამონათვალი კანონში ამომწურავად არის გადმოცემული. აღნიშნულ ობიექტებზე დაცვა არ ვრცელდება იმის გამო, რომ კანონმდებლობა საჭიროდ თვლის საზოგადოებრივი ინტერესების რაც შეიძლება სწრაფად და ობიექტური ფორმით დაკმაყოფილებას. ჩამოთვლილ ობიექტებზე (გარდა კანონებისა და სხვა ოფიციალური აქტებისა) არ იკარგება ავტორობის უფლება.

ფორმალობები საავტორო სამართალში

საქართველოს საავტორო სამართალი, მისდევს რა თანამედროვე სამართლებრივ მეცნიერულ შეხედულებებს და საერთაშორისო ნორმებს, **საავტორო უფლებათა წარმოშობასა და დაცვას არ უკავშირებს რაიმე ფორმალობების შესრულებას**, მაგალითად, იგი არ ითხოვს ნაწარმოების სავალდებულო რეგისტრაციას. ეს იმას უკავშირდება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორთა უფლებების დაცვა დაკავშირებული იქნებოდა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენასთან, რასაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალი დაუშვებლად მიიჩნევს. ბერნის კონვენცია მონაწილე ქვეყნებისაგან რაიმე ფორმალობებისაგან ნაწარმოების დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპის შესრულებას პირდაპირ მოითხოვს. აღნიშნული მოთხოვნის გამო ამერიკის შეერთებული შტატები ბერნის კონვენციას დიდი ხნის განმავლობაში არ უერთდებოდა. მიერთების შემდეგ აშშ იძულებული გახდა (ინგლისის მსგავსად, რომელიც ნაწარმოების სავალდებულო რეგისტრაციის ნორმის ფუძემდებელია) საკუთარ საავტორო სამართალში შეეტანა შესაბამისი ცვლილება და გაეუქმებინა ნაწარმოების რეგისტრაციის მოთხოვნა. თუმცა არასავალდებულო, ნებაყოფლობით ნორმად ნაწარმოების რეგისტრაციის შესაძლებლობა მრავალი ქვეყნის საავტორო სამართლით არის გათვალისწინებული. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის თანახმად **ნაწარმოების რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“. რეგისტრაცია დასტურდება სერტიფიკატის გაცემით, რომელიც საავტორო უფლებების მოპოვების ფაქტის დამადასტურებელ საბუთს არ წარმოადგენს.** იგი მხოლოდ მტკი-

ცებულების ერთგვარი სახეა. როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ავტორებს საკუთარი უფლებების დეკლარირების მიზნით უფლება აქვთ, მაგრამ არ აკისრიათ ვალდებულება, გამოიყენონ საავტორო უფლების დაცვის საერთაშორისო ნიშანი. ეს ნიშანი ჟენევის მსოფლიო კონვენციამ (ინგლისურად – UNIVERSAL COPYRIGHT CONVENTION, შემოკლებით – UCC, რუსულად „Всемирная конвенция об авторском праве" სათაურით არის ცნობილი) შემოიღო. დაცვის ნიშანი ჟენევის კონვენციის თანახმად უნდა შედგებოდეს ლათინური ასო C-გან, რომელიც მოთავსებულია წრეწირში, განსაკუთრებული უფლების მფლობელის სახელისაგან (დასახელებისაგან) და ნაწარმოების პირველად გამოცემის წელიწადის მითითებისაგან. ამ ნიშნის გამოყენება საავტორო უფლებების მოქმედებისა და მფლობელის შესახებ გამაფრთხილებელი აქტია.

თავი 5. საავტორო უფლებათა სუბიექტები

საავტორო უფლებათა სუბიექტის განსაზღვრის ორი მიდგომა არის ცნობილი. პირველი მიდგომა, რომელიც ინგლისურ-ამერიკული სამართლისათვის არის დამახასიათებელი, ეფუძნება Copyright-ის ფუძემდებლურ შეხედულებას და წარმოშობიდანვე უფლებათა მფლობელად აღიარებს როგორც – ფიზიკურ ისე იურიდიულ პირს. მეორე მიდგომა დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლისათვის და ეფუძნება le droit d'auteur-ის საავტორო უფლებათა სამართლებრივ პრინციპს, რომლის თანახმადაც საავტორო უფლებათა მფლობელი წარმოშობიდანვე, მხოლოდ ავტორი შეიძლება იყოს. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ნაწარმოები განიხილება ავტორის პიროვნულ გამოხატულებად – იგულისხმება, რომ ავტორი საკუთარ „მეს" აქსოვს ქმნილებაში და ამიტომ მხოლოდ ცალკეული პიროვნება (ფიზიკურ პირი) არის შემოქმედად აღიარებული და შესაბამისად, მხოლოდ მას შეიძლება ეკუთვნოდეს საავტორო უფლებები. ამდენად, კონტინენტური ევროპის სამართლის გენერალური პრინციპით საავტორო უფლებები არ შეიძლება იურიდიულ პირს ეკუთვნოდეს წარმოშობიდან. შესაბამისად, ფილმის დამდგმელი სტუდია ან სამაუწყებლო ორგანიზაცია წარმოშობიდან ვერ მოიპოვებენ საავტორო უფლებებს. ეს უფლებები მხოლოდ ავტორმა შეიძლება დაუთმოს მათ უფლებათა გადაცემის გზით.

ბერნის კონვენცია საავტორო უფლებათა სუბიექტის საკითხს საგანგებოდ არ ეხება, მაგრამ მისი პირველივე მუხლი იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ კონვენცია მისდევს le droit d'auteur-ის შეხედულებებს და მისი სულისკვეთებით არის შემუშავებული. კონვენციის აღნიშნული მუხლის რედაქცია შემდეგია: „ქვეყნები, რომლებისათვისაც მოქმედებს ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებების და ავტორთა უფლებების დასაცავად". (The countries to which this convention applies constitute a Union for the protection of the rights of authors in their literary and artistic works).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საავტორო სამართალიც არ შეიცავს პირდაპირ ნორმებს, თუმცა მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ იგი კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპებზეა აგებული და საავტორო უფლებათა სუბიექტს le droit d'auteur-ის მიხედვით განსაზღვრავს. ეს დასტურდება შემდეგით:

- სამოქალაქო კოდექსი აწესებს ცნებას „საავტორო სამართალი";
- კანონის სათაურია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ". აღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველოში პრინციპად ავტორთა უფლებების დაცვაა აღიარებული.
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-11 მუხლი ადგენს: „საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანაავტორობა) ერთობლივად ეკუთვნით თანაავტორებს..." აქედანაც ნათლად ჩანს, რომ საავტორო უფლების ფლობის პრეროგატივა ავტორს (თანაავტორებს) ეკუთვნის.

Droit d'auteur-ის პრინციპის მიხედვით, ავტორად მხოლოდ ის ფიზიკური პირი მიიჩნევა, ვინც შექმნა ნაწარმოები. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ქმედუნარიანი იქნება აღნიშნული პირი თუ არა. პრინციპში, ავტორად ნებისმიერი ასაკის პირი შეიძლება იყოს – ბავშვიც კი. ცხოვრებაში ამ პრინციპის პირველი გამტარებლები ბავშვის მშობლებია. როდესაც ბავშვი მეტყველებას იწყებს, ხშირია მის მიერ რაიმე ფანტაზიური აზრების, გამოგონილი სიტყვების წარმოთქმა, რაც შემდგომში მშობლების სიამაყისა და ნაცნობებისათვის დიდი ენთუზიაზმით მოყოლის საგნად იქცევა, იმის

ხაზგასმით, რომ ყოველივე ამ მონაყოლის ავტორი მათი ბავშვია. ზოგიერთი მშობელი ასეთ ფაქტებს იწერს კიდევაც და განუსაზღვრელი ვადით ინახავს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ავტომობილის დიზაინერი ხუთ წლამდე ბავშვს თხოვს მანქანების დახატვას, შემდეგ ირჩევს ყველაზე ორიგინალურს და იყენებს საკუთარ შემოქმედებით საქმიანობაში. ითვლება, რომ აღნიშნული ასაკის ბავშვი რაიმე ტრადიციული წარმოდგენებით არ არის შეზღუდული და მისგან მოსალოდნელია სრულიად ახალი სადიზაინო მიმართულების წარმოჩენაც კი. ყოველივე აღნიშნულით გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ავტორად და შესაბამისად საავტორო უფლებათა მფლობელად, უპირველესად, მიიჩნევა ის პირი, ვინც საკუთარი შემოქმედებითი სული ჩააქსოვა ნაწარმოებში.

ამასთან, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიული პირი საერთოდ არ შეიძლება იყოს საავტორო უფლებათა სუბიექტი მათი წარმოშობის მომენტიდან. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-14 მუხლი ადგენს: „ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემის გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს ასეთ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება“. როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში საავტორო უფლებათა ნაწილი – უფლება გამოყენებაზე, თავდაპირველადვე ეკუთვნის გამომცემელს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იურიდიული პირი იქნება. მასვე ეკუთვნის ავტორობის უფლების განცხადების ერთ-ერთი ატრიბუტიკა – აღნიშნოს ნაწარმოებზე საკუთარი სახელი ან მოითხოვოს ასეთი აღნიშვნა. გარდა გადმოცემულისა, ზოგიერთი ქვეყნის კანონით (მაგალითად, საფრანგეთი) იურიდიულ პირს საავტორო უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები დამქირავებლის (დამკვეთის) პირდაპირი დავალებით კოლექტივმა შექმნა და ვერ ირკვევა კონკრეტულად იმ პირის, ან პირთა ვინაობა, რომლებიც შეიძლება იყვნენ ავტორად აღიარებული. საკითხის ამგვარად მოწესრიგების შესაძლებლობა ეხმიანება გამოჩენი-

ლი ქართველი მეცნიერის ბატონ სერგო ჯორბენაძის[1] აზრს, რომელიც გადმოგვცემს: „სინამდვილეში, განხილვის პროცესში, კამათისა და კოლეგათა შორის დიალოგის დროს იდეა განიცდის ისეთ დამუშავებას, მოთელვას, რომ ხშირად ძნელი ხდება თვალის დევნება მისი თანდათანობითი ფორმირებისათვის, მისი პირვანდელი სახით გამოვლენა და, გამომდინარე ნათქვამიდან, იდეის კონკრეტულად იმ პირისადმი მიკუთვნება, რომელმაც პირველად წარმოაჩინა იგი"[2]. მაშასადამე, მართებული იქნება დავასკვნათ, რომ ასეთ შემთხვევაში საავტორო უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს კოლექტივის ყველა წევრს ან სამუშაოს დამკვეთს.

თუ შევაჯამებთ ყოველივე აღნიშნულს, შევნიშნავთ, რომ droit d'auteur-ის პრინციპების შესაბამისად, რასაც ბერნის კონვენციასა და კონტინენტური ევროპის სამართლის სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოს საავტორო სამართალიც იზიარებს, საავტორო უფლებათა სუბიექტი შეიძლება იყოს ნაწარმოების ავტორი – ფიზიკური პირი და გამონაკლის შემთხვევაში იურიდიული პირი. ამასთან, ავტორად მხოლოდ ის პირი მიიჩნევა, ვინც შემოქმედებითი წვლილი შეიტანა ნაწარმოების შექმნაში. ის პირი, ვინც მონაწილეობდა, მაგალითად, ბეჭდავდა, რედაქციას უკეთებდა ტექსტს, ან სხვა სახის ტექნიკური ხასიათის დავალებას ასრულებდა, ავტორად (თანაავტორად) არ მიიჩნევა.

როდესაც საავტორო უფლებათა სუბიექტად იურიდიული პირი გვევლინება, მას მხოლოდ ქონებრივი უფლებები ეკუთვნის და ზოგიერთი არაქონებრივი უფლება, ანუ იურიდიული პირი, როგორც საავტორო უფლებათა სუბიექტი, ავტორობის უფლებას ვერ შეიძენს.

---

[1] გვინდა გავიხსენოთ და ხაზი გავუსვათ თავად ბატონი სერგოს ხასიათის ერთ-ერთ გამოვლინებას. მასთან კოლექტივში მუშაობისას არც ერთი ახლად გამოთქმული იდეა, რომელიც განსჯის საგანი ხდებოდა არ იკარგებოდა. ბატონი სერგო ყოველთვის ახერხებდა მაშინვე დაეფიქსირებინა პირველად გამოთქმული იდეის ავტორი. როგორც წესი, მაგიდაზე ხელის დარტყმასთან ერთად შესძახებდა „ყოჩაღ" და მხოლოდ მისთვის ჩვეული იუმორითა და სილაღით, აზრის გამომთქმელისაკენ ხელის გაშვერით, შეეძლო ნაეხალისებინა კოლექტივის ნებისმიერი წევრი, რაც მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. კოლექტივში სუფევდა ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო. თავს უბედნიერესად ვგრძნობდი, რადგან მეც მერგო პატივი მემუშავა უდიდეს მეცნიერთან, ადამიანური თვისებებით აღსავსე კაცთან, სისხლით ხორცამდე საქართველოს შვილთან – ბატონ სერგო ჯორბენაძესთან!

2 С.М.Джорбенадзе. Правовая охрана соавторства в научном творчестве. В кн. "Гражданско-правовая норма и формы ее применения". Тбилиси, Мецниереба, 1982г.

თავი 6. საავტორო უფლებები

საავტორო უფლებები ორ კატეგორიად იყოფა, ესენია:

- **პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები და**
- **ქონებრივი უფლებები.**

საავტორო უფლებების ასეთი დაყოფა კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლიდან მომდინარეობს.

6.1. პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები

მორალური უფლებების დაცვა კონტინენტური ევროპის სამართალმა დაამკვიდრა, რაზედაც დიდი გავლენა იქონია გამოჩენილი ფილოსოფოსის ემანუილ კანტის შეხედულებებმა.

აღნიშნულისაგან განსხვავდება ინგლისური სამართლის კონცეპტუალური პრინციპი, რომლის თანახმადაც უნდა იქნეს დაცული ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფი იმდენად, რამდენადაც იგი სარგებლიანი (მომგებიანი) გამოყენების საგანი არის. ამ შეხედულების გამო, Copyright-ი ფაქტობრივად მხოლოდ ქონებრივი უფლებების დაცვას აღიარებს. ინგლისში მორალური უფლებების დაცვა საერთო სამართლის გამოყენებით ხორციელდება. ბერნის კონვენციის გავლენით ინგლისმაც აღიარა ავტორთა მორალური უფლებები საავტორო სამართლის (კოპირაიტის) დაცვის საგნად.

მორალური უფლებების დაცვას კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპების გათვალისწინებით იზიარებს საერთაშორისო საავტორო სამართალი. საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი მთავარი საერთაშორისო აქტი – ბერნის კონვენცია, მე-6[bis] მუხლის ძალით ავალებს მასში მონაწილე ქვეყნებს პირადი არაქონებრივი უფლებების (droit moral) დაცვას. ამას არ ითვალისწინებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები და არ არის ასახული TRIPS-ის ხელშეკრულებაში. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ხელშეკრულების მიზანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ის პრინციპები ჩამოაყალიბოს, რომლებიც ვაჭრობის თანხვედრ უფლებებს შეეხება. ასეთი უფლებები კი, ძირითადად, მხოლოდ ქონებრივი უფლებები შეიძლება იყოს.

პირადი არაქონებრივი უფლებები ნაწარმოების ავტორის კუთვნილებას წარმოადგენს. **ცნობილია, ამ უფლებების გერმანელი იურისტ-მეცნიერის ადოლფ დიცის (Dietz) კლასიფიკაცია, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:**

- **ავტორობის უფლება (უფლება ნაწარმოების ავტორად გამოცხადებასა და ავტორობის მოთხოვნაზე);**
- **უფლება ნაწარმოების მთლიანობის დაურღვეველობაზე;**
- **უფლება ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, მათ შორის გამოცემაზე;**
- **უფლება ნაწარმოების გამოთხოვაზე (სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებაზე).**

ჩამოთვლილი უფლებები ქონებრივისაგან დამოუკიდებელია (მათი გამოყენების თვალსაზრისით) და შეიძლება განხორციელდეს იმის შემდეგაც, რაც საავტორო ქონებრივი უფლებები ამოიწურა ან ავტორი გარდაიცვალა. ავტორობის უფლება კი საერთოდ, მარადიული უფლებაა და ყველაზე მნიშვნელოვან უფლებად უნდა იქნეს განხილული.

უფლებათა მოცემული ჩამონათვალი უფრო დაწვრილებით არის კლასიფიცირებული საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-17 მუხლით, რომლის მიხედვითაც პირად არაქონებრივ უფლებებს განეკუთვნება:

1. **ავტორობის უფლება;**
2. **სახელის უფლება;**
3. **ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება;**
4. **ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ანუ ავტორის უფლება, ნება დართოს სხვა პირს შეიტანოს ცვლილებები, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებასა (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას;**
5. **რეპუტაციის პატივისცემის უფლება, ანუ უფლება დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია;**
6. **უფლება, მისცეს ნებართვა თავისი ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვისა (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და ა.შ.);**
7. **ნაწარმოების გამოხმობის უფლება, ანუ უფლება მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა.**[1]

პირადი არაქონებრივი უფლებების ზემოთ მოყვანილი ორივე კლასიფიკაცია პირველ ადგილს ავტორობის უფლებას უთმობს. სხვაგვარი მიდგომა გაუგებარი იქნებოდა, რადგან ავტორი და მხოლოდ ავტორი არის საავტორო სამართლის ცენტრალური ფიგურა. ყველა სახის საავტორო უფლება ავტორთან დაკავშირებით წარმოიშობა და მას ეკუთვნის დასაბამიდან. ავტორობა არის ის ფაქტი, რაც საწყისი წყაროა როგორც საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებებისა, ისე განსაკუთრებული (ქონებრივი) უფლებებისა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისა და შესაბამისად ავტორობის უფლების გარეშე არ შეიძლება არც ერთი საავტორო უფლება არსებობდეს, ავტორობის უფლება შეიძლება ერთ ან მეტ პირს ეკუთვნოდეს – თუ ნაწარმოები რამდენიმე პირის მიერ არის შექმნილი. ამასთან, თუ ნაწარმოები შექმნილია ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად მაშინ საქმე თანაავტორობასთან გვაქვს.[1] ასეთ შემთხვევაში ნაწარმოები და შესაბამისად მისგან გამომდინარე უფლება თითოეულ თანაავტორს თანაბრად ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე თანაავტორებმა უნდა მოილაპარაკონ როგორ გამოიყენებენ საავტორო უფლებებს. მაგალითად, გარკვეულ მომენტამდე, ნაწარმოების გამოქვეყნების სურვილი შეიძლება რომელიმე თანაავტორს არ ჰქონდეს, ხოლო დანარჩენებს პირიქით გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდეთ. თუ თანაავტორები ერთმანეთში ვერ მოილაპარაკებენ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ასეთივე ვითარებაა ნაწარმოების

---

[1] საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით დაწესებული პირადი არაქონებრივი უფლებების მოცემული ჩამონათვალი, რომელიც ამომწურავადაა წარმოდგენილი, სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ საავტორო სამართალთან შედარებით, სულ მცირე ორი სერიოზული ნაკლით ხასიათდება:

ა. მასში არ არის გათვალისწინებული გამოქვეყნებულ ნაწარმოებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლება.

ბ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება გადმოცემულია, როგორც ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტის უფლება. ეს კანონის ხარვეზია, რადგან გამოყენება ქონებრივი უფლებაა.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება უნდა გადმოცემულიყო ისევე, როგორც ამას სამოქალაქო კოდექსის საავტორო სამართალი ითვალისწინებდა. გამოხმობის უფლება ნაწარმოების გამოქვეყნების შეწყვეტის უფლებად უნდა დარჩენილიყო. ამ უფლების შინაარსი სწორედ ასეა განმტკიცებული მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საავტორო სამართლით.

გამოყენებასთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნული მართებულია როდესაც ნაწარმოები დამოუკიდებელ ნაწილებად ვერ დაიყოფა. თუკი ნაწარმოები შედგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ნაწილებისაგან, რომლებსაც თავისი კონკრეტული ავტორი ჰყავს საქმე სხვაგვარად გამოიყურება. გასაგებია, რომ ყოველ ასეთ ავტორს თავისი შეხედულებით შეუძლია მოეპყროს საკუთარ ქმნილებას, თუმცა აქაც მხედველობაშია მისაღები ხომ არ არსებობს მათ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც საკითხს სხვაგვარად მოაწესრიგებს. ჩვენ მხოლოდ ცალკეულ ისეთ შემთხვევაზე გავამახვილეთ ყურადღება, რაც შეიძლება ავტორებს წინ დახვდეთ, თუ მათ შორის უფლებათა გამოყენების შესახებ ხელშეკრულება წერილობით არ დადებულა. რიგ შემთხვევებში საქმის მოწესრიგება შეიძლება საერთოდ ვერ მოხერხდეს, რადგან კანონი ყველა სიტუაციას ვერ მიესადაგება. მხედველობაში გვაქვს არა მარტო სპეციალური კანონი არამედ სხვა საკანონმდებლო ნორმებიც, მაგალითად სამოქალაქო კოდექსის ზოგადი კერძოსამართლებრივი ნორმები, რომელთა გამოყენებაც არ იქნება საკმარისი. ავტორობის უფლება თავისთავად უმთავრესი პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებაა. ამ უფლების შინაარსი იმით გამოიხატება, რომ ნაწარმოების შემქმნელს შეუძლია წააყენოს მოთხოვნა მისი ავტორად ცნობის თაობაზე, ან წინ აღუდგეს სხვა პირის მიერ ავტორობის მითვისების მცდელობას. ავტორობის უფლება პირდაპირ არის დაკავშირებული ავტორის სახელის გამოყენებასთან. ავტორს უფლება აქვს ნაწარმოებზე აღნიშნოს საკუთარი სახელი ან მოითხოვოს მისი სახელის აღნიშვნა, რაც ავტორობის საჯაროდ გამოცხადებას ნიშნავს. ის, რომ ავტორს საავტორო სამართალი ანიჭებს საკუთარი სახელის გამოყენების უფლებას (ავტორობის აღსანიშნავად), დამატებით განმარტებას არ მოითხოვს. გასაგებია, რომ თუ ამ უფლების რეალიზაციისას ავტორს რაიმე დაბრკოლება შეექმნა, ან თუ ავტორობის დადასტურება გახდა საჭირო, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვანია ავტორის უფლება მისი სახელის ავტორობის აღსანიშნავად გამოყენების აკრძალვის თაობაზე. რა თქმა უნდა, ავტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წინ აღუდგეს ნაწარმოებზე მისი სახელის გამოყენებას, როდესაც ის საჭიროდ ჩათვლის, განსაკუთრებით თუ ისეთ ნაწარმოებზე მიეთითება მისი სახელი, რომელთანაც მას კავშირი არ აქვს. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება ინგლისის სამოსამართლო პრაქტიკის ერთ-

ერთი შემთხვევა. 1816 წელს ლორდმა ბაირონმა სასამართლოს წინაშე წააყენა მოთხოვნა მისი სახელი მოეცილებინათ უკვე გამოქვეყნებული ზოგიერთი ლექსისაგან, რომელთა ავტორობას მას აწერდნენ. სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ფაქტობრივად ბაირონმა ავტორობის უფლება დაიცვა და უარი თქვა ნაწარმოების იმ ნაწილის ავტორობაზე, რომელიც მას არ შეუქმნია.

ავტორობის უფლება განუსხვისებელი, მარადიული უფლებაა.

სახელის უფლება

სახელის უფლება მორალურ უფლებათა რიცხვიდან, თავისი მნიშვნელობით ავტორობის უფლების ტოლფასად შეიძლება იქნეს განხილული. ეს უფლება განუსხვისებელ უფლებას წარმოადგენს და სხვა პირს ვერ გადაეცემა. სახელის უფლების შინაარსი გულისხმობს ავტორის უფლებას ნაწარმოებზე (ეგზემპლარზე) მიუთითოს საკუთარი სახელი ან მის ნაცვლად – ფსევდონიმი. ასეთი მითითების უფლება ავტორს გააჩნია საჯარო შესრულების დროსაც. ამ უფლების განხორციელება შეუძლია თავად ავტორს, ამასთან, მას უფლება აქვს სხვა პირს მოსთხოვოს ფსევდონიმის (nom de plume) მითითება მისი სამოქალაქო სახელის ნაცვლად.

სახელის უფლება ავტორს შესაძლებლობას აძლევს გარკვეულ ხანს საზოგადოებრიობისათვის უცნობად დარჩეს, ანუ მას შეუძლია საერთოდ უარი თქვას სახელის გამოქვეყნებაზე და იგივე მოითხოვოს ნებისმიერი სხვა პირისაგან.

ავტორს, ცხადია, უფლება აქვს აუკრძალოს სხვა პირებს მისი ფსევდონიმის გამოყენება. მაგალითად, ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ერთ-ერთი გაზეთის ყოფილი ჟურნალისტის მოთხოვნა აღნიშნულ გაზეთის სხვა ჟურნალისტს შეეწყვიტა მისი ფსევდონიმით სტატიების გამოქვეყნება. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ჟურნალისტმა მოასწრო ამ ფსევდონიმით საქმიანი რეპუტაციის შეძენა. აქედან გამომდინარე, თუ ამ ფსევდონიმით სხვა პირი განაგრძობდა საქმიანობას, ის არამართლზომიერად ისარგებლებდა ფსევდონიმის უკვე დამკვიდრებული რეპუტაციით.

სახელის გამოყენების უფლებას ინგლისური სამართალი საერთო სამართლის ნორმებით იცავს. მიჩნეულია, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია სხვას აუკრძალოს მისი სახელის გამოყენება ნებისმიერი ფორმით. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ მოცემული პირი რაიმე ნაწარმოების ავტორი იყოს. ეს შეხედულება მართებულად მიგვაჩნია, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ კონტინენტური ევროპის სა-

მართალი, მათ შორის საქართველოსი, საშუალებას იძლევა გაძლიერდეს სახელის უფლების დაცვა და სრულიადაც არ იკრძალება საავტორო სამართლის ნორმებთან ერთად, ან მის პარალელურად, სამოქალაქო სამართლის სხვა შესაბამისი ნორმების გამოყენება.

ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება

მხოლოდ ავტორს გააჩნია უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, გამოაქვეყნოს ნაწარმოები თუ არა. ავტორი წყვეტს აგრეთვე საკითხს თუ რა სახითა და ფორმით უნდა გამოქვეყნდეს მისი ქმნილება. ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება პირად არაქონებრივ უფლებად არის მიჩნეული, მაგრამ როგორც სხვა უფლებები, რომლებიც მორალურ უფლებებს განეკუთვნება, მჭიდროდ უკავშირდება ქონებრივ უფლებებს.

ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება ავტორს საშუალებას აძლევს თავად განახორციელოს (ან სხვა პირს დართოს ნება) ისეთი ქმედებები, რაც პირველად გახდის ხელმისაწვდომს ნაწარმოებს საყოველთაოდ გაცნობისათვის, მისი გამოცემის, საჯარო გადაცემის, საჯარო ჩვენების და სხვა გზით. გამოქვეყნების უფლების სუბიექტი, ავტორის გარდა, შეიძლება მომიჯნავე უფლებათა მფლობელი იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების გამოქვეყნების უფლებასთან პირდაპირ კავშირშია გამოცემის უფლება. ამ უფლების თანახმად ავტორს (ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელს) შეუძლია ნება დართოს ან აუკრძალოს მესამე პირს ეგზემპლარების გამოშვება და/ან გავრცელება ისეთი რაოდენობით, რომ დაკმაყოფილდეს საზოგადოებრიობის გონივრული მოთხოვნილება. გამოშვება და გავრცელება გულისხმობს გაყიდვას, გაქირავებას, ან ნაწარმოების ეგზემპლარებზე საკუთრების სხვაგვარ გადაცემას. ნაწარმოები შეიძლება მიქირავდეს ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც საჯარო მომსახურებას ეწევა, მაგალითად ბიბლიოთეკებს. მათი ვალდებულებაა ნაწარმოების ორიგინალის ან სხვა ეგზემპლარის შენახვა და გამოყენება გარკვეული ვადის განმავლობაში, არაკომერციული მიზნებისათვის. ასეთი გაქირავება საჯარო გაქირავებად არის ცნობილი.

ნაწარმოების შინაარსის წინასწარი გამოქვეყნება საავტორო ან მომიჯნავე უფლებების მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია. მაგალითად, აკრძალულია ჟურნალ-გაზეთებში დაწვრილებითი შინაარსის გამოქვეყნება ისეთი თეატრალური დადგმის შესახებ, რომლის პრემიერაც (პირველი საჯარო ჩვენება) ჯერ არ შემდგარა.

პროფესორ დიცის კლასიფიკაციის ამ უფლებას საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ჩამონათვლის მე-4, მე-5 და მე-6 პოზიციები ეთანადება. საქართველოს აღნიშნული კანონი აწესებს ბერნის კონვენციის მე-6bis მუხლის შესაბამის ნორმას, რომელიც ავტორს ანიჭებს უფლებას წინ აღუდგეს მისი ნაწარმოების დამახინჯებას, სხვაგვარ მოდიფიკაციას ან შინაარსის დაკნინებას (შელახვას). ეს უფლება ემყარება ავტორის პატივისა და რეპუტაციის დაცვას. დაუშვებლად არის მიჩნეული მესამე პირთა ისეთი ქმედება, რამაც შეიძლება ავტორის პატივი ან ღირსება შებღალოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საავტორო სამართალი უფრო კონკრეტულად და დაწვრილებით გადმოსცემს მოცემული მორალური უფლების შინაარსს, ვიდრე ბერნის კონვენცია და ისმოს მიერ შემუშავებული სანიმუშო კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. ამავე დროს, საქართველოს საავტორო სამართლის მიხედვით ამ უფლების შინაარსი მთლიანად შეესაბამება მეცნიერულ ლიტერატურაში არსებულ განმარტებებსა და შეხედულებებს. ავტორს შეუძლია შეეწინააღმდეგოს ნაწარმოების მთლიანობის ნებისმიერ დარღვევას, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმის ერთიანობის დარღვევის თვალსაზრისით. მაგალითად, სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოების გამოქვეყნება შემცირებით (მოცულობის თვალსაზრისით) და ისეთი ფორმით, რომ აკლდეს წინასიტყვაობა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და ა.შ. ავტორთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია. თვალსაჩინოებისათვის ინგლისში განხილულ საქმეს „ლი გიბენსის წინააღმდეგ“ მოვიტანთ. ამ საქმის მიხედვით, გარდა იმისა, რომ ავტორის უფლებათა დარღვევით გამოიცა სახეშეცვლილი ნაწარმოები ორიგინალურ ნაწარმოებზე მითითებაც კი არ იყო გაკეთებული. შედეგად მოპასუხეს დაეკისრა ნაწარმოების გამოთხოვა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ნაწარმოების მთლიანობის დარღვევად განიხილება ნაწარმოების გარეკანის დამახინჯება ან ისეთი ცვლილებების შეტანა, რომ გარეკანი შეურაცხმყოფლად ან ვულგარულად გამოიყურებოდეს. მაგალითად, ინგლისში 1917-1923 წწ განხილულ იქნა საქმე „მოსლი სტენლი ჰოლისა და კომპანიის წინააღმდეგ“, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეს მოთხოვნა მისი ნაწარმოების გარეკანის დამახინჯების დაუშვებლობაზე.

ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში მხოლოდ მაშინ შეუძლია ავტორს წინ აღუდგეს თავისი უფლებების დარღვევას, თუ

ცვლილება მატერიალური ფორმით არის გამოხატული ისე, რომ „ნაწარმოების ხასიათსა და ხელოვანის რეპუტაციაზე ახდენდეს გავლენას". ასევე, თუ საქმე გვაქვს ტექნიკურ (არქიტექტურულ) ნახაზთან ან სქემასთან, ხოლო მასში ცვლილებების შეტანის შემდეგ ის გამოქვეყნდა ავტორთან შეთანხმების გარეშე. მოცემულ შემთხვევებში დასადგენი იქნება დაირღვა თუ არა ავტორის ქონებრივი ან მორალური უფლებები. გასარკვევი იქნება რამდენად არსებითი ცვლილება მოხდა ტექნიკურად და რამდენად იცვლება მოცემული ნაწარმოების სტილი და შინაარსი. თუ, მიუხედავად შეტანილი ცვლილებებისა ავტორი მისეული სტილით შეიძლება იქნეს ამოცნობილი, ანუ ორიგინალური ნაწარმოების სტილი იქნა შენარჩუნებული, მაშინ, ალბათ, ავტორის უფლებათა დარღვევა (ნაწარმოების მთლიანობის დარღვევის თვალსაზრისით) ვერ დაფიქსირდება. აღნიშნული დარღვევების გამოვლენა საავტორო სამართლის ობიექტების მიხედვით გარკვეული სირთულეებით ხასიათდება. კომპიუტერული პროგრამების შემთხვევაში არსებითი ცვლილებების შეფასებითი კრიტერიუმები კიდევ უფრო მეტი თავისებურებების მქონეა და სპეციალისტისთვისაც კი არც თუ იოლი შესაფასებებლი და დასადგენია.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება

ამ უფლების არაქონებრივი შინაარსი ნათელია და, როგორც წესი, ერთგვარად გადმოიცემა იურიდიულ ლიტერატურაში. მთავარი ის არის, რომ მხოლოდ ავტორს აქვს უფლება შეწყვიტოს ნაწარმოების გამოქვეყნება ან გავრცელება. ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც ავტორი თავის აზრს შეიცვლის და მოისურვებს ნაწარმოების დახვეწას ან გაფართოებას, ან შემცირებას და ა.შ. თუ ავტორი გადაწყვეტს გამოხმობის უფლების გამოყენებას, მაშინ, ხარჯები, მათ შორის გამოცემისა, მანვე უნდა აანაზღაუროს. გამოხმობის უფლების შესახებ ავტორმა საჯაროდ უნდა გამოაცხადოს. ინგლისის ადრეული სამოსამართლო პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევა (სოუფი შერვუდის წინააღმდეგ), როდესაც 21 წლის ავტორმა დაუთმო უფლება გამომცემელს. ამ უკანასკნელმა წიგნი 23 წლის შემდეგ გამოსცა. ავტორმა აღძრა სარჩელი იმ მოტივით, რომ გამომცემელს წიგნი გონივრულ ვადაში უნდა გამოეცა და არა ასეთი დიდი დროის გასვლის შემდეგ, და რომ მას სიჭაბუკის წლების გასვლასთან ერთად სრულიად შეეცვალა შეხედულებები, რის გამოც წიგნის გამოცემამ ზიანი მოუტანა მის სახელსა და რეპუტა-

ციას. მოსამართლე ლორდმა ელდონმა განაცხადა, რომ თუ ავტორი, რომელმაც ნაწარმოები შექმნა, განიცდის სინანულის გრძნობას თავისი ნაწარმოების უდროო დროს გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მაშინ მას უნდა ჰქონდეს უფლება არ დაუშვას ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნება, ან გამოქვეყნებული ნაწარმოების გავრცელება. მოსამართლის ეს აზრი საფუძვლად დაედო შემდგომში ამ უფლების დაკანონებას.

პირად არაქონებრივ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე „დაშვების უფლება“, რომელიც განხილულია 57-ე გვერდზე.

6.2. ქონებრივი უფლებები

ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით არის დაცული, მასზე უფლებები ხელშეუხებელია. კონსტიტუციის ასეთი დებულებით ქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე ნივთზე საკუთრების უფლებებთან არის გათანაბრებული. ნათქვამიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ქონებრივი საავტორო უფლებები განსაკუთრებული უფლებებია და აბსოლუტური ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მესამე პირებს აკისრიათ ვალდებულება თავი შეიკავონ და არ დაუშვან ინტელექტუალურ საკუთრებითი, მათ შორის საავტორო უფლებების დარღვევა. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საავტორო განსაკუთრებული უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა. დაწესებულია, რომ ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით. აქვე განმარტებულია, რომ გამოყენების განსაკუთრებული უფლება ავტორს აძლევს საშუალებას, თავისი ნებითა და სურვილით გადაწყვიტოს ვინ, როგორ, როდის და ა.შ. გამოიყენებს მის ნაწარმოებს. ავტორს თავად შეუძლია გამოიყენოს ნაწარმოები ისე, რომ სხვას ეს უფლება არ მისცეს და მხოლოდ თავადვე ისარგებლოს გამოყენების შედეგითა და ნაყოფით. ასევე ავტორი უფლებამოსილია ნაწარმოების გამოყენების უფლება სხვა პირს დაუთმოს. უფლებების დათმობა მას შეუძლია მთლიანად, ან ნაწილობრივ, დროებით ან მუდმივად. ავტორს – განსაკუთრებული უფლებების მფლობელს, შეუძლია ნებისმიერ მესამე პირს აუკრძალოს ნაწარმოების გამოყენება მასთან შეთანხმების გარეშე. ყოველივე აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ განსაკუთრებული უფლებები

ინტელექტუალურ საკუთრებაზე, თავისი შინაარსით, ძალზე ახლოს დგას ნივთზე საკუთრებასთან, შესაბამისად, განსაკუთრებული უფლებები საავტორო სამართლის ობიექტებზე (იგივე ითქმის სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე) პრაქტიკულად, თუმცა მაინც პირობითად, გათანაბრებულია ჩვეულებრივად გაგებულ საკუთრების უფლებებთან.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლის თანახმად ავტორს, ან უფლებების სხვა მფლობელს, შემდეგი განსაკუთრებული უფლებები გააჩნია:

1. **რეპროდუცირების უფლება**
2. **გავრცელების უფლება**
3. **იმპორტის უფლება**
4. **საჯარო ჩვენების უფლება**
5. **საჯარო შესრულების უფლება**
6. **საჯარო გადაცემის უფლება**
7. **ეთერში გადაცემის უფლება**
8. **კაბელით გადაცემის უფლება**
9. **თარგმნის უფლება**
10. **გადამუშავების უფლება**

გარდა ამისა, დაწესებულია:

- გაქირავების განსაკუთრებული უფლება;
- არქიტექტურული პროექტების პრაქტიკული რეალიზაციის განსაკუთრებული უფლება;
- გარდა აღნიშნულისა, ავტორს აქვს უფლება ნაწარმოების პირველად გასხვისების შემდეგ მისი ხელახლა საჯაროდ გაყიდვის შემთხვევაში მოითხოვოს დადგენილი ოდენობის ჰონორარი. ამ უფლებას უცხოურ ლიტერატურაში სპეციალური (ფრანგული) ტერმინით droit de suite მოიხსენიებენ, რუსულად დამკვიდრებულია ტერმინი „Право следования". ჩვენი აზრით, შეიძლება დავამკვიდროთ ქართული სპეციალური ტერმინი, მაგალითად „ნაწარმოების თანმიდევნების უფლება".

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ჩამოთვლილი უფლებების შინაარსი. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საავტორო სამართლით მოცემული განსაკუთრებული უფლებების ნაირსახეობა მთლიანად ეთანადება თანამედროვე საავტორო სამართლის ნორმებს, ამიტომ ამ უფლებების შინაარსის განხილვისას საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად ვეყრდნობით საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს

საავტორო სამართალი განსაკუთრებულ უფლებებს ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით მოიხსენიებს პასუხი უნდა გაეცეს კითხვას რას ნიშნავს ნაწარმოების გამოყენება. ჩვეულებრივად, **ნაწარმოების გამოყენება გულისხმობს მის პირველად გამოცემას, მათ შორის:**

- ელექტრონულ სისტემებში ჩართვას;
- კოპირებას (ნაწარმოების ასლების სახით გამრავლება);
- ნაწარმოების საჯაროდ შესრულებას;
- ნაწარმოების ხმოვანი ჩანაწერის გაკეთებას;
- ნაწარმოების მოძრავი სურათებით გამოხატვას – ფილმის გადაღებას;
- ნაწარმოების გადაცემას ტელე- ან რადიომაუწყებლობის საშუალებებით;
- ნაწარმოების თარგმნას;
- ნაწარმოების ადაპტაციას;
- ნაწარმოების გასხვისებას ან მასზე სხვაგვარად უფლებების გადაცემას;
- ნაწარმოების გაქირავებას და ა.შ.

რეპროდუცირების უფლება

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ნაწარმოების გამოყენების შინაარსს არასაკმარისად გადმოსცემს. საკითხის სრულად გაშუქებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ გამოყენების ერთ-ერთი სახის რეპროდუცირების განმარტებას, რადგან მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თუ რა ფარგლებში აქვს ძალა ავტორის ამ განსაკუთრებულ უფლებას. სიტყვა „რეპროდუცირება“ ლათინური წარმომავლობისაა და პირდაპირი გაგებით ხელახლა წარმოებას, ანუ კვლავწარმოებას ნიშნავს (RE – ხელახლა, PRODUCIO[1] – ვაწარმოებ). ნაწარმოების ორიგანილის ასლების ტიპოგრაფიული კვლავწარმოება რეპროდუცირებას წარმოადგენს. ასევე, სურათის, ნახატის, ნაბეჭდი ტექსტის და ა.შ. ხელახალი ასლების გადაღება და გამრავლება ფოტოგრაფიული ან პოლიგრაფიული საშუალებებით რეპროდუცირების კიდევ ერთი გამოვლენაა.

ამ ტერმინს ისმოს სანიმუშო კანონიც განმარტავს. მის თანახმად რეპროდუცირება არის ნაწარმოების ან ფონოგრამის ნებისმი-

---

[1] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მ. ჭაბაშვილი, 1989.

ერი მატერიალური ფორმით დამზადება ერთი ან მეტი ეგზემპლარის ოდენობით. ფონოგრამა შეიძლება იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ხმის ჩანაწერის ან ვიდეოჩანაწერის სახით. გარდა ამისა, რეპროდუცირებად ითვლება ნაწარმოების ჩაწერა ელექტრონულ (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკურ ან სხვა მანქანურად წასაკითხი საშუალებებით. ამასთან, ამგვარი ჩაწერა შეიძლება იყოს განხორციელებული დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის. როგორც ვხედავთ, რეპროდუცირების შინაარსი გამოიხატება ნებისმიერი საშუალებებით ორიგინალური ნაწარმოების ასლის დამზადებით ერთი ან მეტი ეგზემპლარის რაოდენობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით. რეპროდუცირების უფლების მნიშვნელოვანი მხარეა ნაწარმოების ავტორის მიერ სხვა პირებისათვის მისი თანხმობის გარეშე ასლების დამზადების აკრძალვის შესაძლებლობა. რეპროდუცირებას როგორც წესი ახორციელებს გამომცემელი, მას პირდაპირი დაინტერესება გააჩნია, ჰქონდეს სხვა პირისათვის იგივე ქმედების აკრძალვის უფლება.

მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკით, ავტორი რეპროდუცირების განსაკუთრებულ უფლებას, უმეტესწილად, გამომცემელს უთმობს, რაც ამ ორ სუბიექტს შორის ხელშეკრულების დადების მთავარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს საავტორო სამართლის მიხედვით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ნაწარმოების გამოცემა, რეპროდუცირება და გამოქვეყნება. ნაწარმოების გამოქვეყნება ნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომლის შედეგადაც იგი ხელმისაწვდომი ხდება საყოველთაო გაცნობისათვის საჯარო ჩვენების, საჯარო გადაცემის ან სხვა გზით, მათ შორის ნაწარმოების გამოცემის მეშვეობით. მაშასადამე, გამოცემა ნაწარმოების გამოქვეყნების ერთ-ერთი საშუალება არის. რეპროდუცირებული ნაწარმოები გამოქვეყნებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ დღიდან, როდესაც ნებისმიერ პირს მიეცემა შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაეცნოს მას, მაგალითად, ბიბლიოთეკის მეშვეობით ან სხვაგვარად. გამოცემა კი ნიშნავს ნაწარმოების ეგზემპლარების იმდენი რაოდენობით რეპროდუცირებას, რაც დააკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებას. გამოცემა შეიძლება განხორციელდეს გაყიდვის, გაქირავების და ეგზემპლარებზე საკუთრების სხვაგვარად გადაცემის მიზნით. როგორც ვხედავთ, გამოცემისას უნდა არსებობდეს საკუთრების გადაცემის ფაქტი, ან მსურველის მიერ ნაწარმოების ეგზემპლარების შეძენის დაუბრკოლებრივი შესაძლებლობა. გამოცემა შეიძლება განხორციელდეს

ინფორმაციის ელექტრონულ სისტემათა გლობალურ ან ლოკალურ (მაგალითად, ერთი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში) ქსელში ჩართვით. ელექტრონული სისტემებით გამოცემის მაგალითია ნაწარმოების ინტერნეტის ქსელში ჩართვა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეპროდუცირებისას მზადდება ნაწარმოების იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც გამოქვეყნების ან გამოცემის მიზნებისათვის იქნება საკმარისი. თუ რეპროდუცირების მიზანი გამოქვეყნებაა, მაშინ უნდა დამზადდეს საჯაროდ გაცნობისათვის ნაწარმოების ეგზემპლარების გონივრულად საკმარისი რაოდენობა, რომელიც ერთეულებით ან ათეულებითაც შეიძლება შემოიფარგლოს. გამოცემის მიზნით რეპროდუცირებისას კი უნდა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნილება, რამაც შეიძლება ასეულობით ან ათასეულობით ეგზემპლარების რაოდენობა მოითხოვოს. ამრიგად, გამოცემა ნაწარმოების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებას ანუ გავრცელებას გულისხმობს.

ყოველივე ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, ირკვევა, რომ ნაწარმოების **რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება ვრცელდება სხვადასხვა მიზნით მისი ორიგინალის ასლების დამზადებაზე**. განხილული უფლება სხვა განსაკუთრებული უფლების მსგავსად, ნაწარმოების გამოყენებაზე შეიძლება დამოუკიდებლად განხორციელდეს. ანუ ავტორს შეუძლია თანხმობა მისცეს გამომცემელს ან სხვა პირს მხოლოდ გამოცემაზე თარგმნის შესრულების, ან გადამუშავების და სხვა უფლებების გამოკლებით.

როგორც აღინიშნა რეპროდუცირება ასლების დამზადებას გულისხმობს. აშშ-ს სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრდა რეპროდუცირების 2 სახედ დაყოფა: ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების პირდაპირი ასლის დამზადება; ფონოჩანაწერის გაკეთება. „ნაწარმოების ასლი" განიმარტება როგორც მატერიალური ობიექტი, რომელზეც დატანილია ნაწარმოები ნებისმიერი არსებული ან მომავალში შემოღებული ხერხით ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი აღქმა, კვლავწარმოება ან მოსახლეობამდე სხვაგვარად დაყვანა უშუალოდ ან რაიმე ტექნიკური საშუალების მეშვეობით. როგორც ვხედავთ ცნება „ასლი" არ მოიცავს ფონოჩანაწერს. „ფონოჩანაწერი" განიმარტება როგორც მატერიალური ობიექტი, რომელზეც დატანილია ბგერები გარდა ისეთებისა, რომლებიც თან ახლავს მოძრავ სურათებს (ფილმს) ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს. ბგერები შეიძლება ჩაწერილ იქნეს არსებული ან მომავალში შემოღებული ხერხით. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს

ბგერების აღქმა, კვლავწარმოება ან მოსახლეობამდე სხვაგვარად დაყვანა უშუალოდ ან რაიმე ტექნიკური საშუალების მეშვეობით.

ხმოვანი ნაწარმოების ჩართვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, მათ შორის გამოსახულებასთან სინქრონიზაციის მიზნით წარმოადგენს საავტორო, კერძოდ, რეპროდუცირების უფლებით დაცული ნაწარმოების კოპირებას. ასეთი **კოპირების უფლებას რეპროდუცირების უფლებების შემადგენელ „სინქრონიზაციის უფლებად"** იცნობენ საავტორო სამართლის მეცნიერ-სპეციალისტები.

ფონოჩანაწერის დამზადების უფლება ლიტერატურაში მოიხსენიება „მექანიკურ უფლებად".

გავრცელების უფლება

ნაწარმოების გავრცელების განსაკუთრებული უფლება ავტორს აძლევს შესაძლებლობას კონტროლი გაუწიოს (აკრძალვის ჩათვლით) რეპროდუცირებული ნაწარმოების გავრცელებას. კერძოდ, ავტორს (აქ და შემდგომ, როდესაც ავტორს ვასახელებთ ვგულისხმობთ საავტორო უფლებათა სხვა მფლობელსაც) შეუძლია აკრძალოს ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლების გაყიდვა, გაქირავება ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვა გზით ჩართვა, მათ შორის დისტრიბუტორობა. ნაწარმოების ეგზემპლარების გავრცელება ემსახურება საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და, ამდენად, ეს მნიშვნელოვანი უფლებაა. ამ უფლების წყალობით წესრიგდება ბაზრის მდგომარეობა შესაბამისი საქმიანობით დაკავებული სუბიექტების ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით. გავრცელების უფლება გარკვეულწილად თანხვედრია რეპროდუცირების უფლებისა და ხშირად გადაეცემა გამომცემელს, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული მის მიერ კვლავწარმოებული ეგზემპლარების რაც შეიძლება მეტი ოდენობითა და მოწესრიგებულად გავრცელებით.

გავრცელების განსაკუთრებული უფლება რამდენიმე უფლების ასხმაა, რომლებსაც ცალ-ცალკე განვიხილავთ.

იმპორტის უფლება

იმპორტის განხორციელება ხდება გავრცელების მიზნით და უშუალად არის დაკავშირებული გავრცელების უფლების მქონე პირის ნება-სურვილზე. იმპორტის უფლების საზღვრები შესაბამის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დგინდება. საავტორო განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელი ხელშეკრუ-

ლების დადების მსურველ მეორე მხარეს ქვეყანაში შემოსატან ეგზემპლარების ოდენობასთან ერთად სხვა პირობებზეც ურიგდება.

იმპორტის უფლების საზღვრების განსჯისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, ვრცელდება თუ არა საავტორო განსაკუთრებული უფლების მქონე პირის უფლება იმპორტის აკრძალვაზე, როდესაც გავრცელების უფლება ერთ პირზეა გაცემული, ხოლო იმპორტს სხვა პირი ახორციელებს. გაერთიანებული ევროპის სამოსამართლო პრაქტიკამ დაადგინა, რომ, თუ ნაწარმოების მართლზომიერი გავრცელება მოხდა საერთო ბაზრის რომელიმე ქვეყანაში, მაშინ საავტორო უფლებათა მფლობელი ვეღარ აკრძალავს სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ ნაწარმოების შემდგომ გავრცელებას, იმპორტის ჩათვლით.

განსაკუთრებულ უფლებათა ასეთ შეზღუდვას ინტელექტუალური საკუთრების სამართალი „უფლებათა ამოწურვის პრინციპად" იცნობს და ეს პრინციპი ვრცელდება როგორც საავტორო, ისე სამრეწველო საკუთრების პრაქტიკულად ყველა ობიექტზე. აღნიშნული პრინციპის შესაფერისი ნორმა გათვალისწინებულია საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით და კეთილსინდისიერი მეწარმეობისა და ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას ემსახურება.

საჯარო ჩვენების უფლება

ნაწარმოების გამოყენების ეს განსაკუთრებული უფლება, საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის თანახმად, მოიცავს ორიგინალის ან მისი ასლის დემონსტრაციას უშუალოდ, ან ეკრანზე – ფირის, სლაიდის ან სხვა საშუალების მეშვეობით. დემონსტრირებული შეიძლება იქნეს ნებისმიერი ისეთი ნაწარმოები, რომლის ჩვენება შესაძლებელია, მათ შორის შესრულება, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა, ვიდეოგრამა და სხვ. ამასთან, საჯარო ჩვენების აქტი მაშინ გვექნება, როდესაც ნაწარმოების დემონსტრირება ხდება ისეთ ადგილზე, სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ავტორის ან შემსრულებლის, ან განსაკუთრებული უფლებების სხვა მფლობელის ოჯახის წევრების ჩვეულებრივ წრეს, ან ოჯახის ახლობელთა პირებს. საჯარო ჩვენების უფლება ვრცელდება დემონსტრირებაზე, მიუხედავად იმისა, ოჯახის წევრები ან ახლობლები ერთ ადგილას არიან თავმოყრილნი და ერთდროულად

აღიქვამენ დემონსტრაციას, თუ სხვადასხვა ადგილებზე იმყოფებიან და სხვადასხვა დროს აღიქვამენ მას.

საჯარო ჩვენების ნათელი მაგალითია ნაწარმოების გამოფენაზე გამოტანა და თუ იმავდროულად გაყიდვაც ხდება, მაშინ ნაწარმოების გავრცელებასთან გვაქვს საქმე.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ჩაითვლება, მაგალითად, ნაწარმოების ნაწილების ჩვენება განლაგების თანამიმდევრობის დაუცველადაც, მაგალითად, ვიდეოგრამის ცალკეული გამოსახულებებისა.

ნაწარმოების საჯარო შესრულების უფლება

ზემოთ განხილული საჯარო ჩვენების უფლებისაგან განსხვავებით, უფლება საჯარო შესრულებაზე ვრცელდება არა ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლის ეგზემპლარის დემონსტრირებაზე, არამედ იმგვარი ნაწარმოების წარმოდგენაზე, რომელიც სრულდება სიმღერის, ცეკვის, თამაშობის, დეკლამაციის (ნაწარმოების მხატვრული კითხვა) სახით. ამასთან, წარმოდგენილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ისეთი ნაწარმოები, რომელიც სანახაობრივად წარმოჩენას ექვემდებარება, კერძოდ, მხატვრული ნაწარმოები, ვიდეოგრამა, ფონოგრამა, შესრულება, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა. ნაწარმოები შეიძლება იქნეს წარდგენილი, როგორც ცოცხალი შესრულებით, ისე ნებისმიერი სახის მაუწყებლობისა და პროცესების მეშვეობით. წარდგენა უნდა ხორციელდებოდეს ისეთ ადგილებში, სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც შემსრულებლის ოჯახს ან ამ ოჯახის ახლობელთა წრეს არ მიეკუთვნებიან. გარდა ამისა, საჯარო ჩვენების უფლებისაგან განსხვავებით, საჯარო შესრულების უფლება ვრცელდება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ისეთ წარმოდგენაზე, რომლის დროსაც ეწყობა, მაგალითად, ვიდეოგრამის გამოსახულებების თანამიმდევრობითი ჩვენება, ამასთან, ხმოვანი თანხლება სავალდებულო არ არის. აუდიოვიზუალური ნაწარმოების განმარტება მოცემულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-4(ბ) მუხლში.

ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ ნაწარმოების წარდგენა უნდა ხორციელდებოდეს ისეთ ადგილზე, სადაც შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს ნაწარმოების საჯარო გადაცემის ან მისი განხორციელების აუცილებლობის გარეშე.

ნაწარმოების საჯარო გადაცემის უფლება

განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელის ეს უფლება მჭიდრო კავშირშია ზემოთ განხილულ საჯარო შესრულებისა და საჯარო ჩვენების უფლებებთან, რადგან ნაწარმოების დემონსტრირების ან წარმოდგენის გარეშე იგი ვერ განხორციელდება. ნაწარმოების საჯარო გადაცემის უფლება მოიცავს უფლებებს დაკავშირებულს ნაწარმოების ეთერში ან კაბელით გადაცემასთან. საჯარო გადაცემა ხორციელდება ნაწარმოების მოსახლეობამდე დაყვანის მიზნით. ამასთან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-4(ჟ) მუხლი განმარტავს, რომ საჯარო გადაცემად ჩაითვლება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულებისა და/ან ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით. საჯარო გადაცემის უფლება ვრცელდება ისეთ გადაცემაზე, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს (გამოსახულება და ხმა ცალ-ცალკე ან ერთად). როგორც ზემოთ განხილულ უფლებებთან დაკავშირებით აღინიშნა პირები, რომლებიც გადაცემას აღიქვამენ, მხოლოდ ოჯახის წევრები ან ახლობლები არ უნდა იყვნენ და გადაცემის ადგილიდან დაშორებით უნდა იმყოფებოდნენ. დაშორება ისეთი უნდა იყოს, რომ ეთერში ან კაბელით გადაცემის გარეშე გამოსახულების ან ხმის აღქმა იმ ადგილზე, სადაც მაყურებელი და/ან მსმენელი იმყოფება, შეუძლებელი იყოს.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში მოცემული ჩამონათვალის მიხედვით, განხილულის მომდევნო განასაკუთრებული უფლებები – ეთერში გადაცემისა და კაბელით გადაცემის უფლება, საჯარო გადაცემის უფლების კერძო შემთხვევებია. ისინი შინაარსობრივად არც კი განსხვავდებიან. აღსანიშნავი მხოლოდ ის არის, რომ ერთ შემთხვევაში გადაცემა რადიო- და ტელეტრანსლაციის მეშვეობით ხორციელდება, ხოლო მეორე შემთხვევაში – კაბელის ან სხვა ანალოგიური ტექნიკური საშუალების მეშვეობით.

იმის გამო, რომ უკვე გაშუქებულ იქნა, ნაწარმოების საჯარო გადაცემის უფლების შინაარსი, რომელიც ეთერში და კაბელით გადაცემის უფლებებსაც მოიცავს, ამ უფლებათა თავისებურებების განხილვაზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

ნაწარმოების თარგმნის უფლება

თარგმანი წარმოებულ ნაწარმოებად განიხილება და ამასთანავე, იმ ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლადაც, რომელსაც ის ემყარება. საზოგადოდ, როგორც ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოები და მისი თარგმანი ტოლფასად უნდა განიხილებოდეს. მაგრამ „ტოლფასობის“ მიღწევა ხშირად ძნელდება, ხოლო ზოგ შემთხვევაში ვერც კი ხერხდება. ცნობილია გამონათქვამი, რომ კანონი არ ითარგმნება. ასევე ძალზე ძნელია ყველა თავისებური თვითმყოფადობის გადმოცემა ლიტერატურული ნაწარმოების, კერძოდ პოეზიის თარგმნისას. ყოველივე აღნიშნული სირთულე ობიექტურ გარემოებებთან არის დაკავშირებული. თარგმანი ხომ ნაწარმოების ერთი ენიდან მეორე ენით გამოხატვასთან არის დაკავშირებული, ხოლო ყოველ ენას თავისებური ნიუანსები და მისთვის დამახასიათებელი სიტყვათა მარაგის ან სხვაგვარი (მაგ.: ემოციური ფონის გადმოცემის უნარი) სიმდიდრე ან სიღარიბე გააჩნია, რის გამოც ყოველთვის ვერ ხდება შესაძლებელი ნაწარმოების შინაარსის ზუსტი გადმოცემაც კი. ბატონი სერგო ჯორბენაძე ხშირად ხუმრობით ამბობდა: **„Перевод как женщина. Если она красива, то неверна. Если верна, то некрасива“**. თარგმნის სილამაზისა და სიზუსტის შერწყმა მხოლოდ ნამდვილ შემოქმედს, ენისა და საგნის ღრმად მცოდნე პირს შეუძლია და არა ნებისმიერ მოქალაქეს. აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ორიგინალური ნაწარმოების ავტორს აქვს თარგმნის განსაკუთრებული უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მას შეუძლია დართოს ნება მისი ნაწარმოების თარგმნაზე, ან აკრძალოს თარგმნა. ამ უფლებით ავტორი ირჩევს მისთვის სასურველ პიროვნებას, რომელიც შეასრულებს თარგმანს, რომელიც მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ორიგინალთან.

ამასთან, რადგან თარგმანი დამოუკიდებელ ნაწარმოებად განიხილება, საავტორო სამართალი მთარგმნელსაც ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს მის მიერ შექმნილ ქმნილებაზე. ეს უფლება განმტკიცებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-18(ზ) მუხლით რომელიც ერთდროულად აღნიშნავს, რომ მთარგმნელის საავტორო უფლებით ვერ აიკრძალება იმავე ნაწარმოების (რომელიც ითარგმნა) ხელახალი თარგმანი. ასევე, პწკარედის შემსრულებელ პირს განსაკუთრებული უფლება გააჩნია მის მიერ სიტყვა-სიტყვით თარგმნილ ნაწარმოებზე.

საავტორო სამართალი გენერალურ პრინციპად ორიგინალური ნაწარმოების ავტორის განსაკუთრებული უფლებების ხელშეუხებლობას აცხადებს. ამდენად, ნაწარმოების თარგმნისას მთარგმ-

ნელმა ნებართვა უნდა სთხოვოს ორიგინალური ნაწარმოების ავტორს და ისე თარგმნოს, რომ არ შელახოს მისი მორალური თუ ქონებრივი უფლებები.

მთარგმნელის უფლებები დამოუკიდებელი უფლებებია და ამ პრინციპზე დაყრდნობით საქართველოს საავტორო სამართლიდან გამომდინარეობს, რომ თარგმანი სარგებლობს დაცვით, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა ორიგინალური ნაწარმოები.

ყოველივე აღნიშნულიდან ირკვევა, რომ თარგმნილი ნაწარმოების გამომცემელს უნდა გააჩნდეს როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორის, ისე მთარგმნელის ნებართვა.

ნაწარმოების გადამუშავების უფლება

ეს უფლებაც ისეთ ნაწარმოებზე ვრცელდება, რომელიც თარგმანთან ერთად წარმოებულ ნაწარმოებებს განეკუთვნება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თარგმნისას შინაარსობრივი გადამუშავება არ ხდება. გადამუშავება ხდება მხოლოდ ნაწარმოების გამოხატვის თვალსაზრისით. ამდენად, თარგმანი გამოხატვის ფორმით გადამუშავებულ ნაწარმოებთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს. გადამუშავებული ნაწარმოებებია: ადაპტაცია, არანჟირება, კომპილაცია და სხვ. გადამუშავებული ნაწარმოები დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს და მისი დაცვაც ორიგინალური ნაწარმოებისაგან დამოუკიდებელია. მაგრამ, რომ შეიქმნას გადამუშავებული ნაწარმოები ორიგინალური ნაწარმოები უნდა გადაკეთდეს, ან შეიქმნას მისი ადაპტაცია, ან არანჟირება (მუსიკალური ნაწარმოების შემთხვევაში) და სხვ. ამგვარი ქმედებების განხორციელება კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოების ავტორის ნებართვით. ამ უფლებას ორიგინალური ნაწარმოების ავტორს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის (თ) ქვეპუნქტი და მე-13 მუხლები ანიჭებს.

გადამუშავებული ნაწარმოები თუ შეიქმნა, ბუნებრივია, თარგმნის შემთხვევის მსგავსად, ასეთი ნაწარმოების ავტორსაც წარმოექმნება საკუთარი საავტორო უფლებები. ცხადია, გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებებით ვერ აიკრძალება იმავე ნაწარმოების სხვა პირის მიერ გადამუშავება. გამომცემელმა ან ვიდეოგრამის თუ ფონოგრამის დამამზადებელმა უნდა იქონიოს ორივე – ორიგინალის ავტორისა და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის ნებართვა. თავად გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა არ უნდა შებღალოს ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლება.

კრებულის შემდგენლის უფლებები

მთარგმნელის უფლებებისა და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებების მსგავსად, საქართველოს საავტორო სამართალი ცალკე ადგილს უთმობს კრებულის შემდგენლის (კრებულის ავტორის) უფლებებს. კრებულის შემდგენელს საავტორო უფლება აქვს ამ კრებულში შესული მასალის შერჩევასა და განლაგებაზე – საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-12 მუხლი. შემდგენელი ვალდებულია დაიცვას ყველა იმ ავტორის უფლება, რომელთა ნაწარმოებებიც მოთავსდა კრებულში.

ამასთან, კრებულში განლაგებული ნაწარმოებების ავტორებს უფლება რჩებათ თავიანთი ნაწარმოებების დამოუკიდებლად გამოყენებაზე. მაგრამ, ეს უფლება მათ შეიძლება არ გააჩნდეთ, თუ ნაწარმოები შეიქმნა სპეციალურად კრებულისათვის და ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეტანილ იქნა საგანგებო პირობა, რომლის მიხედვითაც ავტორი ვალდებულებას კისრულობს სხვაგვარად არ გამოიყენოს მოცემული ნაწარმოები.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შემდგენელი მესამე პირს ვერ აუკრძალავს იმავე მასალის შერჩევასა და განლაგებას (თუ ეს მასალა სპეციალურად არ იქნა შექმნილი კრებულისათვის) სხვა შედგენილი ნაწარმოების შესაქმნელად.

გამომცემლის განსაკუთრებული უფლება

ადრე აღინიშნა, რომ საავტორო უფლებები შეიძლება ეკუთვნოდეს ნაწარმოების ავტორს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – იურიდიულ პირს. საქართველოს საავტორო სამართალი ასეთ მაგალითად ასახელებს გამომცემელს. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების პერიოდული და ერთმანეთის გამაგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნით მათი გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამ ნორმით გამომცემელს არაქონებრივი უფლებების ფლობაც კი დაუწესდა. კერძოდ, გამომცემელს მიეცა უფლება მის მიერ გამოცემული ნაწარმოების ნებისმიერი გამოყენების შემთხვევაში, თავად მიუთითოს ან სხვისგან მოითხოვოს თავისი სახელის მითითება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მომდინარეობს

მოცემული ნაწარმოებების ხასიათიდან. მაგალითად, ენციკლოპედია შედგენილი ნაწარმოების გარკვეულ ანალოგიას წარმოადგენს და იმავდროულად, გადამუშავებული ნაწარმოების ნიშან-თვისებებსაც ატარებს. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ენციკლოპედია შედგენილ-გადამუშავებული ნაწარმოებია. მასში თავსდება (გამოიყენება) სხვადასხვა ავტორის სტატიები ან სხვაგვარი ნაწარმოებები, რომლებიც ენციკლოპედიაში შეიძლება ჩაირთოს მთლიანად, ან განსაკუთრებულად გადამუშავებული სახით. გამომცემელი ის პირია, ვინც შეარჩევს და განსაზღვრავს თუ როგორი აგებულებისა, შინაარსისა, მხატვრული გაფორმებისა და ა.შ. უნდა იყოს ენციკლოპედია. იგივე ითქმის ენციკლოპედიური ლექსიკონებისა თუ მეცნიერული ნაშრომების კრებულებზე, ჟურნალ-გაზეთებსა თუ სხვა პერიოდულ ნაწარმოებებზე. გამომდინარე ნათქვამიდან, გამომცემელი თითქმის უთანაბრდება ავტორს და საავტორო უფლებაც მისთვის არის მიკუთვნებული. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ზემოთ აღნიშნული ნორმა ამომწურავად ჩამოთვლის ნაწარმოებებს, რომლებზეც გამომცემლის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია.

ჩვენი აზრით, გამომცემელი ვერანაირად ვერ იქნება მიჩნეული ავტორად და უფრო სწორი იქნებოდა, თუ მოცემული საკითხი მოწესრიგდებოდა სამსახურებრივ ნაწარმოებზე საავტორო უფლების შესახებ ნორმის ჩარჩოში. გამოთქმული აზრი მართლზომიერად გვეჩვენება იმის გამოც, რომ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით გამომცემლის საქმიანობას, მაშინ უეჭველად შევნიშნავთ მის ანალოგიას მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების საქმიანობასთან. ამ აზრს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიც აძლიერებს, რომელშიც საავტორო ხელშეკრულების არსებობაზეა მითითებული. მასში, გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებში შესული სტატიების ან სხვაგვარი ნაწარმოებების ავტორებს უნარჩუნდებათ თავიანთი ნაწარმოებების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამასთან, დაცული უნდა იყოს გამომცემლის ინტერესები, რაზე ისიც მიუთითებს, რომ საავტორო ხელშეკრულებით შეიძლება პირდაპირ აეკრძალოთ ავტორებს მათივე ნაწარმოებების სხვა მიზნებისათვის გამოყენება.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორთა განსაკუთრებული უფლება

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი ითვალისწინებს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების დაცვის სპეციალურ ნორმებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ნაწილში. აღნიშნული კანონის ამ ორი ნაწილის ნორმების ანალიზი მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ მომიჯნავე უფლებების განხილვისას. აქ აღვნიშნავთ, რომ საავტორო უფლებათა ნაწილი აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე განსაკუთრებული უფლებების დაცვას ეხება, ხოლო მომიჯნავე უფლებების ნაწილი – ვიდეოგრამაზე განსაკუთრებული უფლებების დაცვას. ამასთან, განსაზღვრულია, რომ აუდიოვიზუალური ნაწარმოები ისეთი ნაწარმოებია, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან. ამ გამოსახულებებს, ერთდროულად, შეიძლება თან ახლდეს ხმა ან არა. მთავარია, რომ გამოსახულებები ქმნიდეს მოძრაობის შთაბეჭდილებას და მათი აღქმა შესაძლებელი იყოს მხედველობით ან/და სმენით. აუდიოვიზუალური ნაწარმოების მაგალითად საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-4(ბ) მუხლი კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს ასახელებს, აგრეთვე ტელე-ვიდეოფილმებს, დიაფილმებს და სხვ. მოცემული მუხლის რედაქციით აუდიოვიზუალური ნაწარმოები უნდა აღიქმებოდეს „მხედველობით ან/და სმენით". ასეთი რედაქციიდან გამომდინარე, აუდიოვიზუალურს განეკუთვნება ისეთი ნაწარმოებიც, რომელიც მხოლოდ სმენით შეიძლება იქნეს აღქმული. ასეთი ნაწარმოები კი, მეორეს მხრივ, ფონოგრამად არის ცნობილი და აუდიოვიზუალურს არ განეკუთვნება. ტერმინი აუდიოვიზუალური სმენაზე მითითებას იმდენად შეიცავს, რამდენადაც ხმა შეიძლება ახლდეს გამოსახულებას. სხვა სიტყვებით, აუდიოვიზუალური ნაწარმოები აუცილებლად უნდა შეიცავდეს გამოსახულებას, ხოლო ხმას – ფაკულტატიურად. ამ აზრს ამტკიცებს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ისმოს განმარტება[1]. ვფიქრობთ, საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-4(ბ) მუხლი, შეესაბამება ისმოს მოცემულ განმარტებას. თუმცა, ჩვენი აზრით, თუ ნაწარმოები აუდიოვიზუალურია, მისი აღქმა უნდა შეიძლებოდეს თვალითა და სმენით ერთდროულად.

საკითხს, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს განსაკუთრებული უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე, საქართველოს საავტორო და

---

[1] Типовой закон ВОИС об авторском праве и смежных правах, статья 3(2).

მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი პირდაპირ არ აწესრიგებს. მისი მე-15 მუხლი ამომწურავად ასახელებს პირებს, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ასეთი ნაწარმოების ავტორებს. მათ რიცხვშია დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, ტექსტიანი თუ უტექსტო მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, დიალოგის ავტორი. ამასთან, მუსიკალური ნაწარმოებები უნდა იყოს შექმნილი სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის, თუ ავტორებს შორის ან აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელთან ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული საავტორო სამართლის ნორმები დიალოგის ავტორს არ მოიხსენიებდა.

აღნიშნული მუხლი არ ასახელებს, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს განსაკუთრებული უფლება. სავარაუდოა, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ავტორთა შორის ან აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა კი პრაქტიკაში უამრავ სირთულეს გამოიწვევს და აბსურდულ სიტუაციამდეც კი მიგვიყვანს. კანონის მე-15 მუხლი განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებიც შეიძლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები იყვნენ. გარდა ამისა, დამდგმელ რეჟისორთან ერთად აუდიოვიზუალური ნაწარმოების თანაავტორებად დასახელებულია სრულიად განსხვავებული სახის ნაწარმოებების ავტორები – სცენარის, დიალოგისა და მუსიკალური ნაწარმოების ავტორები. ვფიქრობთ, ამგვარი რედაქცია არ ეთანადება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე თანამედროვე შეხედულებებს და სცენარისტი ან მუსიკის ავტორი არ შეიძლება დამდგმელი რეჟისორის თანაავტორად იქნეს განხილული. შეიძლება თუ არა შედგენილ ნაწარმოებში შესული დამოუკიდებელი ნაწარმოებების ავტორები თანაავტორებად ჩაითვალონ? – ვფიქრობთ არა, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ავტორები არიან. იგივე სიტუაციაა მოცემულ შემთხვევაში. განსაკუთრებული უფლების მიკუთვნება (მთლიანად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე) დამდგმელი რეჟისორისათვის სწორია და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სამართალს, რომელიც, ამასთანავე, მოითხოვს დამდგმელი რეჟისორი აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორად განიხილებოდეს. სცენარის ავტორი და ტექსტიანი თუ უტექსტო მუსიკის ავტორი, ისევე, როგორც სხვა ჩართული ნაწარმოებების ავტორები, შეიძლება იყვნენ ავტორები მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებელი ნაწარმოებისა და ასეთ ნაწარმოებზე მათ შეიძლება შეუნარჩუნდეთ

გამოყენების განსაკუთრებული უფლება, თუ დამამზადებელთან (პროდიუსერთან) ხელშეკრულება სხვა რამეს არ გაითვალისწინებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-4(გ) მუხლი განმარტავს ვინ შეიძლება იყოს აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი. დამამზადებელი ანუ პროდიუსერი ის ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც თავის თავზე იღებს ინიციატივას და კისრულობს პასუხისმგებლობას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამზადებისათვის. ამ განმარტებიდან გამომდინარე აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი არ შეიძლება გაიგივდეს დამდგმელ რეჟისორთან. შესაბამისად იგი საავტორო უფლებათა სუბიექტად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან იგი ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას არ ეწევა. კანონის ლოგიკა ამ აზრს შემდგომ ამტკიცებს. კერძოდ, მე-4 მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით მოცემულია ვიდეოგრამის დამამზადებლის განმარტება, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი და ვიდეოგრამის დამამზადებელი ერთი და იგივე პირია. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტად ეს პირი მიჩნეულია სწორედ იმიტომ, რომ იგი ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას არ ეწევა და არ შეაქვს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილი ნაწარმოების შექმნაში. გასაგებია, რომ მომიჯნავე უფლებათა ასეთ სუბიექტზე არ შეიძლება გადავიდეს საავტორო უფლებები, რასაც, ჩვენი აზრით, მცდარად აწესებს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი. სწორი იქნებოდა საავტორო უფლებათა გადასვლა ყოფილიყო გათვალისწინებული დამდგმელი რეჟისორისათვის. ალბათ, შეცდომა იმან გამოიწვია, რომ „პროდიუსერად“ ინგლისურ ენაზე არსებული ლიტერატურის მიხედვით აუდიოვიზუალურ ნაწარმოებთან დაკავშირებით დამდგმელი რეჟისორი ან ვიდეოგრამის დამამზადებელია მითითებული როგორც მწარმოებელი. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების თანახმად ტერმინი „პროდიუსერი“ საავტორო უფლებათა ნაწილში გამოიყენება „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლის“ (კანონისმიერი ეს ტერმინი არ არის კორექტული, რადგან ნაწარმოები კი არ მზადდება არამედ იქმნება), ხოლო მომიჯნავე უფლებათა ნაწილში ვიდეოგრამის დამამზადებლის აღსანიშნავად. აღნიშნულიდან გამომდინარე თითქოს ტერმინი სპეციალისტებისათვის გასაგებ ენაზეა გადმოცემული, მაგრამ ყოველი კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საჭიროა კონკრეტულ ტერმინს კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდეს. კერძოდ, კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საავტორო უფლებათა გადასვლა შემკ-

ვეთზე იგულისხმება და ამ პირის აღსანიშნავად ახალი ტერმინის ძიება საჭირო არ არის. მაგალითად გამოდგებოდა ტერმინი „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამკვეთი", რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ესადაგება მოცემულ სიტუაციას და ცალსახად განასხვავებს მას „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისაგან". ერთ შემთხვევაში აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამკვეთი და დამდგემელი რეჟისორი შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ კინოსტუდიის დირექტორი ან სხვა პირი, რომელიც დაუკვეთავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნას ავტორებს, საკუთარი ფინანსური რისკის ხარჯზე. ასეთ პირს პროდიუსერადაც მოიხსენიებენ სპეციალისტები, რომლის ვინაობა (სახელი ან დასახელება) სათანადო წესით შეიძლება იქნეს აღნიშნული ნაწარმოებზე. ეს წესი მნიშვნელოვანი იმით არის, რომ თუ არსებობს ეჭვი აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლის, ვინაობის თაობაზე მაშინ ასეთად მიიჩნევა ნაწარმოებზე აღნიშნული პირი, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება.

განსაკუთრებული უფლების მფლობელი სუბიექტის დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აწესებს, რომ დამამზადებელთან (დამკვეთთან) ავტორების (თანაავტორების) მიერ ხელშეკრულების დადება იწვევს თანაავტორთა მიერ განსაკუთრებული უფლებების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისათვის. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ განსაკუთრებული უფლება წარმოშობიდან ავტორებს ეკუთვნით. ეს ნორმა ეთანადება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს, მათ შორის გაერთიანებული ევროპის დირექტივებსა და TRIPS-ის ხელშეკრულებას. ამასთან, კანონის განხილული პუნქტის დაბოლოება სიტყვებით „... თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული"განსაკუთრებული უფლებების გადაცემის დისპოზიციურობაზე მიუთითებს. გათვალისწინებულია აგრეთვე ავტორთა მიერ ჰონორარის მიღების უფლების განხორციელება ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მეშვეობით.

აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართული ნაწარმოებების ავტორთა უფლებებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მათ უნარჩუნდებათ საავტორო უფლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თავიანთ ნაწარმოებებზე და შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოიყენონ ის, თუ ამით ხელი არ შეეშლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და, თუ ხელშეკრულება სხვა რა-

მეს არ ითვალისწინებს. ასეთივე უფლებები უწესდება იმ ნაწარმოებების ავტორებს, რომლებიც წარმოჩინდა აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საავტორო განსაკუთრებული უფლებები აუდიოვიზუალურ, მათ შორის კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე წარმოშობით ეკუთვნის დამდგმელ რეჟისორს, დიალოგის ავტორს, სცენარისტსა და მუსიკის ავტორს.

საერთო სამართლის მიმდევარ ქვეყნებს გარკვეული სირთულეების გადალახვა მოუხდათ რომ დაეკმაყოფილებინათ საერთაშორისო სამართლის, განსაკუთრებით გაერთიანებული ევროპის დირექტივების მოთხოვნები დამდგმელი რეჟისორის (PRINCIPAL DIRECTOR) საავტორო უფლებათა სუბიექტად აღიარების თაობაზე.

გაქირავების უფლება

საავტორო სამართლის ზოგიერთ ობიექტზე თანამედროვე საერთაშორისო ხელშეკრულებები მოითხოვენ გაქირავების უფლების დაწესებას. კერძოდ, ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება: კომპიუტერული პროგრამა, მონაცემთა ბაზა (მონაცემთა ან ინფორმაციის კომპილაცია) – ამ ორ ობიექტს ასახელებს 1996 წლის ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო სამართლის შესახებ; კინემატოგრაფიული ნაწარმოები, ფონოგრამა – ამ ობიექტებს ეხება გაერთიანებული ევროპის 1992 წლის დირექტივა გაქირავების უფლებისა და საავტორო უფლებათა ზოგიერთი მომიჯნავე უფლების შესახებ. კომპიუტერულ პროგრამებსა და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს სავალდებულო გაქირავების უფლების ობიექტებად განიხილავს TRIPS-ის ხელშეკრულება. საქართველოს საავტორო სამართალმა გაითვალისწინა ყველა აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნა და კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა ბაზის, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე დაფიქსირებული ნაწარმოებების ავტორებს, ისევე როგორც ნოტებით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოების ავტორებს, ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს, დაუწესა ჩამოთვლილი ნაწარმოებების ორიგინალის, ან მათი ეგზემპლარების გაქირავებით გავრცელების განსაკუთრებული უფლება.

ამასთან ერთად, გაქირავების განსაკუთრებული უფლება დამოკიდებული არ არის მოცემული ნაწარმოების ორიგინალის ან ეგზემპლარის საკუთრებაზე. ეს მოთხოვნაც საერთაშორისო ნორმად არის აღიარებული საავტორო სამართალში.

არქიტექტურული პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება

ზოგიერთი სახის ნაწარმოების გამოყენება პირდაპირ არის დაკავშირებული მის პრაქტიკულ რეალიზაციასთან, რის გამოც საავტორო სამართალი ასეთ ობიექტებს განსხვავებულად უდგება. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი საგანგებოდ ეხება არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო პროექტების გამოყენებას და მათ ავტორებს, ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს ანიჭებს ამ პროექტების პრაქტიკული რეალიზაციის განსაკუთრებულ უფლებას. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ საავტორო სამართლის ეს წესი (რომელიც საერთაშორისო ნორმად არის ქცეული) მნიშვნელოვნად აახლოებს არქიტექტურული ობიექტების დაცვის წესს საპატენტო სამართლის პრინციპებთან. პრაქტიკულად, მოცემული ნორმა გამოდის საავტორო სამართლის აღიარებული პრინციპის ფარგლებიდან, რის თანახმადაც ნაწარმოებში გამოხატული იდეები და მასში აღწერილი მატერიალური ობიექტები დაცვას არ ექვემდებარება. მოცემულ შემთხვევაში ნაწარმოების ავტორების ჩვეულებრივ საავტორო განსაკუთრებულ უფლებებს ემატება პრაქტიკული რეალიზაციის უფლება. საავტორო სამართალი ქალაქმშენებლობის ობიექტებს, ბაღებსა და პარკებს ნაწარმოებად მიიჩნევს.

პროექტი საპატენტო აღწერილობის ანალოგიურად შეიძლება იყოს განხილული. ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ საპატენტო სამართლისათვის ცნობილი კრიტერიუმები „სიახლე“ და „სამრეწველო გამოყენებადობა“ ანუ „განხორციელებადობა“ საავტორო სამართლის ამ ობიექტებზეც ირიბად გავრცელდება. შესაბამისად, თუ პროექტი იმეორებს უკვე ცნობილ არქიტექტურულ ობიექტს საავტორო სამართალი მას ვერ დაიცავს. ამასთან, გინდაც რომ პროექტი ორიგინალური იყოს, მაგრამ თუ ვერ ხერხდება მასში მოცემული არქიტექტურული ობიექტის პრაქტიკული რეალიზაცია (განხორციელება) პროექტის ხარვეზების ან მასში არსებული შეცდომების გამო, მაშინ ცხადია, დაცვის ობიექტი არ იარსებებს. აქედან გამომდინარე, თუ პროექტი პრაქტიკულ რეალიზაციას ანუ განხორციელებას არ ექვემდებარება, ვერც პრაქტიკული რეალიზაციის განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება. ასეთივე სიტუაცია გვხვდება საპატენტო სამართალში, სადაც გამოგონების ობიექტი თუ ისეთი სისრულით არ არის წარმოდგენილი მის აღწერილობასა და ნახაზებში, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციე-

ლება (ანუ პრაქტიკული რეალიზაცია), მაშინ პატენტი არ გაიცემა და არც საპატენტო განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება. ხოლო თუ პატენტი შეცდომით გაიცა, მაშინ ის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდება და საპატენტო უფლებები ბათილად ჩაითვლება დასაბამიდანვე.

სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმების გაზიარებით ცალკე გამოყოფს და სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორებს მე-17 და მე-18 მუხლებით მოცემულ უფლებებთან ერთად მე-20 მუხლი დამატებით ანიჭებს ორ მნიშვნელოვან უფლებას: პირველი უფლება „დაშვების“ უფლებად არის ცნობილი და მისი არსი ის გახლავთ, რომ ავტორს შეუძლია ნებისმიერ დროს განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან გაასხვისა ნაწარმოები და ის სხვა პირის საკუთრებას წარმოადგენს. მესაკუთრეს არა აქვს უფლება ავტორს აუკრძალოს მისი ნაწარმოების რეპროდუცირება, ანუ უნდა დაუშვას ავტორი საკუთარ ნაწარმოებთან. ამასთან, ავტორს არა აქვს უფლება რეპროდუცირება კომერციული მიზნებით განახორციელოს. იგი პირადი არაქონებრივი უფლებაა.

მეორე უფლება (droit de suite) ნაწარმოების ავტორს შესაძლებლობას აძლევს ნაწარმოების საჯაროდ გაყიდვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (ნაწარმოების პირველად გასხვისების შემდეგ) მიიღოს გასამრჯელო გასაყიდი ფასის 5% ოდენობით. ამ უფლებას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქართულად შეიძლება „ნაწარმოების თან მიდევნების ან თან მიყოლის უფლება“ ეწოდოს. იგი თავისი შინაარსით ქონებრივი უფლებაა და ავტორის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში. ამასთან, ამ უფლების გადაცემა ავტორის სიცოცხლეში დაუშვებელია, თუმცა მისი განხორციელება შეიძლება სხვა პირს დაევალოს, მათ შორის ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციას.

თავი 7. მომიჯნავე უფლებები

საავტორო სამართალი აწესრიგებს, როგორც საავტორო უფლებებს, ისე ისეთ უფლებებს, რომლებიც საავტორო უფლებათა „მეზობელ", „მომიჯნავე" ურთიერთობებს არეგულირებს. **ასეთ უფლებებს მომიჯნავე უფლებებს უწოდებენ.** ტერმინი „მომიჯნავე უფლებები" საავტორო სამართლის სრულფასოვან საკანონმდებლო ტერმინად არის აღიარებული. მას იყენებს საერთაშორისო საავტორო სამართალი და ეროვნული კანონები. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ აცხადებს: „საავტორო სამართალი იცავს საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს ... აგრეთვე ზოგიერთ მათ **მომიჯნავე უფლებებს**, დაკავშირებულს შემსრულებლებთან, ფონოგრამისა, ვიდეოგრამისა, მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (**მომიჯნავე უფლებები**)".

მომიჯნავე უფლებების დაცვის დამკვიდრება მომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოები გამიზნულია რაც შეიძლება ფართო გავრცელებისათვის. ერთი საქმეა ნაწარმოების შექმნა, ხოლო მეორე საქმეა მისი ისეთ ფორმაში მოქცევა, რომელიც შესაძლებელს გახდის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით ნაწარმოების სწრაფ გავრცელებასა და მომხმარებლისათვის მიწოდებას. ამ ამოცანის შესრულებას ავტორი, როგორც წესი, თავად ვერ ახერხებს. შესაბამისად, წარმოიქმნა და ფუნქციონირებს ავტორსა და მომხმარებელს შორის შუამავალი სუბიექტები, რომლებიც თავად არ ქმნიან ნაწარმოებებს, მაგრამ ავტორს აცილებენ მათი ნაწარმოების გავრცელებაზე ზრუნვის საჭიროებას. ამ სუბიექტთა რიცხვს, პირველ რიგში, მიეკუთვნება ნაწარმოების შემსრულებელი, ფონოგრამის დამამზადებელი და მაუწყებლობის ორგანიზაციები. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 46-ე მუხლი, რომელიც ასახელებს მომიჯნავე უფლებების სუბიექტებს, ეწინააღმდეგება ამავე კანონის პირველ მუხლს, რადგან მათ რიცხვში მონაცემთა ბაზის დამამზადებელს აღარ მოიხსენიებს. ეს სწორიც არის, კანონი ხომ მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებათა დაცვისათვის სპეციალურ თავს ითვალისწინებს, რომელიც იურისპრუდენციაში sui generis-ად ცნობილი სამართლებრივი რეჟიმით აწესრიგებს აღნიშნული სუბიექტის უფლებების დაცვას.

მომიჯნავე უფლებების ყველა აღნიშნულ სუბიექტს წარმოექმნება გარკვეული უფლებები მათი საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებით და, გასაგებია, რომ მათი უფლებების დაცვა სხვა პირთა ხელყოფისაგან მნიშვნელოვანია არა მარტო უშუალოდ მათთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის.

შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შემოღება და განმტკიცება განპირობებულია ბოლო ათწლეულებში ახალი ტექნიკის შექმნითა და მათი ფართო ექსპლუატაციით. მაგალითისათვის, საუკუნის დასაწყისში შემსრულებელს (მომღერალს, პანტომიმის შემსრულებელს, თუ დეკლამატორს და სხვ.) შიში არ ჰქონდა, რომ შესრულებას მისგან უნებართვოდ წარუდგენდნენ მომხმარებელს. მაგრამ, რაც შეიქმნა ხმის ჩაწერის საშუალებანი, ვიდეოგრამები და სხვა ტექნიკა, შესრულების გავრცელებაც ძალზე იოლი გახდა. დღის წესრიგში დადგა შემსრულებელთა უფლებების დაცვის შემოღების აუცილებლობა. ანალოგიურად, აუცილებელი გახდა ფონოგრამების დამამზადებელთა უფლებების დაცვა, რადგან ერთხელ დამზადებული ფონოგრამის, დღეს კი უკვე ლაზერული ფირფიტების გამრავლება არავითარ სირთულეს აღარ წარმოადგენს. ასეთივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ მაუწყებლობის ორგანიზაციები, რომელთა გადაცემების გამრავლება და გამეორება მათი ნებართვის გარეშე ძალზე იოლი ამბავი გახდა. ფართოდ გავრცელდა შემსრულებელთა, ფონოგრამების დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დარღვევა – ე.წ. მეკობრეობა. სიტუაციის გამოსასწორებლად ქვეყნები ქმნიან და იღებენ სპეციალურ კანონებს ან ნორმებს. მაგრამ ცალკეული ქვეყნების ფარგლებში აღნიშნული პრობლემების მოწესრიგება წარმატებული ვერ იქნება, რადგან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის მიღება დღეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება, ხოლო ფონოგრამებით, ვიდეოგრამებითა და კომპაქტ-დისკებით გაცხოველებული საერთაშორისო ვაჭრობა, რამაც საზღვრები არ იცის, ჩვეულებრივი ამბავია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 1961 წელს რომში ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელმაც დაავალდებულა მონაწილე ქვეყნები შემოეღოთ შემსრულებელთა, ფონოგრამების დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვა. ამით დასაბამი მიეცა მომიჯნავე უფლებების დაცვის აღიარებას. ამ უფლებათა დაცვას დღეს ყველა ახლადმიღებული კანონი აწესებს, ხოლო ვაჭრობის მსოფ-

ლიო ორაგნიზაცია პირდაპირ ითხოვს ასეთი დაცვის განხორციელებას მისი წევრი ან მასში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისაგან. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, საქართველოს სამართალიც ითვალისწინებს მომიჯნავე უფლებების დაცვას და მას სპეციალურ თავს უძღვნის, რომლის ნორმებიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნების თანამედროვე მიდგომებთან. აღიარებულია, რომ მომიჯნავე უფლებები საავტორო უფლებებს დაბრკოლებებს ვერ შეუქმნის, ხოლო მათი განხორციელება მართლზომიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცულია საავტორო უფლებები. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები ჩვენ უკვე დავასახელეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რომის კონვენციისგან განსხვავებით, საქართველოს კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ დამატებულია ახალი სუბიექტი – ვიდეოგრამის დამამზადებელი. ეს ფაქტი გასაგებია, რადგან 1961 წელს ვიდეოგრამები და ვიდეოკამერები (ჩამწერი მოწყობილობები) ჯერ კიდევ ფართოდ ცნობილი არ იყო. ხოლო ამჟამად ვიდეოგრამების დამამზადებლები იგივე სიტუაციაში იმყოფებიან, რა სიტუაციაშიც ფონოგრამების დამამზადებლები არიან. ბუნებრივია, მათი უფლებებიც დაცული უნდა იყოს. საავტორო სამართლის პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია საქართველოს საკანონმდებლო ნორმა, რომლის თანახმადაც ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ იმ ფარგლებში, რაც დადგენილია მათ და შემსრულებელსა და ავტორს შორის არსებული ხელშეკრულებით. შემსრულებელი, თავის მხრივ, ვალდებულია დაიცვას მის მიერ შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებები.

მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები და მათი უფლებები

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი განმარტავს, თუ ვინ ჩაითვლება **მომიჯნავე უფლებათა წამყვან სუბიექტად – შემსრულებლად. ასეთად ითვლება მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე.** შემსრულებლად ითვლება, აგრეთვე, პირი, რომელიც სხვაგვარად ასრულებს ნაწარმოებს, მათ შორის საესტრადო, საცირკო და „თოჯინურ" ნომერს.

გარდა ამისა, შემსრულებლად ჩაითვლება სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და დირიჟორი.

განმარტებულია აგრეთვე, რომ მომიჯნავე უფლებათა სხვა სუბიექტებად ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა ხმოვანი ჩანაწერის პირველად განხორციელებისათვის (ფონოგრამის დამზადება) ან გამოსახულებათა თანამიმდევრობის ჩანაწერის განხორციელებისათვის ხმის თანხლებით, ან ხმის თანხლების გარეშე (ვიდეოგრამის დამზადება). ამასთან, ორივე შემთხვევაში ჩანაწერი პირველად უნდა განხორციელდეს.

ფონოგრამების და ვიდეოგრამის დამამზადებლები, როგორც წესი, მიუთითებენ თავიანთ სახელს უშუალოდ ფონოგრამასა ან ვიდეოგრამაზე, ან კიდევ მათ ფუტლარებზე. ასეთი მითითება წარმოადგენს გარკვეული მნიშვნელობის იურიდიულ ფაქტს. კერძოდ, თუ დამამზადებლის ვინაობა საეჭვო შეიქმნა, მაგრამ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, დამამზადებლად ის პირი მიიჩნევა, რომელიც სათანადო წესით არის აღნიშნული ფონოგრამასა ან ვიდეოგრამაზე, ან მათ ფუტლარზე.

მომიჯნავე უფლებათა კიდევ ერთი სუბიექტი მაუწყებლობის ორგანიზაციაა, რომლის გადაცემად მიჩნეულია გადაცემა, შექმნილი უშუალოდ საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობის ორგანიზაციამ სხვა პირს შეუკვეთა გადაცემის შექმნა და შესაბამისი თანხა გაიღო მის შესაქმნელად, მაშინ ასეთი გადაცემა დამკვეთ მაუწყებლობის ორგანიზაციას ეკუთვნის.

შემსრულებელს, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებელს, აგრეთვე, მაუწყებლობის ორგანიზაციას ქონებრივი – განსაკუთრებული უფლებები გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ უფლება ნება დართონ, აკრძალონ ნებისმიერი ფორმით ან თავად გამოიყენონ შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა და გადაცემა.

მომიჯნავე უფლებების სუბიექტების განსაკუთრებული უფლებების შინაარსი განსაზღვრულია გამოყენების ობიექტის მიხედვით, რაც ასახულია ქვემოთ მოყვანილ ტაბულაში.

ჩამოთვლილი განსაკუთრებული უფლებები საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში ამომწურავად არის მოცემული. წარმოდგენილი ტაბულის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლებს იდენტური ხასი-

ათის განსაკუთრებული უფლებები გააჩნიათ. ტაბულაში მოყვანილი განსაკუთრებული უფლებების შინაარსი ძირითადად თვით განიმარტება, მაგრამ გვინდა შევეხოთ შემსრულებლის ზოგიერთ უფლებას. კერძოდ, განსაკუთრებული უფლება შესრულების ჩანაწე-

	შემსრულებელი	ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებელი	მაუწყებლობის ორგანიზაცია
1	ჯერ კიდევ ჩაუწერავი შესრულების ჩაწერა	ფონოგრამის, ვიდეოგრამის რეპროდუცირება	გადაცემის ჩაწერა
2	შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება	ფონოგრამის, ვიდეოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელება	გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება
3	შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, ან სხვაგვარი საჯარო გადაცემა	ფონოგრამის, ვიდეოგრამის ეგზემპლართა გაქირავება	გადაცემის ერთდროული გადაცემა ეთერში ან კაბელით
4	შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში, ან კაბელით, თუ ამ შესრულების პირველი ჩაწერა არ იყო განხორციელებული მოგების მიღების მიზნით	ფონოგრამის, ვიდეოგრამის ეგზემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ან სხვა გზით	გადაცემის ეთერში ან კაბელით გადაცემა, აგრეთვე საჯარო გადაცემა იმ ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია
5	შემსრულებლის მონაწილეობით შესრულების შემცველი გამოქვეყნებული ფონოგრამისა ან ვიდეოგრამის გაქირავება	ფონოგრამის, ვიდეოგრამის ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით	გადაცემის ჩანაწერის გავრცელება გაყიდვის, გაქირავების ან სხვა გზით

რის რეპროდუცირებაზე შემსრულებელს არ აძლევს ნებისმიერ შემთხვევაში შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირების აკრძალვის უფლებას. შემსრულებელი რეპროდუცირებას ვერ აკრძალავს, თუ ხდება მისი ნებართვით ჩაწერილი შესრულების რეპროდუცირება იმავე მიზნებისათვის, რაზედაც შემსრულებელმა გასცა თანხმობა. ფაქტობრივად, ის პირი, რომელიც ასეთ რეპროდუცირებას ახდენს, მოქმედებს შემსრულებლის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივია, შემსრულებელს არც უნდა გააჩნდეს რამე პრეტენზია მისი შესრულების ჩანაწერის ამგვარი რეპროდუცირების წინააღმდეგ და, ცხადია, არანაირი სანქციის გატარების მოთხოვნის უფლება არ უნდა ჰქონდეს ჩანაწერის რეპროდუცირების განმხორციელებლის მიმართ.

ასევე, შესრულების გადაცემის განსაკუთრებული უფლება ეთერში ან კაბელით, ან სხვაგვარ საჯარო გადაცემაზე ვერ გავრცელდება, თუ ხორციელდება ადრე ჩაწერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების ხელახალი გადაცემა. ამასთან, იგულისხმება, რომ შესრულების ადრეული ჩაწერა ან გადაცემა შემსრულებლის ნებართვით არის გაკეთებული.

შემსრულებლის განსაკუთრებული უფლება შესრულების ჩანაწერის ეთერში ან კაბელით გადაცემაზე გავრცელდება მაშინ, თუ შესრულების პირველივე ჩაწერა არ მოხდა მოგების მიღების მიზნით. ეს პირობა ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ თუ შემსრულებელმა ერთხელ უკვე მიიღო მოგება მისი შესრულების ჩანაწერიდან, მაშინ ის ამ ჩანაწერის ახალ გადაცემას ვეღარ აკრძალავს.

სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული ნორმები უკეთესად გადმოსცემდა ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებულ უფლებებს. სამაგიეროდ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონმა მაუწყებლობის ორგანიზაციებისათვის დამატებით დააწესა გადაცემის ჩანაწერის გაქირავების უფლება, რაც უფრო მეტად პასუხობს TRIPS-ის მოთხოვნებს.

შემსრულებელი, ამ ტერმინის არსიდან და მისი საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, ახლოს დგას ავტორთან. შესაბამისად, მომიჯნავე უფლებების სხვა სუბიექტებთან შედარებით, შემსრულებელს უფლებათა უფრო ფართო სპექტრი ეკუთვნის. აღნიშნულ აზრს ამტკიცებს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი, რომელიც შემსრულებლებს ანიჭებს ქონებრივის გარდა ზოგიერთ პირად არაქონებრივ უფლებებს მაშინ, როდესაც ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზა-

დებელსა და მაუწყებლობის ორგანიზაციას პირად არაქონებრივ უფლებებს არ უწესებს.

შემსრულებლის პირად არაქონებრივ უფლებებს წარმოადგენს სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება (უფლება, დაიცვას შესრულება ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს შემსრულებლის პატივსა და საქმიან რეპუტაციას). ეს უფლებები ადრე განხილულ ავტორთა შესაბამისი პირადი არაქონებრივი უფლებების ანალოგიურია.

თავი 8. განსაკუთრებული უფლებები სამსახურებრივ ნაწარმოებსა და შესრულებაზე

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები „სამსახურებრივი ნაწარმოები" და „სამსახურებრივი შესრულება" საქართველოს საავტორო სამართალმა საკანონმდებლო ტერმინად აქცია. მიგვაჩნია, რომ ისინი ვერ გამოხატავენ იმ ურთიერთობებს, რაც ამ მოვლენას ახასიათებს, და უფრო ვიწრო ტერმინად გვეჩვენება. ჩვენი აზრით, თუ ნაწარმოები სამსახურებრივია, მაშინ ეს ნაწარმოები მხოლოდ სამსახურის შიდა მიზნებისათვის გამოსაყენებლად უნდა იყოს განკუთვნილი და მის ავტორზე განსაკუთრებული უფლება არ შეიძლება გადავიდეს. ამდენად, უმჯობესი იქნებოდა გამოყენებულიყო ტერმინები „მუშაკის მიერ შექმნილი ნაწარმოები" და „მუშაკის მიერ განხორციელებული შესრულება". ასეთი მიდგომა მართებულად გვესახება, რადგან, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-16 მუხლი, რომელიც საავტორო უფლებებს ეხება, ისე 47-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რომელიც მომიჯნავე უფლებებზე ვრცელდება, აწესრიგებენ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის წარმოიქმნება შრომითი ურთიერთობების განხორციელების შედეგად.

საქართველოს კანონმდებლობა აწესებს, რომ სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით შექმნილი ნაწარმოები წარმოადგენს სამსახურებრივ ნაწარმოებს და მის ავტორს ეკუთვნის **საავტორო უფლება** (მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი). ჩვენი აზრით, ამ პუნქტის რედაქცია ზუსტი არ არის. ამას ადასტურებს ამავე მუხლის მომდევნო პუნქტი, რომლის თანახმადაც სამსახურებრივი ნაწარმოების გამოყენების **განსაკუთ-**

რებული უფლება სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის. ამ ორი პუნქტის რედაქციიდან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ რა შინაარსის მატარებელია ტერმინი „საავტორო უფლება“. გამოდის, რომ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება საავტორო უფლებათა შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საავტორო უფლება მოიცავს მხოლოდ პირად არაქონებრივ უფლებებს. თუმცა საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის სხვა ნორმებიდან და მთლიანად მისი შინაარსიდან გამომდინარე ცალსახად ირკვევა, რომ საავტორო უფლებები შედგება ავტორის პირადი არაქონებრივი (მორალური) და ქონებრივი (განსაკუთრებული) უფლებებისაგან. ვფიქრობთ, სწორი იქნებოდა, რომ განხილული მე-16 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის სამსახურებრივი დავალების შესრულების შედეგად, ავტორს ეკუთვნის პირადი არაქონებრივი უფლებები, ხოლო სამუშაოთა მიმცემს – ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება, თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. აღნიშნული აზრი განმტკიცებულია კანონის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტით, რომელიც სამუშაოს მიმცემის დავალებით შესრულებულ შესრულებას ეხება. ამ მუხლის პირველი პუნქტი აწესებს, რომ სამუშაოს მიმცემის დავალების შედეგად შექმნილ შესრულებაზე შემსრულებელს ეკუთვნის სახელის უფლება (შემსრულებლის პირადი არაქონებრივი უფლება), ხოლო სამუშაოს მიმცემს ამ შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამ მუხლის შინაარსი უფრო მეტად არის გამართული ვიდრე მე-16 მუხლისა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონმა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ზუსტად გაიმეორა სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული 1042-ე მუხლი ისე, რომ კანონმდებელმა ვერ შენიშნა ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების აღნიშნული ხარვეზი.

სამსახურებრივი შესრულების დროს არსებული ურთიერთობანი სრულად არის მოწესრიგებული განხილული 47-ე მუხლის მე-7 პუნქტით.

სამსახურებრივ ნაწარმოებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული უფლება ამ ნაწარმოების გამოყენებაზე სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის ხუთი წლის განმავლობაში, მისთვის ავტორის მიერ ნაწარმოების გადაცემის დღიდან. ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფ-

ლება ავტორს უბრუნდება. ამასთან, სამუშაოს მიმცემმა და ავტორმა შეიძლება სხვა პირობები დააწესონ ხელშეკრულებით.

როდესაც ნაწარმოები სამუშაოს მიმცემს გადაეცემა, ის ვალდებული ხდება გამოიყენოს ეს ნაწარმოები და საამისოდ დაწესებულია 3-წლიანი ვადა. თუ ნაწარმოები ამ ვადის განმავლობაში არ გამოიყენება, მაშინ მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება კვლავ ავტორს უბრუნდება. საკითხი ანალოგიურად წყდება, აგრეთვე, თუ ნაწარმოების გამოყენება სამუშაოს მიმცემმა ორ წელზე მეტი ვადით შეწყვიტა და მას პატივსადები მიზეზი არ გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ სამუშაოს მიმცემსა და ავტორს შეუძლიათ აღნიშნული სამწლიანი და ორწლიანი ვადა შეამცირონ ერთმანეთთან შეთანხმებით. მაგრამ, ამ ვადების გაზრდა არ დაიშვება.

დაწესებულია, აგრეთვე, რომ სამსახურებრივი ნაწარმოების გამოყენებისას ჰონორარის გადახდის წესი და ოდენობა განისაზღვრება ავტორისა და სამუშაოს მიმცემის მიერ დადებული ხელშეკრულებით.

გარდა ამისა, სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს მიუთითოს საკუთარი სახელი ნაწარმოების გამოყენებისას, ან მოითხოვოს ასეთი მითითება.

ენციკლოპედია, ენციკლოპედიური ლექსიკონი, მეცნიერული ნაშრომების პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი გამოცემები სამსახურებრივ ნაწარმოებთა რიცხვს არ განეკუთვნება.

თავი 9. განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები

I. საავტორო განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი თავის სუბიექტებს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს ნაწარმოებების გამოყენებაზე და, ამით, ფაქტობრივად, მონოპოლიურ მდგომარეობაში აყენებს მათ. ამ პრინციპს ადასტურებს საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, რომლის მე-5 მუხლი აცხადებს: „ეს კანონი არ ვრცელდება საავტორო და გამომგონებელთა უფლებებთან, სავაჭრო ნიშანთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე". მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გა-

მოყენება საზოგადოების განვითარების სასიცოცხლო მოთხოვნას წარმოადგენს, ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა განსაკუთრებული უფლებების დაწესებასთან ერთად, მათ შეზღუდვებსაც ითვალისწინებს. არც საქართველოს საავტორო სამართალია გამონაკლისი.

მიღებულია, რომ საავტორო უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია:

საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. კერძოდ, ცოდნისა და ინფორმაციისადმი თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის;

საზოგადოების ზოგადი ხასიათის მოთხოვნილობათა დაკმაყოფილების მიზნით. კერძოდ, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ნაწარმოებების თავისუფლად გავრეცელებისათვის.

შეზღუდვებს ექვემდებარება განსაკუთრებული უფლებები და მათი განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ნაწარმოების მართლზომიერად გამოქვეყნების ან პირველად გამოცემის შემდეგ. შეზღუდვებით გათვალისწინებული ქმედებების დროს აუცილებელია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, კერძოდ, აკრძალულია ნაწარმოების რაიმე სახით დამახინჯება ან მასში ცვლილებების შეტანა, ან რაიმე სხვაგვარად გადამუშავება, აუცილებელია ავტორის სახელის მითითება. უფლებათა შეზღუდვებით დასაშვები ქმედებები ექვემდებარება NUMERUS CLAUZUS-ს, ანუ კანონით უნდა იქნეს მოცემული ქმედებათა ამომწურავი ჩამონათვალი. სადაო საკითხის განხილვის დროს უფლებათა შეზღუდვა უნდა განიმარტოს ვიწრო გაგებით. უფლებათა შეზღუდვებს ყოფენ 2 კატეგორიად:

ნაწარმოების თავისუფალი გამოყენება ავტორისათვის გასამრჯელოს გადახდის გარეშე;

ნაწარმოების თავისუფალი გამოყენება ავტორისათვის გასამრჯელოს გადახდით (ასეთი შეზღუდვა იძულებით ლიცენზირების ტოლფასია).

ყველა შემთხვევაში უფლებათა შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ თუ შემზღუდავი ქმედება არ განხორციელდება კომერციული მიზნით.

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს, როგორც საავტორო ისე მომიჯნავე უფლებების ნაწილში. ამომწურავად არის მოცემული იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე გასამრჯელოს გადახდითა თუ გადაუხდელად.

საავტორო უფლებათა შეზღუდვები გასამრჯელოს გადახდის გარეშე

1. პირადი სარგებლობისათვის ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ.

ასეთი ქმედება მართლზომიერია თუ ხორციელდება ნაწარმოების მცირე მონაკვეთების (მაგალითად წიგნის ფრაგმენტის) ან პერიოდულ გამოცემებში (ჟურნალი, გაზეთი და ა.შ) მოთავსებული სტატიის ასლის გადაღება სწავლებისათვის, ერთი ეგზემპლარის ოდენობით. გადაღებული ასლით ფიზიკურ პირს შეუძლია ისარგებლოს პირადად ისე, რომ არ მიიღოს შემოსავალი. პირადი სარგებლობა ასლის გადაღების გარდა გადაღებული ასლის თარგმნასა და გადამუშავებას მოიცავს. ამგვარი ქმედების შედეგად მიღებული ნაწარმოების „გადამუშავებული ასლი" ფიზიკურმა პირმა შეიძლება გამოიყენოს პირადად ზემოაღნიშნული პირობით, ანუ „გადამუშავებული ასლი" არ შეიძლება ჩართულ იქნეს სამოქალაქო ბრუნვაში მოგების მიღების მიზნით, თუ უამისოდ.

ნაწარმოების ასლის გადაღება დასაშვებია აგრეთვე სასამართლო წარმოებისათვის, ამასთან, ასლი უნდა იქნეს გადაღებული მხოლოდ იმ მოცულობით, რაც დასახულ მიზანს შეესაბამება.

საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ თანახმად საავტორო განსაკუთრებული უფლებები ვერ შეიზღუდება, თუ ასლის გადაღება ხდება მთლიანად წიგნისა, ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებისა. უფლებათა მფლობელის ნებართვა საჭიროა აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც რეპროდუცირება ხდება არქიტექტურის ნაწარმოებებისა (თუ ისინი შენობებს ან სხვა ანალოგიურ ნაგებობას წარმოადგენს), ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და კომპიუტერული პროგრამებისა.

2. უფლებათა შეზღუდვა კომპიუტერულ პროგრამასა და მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებით

მართალია დაუშვებელია პირადი სარგებლობისათვის ელექტრონული მონაცემთა ბაზის ან კომპიუტერული პროგრამის თუნდაც მცირე ფრაგმენტის რეპროდუცირება მაგრამ, განსაკუთრებული უფლებები ამ უკანასკნელ ობიექტზეც შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითად, დაშვებულია **კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა.** ეს დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებლის ტექნიკური საშუალების ფუნ-

ქციონირება სხვაგვარად ვერ ხორციელდება. **ასევე დაშვებულია პროგრამისა და მონაცემთა ბაზის ჩაწერა და მეხსიერებაში შენახვა (ერთი მომხმარებლის ქსელში ან ერთ კომპიუტერში), თუ ეს აუცილებელია მოცემული კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის. ნებადართულია აგრეთვე უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე, აშკარა შეცდომების გასწორება პროგრამასა და მონაცემთა ბაზაში.**

ამასთან, ანგარიშგასაწევია, რომ საავტორო ხელშეკრულებით შეიძლება სხვა რამ იყოს გათვალისწინებული, მათ შორის ზემოთ აღნიშნული ქმედებების აკრძალვა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით გაერთიანებული ევროპის საბჭოს მიერ მიღებული დირექტივა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანათა პროგრამების დაცვის შესახებ მიუთითებს, რომ კონტრაქტი ყველა ქმედებას ვერ აკრძალავს და უფლებათა შეზღუდვას ვერ მოხსნის შემდეგზე:

- კომპიუტერში პროგრამის შეტანასა და გაშლაზე, რაც აუცილებელია მართლზომიერად შეძენილი პროგრამის ასლის გამოყენებისათვის;
- შეცდომების გასწორებაზე.

განსაკუთრებული უფლებების მფლობელის ნებართვა არ არის საჭირო კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის მართლზომიერი მფლობელი თუ დაამზადებს სარეზერვო ეგზემპლარს. ამ შემთხვევაში, ეს ეგზემპლარი უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ საარქივო მიზნებისათვის და დაკარგული, გამოსაყენებლად უვარგისი, ან განადგურებული ეგზემპლარის შესაცვლელად.

აღნიშნული შეზღუდვები ემყარება იმ პრინციპს, რომ მართლზომიერ მფლობელს არ უნდა შეექმნას დაბრკოლებები ან შეფერხებები შეძენილი პროგრამით ან მონაცემთა ბაზით სარგებლობისათვის. გასაგებია და სამართლიანია ის პირობაც, რომ სარეზერვო ეგზემპლარები უნდა განადგურდეს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცმეთა ბაზის დროებითი მფლობელის უფლებების შეწყვეტისთანავე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების შეუფერხებელი განვითარების მიზნით საერთაშორისო საავტორო სამართალი, მათ შორის გაერთიანებული ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა, მიზანშეწონილად თვლის დააწესოს **კომპიუტერული პროგრამის უფლებათა მფლობელის განსაკუთრებულ უფლებათა კიდევ ერთი შეზღუდვა –**

დეკომპილირების უფლება. ამ შეზღუდვას საქართველოს კანონიც ითვალისწინებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნული უფლების გამოყენება მესამე პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ უფლებათა მფლობელს ზიანი არ მიეყენება. სანამ უშუალოდ დეკომპილირების შინაარსზე გადავალთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თავად ტერმინი „დეკომპილირება" გავაშუქოთ კომპიუტერულ პროგრამებთან და მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით. კომპიუტერული პროგრამის დეკომპილირება ისეთი ტექნიკური ხერხია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის საწყის ტექსტში ობიექტური კოდის გარდაქმნას, კომპიუტერული პროგრამის სტრუქტურებისა და კოდირების შესწავლის მიზნით. როგორც ვხედავთ, დეკომპილირება ხორციელდება პროგრამის აგებულების, მასში ჩადებული პრინციპებისა და იდეის შესწავლის მიზნით, რაც ახალი, უფრო სრულყოფილი პროგრამის შექმნის საფუძველია. საზოგადოდ სამართალი და, კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ემორჩილება იმ პრინციპს, რომ ვერ აიკრძალება ყოველივე ისეთი ქმედება, რაც საზოგადოების განვითარებისათვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. შესაბამისად, ნებადართულია სამეცნიერო კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩატარება საავტორო უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე (ასეთი შეზღუდვები ცნობილია საპატენტო სამართლისათვის).

კომპიუტერული პროგრამის დეკომპილირების უფლებას საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ აწესებს აღნიშნულ პრინციპებსა და იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ საავტორო სამართალი ნაწარმოების შინაარსს, მასში გამოხატულ იდეებსა და ტექნიკის ობიექტებს არ იცავს. დეკომპილირება გულისხმობს პროგრამის საწყისი ტექსტის კვლავწარმოებასა და ობიექტური კოდის გარდაქმნას. ამ ქმედებათა განხორციელება შეუძლია იმ პირს, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერულ პროგრამას. ამასთან, საავტორო უფლებათა მფლობელის ნებართვა საჭირო არ არის, ხოლო უფლებათა მფლობელს ჰონორარის მოთხოვნის უფლება არა აქვს. კომპიუტერული პროგრამის მართლზომიერად მფლობელ პირს შეუძლია თავად განახორციელოს ან სხვას დაავალოს პროგრამის დეკომპილირება. დეკომპილირების განხორციელება დასაშვებია დაევალოს მესამე პირს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ამ მესამე პირის მიერ დამოუკიდებლად შექმნილი კომპიუტერული პროგრამისა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების განხორციელებისათვის. ასეთი პირობა იმისთვის არის გათვალისწინებული, რომ უზრუნველყო-

ფილ იქნეს კომპიუტერული პროგრამის მართლზომიერად მფლობელი პირის მიერ იმ მიზნების განხორციელება, რისთვისაც იქნა შეძენილი დეკომპილირებული პროგრამა. ამასთან, ასეთი დეკომპილირება დასაშვებია (დავალებით), თუ პროგრამათა შორის ურთიერთმოქმედება ვერ მიიღწევა დეკომპილირების შედეგად მიღებული ინფორმაციის გარეშე, რადგან ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია სხვა წყაროებიდან ხელმისაწვდომი არ ყოფილა იმ პირისათვის, რომელიც დეკომპილირებას ახდენს.

საქართველოს საავტორო სამართალი ასახელებს კიდევ ოთხ პირობას, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც არის დასაშვები მესამე პირისათვის დეკომპილირების დავალება:

- დეკომპილირება უნდა შემოისაზღვროს პროგრამის მხოლოდ იმ ნაწილებით, რომლებიც აუცილებელია ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად;
- დეკომპილირებით მიღებული ინფორმაცია უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ დამოუკიდებლად შემუშავებული პროგრამისა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად;
- დეკომპილირებით მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება სხვა პირს გადაეცეს;
- დეკომპილირებით მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი კომპიუტერული პროგრამის შესაქმნელად, რომელიც თავისი არსითა და სახით მსგავსია დეკომპილირებული პროგრამისა.

არ დაიშვება, აგრეთვე, დეკომპილირების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებით ნებისმიერი სხვა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც არღვევს საავტორო უფლებას.

3. ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება

განსაკუთრებული უფლებების ასეთი სახის შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს შესაძლებელი იყოს ზოგიერთ გადაუდებელ შემთხვევაში ან საზოგადოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაწესდეს ნაწარმოების „კეთილშობილი მიზნით გამოყენების“ რეჟიმი. შესაბამისად, შეზღუდულია იმ სუბიექტთა რიცხვი, რომლებსაც აქვთ დაუბრკოლებრივ ისარგებლონ უფლებათა შეზღუდვის ამგვარი რეჟიმით. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მიხედვით რეპროგრაფიული გამრავლების უფლება აძლევს ბიბლიოთეკებსა და არქივებს განადგურებული,

დაკარგული ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარი ეგზემპლარების შესაცვლელად. ამასთან, გამრავლებას ექვემდებარება ნაწარმოები მთლიანად და არა მხოლოდ მისი ნაწილი. ბიბლიოთეკებსა და არქივებს უფლება აქვთ აგრეთვე მოახდინონ რეპროგრაფიული გამრავლება ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებებისა, ან წერილობითი სხვა ნაწარმოებების მოკლე ნაწყვეტებისა ფიზიკურ პირთა მოთხოვნით სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი სარგებლობის მიზნით. რეპროგრაფიული გამრავლების უფლება არ ვრცელდება კომპიუტერულ პროგრამაზე.

რეპროგრაფიული გამრავლების უფლების მქონე სუბიექტია აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ რეპროგრაფიული გამრავლება ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებებისა, ან წერილობითი სხვა ნაწარმოებების მოკლე ნაწყვეტებისა ამ დაწესებულებებში მეცადინეობების ჩატარების მიზნით.

4. უფლებათა შეზღუდვა „კეთილშობილური მიზნით“

ეს შეზღუდვა ვრცელდება არა მარტო წინა აბზაცით მითითებულ სასწავლო დაწესებულებების მიერ რეპროგრაფიულ გამრავლებაზე.

აღნიშნული კუთხით დასაშვებია ნაწარმოების გამოყენება საავტორო უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე თუ მიზანია ცოდნისა და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ გადაცემის შეუფერხებელი მოწყობა და სხვ. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მიხედვით დაშვებულია:

გამოქვეყნებული ნაწარმოებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციების სახით გამოცემებში, რადიო ან ტელეგადაცემებში, ფონო და ვიდეო ჩანაწერებში მხოლოდ იმ მოცულობით, რაც შეესაბამება დასახულ მიზანს. მოცემულ შემთხვევებისთვის მიზანი შეიძლება იყოს სწავლება, პოლემიკური ან კრიტიკული სტატიის გამოქვეყნება, რომელშიც ილუსტრაცია ემსახურება აზრის უკეთესად გადმოცემას;

ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის. ციტატა უნდა წარმოადგენდეს ნაწარმოების ფრაგმენტს, რომლის მოცულობაც არ უნდა გასცდეს ციტირების მიზანს;

რეპროდუცირება პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისა ან ეთერში გადაცემული ნაწარმოებებისა ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით, აგრეთვე საჯარო გადაცემა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისა ან ეთერში გადაცემული ნაწარმოებებისა. მითითებული რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მართებულია, თუ აღნიშნული სტატიები ან ეთერში გადაცემული ნაწარმოებები ეხება რელიგიურ, მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ან სოციალურ საკითხებს. მიზანი ნაწარმოების გამოყენებისა მოცემულ შემთხვევებში ცოდნის დაუბრკოლებრივი გავრცელებაა. ამასთან, რეპროდუცირება საავტორო უფლებათა მფლობელის ნებართვის გარეშე არამართლზომიერია, თუ ავტორის მიერ სპეციალურად არის აკრძალული ასეთი ქმედება.

რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენების მსვლელობისას მოსმენილი ან დანახული ნაწარმოებისა. მოცემული სახის ქმედება მიმდინარე მოვლენების მიმოხილვის დროს ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით მისაღებია მხოლოდ ინფორმაციის შეუფერხებლად გავრცელების მიზნით. ამავე მიზნით არის გამართლებული პოლიტიკური მოხსენების, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით და საჯარო გადაცემა. ამ შემთხვევაში რეპროდუცირების ან საჯარო გადაცემის მოცულობა იზღუდება საინფორმაციო მიზნით.

5. რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება

საავტორო უფლებათა ასეთი შეზღუდვა ჰუმანიტარული მიზნით არის განპირობებული.

6. თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული ნაწარმოებების გამოყენება

საავტორო განსაკუთრებული უფლებების ამ შეზღუდვას წარმოადგენს მოსახლეობისათვის ღია ადგილას მუდმივად განლაგებული ნაწარმოების თავისუფალი გამოყენება რეპროდუცირების ან საჯარო გადაცემის გზით. საფუძველი კი ის არის, რომ, თუ ნაწარმოები საჯაროდ ხელმისაწვდომია, მაშინ მისი რეპროდუცირება აღარ უნდა იყოს ავტორის ნებაზე დამოკიდებული. ოღონდ დაცუ-

ლი უნდა იქნეს კანონის მოთხოვნები და რეპროდუცირებული ან საჯაროდ გადაცემული ნაწარმოები არ უნდა წარმოადგენდეს ასეთი რეპროდუცირების ან გადაცემის ძირითად ობიექტს. საავტორო უფლებათა ასეთი შეზღუდვა ვრცელდება არქიტექტურულ, ფოტოგრაფიულ და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე.

7. მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს

საავტორო განსაკუთრებულ უფლებათა ეს შეზღუდვა ჰუმანური და საჯარო ინტერესების განხორციელების ინტერესებს ეფუძნება. ამასთან, მუსიკალური ნაწარმოების შესრულება დაიშვება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ნაკარნახევია ცერემონიის ხასიათით.

8. ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა

ასეთი ჩანაწერის გაკეთება დაშვებულია ავტორთან შეთანხმების გარეშე, თუ ნაწარმოების გადაცემის უფლება მაუწყებლობის ორგანიზაციას ავტორისაგან მიღებული აქვს და იგი მოკლევადიან ჩაწერას ახდენს საკუთარი მოწყობილობებით და საკუთარი გადაცემისათვის. ამასთან, აღნიშნული ჩანაწერი უნდა განადგურდეს ჩაწერის დღიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ჩანაწერი შეიძლება შენახულ იქნეს ოფიციალურ არქივში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარი ჩანაწერი დოკუმენტური ხასიათის ინფორმაციის გარდა სხვა ინფორმაციას არ შეიცავს.

9. უფლებათა ამოწურვა

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების სამართალში გავრცელებულ უფლებათა ამოწურვის პრინციპს და აწესებს, რომ საავტორო უფლებათა მფლობელს არ შეუძლია აკრძალოს მართლზომიერად გამოცემული და გასაყიდად გამოტანილი ნაწარმოების ეგზემპლარების შემდგომი გაყიდვა ან სხვაგვარი გავრცელება. მაშასადამე, თუ ნაწარმოები იყიდება, მისი შეძენა და შემდგომი გაყიდვა ნებისმიერ პირს შეუძლია საავტორო უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე, ანუ ასეთ შემთხვევაში უფლებები ამოწურულია.

საავტორო უფლებათა შეზღუდვები გასამრჯელოს გადახდით

მართალია საავტორო სამართალი უშვებს ზოგიერთი ნაწარმოების გამოყენებას საავტორო უფლებათა მფლობელისაგან ნებართვის მიღების გარეშე, მაგრამ, იმავდროულად აწესებს გასამრჯელოს გადახდას ავტორისათვის ან საავტორო უფლებათა მფლობელისათვის. ფაქტობრივად, უფლებათა შეზღუდვის ასეთი წესი იძულებითი ლიცენზირების რეჟიმს ადგენს, ოღონდ განსხვავება კლასიკურად გაგებული იძულებითი ლიცენზიის გაცემისაგან ის არის, რომ აღნიშნული რეჟიმის განხორციელებისათვის არ არის საჭირო ნებართვისათვის მიმართვა რომელიმე კომპეტენტური ორგანოსადმი და გამოყენების აუცილებლობის მტკიცება. შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეუძლია გამოიყენოს ნაწარმოები, მაგალითად მოახდინოს რეპროდუცირება. იგულისხმება, რომ ნებართვა მიცემულია კანონით და ნაწარმოების გამოყენებაც უნდა მოხდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის თანახმად იძულებითი ლიცენზირების რეჟიმს ექვემდებარება აუდიოვიზუალური და ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოები. ამასთან, რეპროდუცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფიზიკურ პირთა მიერ და პირადი სარგებლობით შემოიფარგლება. ბუნებრივია საავტორო უფლებათა მფლობელი ვერ გააკონტროლებს თუ ვინ ახდენს ნაწარმოების რეპროდუცირებას. ამიტომ გასამრჯელოს გადახდა აკისრია იმ პირებს ვინც აწარმოებს პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებისათვის გამოსაყენებელ მოწყობილობებს – აუდიო და ვიდეო მაგნიტოფონებს და ა.შ., აგრეთვე მატერიალურ მატარებლებს – ფონო და ვიდეო ფირებს, კასეტებს, ლაზერულ ფირფიტებს და ა.შ., ან ახორციელებს მათ იმპორტს. გასამრჯელოს გადახდა არ არის გათვალისწინებული, თუ აღნიშნული მოწყობილობები და მატერიალური მატარებლები წარმოადგენს ექსპორტის საგანს ან პროფესიულ მოწყობილობას, რომელიც არ არის განკუთვნილი საშინაო გამოყენებისათვის. იგივე პირობაა ძალაში თუ აღნიშნული მოწყობილობები და მატერიალური მატარებლები შემოაქვთ საზღვარგარეთიდან ფიზიკურ პირებს პირადი სარგებლობისათვის.

ავტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს რომ გაუადვილდეთ გასამრჯელოს მიღება შეუძლიათ მიმართონ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს, რომლებიც

შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით დაწესებულია გასამრჯელოს სანიმუშო ოდენობა, რომელიც შეადგენს ავტორებისათვის – 40%, შემსრულებლებისათვის და ფონოგრამების დამამზადებლებისათვის – 30%. გასამრჯელოს მითითებული ოდენობა შეიძლება სხვაგვარად განაწილდეს კონკრეტული ხელშეკრულების მიხედვით, მაგრამ არ შეიძლება მითითებულზე ნაკლები იყოს.

II. მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები

საავტორო უფლებათა მსგავსად, დაშვებულია მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები.

– **ზემოთ განხილულ უფლებათა ამოწურვის პრინციპი ვრცელდება მომიჯნავე უფლებებზეც.** ასე მაგალითად, საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი ადგენს, რომ მართლზომიერად გამოქვეყნებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარი, რომელიც თავისუფლად იყიდება, შეიძლება შემდგომ ასევე თავისუფლად გაავრცელოს ნებისმიერმა მესამე პირმა. ასეთ პირს ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობა არ სჭირდება და მისგან არც ჰონორარის გადახდა მოითხოვება. ვიდეოგრამის და ფონოგრამის გაქირავებაზე უფლებათა ამოწურვის პრინციპი არ ვრცელდება.

მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებებისა და საავტორო უფლებების გამოყენების ანალოგიურობიდან გამომდინარე უფლებათა შეზღუდვებიც მეტად თუ ნაკლებად მსგავსია.

– **დაშვებულია გასამრჯელოს გადახდის გარეშე მომიჯნავე უფლებათა ობიექტების გამოყენება.** კერძოდ არ მოითხოვება უფლებათა მფლობელის თანხმობა მათი პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებისათვის, ციტირებისათვის, ილუსტრაციად გამოყენებისათვის, მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში მოკლე ნაწყვეტების ჩართვისათვის და. აშ.

მომიჯნავე უფლებებისათვისაც, საავტორო უფლებების ანალოგიით, დადგენილია შეზღუდვა, რომელიც ცნობილია, **როგორც მოკლევადიანი სარგებლობის უფლება**. ეს შეზღუდვა მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით თავისებურია. იგი ეძლევა საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია მომიჯნავე განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელის თანხმობის მიუხედავად ჩაწეროს (მოკლევადიანი სარგებლობისათვის) შესრულება და გა-

დაცემა. კანონით დადგენილია პირობები, რომლებიც უნდა იქნეს დაცული ასეთი ჩაწერის გაკეთებისა და ჩანაწერის რეპროდუცირებისათვის. კერძოდ, მაუწყებლობის ორგანიზაციამ, რომელიც ჩაწერას ახორციელებს, უნდა მიიღოს თანხმობა იმ შესრულების ან გადაცემის გადაცემაზე, რომელიც უნდა იქნეს ჩაწერილი ან რეპროდუცირებული მოკლევადიანი სარგებლობისათვის. ამასთან, ჩაწერა უნდა ხდებოდეს მხოლოდ საკუთარი მოწყობილობის მეშვეობით და საკუთარი გადაცემისათვის. გარდა აღნიშნულისა, ჩანაწერი უნდა იქნეს განადგურებული იმ პირობებისა და ვადების დაცვით, რაც დადგენილია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების მოკლევადიან ჩანაწერებთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩანაწერი უნდა განადგურდეს დამზადებიდან 6 თვის შემდეგ, თუ ხელშეკრულებით სხვა, უფრო ხანგრძლივი ვადა არ არის დადგენილი. აგრეთვე, ჩანაწერი შეიძლება შენახულ იქნეს ოფიციალურ არქივში, თუ ის მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტურ ხასიათს ატარებს.

– **ასევე დაშვებულია მომიჯნავე უფლებათა ობიექტების უნებართვო გამოყენება გასამრჯელოს გადახდის პირობით.** ამ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი იყენებს შესრულებას, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემას და მათ ჩანაწერებს, ან ახდენს ფონოგრამის, ვიდეოგრამის რეპროდუცირებას პირადი სარგებლობისათვის, მაშინ მომიჯნავე უფლებათა მფლობელს უნდა მიეცეს გასამრჯელო იმ წესით, რა წესიც არის გათვალისწინებული საავტორო უფლებათა მფლობელთათვის.

უფლებათა შეზღუდვები დაწესებულია მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის დამამზადებლისათვისაც. კერძოდ, დაშვებულია ფონოგრამის საჯარო შესრულება, მისი გადაცემა ეთერში ან კაბელით.

გასამრჯელოს აგროვებს და ანაწილებს უფლებათა კოლექტიური მართვის ორგანიზაცია. გასამრჯელოს ოდენობა და გადახდის წესი დგინდება ფონოგრამით მოსარგებლეთა და კოლექტიური მართვის ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით. შესაბამისად, სამართლიანი პირობების ჩამოყალიბებისათვის მოსარგებლეებმა კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს უნდა წარუდგინონ ამომწურავი ინფორმაცია ფონოგრამების გამოყენების თაობაზე. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან გასამრჯელოს ოდენობასა და გადახდის წესს განსაზღვრავს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. გასამრჯელო უნ-

და იქნეს განსაზღვრული და გადახდილი ფონოგრამის გამოყენების ყოველი ფორმისათვის. მომიჯნავე უფლებათა წარმოდგენილი შეზღუდვებიც შეიძლება განვიხილოთ იძულებით ლიცენზიებად.

თავი 10. საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ფარგლები

როგორც ცნობილია, ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ნივთზე საკუთრებისაგან ის გახლავთ, რომ ქონებრივი უფლებები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით შეზღუდულია სივრცესა და დროში.

ავტორებისა და მომიჯნავე უფლებების სუბიექტების განსაკუთრებული უფლებები **სივრცით – მოცემული ქვეყნის ტერიტორიით არის შემოფარგლული** (მაგალითად, იმ ქვეყნით, სადაც წარმოიშვა ნაწარმოები ან პირველად შესრულდა და ა.შ.). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველო ბერნის კონვენციის წევრი ქვეყანაა, მაშინ გასაგებია, რომ ქართველ ავტორთა საავტორო უფლებები, ამ კონვენციის ავტომატური დაცვის პრინციპის თანახმად, მოქმედებს ბერნის კონვენციის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზეც. იგივეს ვერ ვიტყვით მომიჯნავე უფლებების მიმართ, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველო არ არის შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებების დაცვის რომის კონვენციის მონაწილე. ამჟამად უკვე მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტაცია რომის კონვენციასთან მისაერთებლად.

განსაკუთრებული უფლებების მოქმედება შეზღუდულია დროით იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ საზოგადოებას თავისი განვითარებისათვის აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად, ავტორისაგან დაუკითხავად ისარგებლოს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგით. სხვაგვარად მეცნიერული თუ კულტურული პროგრესი წარმოუდგენელია. მაგრამ არც ის იქნება სამართლიანი, თუ ინტელექტუალური გარჯის შედეგად შექმნილი ობიექტის ავტორს საერთოდ არ ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს საკუთარი შემოქმედების ნაყოფით და მიიღოს შესაბამისი მატერიალური სიკეთე. ამ ორი შეხედულებიდან გამომდინარე, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ყაბულდება ერთგვარი კომპრომისით და ავტორს, შემსრულებელს, ფონოგრამის დამამ-

ზადებელსა და სხვა სუბიექტებს ანიჭებს მათ მიერ შექმნილი ობიექტის გამოყენების განსაკუთრებულ უფლებებს. ამ უფლებათა მოქმედება დგინდება გარკვეული ვადით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნაწარმოები, შესრულება, ან სხვა ობიექტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლად, ნებისმიერი პირის მიერ.

განსაკუთრებული უფლებების მოქმედების მინიმალურ ვადებს ადგენს ბერნის კონვენცია – საავტორო უფლებებისათვის და რომის კონვენცია – მომიჯნავე უფლებებისათვის. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი ითვალისწინებს ორივე კონვენციის მოთხოვნებს და **საავტორო უფლებების მოქმედების ვადას განსაზღვრავს 70 წლით post mortem auctoris.** საავტორო განსაკუთრებული უფლებების მოქმედების სრულად გაშუქებისათვის საჭიროა შევეხოთ ცალკეულ შემთხვევებს.

- თუ ნაწარმოები თანაავტორობით არის შექმნილი, მაშინ მათი განსაკუთრებული უფლბები იწურება უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ. ეს წესი ვრცელდება მათ შორის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე.
- თუ ნაწარმოები ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნდა, მაშინ განსაკუთრებული უფლებების მოქმედება ამ ნაწარმოების გამოქვეყნებიდან აითვლება და 70 წლის განმავლობაში გრძელდება.
- საავტორო უფლებების მოქმედების ვადა ნაწარმოებზე, რომელიც ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნდა, აითვლება გამოქვეყნების თარიღიდან. ხოლო, თუ ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ან ფსევდონიმით დასახელებული ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს, მაშინ უფლებების მოქმედების ვადა ჩვეულებრივი წესით აითვლება.
- აგრეთვე, ისეთ ობიექტებზე, როგორიცაა ენციკლოპედია, ენციკლოპედიური ლექსიკონი, მეცნიერული ნაშრომების პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებული, გაზეთი, ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა, განსაკუთრებული უფლება მოქმედებს მათი გამოქვეყნების თარიღიდან, ხოლო თუ გამოქვეყნების ფაქტი არ მომხდარა, მაშინ შექმნის თარიღიდან და გრძელდება ასევე 70 წლის მანძილზე.

იმ პირის ქონებრივი უფლებები, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა აქამდე უცნობი ნაწარმოები, მოქმედებს 25 წლის მანძილზე გამოქვეყნების თარიღიდან.

მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებები მოქმედებს 50 წლის განმავლობაში:

- შემსრულებლისათვის – პირველი შესრულებიდან;
- ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლისათვის – მათი პირველი ჩაწერიდან, თუ მოხდა ფონოგრამის ან ვიდეოგრამის მართლზომიერი გამოცემა ან საჯარო გადაცემა – მაშინ გამოცემის ან გადაცემის თარიღიდან;
- მაუწყებლობის ორგანიზაციისათვის – გადაცემის პირველად განხორციელებიდან (ეთერში ან კაბელით).

მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 15 წლის მანძილზე მისი დამზადების დღიდან, ან, თუ მონაცემთა ბაზა ამ დროის განმავლობაში გამოქვეყნდა, გამოქვეყნების თარიღიდან.

თავი 11. უფლებათა გადაცემა

ინტელექტუალური საკუთრება ისევე, როგორც ნივთზე საკუთრება, შეიძლება გადაცემის საგანი იყოს. მაგრამ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი ნივთისგან განსხვავებით ფიზიკურად ვერ გადაეცემა, რადგან არამატერიალურ ქმნილებას წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინტელექტუალური საკუთრების სამართალი იცნობს გამოყენების განსაკუთრებული უფლებების (ქონებრივი უფლებები) დროებით ან სამუდამოდ გადაცემის პრაქტიკას. სანივთო სამართლის მიხედვით შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საკუთრივ ნივთი, ასევე დროებით ან მუდმივად. უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (ინგლისურ-ამერიკული, კონტინენტური, საერთაშორისო), საზოგადოდ, არ უშვებს ქმნილების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების გადაცემას. საქართველოს საავტორო სამართალი მისდევს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულ პრინციპებს. დადგენილია, რომ ძირეული საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებები – ავტორობის უფლება, სახელის უფლება და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება გადაცემას არ ექვემდებარება (მემკვიდრეობითაც კი). ასეთივე წესი მოქმედებს მომიჯნავე პირადი უფლებებისათვისაც, რომლებიც შემსრულებელს გააჩნია (უფლება სახელზე, რეპუტაციის პატივისცემის უფლება).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლება იმდენად ახლო კავშირშია ქონებრივ უფლებებთან, რომ დასაშვებია მათი გადაცემა კანონით ან მემკვიდრეობის წესით. ეს უფლებებია – უფლება, მისცეს ნებართვა ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოებების დართვისა (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და ა.შ.); უფლება, გამოაქვეყნოს გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. ორივე უფლება მემკვიდრეობით გადადის, თუმცა ავტორს შეუძლია თავისი სიცოცხლის განმავლობაში სხვანაირად განკარგოს ამ უფლებათა ბედი. ამ წესით შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ ერთი რამ, რომ ავტორს შეუძლია სხვა პირს დააკისროს მოცემულ უფლებათა განხორციელების კონტროლი. მას არ შეუძლია გაასხვისოს ისინი, რადგან პირადი არაქონებრივი უფლებები განუსხვისებელი უფლებებია. ამასთან, თუ, ზემოაღნიშნული პირველი უფლება შეიძლება გადავიდეს საავტორო უფლებათა მოქმედების ვადის ფარგლებში, მეორე გადადის უვადოდ, ანუ ამ უფლების დაცვა ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებების მსგავსად, ხორციელდება უვადოდ.

პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსახვავებით სხვა სიტუაციაა საავტორო და მომიჯნავე განსაკუთრებულ უფლებებთან მიმართებაში. **ქონებრივი ხასიათის გამო საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა გამოყენების განსაკუთრებული უფლება შეიძლება გასხვისდეს ნებისმიერი სახით, გადაეცეს მემკვიდრეობით – კანონით ან ანდერძით, ანდა ხელშეკრულების ძალით გადაეცეს მესამე პირს.**

განსაკუთრებული უფლებების მფლობელს შეუძლია ნებისმიერ მსურველ პირს მისცეს ნებართვა ნაწარმოების გამოყენებაზე. ასეთი ნებართვის გაცემას ლიცენზია ეწოდება, რაც ფორმდება წერილობით, საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულების სახით. საავტორო სამართალი იცნობს ორი სახის სალიცენზიო ხელშეკრულებას (შემდგომ ლიცენზია): ჩვეულებრივსა და განსაკუთრებულ ლიცენზიას.

ჩვეულებრივი ლიცენზია[1] ისეთ ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომელიც ვერ აკრძალავს ნაწარმოების გამოყენებას ავტორის მიერ, მათ შორის იმავე პირობებით ლიცენზიის სხვა პირისათვის მიცემას. ამგვარი ლიცენზიის თანახმად, ლიცენზიის გამცემი (ლი-

[1] სამრეწველო საკუთრების სამართალში ასეთ ლიცენზიას მარტივი ლიცენზია ეწოდება.

ცენზიარი) ვალდებულია თავად განახორციელოს უფლებათა დარღვევაზე თვალდევნება და დარღვეული უფლებების დაცვა. ლიცენზიის მიმღები (ლიცენზიატი) ვალდებულია ხელი შეუწყოს განსაკუთრებული უფლებების დარღვევის გამოვლენას და, თუ ამას ლიცენზიარი მოითხოვს, გამოვიდეს სასამართლოში მის მხარეზე. ლიცენზიატს არა აქვს უფლება თავად გასცეს ლიცენზია სხვა პირზე (სუბლიცენზია), თუ ხელშეკრულებით არ იქნა ეს საგანგებოდ გათვალისწინებული.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს ან მასში არ არის მოცემული ისეთი კონკრეტული პირობები და საშუალებანი, რომლებიც ცხადად მიუნიშნებენ თუ რა ტიპის სალიცენზიო ხელშეკრულებაა დადებული, მაშინ იგულისხმება, რომ ხელშეკრულება ჩვეულებრივ ლიცენზიას წარმოადგენს. ჩვეულებრივ ლიცენზიას ეხება საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 38-ე მუხლი. ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემა არ იწვევს განსაკუთრებული უფლებების გადაცემას.

განსაკუთრებული ლიცენზია ისეთი ლიცენზიაა, რომლის მიხედვით ლიცენზიარი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირს აძლევს ნაწარმოების გამოყენების უფლებას განსაკუთრებული საშუალებებითა და პირობებით. ასეთი ხელშეკრულებით ლიცენზიატს გადაეცემა განსაკუთრებული უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს ნაწარმოების გამოყენება ხელშეკრულებაში აღნიშნული საშუალებებითა და პირობებით. ნაწარმოების გამოყენება ლიცენზიარსაც ეკრძალება. აქედან გამომდინარე, ლიცენზიატი თავად არის ვალდებული აღკვეთოს განსაკუთრებული უფლებების დარღვევა. თუ ის ამ მოვალეობას ვერ, ან არ ასრულებს, მაშინ ლიცენზიარს აქვს უფლება თავად განახორციელოს განსაკუთრებული უფლებების დაცვა. ბუნებრივია, როცა ლიცენზიატი ახორციელებს განსაკუთრებული უფლებების დარღვევის აღკვეთის ღონისძიებებს, ლიცენზიარი ვალდებულია გამოვიდეს მის მხარეზე. აღნიშნული პრინციპები ცნობილია ინტელექტუალური სამართლის თეორიიდან და შესაბამისად არის გადმოცემული საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში. იგი ავტორს ნაწარმოების გამოყენებას უკრძალავს, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ავტორს საერთოდ არ შეუძლია გამოიყენოს თავისი ნაწარმოები განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის ნებართვის გარეშე. მაგალითად, თუ ავტორმა ლიცენზია ტერიტორიით საქართველოთი შემოფარგლა, მას შეუძლია სხვა პირ-

საც მისცეს ლიცენზია (ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული) თურქეთის ან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყენების პირობით. გარდა ამისა, ავტორს უნარჩუნდება ნაწარმოების გამოყენების უფლება, თუ ის განიზრახავს საკუთარი ნაწარმოების სრული კრებულის გამოქვეყნებას. ეს უფლება ავტორმა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ მაშინ, როცა ნაწარმოების გამოქვეყნებიდან გასულია არა ნაკლებ ხუთი წელიწადი. ავტორს ასეთი ნაწარმოების გამოყენება სრული კრებულისაგან დამოუკიდებლად ეკრძალება განსაკუთრებული ლიცენზიის მოქმედების დროს.

ლიცენზია – განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი უნდა გაფორმდეს წერილობით. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი ხელშეკრულების წერილობით დადების მოთხოვნას აწესებს, ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ლიცენზია შეიძლება გაიცეს ზეპირადაც, კერძოდ, წერილობითი ფორმა არ მოიცავს ლიცენზიას პერიოდულ გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების თაობაზე. ასევე ზეპირად შეიძლება დაიდოს ლიცენზია ნაწარმოების ტელევიზიით ან რადიოთი ერთჯერადად გადაცემის თაობაზე.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი განსაზღვრავს იმ აუცილებელ მონაცემებს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულებით. ასახელებს რა ამ ხელშეკრულებას საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი მას ცალკე ტიპის ხელშეკრულებად არ მოიაზრებს, არამედ იგულისხმება ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის საგანიც არის საავტორო ქონებრივი უფლებები. კანონითვე დადგენილია წესები ასეთი ხელშეკრულების განმარტებისათვის, თუ ის სრულყოფილი არ არის და ზუსტად ვერ გამოხატავს ხელშეკრულების არსს, რის გამოც სადავოა მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულებაში ზუსტად უნდა აღიწეროს ნაწარმოები (მისი მოცულობა, ჟანრი, სახელწოდება), დასახელდეს გამოყენების კონკრეტული საშუალებები, დადგინდეს ნაწარმოების გამოყენების ტერიტორიული ფარგლები და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აისახოს გასამრჯელოს (ჰონორარის) ოდენობა ან განსაზღვრის წესი ნაწარმოების გამოყენების ყველა იმ კონკრეტული საშუალებისათვის, რაზედაც იქნა მიღწეული შეთანხმება. ამასთან, უნდა იყოს მოცემული გასამრჯელოს გადახდის წესი და ვადა. ხელშეკრულებაში შეიტანება სხვა პირობებიც, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ.

საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებზე დაყრდნობით განმარტებულია, რომ ავტორს უფლება აქვს გამოიყენოს ნაწარმოები იმ საშუალებებით, რომლებიც სალიცენზიო ხელშეკრულებაში არ არის ჩამოთვლილი. ეს განმარტება ეკუთვნის განსაკუთრებულ ლიცენზიას, თორემ ჩვეულებრივი ლიცენზიისათვის ისედაც ცხადია, რომ ავტორს ნაწარმოების გამოყენება ვერ აეკრძალება.

თუ ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების საშუალებანი, ეს იმას ნიშნავს, რომ ლიცენზიით დადგენილი არ არის ნაწარმოების გამოყენების რა კონკრეტული უფლებების გადაცემა ხდება. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ ლიცენზია გაცემულია ნაწარმოების გამოყენებაზე ისეთი საშუალებებით, რომლებიც (მხარეთა განზრახვის ანალიზისა და ზუსტი შინაარსის დადგენის გათვალისწინებით) შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად მხარეთა მიზნის მისაღწევად. ამასთან, ვლინდება მხარეთა ის განზრახვა, რაც ხელშეკრულების დადებისას ამოძრავებდა მათ.

იმპერატიულად არის დადგენილი გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, როდესაც სალიცენზიო ხელშეკრულება არსებითი ხარვეზით არის დადებული. თუ ლიცენზია არ ითვალისწინებს უფლებათა გადაცემის ვადას, მაშინ მისი მოშლა დასაშვებია ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ. ეს წესი გამოიყენება მხოლოდ ავტორის მიერ და ლიცენზიატს უფლება არ აქვს შეეწინააღმდეგოს ხელშეკრულების მოშლას, თუ ის წერილობით იყო გაფრთხილებული ექვსი თვით ადრე.

თუ ლიცენზია ტერიტორიით არ არის შემოფარგლული, მაშინ მისი მოქმედება შემოიფარგლება საქართველოს ტერიტორიით. ჩვენი აზრით, ასეთი წესი ბოლომდე სრულყოფილი ვერ იქნება. კერძოდ, მართებული იქნება ასეთი ნორმა გავრცელდეს ისეთ ლიცენზიაზე, რომელიც უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში გაფორმდა? მიგვაჩნია, რომ თუ ეს ქვეყანა ბერნის კონვენციის წევრია, მაშინ ნაწარმოების დაცვის ავტომატური რეჟიმის გათვალისწინებით მართებული იქნება ტერიტორია იმ ქვეყნის ფარგლებით განისაზღვროს, რომელ ქვეყანაშიც იქნა გაფორმებული მოცემული ხელშეკრულება (თუ მხარეები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებია).

გარდა აღნიშნულისა, თუ ნაწარმოების რეპროდუცირებაზე გაცემული ლიცენზია ჰონორარის ოდენობას ფიქსირებული თანხით განსაზღვრავს, მაშინ უნდა იქნეს დადგენილი ნაწარმოების რეპ-

როდუცირების მაქსიმალური ტირაჟი. ამასთან, განმარტებული არ არის, რა ტირაჟი უნდა იქნეს მიჩნეული მართებულად, თუ ის ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის. თუ საჭირო გახდა ამ საკითხის გადაწყვეტა, მაშინ მოსამართლემ ტირაჟი უნდა დაადგინოს გონივრული მოთხოვნილების განსაზღვრისა და სხვა გარემოებების (მაგ. ჰონორარის ოდენობის გამოთვლისა და გადახდის წესი) გათვალისწინებით.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი უშვებს უფლებათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას ჯერ კიდევ არშექმნილ ნაწარმოებზე. ასეთი ხელშეკრულება ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებად არის მოხსენიებული. ეს ხელშეკრულება სამსახურებრივი ნაწარმოების შექმნასა და გამოყენებას უკავშირდება. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ავტორს ევალება ნაწარმოების შექმნა და შემკვეთისათვის გადაცემა. ეს უკანასკნელი ვალდებულია მიიღოს ნაწარმოები და გადაუხადოს ავტორს დათქმული ჰონორარი. ავტორი ვალდებულია პირადად შექმნას ნაწარმოები, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სხვა რამეს, მათ შორის ნაწარმოების შექმნაში სხვა პირის ჩართვის, ან ავტორთა კოლექტივის შემადგენლობის შეცვლას, რაზედაც აუცილებელია შემკვეთის თანხმობა.

შემკვეთი ათვალიერებს ნაწარმოებს და იწონებს ან არ იწონებს მას, ან ავტორს სთხოვს მასში შესწორებების შეტანას. ყოველივე ამის შესაძლებლობა უნდა იყოს გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობებით. შემკვეთი ვალდებულია წერილობით აცნობოს ავტორს დაწუნების ან ნაწარმოებში შესწორებების შეტანის შესახებ. თუ წერილობით ავტორს არაფერი არ ეცნობა, მაშინ ითვლება, რომ ნაწარმოები მოწონებულია. თუ ნაწარმოების მოწონების პირობები ხელშეკრულებაში ჩადებული არ არის, მაშინ, ჩვენი აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას მიუხედავად მისი ავკარგიანობისა, მოცულობისა და ა.შ., შემკვეთმა ნაწარმოები ყველა შემთხვევაში უნდა მიიღოს და ავტორს გადაუხადოს კუთვნილი ჰონორარი. ამ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ შემკვეთი ავტორს „ბრმად" ხელშეკრულებას არ დაუდებს, მისთვის ავტორის რეპუტაცია წინასწარ იქნება ცნობილი. თუკი ავტორი საზოგადოებისათვის ცნობილ პოეტს ან კომპოზიტორს და ა.შ. წარმოადგენს, მაშინ, მითუმეტეს, ნაწარმოები ყველა შემთხვევაში უნდა ჩაიბაროს შემკვეთმა.

ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება ავტორისათვის საავანსო თანხის გადახდასაც ითვალისწინებს, რომლის ოდენობა და გაცემის ვადა მხარეთა შეთანხმებით დგინდება. უნდა ითქვას, რომ ავანსად შეიძლება სახელშეკრულებო თანხა სრულად იქნეს გაცემული და მხარეთა გარდა ამ პირობის შეცვლა სხვა პირს არ შეუძლია.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი უფლებათა გადაცემის თაობაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომიჯნავე უფლებების გადაცემის შემთხვევებზეც, mutatis mutandis, გარდა იმ შემთხვევისა, რომელსაც საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი საგანგებოდ ეხება. მის თანახმად, შესრულების ეთერში ან კაბელით გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლებას აძლევს ჩაიწეროს შესრულება, მოაწყოს მისი განმეორებითი ან შემდგომი გადაცემა, ან რეპროდუცირება მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირდაპირ იქნება გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

ხელშეკრულებით აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე შემსრულებელს გადაეცემა შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები. თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ გაითვალისწინებს, მაშინ დამამზადებელს უფლება არ აქვს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში დაფიქსირებული ხმა და გამოსახულება ცალცალკე გამოიყენოს შემსრულებლის ნებართვის გარეშე. აღსანიშნავია, რომ აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება არ გულისხმობს მისი გაქირავების უფლების გადაცემას. გაქირავების უფლების გადაცემას ითვალისწინებს ხელშეკრულება შესრულების ფონოგრამასა ან ვიდეოგრამაზე ჩაწერის თაობაზე. ხელშეკრულების სხვა პირობებთან ერთად შემსრულებელს უნარჩუნდება ასეთი ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქირავებისათვის ჰონორარის მიღების უფლება.

ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხელშეკრულებით ვერ აიკრძალება ავტორის უფლება, შექმნას ნაწარმოები მომავალში (სხვა ნაწარმოები) იმავე თემაზე და იმავე იდეაზე აგებული, რომელზეც დადებულია ხელშეკრულება. გარდა ამისა, ხელშეკრულება ვერ დაიდება იმ ნაწარმოებების შემკვეთისათვის გადაცემის პირობით, რომლებიც ავტორმა შეიძლება მომავალში შექმნას. მაშასადამე, ნაწარმოების გადაცემისათვის ავტორს კონკრეტული ნაწარმოების შექმნის დაკვეთა უნდა ჰქონდეს მიღებული.

ავტორს, შემსრულებელს თავისი ქონებრივი უფლებების გამოყენება და მართვა შეუძლია განახორციელოს თვითონ, ან ანდოს სხვა პირს სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენებით. სხვა პირისათვის უფლებათა მართვის დაკისრების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ტექნიკური პროგრესია. მაგალითად, საუკუნის დასაწყისში შესრულების გამოყენება შესმრულებლის გარეშე ძნელად იყო წარმოსადგენი. მაგრამ, რაც გაჩნდა რადიო, ფირფიტა და პატეფონი, მაგნიტოფონი, ვიდეოკასეტა, ჩაწერისა და დემონსტრირების ვიდეომოწყობილობა და ა.შ., შემსრულებელს პრაქტიკულად აღარ ძალუძს გამოავლინოს მისი უფლებების უამრავი დარღვევა და წააყენოს შესაბამისი მოითხოვნა. იგივე ითქმის ავტორებზეც. ამდენად, სულ უფრო იკვეთება სპეციალიზებული ორგანიზაციების არსებობის საჭიროება, რომლებიც მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა, გამომცემელთა, დამამზადებელთა და ა.შ. ქონებრივ უფლებებს. სადღეისოდ, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, განვითარებულსა თუ განვითარებადში, არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კოლექტიური მართვის საფუძველზე. მათი არსებობის მიზანი არა მარტო ქონებრივი უფლებების გამოყენების კონტროლია, არამედ ჰონორარის აკრეფა და მიღებული თანხის განაწილება. ამასთან, თვითონ ორგანიზაცია მხოლოდ საკუთარი საქმიანობისთვის საჭირო თანხებს იტოვებს. ის არ წარმოადგენს მოგების მიღებაზე გამიზნულ ორგანიზაციას. გარდა ამისა, ასეთი ორგანიზაცია საკუთარი ქვეყნის ავტორთა, შემსრულებელთა და სხვა პირთა უფლებების უცხოეთის ქვეყნებში მართვისათვის უკავშირდება საზღვარგარეთულ ასეთსავე ორგანიზაციებს და შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე ერთობლივად აღწევს მიზანს. კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ანალოგიურ მომსახურებას უწევს უცხოელ პარტნიორს იქაურ ავტორთა და შემსრულებელთა უფლებების მართვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ეხმარება ავტორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ხელშეკრულების მომზადებასა და გაფორმებაში. აგრეთვე, ეს ორგანიზაციები აგროვებენ და ავრცელებენ ინფორმაციას საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მართავენ საქველმოქმედო ან სოციალური კეთილდღეობის მიზნით შექმნილ ფონდებს, რომლებიც ავტორებს აღმოუჩენენ დახმარებას (ფინანსურს ან სხვაგვარს), ხელს უწყო-

ბენ ქვეყნის კულტურული პოტენციალის გამოვლენას, შენარჩუნებასა და ამაღლებას.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციები, როგორც წესი, იქმნება ავტორთა, შემსრულებელთა, დამამზადებელთა საზოგადოებების მიერ. კოლექტიური მართვის ორგანიზაციები შეიძლება დაფუძნდეს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტები, ან საჯარო სამართლის სუბიექტები. უკანასკნელი ტიპის ორგანიზაციების არსებობა დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის. მაგალითად, ბრაზილიაში კერძო სამართალის სუბიექტ ორგანიზაციებთან ერთად არსებობს საავტორო უფლებათა ეროვნული საბჭო. ზოგ ქვეყანაში მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაცია არსებობს, მაგალითად, ალჟირში, სენეგალსა და სხვ.

აღნიშნული ორგანიზაციები შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულია გაუწიოს ავტორებს ფინანსური მხარდაჭერა, პენსიების გადახდის ჩათვლით. მაგალითად, გერმანიაში ამას კანონი პირდაპირ ავალებს უფლებათა მართვის ორგანიზაციებს. საფრანგეთში ავტორთა, კომპოზიტორთა და მუსიკოსთა საზოგადოება (SACEM) კვარტალში ერთხელ უხდის გარკვეულ თანხას ისეთ წევრებს, რომელთა ასაკიც 55 წელს აღემატება. აგრეთვე, გაიღებს სახსრებს მათი მკურნალობისათვის და ა.შ. კოლექტიური მართვის ორგანიზაციები, როგორც წესი, საავტორო და მომიჯნავე უფლებებს მართავენ ერთდროულად. იშვიათია ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ მომიჯნავე უფლებებს მართავენ. ასეთია, მაგალითად, შემსრულებელთა ორგანიზაციების საბჭო იაპონიაში, შემსრულებელ ხელოვანთა სამეფო ფონდი ნორვეგიაში. ამგვარი ორგანიზაციები არსებობენ არგენტინაში, ჩეხეთში, მექსიკაში, შვედეთში, შვეიცარიაში და ა.შ.

როგორც ზემოთ გაშუქებულიდან ჩანს, კოლექტიური მართვის ორგანიზაციები მსოფლიოში გავრცელებული და საჭირო სუბიექტებია, რომლებიც არა მარტო უფლებათა მფლობელების ინტერესებს, არამედ მომხმარებელთა ინტერესებსაც ემსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერც საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი აუვლიდა გვერდს მათ არსებობას და X თავით დააწესა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაციების არსებობა. ამ თავში მოცემულია აგრეთვე მათი ძირითადი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. ასეთი ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას ფონდების ან კავშირების ფორმით – არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით.

საქართველოში ამჟამად მოქმედებს უფლებათა მართვის რამდენიმე კოლექტიური ორგანიზაცია.

თავი 13. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა და დაცვა

ზოგადი გაგებით, საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევად ითვლება ნებისმიერი ისეთი ქმედების თვითნებურად განხორციელება, რომელზეც უფლებების მფლობელის ნებართვა ან თანხმობა არის საჭირო. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში მოცემული საავტორო და მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებების უნებართვო გამოყენება განიხილება ქონებრივი უფლებების დარღვევად. საკმარისია უნებართვოდ განხორციელდეს ცალკეული განსაკუთრებული უფლებით მოცული ქმედება, რომ დადგინდეს უფლებათა დარღვევა.

ქონებრივის გარდა, შეიძლება დარღვეულ იქნეს ავტორის ან შემსრულებლის მორალური უფლებები.

საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედება განიხილება, როგორც ქურდობა, სხვისი ნივთის მითვისების მცდელობა და შესაბამისად ექვემდებარება აღკვეთას.

გვინდა კვლავ გავუსვათ ხაზი იმას, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა ხორციელდება ნივთზე საკუთრებისაგან დამოუკიდებლად. კერძოდ, თუ წიგნის ავტორი ვინმეს უსაჩუქრებს ამ ნაწარმოების ეგზემპლარს, ცხადია, ის ამ ეგზემპლარის მესაკუთრე ველარ იქნება. მაგრამ, იმავდროულად, პირი, რომელმაც საჩუქარი მიიღო, საავტორო უფლების მფლობელი ვერ გახდება, თუ მას ავტორმა რომელიმე განსაკუთრებული უფლება არ დაუთმო. ამდენად, ასეთი პირი, თუ გაამრავლებს და გაავრცელებს აღნიშნული წიგნის ეგზემპლარს, ის დაარღვევს ავტორის განსაკუთრებულ უფლებებს. იგივე ითქმის მომიჯნავე უფლებების ობიექტებზე. მაგალითად, ვიდეოკასეტაზე, ფონოგრამაზე და ა.შ.

საავტორო სამართლიდან ცნობილია შემდეგი სახის უფლებათა დარღვევები: **პლაგიატი, კონტრაფაქცია, მეკობრეობა (პირატობა) და ბუთლეგერობა.**

პლაგიატი უკავშირდება მორალური უფლებების დარღვევებს, ის ისეთი ქმედებაა, რომლის მიხედვითაც ხდება საავტორო სამართლის რომელიმე ობიექტის მითვისება, წარდგენა ან გასაღება, როგორც საკუთარი ნაწარმოებისა. ამასთან, საავტორო სამართლის ობიექტის, მაგალითად, ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების, მითვისება შეიძლება მოხდეს მთლიანად, ნაწილობრივ,

გადაკეთებული სახით ან კონტექსტით. ასეთ შემთხვევაში დამრღვევი პირი ნამდვილი ავტორის სახელს არ მიუთითებს. დამრღვევი ქმედებების კვალიფიცირებისას უნდა გვახსოვდეს, რომ საავტორო სამართალი იცავს გამოხატვის ფორმას და არა ნაწარმოების შინაარსს განყენებულად. მაგალითად, თუ რომელიმე მათემატიკოსი გამოსცემს ნაწარმოებს, რომელშიც თავისებურად აშუქებს სინგულარული ინტეგრალური განტოლებების სისტემის ინდექსის ფორმულას, ეს არ ნიშნავს, რომ ის დაარღვევს ამ ფორმულისა და თეორიის ავტორის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის საავტორო უფლებებს. იგივე ითქმის, როდესაც რომელიმე პირი ნახაზებისა და ტექნოლოგიური აღწერილობის მიხედვით დაამზადებს რაიმე ნივთს. ეს არ ნიშნავს, რომ პირმა, რომელმაც ნივთი დაამზადა, დაარღვია ნახაზების ან ტექნოლოგიური აღწერილობის ავტორის საავტორო უფლება. მაგრამ, თუ პირი ააგებს შენობას არქიტექტურული პროექტის მიხედვით, რომელზეც საავტორო უფლება სხვას ეკუთვნის და თავს ამ არქიტექტურული ობიექტის ავტორად წარმოადგენს, მაშინ ჩვენს წინაშე იქნება პლაგიატი. მაგალითად, პლაგიატი იქნება თუ რომელიმე პირი უნებართვოდ ააგებს ახალ სპორტის სასახლეს ქართველი არქიტექტორების ლ.ალექსი-მესხიშვილისა და ი.კასრაძის პროექტის მიხედვით და თავს ამ ობიექტის ავტორად გამოაცხადებს. პლაგიატის ყველაზე მარტივი მაგალითია სხვისი ნაწარმოების საკუთარი სახელით გამოქვეყნება.

კონტრაფაქციად ინტელექტუალური საკუთრების სამართალი თვლის დაცული ობიექტის არასანქციონირებულ გამოყენებას კომერციული მიზნებით, ანუ კონტრაფაქცია განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელის უფლებების ხელყოფას წარმოადგენს. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ასეთი ქმედების შედეგად დამზადებულ ან გამოყენებულ ობიექტს – ნაწარმოებს, ფონოგრამას ან ვიდეოგრამას კონტრაფაქციულ ეგზემპლარს უწოდებს. გარდა ამისა, კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთ პროდუქციად. კონტრაფაქციულად ითვლება საქართველოში დაცული იმ ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომლებიც უფლებათა მფლობელის ნებართვის გარეშე არის შემოტანილი საქართველოში ისეთი ქვეყნიდან, სადაც ეს ობიექტები არასდროს ყოფილა დაცული, ან მათი დაცვა შეწყ-

ვეტილია.[1] კონტრაფაქციული პროდუქცია უამრავი რაოდენობით ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ასეთი ქმედების აღკვეთას, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია და სხვ. საგანგებო ყურადღებას უთმობენ. ასევე, თანამედროვე საერთაშორისო ხელშეკრულებები კონტრაფაქტორთა დასჯის მკაცრ საკანონმდებლო ზომებს აწესებენ. კონტრაფაქტორთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს კონტრაფაქციული ნაწარმის ჩამორთმევა და განადგურება. კონტრაფაქტორის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები განსაკუთრებულად დიდი მასშტაბით უკანასკნელ ხანს ტარდება. ამის დასტურად ტელევიზიით 1998 წელს ფართოდ გაშუქებული ორი შემთხვევის გახსენებაც კმარა, როდესაც ჰონგ-კონგში და რუსეთში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩამორთმეულ იქნა დიდი რაოდენობის CD-დისკები პოპულარული სიმღერების ჩანაწერებით და ვიდეოკასეტები ახლადგადაღებული ფილმებით. ჩამორთმეული პროდუქცია განადგურდა ტელეკამერების წინ და მთელმა მსოფლიომ ნახა როგორ თელავდნენ და ამსხვრევდნენ მძიმე ტრაქტორები აღნიშნულ პროდუქციას.

კონტრაფაქციული პროდუქცია, და შესაბამისად თავად კონტრაფაქცია, როგორც ქმედება, საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მიხედვით ფართოდ არის განმარტებული და, ჩვენი აზრით, მოიცავს ისეთი სახის დარღვევებსაც, რომლებიც მეკობრეობას ან ბუთლეგერობას წარმოადგენს. **მეკობრეობა საავტორო უფლებათა მფლობელის ნებართვის გარეშე ნაწარმოების ეგზემპლარის კომერციული მიზნებით რეპროდუცირებისა** და ამ ეგზემპლარებით უნებართვო ვაჭრობის აქტს წარმოადგენს. მეკობრეობა საავტორო უფლებათა სფეროთი არ შემოიფარგლება, ის მომიჯნავე უფლებების სფეროშიც ძალზედ ფართოდ არის გავრცელებული. **საავტორო სამართალი მეკობრეობას მომიჯნავე უფლებების სფეროში სპეციალური ტერმინი – ბუთლეგერობა შემოაქვს. ბუთლეგერობა წარმოადგენს ცოცხალი შესრულების უნებართვო ჩაწერას, რეპროდუცირებასა და ვაჭრობას.** მეკობრეობა და ბუთლეგერობა გამორჩეულად დიდ ზიანს აყენებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობე-

[1] ამ კანონთან ერთად მიღებული ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ კანონი კონტრაფაქციულ პროდუქციას მხოლოდ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში მოიხსენიებს.

ლებს და მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტების შეფასებით მეკობრეები ყოველწლიურად სულ ცოტა ერთი მილიარდი აშშ დოლარით მაინც მდიდრდებიან. მათ გამდიდრებას ხელს უწყობს ახალი ტექნიკური საშუალებების გამოჩენა, რაც დარღვევათა ახალ-ახალ სახეებს წარმოაჩენს. მაგალითად, ამ საუკუნის დასაწყისში შემსრულებელს (მომღერალს) აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ვინმე მის შესრულებას მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე იხილავდა ან მოისმენდა. ასევე, კინოფილმების მწარმოებლებს არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ მათ მიერ გადაღებული კინოფილმების უნებართვო დემონსტრაციის თვალსაზრისით. დღეს კი, სიმღერები, ჩაწერილი ლაზერულ დისკებზე ხარისხით თითქმის არ ჩამოუვარდება ცოცხალ შესრულებას, იგივე ითქმის ციფრული ტექნოლოგიით გამრავლებული ვიდეოკასეტების მიმართ. თუ მხედველობაში ვიქონიებთ ადამიანის ლტოლვას მაქსიმალური კომფორტისაკენ, მაშინ გასაკვირი არ იქნება, თუ რატომ მიიღო მეკობრეობამ ასეთი ფართო გავრცელება. მეკობრე კაპიტალდაბანდებას არ ეწევა. ის ფულს არ ხარჯავს ფილმის შექმნაში, ან ახალი სიმღერის შესრულების შექმნაში და არც გასამრჯელოს უხდის ავტორებსა თუ შემსრულებლებს. მეკობრე სხვისი შრომის ხარჯზე მდიდრდება, იგი მხოლოდ ასლებს ამზადებს (რაც ძალზე იაფი უჯდება), ქმნის კონტრაფაქციული პროდუქციის გასაღების ქსელებს და აწარმოებს სარფიან რეალიზაციას, საავტორო უფლებათა ნებართვით გავრცელებულ პროდუქციასთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეკობრეობა გავლენას ახდენს ავტორებისა და შემსრულებელთა უფლებებზე, ვიდეოგრამისა და ფონოგრამის დამამზადებელზე, კინოფილმების შემქმნელებზე, გამავრცელებლებზე (დისტრიბუტორებზე). ყოველ ხსენებულ სუბიექტს მეკობრეობის შედეგად მნიშვნელოვნად უმცირდება შემოსავალი. ერთი შეხედვით, მეკობრე შეღავათს უწევს მომხმარებელს. მაგრამ ეს შეღავათი ეფემერულია, რადგან ავტორებს და შემსრულებლებს მათ შემოქმედებით და სხვაგვარ პარტნიორებთან ერთად ეკარგებათ ხალისი ახალი ობიექტების შესაქმნელად. გასაგებია, რომ მეკობრეები სახელმწიფოსაც ავნებენ, რადგან მათი საქმიანობა არამართლზომიერია და ისინი მალავენ შემოსავლებს, რათა თავიდან აიცდინონ სახელმწიფო გადასახადების გაღება.

უფლებათა მფლობელების დაცვის საშუალებანი და შედეგები

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უფლებათა დარღვევას დამტკიცება უნდა, რაც ხშირ შემთხვევაში გადაულახავ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. დარღვევა რომ გამოვლინდეს და დამტკიცდეს, თავისდროული ქმედებები უნდა განხორციელდეს, ხოლო შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად. იმისათვის, რომ აღიკვეთოს საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევა, საჭიროა სპეციალურ კანონთან ერთად დაცვის საშუალებებსა და სანქციებს ითვალისწინებდეს სხვა კანონებიც. მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო სამართალი, აგრეთვე, სამოქალაქო-საპროცესო, სისხლის სამართლის, სისხლის-სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული სამართალი. საზღვარგარეთ, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში დაგროვილი დიდი ხნის გამოცდილება და სამართლებრივი სისტემა ძირითადად, უზრუნველყოფს დამრღვევ პირებთან ეფექტურ ბრძოლას. საქართველოს კანონმდებლობა ვითარდება თანამედროვე შეხედულებებისა და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, სადღეისოდ არსებობს მყარი ბაზა ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ინტერესების დასაცავად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეკობრეობა ფარულად წარიმართება. შესაბამისად, მეკობრე ცდილობს დამალოს ან საერთოდ გაანადგუროს უნებართვო ქმედების განხორციელების დამადასტურებელი მონაცემები თუ კომერციული კავშირები და სხვ. მეკობრეობა ხშირად კარგად ორგანიზებული საქმიანობაა და ერთი ქვეყნის ტერიტორიით შემოფარგლული არ არის. ამდენად, მეკობრე ერთი ქვეყნიდან შეიძლება სხვა ქვეყანაში გადაადგილდეს და მის წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. ამდენად, უფლებათა მფლობელს საშუალება უნდა ჰქონდეს მოიპოვოს მყარი მტკიცებულებანი. თუ მას საფუძვლიანი ეჭვი გააჩნია, უნდა შეეძლოს დამრღვევი პირის საქმიანობის ინსპექციის ჩატარება, დროებით მისი საქმიანობის შეჩერება, ბანკში ანგარიშწარმოების შეჩერების ჩათვლით და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი და კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ, შეიძლება ითქვას, მტკიცებულებათა მოპოვებისა და უფ-

ლებათა უზრუნველყოფის საკითხს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წყვეტს.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ქრესტომათიულ მაგალითად **ანტონ პილერის** საქმესთან დაკავშირებული ინგლისური პრეცედენტი არის ცნობილი. ამ მაგალითზე დაყრდნობით ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები თვალსაჩინოდ ხდიან ხოლმე (პოსტსაბჭოური და მთლიანად პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის) ეროვნულ კანონებში უფლებათა უზრუნველყოფის დროებითი ზომების გათვალისწინების აუცილებლობას. ამ პრეცედენტმა მსოფლიო გავრცელება ჰპოვა, იგი აისახა, როგორც საერთო სამართლის ქვეყნების სამართალში, ასევე რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების კანონებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ მისი არსებითი მხარე. 1976 წელს ინგლისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე ANTON PILLER K.G. V MANUFACTURING PROCESSES LTD და პირველად დართო ნება მოსარჩელეს დაეთვალიერებინა მოპასუხის შენობები, სადაც ეჭვი იყო, რომ მზადდებოდა კონტრაფაქციური პროდუქცია. ეს პრეცედენტი იქცა ეფექტურ საშუალებად დამრღვევ პირთა მიმართ ბრძოლაში, რადგან ითვალისწინებს ქმედით ღონისძიებებსა და საშუალებებს. კერძოდ, **გადაწყვეტილება გამოიტანება ex parte**, რაც მოპასუხეს უმცირებს მტკიცებულებათა განადგურების შანსს. მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია მასში, დოკუმენტური ინსპექციის ჩატარების საშუალებასაც იძლევა. ეს იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ხდება შესაძლებელი პროდუქციის გასაღების არხების გამოვლენის საფუძველზე. დამრღვევი ქმედების რეალური მოცულობის დადგენა. გარდა ამისა, გადაწყვეტილებამ **გაითვალისწინა მოპასუხის ქონების დროებითი დაყადაღება**. ამ პრეცედენტის გავრცელება შეიძლება ითქვას, რომ საქართველოზეც მოხდა, რადგან სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი ადეკვატურ ზომებს ითვალისწინებს. ამასთან, გათვალისწინებულია მოპასუხე მხარის უფლებებიც. კერძოდ, გადაწყვეტილება ინსპექციის ჩატარებასა და დროებით დაყადაღებაზე შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია ნათელი მტკიცებები. გარდა ამისა, მოპასუხეს შეუძლია არ დაუშვას ინსპექციის ჩასატარებლად მოსარჩელე, მაგრამ არა უსაფუძვლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემდგომ, მას შეიძლება დაეკისროს მეტი პასუხის-

მგებლობა. გადაწყვეტილების აღსრულებისას მოპასუხემ შეიძლება თან იყოლიოს ადვოკატი.

1972 წელს ინგლისურმა პრეცედენტმა, რომელიც პატენტების სფეროს განეკუთვნებოდა, დაამკვიდრა წესი, რომ მესამე მხარე, რომელიც ფლობს უტყუარ ინფორმაციას დამრღვევი ქმედების შესახებ, ვალდებულია აღჭურვოს ასეთი ინფორმაციით მოსარჩელე. ამასთან, ინგლისის სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო დავის მეორე მხარის – საბაჟოს არგუმენტი, რომ ის კონფიდენციალურ ინფორმაციას ფლობდა, და დაავალდებულა წარმოედგინა ინფორმაცია მოსარჩელესათვის, რათა საქმე ობიექტურად ყოფილიყო განხილული. ასეთი საშუალება საქართველოს საბაჟო კოდექსით არ არის გათვალისწინებული. საერთოდ, საქართველოს საბაჟო კოდექსი ინტელექტუალური საკუთრების დაცვისადმი განკუთვნილ არც ერთ ნორმას არ შეიცავს. კოდექსი არ ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის აღკვეთის შესაძლებლობას საზღვარზე – ანუ კონტრაფაქციული პროდუქციის შეღწევის არდაშვებას საქართველოს ტერიტორიაზე.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ მიღებულ იქნა ზემოთ აღნიშნული სპეციალური კანონი, რითაც საქართველოს კანონმდებლობა მიუახლოვდა TRIPS-ის მოთხოვნებს.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებითაც დადგენილია თუ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევას.

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც უფლებათა მფლობელს შეუძლია მოითხოვოს უფლების აღიარება. ამ ნორმის მიხედვით, ავტორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს ერთადერთი მიზნით, რომ ის ავტორად იქნეს აღიარებული. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აღნიშნულის გარდა, მისი მომდევნო „ბ" ქვეპუნქტი, რომელიც იძლევა უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობას. კერძოდ, თუ ვინმემ მიაწერა ნაწარმოების ავტორობა პირს, რომელიც სინამდვილეში ავტორი არ არის, მაშინ ავტორს შეუძლია მოითხოვოს, რომ ნაწარ-

მოების ყველა ეგზემპლარიდან ამოღებული იქნეს მინიშნება იმ პირის ავტორობაზე. უფლებათა დაცვისათვის მიძღვნილი IX თავის დანარჩენი ნორმები შეიცავს ქონებრივი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ შედეგებს. მნიშვნელოვანია ნაწარმოების ან ფონოგრამისა და ვიდეოგრამების კონტრაფაქციული ეგზემპლარების ჩამორთმევის შესაძლებლობა, მათი განადგურების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ იგივე სანქცია შეიძლება იქნეს გამოყენებული კონტრაფაქციული პროდუქციის რეპროდუცირებისათვის მომარჯვებული მასალებისა და მოწყობილობის მიმართაც.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის სანქციებს შეიცავს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიც, რომელიც ეხება ავტორობის მითვისების მცდელობის აღკვეთას. იმედია, მომავალი სისხლის სამართლის კოდექსი გაითვალისწინებს უფრო მეტ და ქმედით სანქციებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების განზრახ დარღვევისათვის, რომელსაც დიდი ქონებრივი ზიანი მოაქვს უფლებათა მფლობელისათვის.

ჩვენი აზრით, საავტორო უფლებათა დარღვევა პრაქტიკულად ყოველთვის შეიძლება შეფასდეს, როგორც ქურდობა. ოღონდ ქურდობის საგანი იქნება არა თვით ნაწარმოები, არამედ გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნაწარმოებზე. ნაწარმოები, როგორც დაცვის ობიექტი, მკვეთრად განსხვავდება ფონოგრამასა და ვიდეოგრამისაგან, აგრეთვე გამოგონებისაგან და სამრეწველო ნიმუშისაგან და მისი უნებართვოდ გამოყენება (განსაკუთრებით, როდესაც გასაღების ქსელიც კი არის ფარულად ორგანიზებული), უმეტეს შემთხვევაში, განზრახვით ხდება. იგივე ვერ ითქმის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის, ან პატენტით დაცული გამოგონების გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლებრივი დელიქტი პრევალირებს და დარღვევის აღკვეთისათვის, როგორც წესი, სისხლის სამართლებრივი ნორმები არ გამოიყენება.

ავტორის განსაკუთრებული უფლების „მოპარვა" რომ ნამდვილად მოხდა მტკიცდება თუნდაც იმით, რომ დამრღვევი პირი არასოდეს არ ამხელს თავის ვინაობას, უმალავს მას საზოგადოებას და მალულად ავრცელებს ნაწარმოებს ავტორის რეპუტაციას ამოფარებული. ამდენად, ასეთი ქმედება საშიშია საზოგადოებისათვის და სამოქალაქო სამართლებრივ აღმკვეთ ნორმებთან ერთად უნდა არსებობდეს მკაცრი სისხლის სამართლებრივი ნორმები ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებითაც. მით უფრო, რომ უცხო ქვეყნების საავტორო სამართალი პირდაპირ შეიცავს სისხლის სამართლებრივ აღმკვეთ ნორმებს (დაპატიმრების ჩათვლით). ასეთი ნორმების არ-

სებობა მოითხოვება საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც, მაგალითად, TRIPS-ით.

განსაკუთრებული უფლებების დარღვევა შეიძლება მოხდეს პირდაპირ ან ირიბად. პირდაპირი დარღვევა გულისხმობს ქმედებას, რომლის შედეგადაც ნაწარმოები ყოველგვარი ცვლილების გარეშე არის კოპირებული. გარდა ამისა, დამრღვევი პირი პირდაპირ არღვევს განსაკუთრებულ უფლებებს, თუ, მაგალითად, კომერციული მიზნით ავრცელებს ნაწარმოებს. ასეთი დარღვევის დადგენა და განსჯა სასამართლოსთვის სირთულეს არ წარმოადგენს. უფრო რთულია ვითარება, როდესაც უფლებათა დარღვევა ირიბად ხდება. ირიბ დარღვევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, მაგალითად, ისეთი ქმედება, როგორიცაა კომერციული მიზნის განსახორციელებლად კონტრაფაქციული ეგზემპლარების შენახვა ან გავრცელებისათვის ხელშეწყობა. ასევე კვალიფიცირდება ხელის შეწყობა უნებართვო კოპირებისათვის ხელშეწყობა, მაგალითად, დამრღვევი პირის მომარაგება დამხმარე მასალებით, მარაგნაწილებით და ა.შ. ასეთი პირისა და დამრღვევი ქმედების გამოვლენა უფრო ძნელია, ვიდრე პირდაპირი დარღვევის შემთხვევაში. გაცილებით უფრო ძნელია ნაწარმოების არაპირდაპირი გამოყენების მტკიცება, როდესაც უნებართვოდ ვრცელდება ნაწარმოებისაგან ფორმალური განსხვავების მქონე ეგზემპლარები. ამ შემთხვევაში კვლავ უნდა დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ რას იცავს საავტორო სამართალი, ვრცელდება მისი დაცვა მხოლოდ და მხოლოდ ფორმაზე თუ შინაარსზედაც.

საავტორო სამართლით ობიექტის დაცვის ამოსავალი პრინციპია ნაწარმოების გამოხატვის ფორმის დაცვა. აქ გვინდა ხაზი გავუსვათ „გამოხატვის ფორმას", რომელიც კრიტერიუმად უნდა იქნეს აღებული. გამოხატვის ფორმა, ჩვენი აზრით, ეხმიანება შინაარსს და გარკვეული არსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამის დასასაბუთებლად არქიტექტურული პროექტის ავტორის უფლებათა დაცვის ნორმაც კმარა. მისი შინაარსით ავტორის უფლება ვრცელდება იმ მატერიალური ობიექტის აგებულებაზეც, რომელიც არის მოცემულ პროექტში გამოხატული. ხომ არ უნდა გავრცელდეს (ანალოგიით) ტექნიკური პროექტის ავტორის უფლება ამ პროექტით განსაზღვრულ ტექნიკის ობიექტზეც, როდესაც ეს ობიექტი სამრეწველო საკუთრების სამართლით დაცვას არ ექვემდებარება?

მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ დამრღვევი პირის მიერ გამოყენებულია მისი ნაწარმოები (ან მომიჯნავე უფლებათა ობიექტი), ანუ, რომ ნაწარმოები გამოხატულია უნებართვოდ გავრცელებულ ეგზემპლარში. ნაწარმოების გამოხატვა მის ასლში შეიძლება დამტკიცდეს, თუ ის არსებითად არის კოპირებული. აქ არ იგულისხმება, რომ ნაწარმოები სიტყვა-სიტყვით უნდა იყოს მოცემული მის ასლში. ამდენად, საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია, უმეტესწილად, ხარისხობრივსა და არა რაოდენობრივ კოპირებაზე. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ „არსებით გამოხატვას" ადგილი აქვს, როდესაც გადმოღებულია იდეის გამოხატვის ფორმა და არა მხოლოდ თვით იდეა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ნაწარმოების არსობრივი სტრუქტურა არის გამოხატული მის ასლში, მაშინ ნათლად ჩანს „არსებითი (არსობრივი) გამოხატვა", ანუ ავტორის უფლებათა ირიბი დარღვევა. ასეთი ფაქტის დამტკიცება ურთულესი ამოცანაა. მაგალითად, მოვიხმობთ შემდეგ სიტუაციას. ავტორმა შექმნა ნაწარმოები, შემდგომ მისი მიხედვით შექმნა მატერიალური ობიექტი. მესამე პირმა გაიმეორა ეს მატერიალური ობიექტი. ისმის კითხვა, აქვს ადგილი საავტორო უფლებათა დარღვევას თუ არა. ჩვენი აზრით, დარღვევა უნდა დაკვალიფიცირდეს. საზოგადოდ კი, ნაწარმოების ირიბი გამოყენების ფაქტთან დაკავშირებული მტკიცება ურთულესი საქმეა და დამოკიდებულია, როგორც ნაწარმოებზე (მის რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებლებზე) ისე მოსამართლეთა და მოპაექრე მხარეთა კვალიფიკაციაზე. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ინგლისელი მოსამართლის Learned Hand-ის საავტორო სამართლისათვის ცნობილ გამონათქვამს (ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით): „ყოველ ნაწარმოებს... მოეძებნება მასში შემავალი გამოხატვის მრავალი საშუალება (PATTERNS), რომლებიც მას განუსაზღვრელობას შესძენს. და ეს აზრი მართებულია, რაც უფრო მეტი შემთხვევა დარჩება ყურადღების მიღმა. უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი, რომელიც დააფიქსირებს ზოგად ვითარებას იმის შესახებ, თუ რა არის ან რას ეხება ნაწარმოები, ის შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში წარმოადგენდეს მხოლოდ ნაწარმოების სათაურს. მაგრამ აქ აღსანიშნავია აბსტრაგირების ის სიმრავლე, რომელიც ვერ დაფიქსირდება, როგორც დაცვადი, რადგან, სხვაგვარად, ავტორს მიეცემოდა შესაძლებლობა დაიცვას „იდეა", რომელზეც მისი გამოხატვის გარეშე ავტორის საკუთრების უფლება ვერასდროს გავრცელდებოდა... ვერავინ ვერ შეძლო აქამდე დაეწესებინა საზღვარი (იდე-

ასა და მის გამოხატვას შორის) და ვერც ვერავინ შეძლებს ოდესმე"[1]. ეს გამონათქვამი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოვლინებისა და დაცვის უზომო სირთულეების ჩინებული მაგალითია, და ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რაოდენ მომზადებული უნდა იყოს პროფესიულად მოსამართლე კონკრეტული დავის გადასაწყვეტად საავტორო სამართლის სფეროში და რაოდენ დიდი ერუდიცია მოეთხოვება მას.

მოკლედ გვინდა შევეხოთ იმას, თუ რომელი სასამართლოს განსჯადობის საგანს წარმოადგენს საავტორო უფლებათა დარღვევები. სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ადგენს, რომ საავტორო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებს განიხილავს საოლქო სასამართლოები. ეს დებულება სწორია პირადი არაქონებრივი დავების განხილვისათვის. მაგრამ გაურკვეველია, რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ქონებრივი, ანუ ეკონომიკური დავები (რომლებიც საავტორო-სამართლებრივ უფლებებიდან გამომდინარეობს).[2]

---

[1] Nichols v.Universal Pictures, ინგლისი, 1930 წ.

[2] მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის რედაქციამ განიცადა ცვლილება აღნიშნული პრობლემა არ მოხსნილა.

ნაწილი II

სამრეწველო საკუთრების სამართალი



ᲜᲐᲬᲘᲚᲘ II. ᲡᲐᲞᲐᲢᲔᲜᲢᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ᲗᲐᲕᲘ 14. ᲡᲐᲞᲐᲢᲔᲜᲢᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

გამომგონებლობა განსაკუთრებულ როლს თამაშობდა კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში. იგი ადრინდელ ხანაშივე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის ყოფასთან და მისი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. რაც უფრო განვითარებული ხდება კაცობრიობა, მით უფრო იზრდება ინტერესი სიახლეთა შექმნისადმი და შესაბამისად, მათთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობათა მოწესრიგებისადმი. ბერძენი ისტორიკოსის ფილარკეს გადმოცემით, ცნობილია, რომ ძველი საბერძნეთის კოლონია სიბერიუსში, რომელიც მდებარეობდა აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთით, არსებობდა ჩვეულება, რომლის თანახმადაც, მზარეულს, რომელიც მოიგონებდა ორიგინალურ ახალ კერძს და მას მოიწონებდნენ თანამოქალაქენი, ებოძებოდა ამ კერძის დამზადების განსაკუთრებული უფლება ერთი წლის ვადით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვეულება საპატენტო სამართლის პრინციპების ჩანასახს წარმოადგენდა. გამოგონებას ენიჭებოდა დაცვა მისი ავტორის განსაკუთრებული უფლების აღიარებით. გამოგონება ითვლებოდა საკუთრებად, ხოლო მესაკუთრეობის უფლება კი დროითაც იყო შეზღუდული და სივრცითაც, რადგან ასეთი დაცვა მხოლოდ აპენინის ნახევარკუნძულით იყო შემოფარგლული. მაშასადამე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საპატიენტო დაცვის ჩანასახები შორეული წარსულიდან მომდინარეობს.

გამოგონების დაცვის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება მკვეთრად ვლინდება საზოგადოების პროგრესთან ერთად. ადრინდელი შუა საუკუნეების პერიოდშივე სახელმწიფოებს შემოაქვთ ე. წ. „პრივილეგიების“ ინსტიტუტი. პრივილეგია იძლეოდა გამოგონებაზე განსაკუთრებულ უფლებას დროის შემოფარგლით ან განუსაზღვრელი ვადითაც კი, ხოლო ტერიტორიულად დაცვა ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფოს საზღვრებში. ასე, მაგალითად, ინგლისის მეფემ ჰენრიხ III 1236 წლის მარტში ბონაფუსუს დე სანქტა კოლუმბას სახელზე 15 წლის ვადით გასცა პრივილეგია სხვადასხვა ფერის ტანსაცმლის გამოშვებაზე.[1] ამგვარ პრივილეგიებს გასცემდა იერუსალიმის სამეფო და სიცილია

---

[1] В.В.Андрюшин. Изобретательское и патентное право. Минск, изд. “Беларусь”, 1975, с.30

მე-XII საუკუნეში, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია, ავსტრია, პოლონეთი, შვეიცარიის ცალკეული კანტონები XIII-XV საუკუნეებში.

შეხედულება საპატენტო სისტემის შესახებ ჩამოყალიბდა და განვითარდა შუა საუკუნეების ხანის ინგლისის პრაქტიკიდან, სადაც მეფის უფლების ძალით იმ პირებს, რომლებიც ცდილობდნენ მრეწველობის ახალი დარგების ჩამოყალიბებას და მეტადრე მათ, ვინც იმპორტული ტექნოლოგიების შემოტანას ახერხებდნენ ენიჭებოდათ განსაკუთრებული უფლებები. ასეთი სახის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრივ გრძელდებოდა იმ ხანგრძლივობით, რაც საკმარისი იყო ამ ტექნოლოგიების ათვისებისთვის. ასეთი დროით შემოფარგლული უფლებები დასტურდებოდა დოკუმენტის გაცემით, რომელსაც ეწოდებოდა „LETTERS PATENT", რაც „ღია სიგელს" ნიშნავდა. მისი გაცემით ხდებოდა ოფიციალური საჯარო გამოცხადება განსაკუთრებული უფლებების ბოძების შესახებ. ცოტა ხანში იკვეთება დავების განხილვის საჭიროებაც. საპატენტო დავების ერთ-ერთ პირველ მაგალითს წარმოადგენს 1615 წელს განხილული „იფსვიჩელ მემაუდეთა საქმე". სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა განსაკუთრებული უფლების გაცემის აუცილებლობა იმ ადამიანისათვის, რომელმაც საკუთარი რისკის ფასად სახელმწიფოს შესძინა ახალი გამოგონება, აღმოჩენა ან ხელობა. ასეთი უფლება უნდა ბოძებულიყო მხოლოდ გარკვეული დროით, რადგან ხალხმა თავდაპირველად არაფერი არ იცოდა ამ გამოგონების თუ ხელობის შესახებ და მას არ გააჩნდა არც ცოდნა, არც ჩვევები ამ სიახლეთა ათვისებისათვის. იმავე გადაწყვეტილების ძალით პატენტის ვადის გასვლის შემდეგ მეფეს აღარ ჰქონდა დაცვის ვადის გაგრძელების უფლება.

1628 წელს დედოფალ ელისაბედ I მიერ მიღებულ იქნა მონოპოლიათა შესახებ სტატუტი. სწორედ ეს სამართლებრივი აქტი ითვლება დღეს პირველ საპატენტო კანონად. სტატუტით საპატენტო სიგელი ეძლეოდა ნამდვილ (პირველ) გამომგონებელს და მოქმედებდა 14 წელს. ყველა სხვას ეკრძალებოდა იმ სახის ნაწარმის წარმოება, რაზედაც გაიცა პატენტი.

ინგლისის საპატენტო სამართალი პრეცედენტებზე დაყრდნობით ვითარდებოდა და ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილება გახდა საფუძველი გამოგონების დაწვრილებითი აღწერილობის წარ-

მოდგენის დაწესებისა.[1] 1711 წელს შემოღებული ეს წესი მთელმა მსოფლიომ გაიზიარა და დღესაც მოქმედებს.

არსებობს მეორე შეხედულებაც, რომლის თანახმადაც პირველ საპატენტო კანონად ვარაუდობენ 1474 წლის ვენეციის კანონს, რომელიც აწესებდა პირველად შექმნილი ორიგინალური მოწყობილობის ავტორის უფლებას აეკრძალა მისი ნებართვის გარეშე მსგავსი მოწყობილობის სხვა პირის მიერ აგება. ეს უფლება მოქმედებდა 10 წელს.

გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილი ვენეციური მინის წარმოების ტექნოლოგიის დაცვის მიზნით კუნძულ მურანოზე მცხოვრებ ოსტატებს ეკრძალებოდათ ტერიტორიის დატოვება დროებით ან მუდმივად.

დედოფალ ელისაბედ I სტატუტმა დასაბამი მისცა თანამედროვე საპატენტო სისტემების განვითარებას და გავლენა იქონია სხვა ქვეყნებზე შესაბამისი კანონმდებლობის მიღების თვალსაზრისით.

საპატენტო კანონმდებლობის ჩამოყალიბება უფრო აქტუალური გახდა და შედარებით მჭიდრო ვადებში განხორციელდა კაპიტალისტური ფორმაციის განვითარებასთან ერთად. გამოგონების გამოყენების ერთპიროვნული უფლების მოპოვებას, თუნდაც დროებით, გარკვეული ვადის ფარგლებში, მეწარმეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ასეთ მონოპოლიურ უფლებას იძლევა პატენტი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს უფლებას აუკრძალოს ნებისმიერ მესამე პირს გამოგონების უნებართვოდ გამოყენება. ამასთან, პატენტის გაცემა დაკავშირებული იყო არა მეფის მოწყალებასთან, არამედ სამოქალაქო უფლება-მოვალეობის აღსრულებასთან.

ინგლისის შემდგომ საპატენტო კანონი მიიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რასაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის კონსტიტუციამ. მისი მიხედვით კონგრესს დაევალა, რომ ავტორებსა და გამომგონებლებს გარკვეული ვადით მისცემოდა განსაკუთრებული უფლება ნაწარმოებებსა და გამოგონებებზე. ამ დავალების შესაბამისად 1790 წელს მიღებულ იქნა პირველი კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ამერიკულ საპატენტო კანონს და რომელიც ამერიკული საპატენტო სამართლებრივი სისტემის ძირითადი რგოლია. კანონის თანახმად, სახელმწიფო იცავდა ნამდვილ გამომგონებელთა უფლებებს 17 წლის ვადით.

1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ავტორთა და გამომგონებელთა უფლებები გამოაცხადა ადამიანისა და

[1] Introduction to Intellectual Property, WIPO, Publication N 476(E), 1995, p. 22

მოქალაქის განუყოფელ უფლებად. ცოტა ხნის შემდეგ 1791 წელს მიღებულ იქნა პირველი საპატენტო კანონი, რომელმაც დააფუძნა ფრანგული საპატენტო-სამართლებრივი სისტემა. ამას მოჰყვა საპატენტო კანონების მიღება სხვა განვითარებული ქვეყნების მიერაც, ისინი ძირითადად მიჰყვებოდნენ არსებულსა და მოქმედ საპატენტო-სამართლებრივ სისტემებს. XIX საუკუნის 70-იანი წლებისთვის, უკვე ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს საპატენტო კანონმდებლობა. სხვა კანონებთან ერთად აღსანიშნავია გერმანიის მიერ 1877 წელს მიღებული საპატენტო კანონი, რომელიც საპატენტო სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კანონი შეიქმნა უკვე არსებულ გამოცდილებათა გათვალისწინებით და უფრო შეესაბამებოდა ახალ პირობებს. ამიტომაც ბევრმა ქვეყანამ გაითავისა კანონში გადმოცემული პრინციპები და საკუთარი კანონმდებლობა ააგო გერმანიის საპატენტო-სამართლებრივ სისტემაზე დაყრდნობით.

XIX საუკუნის დასაწყისიდან იგრძნობა დაპატენტებისადმი განსაკუთრებული და მზარდი ინტერესი, კერძოდ, 1815-1820 წლებში აშშ, საფრანგეთი და ინგლისი ყოველწლიურად გასცემდა 100-მდე პატენტს, ხოლო 1850 წლისათვის ყოველი მათგანი უკვე 1000 პატენტზე მეტს გასცემდა.[1] სადღეისოდ მსოფლიოში ყოველწლიურად 10^6 პატენტი გაიცემა.

საქართველოს საპატენტო სამართალი ძირითად ასპექტებში მისდევს კონტინენტური ევროპის საპატენტო-სამართლებრივი სისტემის შეხედულებებს, თუმცა, სხვა ქვეყნების მიერ ახლადშემუშავებული კანონების მსგავსად, მასში მრავლად მოიპოვება დანარჩენი საპატენტო სისტემების შეხედულებების ამსახველი ნორმები, რომლებიც უკეთესად ეგუება თანამედროვე პირობებს და ეროვნულ თავისებურებებს.

ტერმინი „სამრეწველო საკუთრება“ პირველად შემოღებულ იქნა XVIII საუკუნის დამლევს, როდესაც ყალიბდებოდა საპატენტო სამართალი. ამ დროს სამართალის თეორიებს შორის გაბატონებული იყო ბუნებითი სამართლისა და სამრეწველო საკუთრების თეორიები. ორივე თეორიამ გარკვეული გავლენა იქონია და შესაბამისი ასახვაც ჰპოვა სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონში.

ბუნებითი სამართლის თეორიის მიხედვით გამომგონებლის უფლება განიხილება, როგორც ადამიანისათვის, მოქალაქისათვის ბუ-

---

[1] Введение в интеллектуальную собственность. изд. ВОИС, публ. N478(R), 1998, с.19

ნებით ბოძებული და მისგან განუყოფელი უფლება. ეს უფლება წარმოიშობა გამომგონებლის „სულიერი“ შემოქმედებისგან და უკავშირდება ასეთი შემოქმედების შედეგს. ამგვარი უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ნებაზე – ცნოს თუ არ ცნოს იგი. სახელმწიფო ატარებს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია გამომგონებლის უფლებების უნებართვოდ ხელყოფის თავიდან აცილებისაკენ. ამ თეორიიდან გამომდინარეობს, რომ პატენტის გაცემა გამომგონებლის ბუნებითი უფლების დასტურია მხოლოდ.

სამრეწველო საკუთრების თეორიამ გამომგონებლის უფლება მისი „სულიერი“ შემოქმედების შედეგზე გააიგივა მატერიალურ ნივთზე საკუთრების უფლებასთან. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, მატერიალური სიკეთე შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ადამიანის შრომით. შესაბამისად, შრომის შედეგები, როგორც ნივთიერი, ისე „სულიერი“ (გონებრივი), შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირის საკუთრება, ვინც შექმნის მათ. გამოგონება მოევლინება ქვეყნიერებას გამომგონებლის გარჯის შედეგად და მას, როგორც ამ გამოგონების შემქმნელს, უფლება აქვს მოეპყროს საკუთარ ქმნილებას, როგორც მოესურვება. ნებავს გამოაქვეყნებს საჯაროდ, ან შეინახავს საიდუმლოდ; გამოიყენებს ისე, რომ სარგებელი ნახოს, ან საერთოდ უარს იტყვის ყოველგვარ გამოყენებაზე და მასთან ერთად სარგებელზე. თუ ისურვებს, შეუძლია გაანადგუროს კიდეც საკუთარი გამოგონება, როგორც საკუთარი ნივთი.

ამავე დროს, არავის აქვს უფლება გამოიყენოს გამოგონება მისი მესაკუთრის – ავტორის ნებართვის გარეშე, ან იმოქმედოს ისეთნაირად, რომ ავტორს შეუქმნას დაბრკოლებები გამოგონების გამოყენებისას. როგორც ვხედავთ, ამ თეორით ხაზია გასმული ისეთ უფლება-მოვალეობებზე, რომელიც დამახასიათებელია მესაკუთრის უფლება-მოვალეობებისათვის და მესამე პირთა ურთიერთობისათვის ნივთის მესაკუთრესთან. საფრანგეთის პირველივე საპატენტო კანონის შესავალ ნაწილში გამომგონებელი წარმოდგენილია, როგორც მესაკუთრე: „ეროვნული ყრილობა (კრება) თვლის, რომ ყოველი ახალი იდეა, რომლის გამოცხადება და განხორციელება საზოგადოებისთვის შეიძლება იყოს სასარგებლო, ეკუთვნის მას, ვინც შექმნა იგი. ადამიანის უფლების შეზღუდვა იქნებოდა, რომ ახალი სამრეწველო გამოგონება არ იქნეს განხილული, როგორც მისი შემქმნელის საკუთრება“.

როგორც ამ ციტატიდან თვალნათლივ ჩანს, სამრეწველო საკუთრების თეორიამ, რომელმაც პირველად შემოიტანა ტერმინი

„სამრეწველო საკუთრება“, დიდი გავლენა იქონია საპატენტო სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. მისი გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია დღევანდელ საპატენტო სამართლისთვისაც, ხოლო პრინციპები, რომლებითაც განისაზღვრება პატენტმფლობელთა უფლებამოსილებანი და მესამე პირთა ვალდებულებანი, კვლავაც საფუძვლად ედება საპატენტო სამართლებრივ ნორმებს. სწორედ ამ თეორიის დამსახურებაა, რომ საკუთრების თვალსაზრისით პატენტი, თუმცა იგი არამატერიალურ ობიექტს უკავშირდება, განიხილება მატერიალურ ობიექტთა რიგში.

რადგანაც შევეხეთ სხვადასხვა საპატენტო-სამართლებრივ თეორიებს, მიზანშეწონილი იქნება გამოჩენილი გერმანელი იურისტის იოზეფ კოლერის (Jozef Kohler) იმატერიალური და ინტელექტუალური უფლებების თეორიის შინაარსის გაშუქებაც.

იმატერიალურმა თეორიამ, რომელიც გასული საუკუნის დასასრულს გავრცელდა, დიდი გავლენა იქონია გერმანულ საპატენტო სამართლებრივ სისტემაზე. ამ თეორიის დასაყრდენს წარმოადგენს ბუნებითი უფლებების და სამრეწველო საკუთრების თეორიის შეხედულებანი. ადამიანი, რომელიც ქმნის გამოგონებას, მასში გარკვეულწილად საკუთარ არსებას აქსოვს და ამ გამოგონების მესამე პირთა მიერ ხელყოფა მისი შემქმნელის პირადი უფლებების ხელყოფის ტოლფასია. ეს თეორია ხაზს უსვამს გამომგონებლის შემოქმედებითი შრომის ხასიათს, რომელიც გონებრივ შემოქმედებას უკავშირდება და, გამომდინარე აქედან, ერთმანეთისაგან ასხვავებს გამომგონებლის უფლებასა და მესაკუთრის უფლებას.

გამომგონებლის უფლება მესაკუთრის უფლებისგან განსხვავებით წარმოადგენს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების კომბინაციას. ქონებრივი უფლების მთავარი შინაარსი ისაა, რომ გამომგონებელს აქვს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება, ხოლო პირადი არაქონებრივი უფლებებიდან უპირველესია უფლება ავტორობაზე.

კოლერის იმატერიალური თეორია სხვებთან შედარებით უფრო ზუსტად ასახავს გამომგონებლის უფლებებს, რომელიც პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებებისგან შედგება. თეორია უსვამს რა ხაზს გამომგონებლის უფლებების აღნიშნულ თავისებურებას, სამოქალაქო სამართლის ცალკე ქვედარგად გამოყოფს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს გამოგონების შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

1883 წელს დაიდო სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, რომლის ნორმებითაც ტერმინმა „სამრეწველო საკუთრება“ ასახვა ჰპოვა საერთაშორისო სამართალში. დღეს ცნება სამრეწველო საკუთრება საყოველთაოდაა აღიარებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის IV წიგნის მე-2 კარის სათაურია „სამრეწველო საკუთრება“ და მოიცავს 1100-ე – 1105-ე მუხლებს.

საქართველოში, ისევე როგორც პარიზის კონვენციის წევრ სხვა ქვეყნებში, საპატენტო დაცვა ხორციელდება დამცავი დოკუმენტის – პატენტის გაცემით.

იმის გამო, რომ საქართველო დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ჩვენ ქვეყანაში მოქმედებდა, როგორც რევოლუციამდელი რუსეთის პატენტი, ისე სსრ კავშირის მიერ შემოღებული დამცავი დოკუმენტის განსხვავებული ნაირსახეობა – საავტორო მოწმობა. საავტორო მოწმობის შემოღებამდე სამართალურთიერთობანი რუსეთში ატარებდა საპატენტო კანონმდებლობისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ხასიათს. რევოლუციის შემდეგ კერძო საკუთრების განდევნამ გავლენა იქონია საგამომგონებლო საქმიანობის სფეროზეც. 1919 წელს მიღებულმა ლენინის მიერ ხელმოწერილმა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტმა „სახალხო კომისართა საბჭოს დებულება გამოგონებების შესახებ“, იმ დროს გაბატონებული იდეოლოგიის თანახმად, სახელმწიფოს, სხვასთან ერთად, გადასცა სამრეწველო საკუთრებაც. პრაქტიკაში შემოვიდა საავტორო მოწმობა – დამცავი დოკუმენტი, რომელმაც დაადასტურა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოსათვის გამოგონებებზე საკუთრების უფლების გადაცემა. გამოგონება იდეოლოგიურადაც აღიარებულ იქნა სახელმწიფო კუთვნილებად. საავტორო მოწმობამ პირადი არაქონებრივი უფლებები მიაკუთვნა გამომგონებელს, ხოლო ქონებრივი სახელმწიფოს.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის მოქმედებდა პატენტიც. საავტორო მოწმობა არ კრძალავდა გამოგონების გამოყენებას სსრ კავშირის იურისდიქციას დაქვემდებარებულ მოქალაქეთა (საწარმოთა) მიერ. მაგრამ, რადგან ქონებრივი უფლებები სახელმწიფოს ეკუთვნოდა, უცხოელთათვის საავტორო მოწმობის მოქმედება შემოიფარგლებოდა 15 წლით (საბჭოთა მოქალაქეთათვის ამ ვადას მნიშვნელობა არ ჰქონდა). უცხოეთის რომელიმე ქვეყნის საწარმოს სსრკ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ნებართვის გარეშე არ შეეძლო გამოგონების გამოყენება. აღ-

ნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საავტორო მოწმობა სახელმწიფოს პატენტი იყო.

საავტორო მოწმობის მფლობელ გამომგონებელს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან ერთად ჰქონდა და შეეძლო დაეცვა „ძალზე შეკვეცილი" ქონებრივი უფლებაც. გამომგონებელს შეეძლო მიეღო საავტორო გასამრჯელო გამოგონების ეფექტიანობის 2% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 20 000 საბჭოთა მანეთისა. გასამრჯელოს გასცემდა სახელმწიფო, რადგან მაშინ მოქმედი კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად ვალდებული იყო ეზრუნა გამოგონების პრაქტიკულ ათვისებაზე. თავის დროზე ამგვარი მიდგომა გაიზიარა მთელმა ე. წ. სოციალისტურმა ბანაკმა და შემოიღო გამოგონებების საავტორო მოწმობით დაცვის პრაქტიკა, რაც სადღეისოდ ყველა ამ ქვეყანამ უარყო და დაუბრუნდა ტრადიციულ პატენტს.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში თავად სსრკ ბოლოდროინდელ პრაქტიკას, რომელმაც 1991 წლის კანონით „სსრ კავშირში გამოგონებათა შესახებ" უარყო საავტორო მოწმობა, საქართველომ პირველმა შემოიღო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათაგან, საავტორო მოწმობით დაცვის ინსტიტუტის ნაცვლად, საპატენტო დაცვა. პატენტის გაცემა დაწესდა 1992 წლის 16 მარტის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №302 და №303 დადგენილებებით, რითაც დამტკიცდა დებულებები გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ.

ამჟამად, მოქმედებს საქართველოს საპატენტო კანონი, რომელიც ცნობს შემდეგი სახის პატენტებს: **გამოგონების პატენტი, სასარგებლო მოდელის პატენტი, სამრეწველო ნიმუშის პატენტი. გამოგონების პატენტი შეიძლება იყოს ძირითადი და „შემოტანილი პატენტი"**. ამ უკანასკნელის არსებობას საპატენტო კანონის მე-4 მუხლი აწესებს. ამგვარ პატენტს 1992 წ. გამოგონების შესახებ დებულება არ ითვალისწინებდა. მისი ძირითადი არსი ის არის, რომ, თუ უცხო ქვეყნის მოქმედი პატენტი არსებობს, მაშინ მის საფუძველზე შეიძლება საქართველოს პატენტი გაიცეს. შემოტანილი პატენტი ემსახურება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. სავარაუდოა, რომ ბიზნესმენი მეტი ნდობით შემოვა საქართველოს ბაზარზე, თუ ეცოდინება, რომ მისი ტექნიკური მიღწევა პატენტით იქნება დაცული. მისი პოზიციები კიდევ უფრო ძლიერდება, თუ ის შესძლებს ერთხელ დაპატენტებული გამოგონების ხელახლა დაპატენტებას, თუნდაც უფრო მოკლე დროით, ვიდრე

ძირითადი პატენტით. აღსანიშნავია, რომ ბელგიის, ესპანეთის და თურქეთისაგან განსხვავებით, სადაც 90-იან წლებამდე არსებობდა პატენტის გაცემის ეს ინსტიტუტი, საქართველოში შემოტანილი პატენტი გაიცემა მხოლოდ ისეთი პატენტის საფუძველზე, რომელიც უცხო ქვეყანაში გაიცა სამი კრიტერიუმის – სიახლის, საგამომგონებლო დონისა და სამრეწველო გამოყენებადობის შემოწმების შემდეგ. ჩვენი აზრით, ეს ნორმა დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება პარიზის კონვენციას.

თანამედროვე გაგებით ტერმინი „პატენტი“ შემოვიდა XVII საუკუნის ინგლისის პრაქტიკიდან და ნიშნავდა ღია სიგელს. ეს იმიტომ, რომ საპატენტო სიგელს გააჩნდა წინა მხარეს დასმული ბეჭედი და მის წასაკითხად კონვერტში ჩადებული და დალუქული წერილის მსგავსად საჭირო არ იყო ბეჭდის მოშლა ან დაზიანება. სხვაგვარად რომ ითქვას, საპატენტო სიგელის ტესქტი ღიად იყო წარმოდგენილი.

დღესაც პატენტის გაცემა ხდება მხოლოდ იმ პირობით, რომ გამოქვეყნდეს დაპატენტებული ობიექტის, მაგალითად, გამოგონების აღწერილობა და ფორმულა. ანუ გამოგონების აღწერილობის ტექსტი ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე (ღიად) უნდა იქნეს წაკითხული.

მიჩნეულია, რომ პატენტს თავისი ბუნებით გააჩნია: დაპატენტებული ობიექტის გამოყენების განსაკუთრებული (მონოპოლიური) უფლების მინიჭებისა და გამომგონებლად აღიარების ფუნქცია. ამ უფლების მთავარი შინაარსია ის, რომ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც გაიცა პატენტი პატენტმფლობელის ნებართვის გარეშე არავის შეეძლოს პატენტით დაცული ობიექტის გამოყენება (აკრძალვითი ფუნქცია).

მაგრამ ნათქვამი არ ნიშნავს, რომ პატენტის მფლობელის უფლებების დაცვას ავტომატურად განახორციელებს სახელმწიფო. პატენტმფლობელი მოვალეა თვითონ ადევნოს თვალყური და თუ დარწმუნდა, რომ მის მიერ დაპატენტებულ ობიექტს უნებართვოდ გამოიყენებენ შეუძლია წარადგინოს შესაბამისი მოთხოვნა.

მაშასადამე, პატენტი „განაპიროვნებს“ (კონკრეტულ პირს მიაკუთვნებს), ანუ განსაკუთრებულს ხდის უფლებას დაპატენტებულ ობიექტზე.

პატენტი განიხილება აგრეთვე, როგორც ხელშეკრულება პატენტმფლობელსა და სახელმწიფოს შორის. ეს კონცეფცია დაფუძნებულია ე. წ. პატენტის სახელშეკრულებო თეორიაზე. მის თანახმად

იდეა არის ავტორის საკუთრება, რომლისთვისაც არ არის საკმარისი იყოს მხოლოდ მფლობელი, მას უნდა ჰქონდეს ამ იდეის ერთპიროვნულად განხორციელების შესაძლებლობა. მაგრამ, ამავე დროს, იდეა ნივთი არ არის. თუ გაიხსნა მისი შინაარსი, მაშინ განხორციელებასაც შეძლებს სხვადასხვა პიროვნება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ამით კი იდეის ავტორი ზიანს განიცდის. იმისათვის, რომ ავტორმა შეძლოს მოეპყროს საკუთარ იდეას, როგორც მესაკუთრე, მას უნდა ჰქონდეს უფლება აუკრძალოს ნებისმიერ პირს ამ იდეის უნებართვოდ გამოყენება. სწორედ ამიტომ, ავტორი და სახელმწიფო (შესაბამისი ორგანოს სახელით) დებენ ხელშეკრულებას. ამ შეთანხმების თანახმად ავტორი ვალდებულია საჯაროდ გახსნას თავისი იდეის საიდუმლოება და მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემთხვევაში სამაგიეროდ მიიღებს სახელმწიფოსგან პატენტს, რომელიც მიანიჭებს მას საკუთარი იდეის მონოპოლიურად გამოყენების უფლებას.

თავი 15. საპატენტო დაცვის ობიექტები

საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით პატენტი გაიცემა გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე.

ა. გამოგონება

სამრეწველო საკუთრების ძირითადი ობიექტის – გამოგონების შინაარსობრივი გაშუქება იძლევა იმის საშუალებას, რომ მის მაგალითზე დადგინდეს საპატენტო კანონმდებლობის მოქმედების ფარგლები.

ცნობილია, რომ გამოგონება მხოლოდ ინტელექტუალური, გონებრივი შემოქმედების შედეგი შეიძლება იყოს. თავისთავად კი შემოქმედებითი შრომის შედეგი „რაღაც უჩინარი" რამაა და მისი განმარტება თავისებურ, ძნელად გადმოსაცემ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, განვითარებული ქვეყნები, მათ შორის საპატენტო-სამართლებრივი სისტემების ფუძემდებლები, ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, თავისი კანონმდებლობით არ იძლევიან გამოგონების განმარტებას. მათ კანონებში გამოგონება წარმოდგენილია ამჟამად უკვე უნიფიცირებული კრიტერიუმებით, რომლებიც საქართველოს საპატენტო კანონმდებლობაშიც არის მოცემული. წამყვანი ქვეყნებიდან იაპონიის საპატენტო კანონი იძლევა შემდეგი სახის განმარ-

ტებას: „გამოგონება ამ კანონის თანახმად არის ბუნების კანონების გამოყენების მეშვეობით შექმნილი მაღალპროგრესული ტექნიკური იდეა". ამ განმარტებიდან მისაღებია მხოლოდ გამოგონების წარმოსახვა იდეის მეშვეობით.

შორს არის სრულყოფისაგან ბრაზილიის, კოლუმბიის და მექსიკის კანონებში მოცემული განმარტება. მათი მიხედვით გამოგონება საგამომგონებლო ან შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. არ არის გაცემული პასუხი, თუ რას წარმოადგენს ეს შედეგი.

გამოგონებას ნებისმიერ სიახლედ ან გადაწყვეტად მიიჩნევს ტაილანდის, ინდოეთის, ერაყის საპატენტო კანონები. აქ გასარკვევია რა იგულისხმება „ნებისმიერი სიახლედ " და „გადაწყვეტად".

ასევე შეზღუდულად არის წარმოდგენილი გამოგონება გაიანას და ჰაიტის კანონებში, სადაც იგი მოიხსენიება წარმოების ნებისმიერი ან სამრეწველო ნაწარმის დამზადების ახალ სახეობად.

საქართველოს კანონმდებლობაც არ განმარტავს გამოგონებას. **ჩვენი აზრით, გამოგონება შეიძლება განიმარტოს, როგორც განსახიერებადი ახალი იდეა, რომელსაც ახასიათებს საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა.** ამ განმარტებით გადმოცემულია გამოგონებისადმი ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან. უდავოა, რომ უნდა იყოს იდეა, და თანაც არა ისეთი, რომლის განხორციელებაც არ შეიძლება, ან არ არის ავტორის მიერ გადმოცემული გამოგონების აღწერილობაში, არამედ განსახიერებადი. ამასათან, იდეა აუცილებლად საგამომგონებლო უნდა იყოს. ეს იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც იდეას სიახლის გარდა „უჩინარობა" ახასიათებს. იდეა „უჩინარი" და „მალულია" თუ მის მიგნებასა და ჩამოყალიბებას გონებრივ-შემოქმედებითი გარჯა სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი იდეა ტექნიკის ცნობილი დონიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს. იდეის განსახიერებადობა უნდა იყოს დადასტურებული ავტორის მიერ საგანაცხადო მასალებში. მოცემული განმარტების თანახმად, პატენტს ვერ მიიღებს ავტორი, თუ მან გამოთქვა „შიშველი" განსახიერებადობის გარეშე წარმოდგენილი იდეა, ანუ ლოზუნგური იდეა. მაგალითად, „კოსმოსური ხომალდი განსხვავდება იმით, რომ ის უნდა შეიცავდეს კოსმოსში საფრენად საჭირო ძრავებს და კორპუსი უნდა იყოს შესრულებული შესაბამისი ფორმით". ასეთი სახის იდეა განუხორციელებელია, მასში მხოლოდ რაღაცა მიზნის მისაღწევი ამოცანაა დასმული. გამოგონების აღიარებისათვის არ არის აუცილებელი მისი ფაქტიური განსახიერება (სახის მიცემა) რომელიმე მოქმედ მოდელში, საკმარისია ავ-

ტორმა აღწერილობაში გამოსახოს ისე, რომ „საშუალო ცოდნის მქონე სპეციალისტისათვის“ ცხადი გახდეს მისი განმეორებადობის შესაძლებლობა. ეს პრინციპი ნებისმიერი ქვეყნის საპატენტო კანონის მოთხოვნებში არის ასახული.

განმარტების სრულად გასაშუქებლად საჭიროა ითქვას, თუ რა იგულისხმება „იდეად“. იდეის ცნობილი განმარტებებიდან ჩვენთვის ყველაზე მისაღებია შემდეგი: იდეა არის ჭეშმარიტების ყოველმხრივი ობიექტური და კონკრეტული ცოდნა, რომელშიც ადამიანი აქსოვს მიზანსა და გეგმას და, რომელიც მზადყოფნაშია თავისი პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.[1] ამ განმარტებასთან ერთად უფრო აზუსტებს გამოგონების არსს შემდეგი: იდეა არის გონებაში წარმოქმნილი გეგმა ან სქემა.[2]

გამოგონების შემოთავაზებული განმარტებისათვის იდეად უნდა ვიგულისხმოთ შემდეგი: იდეა არის ჭეშმარიტებათა გონებრივი გაერთმთლიანება, რომელიც მზადყოფნაშია პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.

„იდეის“ მოყვანილი შინაარსობრივი გაგება ჩვენის აზრით, ესადაგება წარმოდგენას გამოგონების შესახებ საერთოდ და მიღებული კრიტერიუმების გადმოცემასთან ერთად აზუსტებს გამოგონების შინაარსს სამრეწველო საკუთრების საპატენტო კანონმდებლობით დაცვის თვალსაზრისით.

ბ. სასარგებლო მოდელი

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სასარგებლო მოდელი განეკუთვნება სამრეწველო საკუთრების ობიექტებს. საქართველოს კანონმდებლობის შემუშავებისას ტერმინი გადმოტანილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკიდან, კერძოდ, პარიზის კონვენციის ტექსტიდან, რომლის ინგლისური ტერმინი utility model, ფრანგულია les modeles d'utilite ქართულად ითარგმნება, როგორც სასარგებლო მოდელი. გერმანულში გამოიყენება ტერმინი „Gebrauchsmusfer“ რაც სასარგებლო მოდელს ნიშნავს. იტალიურად modelli di utilita, იაპონურად „ძიცუე სინან“ (სიტყვა-სიტყვით – ახალი სასარგებლო მოწყობილობანი). პარიზის კონვენციის თანახმად ტერმინის შერჩევა მოხდა იმიტომაც, რომ

---

[1] Н. И. Кондаков. Логический словарь. Москва, “Наука”, 1975.

[2] The Advanced Learners Dictionary of Current English by A.S.Hoeney, E.V.Gatenby, H.Wakerfield, Oxford University Press, Poznan, 1958.

თავიდან აცილებულიყო ყოველგვარი ტერმინოლოგიური გაუგებრობა.

როგორც გამოჩენილი პატენტმცოდნე სპეციალისტი, პროფესორი, ისმოს პირველი გენერალური დირექტორი ჰ.ბოდენხაუზენი განმარტავს პარიზის კონვენციის ობიექტების შინაარსს, სასარგებლო მოდელი განიხილება „მცირე გამოგონებად" ანუ „მეორე კლასის გამოგონებად".

ასევე განიხილებოდა იგი გერმანიის პირველ კანონმდებლობითვე, საიდანაც საყოველთაოდ გავრცელდა სასარგებლო მოდელების დაცვა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გერმანიის კანონი სასარგებლო მოდელების დაცვის შესახებ მიღებულ იქნა 1891 წლის საიმპერიო სასამართლოს მითითების შემდეგ. ამ მითითების თანახმად, კანონი ვალდებულია დაიცვას ისეთი შემოქმედებითი შედეგები, რომლებსაც არ ახასიათებთ შესაბამისი საგამომგონებლო დონე.

ამჟამად, სასარგებლო მოდელს იცავენ შემდეგი ქვეყნები: გერმანია, იაპონია, იტალია, ჩინეთი, ავსტრია, ბრაზილია, ესპანეთი, პოლონეთი, პორტუგალია, ურუგვაი, მექსიკა, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, ფილიპინები, რუსეთი. ასეთ ქვეყანათა რიცხვი სულ უფრო ფართოვდება. ყოფილი სსრ კავშირის და სოციალისტური სისტემის ქვეყნებიც ახლად მიღებული კანონებით ითვალისწინებენ სასარგებლო მოდელის დაცვას.

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან პირველად საქართველომ შემოიღო სასარგებლო მოდელის დაცვა, რაც ნორმატიულად აისახა 1992 წლის დებულებაში გამოგონების შესახებ და 1999 წლის საქართველოს საპატენტო კანონში.

თავისი შინაარსით სასარგებლო მოდელი შეიძლება მიეკუთვნოს „ტექნიკურ გაუმჯობესებათა" რიცხვს. აქედან გამომდინარე, სასარგებლო მოდელი განსხვავდება გამოგონებისაგან იმით, რომ იგი უკვე არსებული ობიექტის მხოლოდ გაუმჯობესებას წარმოადგენს. არ არის აუცილებელი იგი ხასიათდებოდეს გამოგონების მსგავსი ან მასთან მიახლოებული საგამომგონებლო იდეით, რისი შედეგიც იქნება სტრუქტურული ცვლილება, რაც ახალ „უჩინარ"თვისებებს შესძენს ობიექტს. საკმარისია რაოდენობრივ-შეფარდებითი ცვლილების შეტანა ობიექტში, ანუ ჯამური ხარისხობრივი გაუმჯობესების გამოვლენა, რათა მივიღოთ სასარგებლო მოდელის პატენტით დაცვის საგანი. ამიტომაც იხმარება ზემოთ აღნიშნული ტერმინი „მცირე გამოგონება" სასარგებლო მოდელების აღსანიშნავად. ნათქვამიდან გამომდინარე, სასარგებლო მოდელს

უფრო დაბალი გონებრივ-შემოქმედებითი დონე ახასიათებს ვიდრე გამოგონებას, თუმცა შემოქმედებითი გარჯა ამ შემთხვევაშიც მართებს ავტორს.

საქართველოს საპატენტო კანონით სასარგებლო მოდელი განმარტებულია, როგორც მოწყობილობების, ნივთიერებებისა და ხერხების გაუმჯობესება (ანუ ზოგადად რომ ითქვას, ნივთის ან ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება) და მასზე გაიცემა პატენტი. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სასარგებლო მოდელის დაცვა ხდება პატენტით ან რეგისტრაციით, შესაბამისი მოწმობის გაცემით.

საზღვარგარეთ ძირითადად, სასარგებლო მოდელად მოწყობილობათა გაუმჯობესებას იცავენ. მაგრამ უკვე შეიმჩნევა ტენდენცია დაცვის გაფართოებისაკენ. იაპონიაში სასარგებლო მოდელად იცავენ კვების პროდუქტების და სამკურნალო საშუალებების ფორმას, გერმანიაში მოწყობილობების გარდა – ნივთიერებებს. ავსტრიაში სასარგებლო მოდელად კომპიუტერულ პროგრამას იცავენ. თუ მივიჩნევთ საფრანგეთის მიერ „სარგებლიანობის" მოწმობის გაცემის პრაქტიკას სასარგებლო მოდელის დაცვის ანალოგად ისეთ გამოგონებებზე, რომლებსაც ტექნიკის დონის მოძიება არ უტარდება, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ საფრანგეთი სასარგებლო მოდელად იცავს კონსტრუქციულ გაუმჯობესებებთან ერთად ტექნოლოგიური პროცესებისა და ნივთიერების გაუმჯობესებებსაც.

სასარგებლო მოდელების დაცვა აქტუალურ მოვლენად იქცა მსოფლიოში. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად მატულობს ქვეყანათა რიცხვი, რომლებიც აწესებენ მცირე გამოგონებათა დაცვას. სწრაფად იზრდება გაცემული დამცავი დოკუმენტების (პატენტი, მოწმობა) რიცხვი. მაგალითად, იაპონიაში, სადაც ყოველწლიურად გაიცემა 300 ათასამდე პატენტი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელების რიცხვიც 300 ათასს უახლოვდება. ეს ტენდენცია საქართველოს პრაქტიკიდანაც კი შეიმჩნევა. ბოლო – 2001 წელს გაიცა 120 სასარგებლო მოდელის პატენტი, საიდანაც თითქმის ყველა გახდა ადგილობრივი განმცხადებლების კუთვნილება.

გ. სამრეწველო ~~ნიმუში~~ დიზაინი

სამრეწველო საკუთრების კიდევ ერთი ობიექტია „სამრეწველო ~~ნიმუში~~". ქვეყნების მიხედვით გამოიყენება შემდეგი ტერმინოლოგია: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში – Design, საფრანგეთში – les dessins ou modeles industriels, გერმანიაში Geshmacksmus-

ter, იტალიაში – modell e disegni ornamentali, იაპონიაში – ისიო. საქართველოს კანონმდებლობით ტრადიციისამებრ დამკვიდრდა ტერმინი „სამრეწველო ნიმუში", რომელიც იხმარებოდა საბჭოური წყობის ნორმატიულ აქტებში, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსში. ტერმინი გადმოსცემს სამრეწველო საკუთრების ამ ობიექტის ძირითად არსს და, ამდენად, ახალი ტერმინის შემოტანა მართებულად არ იქნა მიჩნეული. ტერმინი, როგორც სხვა ქვეყნებში, მათ შორის გერმანიასა და იაპონიაში, ნიშნავს უფლებას სამრეწველო ნაწარმის გარეგან გამოსახვაზე, რაც საპატენტო სამართალთან აკავშირებს სამრეწველო საკუთრების ამ ობიექტს.

ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით სამრეწველო ნიმუში განიმარტება, როგორც სამრეწველო ნაწარმისათვის სამრეწველო წესით მიცემული ფორმა, მოხაზულობა, ნახატი (მოხატულობა) ან მორთვის თავისებურება. აშშ-ს კანონმდებლობა სამრეწველო ნიმუშად გულისხმობს ახალ, ორიგინალურ სამრეწველო ნაწარმს, რომლის გარეგანი სახე ნაწარმის დამშვენებას ემსახურება. იაპონიის კანონის თანახმად, სამრეწველო ნიმუშის განმარტება უშუალოდ შეიცავს ესთეტიკურობის მოთხოვნას და სამრეწველო ნიმუშად მიიჩნევა ნაწარმის ისეთი ფორმა, გამოხატულება ან შეფერადება, ან ამ უკანასკნელთა ისეთი თანაწყობა, რომ ყოველივე ახდენდეს ესთეტიკურ შთაბეჭდილებას.

ნათქვამი ადასტურებს ზოგად შეხედულებას სამრეწველო ნიმუშის ბუნებაზე. თანამედროვე შეხედულებით სამრეწველო ნიმუში არის ნაწარმის დეკორატიული ან ესთეტიკური შთაბეჭდილების გამომწვევი გარეგანი სახე. გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობაც ასეთივე გაგებას იძლევა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სამრეწველო ნიმუშად შეიძლება იქნეს დაცული ისეთი მზა ნაწარმი, რომელსაც დაცვითუნარიანობას ანიჭებს გარეგანი, ხილული მოხაზულობა და მისი ნაკვთები. თუ ნაწარმი ყველასათვის უჩინრად რჩება, ან თუ თავისი ბუნების გამო, მყიდველი ვერ ამჩნევს მას, ან მისი გარეგანი სახის გაფორმება არ იქცევს ყურადღებას, მაშინ ნაწარმის ამგვარი გაფორმება არ შეიძლება დაცულ იქნეს სამრეწველო ნიმუშის პატენტით. ნაკეთობა შეიძლება განეკუთვნებოდეს ხელოსნობის ქმნილებათა რიცხვს, თუ იგი განმეორებადია მისი სამრეწველო ხერხით დამზადების თვალსაზრისით.

სამრეწველო ნიმუშის დაცვა ხორციელდება პატენტის ან მოწმობის გაცემით (რეგისტრაციით), მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებლობა სამრეწველო ნიმუშების შესახებ უახლოვდება როგორც სამრეწველო საკუთრების სამართალს, ისე საავტორო სამართალს. ამ უკანასკნელის საკანონმდებლო ნორმები ვრცელდება ნებისმიერი ხასიათის ხელოვნების ნაწარმოებზე, მათ შორის სამრეწველო ნიმუშებზე. ინგლისის პრაქტიკიდან ცნობილია: ა) „რეგისტრირებული ნიმუში", რომლის დაცვაც ხორციელდება სპეციალური აქტით და მისი საგანია ესთეტიკური გარეგანი სახე, რომელიც ახარებს თვალს; ბ) „არარეგისტრირებული ნიმუში", რომლითაც დაცვას ექვემდებარება ნაწარმის ისეთი გარეგანი სახე, რომელიც განპირობებულია მხოლოდ ფუნქციით, მაგალითად დანა-ჩანგალი, ტაფა, ქვაბი, ამ სახის ნიმუშის დაცვა გათვალისწინებულია აქტით საავტორო უფლებათა, ნიმუშებისა და პატენტების შესახებ. ინგლისის პრაქტიკიდან გამომდინარე არარეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის დაცვის შესაძლებლობა განმტკიცებულია ევროპის დირექტივებით. ამ მიმართებით ევროპის ქვეყნების ეროვნულ კანონებში უკვე მოხდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა. უფრო მეტიც, 2003 წლიდან შემოღებულ ნორმატიული აქტების მიხედვით (გაერთიანებული ევროპის დირექტივები და ინსტრუქციები) გაერთიანებული ევროპის სამრეწველო ნიმუშადაც შეიძლება იქნეს დაცული არარეგისტრირებული ნიმუში, რომელზეც უფლებები მოიპოვება ახალი გარეგანი სახის საქონლის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის გზით. ამ გზით მოპოვებული უფლება იმოქმედებს უფრო ნაკლები დროის განმავლობაში (3 წლის განმავლობაში), ვიდრე რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლება (25 წლის განმავლობაში).

საავტორო უფლებათა ობიექტებისაგან სამრეწველო ნიმუშის გამოცალკევება ხდება (როდესაც ქვეყნის კანონმდებლობა საჭიროდ თვლის ასეთ გამიჯვნას) დაცვის ობიექტის დადგენით, ან რაიმე ხასიათის ფორმალური ნიშნების შეტანით. ზოგ ქვეყანაში, მაგ., გერმანიაში, თუ ნაწარმოები (ნაწარმის გარეგანი სახე) არ აკმაყოფილებს ესთეტიკურ კრიტერიუმებს, მაშინ დაცვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამრეწველო ნიმუშად აღიარებით და შესაბამისი დამცავი დოკუმენტის გაცემით.

ამავე დროს, თუ ნაწარმის გარეგანი სახე აკმაყოფილებს ორივე მიმართულების კრიტერიუმებს, მაშინ დაცვა შეიძლება განხორციელდეს ორივე სამართლებრივი ნორმით.

განსხვავება სამრეწველო ნიმუშისა საავტორო სამართლის ობიექტისაგან იმით გამოიხატება, რომ სამრეწველო ნიმუში შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწარმის დასრულებული გარეგანი სახე და არა ესკიზი.

მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რთულია ცალსახად ითქვას განეკუთვნება თუ არა ნიმუში ხელოვნების ნაწარმოებს, დაცვა ხდება როგორც საავტორო, ისე სამრეწველო საკუთრების სამართლით (საფრანგეთი, ბელგია). სხვა ქვეყნებში ხელოვნურად აწესებენ ან ერთი ან მეორე მიმართულების დაცვას. უფლებები საავტორო სამართლის და უფლებები სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობის მიხედვით არ იკრიბება. თუ ავტორმა აირჩია ერთ-ერთი მიმართულების დაცვა, მაშინ მეორე სახის დაცვა აღარ გამოიყენება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ამგვარი აკრძალვა არ არის მიღებული. სამრეწველო ნიმუში საქართველოს საპატენტო კანონით განიმარტება, როგორც სამრეწველო წესით დამზადებადი ნაკეთობის (ნივთის) მხატვრულ-კონსტრუქციული გარეგნული სახე. ასეთივე განმარტება იყო მოცემული 1992 წ. დებულებაში სამრეწველო ნიმუშების შესახებ. როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში მინიშნებაა საავტორო სამართლისა (მხატვრული ღირსებანი) და საპატენტო (კონსტრუქციული ხასიათი) სამართლის ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობაზე.

რადგან სამრეწველო ნიმუში საქართველოში დაცვას საპატენტო კანონით ექვემდებარება, მიზანშეწონილია გაშუქდეს თუ რა თავისებურებანი ახასიათებს მას სხვა ობიექტებთან შედარებით.

გამოგონება ვლინდება მაშინ, როცა სამრეწველო ნაწარმის გარეგანი სახე შეიცავს გარკვეული ხასიათის ტექნოლოგიურ ან ტექნიკურ შემოქმედებით შედეგს. გამოგონება ყოველთვის არის განპირობებული ობიექტის ფუნქციით და მისი არსებითი ნიშნების თვითმყოფადობა გამოწვეულია ფუნქციური თავისებურებებით. ხოლო თუ შემოქმედებითი შედეგი აღნიშნულთან ერთად უკავშირდება მხატვრულ ღირსებებს და იწვევს ესთეტიკურ შთაბეჭდილებებს (ანუ ხელოვნების ნაწარმოებთან აახლოებს), მაშინ სამრეწველო ნიმუშთანაც გვაქვს საქმე. გამოგონება ძირეულად განსხვავდება სამრეწველო ნიმუშისაგან იმით, რომ იგი წარმოადგენს ტექნოლოგიური ობიექტების განუყრელ ელემენტს, სამრეწველო ნიმუში კი განეკუთვნება ტექნიკას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს სამრეწველო ნაწარმის გარეგნულ სახესთან.

სასარგებლო მოდელის სამრეწველო ნიმუშთან შედარებისთვის მისაღებია ყველა ის მოსაზრება, რაც გამოითქვა გამოგონებასთან შედარებისას. ამასთან, მხედველობის არეში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ სასარგებლო მოდელს გამოგონებასთან მიმართებაში უფრო დაბალი შემოქმედებითი დონე ესაჭიროება. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია ნაწარმი ერთდროულად დაცული იქნეს როგორც სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუში თეორიულად, არც სამართლებრივი, არც ტექნიკური და არც შემოქმედებითი შედეგი ამას არ გამორიცხავს. ნაწარმის გარეგანი სახე, ტექნიკურ გაუმჯობესებასთან ერთად ხომ შეიძლება წარმოადგენდეს ახალ მხატვრულ გადაწყვეტასაც. საქართველოს კანონმდებლობით ეს განმარტებაშივეა ჩადებული.

სამრეწველო საკუთრების კიდევ ერთი ობიექტთან სასაქონლო ნიშანთან სამრეწველო ნიმუშს საკმაო სიახლოვე აკავშირებს. კერძოდ, მოცულობითი ნიშანი, ისევე როგორც სამრეწველო ნიმუში, არის ახალი ორიგინალური გამოსახულება. ამდენად, ამ ორი ობიექტის გამიჯვნა შეიძლება ხელოვნურად, მათი ფუნქციის მიხედვით. სასაქონლო ნიშნის მთავარი როლი ისაა, რომ მყიდველს საშუალება მისცეს განასხვავოს საქონელი და მწარმოებელი (თუნდაც ნიშანს არ ჰქონდეს არავითარი მხატვრული ღირებულება). სამრეწველო ნიმუშის მთავარი დანიშნულება კი ესთეტიკური ზეგავლენით მყიდველის მიზიდვაა.

ძირითადი განსხვავება სამრეწველო ნიმუშსა და სასაქონლო ნიშანს შორის იმით გამოიხატება, რომ ნიშანი თავისთავად საქონლის (ნაწარმის) ხარისხს არც აუმჯობესებს და არც აუარესებს. სამრეწველო ნიმუში კი უშუალოდ აუმჯობესებს ნაწარმის გარეგნულ გაფორმებას და შესაბამისად, მაღლა წევს მის ხარისხობრივ მახასიათებლებს.

თავი 16. პატენტუნარიანობის კრიტერიუმები

საპატენტო დაცვის სამივე ობიექტს – გამოგონებას, სასარგებლო მოდელს და სამრეწველო ნიმუშს, – ახასიათებთ როგორც საერთო, ასევე მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი პატენტურიანობის კრიტერიუმები.

თუ განვიხილავთ შესაბამის საკანონმდებლო ნორმებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ ორი კრიტერიუმი „სიახლე“ და „სამრეწველო გამოყენებადობა“ აუცილებელია სამივე ობიექტისთვის. ამას-

თან, მხოლოდ გამოგონებას ახასიათებს კრიტერიუმი საგამომგონებლო დონე. სასარგებლო მოდელის თავისებურ კრიტერიუმს წარმოადგენს უკვე არსებული ობიექტის გაუმჯობესება. სამრეწველო ნიმუშის დამახასიათებელ კრიტერიუმად კი გვევლინება ორიგინალური მხატვრულ-კონსტრუქციული შესრულება.

ამჟამად სამრეწველო ნიმუშის კრიტერიუმები ჰარმონიზებულია ევროპის ქვეყნების ფარგლებში. ევროპის საბჭოს დირექტივებით დასახელებულია ეროვნული კანონებით აუცილებლად გასათვალისწინებელი შემდეგი კრიტერიუმები:სიახლე და ინდივიდუალობა (ან ორიგინალობა).გაერთიანებული ევროპის სამრეწველო ნიმუშისათვის დადგენილი კრიტერიუმებია სიახლე და ორიგინალობა.

სიახლე

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის შემუშავებული და გამოსაყენებლად შეთავაზებული ტიპიური კანონი გამოგონებების შესახებ ადგენს, რომ გამოგონება არის ახალი, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონიდან.[1] ასევე განმარტავს სიახლეს საქართველოს კანონმდებლობაც. ეს განმარტება მართებულია, როგორც სასარგებლო მოდელის, ისე სამრეწველო ნიმუშისთვისაც. სამრეწველო ნიმუშის სიახლეს მთელი რიგი ქვეყნების კანონი ნაწარმს (საქონელს) უკავშირებს. მაგალითად, ნაწარმის დეკორირების შემთხვევაში დეკორაციული ნახატის ცნობილობა ნიმუშს სიახლეს არ უკარგავს, თუ იგი მოცემულ ნაწარმთან ერთად არ იყო საბაზრო მიმოქცევის საგანი.

ტექნიკის დონეს განსაზღვრავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ფიზიკურად არსებული ინფორმაციის მატარებლებზე. გარდა ამისა, სიახლის დადგენისას, ტექნიკის დონეს მიეკუთვნება ზეპირი ხასიათის ინფორმაცია და ინფორმაცია იდენტური ობიექტის გამოყენების შესახებ. იმის და მიხედვით, თუ როგორია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიდგომა ამ უკანასკნელი საინფორმაციო წყაროს მიმართ, ანსხვავებენ აბსოლუტური სიახლისა და შედარებითი ხასიათის სიახლის კრიტერიუმს. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა, მაგალითად, საფრანგეთი, სიახლის დადგენისას მხედველობაში ღებულობენ მსოფ-

[1] კრიტერიუმი ასევეა განმარტებული საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებით, რომლის მონაწილე საქართველოც არის.

ლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარი გამოყენების ფაქტის შესახებ ინფორმაციას, როგორც ზეპირი ხასიათისას, ისევე ნაბეჭდი სახით გამოქვეყნებულს. ამდენად, საფრანგეთი ითვალისწინებს ნებისმიერი სახით გავრცელებულ ინფორმაციას, რაც ამ ქვეყანას აკუთვნებს „აბსოლუტური სიახლის“ კრიტერიუმის მიმდევართა რიცხვს. სხვა უმრავლესი ქვეყნის მსგავსად, საქართველოც თავისი კანონმდებლობით ამ მიდგომის მიმდევარია. ზოგი ქვეყანა კი, მაგ. აშშ, ცნობს მისი ტერიტორიის ფარგლებში გამოყენებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ზეპირი სახის ინფორმაციას. ასეთი მიდგომით სიახლის დადგენისას ვიწროვდება იმ ინფორმაციის წყაროთა რიცხვი, რამაც შეიძლება გააბათილოს იგი. ასეთ შემთხვევაში სიახლის კრიტერიუმი შედარებითი ხასიათისაა.

საპატენტო პრაქტიკიდან გამომდინარე, ინფორმაცია, რომლითაც დგინდება სიახლე, იყოფა სამ ჯგუფად: ბეჭდვითი პუბლიკაცია, ინფორმაცია გამოყენების შესახებ და სხვა სახის გამოქვეყნებანი, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით.

ბეჭდვითი ინფორმაცია, როგორც წესი, გულისხმობს ნებისმიერი სახის სტამბურად ნაბეჭდსა თუ სხვაგვარად არსებულ ინფორმაციას. მხედველობაში მიიღება ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. საიდუმლო და კერძო ხასიათის ინფორმაცია, რომელიც ამ კერძო წრის გარეთ არ გასულა, სიახლეს ვერ გაუბათილებს დასაპატენტებელ ობიექტს. საერთო წესია, რომ ნაბეჭდი პროდუქცია ტექნიკის დონეს განეკუთვნება გამოქვეყნების მომენტიდან. ჟურნალები, სხვა სახის პერიოდიკა, წიგნები, განეკუთვნებიან ტექნიკის დონეს მათი გამოცემის დღიდან, რეკლამის ხასიათის ინფორმაცია – მისი გამოშვების დღიდან ან კონტრაგენტებისათვის დაგზავნის დღიდან, დისერტაცია – ბიბლიოთეკის კატალოგში შეტანის დღიდან, ან იმ დღიდან, როდესაც დაიწყო მისი გაცემა მკითხველისთვის.

მაგნიტურ ფირებზე ან ლაზერულ და სხვა სახის დისკებზე ჩაწერილი ინფორმაცია ასევე გააბათილებს სიახლეს მათი გამოშვების დღიდან. კომპიუტერულ ქსელში მოთავსებული ინფორმაცია ტექნიკის დონის ნაწილს შეადგენს ქსელში მისი შეტანის დღიდან. ნაბეჭდი ინფორმაცია არის აგრეთვე საპატენტო განაცხადების აღწერილობები. სიახლეს შეიძლება დაუპირისპირდეს კონკრეტულ საპატენტო უწყებაში, მაგალითად, საქპატენტში განხილვის პროცესში მყოფი განაცხადებიც, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა.

გაწვეული განაცხადები და ისეთი განაცხადები, რომლებზეც პატენტი არ გაიცა, შეიძლება მიღებულ იქნეს სიახლის დადგენისას, მხოლოდ მათ შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შემდეგ. ასეთად მიიჩნევა მაგალითად, განაცხადები, გამოქვეყნებული საპატენტო კანონის 37-ე მუხლის მიხედვით.

სიახლის დადგენასთან მიმართებით გამოგონების, სასარგებლო მოდელის, ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენებად ითვლება მათი კომერციული, სამეწარმეო, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, და სხვა მიზნებისათვის სარგებლობა, აგრეთვე გამოფენაზე ექსპონირება, გაყიდვა და ა.შ. იმავდროულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი საჯარო ხელმისაწვდომობა.

ინფორმაცია გამოყენების შესახებ აბათილებს სიახლეს, თუ გამოქვეყნებული მონაცემები იდენტურად აღწერს დასაპატენტებელი ობიექტის არსს. ამასთან, ღია დემონსტრირება არ განიხილება დაპატენტების ობიექტის არსის გახსნის წყაროდ, თუ მაგ., გამოგონების ან სასარგებლო მოდელის შემთხვევაში ასეთი ჩვენებით გასაგები ვერ ხდება ყველა არსებით ნიშანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და შეუძლებელია საგამომგონებლო იდეის აღქმა. ასევე, თუ გამოფენაზე გატანილი დანადგარის ან სხვა სახის მოწყობილობის კონსტრუქციული თავისებურებანი და მოქმედების პრინციპი არ არის აღწერილი ისე, რომ გასაგები იყოს დამატებითი მასალის და სპეციალური აღწერილობის მოშველიების გარეშე.

როგორც ცნობილია ხერხის საჯარო გამოყენებად ითვლება აგრეთვე ამ ხერხით დამზადებული ნაწარმის ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ანალიზით დგინდება, რომ პროდუქტი ნაწარმოებია მოცემული ხერხით. თუ ხერხის რომელიმე ილეთის ან პარამეტრის დადგენა ვერ ხერხდება, მაშინ პროდუქტის გამოყენება ამ ხერხს ცნობილად ვერ გახდის.

გამოყენება ითვლება საჯაროდ, თუ დასაპატენტებელი ობიექტი გამოიყენებოდა თუნდაც ერთი პირის მიერ და იგი არ იყო ვალდებული შეენახა ინფორმაცია ამ გამოყენების შესახებ საიდუმლოდ. საიდუმლო გამოყენება სიახლეს ვერ გააბათილებს. ინფორმაციის ამ კატეგორიას განეკუთვნება ზეპირი მონათხრობი, მოხსენება, ნახაზის გავრცელება, კონფერენციაზე ან რადიოთი თუ ტელევიზიით გამოსვლა, მონაცემების გავრცელება მეცნიერთა, ექსპერტთა, ინჟინერთა წრეში, რომლებიც არ არიან ვალდებული დაიცვან საიდუმლოება. ამგვარი მიდგომა სიახლის კრიტერიუმისად-

მი საერთაშორისო გაგებით განმტკიცდა 1973 წელს ევროპის საპატენტო (მიუნხენის) კონვენციის მიღების შემდეგ.

საპატენტო სამართლისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გარკვევა თუ დროის რა მომენტი უნდა იყოს აღებული ათვლის წერტილად სიახლის დადგენისათვის.

სიახლე დგინდება დროის გარკვეული მომენტისათვის, რომელიც ყველა ფაქტს ანიჭებს საკუთარ მნიშვნელობას პატენტუნარიანობის თვალსაზრისით. ყველა ფაქტი, რომელიც ამ თარიღამდე მოხდა და გადმოსცემს დაპატენტების ობიექტის საგანს, აბათილებს სიახლეს, ხოლო ყველა დანარჩენი ფაქტი, მომხდარი ამ თარიღის შემდეგ, სიახლეზე ვეღარავითარ გავლენას ვერ მოახდენს და შესაბამისად მათ არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნიათ. თარიღი, რომელიც გამოიყენება სიახლის დადგენისათვის, განსაზღვრავს გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის პირველობას, ანუ თუ ვიხმართ დამკვიდრებულ ტერმინს – პრიორიტეტს, ყველაზე გავრცელებულია მისი დადგენა საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღით. თუ ერთი და იგივე ობიექტზე შეტანილია რამდენიმე იდენტური განაცხადი, მაშინ პრიორიტეტით ისარგებლებს უფრო ადრინდელი. თუ ასეთი განაცხადები ერთსა და იმავე დღეს იქნა შეტანილი, მაშინ საქართველოს კანონმდებლობით (ასეთივე ნორმა გააჩნია იაპონიას) განმცხადებლებს ეცნობებათ ეს ფაქტი და ისინი უნდა შეთანხმდნენ ერთობლივი განაცხადის მიწოდებაზე.

სიახლის განსასაზღვრავად თანამედროვე საპატენტო კანონებითა და საერთაშორისო შეთანხმებებით დადგენილია ზოგიერთი შეღავათი. აღნიშნული შეღავათი ვრცელდება ავტორის ან სხვა პირის მიერ საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღამდე ინფორმაციის გავრცელებაზე, თუ არ გასულა დადგენილი ვადა. შეღავათის არსი ის არის, რომ ამ ვადის დაცვის შემთხვევაში სიახლე არ ბათილდება. ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობით გამოგონებისთვის გავრცელდა (საქართველოს საპატენტო კანონშიც აისახა) ე. წ. 12 თვიანი შეღავათის პერიოდი, ნაცვლად წინათ არსებული 6 თვიანი შეღავათისა. სასარგებლო მოდელისთვის და სამრეწველო ნიმუშისთვის 6-თვიან შეღავათზე აშშ-ს პრაქტიკას გავლენა არ მოუხდენია. ამგვარი შეღავათი მნიშვნელოვანია ავტორისთვის და განმცხადებლისათვის, რადგან იძლევა ხანგრძლივი დროის მანძილზე ექსპერიმენტებისა და სხვა სახის, მაგალითად კონიუნქტურული გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობა.

საერთაშორისო ნორმად ფართოდ გამოიყენება პარიზის კონვენციით დადგენილი „საკონვენციო საპრიორიტეტო შეღავათი". საილუსტრაციოდ მოვიხმართ მხოლოდ ერთ მაგალითს. საქართველოს საპატენტო უწყებაში 1994 წლის 24 აგვისტოს შეტანილ იქნა განაცხადი გამოგონებაზე. შემდეგ ქართველმა განმცხადებელმა 1995 წლის 22 აგვისტოს წარადგინა განაცხადი ამავე გამოგონებაზე იაპონიაში საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნით. მანამდე, 1995 წლის 24 იანვარს იაპონელმა განმცხადებელმა იგივე გამოგონებაზე პატენტის მიღების სურვილით წარადგინა განაცხადი იაპონიის საპატენტო უწყებაში. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიაში ქართველი განმცხადებელი წარსდგა მთელი 8 თვის დაგვიანებით იაპონელთან შედარებით, მხვედველობაში მიიღება საქპატენტში წარდგენილი განაცხადის, ანუ „პირველი განაცხადის" თარიღი და პატენტს მიიღებს ქართველი განმცხადებელი. აქ არსებითია ის, რომ პირველი განაცხადი სწორად იყოს გაფორმებული ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, იმდენად, რომ მას ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ჩატარებით დაუდასტურდეს განაცხადის წარდგენის თარიღი.

ამერიკული საპატენტო სამართლისათვის ცნობილია პრიორიტეტის თარიღის სხვაგვარი დადგენაც. აშშ-ს, კანადის და ფილიპინების საპატენტო კანონმდებლობა აწესებს ე. წ. ინტერფერენციის, ანუ საპრიორიტეტო დავის განხილვის სპეციალურ პირობებს. ასეთი განხილვა ხდება ჯერ საპატენტო უწყებაში, ხოლო თუ ვერ მოხერხდა საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა – სასამართლოში. ამ წესით გამოგონების პრიორიტეტი აითვლება არა განაცხადის წარდგენის თარიღით საპატენტო უწყებაში, არამედ გამოგონების შექმნის თარიღით. ეს ნიშნავს, რომ თუ უწყებაში შეტანილ იქნა ორი ან მეტი იდენტური განაცხადი სხვადასხვა განმცხადებლის მიერ, მაშინ პრიორიტეტი მიენიჭება არა იმ განმცხადებელს, რომელმაც პირველად წარადგინა განაცხადი, არამედ იმას, რომელიც დაამტკიცებს გამოგონების პირველად შექმნის ფაქტს.

ინგლისური საპატენტო სამართლის ქვეყნებში არსებობს წინასწარი აღწერილობის საფუძველზე პრიორიტეტის დადგენის პრაქტიკა. ეს ქვეყნებია ინდოეთი, ირლანდია, კანადა, ავსტრალია, ინგლისი, აშშ და სხვ. აღსანიშნავია, რომ წინასწარი აღწერილობის მიწოდების პრაქტიკას მხარს უჭერს სულ უფრო მეტი ქვეყნის კანონმდებლობა. საქართველოსათვის ეს ფაქტი საყურადღებოა, რადგან, ფაქტობრივად, წინასწარი აღწერილობით შეიძლება პრიო-

რიტეტის მოპოვება ჯერ კიდევ „დაუსრულებელ
იდეაზე. წინასწარი აღწერილობის მიწოდებიდან 12 თვეში განმცხადებელი ვალდებულია შეიტანოს სრული აღწერილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში წინასწარ აღწერილობას არავითარი იურიდიული ძალა არ ენიჭება და განაცხადი მიწოდებულად არ ითვლება. წინასწარი აღწერილობა შეიძლება იყოს იდეის დაუსრულებელი აღწერის სახით, სტატიის მსგავსად. იგი ამ ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად არ შეიძლება წარმოადგენდეს განაცხადს, რომლითაც მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი. თუ აღნიშნულ ვადაში იქნა მიწოდებული გამოგონების სრული აღწერილობა და სრული და წინასწარი აღწერილობების იდენტურობა დამტკიცდა, მაშინ წინასწარი აღწერილობის მიწოდების თარიღი პრიორიტეტად ჩაითვლება. პატენტის მოქმედების ათვლაზე წინასწარი აღწერილობის შეტანის თარიღი გავლენას არ ახდენს.

სამრეწველო გამოყენებადობა

გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე პატენტი გაიცემა იმ პირობით, თუ მათ გააჩნია სამრეწველო გამოყენებადობა. პატენტუნარიანობის ეს კრიტერიუმი გათვალისწინებულია ყველა ახლადშემოღებული საპატენტო კანონმდებლობით, განსაკუთრებით ევროპის საპატენტო კონვენციის ხელმოწერის შემდეგ. ამ კრიტერიუმის მოთხოვნა ის არის, რომ ობიექტი, რომელზედაც მოითხოვება პატენტი, უნდა იყოს პრაქტიკული მიზნების განხორციელებისათვის გამოსადეგი. თუ საქმე ეხება გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს, განაცხადში არ უნდა იყოს გამოხატული მხოლოდ თეორიული შედეგი. აღწერილობიდან უნდა მტკიცდებოდეს გამოგონებისა ან სასარგებლო მოდელისათვის გარკვეული მატერიალური სახის მიცემის შესაძლებლობა და გამოყენებადობის დასტური. ასეთივე მიდგომა არსებობს სამრეწველო ნიმუშის მიმართაც. თუ განცხადებულია მოცულობითი ან ორგანზომილებიანი ნიმუში, უნდა ჩანდეს მისი სამრეწველო წესით პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა.

ეს კრიტერიუმი მეორენაირადაც განიმარტება. ხშირად იგულისხმება, რომ გამოგონება დაკავშირებული უნდა იყოს სამრეწველო ხასიათის საქმიანობასთან, რაც ნიშნავს გარკვეულ ფარგლებში ტექნოლოგიური ან სხვა ანალოგიური სამეწარმეო საქმიანობის გაწევას. შესაბამისად, მოცემული კრიტერიუმია მთავარი მიზეზი იმი-

სა, რომ მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს საპატენტო კანონით არ გაიცემა პატენტი ისეთ გამოგონებაზე (შესაბამისად სასარგებლო მოდელზე), რომელიც ეხება ადამიანის და ცხოველების ქირურგიულ ან თერაპიულ მკურნალობას, ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში ჩარევით დიაგნოსტიკური მეთოდის განხორციელებას. 1992 წ. გამოგონების შესახებ დებულებისაგან განსხვავებით საპატენტო კანონმა პირდაპირ აკრძალა საქართველოს პატენტის გაცემა ასეთი სახის გამოგონებებზე.

საქართველოს პირველი საკანონმდებლო აქტებით – 1992 წლის დებულებებით გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავდა გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის მრავალჯერადი დამზადების (განმეორებადობის) ან სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის და საქმიანობის სხვა სფეროში. მოცემული განმარტება კარგად ესადაგებოდა სამრეწველო ნიმუშსაც, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, ხელოვნებისა და კულტურის დარგშიც.

საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით სამრეწველო გამოყენებადობის განმარტება აღარ შეიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის მრავალჯერადი დამზადების მოთხოვნას. ვფიქრობთ, კანონისეული განმარტება უსაფუძვლოდ აფართოებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის ობიექტების რიცხვს. ეს ცვლილება არსებითია, რადგან საპატენტო კანონის მიხედვით პატენტი უნდა გაიცეს ისეთ ობიექტებზეც, რომლებიც შეიძლება იყოს მხოლოდ ერთჯერადად განხორციელებადი. პატენტის გაცემის ასეთი პრინციპი ეწინააღმდეგება სამრეწველო საკუთრების სამართლის აღიარებულ პრინციპებს. სამრეწველო საკუთრების ობიექტად პატენტით შეიძლება დაცული იყოს მხოლოდ ისეთი ობიექტი, რომლის განმეორებაც შესაძლოა უსასრულო რაოდენობით. თუ ობიექტი მხოლოდ ერთხელ შეიძლება იყოს ხორცშესხმული, მაშინ მის ავტორს პატენტის მიღებაც არ სჭირდება.

სამრეწველო ნიმუშისათვის საქართველოს საპატენტოკანონმა 1992 წ. დებულების განმარტება უცვლელად დატოვა.

როგორც აღინიშნა, სამრეწველო საკუთრების ობიექტებს ზემოთ გაშუქებული საერთო კრიტერიუმების გარდა გააჩნია მათთვის დამახასიათებელი კრიტერიუმებიც.

საგამომგონებლო დონე

ეს კრიტერიუმი დამახასიათებელია მხოლოდ გამოგონებისათვის. სავარაუდო გამოგონების საგამომგონებლო დონე ნიშნავს, იმას რომ გამოგონება უნდა წარმოადგენდეს არა მარტო ახალ იდეას, არამედ უნდა იყოს გონებრივი შრომის ნაყოფი. ეს კრიტერიუმი მიუთითებს მაღალ შემოქმედებით შედეგზე და მიუთითებს, რომ უნდა მოიძებნოს არაცხადი, შემოქმედებითი თვალსაზრისით ძნელად გადასალახავი ნაბიჯი, რომლითაც მოცემული საგამომგონებლო იდეა, ანუ გამოგონება, დაშორებულია ტექნიკის ცნობილი დონისაგან. როგორც უკვე ითქვა, გამოგონება უნდა იყოს შემოქმედების შედეგი. თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ „შემოქმედება არის არაფრისგან რაღაცის შექმნა". თუ ეს თეზისი მართებულია, მაშინ ნათელია, რომ შემოქმედების შედეგი ყოველთვის უნდა განსხვავდებოდეს ყოველივე იმისაგან, რაც აქამდე არსებობდა. ამავე დროს შემოქმედება ისიცაა, რისი შედეგიც შეიძლება გამოიხატოს არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით რაიმე სიახლის შექმნით. მაგრამ გამოგონებისათვის ეს ახალი შედეგი ჩვეულებრივად ამოცნობადი კი არ უნდა იყოს, არამედ – მოულოდნელი.

შემოქმედების ზემოთ მოყვანილი დახასიათება თანხმობაშია საპატენტო პრაქტიკასთან და კარგად ეხმიანება დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ გამოგონება თვისობრივად შეიძლება ორგვაროვანი იყოს. პიონერული (რომელსაც არავითარი წინამორბედი არ გააჩნია) და გაუმჯობესებული ცნობილი ობიექტი (ცნობილი ობიექტის სრულყოფა ისე, რომ ვლინდებოდეს მოულოდნელი ხარისხობრივი თვისება).

თანამედროვე საპატენტო კანონმდებლობა საგამომგონებლო დონეს განიხილავს, როგორც არაცხად განსხვავებას გამოგონებასა და ტექნიკის დონეს შორის. გამოგონების „არასიცხადე" დამკვიდრდა ინგლისურიდან „non-obvious" (არაცხადი). ტერმინის მეორე ნაწილი „obvious" ცხადს ნიშნავს და წარმოიშვა ლათინური ფუძიდან „via" – გზა – გეზი, შესაბამისად იდეა, რომელიც თან სდევს გამოგონებას „შემოქმედების გზაზე" ისე, რომ მისი არ დანახვა შეუძლებელია, ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან. ხოლო, როდესაც გამომგონებელი მიაგნებს სრულიად ახალ, სპეციალისტისათვის „შენიღბულ", „მალულ" იდეას, მაშინ საქმე გვაქვს ამ იდეის არასიცხადესთან.

საგამომგონებლო დონის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება გამოქვეყნებული გამოგონების აღწერილობები და განაცხადები, რომლებზეც განხილვა არ დასრულებულა და შესაბამისად არ გამოქვეყნებულა. მაშასადამე, საინფორმაციო წყაროთა წრე, რომელიც უპირისპირდება გამოგონების სიახლესა და საგამომგონებლო დონეს, მათი შეფასებისას ერთმანეთისგან განსხვავებულია.

კრიტერიუმი ატარებს სუბიექტურ ხასიათს იმდენად, რამდენადაც საგამომგონებლო დონის დადგენა, ე. ი. საგამომგონებლო იდეის არსებობის ფაქტის დადგენა, ხდება მოცემული დარგის „საშუალო დონის სპეციალისტის" მიერ.

ასეთივე მიდგომა გადმოცემულია საქართველოს საპატენტო კანონში, რომლის თანახმადაც „გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან".

მსოფლიოს საპატენტო ადმინისტრაციულმა და სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა დამატებითი პირობები ამ კრიტერიუმის შეფასებისას მეტი ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

საგამომგონებლო დონე დასტურდება, თუ:

- **მოთხოვნილების მიუხედავად სპეციალისტებმა ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ მიაგნეს საჭირო იდეას, თუმცა საამისოდ არაერთი მცდელობა იყო;**
- **არსებული გამოგონებები ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას.**
- **გამოგონების შექმნას წინ ედგა მნიშვნელოვანი, ძნელად გადასალახავი ტექნოლოგიური სირთულეები.**

საგამომგონებლო დონე შეიძლება დადასტურდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ გამომგონებელმა გადალახა გაბატონებული ტექნოლოგიური „ცრურწმენა", კონსერვატიზმი და სპეციალისტთა „ტექნოლოგიური სიბეცე", რომლებმაც, მოთხოვნილობის მიუხედავად, ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ მოძებნეს ტექნიკის დონიდან ცხადად გამომდინარე იდეა.

შეიძლებათ შეფასებულ არ ითვლება და შესაბამისად ვერ დაკმაყოფილდება „საგამომგონებლო დონის" მოთხოვნები, თუ იდეა განხორციელებულია არსებულის ეკვივალენტურად, ანუ გამოყენებულია იმავე ფუნქციის მქონე ტექნიკური ელემენტები. ეკვივალენტების თეორიის მიხედვით მარტივებულია, თუ ელემენტები ცნობილი ტექნოლოგიური საშუალებებია, რომლებიც ასრულებენ ერთ-

ის და ისეკე ფუნქციას გაძოგოხებასა და იმ ობიექტში, საიდანაც იქნა ნასესხები.

სასარგებლო მოდელის თავისებურ კრიტერიუმს წარმოადგენს არსებული ობიექტის გაუმჯობესება (შემდგომში გაუმჯობესება).

ეს კრიტერიუმი ხაზს უსვამს სასარგებლო მოდელის უფრო დაბალ დონეს, ვიდრე გამოგონებას გააჩნია. როგორც ზემოთ განვიხილეთ, საგამომგონებლო დონე მოიცავს „გაუმჯობესებასაც“, მაგრამ, თუ სასარგებლო მოდელისთვის საკმარისია ჯამურ-რაოდენობრივი ხასიათის ცვლილება არსებულ ობიექტში, ისე, რომ მიიღწევა ამ უკანასკნელისათვის ახალი (თუნდაც ჯამური) ტექნიკური შედეგი, გამოგონებისთვის, „გაუმჯობესების“ შემთხვევაში აუცილებელია მოულოდნელი ტექნიკური შედეგის არსებობა. სასარგებლო მოდელი თავისი შინაარსით არ არის გამიზნული ტექნიკის დონის ამაღლებისათვის, გამოგონებამ კი პირიქით უნდა იქონიოს გავლენა ტექნიკის დონის ამაღლებაზე.

ამდენად, სასარგებლო მოდელისთვის „გაუმჯობესების“ კრიტერიუმის მოთხოვნები დაკმაყოფილდება თუნდაც განმასხვავებელ არსებით ნიშნებად გამოყენებულ იქნეს ცნობილი ეკვივალენტები. აქ მთავარ ნიშნად სარგებლიანობა გვევლინება (მას ითვალისწინებდა 1992 წ. დებულება გამოგონების შესახებ), რომლის არსებობაც სამრეწველო საკუთრების ამ ობიექტის განსაზღვრისათვის გადამწყვეტ პირობად გვესახება.

მხატვრულ-კონსტრუქციული შესრულება

ეს კრიტერიუმი მხოლოდ სამრეწველო ნიმუშს ახასიათებს და აახლოვებს მას როგორც სამრეწველო საკუთრების, ასევე საავტორო სამართლის ობიექტთან. კრიტერიუმი ითხოვს, რომ ნიმუშს დასრულებული სახე უნდა ჰქონდეს და ხასიათდებოდეს შესაბამისი მხატვრული ღირსებით. სწორედ ეს უკანასკნელი თვისება ანიჭებს ნაკეთობას მიმზიდველობას მომხმარებლის თვალში. მისი მეშვეობით საქონელი შეიძლება ფრიად პოპულარული გახდეს და ახალი დიდი წარმატება მოუტანოს მეწარმეს.

კრიტერიუმი განსხვავებულად აისახება საკანონმდებლო ნორმებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონი ადგენს, რომ ნიმუშის შემოთავაზებული ელემენტი უნდა ემსახურებოდეს ნაკეთობის დამშვენებას. იაპონიის კანონის მიხედვით ნიმუში უნდა ტოვებდეს ესთეტიკურ შთაბეჭდილებას. გერმანიის კანონმდებლობით

საგამომგონებლო დონის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება გამოუქვეყნებელი გამოგონების აღწერილობები და განაცხადები, რომლებზეც განხილვა არ დასრულებულა და შესაბამისად არ გამოქვეყნებულა. მაშასადამე, საინფორმაციო წყაროთა წრე, რომელიც უპირისპირდება გამოგონების სიახლესა და საგამომგონებლო დონეს, მათი შეფასებისას ერთმანეთისგან განსხვავებულია.

კრიტერიუმი ატარებს სუბიექტურ ხასიათს იმდენად, რამდენადაც საგამომგონებლო დონის დადგენა, ე. ი. საგამომგონებლო იდეის არასიცხადის ფაქტის დადგენა, ხდება მოცემული დარგის „საშუალო დონის სპეციალისტის“ მიერ.

ასეთივე მიდგომა გადმოცემულია საქართველოს საპატენტო კანონში, რომლის თანახმადაც „გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან“.

მსოფლიოს საპატენტო ადმინისტრაციულმა და სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა დამატებითი პირობები ამ კრიტერიუმის შეფასებისას მეტი ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

საგამომგონებლო დონე დასტურდება, თუ:

- **მოთხოვნილების მიუხედავად სპეციალისტებმა ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ მიაგნეს საჭირო იდეას, თუმცა საამისოდ არაერთი მცდელობა იყო;**
- **არსებული გამოგონებება ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას.**
- **გამოგონების შექმნას წინ ედგა მნიშვნელოვანი, ძნელად გადასალახავი ტექნოლოგიური სირთულეები.**

საგამომგონებლო დონე შეიძლება დადასტურდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ გამომგონებელმა გადალახა გაბატონებული ტექნოლოგიური „ცრურწმენა“, კონსერვატიზმი და სპეციალისტთა „ტექნოლოგიური სიბეცე“, რომლებმაც, მოთხოვნილობის მიუხედავად, ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ მოძებნეს ტექნიკის დონიდან ცხადად გამომდინარე იდეა.

შემოქმედებით შედეგად არ ითვლება და შესაბამისად ვერ დაკმაყოფილდება „საგამომგონებლო დონის“ მოთხოვნები, თუ იდეა განხორციელებულია არსებულის ეკვივალენტურად, ანუ გამოყენებულია იმავე ფუნქციის მქონე ტექნიკური ელემენტები. ეკვივალენტების თეორიის მოხმობა მართებულია, თუ ელემენტები ცნობილი ტექნოლოგიური საშუალებანია, რომლებიც ასრულებენ ერთ-

სა და იმავე ფუნქციას გამოგონებასა და იმ ობიექტში, საიდანაც იქნა ნასესხები.

სასარგებლო მოდელის თავისებურ კრიტერიუმს წარმოადგენს არსებული ობიექტის გაუმჯობესება (შემდგომში გაუმჯობესება).

ეს კრიტერიუმი ხაზს უსვამს სასარგებლო მოდელის უფრო დაბალ დონეს, ვიდრე გამოგონებას გააჩნია. როგორც ზემოთ განვიხილეთ, საგამომგონებლო დონე მოიცავს „გაუმჯობესებასაც“, მაგრამ, თუ სასარგებლო მოდელისთვის საკმარისია ჯამურ-რაოდენობრივი ხასიათის ცვლილება არსებულ ობიექტში, ისე, რომ მიიღწევა ამ უკანასკნელისათვის ახალი (თუნდაც ჯამური) ტექნიკური შედეგი, გამოგონებისთვის, „გაუმჯობესების“ შემთხვევაში აუცილებელია მოულოდნელი ტექნიკური შედეგის არსებობა. სასარგებლო მოდელი თავისი შინაარსით არ არის გამიზნული ტექნიკის დონის ამაღლებისათვის, გამოგონებამ კი პირიქით უნდა იქონიოს გავლენა ტექნიკის დონის ამაღლებაზე.

ამდენად, სასარგებლო მოდელისთვის „გაუმჯობესების“ კრიტერიუმის მოთხოვნები დაკმაყოფილდება თუნდაც განმასხვავებელ არსებით ნიშნებად გამოყენებულ იქნეს ცნობილი ეკვივალენტები. აქ მთავარ ნიშნად სარგებლიანობა გვევლინება (მას ითვალისწინებდა 1992 წ. დებულება გამოგონების შესახებ), რომლის არსებობაც სამრეწველო საკუთრების ამ ობიექტის განსაზღვრისათვის გადამწყვეტ პირობად გვესახება.

მხატვრულ-კონსტრუქციული შესრულება

ეს კრიტერიუმი მხოლოდ სამრეწველო ნიმუშს ახასიათებს და აახლოვებს მას როგორც სამრეწველო საკუთრების, ასევე საავტორო სამართლის ობიექტთან. კრიტერიუმი ითხოვს, რომ ნიმუშს დასრულებული სახე უნდა ჰქონდეს და ხასიათდებოდეს შესაბამისი მხატვრული ღირსებით. სწორედ ეს უკანასკნელი თვისება ანიჭებს ნაკეთობას მიმზიდველობას მომხმარებლის თვალში. მისი მეშვეობით საქონელი შეიძლება ფრიად პოპულარული გახდეს და ახალი დიდი წარმატება მოუტანოს მეწარმეს.

კრიტერიუმი განსხვავებულად აისახება საკანონმდებლო ნორმებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონი ადგენს, რომ ნიმუშის შემოთავაზებული ელემენტი უნდა ემსახურებოდეს ნაკეთობის დამშვენებას. იაპონიის კანონის მიხედვით ნიმუში უნდა ტოვებდეს ესთეტიკურ შთაბეჭდილებას. გერმანიის კანონმდებლობით

მოთხოვნა პირდაპირ არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არსებობს პრინციპი, რომ ნაკეთობა ესთეტიკურობით უნდა ხასითადებოდეს, რაც ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. იტალიის კანონით ნიმუში სამრეწველო ნაწარმს უნდა ანიჭებდეს მხატვრულ ღირსებებს.

მხატვრული ღირსების კრიტერიუმი აუცილებელი პირობაა სამრეწველო ნიმუშის დაცვის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ინგლისში სასამართლომ არ მიიჩნია სამრეწველო ნიმუშად მოტოციკლის საქარე მინის გარეგანი სახე, რადგან მისი ერთადერთი ახალი ნიშანი გამოხატული იყო მხოლოდ ვერტიკალური ცილინდრული ფორმის ნაღუნით. ასეთი შესრულება გაპირობებულია ობიექტის ტექნიკური ფუნქციით, რამაც მინას შესძინა მხოლოდ სიხისტე. აშშ-ს სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებულია, რომ თუ გარეგანი სახე გაპირობებულია მხოლოდ ფუნქციური დანიშნულებით, მაგ. ექვსწახნაგა ქანჩი, საკისარი და ა. შ., მაშინ ასეთი ნაკეთობა არ მიიჩნევა სამრეწველო ნიმუშად. იმის დასადგენად, განეკუთვნება თუ არა გარეგანი სახე მხოლოდ ტექნიკურ გაუმჯობესებას და ატარებს თუ არა მხატვრულ ღირსებას, მიმართავენ შემდეგ ხერხს. ნაკეთობას უცვლიან ფორმას და სწავლობენ რა ეფექტის მომტანია ასეთი ცვლილება. თუ დასტურდება მხოლოდ ტექნიკური ფუნქცია, მაშინ ასეთი გარეგანი სახე არ მიიჩნევა სამრეწველო ნიმუშად. მაგალითად, ავტომანქანის ფარებს გააჩნიათ ღარაკები. მათი მეშვეობით სინათლე იფანტება და შემხვედრი მანქანის მძღოლს არ აბრმავებს. ღარაკის ფორმის ცვლილებისას შუქის სხივი აღარ იფანტება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ღარაკების ასეთ ფორმას მხოლოდ ტექნიკური და არა მხატვრული ღირსება გააჩნია. ასეთი ნიმუში საპატენტო დაცვას არ ექვემდებარება.

თუ აღმოჩნდა, რომ გარეგანი სახე ტექნიკურ გაუმჯობესებასთან ერთად ესთეტიკურ ღირსებათა შეძენას იწვევს, მაშინ პატენტი შეიძლება გაიცეს.

განხილული კრიტერიუმის შეფასება ხდება მხედველობითი აღქმით. თავისი ბუნებით იგი „საგამომგონებლო დონის" მსგავსია და მიუთითებს შემოქმედებით შედეგზე, ანუ გარეგანი სახის ორიგინალობაზე. შეფასებისას მიკერძოება ვერ გამოირიცხება. პირიქით ორი ერთი და იგივე დონის სპეციალისტის მიერ ნაწარმის გარეგანი სახით გამოწვეული ესთეტიკური შთაბეჭდილება თითქმის ყოველთვის განსხვავებულად შეფასდება.

გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, როგორც საპატენტო დაცვის ობიექტები

სამრეწველო საკუთრების სამივე ობიექტის შექმნა და არსებობა დაკავშირებულია მხოლოდ ავტორთა ნიჭსა და ნება-სურვილთან. მაგრამ, სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს უკვე შექმნილი გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის, ისევე როგორც ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტების, საიმედო სამართლებრივი დაცვა. ამდენად, სახელმწიფო კანონის ძალით ახორციელებს აღნიშნული ობიექტების გარკვეული კატეგორიების საპატენტო დაცვას, რათა მოწესრიგდეს მათ შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობანი. ისეთ გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს და სამრეწველო ნიმუშებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს და რომლებსაც საპატენტო კანონი იცავს, „დაცვითუნარიანი" ეწოდება. ხშირად იხმარება აგრეთვე ტერმინი „პატენტუნარიანი".

როგორც ნათქვამიდან გამომდინარეობს, არსებობს ისეთი კატეგორიის გამოგონებები, სასარგებლო მოდელები და სამრეწველო ნიმუშები, რომლებიც კანონის ძალით დაცვიდან ამოღებულია და მათზე პატენტი არ გაიცემა. მათ არადაცვითუნარიანი ანუ არაპატენტუნარიანი ობიექტები ეწოდება.

თავი 17. დაცვითუნარიანი ობიექტები

დაცვითუნარიანია და შესაბამისად პატენტუნარიანია ყველა ის ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი დაცვა ენიჭება გამომგონებლობის ან შემოქმედებითი ხასიათის ყველა ისეთ შედეგს, რომლითაც დასტურდება გამოგონების, სასარგებლო მოდელის, ან სამრეწველო ნიმუშის შექმნა. საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ასეთი ობიექტებისათვის უნდა არსებობდეს დაცვის შესაბამისი და განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. ნათქვამის თანახმად, პატენტუნარიანობის კრიტერიუმები განსაზღვრულია, როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტების არსიდან, ასევე სოციალური მიზნებიდან გამომდინარე. გარკვეულ ფარგლებში სახელმწიფოს უფლება აქვს აირჩიოს ეს კრიტერიუმები და დააფიქსიროს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. საქართველოში ამჟამად მოქმედი საპატენტო კანონი დაცვითუნარიანო-

ბის კრიტერიუმებს განსაზღვრავს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პრინციპების სრული დაცვით.

ყველა სხვა სახის ობიექტი, რომელიც ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს არაპატენტუნარიანია.

ამასთან, არსებობს ისეთი სამრეწველო საკუთრების ობიექტები, რომლებიც შეიძლება აკმაყოფილებდეს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, მაგრამ კანონი მათზე პატენტის გაცემის ნებას არ იძლევა.

საქართველოს კანონმდებლობა არადაცვითუნარიან ობიექტებს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ასახელებს. გამოგონებად და შესაბამისად სასარგებლო მოდელად არ ითვლება:

- **მეცნიერული, გეოგრაფიული და სხვა ხასიათის აღმოჩენა;**
- **სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური გათვლები და მეთოდები;**
- **ალგორითმები და პროგრამები გამომთვლელი მანქანებისათვის;**
- **აღზრდის, სწავლების მეთოდები და სისტემა;**
- **ენის გრამატიკული სისტემა;**
- **გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები;**
- **თამაშობების (მაგ. ფეხბურთის, კარტის და სხვა), გათამაშებების (მაგ. ლატარია) წესები;**
- **მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები;**
- **ნაგებობების, შენობების, ტერიტორიების დაგეგმარების პროექტები და სქემები;**
- **პირობითი ნიშნები (მაგ. საგზაო), განრიგი, წესები (მაგ. მოძრაობის);**
- **ინფორმაციის წარდგენის ხერხი (მაგ. ცხრილების, ფორმულარების, გეგმების, გრაფიკების, დიაგრამების მეშვეობით);**
- **მხატვრული შემოქმედება – კონსტრუირების შედეგები (მაგ. დიზაინური ხასიათისა, მათ შორის სამრეწველო ნიმუშები).**

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, გამოგონებად და სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა არატექნიკური ხასიათის მიღწევები, თუ პატენტი მოითხოვება ისე, რომ განაცხადში ისინი აღწერილია წმინ-

და სახით – უშუალოდ, ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების გარეშე. ხსენებულ ობიექტებზე პატენტი არ გაიცემა, რადგან შინაარსობრივად ვერ პასუხობენ საპატენტო კანონმდებლობით გამოგონებისა და სასარგებლო მოდელისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

ამასთან, ზოგიერთ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე, თუმცა მათ შეიძლება დააკმაყოფილონ კანონის მოთხოვნები, პატენტის გაცემა მაინც არ დაიშვება. მათ რიცხვს განეკუთვნება ისეთი ობიექტები, რომელთა გამოქვეყნებამ ან გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ან წაახალისოს არაჰუმანური, ამორალური, ანტისაზოგადოებრივი ქმედება. პატენტი არ გაიცემა, მაგალითად, ადამიანის წამებისთვის გამიზნულ აპარატურაზე ან მეთოდზე.

პატენტი ასევე არ გაიცემა მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებზე, ან მათი გამოყვანის ბიოლოგიურ ხერხებზე. იგივეს ვერ ვიტყვით მიკრობიოლოგიურ ხერხებზე და მათ მეშვეობით მიღებულ პროდუქტებზე.

გარდა აღნიშნულისა, სასარგებლო მოდელის პატენტი არ გაიცემა მიკროორგანიზმთა შტამებზე, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებზე, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებზე, ქიმიური ხერხით მიღებულ ნივთიერებებზე.

რაც შეეხება მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებს, ანუ სასელექციო მიღწევებს, მათი დაცვა ხორციელდება სპეციალური კანონით სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილის, გარდა სამრეწველო ნიმუშად არ მიიჩნევა დაგეგმარების პროექტები, სქემები და გამოგონება ან სასარგებლო მოდელი.

სამრეწველო ნიმუშის პატენტი არ გაიცემა:

- **ობიექტებზე, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ ინტერესებს ან მორალს, შებღალონ ეროვნული და რელიგიური გრძნობები (მაგ. უხამსი ფორმის ნაკეთობანი და სხვ.);**
- **შენობათა და სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგნულ სახეზე. ეს წესი არ ვრცელდება მცირე არქიტექტორულ ფორმებზე (მაგ. კიოსკი, სატელეფონო ჯიხური);**
- **არამდგრადი ფორმის ნაკეთობებზე (თხევადი, ფხვიერი, აირისებრი და სხვ.);**
- **ნაკეთობებზე, რომელთა გარეგნული სახე გაპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ფუნქციით;**

- **ნაბეჭდ პროდუქციაზე უშუალოდ (მაგ. ჟურნალი, წიგნი, გაზეთი, ბლანკი, ბილეთი და სხვ.);**
- **ნაკეთობებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ პრაქტიკული გამოყენების ფუნქცია, როგორც ნივთისა, მაგალითად ხელოვნების ნიმუში.**

მხატვრულ-კონსტრუქციული შემოქმედების სპეციფიკიდან გამომდინარე, პატენტი არ გაიცემა ისეთ ნაკეთობებზე, რომლებიც არ წარმოადგენს შემოქმედებით შედეგს, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ნივთების ასლებზე. ასევე მხოლოდ პარამეტრების შეცვლით მიღებულ ნაკეთობებზე (დივანი, რომელიც იმეორებს სავარძლის გარეგან სახეს და განსხვავდება მხოლოდ ზომებით ან, მაგალითად, რბილი დასაწოლი ადგილის დამატებით);

თავი 18. გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ობიექტები

ა. მოწყობილობა

ეჭვს გარეშეა, რომ მოწყობილობა წარმოადგენს გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის ობიექტს, რადგანაც ყოველ მათგანს განეკუთვნება.

მოწყობილობა საპატენტო პრაქტიკაში დაცვის ყველაზე გავრცელებული ობიექტია.

მოწყობილობად იგულისხმება კონსტრუქციული ელემენტების ერთობლიობიდან შემდგარი ობიექტი, ან თავად კონსტრუქციული ელემენტი, ცალკე აღებული. ამასთან, პირველ შემთხვევაში კონსტრუქციული ელემენტები ერთმანეთთან ფუნქციური და კონსტრუქციული ერთიანობით უნდა იყვნენ წარმოდგენილი. მაგალითად, ერთ მთლიან მოწყობილობად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ობიექტი, რომელიც გამოხატულია „ყუთში“ ერთმანეთთან ფუნქციური კავშირის გარეშე მოთავსებული ელემენტების სახით (ასანთის კოლოფში მოთავსებული ღეროების მსგავსად).

მოწყობილობა საპატენტო პრაქტიკაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მრავალი სახით:

- მანქანა-მექანიზმები;
- დანადგარები, ნაგებობები;
- ხელსაწყოები;
- იარაღები;

- ელექტროტექნიკური და ელექტრონული სქემები;
- უწყვეტ-ნაკადური ხაზები;
- კომბაინები, აგრეგატები და სხვა.

როგორც ვხედავთ, მოწყობილობა თავისი დანიშნულებით განკუთვნილია სამეწარმეო-ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად, ფიზიკურ ან ქიმიურ მოვლენებზე ზემოქმედებისთვის, ან ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მოწყობილობა შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: მოწყობილობები, რომლებიც მუშაობისას ერთმანეთში არ არის ფუნქციურ კავშირში, მაგ. საზეინკლო იარაღები, მანქანათა ნაწილები მათ აწყობამდე; მეორე კატეგორია კი პირიქით, ისეთი მოწყობილობებია, რომლებიც იმყოფებიან აუცილებელ ფუნქციურ კავშირში, მაგ. ელექტრო სქემები, მექანიზმები და ა.შ.

ბ. ხერხი

ხერხი, შეიძლება იყოს მხოლოდ გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის ობიექტი. იგი განიმარტება, როგორც ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების პროცესი, რის შედეგადაც მიიღება დასახული ტექნიკური შედეგი.

საპატენტო პრაქტიკაში ხერხი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

- ნედლეულისა და სხვა მასალათა დამზადებისა და მოპოვების პროცესი;
- ცდების ჩატარების, მათ შორის მეცნიერული, გაზომვის, კონტროლის, საიმედოობის განსაზღვრის პროცესი;
- ნაკეთობათა აწყობის, მონტაჟის შესრულების პროცესი;
- ავტომატიზებული მართვის და რეგულირების, საავარიო სიტუაციების აცილების, მანქანების, ნაკადური ხაზების ფუნქციონირების, ტექნოლოგიური პროცესების განხორციელება;
- საწარმოო ნარჩენების უტილიზაციის, განადგურების, გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო პროცესების ან ილეთების განხორციელება;
- ღვარცოფის საწინააღმდეგო, ზღვის სანაპიროს დაცვის, მცენარეთა და ცხოველთა ზრდის სტიმულირების, სელექციისა და ჰიბრიდიზაციისათვის საჭირო ილეთების, პროცესების განხორციელება;

წარმოდგენილი ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

ბიოლოგიური პროცესი საპატენტო სამართლის თვალსაზრისით ხერხად არ მიიჩნევა, რადგან მისი მსვლელობა ადამიანის შემოქმედებით ჩარევაზე დამოკიდებული არ არის და ხორციელდება ბუნების წესების მიხედვით.

გ. ნივთიერება

ნივთიერებაც, როგორც დაცვის ობიექტი დამახასიათებელია მხოლოდ გამოგონებისა და სასარგებლო მოდელისათვის. იგი განიმარტება როგორც ხელოვნურად შექმნილი მატერიალური წარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების, ინგრედიენტების, კომპონენტების ერთობლიობას.

ნივთიერებას განეკუთვნება ქიმიური ან არაქიმიური წესით მიღებული ნაერთები, ნარევები, შენადნობები ან სხვაგვარი კომპოზიციები.

ქიმიური წესით მიღებული ნივთიერება არის ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებული პროდუქტი. მიღებული უნდა იყოს ახალი ნივთიერების მოლეკულა, მათ შორის მაღალმოლეკულურისა.

ნარევები და ხსნარები შეიძლება იყოს მექანიკური შერევის შედეგი, მაგ. სასმელები.

შენადნობები, მაგალითად ფოლადი, ისევე როგორც ხსნარები და ნარევები, ფიზიკური ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს და მოლეკულას არ ქმნის.

დ. ბიოტექნოლოგიური ობიექტები

თანამედროვე საპატენტო პრაქტიკა ცალკე ჯგუფად გამოყოფს ბიოტექნოლოგიურ ობიექტებს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ამ ობიექტებს მიეკუთვნება:

- დადგენილი სტრუქტურის მქონე ბიოტექნოლოგიური ნაერთები, საკვები არეები;
- ტრადიციული მიკროორგანიზმები;
- მცენარეთა და ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები;
- მაკროსკოპური სოკოების სომატური სტრუქტურები;
- მაღალმოლეკულური ანტიბიოტიკები;
- მოლეკულურ-გენეტიკური სტრუქტურები;
- მიკროორგანიზმთა შტამები.

ბიოტექნოლოგიური ობიექტები და მიკროორგანიზმთა შტამები მხოლოდ გამოგონების ობიექტებია.

ე. ცნობილი ობიექტების ახალი დანიშნულებით გამოყენება

ცნობილი ობიექტების ახალი დანიშნულებით გამოყენება (შემდგომში „გამოყენება") არის საპატენტო დაცვის ისეთი ობიექტი, რომელიც გულისხმობს ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის გამოყენებას ახალი უჩვეულო დანიშნულებით, აქამდე უცნობი ფუნქციის გამოვლენის საფუძველზე. ასეთივე მიდგომაა ჩამოყალიბებული უცხოეთის ქვეყნების საპატენტო პრაქტიკაში და სპეციალურ ლიტერატურაში. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ობიექტის დაცვა განსაკუთრებული სახის გამოგონების ფორმულით ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოცქვეყნების პრაქტიკიდან მომდინარეობს.

ასეთი სახის გამოგონების არსი უნდა გულისხმობდეს საგნის უჩინარი, „დამალული" თვისებების აღმოჩენას და შემდგომ ამ საგნის ახალ თვისობრივ ურთიერთობებში გამოყენებას, ან ახალი ფუნქციით, ან ახალ არატრადიციულ პირობებში.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ძირითადი პირობა, ობიექტი არ უნდა განიცდიდეს რაიმე არსებით სტრუქტურულ ან სხვაგვარ მექანიკურ ცვლილებას.

თავისი არსით „გამოყენება" შეიძლება განხორციელდეს ფუნქციური, გადატანითი, სელექციური თვალსაზრისით.

ფუნქციური „გამოყენება" მაშინ ვლინდება, თუ ცნობილი ობიექტის უჩვეულო გამოყენება დაკავშირებულია მისთვის ახალი ფუნქციის აღმოჩენასთან. მაგალითად, ბენზოლის გამოყენება ფუმიგანტად მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგოდ.

გადატანითი „გამოყენება" მაშინ გვხვდება, როდესაც ცნობილი ობიექტის ცნობილი თვისებებით სარგებლობა გადააქვთ სხვა, მისთვის და ტექნიკის დონისთვის უჩვეულო სფეროში. მაგალითად, მტვერსასრუტის გამოყენება, სითხეების გაფრქვევისათვის.

სელექციური „გამოყენება" მაშინ არის, როცა რომელიმე ნივთიერების ან ნივთიერებათა ცნობილი კლასის ჯგუფის გამოყენების შესაძლებლობა დაფუძნებულია გამომგონებლის მიერ ამ ნივთიერებათა გამოვლენილ თვისებებზე. მაგალითად, პრეპარატ „იმიფოს"-ის გამოყენება ერითრემიის სამკურნალოდ.

„გამოყენება", როგორც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ობიექტი, არ ხასიათდება კონსტრუქციული, ტექნოლოგიური ან ნივთიერების მსგავსი ნიშნებით. ამგვარი გამოგონება მჟღავნდება ცნობილი საგნის ახალი დამოკიდებულებით (ურთიერთობებით) სხვა საგნებთან, რაც იძლევა საშუალებას ცნობილი საგანი (ნივთი) ახალი დანიშნულებით იყოს გამოყენებული და მიღწეულ იქნეს მისთ-

ბიოლოგიური პროცესი საპატენტო სამართლის თვალსაზრისით ხერხად არ მიიჩნევა, რადგან მისი მსვლელობა ადამიანის შემოქმედებით ჩარევაზე დამოკიდებული არ არის და ხორციელდება ბუნების წესების მიხედვით.

გ. ნივთიერება

ნივთიერებაც, როგორც დაცვის ობიექტი დამახასიათებელია მხოლოდ გამოგონებისა და სასარგებლო მოდელისათვის. იგი განიმარტება როგორც ხელოვნურად შექმნილი მატერიალური წარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების, ინგრედიენტების, კომპონენტების ერთობლიობას.

ნივთიერებას განეკუთვნება ქიმიური ან არაქიმიური წესით მიღებული ნაერთები, ნარევები, შენადნობები ან სხვაგვარი კომპოზიციები.

ქიმიური წესით მიღებული ნივთიერება არის ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებული პროდუქტი. მიღებული უნდა იყოს ახალი ნივთიერების მოლეკულა, მათ შორის მაღალმოლეკულურისა.

ნარევები და ხსნარები შეიძლება იყოს მექანიკური შერევის შედეგი, მაგ. სასმელები.

შენადნობები, მაგალითად ფოლადი, ისევე როგორც ხსნარები და ნარევები, ფიზიკური ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს და მოლეკულას არ ქმნის.

დ. ბიოტექნოლოგიური ობიექტები

თანამედროვე საპატენტო პრაქტიკა ცალკე ჯგუფად გამოყოფს ბიოტექნოლოგიურ ობიექტებს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ამ ობიექტებს მიეკუთვნება:

- დადგენილი სტრუქტურის მქონე ბიოტექნოლოგიური ნაერთები, საკვები არეები;
- ტრადიციული მიკროორგანიზმები;
- მცენარეთა და ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები;
- მაკროსკოპური სოკოების სომატური სტრუქტურები;
- მაღალმოლეკულური ანტიბიოტიკები;
- მოლეკულურ-გენეტიკური სტრუქტურები;
- მიკროორგანიზმთა შტამები.

ბიოტექნოლოგიური ობიექტები და მიკროორგანიზმთა შტამები მხოლოდ გამოგონების ობიექტებია.

ე. ცნობილი ობიექტების ახალი დანიშნულებით გამოყენება

ცნობილი ობიექტების ახალი დანიშნულებით გამოყენება (შემდგომში „გამოყენება") არის საპატენტო დაცვის ისეთი ობიექტი, რომელიც გულისხმობს ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის გამოყენებას ახალი უჩვეულო დანიშნულებით, აქამდე უცნობი ფუნქციის გამოვლენის საფუძველზე. ასეთივე მიდგომაა ჩამოყალიბებული უცხოეთის ქვეყნების საპატენტო პრაქტიკაში და სპეციალურ ლიტერატურაში. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ობიექტის დაცვა განსაკუთრებული სახის გამოგონების ფორმულით ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოცქვეყნების პრაქტიკიდან მომდინარეობს.

ასეთი სახის გამოგონების არსი უნდა გულისხმობდეს საგნის უჩინარი, „დამალული" თვისებების აღმოჩენას და შემდგომ ამ საგნის ახალ თვისობრივ ურთიერთობებში გამოყენებას, ან ახალი ფუნქციით, ან ახალ არატრადიციულ პირობებში.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ძირითადი პირობა, ობიექტი არ უნდა განიცდიდეს რაიმე არსებით სტრუქტურულ ან სხვაგვარ მექანიკურ ცვლილებას.

თავისი არსით „გამოყენება" შეიძლება განხორციელდეს ფუნქციური, გადატანითი, სელექციური თვალსაზრისით.

ფუნქციური „გამოყენება" მაშინ ვლინდება, თუ ცნობილი ობიექტის უჩვეულო გამოყენება დაკავშირებულია მისთვის ახალი ფუნქციის აღმოჩენასთან. მაგალითად, ბენზოლის გამოყენება ფუმიგანტად მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგოდ.

გადატანითი „გამოყენება" მაშინ გვხვდება, როდესაც ცნობილი ობიექტის ცნობილი თვისებებით სარგებლობა გადააქვთ სხვა, მისთვის და ტექნიკის დონისთვის უჩვეულო სფეროში. მაგალითად, მტვერსასრუტის გამოყენება, სითხეების გაფრქვევისათვის.

სელექციური „გამოყენება" მაშინ არის, როცა რომელიმე ნივთიერების ან ნივთიერებათა ცნობილი კლასის ჯგუფის გამოყენების შესაძლებლობა დაფუძნებულია გამომგონებლის მიერ ამ ნივთიერებათა გამოვლენილ თვისებებზე. მაგალითად, პრეპარატ „იმიფოს"-ის გამოყენება ერითრემიის სამკურნალოდ.

„გამოყენება", როგორც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ობიექტი, არ ხასიათდება კონსტრუქციული, ტექნოლოგიური ან ნივთიერების მსგავსი ნიშნებით. ამგვარი გამოგონება მჟღავნდება ცნობილი საგნის ახალი დამოკიდებულებით (ურთიერთობებით) სხვა საგნებთან, რაც იძლევა საშუალებას ცნობილი საგანი (ნივთი) ახალი დანიშნულებით იყოს გამოყენებული და მიღწეულ იქნეს მისთ-

საპატენტო უფლების მოქმედების ათვლის წერტილად. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ განაცხადი თავიდანვე იყოს „სწორად გაფორმებული“. მხოლოდ ასეთ განაცხადს დაუდგინდება შეტანის თარიღი, რომელიც განმცხადებელს მიანიჭებს პრიორიტეტით სარგებლობის უფლებას.

განაცხადი

განაცხადის შედგენილობა და ფორმა, რომელიც დადგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, უნიფიცირებულია საერთაშორისო წესებთან. განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს ყველა აუცილებელი მასალა, რათა განაცხადი მიჩნეულ იქნეს **„სწორად გაფორმებულად“** და დაცული იყოს გამოგონებისათვის, სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშისათვის განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის წესებით რეგლამენტირებული ფორმა. თუ ფორმალური მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, განაცხადის განხილვა არ წარიმართება და „საქპატენტში“ შეტანის თარიღი არ დადასტურდება. ასეთ შემთხვევაში გამოგონებას, სასარგებლო მოდელს ან სამრეწველო ნიმუშს არ მიენიჭება პრიორიტეტი.

„სწორად გაფორმებული“ განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ მასალებს:

- **პატენტის მოთხოვნის დადგენილი ფორმის განცხადებას (ფორმალიზებული ბლანკის სახით);**
- **გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის დადგენილი სტრუქტურის აღწერილობას;**
- **დადგენილი სტრუქტურის გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულას. გამოგონება შეიძლება იყოს წარმოდგენილი მრავალმუხლიანი ფორმულით, სასარგებლო მოდელი კი მხოლოდ ერთმუხლიანი ფორმულით. სამრეწველო ნიმუშის შემთხვევაში ფორმულა არ არის გათვალისწინებული. მის ნაცვლად უნდა იყოს მიწოდებული ნიმუშის გამოსახულება (ნახატი, ფოტოსურათი და თუ საჭიროა დამატებითად სქემა ან ნახაზი, რომელიც გასაგებს გახდის ნიმუშის აღნაგობას). საქართველოს საპატენტო კანონმა შემოიტანა სიახლე – განმცხადებელს შეუძლია წარადგინოს თვით ნაკეთობა, რომელიც წარმოადგენს სამრწველო ნიმუშს;**

– **ნახაზებს, სქემებს და სხვა სახის საილუსტრაციო მასალას, თუ ისინი გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულის არსის ასახსნელად არის აუცილებელი. მაგალითად, განაცხადი თუ მოწყობილობას შეეხება, ნახაზები აუცილებელია;**

გარდა ამისა, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს რეფერატი;

განაცხადის მიწოდების თარიღისთვის, ან არაუგვიანეს ერთი თვისა, აუცილებელია იყოს წარდგენილი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ამ საბუთის გარეშე განაცხადი არ განიხილება;

თუ განმცხადებელი „საქპატენტთან" ურთიერთობას აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, საჭიროა მინდობილობის წარდგენა. ამასთან, უცხოელი განმცხადებელი ვალდებულია აირჩიოს „საქპატენტში" რეგისტრირებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი – პატენტრწმუნებული.

განაცხადის მიღების შემდეგ საქპატენტი აწარმოებს საპატენტო ექსპერტიზას, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და არსობრივი ექსპერტიზა.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

საქართველოს საპატენტო კანონმა ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ორ ეტაპად გაყო. პირველი ეტაპია განაცხდის შეტანის თარიღის დადგენა, რომლის დროსაც განაცხადს შეტანის თარიღი უდგინდება, თუ წარდგენილია საპატენტო კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული საგანაცხადო მასალები. გამოგონებისა და სასარგელო მოდელისათვის ეს მასალებია განცხადება, აღწერილობა, ფორმულა და ნახაზები, თუ ისინი აუცილებელია არსის ასახსნელად. სამრეწველო ნიმუშისათვის – განცხადება და ნიმუშის გამოსახულება ან უშუალოდ ნაკეთობა. თუ ამ მასალათაგან ერთი მაინც არ იქნა წარდგენილი, განაცხადს შეტანის თარიღი არ დაუდასტურდება. ამასთან, შეტანის თარიღის დადგენა დაკავშირებულია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდასთან. თუ არ იქნა წარდგენილი საპატენტო კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული დამადასტურებელი საბუთი, ექსპერტიზა არ იწყება და განაცხადს შეტანის თარიღი არ უდასტურდება. ამ საბუთის წარდგენის შემთხვევაში „საქპატენტი" ამოწმებს მა-

სალების კომპლექტაციასა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. კერძოდ, შეისწავლება შეიცავს თუ არა საგანაცხადო მასალები ყველა დადგენილ მონაცემს, ხელმოწერილია თუ არა განცხადება და სხვა საბუთები ავტორის ან განმცხადებლის, ან უფლებამონაცვლის მიერ, წარმოდგენილია თუ არა აღწერილობა და ფორმულა, ნიმუშის გამოსახულება და სხვ.

თუ აღნიშნული მოთხოვნები შესრულებულია, განმცხადებელს ეგზავნება განაცხადის შეტანის თარიღის დადგენის საბუთი. ამის შემდეგ ტარდება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის მეორე ეტაპი, რომლის დროსაც შეისწავლება, დაცულია თუ არა გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ერთიანობისადმი საპატენტო კანონის 28-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა. თუ ერთიანობა დარღვეულია, განმცხადებელს ეძლევა რეკომენდაცია განაცხადის გაყოფის თაობაზე. თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდა, ექსპერტიზა განიხილავს ერთ ობიექტს, რომელიც პირველ დამოუკიდებელ მუხლშია წარმოდგენილი. გამოგონების ერთიანობის ექსპერტიზა ამ ეტაპზე ტარდება განცხადებული ობიექტის არსის ღრმად შესწავლის გარეშე. მოწმდება ერთიანობის აშკარა დარღვევა, რაც სახეზეა თუ განაცხადში აღწერილია 2 ან მეტი აშკარად განსხვავებული დაცვის ობიექტი, მაგალითად გამოთვლითი მანქანა და ბოთლის ასახდელი. ერთიანობის შემოწმება გრძელდება არსობრივი ექსპერტიზის დროს – შეისწავლება საგამომგონებლო იდეა და მისით ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტები.

თუ სამრეწველო ნიმუშის განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ყველა მოთხოვნას „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე და აქვეყნებს ინფორმაციას სამრეწველო საკუთრების ბიულეტენში. გამოქვეყნებასთან ერთად გაიცემა სამრეწველო ნიმუშის პატენტი.

შემოტანილი პატენტის მისაღებად წარდგენილი განაცხადის ექსპერტიზა, სამრეწველო ნიმუშის მსგავსად შემოიფარგლება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზით (ამჟამად პარლამენტში წარსადგენად მომზადებულია საპატენტო კანონში შესატანი ცვლილება, რომლის თანახმადაც „საქპატენტი“ ჩაატარებს საქართველოში რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშების განაცხადებისა და პატენტების გათვალისწინებით სიახლის ექსპერტიზას). მოწმდება საგანაცხადო მასალების შედგენის ფორმა და სისრულე. თუ აღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, გამოიტანება გადაწყვე-

ტილება შემოტანილი პატენტის გაცემის თაობაზე. შემდეგ ქვეყნდება ინფორმაცია და გაიცემა პატენტი.

ამ ეტაპზე შეისწავლება აგრეთვე საკითხი, ხომ არ განეკუთვნება განცხადებული სამრეწველო ნიმუში ისეთს, რომელზეც არ გაიცემა პატენტი ან რომელიც არ მიიჩნევა სამრეწველო ნიმუშად. თუ აღმოჩნდა, რომ განაცხადში წარმოდგენილია ისეთი ობიექტი, რომელიც განეკუთვნება საპატენტო კანონის მე-17 მუხლის „ე" პუნქტს, გამოიტანება უარყოფითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე.

თუ ფორმალური მოთხოვნების შესწავლის შედეგი, დადებითია „საქპატენტს" გამოაქვს გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტის მისაღებად წარდგენილი განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილება, რომლებიც ექვემდებარება არსობრივ ექსპერტიზას.

აღწერილობა

ზემოთქმულთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ გამოგონების და სასარგებლო მოდელის აღწერილობა უნდა შეიცავდეს:

დასახელებას, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს ობიექტს. იგი უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე, მაგალითად, ჩაის დამაქუცმაცებელი; ჩაის ფრაქციებად დაყოფის ხერხი; ფილტრ-პრესი ღვინის გასაწურად და სხვ.;

მონაცემებს რომელ სფეროში გამოიყენება გამოგონება ან სასარგებლო მოდელი;

განმცხადებლისთვის ცნობილ ტექნიკის დონის დახასიათებას. ამ ნაწილში აღიწერება გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ანალოგები და მოიყვანება შედარებითი ანალიზი ანალოგების უარყოფითი მხარეების ჩვენებით. ამავე ნაწილში შეიძლება იყოს ცალკე წარმოდგენილი გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ყველაზე ახლო ანალოგი.

გამოგონების ან სასარგებლო მოდელის არსს ფორმულაში მოყვანილი არსებითი ნიშნების მეშვეობით და მათი განმარტებით.

ობიექტის დაწვრილებით დახასიათებას. თუ განცხადებულია მოწყობილობა, იგი აღიწერება ჯერ სტატიკაში, ნახაზების ფიგურების და პოზიციების თანამიმდევრული მითითებით, ხოლო შემდეგ დინამიკაში – როგორ მუშაობს ან როგორ გამოიყენება ობიექ-

ტი. ხერხი აღინერება ჯერ ზოგადად, შემდეგ კი მოიყვანება მისი განხორციელების ერთ-ერთი ოპტიმალური მაგალითი მაინც. ნივთიერების აღწერა ხდება ჯერ შემადგენლობის ჩვენებით, შემდეგ შუქდება მისი მიღების ხერხი და მოიყვანება მონაცემები გამოყენების შესახებ. ამ შემთხვევებშიც უნდა იყოს აღწერილი ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

თუ ნივთიერება ფარმაცევტულია, მაშინ უნდა იყოს ცნობები მისი ცხოველებზე ან პაციენტებზე გამოცდის დადასტურებით, თერაპევტული ან სხვა შედეგის გამოკვეთით.

გამოგონება, სასარგებლო მოდელი ისეთი სიცხადით უნდა იყოს აღწერილი, რომ საშუალო დონის სპეციალისტმა შეძლოს მისი განხორციელება დამატებითი შემოქმედებითი კვლევა-ძიების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვის ობიექტის დადგენა ვერ მოხერხდება და პატენტი არ გაიცემა. ხოლო თუ კი პატენტი ამ მოთხოვნის დარღვევით გაიცა, მაშინ იგი გაუქმება-გაბათილების საგანი იქნება.

სამრეწველო ნიმუშის აღწერილობა, რომლის წარდგენა სავალდებულო არ არის, უნდა შეიცავდეს დასახელებას, მონაცემებს ნიმუშის დანიშნულების და გამოყენების სფეროს შესახებ, ანალოგების დახასიათებას ფოტოგრაფიების ან ნახატების (ნახაზების და სქემების თუ ისინი საჭიროა) ნუსხას, ნიმუშის არსის აღწერას განმასხვავებელი ნიშნების გაშუქებით, სამრეწველო წესით დამზადების დადასტურებას.

გამოგონების, სასარგებლო მოდელის ფორმულა

აღწერილობასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულა. საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს, რომ გამოგონების (სასარგებლო მოდელის) არსსა და სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს ფორმულა. აღწერილობა და სხვა მასალები (ნახაზები, სქემები) მხოლოდ გამოგონების შინაარსის გასაშუქებლად გამოიყენება. დაცვის თვალსაზრისით იურიდიული მნიშვნელობა მხოლოდ ფორმულას გააჩნია ისევე, როგორც სამრეწველო ნიმუშისათვის ფოტოგრაფიას, ნახატს, ან თვით ნაკეთობას.

გამოგონების ფორმულის აღმნიშვნელი ინგლისური ტერმინი Claims ითარგმნება როგორც მოთხოვნები. მასში ჩადებული აზრი ნიშ-

ნავს, რომ განმცხადებელი მოითხოვს სამართლებრივი დაცვის ფარგლებს ფორმულაში მოყვანილი არსებითი ნიშნების ერთობლიობით. გერმანულად გამოგონების ფორმულა „Anrecht", მოთხოვნის უფლებას ნიშნავს და ინგლისურ ტერმინში ნაგულისხმები შინაარსის მატარებელი ტერმინია .

დადგენილი წესითა და ფორმით გადმოცემული გამოგონების ფორმულა განცხადებული ობიექტის მოკლე სიტყვიერი დახასიათებაა, წარმოდგენილი არსებითი ნიშნების ერთობლიობით ყველა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ფორმულის მთავარი დანიშნულება სამართლებრივია. იგი განსაზღვრავს თუ რა რეალური ობიექტი(ები) შეესაბამება პატენტით დაცულ გამოგონებას (სასარგებლო მოდელს).

ფორმულის სამართლებრივი მნიშვნელობა გამოიხატება:

- რეალური ობიექტის განსაზღვრით, რაც შემოფარგლავს პატენტფლობლის განსაკუთრებული უფლებებით მოცულ მატერიალურ ობიექტთა წრეს.
- მასში მოცემული არსებითი ნიშნების ერთობლიობის განსაზღვრით, რომ დადგინდეს გამოყენებულია თუ არა გამოგონება ან სასარგებლო მოდელი. ამით იგი შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს უნებართვოდ გამოყენების ფაქტი და შესაბამისად განსაკუთრებული უფლების დარღვევა.

ფორმულამ რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნები თავისი დანიშნულების მიმართ და სრულად შეესაბამებოდეს გამომგონებლის ინტერესებს, იგი უნდა იყოს ლაკონური, გააჩნდეს სისრულე, კონკრეტულობა და ამავე დროს ახასიათებდეს განზოგადების უნარი, უნდა პასუხობდეს გამოგონების ერთიანობის კრიტერიუმს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისით აღწერილი უნდა იყოს ერთი საგამომგონებლო იდეის მქონე ერთი გამოგონება ან სხვადასხვა ობიექტებისაგან შემდგარი გამოგონებათა ჯგუფი. მაგალითად, ახალი ნივთიერება და მისი მიღების ხერხი შეიძლება გაერთიანდეს ერთ განაცხადში. ასევე შეიძლება გაერთიანდეს ხერხი და მის განსახორციელებლად განკუთვნილი მოწყობილობა.

გამოგონების ფორმულის განზოგადების უნარი გულისხმობს მის შედგენილობას არსებითი ნიშნების მინიმალურად საკმარისი რაოდენობისაგან. მაგრამ, სისრულე და კონკრეტულობა შეიძლება იყოს გადმოცემული მხოლოდ ყველა აუცილებელი არსებითი ნიშნის ერთობლიობით. ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპის დაკმაყოფილება ხერხდება მრავალმუხლიანი ფორმულის ჩამოყალიბებით.

ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი უნდა იქნეს შედგენილი დასაპატენტებელი ობიექტის ერთიანად წარმოდგენისათვის განზოგადოებული საერთო არსებითი ნიშნებით ისე, რომ გამოგონების ფარგლები მოიცავდეს ყველა მომდევნო მუხლს.

მომდევნო მუხლებში მოყვანილი ნიშნები უნდა ავითარებდნენ, აკონკრეტებდნენ განაცხადში აღწერილ ობიექტს და/ან დამატებით იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ არამც და არამც არ ცვლიდნენ პირველ მუხლში გადმოცემულ ნიშნებს. ყოველი მომდევნო მუხლი უნდა ამჟღავნებდეს მათ ტექნიკურ (არსობრივ) და სამართლებრივ დამოკიდებულებას პირველ მუხლთან. ფორმულის პირველი მუხლი მთავარი, დამოუკიდებელი და ძირითადი სამართლებრივი დატვირთვის მქონე მუხლია.

გამოგონების ფორმულის არსებითი ნიშნების ერთობლიობა უნდა იყოს წარმოდგენილი ლოგიკური თანამიმდევრობით და ურთიერთკავშირით ისე, რომ ობიექტი იყოს დახასიათებული დასრულებული სახით.

როგორც წესი, ფორმულა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში, რომელსაც შემომფარგვლელ ნაწილად მოიხსენიებენ გადმოიცემა ტექნიკის დონისთვის ცნობილი არსებითი ნიშნები, რომლებიც ემთხვევა გამოგონების (სასარგებლო მოდელის) ნიშნებს. მეორე ნაწილი, რომელსაც განმასხვავებელი ეწოდება, შედგება განმასხავებელი არსებითი ნიშნებისაგან. ფორმულის მომდევნო მუხლებში შემომფარგვლელი ნაწილის გამეორება აღარ არის აუცილებელი. თავიდან მიეთითება თუ რომელი მუხლის ნიშნების განვითარება ხდება და შემდგომ მოიყვანება განმასხვავებელი ნიშნები.

იმ შემთხვევაში, როცა ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე სხვაგვარად ვერ ხერხდება, დასაშვებია ფორმულა წარდგენილ იქნეს ორ ნაწილად გაყოფის გარეშე. ასეთი ფორმულის წარდგენა ოპტიმალურია, მაგალითად, ახალი ქიმიური ხერხით მიღებული ნივთიერების დაპატენტებისას.

ამასთან, ფორმულაში მოყვანილი არსებითი ნიშნები უნდა იყოს განცხადებული ობიექტის – მოწყობილობის, ხერხის ან ნივთიერებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

მიზანშეწონილი იქნება მოკლედ დავახასიათოთ არსებითი ნიშნების დედააზრი და თავისებურებანი საპატენტო სამართლის მოთხოვნათა კუთხით.

როგორც ცნობილია, ნიშანი არის ყოველივე ის, რითაც საგნები ან მოვლენები ერთმანეთს ემსგავსება, ან განსხვავდება. ნიშანი

საგნის ან მოვლენის ამოცნობის, განსაზღვრის ან აღწერის შესაძლებლობას იძლევა. თავისთავად ნიშნები შეიძლება დაიყოს არსებითად, შემთხვევითად, დამატებითად.

არსებითი ნიშანი არის ის, რომელიც ყველა შემთხვევაში აუცილებლად ეკუთვნის საგანს. მის გარეშე საგნის არსებობა წარმოუდგენელია, რადგან იგი გამოხატავს საგნისა თუ მოვლენის ძირეულ ბუნებას და განასხვავებს ობიექტს სხვა სახისა და გვარის ობიექტებისაგან. მაგალითად, მაგიდა აუცილებლად შეიცავს მაგიდის ზედაპირსა და საყრდენს, სახლი კედლებს, სახურავს (გადახურვას) და კარებს.

დამატებითი ნიშანი არის ის, რაც არ არის აუცილებელი საგნისთვის, მაგრამ რაღაც მიზნისათვის ხდება საჭირო მაგალითად, უჯრა მაგიდისათვის.

შემთხვევითი ნიშანი ის ნიშანია, რომელიც შეიძლება საერთოდ არ იყოს აუცილებელი საგნისათვის, მაგრამ კონკრეტული მიზეზის გამო თან ახლდეს მას. მაგალითად, მაგიდა შეიძლება იყოს შეღებილი ყავისფრად ან ნებისმიერ სხვა ფრად. ფერი საგნისთვის შეიძლება შემთხვევით იყოს შერჩეული, მაგალითად, ქარხანამ შეღება მაგიდა იმ ფერის საღებავით, რაც გააჩნდა.

გამოგონების ფორმულის პირველ მუხლში უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ არსებითი ნიშნები. დასაშვებია, რომ მომდევნო მუხლები გადმოიცეს დამატებითი ნიშნებით. რაც შეეხება შემთხვევით ნიშნებს, მათი მოყვანა ფორმულის ნებისმიერ მუხლში საჭირო არ არის. დავის შემთხვევაში თუ გაირკვა, რომ გამოგონების ან სასარგებლო მოდელის განსხვავება ვლინდება მხოლოდ შემთხვევითი ნიშნების ერთობლიობით მაშინ პატენტი გაუქმდება. თუ განსხვავება წარმოდგენილი იქნება დამატებითი ნიშნებით მაშინ საკითხი გადაწყდება კონკრეტული შემთხვევის მიხედვით საგამომგონებლო იდეის ანალიზიდან გამომდინარე.

საპატენტო ექსპერტიზის მსვლელობაში გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ობიექტის გამოვლენისა და აღწერისათვის არსებით ნიშნებს ყოფენ სტრუქტურულ, ურთიერთგანლაგების, ფორმის, შეფარდების და მასალის აღმნიშვნელ ჯგუფებად.

სამრეწველო ნიმუში შეიძლება დახასიათდეს, როგორც კონსტრუქციული (მოწყობილობისთვის დამახასიათებელი), ასევე მხატვრული ღირსების მქონე ნიშნებით. უმთავრესად ეს უკანასკნელნი განაპირობებენ ობიექტის მიმზიდველობას. ყველა ნიშანი მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული ფოტოსურათში ან ნახატში. ამასთან, განაცხადში წარმოდგენილი ხედების რაოდენობა უნდა იყოს იმდე-

ნი, რამდენიც საჭიროა თითოეული ნიშნის და მათი ერთობლიობის სრულად გადმოცემისთვის. სურათები და/ან ნახატები სამრეწველო ნიმუშისთვის იურიდიული თვალსაზრისით იგივეა, რაც გამოგონებისთვის ფორმულა.

რეფერატი

გარდა ზემოთ აღნიშნული საბუთებისა საქპატენტში წარდგენილ უნდა იქნეს რეფერატი (გამოგონების და სასარგებლო მოდელისთვის).

რეფერატი უნდა შეიცავდეს დასახელებას, რომელიც ემთხვევა, აღწერილობასა და ფორმულაში მოყვანილს, ნაწილს, რომელიც აშუქებს გამოყენების კონკრეტულ სფეროს. მოიყვანება აგრეთვე მონაცემები იმის შესახებ, თუ რა არსებული პრობლემა გადაწყდება გამოგონების ან სასარგებლო მოდელის განხორციელებით, რითაც ნათელი გახდება საგამომგონებლო იდეა. რეფერატი მთავრდება გამოგონების, სასარგებლო მოდელის ძირითადი არსის გაშუქებით ფორმულასთან სრული თანხმობით. არ არის აუცილებელი ფორმულის ყველა მუხლის შინაარსის მოყვანა.

მინდობილობა

თუ განმცხადებელმა აირჩია წარმომადგენელი (რწმუნებული) „საქპატენტს“ უნდა წარედგინოს მინდობილობა. მინდობილობა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც უწყებამ განმცხადებლის მიერ არჩეულ პირთან უნდა აწარმოოს საქმიანობა და მიმოწერა. მინდობილობიდან უნდა ირკვეოდეს უფლებამოსილების ფარგლები. ყველა შემთხვევაში რწმუნებული გამოდის განმცხადებლის სახელით. მინდობილობა უნდა იყოს შედგენილი შესაბამის მოთხოვნათა დაცვით, რომელთაგან ძირითადია ხელმოწერის აუცილებლობა, შედგენის ადგილისა და თარიღის ჩვენება. უცხოელი განმცხადებლის მიერ გაცემული მინდობილობის ლეგალიზაცია არ მოითხოვება.

არსობრივი ექსპერტიზა

პატენტის გაცემის ეს პროცედურა იწყება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ და გულისხმობს დაცვითუნარიანობის, მათ შორის პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შემოწმებას. ამავე სტადიაზე საბოლოოდ დგინდება გამოგო-

ნების, სასარგებლო მოდელის ერთიანობა და საკონვენციო პრიორიტეტი, პირველი განაცხადისა და საქართველოს საპატენტო უწყებაში ქართულ ენაზე წარდგენილი განაცხადის შესწავლის საფუძველზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თუ წარმოშობის ქვეყანაში „პირველი განაცხადი“ განხილვიდან იქნა მოხსნილი, (რაიმე მიზეზით) საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღის დადგენის გარეშე, მაშინ იგი ადრინდელი პრიორიტეტის მინიჭებისთვის საფუძველი ვერ გახდება.

პატენტუნარიანობის კრიტერიუმების მიმართ ექსპერტიზის ჩატარების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განასხვავებენ საპატენტო ექსპერტიზის ორ ძირითად სისტემას: შემოწმებითსა და წარდგენითს.

შემოწმებითი სისტემა გულისხმობს პატენტუნარიანობის ყველა კრიტერიუმის შეფასებას. თუ ექსპერტიზა დარწმუნდა, რომ გამოგონება აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, მაშინ გაიცემა პატენტი. შემოწმებითი სისტემის მიმდევარი ქვეყნების რაოდენობა მეტია, ვიდრე წარდგენითისა. მათ რიცხვშია აშშ, კანადა, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, იაპონია და ა. შ. ამ სისტემის ნაირსახეობას წარმოადგენს ე. წ. „გადადებული ექსპერტიზა“, რომელიც პირველად ნიდერლანდებმა შემოიღო სამოცდაათიანი წლების დამლევს და რომელიც გაითავისა მრავალმა სხვა ქვეყანამ გერმანიის ჩათვლით. ასეთი ექსპერტიზის არსი ის გახლავთ, რომ ყველა განაცხადს არ უტარდება არსობრივი ექსპერტიზა, არამედ მხოლოდ იმ განაცხადებს, რომლებზედაც საპატენტო უწყებაში აღიძვრება შუამდგომლობა თავად განმცხადებლის ან მესამე პირის მიერ. ასეთი შუამდგომლობა უნდა აღიძრას არაუგვიანეს 7 წლისა განაცხადის წარდგენის თარიღიდან. ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია ამ ვადის შემცირებისკენ. ევროპის საპატენტო კონვენციის მიხედვით ეს ვადა 6 თვეს უდრის. ამასთან, ყველა განაცხადი მოწმდება ფორმალურ მოთხოვნებზე და 18 თვის თავზე აუცილებლად ქვეყნდება. გამოქვეყნება მეორდება ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ (თუ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება) და პატენტის გაცემის შემდეგ. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ყველა განაცხადი ცნობილი ხდება 18 თვის შემდეგ. შემოწმებითი ექსპერტიზის ჩვეულებრივ შემთხვევაში კი (აშშ, ყოფილი სსრ კავშირი და სხვ.) განაცხადის შესახებ არავითარი ცნობა არ ქვეყნდება. გამოქვეყნება ხდება მხოლოდ პატენტის გაცემის შემდეგ.

შემოწმებითი სისტემის დროს გაიცემა ე. წ. „მყარი“ ანუ „სანდო“ პატენტი, მაგრამ ქვეყანა, რომელიც მისდევს მას იძულებულია შეინახოს უზარმაზარი უწყება, მაგალითად, აშშ-ს უწყებაში 3 000-მდე თანამშრომელია, გერმანიის და იაპონიის უწყებებშიც დაახლოებით ამდენივე. ამ რიგის სპეციალისტების რიცხვს ითვლის ევროპის საპატენტო უწყებაც. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ დავების შემთხვევაში პატენტის გაცემის მართებულობაზე, არც თუ იშვიათად, იმარჯვებენ მოსარჩელეები, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს სისტემა პატენტის „ურყევობის“ სრულ გარანტიას ვერ იძლევა.

წარდგენითი სისტემა თავისი შინაარსით გაცილებით უფრო მართივია. იგი, როგორც წესი, ითვალისწინებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას (გამარტივებულს) და ყოველგვარი არსობრივი ექსპერტიზის გარეშე პატენტის გაცემას. ამ სისტემის პატენტი ბევრად უფრო ოპერატიულად გაიცემა (შემოწმებითი სისტემის დროს ექსპერტიზა საშუალოდ ითხოვს 2-4 წელიწადს, გადადებული ექსპერტიზა კი შეიძლება დასრულდეს მე-8 წელიწადს). უწყების შესანახად საკმარისია მცირე შტატი. მაგრამ ამ შემთხვევაში გაიცემა „სუსტი“, პატენტუნარიანობაზე შეუმოწმებელი პატენტი. ასეთ სისტემას მისდევენ ფრანგულ-რომაული საპატენტო სამართლებრივი ოჯახის ქვეყნები. აღნიშნული ნაკლის ნაწილობრივად მაინც თავიდან აცილების მიზნით საფრანგეთმა შემოიტანა სავალდებულო ნორმა ყოველი განაცხადისათვის ტექნიკის დონის მოძიების თაობაზე. შედეგად განმცხადებელი გამოიტანს დასკვნას პასუხობს თუ არა მისი გამოგონება პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს. საპატენტო უწყება თავად არ აფასებს ამ კრიტერიუმებს (გარდა სიახლისა) და განმცხადებლის ნებაზეა დამოკიდებული პატენტის გაცემის საკითხი.

საქართველოს 1992 წლის დებულებით გამოგონების შესახებ შემოღებული იყო ორგვაროვანი არსობრივი ექსპერტიზა: „სრული“ და „არასრული“.

ექსპერტიზის ასეთი დაყოფა ახასიათებს შვეიცარიის საპატენტო კანონმდებლობასაც, სადაც გათვალისწინებულია წარდგენითი სისტემის ექსპერტიზა ერთის მხრივ, და სრული ექსპერტიზა (დროის საზომები, საფეიქრო მრეწველობა – მოწყობილობები და ტექნოლოგიები) მეორეს მხრივ.

სრული ექსპერტიზა სამივე პატენტუნარიანობის კრიტერიუმის შემოწმებას მოიცავდა და ტარდებოდა მევენახეობა-მელვინეობას-

თან, მეჩაიეობასთან, მეციტრუსეობასთან და მეხილეობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურსა და ტექნიკურ საშუალებებზე, ასევე მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების სფეროში. ეს ექსპერტიზა ისეთივე ხასიათისაა, როგორსაც ატარებდა ყოფილი სსრ კავშირის უწყება. ექსპერტიზის შედეგების მიხედვით „საქპატენტი" თავად წყვეტს პატენტის გაცემა-არგაცემის საკითხს. განმცხადებელს შეპასუხებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გააჩნია მხოლოდ.

არასრული ექსპერტიზა ტარდებოდა დანარჩენი დარგებისთვის. იგი მოიცავდა ტექნიკის დონის სავალდებულო მოძიებას, დოკუმენტური დასკვნის შედგენას. დოკუმენტურ დასკვნაში მიეთითებოდა ტექნიკის დონის ის ელემენტები, რომლებიც უნდა გაეთვალისწინოს განმცხადებელს გამოგონების პატენტუნარიანობის შესაფასებლად. ტექნიკის დონის დასადგენად ძიება ტარდებოდა გამოგონების ფორმულაზე დაყრდნობით, განაცხადისა და ნახაზების იმ მონაცემების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავენ სავარაუდო გამოგონების სამართლებრივი დაცვის ფარგლებს. როდესაც ერთ განაცხადში წარდგენილი იყო ერთი საგამომგონებლო იდეით დაკავშირებული რამდენიმე გამოგონების ობიექტი, მაშინ ტექნიკის დონე განისაზღვრებოდა თითოეული მათგანისთვის. მოძიების პროცესში ვლინდებოდა ინფორმაციის ის წყაროები, სადაც არის გაშუქებული სავარაუდო გამოგონების ანალოგები, რომელიც განეკუთვნება იგივე ფუნქციური დანიშნულების სფეროს და რომელთა ნიშნებიც ემთხვევა სავარაუდო გამოგონების არსებით ნიშნებს. მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დგინდებოდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტური დასკვნა, რომლის ფორმა და შინაარსი შეესაბამება საერთაშორისო საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დოკუმენტურ დასკვნას. მასში მოყვანილი მოძიების და ანალიზის შედეგები გამოიყენებოდა, როგორც განმცხადებლის მიერ პატენტუნარიანობის შესაფასებლად, ასევე „საქპატენტის" მიერ სიახლის დასადგენად.

1999 წ. მიღებულმა საპატენტო კანონმა უარი თქვა სრულ ექსპერტიზაზე და დატოვა მხოლოდ არასრული შემოწმებითი ექსპერტიზა. ამასთან, პროცედურულად ჯერ დგინდება დაცვის ობიექტი, რისთვისაც შეისწავლება გამოგონების არსი და აღწერილობის სისრულე. ასეთი წესი სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმის შემოწმებას უკავშირდება. თუ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი მოცემული დარგის საშუალო დონის სპეციალისტის თვალ-

საზრისით სრულად არ არის აღწერილი, გამოიტანება უარყოფითი გადაწყვეტილება. ამავე დროს მოწმდება, ხომ არ განეკუთვნება განცხადებული ობიექტი საპატენტო კანონის მე-16 ან მე-17 მუხლს, რომელთა თანახმადაც პატენტი არ გაიცემა. თუ კანონის აღნიშნული მუხლების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, ტარდება ტექნიკის დონის გამოკვლევა საპატენტო და სხვა სახის საინფორმაციო წყაროთა საფუძველზე და სიახლის ექსპერტიზა.

თუ აღმოჩნდება, რომ სავარაუდო გამოგონებას არ გააჩნია სიახლე, „საქპატენტი" პატენტს არ გასცემს. სწორედ იმიტომ, რომ „საქპატენტი" ამოწმებს სიახლეს და სამრეწველო გამოყენებადობას, ანუ პატენტუნარიანობის სამი კრიტერიუმიდან ორს, ამგვარ ექსპერტიზას ეწოდა „არასრული".

ამასთან, როგორც ითქვა, **დოკუმენტური დასკვნა ეგზავნება განმცხადებელს და თუ ის დარწმუნდა, რომ განცხადებული გამოგონება პატენტუნარიანი არ არის, მაშინ აღარ მოითხოვს პატენტის გაცემას. ხოლო პირიქით, თუ განმცხადებელი თვლის, რომ გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე, მისი მოთხოვნით „საქპატენტი" ვალდებულია გასცეს დამცავი დოკუმენტი.**

დოკუმენტური დასკვნა და ძიების ანგარიში, რომელიც ეგზავნება განმცხადებელს უნდა შეიცავდეს:

- **საინფორმაციო მასალების ნუსხას, რომელთა საფუძველზეც გაკეთდა დოკუმენტური დასკვნა;**
- **მონაცემებს დადგენილი პრიორიტეტის შესახებ;**
- **დასკვნას გამოგონების ერთიანობაზე;**
- **გამოგონების ფორმულის დაზუსტებულ ტექსტს;**
- **საინფორმაციო წყაროებს, რომლებშიც წარმოდგენილი გამოგონების ნიშნები მთლიანად ან ნაწილობრივ ემთხვევა სავარაუდო გამოგონების არსებით ნიშნებს.**

განმცხადებელმა დოკუმენტური დასკვნის მიღების დღიდან ორი თვის ვადაში უნდა აცნობოს „საქპატენტს" თავისი მოსაზრება გამოგონების პატენტუნარიანობის შესახებ, თუ დათქმულ ვადაში ეს მოსაზრება არ ეცნობება საპატენტო უწყებას, მაშინ გამოიტანება გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე.

პატენტის გაცემას წინ უსწრებს გამოქვეყნება. თუ მოხდა ისე, რომ პატენტი გაიცა მასზე ინფორმაციის გამოქვეყნების გარეშე, მაშინ ასეთ პატენტს იურიდიული ძალა არა აქვს. სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებული რეფერატის

გარდა ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სრულ აღწერილობას, ფორმულას და ყველა სხვა საგანაცხადო მასალას. თუ „საქპატენტში“ გამოქვეყნებიდან 90 დღის განმავლობაში „საქპატენტში“ არ შევიდა მესამე პირის შედავება, გაიცემა პატენტი.

თუ შედავება შეტანილ იქნა საქპატენტის სააპელაციო პალატა ადგენს მის მართლზომიერებას და თუ დადასტურდა, რომ გამოგონება არ პასუხობს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს ან სხვა მოთხოვნებს, მაშინ უქმდება ადრე მიღებული გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე, რაც ეცნობება განმცხადებელს.

როცა შედავების შედეგად ვლინდება სავარაუდო გამოგონების განმასხვავებელი არსებითი ნიშნების ნაწილობრივი დამთხვევა ტექნიკის დონიდან ცნობილ ნიშნებთან, მაშინ განმცხადებელს ეცნობება შედავების შესახებ, რომელმაც ორ თვეში უნდა გადაწყვიტოს შედავების მართებულობა და შესაბამისად შეცვალოს ან უცვლელად დატოვოს გამოგონების ფორმულა.

სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშის ექსპერტიზა არ ითვალისწინებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შემოწმებას. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ, თუ სამრეწველო ნიმუშის პატენტი გაიცემა ფორმალური მოთხოვნების შემოწმების შედეგად, სასარგებლო მოდელს უტარდება სიახლის ექსპერტიზა მხოლოდ ისეთ განაცხადებთან და პატენტებთან შედარებით, რომლებიც „საქპატენტში“ იქნა შეტანილი და გამოქვეყნებული. ორივე ობიექტისათვის საპატენტო კანონმა გააუქმა გამოქვეყნების შემდეგ შედავების პროცედურა საქპატენტის სააპელაციო პალატის წინაშე. მათზე პატენტი გაიცემა როგორც კი ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნდება ინფორმაცია.

სამრეწველო ნიმუშების ექსპერტიზის პროცედურის ნაკლი ის არის, რომ „საქპატენტი“ იძულებულია გასცეს პატენტი ორ სრულიად ერთნაირი სამრეწველო ნიმუშის განაცხადზე. უმჯობესი იქნებოდა სამრეწველო ნიმუშისათვის სასარგებლო მოდელის იდენტური ექსპერტიზა დაწესებულიყო.

სამრეწველო გამოყენებადობის შემოწმება

ამ კრიტერიუმის შემოწმების ძირითადი არსი გამოიხატება იმით, რომ შესწავლილ უნდა იქნეს:

ა. **განაცხადში წარმოდგენილი მონაცემების თანახმად ადამიანის საქმიანობის რომელ სფეროში გამოიყენება გამოგონება;**

ბ. გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლით დახასიათებული ობიექტის განხორციელებადობის შესაძლებლობა, რაც უნდა ვლინდებოდეს აღწერილობიდან ან დასტურდებოდეს მოცემული დარგის სპეციალისტისათვის, პრიორიტეტის თარიღამდე ცნობილი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით.

განცხადებული გამოგონება ისეთი სისრულით უნდა იყოს აღწერილი, რომ ეჭვს არ იწვევდეს იმ ტექნიკური შედეგის მიღწევა, რომელიც დასახული აქვს განმცხადებელს. ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად აღწერილობაში უნდა იყოს წარმოდგენილი გამოგონების განხორციელების ერთი კონკრეტული მაგალითი მაინც. თუ აღმოჩნდა, რომ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი განაცხადში საკმარისი სისრულით არ არის აღწერილი, გამოიტანება უარყოფითი გადაწყვეტილება და პატენტი არ გაიცემა. აღსანიშნავია, რომ განაცხადისთვის შეტანის თარიღის დადასტურების შემდეგ აღწერილობაში არსებითი დამატების შეტანა, მათ შორის განხორციელების მაგალითში, ან თუ მაგალითი საერთოდ არ იყო მოყვანილი – მისი დამატება, დაუშვებელია. უკიდურეს შემთხვევაში ასეთ განაცხადს დამატებითი მასალების წარდგენის მიხედვით უნდა მიენიჭოს ახალი შეტანის თარიღი.

გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში პასუხობს სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნას, თუ განხორციელება შესაძლებელია მრავალჯერ სამეწარმეო წესით, ან თუ გამოყენება არ არის დამოკიდებული კვალიფიცირებულ სპეციალურ ცოდნასთან ან გამოცდილებასთან.

სიახლის შემოწმება

სიახლის შემოწმება ტარდება და მის საფუძველზე გადაწყვეტილება გამოიტანება საქართველოს საპატენტო კანონის 35-ე, 38-ე და 42-ე მუხლების მიხედვით.

სიახლე მოწმდება მოძიებულ ერთ-ერთ ობიექტთან (ანალოგთან) განცხადებული გამოგონების ან სასარგებლო მოდელის არსებითი ნიშნების შედარებით. შემოწმებისას მხედველობაში მიიღება არსებითი ნიშნების ერთობლიობა ფორმულის დამოუკიდებელ მუხლებით მოცემული არსებითი ნიშნების ერთობლიობა. რაც შეეხება ობიექტს, რომელთანაც ხდება გამოგონების შედარება სიახლის შემოწმებისას, მხედველობაში მიიღება ნებისმიერი სახით გადმოცე-

მული მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა. მაგალითად, თუ ნახაზი ან სქემა გადმოსცემს არსებითი ნიშნების ერთობლიობას ისე, რომ სრულფასოვნად შედარდეს გამოგონების ნიშნების ერთობლიობასთან, მაშინ საკმარისია ამ ნახაზის ან სქემის ანალიზიც სხვა მასალების გარეშე. სტატიის ან სხვა სახის აღწერის ანალიზისას მხედველობაში მიიღება ნებისმიერი ის ნაწილი, რომელიც შედარებისათვის საკმარისად გადმოსცემს არსებითი ნიშნების ერთობლიობას. ასევე დაპირისპირებული გამოგონების აღწერილობის ანალიზისას. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოწმდება „საქპატენტში" ყველა ადრე შეტანილი განაცხადი, რომლებიც არ არის გატანილი. იგივე ავტორის ადრინდელი განაცხადი, რომელზეც პატენტი არ გაიცა, სიახლის შემოწმებისას არ მიიღება მხედველობაში.

თუ შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ სავარაუდო გამოგონების არსებითი ნიშნების ერთობლიობა იდენტურია ანალოგის არსებითი ნიშნების ერთობლიობისა, მაშინ გამოგონებას სიახლე არ გააჩნია და საპატენტო უწყებას გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე.

საგამომგონებლო დონის შემოწმება

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველოში ამ კრიტერიუმის შემოწმება საპატენტო ექსპერტიზის პროცესში არ ტარდება. მისი შეფასება შეიძლება მოხდეს „საქპატენტის" სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ, თუ იქნება წარდგენილი მესამე პირის, მაგალითად, კონკურენტის საჩივარი. „საქპატენტის" სააპელაციო პალატას ამ კრიტერიუმის შეფასება დაევალა საპატენტო კანონის 68-ე მუხლის ძალით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება მისი ძირითადი თავისებურებების გაშუქება.

ექსპერტიზა ტარდება „საშუალო დონის სპეციალისტის" თვალთახედვით, ანუ, აკადემიკოსის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის ცოდნა, რომელიც აღემატება საშუალო დონის სპეციალისტის ცოდნას, ამ კრიტერიუმის ანალიზისას მისაღები არ არის. ითვლება, რომ გამოგონება აშკარად განსხვავდება მოცემული დარგის ტექნიკის არსებული დონისაგან, თუ არ გამოვლინდა ის იდენტური ან ეკვივალენტური ნიშნები, რომლითაც ხასიათდება ტექნიკური შედეგის მისაღწევად გამოგონების განმასხვავებელი არსებითი ნიშნები.

საგამომგონებლო დონეს არ აკმაყოფილებს შემდეგი სავარაუდო გამოგონებები:

- ტექნიკური შედეგის მისაღწევად ცნობილ საშუალებაზე რომელიმე ცნობილი ნაწილის დამატება, რომელიც უერთდება ამ საშუალებას ცნობილი წესებით;
- ტექნიკური შედეგის მისაღწევად ცნობილი საშუალების რომელიმე ნაწილის (ნაწილების) შეცვლა სხვა ცნობილი ნაწილებით;
- ცნობილი საშუალებიდან რომელიმე ნაწილის (ელემენტის, მოქმედების) მოცილება, რომელიც იწვევს ერთდროულად მასზე დამოკიდებული ფუნქციისა და მიღწეული შედეგების მოცილებას (გამარტივება, მასის ამაღლება, გაბარიტების შემცირება, ლითონშემცველობა, საიმედოობის ამაღლება, პროცესის ხანგრძლივობის შემცირება და სხვ.);
- ერთნაირი ტიპის ელემენტების რაოდენობრივი გაზრდა, რომლის მოქმედებაც აძლიერებს ტექნიკურ შედეგს, რომელიც გაპირობებულია მხოლოდ ასეთი ელემენტების მოქმედებით;
- ტექნიკური შედეგის მისაღწევად ცნობილი საშუალების ან მისი ნაწილის (ნაწილების) შესრულება, ცნობილი მასალებით ან საშუალებებით;
- ისეთი საშუალების შექმნა, რომელიც შედგება ცნობილი ნაწილებისაგან, რომელთა შერჩევა და ურთიერთკავშირი განხორციელებულია ცნობილი წესებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ხოლო ტექნიკური შედეგი მიიღწევა ობიექტის მხოლოდ ცნობილი ნაწილებისა და მათ შორის ურთიერთმაკავშირებელი საშუალებებით;
- ცნობილი საშუალების, ხერხის, ნივთიერების, შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენება გაპირობებულია ცნობილი საშუალებით, სტრუქტურით, შესრულებით და ცნობილია, რომ მხოლოდ ასეთი საშუალება, სტრუქტურა და შესრულებაა აუცილებელი ახალი დანიშნულებით გამოსაყენებლად.

გამოგონება არ შეესაბამება საგამომგონებლო დონეს, როცა რაოდენობრივი ნიშნის (ნიშნების) შეცვლის საფუძველზე წარმოდგენილია ისეთი ნიშნების ურთიერთკავშირი, რომელიც ცვლის მხოლოდ მის გარეგნულ სახეს, თუ ცნობილია, რომ თითოეული მათგანის ზეგავლენა ტექნიკურ შედეგზე და მათი დანიშნულება, ანდა მათი ურთიერთკავშირი, შეიძლება მიღებული ყოფილიყო ცნობილი კანონზომიერებით, **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:**

- **გადალახულია სპეციალისტების შეხედულება უკვე მიღწეული ტექნიკური შედეგის შეუძლებლობის შესახებ.**
- **მიღწეულია შედეგი, რომელიც აკმაყოფილებს დიდი ხნის წინათ არსებულ საზოგადოებრივ მოთხოვნას, რომლის მიღწევაც ვერ შეძლეს სპეციალისტებმა.**

საგამომგონებლო დონის მოთხოვნებს შეესაბამება:

შენაერთის მიღების ხერხი, რომელიც დაფუძნებულია დადგენილი სტრუქტურის ახალი ინდივიდუალური შენაერთების მოცემული კლასის ან ჯგუფისათვის ახალ რეაქციაზე, ან შენაერთების მოცემული კლასის ან ჯგუფისათვის ცნობილ რეაქციაზე, რომლის ჩატარების პირობები უცნობი იყო. და გვაძლევს ახალი კლასის შენაერთს;

აგრეთვე კომპოზიცია, რომელიც შედგება სულ მცირე ორი ან მეტი ცნობილი ინგრედიენტისაგან, რომელიც უზრუნველყოფს სინერგეტიკულ ეფექტს (ე. ი. ამჟღავნებს ორთავე ინგრედიენტის თვისებებს, ხოლო თვისების რაოდენობრივი მაჩვენებლები ერთერთ მათგანს მეტი აქვს ცალკეული ინგრედიენტის თვისების მაჩვენებელზე);

გარდა ამისა, ინდივიდუალური შენაერთი, რომელიც ცნობილი ხდება საერთო სტრუქტურული ჯგუფის ფორმის შენაერთში (სელექციური გამოგონება), მაგრამ არ არის აღწერილი, როგორც სპეციალურად მიღებული და გამოკვლეული, ამასთან, ხარისხობრივი ან რაოდენობრივი მიმართებით ამჟღავნებს ამ ჯგუფის შენაერთისათვის ახალ თვისებას.

ექსპერტი ვერ დაასკვნის, რომ გამოგონება არ შეესაბამება საგამომგონებლო დონის მოთხოვნებს იმის გამო, რომ ტექნიკური შედეგის გახსნის მექანიზმი, განაცხადის მასალებში მას მოეჩვენა უბრალოდ ძალზე მარტივად, თუ ეს მექანიზმი ცნობილი გახდა ტექნიკის დონიდან კი არა, არამედ მხოლოდ განაცხადიდან.

განმცხადებელმა შეიძლება დააზუსტოს გამოგონების ფორმულა „საქპატენტისაგან“ მითითებული ტექნიკის დონის დასკვნის და საინფორმაციო გამოკვლევის ანგარიშის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მან უნდა იხელმძღვანელოს საპატენტო პრაქტიკის განუხრელი წესით და დაზუსტებული ფორმულით არ გააფართოვოს გამოგონების დაცვის ფარგლები. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია განაცხადის კვალიფიციურად გაფორმების ფაქტი, რადგან განაცხადის განსახილველად მიღების შემდეგ აღწერილო-

ბასა და, განსაკუთრებით, გამოგონების ფორმულაში ცვლილებების შეტანა შეზღუდულია. ახალი მონაცემების და არსებითი ნიშნების შეტანა კი საერთოდ არ დაიშვება. ასევე არსებითი ნიშანი, რომელიც ფიგურირებს აღწერილობაში, გამოგონების ფორმულაში ვეღარ გადაინაცვლებს, თუ ის აფართოვებს გამოგონების დაცვის ფარგლებს. გარდა ამისა, ნებისმიერი დასაშვები ცვლილების შეტანა დაკავშირებულია დამატებითი საფასურის გადახდასთან.

როგორც ადრე აღინიშნა, ექსპერტიზის ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში ან სასამართლოში.

თავი 20. საერთაშორისო განაცხადი

საქართველოში საპატენტო უფლებების გაფორმება გამოგონებაზე შეიძლება საერთაშორისო განაცხადის მეშვეობითაც. საერთაშორისო განაცხადია ის განაცხადი, რომელიც ფორმდება საერთაშორისო საპატენტო კოოპერაციის ხელშკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) პირობების თანახმად. აღნიშნული ხელშეკრულება, რომლის მონაწილეა საქართველო, უდგენს მოთხოვნებს საერთაშორისო განაცხადის შედგენილობასა და გაფორმებას. ეს მოთხოვნები საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით ჩამოყალიბებული მოთხოვნების იდენტურია. ხელშეკრულების თანახმად საერთაშორისო განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს, მუდმივი ადგილსამყოფელის მქონე პირებს ან მოქმედი სამეწარმეო საქმიანობის (საწარმოს) მქონე პირებს. მასში მონაწილე ყოველი ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია ერთ სამუშაო ენაზე (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული, იაპონური, ჩინური, ესპანური) გაფორმებული განაცხადი წარადგინოს საკუთარი ქვეყნის საპატენტო უწყებაში ან სხვა „მიმღებ“ უწყებაში იმ ქვეყნების მინიშნებით, სადაც მოითხოვება საპატენტო დაცვა. საქართველო თუ იქნა აღნიშნული უცხოელი განმცხადებლის მიერ, განაცხადი უნდა იყოს შედგენილი ინგლისურ ან რუსულ ენაზე. საქართველოს მოქალაქეს თავის მხრივ შეუძლია ინგლისურად, ხოლო თუ დაცვა მოითხოვება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში რუსულად გაფორმებული ერთი განაცხადით მოითხოვოს დაცვა მრავალ ქვეყანაში საკუთარი ქვეყნის ჩათვლით. განაცხადი წარედგინება „საქპატენტს“, რომელიც შეასრუ-

ლებს მიმღები უწყების ფუნქციებს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნების შემოწმების შემდეგ თავად უზრუნველყოფს განაცხადის გადაგზავნას საერთაშორისო ბიუროში. განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს საერთაშორისო საგანაცხადო საფასური, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია აღნიშნული ქვეყნების (რომლებშიც მოითხოვება საპატენტო დაცვა) რაოდენობაზე, მაგრამ ზღვრული გადასახადი განაცხადის მიწოდების სტადიაზე დათქმულია 5 ქვეყნის ანგარიშით, თუ აღნიშნულია 5 ქვეყანაზე მეტი, მაშინ საფასური ზღვრულის ტოლია. განაცხადის მიმღებ უწყებაში შეტანით იწყება საერთაშორისო პროცედურა, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს საერთაშორისო საინფორმაციო გამოკვლევის ჩატარებას და პრიორიტეტიდან 18 თვის შემდეგ გამოქვეყნებას. საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღი დგინდება ამ ფაქტის მიხედვით და ეს თარიღი ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებშიც ითვლება განაცხადის შეტანის თარიღად. საერთაშორისო საინფორმაციო გამოკვლევა ტარდება ხელშეკრულებით დადგენილ რომელიმე უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ეს ორგანოებია შემდეგი ქვეყნების საპატენტო უწყებები: ავსტრალიის, ავსტრიის, ჩინეთის, იაპონიის, რუსეთის, ესპანეთის, შვეციის, აშშ-ს, ევროპის საპატენტო უწყება. ყოველი ქვეყანა ამ ორგანოთა რიცხვიდან თავად ირჩევს მისთვის მისაღებს. საქართველოსთვის ეს უწყებებია რუსეთისა და ევროპის საპატენტო უწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქის მიერ წარდგენილ განაცხადს საერთაშორისო ძიება ჩაუტარდება ერთ-ერთი ამ ორი უწყების მიერ. ეს კი დამოკიდებულია განმცხადებლის არჩევანზე. თუ იგი აპირებს პატენტის მიღებას ევროპის ან ამერიკის ქვეყნებში, მაშინ უნდა აირჩეს ევროპის საპატენტო უწყება. ამ უკანასკნელმა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისთვის დააწესა შეღავათიანი გადასახდელი 25%-ის ოდენობით დათქმულთან შედარებით. საერთაშორისო საინფორმაციო გამოკვლევის საფუძველზე უფლებამოსილი ორგანო ადგენს ანგარიშს, რომელიც შეიცავს მონაცემებს გამოვლენილი ანალოგების შესახებ. საინფორმაციო გამოკვლევა უპირატესად ტარდება საპატენტო ინფორმაციის გამოყენებით. საერთაშორისო ანგარიში ეგზავნება განმცხადებელს, რომელიც აფასებს საკუთარ გამოგონებას და საბოლოოდ მოხაზავს იმ ქვეყანათა წრეს, სადაც მას შეუძლია მიიღოს პატენტი. გარდა ამისა, განმცხადებელმა შეიძლება გადაწყვიტოს განაცხადის გაუქმება, თუ დარწმუნდა გამოგონების პატენტუნარიანობის სისუს-

ტეში. საბოლოო არჩევანი უნდა მოხდეს არაუგვიანეს 20 თვისა (თუ განმცხადებელს სურს ისარგებლოს მხოლოდ ხელშეკრულების I თავით), ან 30 თვისა პრიორიტეტის თარიღიდან – ხელშეკრულების II თავის მიხედვით და განაცხადი უნდა იქნეს გადატანილი არჩეული ქვეყნის საპატენტო ექსპერტიზის ეროვნული ფაზის სტადიაზე. 30 თვის ვადა ეძლევათ იმ ქვეყნების განმცხადებლებს, რომლებიც ამ ხელშეკრულების მეორე თავის მონაწილენი არიან, რომლითაც გათვალისწინებულია საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ჩატარება. ხელშეკრულების ამ პირობის გავრცელება დამოკიდებულია მონაწილე ქვეყნის სურვილზე. წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულო არ არის შვეიცარიის, საბერძნეთის, ლიხტენშტეინის და ესპანეთის პატენტის მოთხოვნისას. ხოლო ამ ქვეყნების განმცხადებლები ვერ ისარგებლებენ წინასწარი ექსპერტიზის ჩატარების პროცედურით. წინასწარი ექსპერტიზის საფუძველზე, რომელსაც ატარებს ზემოაღნიშნული უფლებამოსილი ორგანოთაგან ერთ-ერთი (გარდა ესპანეთის უწყებისა), დგება დოკუმენტური დასკვნა, სადაც მიეთითება აკმაყოფილებს თუ არა განაცხადში აღწერილი გამოგონება პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს. დასკვნა გადაეგზავნება განმცხადებელს, რაც საერთაშორისო პროცედურის დამთავრების მაუწყებელია. განმცხადებელმა განაცხადი უნდა გადაიტანოს ეროვნულ ფაზაში ყველა იმ ქვეყნის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც სურს მიიღოს პატენტი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების თანახმად წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის დასკვნა ეროვნული საპატენტო უწყებებისათვის სავალდებულო არ არის. საბოლოოდ პატენტის გაცემა ხდება ეროვნული ნორმატიული აქტების ყველა მოთხოვნის დაცვით. საქართველოს პატენტის მისაღებად განაცხადის ეროვნულ ფაზაში გადატანისას იგი უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე. ასევე, ქართველი განმცხადებელი ვალდებული იქნება თავისი ხარჯებით თარგმნოს განაცხადი, მაგალითად, იაპონურად ან სხვა ენაზე.

საერთაშორისო განაცხადის საფუძველზე საქართველოს პატენტის მიღების და საქართველოს მოქალაქის მიერ საერთაშორისო განაცხადის მიწოდების საფუძველზე უცხო ქვეყნის პატენტის მიღების შესაძლებლობას ეხება საქართველოს საპატენტო კანონის XII თავი, რომელიც შეიცავს ნორმებს, რომლებიც მიუთითებენ საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების გამოყენებაზე. სამწუხაროდ, ეს ხელშეკრულება ქართულად დღემდე თარგმნილი არ არის, რაც ართულებს მის გამოყენებას.

თავი 21. საპატენტო უფლება-მოვალეობანი

ცნობილია, რომ კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობანი იძენენ სოციალურ მნიშვნელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, როცა მათი შესრულება რეალურია. უფლებების და მოვალეობების რეალური განხორციელება შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობით. ეს გარკვეულწილად მორალური ხასიათის გარანტიად გვევლინება კანონმდებლობით დათქმული უფლება-მოვალეობების გამოყენებისთვის. სახელმწიფომ რომ უზრუნველყოს კანონის ქმედითობა იგი აწესებს იურიდიულ გარანტიებსაც, რაც გამოიხატება, სამართალდამცავი ღონისძიებების, გატარებით რომლებიც ითვალისწინებს მოვალეობათა იძულებით შესრულებას თუ ვალდებული მხარე გაურბის ან არ ასრულებს კანონისმიერ მოქმედებას.

უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის შეცვლისა და შეწყვეტის საფუძველი ყოველთვის არის გარკვეული ფაქტის დადგომა რეალურად, რომელსაც კანონი ანიჭებს იურიდიულ მნიშვნელობას და ასახავს შესაბამის საკანონმდებლო ნორმებში. ასეთ ფაქტებს იურიდიული ფაქტები ეწოდება. უფლებები, რომლებიც რომელიმე პირს ეკუთვნის, პიროვნების უფლებებია და იყოფა სამოქალაქო, სამოქალაქო-საპროცესო, შრომით, ადმინისტრაციულ და სხვა სახეებად. შემდგომში ძირითადად განიხილება სამოქალაქო უფლებები, რადგან ყველა ქვეყანაში საპატენტო უფლება-მოვალეობანი კერძო სამართლის ნორმებში პოულობს ასახვას.

სამოქალაქო უფლებები წარმოიშობა რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულებით ან რაიმე მოვლენის დადგომით. საპატენტო უფლებამოვალეობანი წარმოიშობა დასაპატენტებელი ობიექტის შექმნით, განაცხადის მიწოდებით, პატენტის გაცემით, დაპატენტებული ობიექტის გამოყენებით და ა. შ. მათი შეწყვეტა ან წარმოშობა ასევე შეიძლება მოხდეს ისეთი მოვლენის მიხედვით, როგორიცაა იმ ვადის დადგომა ან გასვლა, რომელთანაც კანონი აკავშირებს კონკრეტული უფლების წარმოქმნას ან შეწყვეტას.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო უფლებები იყოფა პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებად. ეკონომიკური შინაარსის მქონე უფლებებს ეწოდება ქონებრივი. ასეთებია გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის პატენტით დადასტურებული განსაკუთრებული უფლება, დაპატენტებული ობიექტის გა-

მოყენების შედეგად შესაბამისი ფულადი შემოსავლის მიღების უფლება და სხვ.

პირადი არაქონებრივი უფლებები პიროვნებისაგან განუყოფელია და სხვა პირს ვერ გადაეცემა, მაგალითად, გამოგონების ავტორობის უფლება, სპეციალური სახელწოდების მინიჭების უფლება.

საპატენტო უფლება-მოვალეობანი შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად:

1. **ობიექტის შექმნიდან გამომდინარე;**
2. **განაცხადის მიწოდებიდან გამომდინარე;**
3. **პატენტის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილებიდან და განაცხადის გამოქვეყნებიდან გამომდინარე;**
4. **პატენტიდან გამომდინარე.**

გამოგონების შექმნის ფაქტიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი

გამომგონებელმა უნდა იხელმძღვანელოს საპატენტო პრაქტიკის პრინციპით და რაც შეიძლება სწრაფად დაიმკვიდროს პრიორიტეტი, რადგან სავარაუდოა, რომ მას სხვამ დაასწროს და მომავალში მორალური თუ ეკონომიკური ხასიათის სარგებელიც სხვამ ნახოს. მაშასადამე, გამომგონებელმა უნდა გამოიყენოს გამოგონების შექმნის ფაქტით წარმოქმნილი უფლება და საპატენტო უწყებაში განაცხადის მიწოდებით მოითხოვოს პატენტი.

ეს უფლება გამომგონებელს ბუნებით ეკუთვნის და ამდენად არა აქვს მნიშვნელობა ქმედუნარიანია იგი თუ არა. თუ გამომგონებელი არაქმედუნარიანია, თუნდაც ასაკის გამო, მაგალითად, იგი სულ შვიდი წლისაა, მაგრამ შეუძლია, მაგალითად, საკუთარ მშობლებს სრულად განუმარტოს მის მიერ შექმნილი გამოგონების არსი, მაშინ ასეთ გამომგონებელს უფლება აქვს მოითხოვოს პატენტის მიღება. პროცესუალურად, ამ შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი შესაბამისი წესები სამოქალაქო ურთიერთობათა განხორციელების თვალსაზრისით. იმ მომენტიდანვე, როდესაც გამომგონებელი დარწმუნდება, პატენტის აღების შესაძლობაში, სწორად უნდა განისაზღვროს ის სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია მიაწოდოს განაცხადი და მოითხოვოს პატენტი. ამ საკითხის გადაჭრა აქტუალურია მაშინ, როდესაც გამომგონებელი რაიმე სახის შრომით ურთიერთობებს ასრუ-

ლებს. უფლებას გამოგონების საპატენტო დაცვაზე, რომელიც სამართლის ბუნებითი თეორიიდან გამომდინარე ეკუთვნის გამომგონებელს და შესაბამისადვე არის ასახული საქართველოს საპატენტო კანონის მე-19 მუხლში, თან სდევს გარკვეული ხასიათის შრომითი მოვალეობანი. როცა გამომგონებელი შრომით ურთიერთობებში იმყოფება, პატენტის მიღების საკითხს აწესრიგებს საპატენტო კანონის მე-20 და 21-ე მუხლები.

მუშაკი ჩვეულებრივად მოვალეა აცნობოს დამქირავებელს გამოგონების შექმნის ფაქტი. ამის შემდეგ ორივე მხარემ უნდა იხელმძღვანელოს მათ შორის არსებული შრომის ან სხვა სახის ხელშეკრულების პირობებით, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობებს გამოგონების (ისევე როგორც სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის) შექმნის შემთხვევაში. ამ ხელშეკრულებით უნდა იყოს განსაზღვრული ვის ეკუთვნის უფლება პატენტის მიღებაზე და ამის შესაბამისად გაირკვეს სუბიექტი, რომელიც მიაწვდის საპატენტო განაცხადს: გამომგონებელი თუ დამქირავებელი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამოგონების ან საპატენტო დაცვის სხვა ობიექტთან დაკავშირებით ურთიერთობების მოწესრიგებას, მაშინ პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის გამომგონებელს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მისი სამსახურებრივი მოვალეობა ან დავალება არ ითვალისწინებს საგამომგონებლო საქმიანობის შესრულებას. ამავე დროს დამქირავებლისა და გამომგონებლის სურვილით შეიძლება დაიდოს სპეციალური შეთანხმება, რომელშიც გამომგონებელი გარკვეული პირობებით დაუთმობს დამქირავებელს, როგორც მის უფლებამონაცვლეს, პატენტის მიღების უფლებას. ამ შემთხვევაში, განაცხადს პატენტის მიღებაზე მიაწვდის დამქირავებელი, რაც სრულ შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან, რომელიც ითვალისწინებს პატენტის გაცემას გამომგონებლის უფლებამონაცვლეზეც.

იმ შემთხვევისათვის, როდესაც გამომგონებელი რაიმე საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკია, პატენტის მიღების უფლების მქონე სუბიექტის გასარკვევად მიზანშეწონილი იქნება მცირედ მიმოვიხილოთ თანამედროვე საპატენტო პრაქტიკა და შედარებითი ანალიზი, წარმოვადგინოთ რომელი ქვეყანა როგორ სწყვეტს აღნიშნულ საკითხს.

ამჟამად განაცხადის წარდგენის ორი სისტემაა ცნობილი. **პირველი,** რომელიც შემოიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრაქ-

ტიკამ და რომელსაც მისდევს ქვეყნების აბსოლუტური უმრაელესობა, **არის საგამომგონებლო სისტემა. რომლის თანახმად პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის ნამდვილ გამომგონებელს და შესაბამისად მას ეკუთვნის განაცხადის მიწოდების უფლებაც.** ამავე დროს, აღნიშნული სისტემა უშვებს განაცხადის მიწოდებას უფლებამონაცვლის მიერ, მაგრამ აშშ-ს, კანადის, ფილიპინების კანონმდებლობით განაცხადით ყველა შემთხვევაში უნდა წარდგეს ნამდვილი გამომგონებელი, ხოლო უკვე შემდეგ დაშვებულია პატენტის მიღების უფლების გადაცემა.

ინგლისურ-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყნებში უფლებათა გადაცემა მუშაკ გამომგონებელსა და დამქირავებელს შორის რეგულირდება საერთო სამართლის ნორმებით.

ინგლისის საპატენტო კანონმდებლობა აშშ-ს კანონმდებლობისაგან განსხვავებით აწესებს სპეციალურ ნორმებს, რომელთა თანახმადაც პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის გამომგონებელს. მაგრამ იგივე საპატენტო კანონის თანახმად მეწარმეს შეიძლება ეკუთვნოდეს პატენტი, თუ მუშაკი ასრულებს მისთვის ჩვეულებრივ სამსახურებრივ მოვალეობას ან ისეთ მოვალეობას, რომელიც ჩვეულებრივის ფარგლებს სცილდება ან რომლის შესრულების შედგადაც მოსალოდნელია გამოგონების შექმნა. პრინციპი, ამ შემთხვევაში, ის არის, რომ მუშაკი უნდა ასრულებდეს ისეთ საქმიანობას და ისეთი კვალიფიკაცია გააჩნდეს, რომ მოსალოდნელი იყოს გამოგონება, ანუ მას უნდა ჰქონდეს დაკისრებული საგამომგონებლო მისია.

გერმანიის და სკანდინავიური ქვეყნების სპეციალური კანონმდებლობა დაწვრილებით იხილავს ურთიერთობებს მუშაკსა და დამქირავებელს შორის და კანონის ძალით წყვეტს საკითხს თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს პატენტის მიღების უფლება. კანონმდებლობა ემყარება დოქტრინას, რომელიც აცხადებს შემდეგ პრინციპს. გამოგონება თავისთავად გამომგონებლის კუთვნილებაა, მაგრამ თუ ის სამსახურებრივი ურთიერთობის შესრულების შედეგია, მაშინ მეწარმის საკუთრება უნდა გახდეს. აღნიშნულის თანახმად კანონი მუშაკის მოვალეობების, მისი კვალიფიკაციის და სამუშაოთა შინაარსიდან გამომდინარე აწესებს გარკვეულ შემთხვევებს, როდესაც პატენტი დამქირავებელს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში გამოგონებაზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის არ მოითხოვება ხელშეკრულების დადება ან მუშაკის თანხმობა. გამოგონების შექმნის ფაქტს მუშაკი აცნობებს დამქირავებელს და თუ ეს უკანასკნელი

ოთხი თვის ვადაში არ გადაწყვეტს საპატენტო განაცხადის მიწოდებას, მაშინ პატენტი შეიძლება მიიღოს გამომგონებელმა. ამასთან, როგორც ინგლისურ-ამერიკული, ისე კონტინენტური ევროპისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკა აწესებს, გამომგონებელს (როდესაც პატენტს დამქირავებელი იღებს) უნდა მიეცეს გამოგონების ღირებულების ფარდი, გონივრული გასამრჯელო.

ინგლისურ-ამერიკული სამართალი მეტსაც ამბობს, კერძოდ იმას, რომ თუ გამომგონებლისთვის გაცემული გასამრჯელო არ არის ადეკვატური გამოგონების იმ „მოულოდნელი"ეფექტისა, რამაც მოიტანა მოულოდნელი სარგებელი, მაშინ გამომგონებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი გასამრჯელო. ამ წესით ირკვევა, რომ შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული ხასიათის „მოულოდნელი" გამოგონება. ამ შემთხვევაში საერთოდ საკითხავია, შეიძლება კი რომ კანონის ძალით პატენტი ეკუთვნოდეს დამქირავებელს?

მეორე სისტემა არის საგანმცხადებლო. მისი პრაქტიკაში შემომტანი საფრანგეთია და მას მისდევენ ძირითადად ფრანგულ-რომანული სამართლის ოჯახის ქვეყნები. ამ ქვეყნების საპატენტო კანონის თანახმად **პატენტის მიღებაზე განაცხადი შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა პირველმა განმცხადებელმა.** ამავე დროს საფრანგეთის საპატენტო კანონი ითვალისწინებს ნორმებს, რომლებიც მეტნაკლებად აწესრიგებენ გამომგონებლისა და დამქირავებლის ურთიერთობებს.

პატენტი შეიძლება ეკუთვნოდეს დამქირავებელს, თუ სამსახურებრივი მოვალეობით მუშაკს დაკისრებული აქვს საგამომგონებლო მისია, ან თუ იგი საქმიანობს სპეციალური დავალების თანახმად. ეს მიდგომა გაიზიარა საქართველოს საპატენტო კანონმა.

განასხვავებენ მუდმივ საგამომგონებლო მისიას, რომელიც წესდება შრომითი ხელშეკრულებით და მიზნობრივ საგამომგონებლო მისიას, როდესაც მუშაკს სპეციალური დავალება აქვს მიცემული პრობლემის შესწავლის და კვლევების ჩატარების მიზნით. ეს მისია მუშაკს ეკისრება სპეციალური განკარგულებით და იმ პირობით, რომ იგი განთავისუფლებული იქნება ყოველდღიური საქმიანობიდან.

იაპონიის საპატენტო კანონი, რომელმაც გაიზიარა როგორც ამერიკული, ასევე გერმანიის საპატენტო სამართლებრივი ნორმები, აწესებს რომ პატენტი ყველა შემთხვევაში უნდა ეკუთვნოდეს გა-

მომგონებელს. მაგრამ, უფლებების გადაცემა შეიძლება დაწესდეს შრომითი კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით და პატენტი უფლებამონაცვლეობის პრინციპით მიიღოს მეწარმემ.

ამავე დროს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს, რომ როდესაც პატენტს ღებულობს გამომგონებელი მეწარმეს უნდა გააჩნდეს უფლება მარტივ, მათ შორის უსასყიდლო, ლიცენზიაზე და უპირატესი შესყიდვის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობაში აისახა ყველა აღნიშნული მიდგომა და დაწესდა, რომ პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის გამომგონებელს, მაგრამ შრომითი ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე პატენტი უფლებამონაცვლეობის პრინციპზე დაყრდნობით შეიძლება ეკუთვნოდეს მეწარმეს – სამუშაოს მიმცემს. გამომგონებლის მიერ პატენტის მიღების შემთხვევაში დამქირავებელს უფლება აქვს უპირატეს შესყიდვაზე და მარტივ ლიცენზიაზე გამოგონების პრიორიტეტის დღიდანვე. ამასთანავე გათვალისწინებულია, რომ თუ მუშაკი სპეციალურად საგამომგონებლო საქმიანობისთვის იყო დაქირავებული, მაშინ პატენტი მეწარმეს ეკუთვნის. საზოგადოდ ითვლება, რომ გამომგონებელი საგამომგონებლო საქმიანობით არის დაკავებული თუ ის სამეცნიერო-კვლევითი ან საკონტრუქტორო-ტექნოლოგიური თემატიკით არის დასაქმებული. ამ შემთხვევაში დამქირავებელი ახალი ობიექტის შექმნას ელის, რაც შეიძლება პატენტის საგანი იყოს და, ბუნებრივია, რომ ასეთი ობიექტი მისი კუთვნილება გახდეს. გამომგონებელი ვალდებულია წერილობით დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოს მიმცემს გამოგონების შექმნის ფაქტი. თუ სამუშაოს მიმცემი 3 თვის განმავლობაში არ მიაწოდებს განაცხადს საქპატენტს, მაშინ გამომგონებელზე გადადის განაცხადის წარდგენისა და პატენტის მიღების უფლება. იგივე წესი ვრცელდება სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შექმნის შემთხვევაში მუშაკის მიერ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რადგან საქართველოს საპატენტო დაცვის ძალზე მცირე პრაქტიკა გააჩნია, მოსაწესრიგებელია ბევრი საკითხი, რომელიც ეხება მუშაკთა და მეწარმეთა ურთიერთობებს და სასურველია სპეციალური კანონის მიღება. კანონმა, **მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ჩვენი აზრით, ნორმატიულად უნდა დაადგინოს რას გულისხმობს საგამომგონებლო საქმიანობა და დასაპატენტებლად წარდგენილი ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე რომელი სახის გამოგონება შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ გამომგონებელს და პირიქით.**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეცნიერ სამართალმცოდნეთა თვალსაზრისით საერთოდ უმართებულოა გამოგონების დაგეგმვა ან დავალების მიცემა გამოგონების შექმნის თაობაზე (სწორედ ამ პრინციპის გამო სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონი პატენტის მიღების უფლებას აძლევს გამომგონებელს), მაშინ ალბათ, ყველაზე სწორი იქნებოდა „პიონერულ" გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება ეკუთვნოდეს მხოლოდ გამომგონებელს. ამ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულებით გამოგონებაზე უფლებების გადაცემის საკითხი ვერ მოწესრიგდება.

ამასთან, მისაღები იქნება პრინციპი, რომ პიონერულისაგან განსხვავებით (რომელსაც არავითარი ანალოგი და პროტოტიპი არ მოეძებნება და ამდენად ვერც დავალება გაიცემა ასეთ ობიექტის შექმნაზე) ჩვეულებრივი გაუმჯობესების ხასიათის გამოგონებაზე (აგრეთვე პირველ რიგში, სასარგებლო მოდელზე), პატენტის მიღების უფლება ეკუთვნოდეს მეწარმეს.

იმის შემდეგ, რაც ზუსტად გაირკვა სუბიექტი, განმცხადებელმა უნდა შეადგინოს „სწორად გაფორმებული" განაცხადი და მიაწოდოს საპატენტო უწყებას, რათა დაიმკვიდროს პრიორიტეტი განაცხადის მიწოდების თარიღით. საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია საგანაცხადო მასალების მიწოდება ნებისმიერ ენაზე. ეს მასალები ორი თვის ვადაში განმცხადებელმა უნდა თარგმნოს და წარადგინოს ქართულ ენაზე. პრიორიტეტი ამ შემთხვევაში დადგინდება სხვა ენაზე წარდგენის თარიღით. თუ თარგმანის წარდგენა დაგვიანდა (განაცხადი უკვე გატანილად ითვლება), უწყებას შეუძლია მხოლოდ ქართულად შესრულებული საგანაცხადო მასალების მიწოდების თარიღით დაადგინოს პრიორიტეტი. განმცხადებელს უფლება აქვს (მაგრამ არა მოვალეობა) მიმართოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს, მაგალითად, პატენტრწმუნებულს და შეთანხმების საფუძველზე სთხოვოს საპატენტო განაცხადის გაფორმება, პატენტრწმუნებული მოვალეა გაუწიოს განმცხადებელს, განსაკუთრებით საქართველოს მოქალაქეს, დასაპატენტებელი ობიექტის თავისებურებების თანადი მაღალკვალიფიციური მომსახურება და დაეხმაროს მას გამოგონების არსის ზუსტ გამოვლენასა და საპატენტო უფლებების გაფორმებაში.

განაცხადი განმცხადებლის სახელით შეიძლება ფიზიკურად წარადგინოს ნებისმიერმა პირმა, ხოლო პატენტრწმუნებულმა შეიძლება წარმართოს მთელი საქმიანობა საპატენტო უფლებების საბოლოოდ გაფორმებამდე.

გამომგონებელს უფლება აქვს საერთოდ არ წარადგინოს განაცხადი, არ მიიღოს პატენტი და ისე გამოიყენოს გამოგონება. ამასთან, მას უფლება აქვს საიდუმლოდ შეინახოს გამოგონების არსი და აქციოს ის „ნოუ ჰაუდ“, კოკა-კოლას რეცეპტის მსგავსად.

ზემოთ წარმოდგენილ იქნა გამოგონების შექმნის ფაქტიდან (ეს ფაქტი ყოველთვის გამომგონებლის ვარაუდია) გამომდინარე უფლება-მოვალეობანი, რომელთა სპექტრი კიდევ უფრო ფართოვდება განაცხადის წარდგენის ფაქტით.

განაცხადის მიწოდებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი

საპატენტო სამართლის მთავარი პრინციპის შესაბამისად, საპატენტო უფლება-მოვალეობანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა განაცხადით წარდგენილი ობიექტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოგონებად, სასარგებლო მოდელად ან სამრეწველო ნიმუშად იქნება ცნობილი, ანუ როცა გაიცემა დამცავი დოკუმენტი. მაგრამ საგანცხადო მასალების მიწოდება თავად წარმოქმნის შესაბამის უფლება-მოვალეობებს. მაგალითად, საპატენტო უწყებამ უნდა დაადასტუროს, რომ წარდგენილი განაცხადი სწორად გაფორმებული განაცხადია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, **განაცხადის მიწოდებით წარმოქმნილი უფლება-მოვალეობების სრული რეალიზაცია შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, რაც დადგინდა განაცხადის წარდგენის თარიღი ანუ პრიორიტეტი.** საგანაცხადო მასალების მიწოდებით მანამ, სანამ უწყების მიერ არ დადგენილა განაცხადის წარდგენის თარიღი, ან ფორმალური მოთხოვნების დაუცველობის გამო, სანამ განაცხადი არ იქნა მიღებული განსახილველად, წარმოიქმნება გარკვეული წრის უფლება-მოვალეობები, რომლებიც თავისი მოცულობით ნაკლებია, ვიდრე ისეთი განაცხადიდან გამომდინარე, რომელსაც დაუდგინდა პრიორიტეტი.

ფოსტაში, ან უშუალოდ საპატენტო უწყებაში საგანცხადო მასალების მიწოდებით განმცხადებელს წარმოექმნება უფლება, რომ შემდგომში, სასამართლო განხილვის ჩათვლით, მოითხოვოს განცხადებული ობიექტის პრიორიტეტის დადგენა შესაბამისი თარიღით. საპატენტო უწყება ვალდებულია, ხოლო განმცხადებელს გააჩნია მოთხოვნის უფლება გასცეს ცნობა საგანაცხადო მასალების მიღე-

ბის შესახებ, ანუ დაადასტუროს ამ მასალების მიწოდების იურიდიული ფაქტი. თუ განაცხადი მიწოდებულია ფოსტით, საფოსტო განყოფილება გასცემს შესაბამის საბუთს, რომელიც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაიმე სადავო ურთიერთობის გასარკვევ იურიდიულ მტკიცებულებად.

საგანაცხადო მასალების მიწოდების ფაქტით, წარმოიქმნება, აგრეთვე, საავტორო უფლებები, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორის ნებართვის გარეშე განაცხადის გამოქვეყნება გარკვეული პროცესუალური სტადიების განხორციელებამდე დაუშვებელია.

ეს უფლება იდენტურია ნებისმიერ სამეცნიერო-ტექნიკურ ნაწარმოებზე საავტორო უფლებისა. ამ მიმართებაში ერთი განსხვავებაა აღსანიშნავი. ნაწარმოებზე საავტორო უფლებების წარმოშობა ნაწარმოების შექმნის ფაქტზეა დამოკიდებული და ამდენად ავტორს ამ მომენტიდანვე შეუძლია მოითხოვოს ავტორობის აღიარება. საპატენტო საგანაცხადო მასალების წარდგენით კი (იმ შემთხვევაშიც კი როცა განაცხადს დაუდგინდა წარდგენის თარიღი ანუ უწყების მიერ ცნობილ იქნა როგორც სწორად გაფორმებული განაცხადი) განმცხადებელი ჯერ ვერ იქნება აღიარებული გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ავტორად. ამ მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მას შემდეგ, რაც განაცხადში აღწერილი ობიექტი საპატენტო უწყების მიერ იქნება აღიარებული გამოგონებად, სასარგებლო მოდელად ან სამრეწველო ნიმუშად.

აღნიშნული უფლებების გარდა განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი პროცესუალური ქმედებების შესრულება საპატენტო უწყებისგან და გაასაჩივროს რომელიმე მისი შეხედულებით არასწორად განხორციელებული ქმედება.

განმცხადებლის ძირითადი უფლებები წარმოშობილია საგანაცხადო მასალების მიწოდებით და ამ უკანასკნელთა განხილვა საპატენტო უწყების მოვალეობაა. ამასთან, განმცხადებელი ვალდებულია დადგენილი დროის ფარგლებში მოთხოვნისამებრ მიაწოდოს უწყებას ყველა საჭირო მონაცემები.

დასაწყისიდანვე განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას განაცხადის გაფორმების ყველა ფორმალური მოთხოვნა, მათ შორის განცხადებული ობიექტის სრულად აღწერის მიმართ. განმცხადებელს შეუძლია არსებითად დაშვებული ხარვეზების და ნაკლის გამოსწორება საპატენტო უწყების მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საპატენტო პროცედურის პირველ სტადიაზე – ფორმალური მოთ-

ხოვნების ექსპერტიზის განმავლობაში. როგორც წესი, ეს ვადა განისაზღვრება ერთიდან ორ თვემდე. საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად აღნიშნული ვადა შეადგენს ორ თვეს საგანცხადო მასალების მიწოდების თარიღიდან.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად პრიორიტეტის მინიჭების ფაქტი წარმოშობს ახალ უფლება-მოვალეობებს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია – განმცხადებლის უფლება საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნაზე. ამ მოთხოვნის უფლება ქართველ განმცხადებელს გააჩნია ნებისმიერი საპატენტო უწყების მიმართ, რომელიც მონაწილეა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციისა, და მისი განხორციელება რეალურია საპრიორიტეტო ცნობის მიღების ფაქტზე დაყრდნობით. ამასთანავე, წარმოიშობა უცხო ქვეყნის საპატენტო უწყების მოვალეობა განსახილველად მიიღოს და დააკმაყოფილოს ქართველი განმცხადებლის თხოვნა პრიორიტეტის შენარჩუნების თაობაზე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი თარიღის მიხედვით.

როგორც ექსპერტიზის წინა სტადიაზე, ასევე მომდევნო ამ სტადიაზე, ავტორს (განმცხადებელს) უფლება აქვს მოითხოვოს, რომ განაცხადის არსი არ ეცნობოს მესამე პირებს. საპატენტო უწყება ვალდებულია კანონით დადგენილი პროცედურით გათვალისწინებული განაცხადის გამოქვეყნების ვადის დადგომამდე ექსპერტიზა წარმართოს „დახურულად“ ისე, რომ განაცხადის შინაარსი იცოდეს მხოლოდ „საქპატენტის“ ექსპერტმა და განმცხადებელმა. ამ უკანასკნელს უფლება აქვს აგრეთვე მოითხოვოს, ხოლო „საქპატენტი“ ვალდებულია დაიცვას პროცედურული ვადები, აცნობოს განმცხადებელს დაპირისპირებული მასალების შესახებ. „საქპატენტი“ ვალდებულია განიხილოს განმცხადებლის მოტივირებული შეპასუხება ამა თუ იმ მოთხოვნაზე ან შეტყობინებაზე, ჩაატაროს ძიება და შეადგინოს ტექნიკის დონის შესახებ დოკუმენტური დასკვნა. საპატენტო უწყება ვალდებულია სიახლის კრიტერიუმის შესამოწმებლად განაცხადი ჩართოს ტექნიკის დონისთვის ცნობილი ობიექტების რიცხვში.

განაცხადის განსახილველად მიღების შემდეგ განმცხადებელს უფლება აქვს „საქპატენტს“ მოსთხოვოს ნებართვა საზღვარგარეთ დაპატენტების შესახებ.

საზღვარგარეთ დაპატენტების თაობაზე ნებართვის მიღებას განმცხადებელს ავალებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ

შორის აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის და სხვა. ასეთი მოთხოვნა დაკავშირებულია გამოგონების შინაარსის შესწავლასთან იმის თაობაზე, ხომ არ წარმოადგენს გამოგონება სახელმწიფო საიდუმლოებას ქვეყნის თავდაცვის თვალსაზრისით. ასეთი გამოგონების მიმართ მოქმედებს განხილვის სპეციალური წესი, რომლის შესაბამისადაც გამოიტანება გადაწყვეტილება საზღვარგარეთ დაპატენტებაზე ნებართვის გაცემის შესახებ. „საქპატენტი" ვალდებულია დადგენილ ვადაში აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილება დროულად არ ეცნობა განმცხადებელს, მას უფლება აქვს წარადგინოს განაცხადი საზღვარგარეთ დასაპატენტებლად. ამავე მომენტიდან ავტორს (განმცხადებელს) აქვს უფლება დასაპატენტებლად წარდგენილ ობიექტს მიანიჭოს სპეციალური დასახელება, რომელიც არ უნდა იწვევდეს სასაქონლო ნიშნის შთაბეჭდილებას. კერძოდ, მას შეუძლია მიანიჭოს საკუთარი სახელი, მაგალითად, „ბოტას ავტომანქანა".

სპეციფიკურია საქართველოს საპატენტო კანონმდებლობიდან გამომდინარე საპატენტო უწყების უფლება ორი ან მეტი იდენტური განაცხადის უწყებაში ერთსა და იმავე დღეს შეტანის შემთხვევაში მოსთხოვოს განმცხადებლებს საპატენტო განაცხადების გაერთიანება. განმცხადებლები, თუ მათ სურთ პატენტის მიღება, ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნა.

ავტორს ასევე უფლება აქვს გადასცეს სასამართლოს განსახილველად საპატენტო უწყების მიერ განაცხადის შინაარსის უნებართვოდ გამჟღავნების საკითხი, რასაც შეიძლება მოჰყვეს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

პატენტის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილებიდან და განაცხადის გამოქვეყნებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები

არსობრივი ექსპერტიზის შედეგი შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტს წარმოადგენს. ექსპერტიზის დროს ტექნიკის დონის მოძიების მასალებთან გაცნობის შემდეგ ორივე მხარე, განმცხადებელიც და საპატენტო უწყებაც, ვალდებულია, დადგენილი წესის ფარგლებში გააგრძელოს ურთიერთობა. განმცხადებელს უფლება აქვს დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს დოკუმენტური დასკ-

ვნის შედეგებს და თავისი შეხედულებით შეაფასოს საგამომგონებლო დონე.

დაწესებულია საპატენტო უწყების უფლება უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანაზე პატენტის გაცემის შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკის დონის მოძიების შედეგად აღმოჩენილია ისეთი ანალოგი, რომელიც ყველა არსებითი ნიშნით ემთხვევა გამოგონებას.

განმცხადებელს უფლება აქვს შედავებაზე ან სასამართლო წესით გასაჩივრებაზე. უწყებას, გარდა ამისა, უფლება აქვს გამოიტანოს უარყოფითი გადაწყვეტილება სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმის არადამაკმაყოფილებლად გადმოცემის შემთხვევაში, თუ ასეთმა განაცხადმა ექსპერტიზის ამ ეტაპამდე მოაღწია. ექსპერტიზის დროს დგინდება შეესაბამება თუ არა განცხადებული გამოგონება სამრეწველო გამოყენებადობის მოთხოვნებს და სრულად პასუხობს თუ არა განაცხადი შემდეგ პირობებს:

- განცხადებული გამოგონება განკუთვნილი უნდა იყოს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანმრთელობის დაცვასა ან ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგში გამოსაყენებლად.
- განცხადებულ გამოგონებაში იმ სახით, როგორც დახასიათებულია გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელ მუხლში, უნდა იყოს დასაბუთებული მისი განხორციელების შესაძლებლობა გამოგონების აღწერილობის დახმარებით ანდა პრიორიტეტის თარიღამდე ცნობილი მეთოდებითა და საშუალებებით.
- განცხადებულ გამოგონებას უნდა შესწევდეს უნარი მიაღწიოს იმ ტექნიკურ შედეგს, რომელიც დასახული აქვს განმცხადებელს.

თუ მითითებული პირობები არ არის დაცული გამოგონების კონკრეტული ვარიანტის განხორციელებისათვის, რაც აისახება გამოგონების ფორმულის დამოკიდებულ მუხლებში, ეს არ ნიშნავს, რომ შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, თითქოს განაცხადში არ არის გახსნილი სამრეწველო გამოყენების შესაძლებლობა. უბრალოდ, ამ შემთხვევაში შესაბამისი დამოკიდებული მუხლი არ განიხილება ექსპერტიზის მიერ და ამოიღება ფორმულიდან.

განმცხადებელს ყოველთვის აქვს უფლება გაეცნოს ექსპერტიზის მიერ გამოყენებულ საინფორმაციო წყაროს და მოახდინოს გამოგონების ფორმულის კორექტირება ან აღძრას შედავება.

თუ ყველა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მიიღება დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე.

საქართველოში მოქმედი წესით დადებითი გადაწყვეტილების (როგორც დოკუმენტის) იურიდიული სტატუსი იგივეა, რაც გადადებული ექსპერტიზის დროს მიღებულ გადაწყვეტილებისა. საქმე ისაა, რომ მოქმედი საპატენტო კანონის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოგონება ჯერ კიდევ აღიარებულად არ ითვლება და პატენტი არ გაიცემა. უწყება ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. ამავე დროს, ნებისმიერი პირისთვის უზრუნველყოფილია საგანაცხადო მასალების დაუბრკოლებელი გაცნობის შესაძლებლობა. შემდეგ უწყება ვალდებულია დაელოდოს 3 თვე. თუ დაინტერესებული პირისგან, რომელსაც აქვს უფლება გაეცნოს ნებისმიერ საგანაცხადო მასალას, არ შევა შედავება უწყებაში, გაიცემა პატენტი.

ამავე დროს, გადაწყვეტილების გამოტანა პატენტის გაცემის შესახებ და ინფორმაციის გამოქვეყნება წარმოშობს პატენტიდან გამომდინარე საპატენტო უფლებებთან მიახლოებულ უფლებებს. ორივე შემთხვევაში განმცხადებელს წარმოექმნება მთელი სპექტრი პირადი არაქონებრივი უფლებებისა, ხოლო ქონებრივი უფლებები, მთელი სისრულით, განხორციელდება პატენტის გაცემის შემდეგ. მაგალითად, უმეტეს ქვეყნებში მიღებულია, რომ პატენტმფლობელის მოთხოვნა გამოგონების გამოყენების შეწყვეტის თაობასა და ზიანის ანაზღაურებაზე, ვერ განხორციელდება სანამ არ გაიცემა პატენტი. განმცხადებელმა შეიძლება მოსთხოვოს დამრღვევ პირს მხოლოდ უნებართვოდ გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის ფარდი ანაზღაურება, მაგრამ ასეთი მოთხოვნის განხორციელება კვლავ პატენტის გაცემაზეა დამოკიდებული.

სამრეწველო ნიმუშის, სასარგებლო მოდელისა და შემოტანილი პატენტის გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტი წარმოშობს იგივე უფლება-მოვალეობებს, ოღონდ დროებითი დაცვის უფლება აღნიშნულ ობიექტებზე ვერ გავრცელდება, რადგან პატენტი გამოქვეყნებისთანავე გაიცემა .

პატენტიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები

სანამ შევეხებოდეთ საკითხის ძირითად არსს, საჭიროა გაშუქდეს, თუ რა სახის პატენტის გაცემაა დაკანონებული საქართველოში და რა სახის პატენტი შეიძლება იყოს ძალაში ამჟამად უკვე

გაცემული პატენტების მაგალითზე. 1992 წ. დებულების მიხედვით გაიცემოდა პატენტი (ძირითადი პატენტი) და დამატებითი პატენტი. საპატენტო კანონმა მათ რიცხვს დაამატა შემოტანილი (დადასტურებული, იმპორტირებული) პატენტი. შემოტანილ პატენტს „საქპატენტი" გასცემს უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში მოქმედი პატენტის საფუძველზე, თუ მას ჩაუტარდა ექსპერტიზა პატენტუნარიანობის ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შემოტანილი პატენტის ნაირსახეობად შეიძლება ვიგულისხმოთ ყოფილი სსრ კავშირის დამცავი დოკუმენტის საფუძველზე გაცემული საქართველოს პატენტიც.

ყველა ეს დამცავი დოკუმენტი წარმოშობს ერთნაირ უფლება-მოვალეობებს, მაგრამ დაცვის ფარგლები, განსაკუთრებით დროში, სხვადასხვაა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დამატებითი და შემოტანილი პატენტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ ძირითადი პატენტის მოქმედების შემთხვევაში.

ძირითადი პატენტისგან განსხვავებით დამატებითი და შემოტანილი პატენტის მისაღებად განაცხადის შეტანისას წინასწარვეა განსაზღვრული სუბიექტი, რომელსაც გააჩნია პატენტის მოთხოვნის უფლება, დამატებითი პატენტის მიღების უფლება, თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, ეკუთვნოდა მხოლოდ ძირითადი პატენტის მფლობელს.

საქართველოს საპატენტო კანონმა გააუქმა დამატებითი პატენტის გაცემის ინსტიტუტი.

მხოლოდ უცხოეთის პატენტის მფლობელს შეუძლია მიიღოს შემოტანილი პატენტი.

პატენტი, როგორც დამცავი დოკუმენტი, წარმოშობს უფლება-მოვალეობებს სივრცესა და დროში. პატენტმფლობელს, ძირითადი პატენტით ენიჭება განსაკუთრებული უფლება გამოგონებაზე 20 წლის ვადით. სასარგებლო მოდელზე 8 წლით. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტებისათვის მოქმედების ვადები ახლადმიღებული საპატენტო კანონისა და გამოგონების შესახებ 1992 წლის დებულების მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. სამრეწველო ნიმუშის პატენტი აღნიშნული დებულების მიხედვით მოქმედებს 10 წელი. პატენტმფლობელის სურვილით დაშვებული იყო ამ ვადის გაგრძელება მომდევნო 5 წლით. საპატენტო კანონმა აღნიშნული ვადის ჯამი არ შეცვალა და სამ-

რეწველო ნიმუშის პატენტის მოქმედების ვადა განსაზღვრა 15 წლით, გაგრძელების უფლების გარეშე.

დამატებითი პატენტის მოქმედების ვადა (რომელიც გაიცემოდა მხოლოდ გამოგონებაზე) შემოფარგლულია ძირითადი პატენტის მოქმედების ვადით – ასეთია ძირითადი წესი მსოფლიო საპატენტო პრაქტიკაშიც. ასევე მოქმედებს შემოტანილი პატენტი, მაგრამ მისი მოქმედება არ შეიძლება აღემატებოდეს 10 წელს. ვადები, როდესაც პატენტი მოქმედებაშია, ანუ ძალაშია, აითვლება განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის თარიღიდან. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში პატენტის გაცემის დღიდან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **პატენტის მოქმედება შემოფარგლულია იმ ქვეყნის ტერიტორიით, რომელშიც გაიცა დამცავი დოკუმენტი.**

პატენტი ადასტურებს ავტორობას და ანიჭებს პატენტმფლობელს განსაკუთრებულ უფლებას. პატენტმფლობელის უფლებათა განსაკუთრებულობა, ერთი მხრივ გამოიხატება უნებართვო ქმედებების აკრძალვის შესაძლებლობაში პირთა განუსაზღვრელი წრისთვის. მეორე მხრივ, პატენტმფლობელს გააჩნია მონოპოლიური უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს და განკარგოს დაპატენტებული ობიექტი. ამ უფლების თანხვედრია მესამე პირთა მოვალეობა აკრძალული ქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ.

პატენტმფლობელის უფლებათა განსაკუთრებული ხასიათი აახლოვებს პატენტიდან გამომდინარე უფლებებს მესაკუთრეობის უფლებასთან. უფლებას ფლობდეს, განკარგავდეს და გამოიყენებდეს ნივთს თან სდევს ყოველი პირის მოვალეობა, თავი შეიკავოს მესაკუთრის ამ ნივთზე უფლებების დარღვევისგან. პატენტმფლობლისა და მესაკუთრის უფლებების მსგავსება საფუძველია იმისა, რომ პატენტმფლობელის უფლებები განხილულ იქნეს საკუთრებითი უფლებების ნაირსახეობად. ეს პრინციპი ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც და საპატენტო უფლებები მიკუთვნებულია სამოქალაქო სამართლისადმი. ნიდერლანდების საპატენტო კანონში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საპატენტო განაცხადი და პატენტი არის მოძრავი ქონების ერთ-ერთი სახე.

თუ პატენტის მფლობელი რამდენიმე პირია, პატენტმფლობელობის უფლება მათ თანაბრად ეკუთვნით სამოქალაქო სამართლის დებულებების შესაბამისად. როდესაც ხდება პატენტის გასხვისება ან რაიმე უფლების გადაცემა, საჭიროა ყველა თანამფლობელის თანხმობა. ასევეა საპატენტო კანონმდებლობაშიც.

ავტორობის (გამომგონებლად აღიარების) უფლება

პატენტიდან გამომდინარე ავტორობის უფლება პირადი არაქონებრივი უფლებათაგანია და თავისებურებებით ხასიათდება. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დებულება საპატენტო უფლებების ტერიტორიითა და ვადით შეზღუდვაზე ამ უფლებაზე არ ვრცელდება. კანონითვეა აღიარებული, რომ ავტორობის უფლება უვადოდ არის დაცული და განუსხვისებელია.

ქონებრივი უფლებებისგან განსხვავებით ნებისმიერ ქვეყანაში, ავტორობის უფლების დაცვის განხორციელება შეიძლება ნებისმიერი პატენტის საფუძველზე. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა მონაწილეობს თუ არა პატენტის გამცემი ქვეყანა რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულებაში. რადგან ავტორობას პატენტი ადასტურებს, ეს უფლება შეიძლება რეალურად განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული დამცავი საბუთის გაცემის შემდეგ.

საპატენტო უფლება ავტორობაზე განსხვავდება ანალოგიური საავტორო უფლებისგან. მაგალითად, საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოების შინაარსის უნებართვო შეცვლაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოებზე ავტორობის ფაქტის დამტკიცებისას საკმარისია შედარდეს იდენტურობა. გამოგონების შემთხვევაში კი მისი საგანი ისეთნაირად შეიძლება აღწეროს სხვა პირმა, რომ გარეგნულად სრულიად არ ჰგავდეს პატენტით დაცულ გამოგონებას. მხოლოდ ანალიზით, ეკვივალენტების თეორიის გამოყენების ჩათვლით და საგამომგონებლო იდეის გამოვლენით შეიძლება დადგინდეს პატენტმფლობელის ავტორობა თითქოსდა განსხვავებულ ობიექტზე, რომელზედაც ავტორობის პრეტენზიას აცხადებს სხვადასხვა პირი. საპატენტო პრაქტიკაში შემოწმებითი ექსპერტიზის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში ეს ფაქტი მუდმივად მოწმდება ირიბად, როდესაც შეისწავლება სიახლე და საგამომგონებლო დონე. ამ კრიტერიუმების გამო უარის თქმა ფაქტიურად ნიშნავს გვიან წარდგენილ გამოგონებაზე ავტორობის პრეტენზიის მქონე პირთათვის ამ უფლებაზე უარის თქმას.

ყოველივე ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორობის უფლება ქვეყნის ტერიტორიით შეზღუდული არ არის ისევე, როგორც არ არის შეზღუდული დროით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლების დაცვა პატენტმფლობელის სურვილზე დამოკიდებული არ არის და ავტორმა შეიძლება სასამართლო წესით დაამტკიცოს ავტორობა, თუნდაც რომ მას პატენტი არ ეკუთვნოდეს. ამ პრინციპზეა აგებული საპატენტო სამართლის სფეროში დადებული ყველა საერთა-

შორისო ხელშეკრულება, მათ შორის პარიზის კონვენცია, რომლებიც მოითხოვს ავტორის ვინაობის აუცილებელ მითითებას, თუ თავად ავტორს არ სურს ანონიმად დარჩენა.

ხშირად ერთი ობიექტის გამომგონებელი რამდენიმე პირია. არა აქვს მნიშვნელობა ერთობლივად მუშაობენ ისინი, თუ ცალ-ცალკე. როგორც წესი, საპატენტო სამართალი მათ თანაავტორებად მოიხსენიებს, თუ ერთსა და იმავე საპატენტო განაცხადაშია მითითებული მათი სახელები.

აქ გვინდა კიდევ ერთი მოსაზრება გამოვთქვათ. შვეიცარიის საპატენტო კანონის თანახმად, მრავალი სხვა ქვეყნის კანონისგან განსხვავებით, დაშვებულია განმცხადებლის უფლება – არ დაასახელოს განაცხადში ავტორი ან თანაავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში. ეს მაშინ ხდება, როდესაც სავარაუდო გამოგონება ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ე. წ. „შიდასაფირმოდ". ასეთი რამ დაშვებულია მაშინ, როდესაც ვერ განისაზღვრება სამსახურებრივი მოვალეობის კავშირი გამოგონების შექმნასთან და მუშაკთა კონკრეტული საგამომგონებლო წვლილი. აღნიშნულ პირობებში გამოგონება ხდება მეწარმის კუთვნილება, ხოლო ავტორთა ვინაობა ანონიმური რჩება.

რა თქმა უნდა, დასაშვებია სიტუაცია, როდესაც ყოველი გამომგონებლის წვლილის კონკრეტულად განსაზღვრა შეუძლებელია არა მარტო სხვა პირთა მიერ, არამედ თავად შემოქმედებით პროცესში მონაწილეთა მიერაც კი. მაგრამ პირთა წრე ცნობილია. სწორედ ამ შემთხვევაშია ყოველი პირი თანაბარუფლებიანი თანაავტორი და მათი მითითება განაცხადში აუცილებელია. თავის დროზე, ეტყობა საკითხის სირთულის გამო და ყოფილ სსრ კავშირის რეალობით გამოწვეულმა თანაავტორის ცნების გაუკუღმართებამ, იქონია გავლენა და 1992 წლის დებულებაში გამოგონების შესახებ ცნება „თანაავტორი" აღარ ფიგურირებდა. ეს ხარვეზი გამოასწორა საქართველოს საპატენტო კანონმა, რომლის მე-18 მუხლმა დაამკვიდრა თანაავტორობის ინსტიტუტი საქართველოს საპატენტო სამართალში.

ქონებრივი უფლება-მოვალეობები

პატენტიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განხორციელებისას ცენტრალური ფიგურა არის პატენტმფლობელი.

საკითხის დაწვრილებით განხილვამდე მიზანშეწონილი იქნება განისაზღვროს განსაკუთრებული უფლების მოცულობა. თუ განსა-

კუთრებული უფლების შინაარსს, აგრეთვე მოქმედებას დროსა და სივრცეში განსაზღვრავს საპატენტო კანონმდებლობა, დასაცავი ობიექტის კონკრეტულ ფარგლებს განსაზღვრავს, გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულა, ხოლო სამრეწველო ნიმუშისთვის – მისი ფოტო, სხვაგვარი გამოსახულება, ან დეპონირებული ნაკეთობა მასში წარმოდგენილი არსებითი ნიშნების ერთობლიობით. ყველა ქვეყნის კანონით საპატენტო დაცვის მოცულობის განსაზღვრა უნიფიცირებულია და იდენტურია აღნიშნულისა.

გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ინტერპრეტაცია ხდება სასამართლოს მიერ მოქმედ კანონმდებლობაზე და ზოგიერთ სხვა წესზე დაყრდნობით. ამდენად, გამოგონების ფორმულის არსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რანაირ ინტერპრეტაციას იძლევა იურისდიქციის ორგანო. მსოფლიოში გამოგონების ფორმულისადმი ორი მიდგომა არის გავრცელებული: **„ცენტრალური“ და „პერიფერიული“.**

პირველი მიდგომა გავრცელებულია კონტინენტური ევროპის სამართალში, მათ შორის საქართველოში. ამ ტიპის ფორმულას ლოგიკური ხასიათის აგებულება გააჩნია, იგი საგამომგონებლო (სასარგებლო მოდელის) იდეას წარმოაჩენს არსებითი ნიშნების მეშვეობით. ამასთან, გამოგონების მრავალმუხლიანი ფორმულის შემთხვევაში დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა მხოლოდ პირველ ბუხლს აქვს. დამატებით მუხლებს ეს მნიშვნელობა არ გააჩნია. იმიტომ ეწოდება მას ცენტრალური, რომ უფლებათა მოცულობა თავმოყრილია მთავარ, ანუ ცენტრალურ, მუხლში. აღწერილობა კი გამოიყენება მხოლოდ გამოგონების არსის განმარტებისთვის.

მეორე – პერიფერიული, დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, რომლის მაგალითსაც ამერიკის შეერთებული შტატების გამოგონების ფორმულა წარმოადგენს. ამ ფორმულის თავისებურება ის არის, რომ არსებითი ნიშნები განითესება ცალკეულ მუხლებში და ფორმულის ყოველი, დამოკიდებული მუხლიც კი იურიდიული დატვირთვის მატარებელია.

ევროპული „ცენტრალური“ ტიპის გამოგონების ფორმულის ინტერპრეტაციისას, არსებული ცოდნის საფუძველზე, თანამედროვე ტექნიკის დონის გათვალისწინებით, გამოგონების არსს არკვევენ ეკვივალენტების თეორიაზე დაყრდნობით. ამერიკული „პერიფერიული“ ტიპის გამოგონების ფორმულის შემთხვევაში არკვევენ, თუ რა კონკრეტულ სტრუქტურა აღწერს ფორმულის ესა თუ

ის მუხლი. სხვაგვარად რომ ითქვას, კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით ფორმულა აღწერს გამოგონების არსს, ხოლო საერთო სამართლის მიხედვით კი ადგენს გამოგონების საზღვრებს, იმ კონკრეტულ სტრუქტურებს, რომლებიც არის გადმოცემული ფორმულით.

მაშასადამე, პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლების მოცულობას, დაპატენტებული ობიექტის ფარგლების დადგენის თვალსაზრისით განსაზღვრავს გამოგონების, სასარგებლო მოდელის ფორმულა ან სამრეწველო ნიმუშის გამოსახულება. მოდავე მხარეთათვის დაპატენტებული ობიექტის გამოყენების ფაქტის დადგენისას ამ საკითხში გარკვევა განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი.

პატენტმფლობელის ქონებრივი უფლებები

ამ უფლებათაგან ძირითადი ეკონომიკური ხასიათის მატარებელია განსაკუთრებული უფლება გამოყენებასა და განკარგვაზე. დაპატენტებული ობიექტის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენების მონოპოლიური უფლება ნიშნავს, რომ მხოლოდ პატენტმფლობელს შეუძლია დაამზადოს, გაყიდოს, გასწიოს რეკლამა, საზღვარგარეთიდან შემოიტანოს, შეინახოს, გადაზიდოს და სხვა. პატენტმფლობელს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ქმედება, ან დაუთმოს უფლება რომელიმე მათგანზე, ან ყველაზე ერთად – სხვა პირს, ანუ განკარგოს პატენტით დაცული ობიექტი. განკარგვა მას შეუძლია განსაკუთრებული უფლების ნაწილობრივად ან სრულად დათმობით (ლიცენზიის გაცემა) ან პანეტის გასხვისებით. თუ პატენტმფლობელი რამდენიმე პირია, ლიცენზიის გაცემისას ან პატენტის გასხვისებისას საჭიროა ყოველი მათგანის თანხმობა.

ლიცენზიას, რომელიც გაცემულია პატენტით დაცული ობიექტის გამოყენებაზე, საპატენტო ლიცენზია ეწოდება.

ლიცენზიის გაცემა შეიძლება მოხდეს აგრეთვე პატენტის მიღებამდეც, მაშინ საქმე გვაქვს უპატენტო ლიცენზიასთან. ამ შემთხვევაში ლიცენზია გაიცემა ნოუ-ჰაუს საფუძველზე. ცნობილია, რომ ნოუ-ჰაუ შეიძლება იყოს მეწარმისთვის ან სხვა პირისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საიდუმლოდ ინახება. ამ სახის ინფორმაციას განეკუთვნება განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე, სანამ იგი არ გამოქვეყნებულა.

ლიცენზია შეიძლება იყოს მარტივი, განსაკუთრებული და სრული.

მარტივი ლიცენზიის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი (ლიცენზიარი) გადასცემს მყიდველს (ლიცენზიატს) უფლებას ობიექტის გამოყენებაზე. ლიცენზიარს, ამ შემთხვევაში, რჩება ობიექტის გამოყენების უფლებასთან ერთად იმავე პირობებით სხვა პირზე ლიცენზიის გაცემის უფლებაც. ამ შემთხვევაში სალიცენზიო ხელშეკრულების ფასი უფრო ნაკლები იქნება.

განსაკუთრებული ლიცენზიისას ლიცენზიარი გადასცემს ლიცენზიატს ობიექტის გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას შეთანხმების პირობებით. თავად ლიცენზიარს (პატენტმფლობელს, როცა ობიექტი დაპატენტებულია) არა აქვს იგივე პირობებით ლიცენზიის სხვა პირზე გაცემის უფლება. ამავე დროს ლიცენზიარს შეუძლია თავად გამოიყენოს ობიექტი და გასცეს სხვა ლიცენზია ისეთი პირობებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება პირველი სალიცენზიო ხელშეკრულების პირობებს.

სრული ლიცენზიის შემთხვევაში ლიცენზიატს გადაეცემა განსაკუთრებული უფლება გამოყენებაზე პატენტის მოქმედების მთელი ვადით. ლიცენზიარი ვალდებულია თავი შეიკავოს ობიექტის გამოყენებისგანაც და მასზე სხვა პირებისთვის ლიცენზიების გაცემისაგანაც. ლიცენზიარს ფაქტობრივად ერთმევა გამოყენების და განკარგვის უფლება. მას რჩება მხოლოდ პატენტის ფლობის უფლება, ანუ ტიტული. ასეთი ლიცენზიის ღირებულება ყველაზე მაღალია.

ცნობილია, **აგრეთვე „ღია ლიცენზია“**. ღია ლიცენზიის შეთავაზება ხდება საჯარო გამოცხადებით. მას აცხადებს პატენტმფლობელი, როდესაც თავად ვერ ახერხებს გამოყენებას, ან ასე უფრო ამჯობინებს. განცხადება ღია ლიცენზირებაზე ქვეყნდება, როგორც წესი, საპატენტო უწყების მიერ. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიაკითხოს პატენტმფლობელს და მიიღოს ლიცენზია. შეთანხმება შეიძლება იყოს მხოლოდ მარტივი ლიცენზიის სახისა.

გარდა ჩამოთვლილისა, არსებობს აგრეთვე **ოფიციალური** და **იძულებითი ლიცენზია**, მაგრამ ამ სახის ლიცენზირება პატენტმფლობელის უფლებათა შეზღუდვას წარმოადგენს და შემდგომ იქნება განხილული.

პატენტმფლობელის უფლებათა შეზღუდვა

პატენტიდან გამომდინარე, პატენტმფლობლის უფლებების მონოპოლიური ხასიათის მიუხედავად, საზოგადოებრივი მოთხოვნილებისა და ინტერესების გათვალისწინებით, საპატენტო კანონმდებლობა ასრულებს სამართლისთვის დამახასიათებელ რეგულაციურ ფუნქციებს და აწესებს პატენტმფლობლის უფლებების შემზღუდველ ნორმებს. ეს ნორმები პრაქტიკულად უნიფიცირებულია, განსაკუთრებით პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნების მიერ. საქართველოს საპატენტო კანონმდებლობაც ითვალისწინებს მათ და აწესებს **წინათსარგებლობის, შემდგომსარგებლობის უფლებებს, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე დროებით მყოფ სატრანსპორტო საშუალებებზე, მათ შორის საჰაერო საშუალებებზე, აგრეთვე პირადი მიზნებისათვის დაპატენტებული ობიექტის უნებართვოდ გამოყენების უფლებებს.**

წინათსარგებლობის უფლება ნებადართულია მაშინ, როცა საპატენტო განაცხადის შეტანამდე რომელიმე პირმა განახორციელა ყველა საჭირო სამზადისი ან გამოიყენა დაპატენტებული ობიექტი. ამ უფლების თანახმად წინათმოსარგებლე პირს შეუძლია პატენტმფლობელის ნებართვის გარეშე განაგრძოს დაპატენტებული ობიექტის გამოყენება. წინათმოსარგებლე პირი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად.

წინათსარგებლობის უფლების გადაცემა ან გასხვისება შეიძლება მოხდეს მხოლოდ საწარმოსთან ერთად.

აშშ-ს კანონმდებლობის მიმდევარ ქვეყნებში ეს უფლება არ არის გათვალისწინებული. მიზეზი ისაა, რომ ამ ქვეყნებში პრიორიტეტი დგინდება გამოგონების შექმნის ფაქტის თარიღის მიხედვით.

შემდგომსარგებლობის უფლება გათვალისწინებულია იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია პატენტის ძალის აღდგენა გადასახდელების გადაუხდელობის გამო მოქმედების შეწყვეტისას. ეს უფლება ანალოგიურია წინათსარგებლობისა, ოღონდ იგი წარმოიშობა პატენტის მოქმედების შეწყვეტის მომენტიდან პატენტის ძალის აღდგენის მომენტამდე არსებულ შუალედში.

სატრანსპორტო საშუალებებზე გამოგონების გამოყენება უნებართვოდ დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაპატენტებული ობიექტი საჭიროა აღნიშნული საშუალების შემადგენელი ნაწილის, ან მოწყობილობის მუშაუნარიანობის უზრუნველყოფისათვის.

დაპატენტებული ობიექტის პირადი მიზნებისთვის გამოყენება უნებართვოდ დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ იგი არაკომერციული მიზნების განხორციელებას ემსახურება.

დაპატენტებული ობიექტის აუცილებელი გამოყენების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულია იძულებითი და ოფიციალური ლიცენზია.

იძულებითი ლიცენზიის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ პირს პატენტის გაცემიდან 4 წლის შემდეგ. ამ უფლების მოთხოვნის განხორციელება შეიძლება, თუ დაპატენტებული ობიექტი არ გამოიყენება ან გამოიყენება არასაკმარისად, ისე რომ არ კმაყოფილდება საზოგადოებრივი მოთხოვნილება. მედიკამენტების შემთხვევაში იძულებითი ლიცენზირება შეიძლება განხორციელდეს ამ ოთხწლიანი ვადის დაუცველადაც. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ქვეყნის თავდაცვის ან ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებითი ლიცენზიის მოთხოვნის უფლება გააჩნია შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს. **ასეთ იძულებით ლიცენზიას ოფიციალური ლიცენზია ეწოდება.** ყველა შემთხვევაში პატენტმფლობელს უნდა გადაეხადოს „გონივრული" გასამრჯელო. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საპატენტო კანონმა ოფიციალური ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებსაც დაუკავშირა. მიგვაჩნია, რომ ასეთი ნორმა გამოგონების შესახებ 1992 წლის დებულებასთან შედარებით ძალიან აფართოებს სახელმწიფოს უფლებებს კერძო საკუთრების სფეროში ჩარევის თვალსაზრისით, იგი სოციალისტური უფროა ვიდრე თანამედროვე სამართლებრივ პრინციპებზე აგებული.

საპატენტო უფლებების შეზღუდვას წარმოადგენს აგრეთვე საზღვარგარეთ დაპატენტების შესახებ ნებართვის არ გაცემა. საქართველოს მოქალაქე პირი ვალდებულია თავდაპირველად გაანაცხადი „საქპატენტში" წარადგინოს და მიანიშნოს, რომ მას საზღვარგარეთ დაპატენტება სურს. უწყება ვალდებულია ორი თვის შემდეგ აცნობოს განმცხადებელს ნებართვის გაცემის შესახებ. თუ არ აცნობებს არაფერს, მაშინ ითვლება, რომ გაცემულია „ჩუმი თანხმობა" და განმცხადებელს უფლება აქვს საზღვარგარეთ დაპატენტებაზე. ასეთი დაპატენტების აკრძალვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, როდესაც საპატენტო განაცხადი ეხება შეიარაღებას ან შეიარაღების განვითარების ტექნოლოგიებს.

მრავალი ქვეყანა ითვალისწინებს პატენტის ჩამორთმევასაც კი. საქართველოში პატენტის ჩამორთმევა დაშვებულია მხოლოდ შემოტანილი პატენტის შემთხვევაში, თუ ის არ გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე, მისი გაცემის დღიდან 4 წლის განმავლობაში. ამ ნორმიდან გამომდინარე პატენტის მფლობელი ვალდებულია საქართველოში აწარმოოს პროდუქცია. საპატენტო კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პატენტის გამოყენებად არ ითვლება სხვა ქვეყნიდან საქართველოში პროდუქციის იმპორტი. შემოტანილი პატენტის მფლობელი სხვა პირს საქართველოში პროდუქციის იმპორტს ვერ აუკრძალავს.

პატენტმფლობელის მოვალეობები

პატენტმფლობელს ეკისრება **ორი ძირითადი მოვალეობა – საპატენტო საფასურების დროული გადახდა და დაპატენტებული ობიექტის გამოყენება**. საფასურების გადახდისაგან თავშეკავება იწვევს პატენტის ძალის დაკარგვას.

კანონის ეს მოთხოვნა უნდა იცოდეს ყოველმა პატენტმფლობელმა და არ უნდა ელოდოს საპატენტო უწყებისაგან რაიმე წინასწარ გაფრთხილებას. პატენტმფლობელი საპატიო მიზეზად ვერ მოიყვანს იმ ფაქტს, რომ წინასწარ არ გააფრთხილეს საფასურის გადახდის შესახებ. დაწესებულია პატენტის აღდგენის შესაძლებლობა. თუ საფასურის გადახდა ვერ მოხერხდა 6 თვის განმავლობაში, მაშინ პატენტფლობელს უფლება აქვს მომდევნო 6 თვეში აღძრას შუამდგომლობა პატენტის აღდგენაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიური გადასახდელების ოდენობა თანდათან იზრდება (ისევე, როგორც თითქმის ყველა ქვეყანაში). ეს მოთხოვნა ემყარება იმ პრინციპს, რომ ოცი წლის განმავლობაში გამოგონების პატენტის შენარჩუნებას აზრი აქვს და პატენტმფლობელი შეასრულებს მას, თუ პატენტს შემოსავალი მოაქვს. ასეთივე პრინციპით განისაზღვრა სასარგებლო მოდელის ყოველწლიური საფასურები.

სამრეწველო ნიმუშისთვის პრინციპი იგივეა, მაგრამ დადგენილია საფასურის გადახდა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პატენტის ძალაში შენარჩუნებისთვის საფასურების გადახდის დაწესება იურიდიულად კორექტული არ არის (ეს აზრი ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან). საქმე ისაა, რომ განაცხადის განხილვისას განმცხადებელმა უკვე გადა-

იხადა ყველა პროცედურული გადასახადი, რომელთა დაწესება სწორია იმ თვალსაზრისით, რომ საპატენტო უწყება დიდ შრომას ხარჯავს ექსპერტიზის ჩატარებისას და მას უნდა აუნაზღაურდეს, თუ სულ არა, რაღაცა წილი მაინც. გამოგონების ან სხვა ობიექტის დაპატენტებისას განმცხადებელმა შეასრულა მთავარი მოთხოვნა – საჯაროდ გახსნა საკუთარი გამოგონება, რითაც გახადა მისი შინაარსი ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამ მომენტიდან უკვე სახელმწიფოა ვალდებული დაიცვას პატენტმფლობლის უფლებები და შეუნარჩუნოს პატენტი ძალაში დადგენილი დროის ფარგლებში. მიუხედავად ამ პრინციპისა, თითქმის ყველა ქვეყანა აწესებს ყოველწლიურ საფასურებს. 1978 წლის მონაცემებით პატენტის ძალაში შესანარჩუნებელ საფასურებს არ აწესებდნენ აშშ, კანადა, კოლუმბია, პარაგვაი, პანამა, ჰაიტი, მაგრამ ამჟამად ეს ქვეყნებიც ითხოვენ აღნიშნული საფასურების გადახდას.

საქართველოში მოქმედი წესები საპატენტო საფასურების შესახებ ადგენს შეღავათებს ფიზიკური პირებისათვის – მოსწავლეთათვის, სტუდენტებისთვის, ასპირანტებისთვის, პენსიონერებისთვის. მათ ყველა სახის გადასახადი უმცირდებათ 50%-ით.

დაპატენტებული ობიექტის აუცილებელი გამოყენების მოთხოვნა და, აქედან გამომდინარე, პატენტმფლობელის შესაბამისი მოვალეობა დადგენილია და, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიხატება იძულებითი ლიცენზიის ან ოფიციალური ლიცენზიის გაცემით, თუ ეს მოვალეობა არ სრულდება. აქ მთავარია, რომ დაპატენტებული ობიექტი მზადდებოდეს და ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნილება კმაყოფილდებოდეს. ამიტომ, მნიშვნელობა არა აქვს თვითონ ამზადებს პატენტმფლობელი დაპატენტებულ ობიექტს, თუ სხვას გადასცემს ამის უფლებას, მაგალითად, სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე.

ღია ლიცენზირების გამოცხადება მიიჩნევა ნომინალურ გამოყენებად. იგი უნდა გამოცხადდეს როგორც საპატენტო უწყების ოფიციალური ბიულეტენის მეშვეობით, ასევე კომერციული ხასიათის ჟურნალებსა და გაზეთებში.

ზოგიერთ ქვეყანაში დაპატენტებული ობიექტის გამოფენებზე ან ბაზრობებზე გამოფენის სახით გამოტანაც ითვლება გამოყენებად.

პატენტი გამოყენებულად ითვლება, თუ ქვეყნის შიდა ბაზარზე არსებული მოთხოვნილება განუწყვეტლივ კმაყოფილდება. ამ პირობის შეუსრულებლობაც იწვევს იძულებითი ხასიათის

ნორმების გამოყენებას, მაგალითად, საქართველოს საპატენტო კანონის 61-ე მუხლის მიხედვით შეიძლება გაიცეს ოფიციალური ლიცენზია.

როგორც აღინიშნა, აშშ-ს საპატენტო კანონისათვის უცხოა იძულებითი ლიცენზირების ნორმები. იქ იძულება შეიძლება განხორციელდეს ანტიტრესტული კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც დაპატენტებული ობიექტის განზრახ გამოუყენებლობას განიხილავს თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვად.

პატენტით დაცული ობიექტის აუცილებელი გამოყენების ნორმებს მნიშვნელობა აქვს ეროვნული მრეწველობის სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისითაც. ეს ნორმები არ აძლევს საშუალებას განვითარებული ქვეყნების ძლიერ ფირმებს, მიიღონ პატენტი მხოლოდ იმ მიზნით, რომ შესაბამისი ქვეყნის ბაზარზე არ გამოჩნდეს მათი ნაწარმის გარდა სხვა პროდუქტი და თავად არ იზრუნონ მოცემული ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

საპატენტო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები იძულებითი ხასიათის ნორმების გამოყენებისა პატენტმფლობელთა წინააღმდეგ. მათი მნიშვნელობა მაინც საგრძნობია, რადგან კანონით არსებობს ისეთი იძულებითი საშიშროება, რაც პატენტმფლობელს უბიძგებს დაპატენტებული ობიექტის აუცილებელ და დროულ გამოყენებისაკენ, ან პატენტის მოქმედების შეწყვეტისაკენ.

თავი 22. პატენტიდან გამომდინარე უფლებების დარღვევა და საპატენტო დავების განხილვა

პატენტიდან გამომდინარე უფლებების დარღვევა

პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად ითვლება პატენტით დაცული ობიექტის გამოყენება პატენტმფლობელის თანხმობის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ.

საპატენტო კანონმდებლობა აყალიბებს საპატენტო უფლების „გამოყენების“ ცნებას, ან ჩამოთვლის იმ მოქმედებებს, რომლებსაც მოიცავს განსაკუთრებული უფლება და რომლებიც წარმოადგენს მათი გამოყენების არსს.

პირველი მიდგომის თანახმად **„გამოყენებას“ ესაჭიროება განმარტება, რასაც იურისდიქციის ორგანო, კერძოდ, სასამართლო აკეთებს. მეორე მიდგომას ასეთი განმარტება არ სჭირდება**. საქართველოს კანონმდებლობა პირველ გზას მისდევს და არ

განმარტავს, თუ რა იგულისხმება ცნებით – განსაკუთრებული უფლების გამოყენება. მოცემულია ცალკეული მოქმედებების არასრული ჩამონათვალი. მაგალითად, დადგენილია, რომ პატენტმფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება დაამზადოს დაპატენტებული ობიექტი, ჩართოს ის სამოქალაქო ბრუნვაში და მიიღოს შემოსავალი ან მოგება. ასევე დადგენილია, რომ პატენტმფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს პატენტს. მას შეუძლია გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს პატენტი, დადგენილი წესით გასცეს ლიცენზია. ამ სახით არის გადმოცემული განსაკუთრებული უფლების შინაარსი, რაც დასრულებას მოითხოვს. ასევე, მთელი სისრულით არ არის მოყვანილი მოქმედ საპატენტო კანონში განსაკუთრებული უფლების დარღვევის შინაარსი. ნათქვამია მხოლოდ, რომ დაპატენტებული ობიექტის არასანქციონირებულად დამზადებას, გამოყენებას, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანას ან სხვაგვარად სარგებლობას შეიძლება მოჰყვეს სათანადო პასუხისმგებლობა.

საპატენტო დაცვით უზრუნველყოფილი განსაკუთრებული უფლება ვრცელდება შემდეგ მოქმედებებზე:

- **დამზადება;**
- **გამოყენება (სარგებლობა);**
- **იმპორტირება;**
- **გასაყიდად შეთავაზება;**
- **შენახვა და დაგროვება გამოყენების ან გაყიდვის მიზნით;**
- **პატენტით დაცული ობიექტის გამოყენებისათვის საჭირო საშუალებების შეთავაზება იმ პირისთვის, რომელსაც პატენტმფლობელის ნებართვა არ გააჩნია.**

ყოველი აღნიშნული მოქმედების უნებართვოდ შესრულება ითვლება განსაკუთრებული უფლების დარღვევად და იწვევს შესაბამის ადმინისტრაციულ, სამოქალაქო ან ზოგ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედ კანონმდებლობის ფარგლებში.

ქვეყნებში საპატენტო დავების განხილვის პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა შეხედულება იმაზე, თუ რას გულისხმებობს ესა თუ ის მოქმედება. **პატენტით დაცული ობიექტის დამზადებად ითვლება კომერციული მიზნების განსახორციელებლად ამ ობიექტის წარმოება.** არ აქვს მნიშვნელობა, მოხდა გაყიდვა თუ სხვაგვარად გასაღდა პატენტით დაცული ობიექტი. მთავარია მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად დამზადებული პროდუქცია შეიძლება დაგ-

როვდეს და ინახებოდეს გარკვეული პერიოდი, გასაღებამდე. ამასთან, სულერთია სად გასაღდება უნებართვოდ წარმოებული პროდუქცია – ქვეყნის შიგნით, თუ საზღვარგარეთ. განსაკუთრებული უფლების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე პატენტით დაცული ობიექტის გამოყენებისთვის ან წარმოებისთვის საჭირო საშუალებათა დამზადება, გაყიდვა ან შეთავაზება არაუფლებამოსილ პირთათვის.

პატენტით დაცული ობიექტის სარგებლობად ითვლება მისი გამოყენება კომერციული მიზნებისთვის იმ სახით, რა სახითაც არის ის დაპატენტებული. აღსანიშნავია, რომ ხერხის გამოყენებად ითვლება აგრეთვე ამ ხერხით დამზადებული ნაწარმის ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ანალიზით დგინდება, რომ პროდუქტი ნაწარმოებია მოცემული ხერხით.

პატენტით დაცული ობიექტის ფლობა ზოგ ქვეყანაში ითვლება განსაკუთრებული უფლების დარღვევად, ზოგში არა.

ყიდვა პირადი სარგებლობისთვის პატენტიდან გამომდინარე უფლების დარღვევად არ ითვლება თუ ხდება ერთეული ეგზემპლარის შეძენა მხოლოდ და მყიდველი თუ ფიზიკური პირია.

გაყიდვა და გასაყიდად შეთავაზება, რაც გულისხმობს გარიგების დადებას, მათ შორის მესამე პირის სასარგებლოდ საშუამავლო ხელშეკრულების დადების მიზნით, რეკლამას მაღაზიის ვიტრინებში ან სავაჭრო ადგილებში დემონსტრაციის ჩათვლით, პატენტით დაცული ობიექტის მონაცემების გამოყენებას აფიშებში, კატალოგებში, პროსპექტებში და სხვ., ითვლება განსაკუთრებული უფლების დარღვევად.

იმპორტირება ნიშნავს პატენტით დაცული ობიექტის შეტანას სხვა ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლება. უფლებათა დარღვევის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოქმედებს თუ არა პატენტი იმ ქვეყანაში, საიდანაც ხდება იმპორტირება. საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით, შემოტანილი პატენტის შემთხვევაში იმპორტირება დამრღვევ ქმედებად არ მიიჩნევა.

თავისებურია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტით დაცული ხერხის მიმართ საპატენტო დაცვის და, შესაბამისად, განსაკუთრებული უფლების დარღვევის განსაზღვრა. დარღვევად ჩაითვლება ხერხის, ანუ მასში შემავალი ოპერაციების განხორციელება სამეწარმეო საქმიანობაში.

თუ ხერხი შეიცავს რამოდენიმე ოპერაციას, რომლებიც სხვადასხვა მეწარმე პირის მიერ გამოიყენება, მაშინ განსაკუთრებულ

უფლებას არღვევს პირი, რომელიც ბოლო ოპერაციას იყენებს. ამასთან, დამზადება, გამოყენება და გაყიდვა იმ პროდუქციისა, რომელიც მიიღება პატენტით დაცული ხერხით, განსაკუთრებული უფლების დარღვევას წარმოადგენს. საქართველოს საპატენტო კანონის 49-ე მუხლი ადგენს, რომ, თუ პატენტის საგანი ახალი პროდუქტის მიღების ხერხია, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ნებისმიერი მსგავსი პროდუქტი ამ ხერხით მიღებულად ითვლება. იმისათვის, რომ შეიძლებოდეს გარკვევა პატენტით დაცული ხერხით მზადდება პროდუქტი თუ არა, ზოგი ქვეყნის კანონი ითხოვს ნაწარმზე დამზადების ხერხის მითითებას. თავისთავად, თუ ხერხით მიიღება ახალი პროდუქტი და სხვა ხერხი ჯერ ცნობილი არ არის, დარღვევის დადგენა უფრო იოლია.

განსაკუთრებული უფლების დარღვევა შეიძლება მოხდეს არაპირდაპირი გზით – „ირიბად".

ირიბ დარღვევად ითვლება, თუ პირი აქეზებს ან ახალისებს სხვა პირს აკრძალული მოქმედების ჩადენისთვის. მაგალითად, პირი ამარაგებს მეწარმეს პატენტით დაუცველი ნაწარმით, რომელიც გამოიყენება სხვისთვის კუთვნილი პატენტით დაცული ხერხის განხორციელებისათვის. ირიბი დარღვევა უმეტეს შემთხვევაში ხდება აგრეთვე მარაგნაწილების მიწოდებისას. ირიბი დარღვევა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მაშინ, თუ გამოვლინდა განსაკუთრებული უფლების პირდაპირი დარღვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობას ექვემდებარება განსაკუთრებული უფლების დარღვევა კომერციული მიზნებით, რაც კონტრაფაქციად მიიჩნევა.

დარღვევის დადგენა ხდება გამოგონების, სასარგებლო მოდელის ფორმულაში მოყვანილი, ხოლო სამრეწველო ნიმუშის შემთხვევაში გამოსახულებაში, ან დეპონირებულ ნაკეთობაში ასახული არსებითი ნიშნების ერთობლიობის გამოყენების დადასტურებით.

თუ გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულის მიხედვით არსებითი ნიშნების ერთობლიობა სრულად არ არის გამოყენებული ან გამოყენებულია განსხვავებულად, მაშინ უფლებათა დარღვევის ფაქტს ადგილი არა აქვს. ანალიზისას მხედველობაში მიიღება არსებითი ნიშნების ეკვივალენტების გამოყენება, რამაც შეიძლება უფლებათა დარღვევის ფაქტი დაადასტუროს.

წინათსარგებლობის, შემდგომსარგებლობის უფლების გამოყენება დარღვევად ვერ ჩაითვლება.

საპატენტო დავების განხილვა

საპატენტო კანონი შეიცავს როგორც საჯარო სამართლის, ასევე კერძო სამართლის ნორმებს.

როგორც ცნობილია,საჯარო სამართალი გულისხმობს იურიდიული ნორმების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოებს შორის ან/და კერძო პირებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. სახელმწიფო ორგანოები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფუნქციების განმახორციელებელი დაწესებულებებია. მათ რიცხვს მიეკუთვნება საპატენტო უწყებაც, საქართველოში – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. კერძო სამართალი კი გულისხმობს იურიდიული ნორმების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს კერძო იურიდიულ პირებს ან ფიზიკურ პირებს შორის.

ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით განისაზღვრება საპატენტო უწყების ორგანიზაცია, სტრუქტურა და ურთიერთობები განმცხადებლებთან, მათ შორის პატენტის გაცემის შესახებ შესაბამისი აქტის (გადაწყვეტილების) გამოტანა. ამ დებულების პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ დავები განმცხადებლებსა და საპატენტო უწყებას შორის განიხილება ადმინისტრაციული წესით სპეციალური (საპატენტო) სასამართლოების ჩათვლით. აგრეთვე, განმცხადებელს შეუძლია ედავოს საპატენტო უწყებას სააპელაციო პალატაში საჩივრის წარდგენით. საქართველოში სააპელაციო პალატა ფუნქციონირებს „საქპატენტის“ გენერალურ დირექტორთან.

მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაშია პატენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად ცნობასთან, აგრეთვე საზღვარგარეთ დაპატენტებასთან, იძულებითი ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საკითხებთან დაკავშირებით სარჩელის შეტანა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა აუცილებლად აწესებს განმცხადებლის მიერ საჩივრის შეტანას და განხილვას ჯერ თავად უწყებაში, შემდეგ მის ზემდგომ ორგანოში და მხოლოდ შემდეგ სასამართლოში.

განმცხადებელსა და საპატენტო უწყებას შორის დავის გადასაწყვეტად, აგრეთვე გაცემული პატენტის გაუქმებასთან დაკავშირებული დავის განსახილველად სკანდინავიურ ქვეყნებში, აშშ-ში ინგლისსა და გერმანიაში, ბოლო დროს სხვა ქვეყნებშიც შექმნილია სპეციალური საპატენტო სასამართლო.

საქართველოში განმცხადებელს თუ სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. სარჩელი განიხილება საერთო სასამართლოს მიერ. განსჯადობა დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. მის თანახმად, პირველი ინსტანციით, დავებს საპატენტო უფლებების დარღვევის შესახებ ის სასამართლო განიხილავს, რომელსაც ეკუთვნის შინაარსის მიხედვით მოცემული ქონებრივი დავის განხილვა, მისი საგნობრივი ხასიათიდან გამომდინარე. გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს სააპელაციო სასამართლოს მიერ. უმეტეს შემთხვევებში პირველი ინსტანციის სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოა. ზოგჯერ განსჯადობის საკითხი დავის ცენტრალურ საგნად შეიძლება იქცეს. მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოში 2002 წლის მარტში დასრულდა დავა საქართველოს სასარგებლო მოდელის პატენტის მფლობელს – გივი ხოშტარიასა და „მერსედესს“ შორის. დავის საგანი „მერსედესის“ მიერ საქართველოში შემოტანილ ავტომანქანებზე საქართველოს პატენტით დაცული უკუხედვის სარკის უნებართვო გამოყენება იყო, რისთვისაც მოსარჩელე ითხოვდა ფულად კომპენსაციას. დაცვის საშუალებად „მერსედესმა“ არჩია თავად მიემართა სარჩელით სასამართლოსათვის გაცემული პატენტის გაუქმების მოთხოვნით. სარჩელი წარდგენილ იქნა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხედ დასახელებული „საქპატენტის“ ადგილსამყოფელის მიხედვით. „საქპატენტმა“ შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით სასამართლოს განუმარტა, რომ მას მოცემულ დავასთან დაკავშირებით არ გააჩნია არავითარი იურიდიული ინტერესი, რადგან დავა საკუთრების ობიექტის – პატენტის გაუქმებას ეხებოდა და არა ადმინისტრაციულ აქტს, მაგალითად, პატენტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას. აღნიშნული მოტივაციით „საქპატენტმა“ მოითხოვა სათანადო მოპასუხედ მესაკუთრე – ბატონი გ. ხოშტარია დასახელებულიყო. მოსამართლე ქალბატონი ალა კახნიაური დაეთანხმა საქპატენტის არგუმენტებს და დავა გამოტანილი განჩინების საფუძველზე გადაუგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს. მოპასუხე, გ. ხოშტარია არ დაეთანხმა ამ განჩინებას და თვლიდა, რომ პატენტის გაუქმების შესახებ დავის დროს მოპასუხე „საქპატენტი“ უნდა ყოფილიყო. შესაბამისი მოთხოვნით მან მიმართა უზენაეს სასამართლოს, საკასაციო წესით, რომელმაც საქმე 2002 წლის ივნისში განიხილა. მან არ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა.

კერძო (სამოქალაქო) სამართლის ნორმები აწესრიგებენ ურთიერთობებს, რომლებიც გამომდინარეობენ პატენტმფლობელთა განსაკუთრებული უფლებებიდან. შესაბამისად, პატენტმფლობელთა უფლებებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს სამოქალაქო სასამართლოები. დავები განიხილება ჩვეულებრივად, ისევე, როგორც მესაკუთრის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში. სამოქალაქო საპროცესო წესით წყდება დავები პატენტის გაუქმების შესახებ და პატენტის გამოყენების შესახებ. **ამ კატეგორიას განეკუთვნება დავები პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლებების დარღვევის შესახებ, სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის შესახებ, პატენტმფლობელის მიერ უფლება-მოვალეობის შესრულების შესახებ.**

როდესაც სასამართლოში შეტანილია სარჩელი განსაკუთრებული უფლებების დარღვევის შესახებ, მოპასუხეს შეუძლია თავი დაიცვას პატენტის გაუქმების მოთხოვნით.

ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა, როგორც წესი ეფუძნება პატენტუნარიანობის კრიტერიუმების – სიახლის ან საგამომგონებლო დონის გაბათილებას. ზემოთ აღნიშნული დავის შემთხვევაში „მერსედესის“ მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტები და წერილობითი მტკიცებულებები – 3 საპატენტო აღწერილობა, რომლებშიც წარმოდგენილი იყო სადავო სასარგებლო მოდელის არსი და რომლებიც აბათილებდა სიახლეს. თბილისის საოლქო სასამართლო დაეთანხმა „მერსედესის“ არგუმენტებს, საკმარისად ცნო მტკიცებულებანი და გამოიტანა გადაწყვეტილება გ. ხოშტარიას სახელზე გაცემული სასარგებლო მოდელის გაუქმების შესახებ.

საქართველოს საპატენტო კანონის 57-ე მუხლის თანახმად **პატენტი უქმდება, თუ:**

- **პატენტმფლობელი არ აღმოჩნდა გამომგონებელი, არც მის მიერ უფლებამოსილი პირს და მას არ ჰქონდა პატენტის მიღების სხვაგვარი უფლება;**
- **პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;**
- **პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტებს, რომლებზეც პატენტი არ გაიცემა;**
- **პატენტი არ აღწერს ობიექტს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;**
- **პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მიხედვითაც დადგინდა პრიორიტეტი.**

- **შეშოტანილი პატენტით დაცული გამოგონება საქართველოს ტერიტორიაზე არ გამოიყენება მისი გაცემის შემდეგ 3 წლის განმავლობაში.**

პატენტის გაუქმება შეიძლება მოხდეს სხვა მიზეზებითაც. მათ ჩამონათვალს ყველაზე სრულად იძლევა ავსტრალიის საპატენტო კანონი, რომლის თანახმადაც გარდა აღნიშნულისა, პატენტი შეიძლება გაუქმდეს, თუ:

- პატენტში არ არის მითითებული განმცხადებელი;
- ფორმულიდან ვერ ირკვევა გამოყენებადობა ან განხორციელებადობა;
- პატენტმფლობელი არ იცავს პატენტში აღნიშნულ პირობებს;
- განცხადებული გამოგონება ფარულად გამოიყენებოდა ავსტრალიაში პრიორიტეტის თარიღამდე;
- გამოგონების აღწერილობაში ცვლილებების შეტანის უფლება იქნა მიღებული მოტყუებით;
- განმცხადებელმა ან პატენტმფლობელმა გამოგონების აღწერილობა საკანცელარიო ნაკლის ან აშკარა შეცდომების გასწორების გარდა სხვა მიზნებისთვის მიიღო მოტყუებით.

საქართველოს საპატენტო კანონის 58-ე მუხლი ადგენს, რომ პატენტის გაუქმებისას (გაბათილებისას) ის კარგავს ძალას პრიორიტეტის თარიღიდანვე, ანუ ასეთ გადაწყვეტილებას უკუქცევითი ძალა აქვს. ასეთი ძალა არა აქვს პატენტის მოქმედების შეწყვეტის ფაქტს, მაგალითად, საფასურების გადაუხდელობის გამო.


MERSEDES
MERSEDES

კარი III. სასაქონლო და მომსახურების ნიშნების სამართალი

თავი 23. სასაქონლო ნიშნების დაცვის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

სასაქონლო ნიშანი, როგორც კომერციული აღნიშვნა, დღევანდელობის მიღწევების შედეგად გავრცელებულ ქმნილებას არ წარმოადგენს. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ თავისი განვითარების უძველესი ხანიდან, კაცობრიობა იყენებდა სხვადასხვა სახის განმასხვავებელ მონიშვნას საკუთარი ქონების ან საქონლის სხვა ქონებისაგან და საქონლისგან განსხვავების მიზნით.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მოსახლეობა თავად იკმაყოფილებდა საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებას თვითნაკეთი ნაწარმით, ან მცირე ოდენობით იძენდა საჭირო ნივთებს ადგილობრივი ხელოსნებისაგან, არსებობდნენ ცალკეული, მეწარმეობის ნიჭით დაჯილდოებული ოსტატები, რომლებიც განმასხვავებელ აღნიშვნებს იყენებდნენ. ცნობილია, რომ 3000 წლის წინათ ინდოელ ხელოსნებს ირანში გაგზავნამდე დაჰქონდათ საკუთარი ხელმოწერა მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებზე. ასევე, დაახლოებით 2000 წლის წინ, ჩინელი მეწარმეები აუცილებლად ადებდნენ ნიშნებს იმ ნაწარმს, რომელსაც ყიდდნენ ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიის ქვეყნებში. ამავე პერიოდს ემთხვევა რომის იმპერიაში ხელოვნების აყვავების ხანა, როდესაც მათ მიერ შექმნილ ნაწარმსა თუ ნაწარმოებებზე ფართოდ გამოიყენებოდა განმასხვავებელი აღნიშვნები. ცნობილია, რომ საქონელთან ერთად მიმოქცევაში იმყოფებოდა ათასამდე ასეთი აღნიშვნა. გახმაურებულია იმ დროს „კარგი რეპუტაციის მქონე აღნიშვნი „FORTIS“ კოპირებისა და არაკეთილსინდისიერი ხელოსნების მიერ საკუთარი ნაწარმის გასაღების მიზნით გამოყენების ფაქტი. ძვ.წ. დროს გამოყენებული ეს აღნიშვნები დამღებს წარმოადგენდნენ. ისინი აღიბეჭდებოდნენ თიხის ნაწარმზე, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ეგვიპტესა და მაშინდელ განვითარებულ სხვა ქვეყნებში, მათ შორის კავკასიაში, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე. ცნობილია, რომ ძველ ეგვიპტეში ქაშანურის წარმოებამ დიდ განვითარებას მიაღწია და მისგან დამზადებული ნაკეთობები ჟურაცხელი რაოდენობით იგზავნებოდა საექსპორტოდ. ძველი ეგვიპტის ხანის ქაშანურის ნაკეთობანი აღმოჩენილია ხმელთაშუა ზღვისა და კავკასიის ტერიტორი-

ების სხვადასხვა ადგილებში. ნარმოუდგენელია, რომ ამ დონის სიმაღლეზე აყვანილ მეწარმეობისა და ვაჭრობის დროს არ ყოფილიყო გამოყენებული რაიმე აღნიშვნა თუ დამღირება, რომელიც, თუნდაც, ნაწარმის წარმოშობაზე მიუთითებდა. დამღირება, ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო გარემოში მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა პირუტყვის მოსანიშნად; იმისთვის, რომ, თუ საქონელი მეზობლის პირუტყვში გაერეოდა, პატრონისათვის ადვილი ყოფილიყო საკუთარი ძროხის, თუ ხარის გამოცნობა. დამღა პირუტყვზე დაიტანებოდა გავარვარებული რკინის სამარჯვით. როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, დამღირება განმასხვავებელი ნიშნის გამოყენების პრიმიტიული მაგალითია. არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ ძველი საბერძნეთის ისტორიიდან ცნობილი ფაქტი, რომელიც განმასხვავებელი აღნიშვნის გამოყენების გააზრებული მაგალითია. ჩვენს დრომდე მოაღწია წარწერამ ლარნაკზე, რომელიც გვამცნობს: „ლარნაკი დაამზადა ევტიმიდემ ისე, როგორც ამას ვერასდროს ვერ შესძლებს ევფრონიოსი". ასეთი სახის მონიშვნა რეკლამის გაწევის მცდელობასაც კი შეიცავს, ხოლო რეკლამა, თავის მხრივ, გამოიყენება მაშინ, როდესაც საქონლის გასაღების პრობლემაზე ფიქრობენ. მაშასადამე უკვე ამ დროიდან განმასხვავებელ ნიშნებს, საქონელბრუნვის გააქტიურების თვალსაზრისით, გარკვეული ადგილი აქვს მიჩნეული. რაც უფრო ინტენსიური ხდება წარმოება, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა განმასხვავებელ აღნიშვნებს. ცნობილია, რომ შუასაუკუნეებიდან მოყოლებული გამოიყენებოდა აღნიშვნები ცალკეული ასოებისა და სახელების სახით. ასოები, როგორც წესი, ინიციალების მინიშნება იყო. საქონელზე სპეციალური დამღის დასმა ფართოდ გამოიყენებოდა XV-XVI საუკუნეებიდან წვრილი მეწარმეების (ხელოსნების) მიერ. ამ პერიოდში საქონლის მონიშვნა ექვემდებარებოდა ხელოსანთა გაერთიანების (საამქროს) მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს და რეგლამენტს, რაც მიზნად ისახავდა, რომ თვალნათელი ყოფილიყო ხელოსანთა რომელი საამქროს მიერ იყო გამოშვებული ამგვარად მონიშნული პროდუქცია. ამასთანავე დამღა მიუთითებდა და ადასტურებდა, რომ ხელოსანს უფლება ჰქონდა მინიჭებული ამ ნაწარმის გამოშვებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დამღა ასრულებდა საქონლის ხარისხის გარანტიის ფუნქციას, რადგან საქონელზე დატანილი გამოსახულება მოწმობდა აგრეთვე, რომ წარმოებული პროდუქცია დამზადებულია დადგენილი წესების მი-

ხედვით და მასზე კონტროლია დაწესებული ხელოსანთა გაერთიანების მიერ. წესების დამრღვევ პირს სჯიდა თავად საამქრო მის მიერვე დადგენილი წესის თანახმად. ასეთივე ფუნქციას ატარებდა დამღა ვაჭართა გაერთიანებებში – გილდიებში. საამქროსა და გილდიის დამღა კოლექტიური ნიშნის თვისებებს ავლენდა. ასეთი კოლექტიური ხასიათის ნიშნის გარდა გამოიყენებოდა ინდივიდუალური აღნიშვნებიც. ხსენებული ტიპის აღნიშვნები აღიბეჭდებოდა აგრეთვე, ტყავზე, ნიგნებზე, საბრძოლო იარაღზე, სამზარეულო დანიშნულების საგნებზე და ა.შ. ნაწარმზე საკუთარი სახელის ან ინიციალების ამოტვიფრა ხელოსანს საშუალებას აძლევდა ფართოდ გაეთქვა სახელი. ზოგიერთ შემთხვევაში ხელოსნობის ზღვარს გადაცილებული, საქვეყნოდ ცნობილი ოსტატების სახელი ჩვენამდე აღწევს. ასეთ ოსტატებს მიეკუთვნება საქართველოში XII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ბექა და ბეშქენ ოპიზრები, რომლებმაც ქართული ოქრომჭედლობის ხელოვნება განთქმულ, მსოფლიოში სადღეისოდ აღიარებულ მაღალ საფეხურზე აიყვანეს.

სასაქონლო ნიშნები თანამედროვე როლს ასრულებენ გასული საუკუნიდან. საქონლის წარმოების მოძალებამ გამოიწვია პროდუქციის განაწილების რთული სისტემის ჩამოყალიბება. საქონლის მწარმოებლისგან მომხმარებლამდე ეფექტური მიწოდების განხორციელებამ და საქონელმიმოცვლის დიდი ტემპებით განვითარებამ საჭირო გახადა პროდუქციის ამოცნობის უნივერსალური საშუალების მოძებნა და გამოყენება. საქონლის პირდაპირი (გვარეობითი) სახელი ვერ უზრუნველყოფდა პროდუქციის ინდივიდუალიზაციას მეწარმის გამორჩევის თვალსაზრისით. იწყება სპეციალური აღნიშვნების გამოგონება და საქონლის მოსანიშნად მათი გამოყენება. ამასთან, სასაქონლო ნიშანი უკავშირდება მეწარმეს და მისით მონიშნულ საქონელს შესაბამის ხარისხს განუმტკიცებს. ხარისხი საქონელს შეიძლება მოსდევდეს საუკუნეთა სიღრმიდან, ხოლო სასაქონლო ნიშანი ამ თვისების ერთ-ერთი დამადასტურებელი საშუალებაა. მაგალითად, აღნიშვნა ამოტვიფრული ვერცხლის ჩაის დასაყენებელ ჩაიდანზე, ან საინზე, რომლებიც დამზადებული იყო აუგსბურგის, ბრაუნშვაიგის, ლონდონის, პარიზის, ან პეტერბურგის ოსტატების მიერ XVI-XVII საუკუნეებში, დღესაც მეტყველებს აღნიშნული ნაწარმის უმაღლეს ხარისხზე. სასაქონლო ნიშნების გამოყენების ინტენსიფიკაციამ ცხადი გახადა ნიშნის მფლობელთა უფლებების სამართლებრივ დაცვაზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობა. სულ უფრო ხშირი ხდება სხვისი ნიშნებით სარგებ-

ლობა, ან იმიტაცია. ასეთ ქმედებებს არაკეთილსინდისიერი მეწარმენი ან ვაჭრები ჩადიან სახელმოხვეჭილი ნიშნების მიმართ, რაც მათ სხვისი სახელის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების საშუალებას აძლევს.

მაგალითად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში გავრცელდა იაფი, დაბალი ხარისხის დანა-ჩანგლის გასაღება შეფილდელ მეწარმეთა (რომელთა საქონელი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით. ამ დროს ინგლისში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვნად განვითარებული. ბევრ ქვეყანას საერთოდ არ გააჩნდა რაიმე სამართლებრივი აქტი[1]. ინგლისი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც საერთო სამართლის ნორმებით დაიწყო სხვისი სახელით მოსარგებლე პირების დასჯა. სხვისი რეპუტაციის გამოყენება აკრძალული ქმედება გახდა და მას სპეციალური ტერმინიც მოეძებნა „PASSING OFF". ასეთივე გზას გაჰყვნენ ინგლისურ-ამერიკული სამართლის სხვა ქვეყნებიც, სადაც, ინგლისის მსგავსად, მიუხედავად სპეციალური კანონის არარსებობისა, საერთო სამართლით აღიკვეთებოდა სხვისი სახელით სარგებლობა. ხსენებული ქვეყნებისგან განსხვავებით კონტინენტური ევროპის სამართლის მიმდევარი ქვეყნები იძულებული იყვნენ ეფიქრათ სპეციალური კანონის შემოღებაზე სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ. ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც შემოიღო სპეციალური კანონი, საფრანგეთი იყო. ეს კანონი 1857 წელს ამოქმედდა. საკუთარი კანონმდებლობა აამოქმედეს იტალიამ 1868 წელს, ბელგიამ 1879 წელს, ამერიკის შე-

---

[1] ჩვენი გამოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ უძველესი წერილობითი სამართლებრივი ნორმები, მიძღვნილი სასაქონლო ნიშნების დაცვისადმი მოიპოვება ხეთურ კანონთა კრებულის ე.წ. I ფირფიტაში, რომელსაც დასაწყისი სიტყვების მიხედვით უწოდებენ აგრეთვე „უკეთუ კაცს". კერძოდ, მე-60-62-ე პარაგრაფები პირდაპირ იყენებენ ტერმინს „ნიშანი" და კრძალავს მათ მოცილებას სხვისი პირუტყვისაგან და მკაცრ სანქციასაც ითვალისწინებენ. მაგალითად, მე-60 პარაგრაფს მოვიშველიებთ: „უკეთუ ვინმემ სანაშენო ხარი იპოვოს და მას [პატრონის] ნიშანი მოაცილოს პატრონი [მისი კი მას მიაგნებს], 7 ხარს გაიღებს– 2 ხარს ორწლიანს, 3 ხარს ერთწლიანს (და) 2 ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის სახლს ჩააბარებს". მცირე აზიის აღნიშნული უძველესი სამართლებრივი ძეგლი – ხეთური კანონთა კრებული შეიძლება მივიჩნიოთ პირველ სამართლებრივ აქტად, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი ობიექტის – სასაქონლო ნიშნის დაცვას ითვალისწინებდა.

ერთებულმა შტატებმა 1870 წელს, გერმანიამ 1874 წელს, რუსეთმა 1896 წელს. საქართველომ ეროვნული საკანონმდებლო აქტი ძალაში შეიყვანა 1992 წლის 1 მაისს მაშინდელი მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით. დამტკიცებული სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების სახით. საბჭოთა კავშირის სისტემაში ყოფნისას საქართველოს გააჩნდა ნორმები სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ სამოქალაქო კოდექსში – 28-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსში – 166-ე მუხლი, რომლებსაც სოციალისტური შინაარსის გამო, პრაქტიკული გამოყენება არც ჰქონია. XX საუკუნის საკანონმდებლო ნორმების განვითარება შემდეგი მიმართულებით ხასიათდება:

- სასაქონლო ნიშნებზე უფლებების წარმოქმნა მათი გამოყენების ფაქტით;
- განსაკუთრებული უფლებების წარმოქმნა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ფაქტით;
- სასაქონლო ნიშნის გამოყენების ახალი სახეობების დამკვიდრება;
- ნიშნის გადაცემა და ლიცენზირება;
- სასაქონლო ნიშნების დაცვის ახალი კონცეფციების აღიარება.

კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ, როგორც სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების დაცვის კანონები, ყველაზე დინამიურად განვითარებადი სამართლებრივი აქტების რიცხვს მიეკუთვნება და მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ხშირია გადასინჯვა, ან დამატებითი ნორმების მიღება გარკვეული პერიოდულობით. ასეთი საჭიროება იკვეთება ან ახალი თეორიული კონცეფციის გათვალისწინებით, ან სასამართლოების გადაწყვეტილებების ზეგავლენით, ან საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შედეგად მიღებული ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ XX საუკუნის დასაწყისი, 30-იანი და 40-იანი წლები, ასევე 80-იანი წლები და დღევანდელი პერიოდი. ამჟამად კანონების გადასინჯვა მიმდინარეობს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის[1] მოთხოვნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

[1] ჩვენი აზრით ტერმინი „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია", რომელიც საქართველოს საკანონმდებლო ტერმინად დამკვიდრდა არაკორექტულია. ორგანიზაცია, დაწესებულება და ასე შემდეგ (მაგ. საქართველოს ვაჭრობის სამინისტრო) სავაჭრო არ შეიძლება იყოს. უპრიანია გამოყენებულ იქნეს ტერმინი „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია".

საქართველოც, როგორც გაწევრიანობის რეალური კანდიდატი, ამ პროცესის მიღმა არ დარჩენილა. 1999 წ. 5 თებერვალს მიღებულ იქნა კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 24 თებერვალს და ძალაში 3 თვის შემდეგ შევიდა. კანონმა უმთავრესად დააკმაყოფილა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები, თუმცა ამჟამად შემუშავებულია მასში შესატანი ცვლილებები.

სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით მიღებულია და მოქმედებს მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება.

საქართველო მონაწილეა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი – პარიზის კონვენციისა და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლისა.

თავი 24. ტერმინოლოგია

სანამ სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში დამკვიდრებულ თანამედროვე ტერმინებს განვიხილავდეთ, მიზანშეწონილად გვესახება შევეხოთ ზემოთ მითითებულ ტერმინს „დამღა", რომელიც ძველად გამოიყენებოდა. ტერმინი „დამღა" ინგლისური ტერმინის „BRAND" სინონიმია და როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, იგი დღესაც ხშირად გამოიყენება ტერმინის „TRADE MARK" სინონიმად, რაც ქართულად სავაჭრო ნიშნად ითარგმნება. ქართული სიტყვა „დამღა" შემდეგნაირად განიმარტება": საქონელზე დაკრული ბეჭედი, ან ნიშანი, რომელიც მიუთითებს პროდუქციის სადაურობაზე, ხარისხზე და მისთანანზე". განმარტება გადმოსცემს მითითებას სასაქონლო ნიშნის მთავარ ფუნქციაზე, მაგრამ საკანონმდებლო ტერმინად მისი გამოყენება მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან სრულად ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს.

სამრეწველო საკუთრების თანამედროვე ტერმინოლოგია უპირველესად უკავშირდება პარიზის კონვენციას, რომელშიც ნორმატიულად აისახა შესაბამისი ტერმინები. პარიზის კონვენციის მეშვეობით სამრეწველო საკუთრების ობიექტების ტერმინებმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვა და მისი მონაწილე ქვეყნების (და არა მარტო) საკანონმდებლო ტერმინებად იქცა. ტერმინის „სასაქონლო ნიშანი" (რომელსაც საქართველოს სამართლებრივი აქტები იყენებენ, მათ შორის დღევანდელი სამოქალაქო კოდექსი) პარალელურად ხშირად ვხვდებით მისგან განსხვავებულ ტერმინებს: სავაჭრო ნიშანი, სავაჭრო მარკა, საფირმო ნიშანი, ემბლემა. ნაკლე-

თავი 25. სასაქონლო ნიშანი, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი

ამჟამად მრავლად მოიპოვება სასაქონლო ნიშნის, ისევე როგორც სხვა კომერციული აღნიშვნების მეცნიერული, თუ საკანონმდებლო განმარტება. ეს იმით აიხსნება, რომ სამრეწველო საკუთრების ისეთი ობიექტისგან განსხვავებით, როგორიცაა, გამოგონება, სასაქონლო ნიშნის განმარტება დიდ სირთულეებს არ იწვევს. შესაბამისად, ყოველი ქვეყნის კანონი, ისევე როგორც ზოგი საერთაშორისო შეთანხმება, ნორმატიულად განმარტავს სასაქონლო ნიშანს.

საკითხის გაშუქება უპრიანი იქნება იმ ქვეყნის კანონების მაგალითზე, რომელთა ნორმები საფუძველი გახდა სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა, რომლებიც გაიზიარა მრავალი ქვეყნის ეროვნულმა კანონმა. მხედველობაში გვაქვს საფრანგეთის 1857 წლის კანონი, გერმანიის 1894 წლის კანონი, ინგლისის 1905 და 1938 წლის კანონები და ამერიკის შეერთებული შტატების 1946 წლის ლანჰამის აქტად ცნობილი კანონი.

აღნიშნული კანონების ფუძემდებლური დებულებანი არ შეცვლილა დღეისათვის, უფრო მეტიც, მათ სრული ასახვა ჰპოვეს თანამედროვე საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებიც სასაქონლო ნიშნებისადმია მიძღვნილი. შემდგომში ისეთი აქტების მიღებამ, როგორიც არის, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს 1993 წლის 20 დეკემბრის დირექტივა გაერთიანების სასაქონლო ნიშნების შესახებ და განსაკუთრებით, ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების, მათ შორის კონტრაფაქციული საქონლით ვაჭრობის შესახებ (AGREEMENT ON TRADE-RELATED ASPECTS OF INTELLECTUAL PROPERTY RIGTS, INCLUDING TRADE IN COUNTERFEIT GOODS, შემოკლებით TRIPS), რომელიც დაიდო 1993 წლის 15 დეკემბერს, აუცილებელი გახადა ეროვნული სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. ამის გამო სადღეისოდ უკვე ევროპის გაერთიანებაში შემავალმა ყველა ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, ინგლისმა, გერმანიამ აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რევიზიის შედეგად, ან შემოიღეს ახალი კანონები, ან შეიტანეს მათში მნიშვნელოვანი ცვლილებანი. ჰარმონიზაცია, ცხადია, უპირველესად შეეხო სასაქონლო ნიშნის განმარტებას. შესაბამისად ხსენებული ქვეყნების თანამედროვე კანონები ერთგვაროვნად გადმოგვცემენ

სასაქონლო ნიშნის შინაარსს და ძირითადში (თითქმის მთლიანად) იმეორებენ TRIPS-ის ხელშეკრულების, ან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობაში მოცემულ განმარტებას.

TRIPS-ის თანახმად ნებისმიერი ნიშანი, ან ნიშნების კომბინაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ერთი საწარმოს საქონლისა, ან მომსახურების განსხვავება, მეორე საწარმოს საქონლის, ან მომსახურებისაგან, შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს. ამ განმარტებიდან გამომდინარე სასაქონლო ნიშნის მთავარი ნიშან-თვისება მისი განმასხვავებელუნარიანობაა. ხაზი უნდა გავესვას იმასაც, რომ ტერმინი „სასაქონლო ნიშანი" ამ ხელშეკრულების ძალით მოიცავს მომსახურების ნიშანსაც. ასეთი მიდგომის საფუძველი შეიძლება ისიც იყოს, რომ ინგლისური ტერმინი „TRADE MARK" ითარგმნება, როგორც სავაჭრო ნიშანი, ხოლო ვაჭრობას, რა თქმა უნდა, რომ საქონელთან ერთად მომსახურებაც განეკუთვნება. ამდენად, ამგვარი განმარტება იძლევა იმის საშუალებასაც, რომ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ მომსახურება, თანამედროვე ეტაპზე, ერთგვარ საქონლად განიხილება.

ევროპის გაერთიანების სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობა (რომლის მიხედვითაც 1996 წლიდან რეგისტრირდება ევროპის საერთო ბაზრის ერთიანი სასაქონლო ნიშანი) მის შინაარსს გადმოსცემს ზემოთგანხილულის მსგავსად. კერძოდ, სასაქონლო ნიშანი განიმარტება, როგორც ნებისმიერი აღნიშვნისაგან შემდგარი, რომელიც უნდა იყოს გრაფიკულად გამოსახვადი, გარდა ამისა, მას უნდა გააჩნდეს ერთი საწარმოს საქონლის, ან მომსახურების, მეორე საწარმოს საქონლის, ან მომსახურებისაგან გარჩევის უნარი. აღნიშნული აქტი სხვა დამატებით პირობებს სასაქონლო ნიშნის დაცვისუნარიანობისადმი არ ადგენს. მასში ამ მოთხოვნებთან ერთად მოცემულია მხოლოდ ის ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახით შეიძლება იყოს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი.

1994 წელს მიღებული კიდევ ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ძირითად მიზნად მასში მონაწილე ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციას ისახავს, არსებითად არ განმარტავს სასაქონლო ნიშნის ცნებას. მასში ჩამოყალიბებული მოთხოვნა (მე-2 მუხლი) აწესებს მხოლოდ იმას, რომ ხელშეკრულების პირობები შეიძლება გავრცელდეს ისეთ ნიშნებზე, რომლებიც წარმოადგენენ ხილვად აღ-

ნიშვნებს. ხელშეკრულება საგანგებოდ მიუთითებს, რომ ის არ ეხება არახილვად, კერძოდ, ბგერით და სურნელოვან ნიშნებს. გარდა ამისა, ხელშეკრულება არ გამოიყენება ისეთი ხილვადი ნიშნების მიმართაც, როგორიცაა ჰოლოგრამული ნიშანი. ამასთან, ქვეყნები, რომლებიც ითვალისწინებენ სამგანზომილებიანი ნიშნების დაცვას, ვალდებული არიან გაავრცელონ მათზე ამ ხელშეკრულების დებულებები.

ცალკე განხილვის ღირსია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ბიუროს მიერ (ამჟამად ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, შემოკლებით „ისმო") განვითარებადი ქვეყნებისათვის 1966 წელს შემუშავებული სანიმუშო კანონი ნიშნების, საფირმო სახელწოდებებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. მასში მოცემულია შემდეგი განმარტებები:

ა) **„სასაქონლო ნიშანი"** ნიშნავს ნებისმიერ ვიზუალურ ნიშანს, რომელიც განკუთვნილია ერთი საწარმოს საქონლის მეორე საწარმოს საქონლისაგან განსხვავებისათვის.

ბ) **„მომსახურების ნიშანი"** ნიშნავს ნებისმიერ ვიზუალურ ნიშანს, რომელიც განკუთვნილია ერთი მეწარმის მომსახურების მეორე მეწარმის მომსახურებისგან განსასხვავებლად.

როგორც წარმოდგენილი განმარტებებიდან გამომდინარეობს, სასაქონლო ნიშნის მთავარ კრიტერიუმად მისი განმასხვავებელუნარიანობაა დასახელებული. ამასთან, მოცემულია მეორე აუცილებელი კრიტერიუმიც ნიშნის ვიზუალობა, ანუ ნიშანი ხილვადი უნდა იყოს. ამ კრიტერიუმის თანახმად სანიმუშო კანონი არ ეხება ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ბგერითი, ან სურნელოვანი, თუმცა ისინი შეიძლება ვიზუალურად აღქმადი ფორმითაც იყოს წარმოდგენილი.

საქართველოს კანონმდებლობამ გაიზიარა მიღებული მიდგომები, დაეყრდნო არსებულ გამოცდილებას და სასაქონლო ნიშნების შესახებ 1992 წლის დებულების პირველივე მუხლით ჩამოაყალიბა შესაბამისი განსაზღვრება. სანამ საქართველოს საკანონმდებლო აქტის განმარტებას განვიხილავდეთ, მიზანშეწონილი იქნება შევეხოთ რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ დამკვიდრებულ განმარტებებს. 1896 წლის რუსეთის კანონმა შემოიტანა შემდეგი განმარტება: „სასაქონლო ნიშნად იგულისხმება ის ნიშანი, რომელსაც ვაჭარი იყენებს საკუთარი საქონლის მოსანიშნად, სხვა პირთა საქონლისაგან განსასხვავებლად". საბჭოთა კავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების თანახმად, სასაქონლო ნიშნად იგულის-

ხმებოდა დადგენილი წესით რეგისტრირებული აღნიშვნები, რომლებიც განკუთვნილი იყო ერთი საწარმოს საქონლის განსხვავებისათვის, მეორე საწარმოს ერთგვაროვანი საქონლისაგან. როგორც ეს განმარტება მეტყველებს, სასაქონლო ნიშანს უნდა ჰქონოდა ერთგვაროვანი საქონლის განსხვავების უნარი. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლება განიცდიდა სულ უფრო მეტ ზეწოლას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან იმ მიზნით, რომ მას სამრეწველო საკუთრების დაცვის კანონმდებლობა მოეყვანა საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად. ამის გამო, 1990-1991 წწ. ინტენსიურად მუშავდებოდა ახალი კანონები გამოგონების, სასაქონლო ნიშნების და სამრეწველო ნიმუშების დაცვის სფეროში. 1991 წ. მიღებულ იქნა სსრკ კანონი სასაქონლო ნიშნების და მომსახურების ნიშნების შესახებ, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის გამო, ძალაში შესვლა ვერ მოასწრო. კანონის 1-ლი მუხლი გადმოსცემს: „სასაქონლო ნიშანი და მომსახურების ნიშანი (შემდგომში – სასაქონლო ნიშანი) არის აღნიშვნები, რომლებსაც შეუძლიათ განასხვავონ ერთი იურიდიული პირის, ან მოქალაქის საქონელი, ან მომსახურება, სხვა იურიდიული პირის, ან მოქალაქის ერთგვაროვანი საქონლის, ან მომსახურებისაგან". როგორც ვხედავთ, ამ კანონმაც სასაქონლო ნიშანი დააკავშირა ერთგვაროვან საქონელთან.

საქართველოს კანონმდებლობის შემუშავებისას არ შეიძლებოდა საერთოდ უყურადღებოდ დატოვებულიყო ადრინდელი გამოცდილება. ისიც უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის კანონში მოცემული განმარტება აღარ არის საერთაშორისო მოთხოვნებთან პრინციპულ დისონანსში. საქართველოს 1992 წლის დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ ითვალისწინებს ადრე წარმოდგენილი განმარტებების შინაარსს და საკუთარი ფორმულირებით განმარტავს მათ. ამ დებულების 1-ლი მუხლი ასკვნის: „სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთგვაროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის". ეს განმარტება გამოირჩევა ადრე მოცემულებისგან იმით, რომ შემოაქვს ახალი კრიტერიუმი „ორიგინალობა" და „მწარმოებლის ინდივიდუალიზაციის უნარიანობა" განმასხვავებელუნარიანობასთან ერთად. ძნელია მოიძებნოს დამაკმაყოფილებელი ახსნა, თუ რა არის „ორიგინალურად გაფორმებული სიმბოლო". ეს ხარვეზი გამოასწორა კანონმა სასაქონლო ნიშნების შესახებ. სასაქონლო ნიშანი განისაზღვრა, როგორც გრაფი-

კულად გამოსახვადი სიმბოლო, ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს მეორე საწარმოს საქონლისაგან.

რადგან საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში სასაქონლო ნიშნების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, მათ განმარტებას გვერდს ვერ აუვლიდა იურიდიული ლიტერატურაც. მაგალითად, ცნობილი იურისტი მარკ ბოგუსლავსკი იძლევა განმარტებას: „სასაქონლო ნიშანი და მომსახურების ნიშანი არის პირობითი აღნიშვნები, რომლებსაც შეუძლია განასხვაონ ერთი პირის საქონელი და მომსახურება მეორე პირის საქონლისა და მომსახურებისაგან. ჩვეულებრივად, ის არის ორიგინალური, მხატვრული გამოსახულება, რომელსაც ნაწარმზე ათავსებენ".

ყოველივე ზემოთქმულის შესაჯამებლად აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერი ნიშანი ვერ იქცევა სასაქონლო ნიშნად. მაგალითად, ისეთი აღნიშვნა, რომელიც მხოლოდ საქონლის მფლობელზე მიუთითებს. ასეთად არ მიიჩნევა აგრეთვე აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის სტანდარტზე, მაგალითად, სასერტიფიკაციო დამღა.

სასაქონლო ნიშნად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ ისეთი სიმბოლო, რომელიც მიუთითებს საქონლისა და მის მწარმოებელს შორის არსებულ კავშირზე სამოქალაქო მიმოქცევის პროცესში, უპირველესად, საქონლით ვაჭრობის დროს. ამიტომ, სასაქონლო ნიშნად არ შეიძლება განხილულ იქნეს ისეთი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს მხოლოდ მესაკუთრის ვინაობაზე, მაგალითად, საბიბლიოთეკო აღნიშვნები „ex libris"-ის სახით.

ინგლისის სამართალში დამკვიდრებული შეხედულებაც დიდად არ განსხვავდება კონტინენტური ევროპის ქვეყნებში არსებულისაგან. სასაქონლო ნიშანი საერთო სამართლით განიმარტება როგორც სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია იმისთვის, რომ აშკარა გახადოს, რომ საქონელი, რომელზეც გამოიყენება ნიშანი, წარმოშობილია კონკრეტული მწარმოებლისაგან, იქნება ის მეწარმე, მოვაჭრე, თუ სახელმწიფო ორგანო.

თავი 26. სასაქონლო ნიშნის სახეები

საზოგადოდ, სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნებისმიერი სახის სიმბოლოთი. კერძოდ, სასაქონლო ნიშნად შეიძლება იყოს წარმოდგენილი **სიტყვა, ციფრები, ასოები, გამოსახულება, ფერების კომბინაცია, ბგერები, სუნი, ყოველივე აღნიშნულის კომბინაცია** და სხვა. ეს ჩამონათვალი არ შეიძლება ამომწურავად მივიჩნიოთ და მომავალში, ჩვენის აზრით, კიდევ გაფართოვდება. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ გამოჩენილი სპეციალისტი სასაქონლო ნიშნების სფეროში ბატონი კასპერ ჯ.ვერკმანი თვლიდა, რომ სასაქონლო ნიშნებს შეიძლება წარმოადგენდეს სიტყვები, ან გამოსახულებები, ან კიდევ მათი კომბინაციები, რომლებიც გამოიყენება საქონლის მიმოქცევის სფეროში. როგორც ვხედავთ, ეს არც თუ ისე ხანდაზმული დეფინიცია, რომელიც სასაქონლო ნიშნად მიიჩნევს მხოლოდ სიტყვას, ან გამოსახულებას თვალსაჩინოდ ჩამორჩება საკითხისადმი დღევანდელ, გაცილებით უფრო ფართო მიდგომას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების მიმართ, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული, დაახლოებით ერთგვაროვნად უდგება საკითხს და სასაქონლო ნიშნების ნაირსახეობას ზემოთ მოყვანილი ჩამონათვლის ფარგლებში იძლევა. ამასთან, სხვადასხვაგვარია მიდგომა ისეთი სახის აღნიშვნებისადმი, როგორებიცაა: ბგერითი, სურნელოვანი, ან სამგანზომილებიანი ნიშნები. ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ზოგი თვლის მათ რეგისტრაციაუნარიან აღნიშვნად, ზოგიც არა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა საკმაოდ ჰარმონიზებულია და ამ თვალსაზრისით, თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კანონმდებლობაში. დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა კანონების მიხედვით ორგვარი მიდგომა შეიმჩნევა. რიგი ქვეყნებისა სასაქონლო ნიშნად მიიჩნევს ნებისმიერ აღნიშვნას, რომელსაც განმასხვავებელუნარიანობა გააჩნია. ეს მიდგომა ძალზე ფართოა და არ ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის სახეების ჩამოთვლას ამომწურავად. ნორმა, რომელიც მოიცავს ამ ჩამოთვლას, ბოლოვდება სიტყვებით „და სხვა“. ასეთი ნორმები გააჩნია რუსეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, სომხეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის კანო-

ნებს. ასეთი მიდგომა ნაკარნახევია დსთ-ს ქვეყნების მიერ რუსეთის კანონმდებლობის პრინციპების ფართო და შეუზღუდავი გამოყენებით.

გამონაკლისია საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა. კერძოდ, კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ მე-3 მუხლით მიუთითებს, რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვა, ან სიტყვები, აგრეთვე, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა, ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის, ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით. ამომწურავ ჩამონათვალს იძლეოდა, აგრეთვე, 1992 წლის დებულება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“.

დავახასიათოთ ჩამოთვლილი სასაქონლო ნიშნების სახეების თავისებურებები. ვფიქრობთ, ნიშანთა კომბინაცია დახასიათებას არ საჭიროებს.

სიტყვიერი ნიშნები (სიტყვა)

სიტყვის გამოყენება ქმნის სასაქონლო ნიშნების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ნიშანთა ჯგუფს. მსოფლიოში მოქმედი სასაქონლო ნიშნების საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტს შეადგენს ნიშანთა ეს ჯგუფი. ეს გასაგებიც არის, რადგან სიტყვა შეიგრძნება, როგორც ვიზუალურად – ვკითხულობთ თვალით, ასევე სმენით – არ აქვს მნიშვნელობა თავად წავიკითხავთ მოცემულ სიტყვას ხმამაღლა, თუ სხვა წაგვიკითხავს, ან მოვისმენთ მას რადიოსა, ან ტელევიზიის, ან სხვაგვარი საშუალებით გადმოცემისას. ეს შესაძლებლობანი ჩადებულია თავად სიტყვის განმარტებაში. მიღებულია, მაგალითად, სიტყვის შემდეგი განმარტება „სიტყვა არის: ბგერათა შეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს“. აქვე განმარტებულია, რომ სიტყვა ქართულ ენაში ლაპარაკს, ან საუბარსაც ნიშნავს. გარდა ამისა, განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „სიტყვიერი“ ზეპირად თქმულს, ან სიტყვებისაგან შემდგარსაც ნიშნავს ქართულ ენაში. ჩვენის აზრით, სხვა ენების მიდგომა მოცემული საკითხისადმი არ უნდა განსხვავდებოდეს ქართულ ენაში არსებულისაგან, რაც იმითაც დასტურდება, რომ სასაქონლო ნიშნებში სიტყვის გამოყენება ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული ნებისმიერი ქვეყნის პრაქტიკაში. ზემოთ ნათქვა-

მიდან გამოდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვას მისი შინაარსობრივი ბუნების თანახმად სხვასთან შედარებით ყველაზე მეტი ხიბლი, მიმზიდველობა და პრაქტიკული ფუნქციები აქვს სასაქონლო ნიშნად გამოყენებისათვის. აღსანიშნავია, რომ სიტყვას შეიძლება შეადგენდეს, როგორც ორი ასო-ბგერა, ისევე მრავალი. სასაქონლო ნიშნებისათვის არ აქვს მნიშვნელობა ექნება ასეთ სიტყვას აზრობრივი (საგნობრივი) დატვირთვა, თუ არა. მაგალითად, ორბგერიანი სიტყვა „ია" კონკრეტული საგნობრივი დატვირთვის მატარებელია და თავისი მიმზიდველობით შეიძლება ძლიერ და მიმზიდველ ნიშნად მოგვევლინოს საქონლის რომელიმე ჯგუფისათვის. ასევე მრავალბგერიანი სიტყვა „ცისარტყელა". მაგრამ, არანაკლებ წარმატებულად შეიძლება იყოს გამოყენებული (და გამოიყენებოდა კიდევაც საქართველოში ამ ცოტა ხნის წინ) მოგონილი სიტყვა „სოლანი", რომელსაც საგნობრივი დატვირთვა არ გააჩნია.

სიტყვიერი ნიშნების ჯგუფი შეიძლება დავყოთ შემდეგ შემადგენელ ნიწილებად:

- **ჩვეულებრივი სიტყვა,**
- **მოგონილი (ფანტაზიური) სიტყვა,**
- **სახელი, გვარი,**
- **საფირმო სახელწოდება,**
- **გეოგრაფიული დასახელება,**
- **წინადადება.**

ჩვეულებრივი სიტყვა

სასაქონლო ნიშანი, რომელიც წარმოდგენილია ჩვეულებრივი სიტყვით შეიძლება იყოს რეგისტრაციაუნარიანი, ან არა. ეს იმაზეა დამოკიდებული დააკმაყოფილებს თუ არა ეს სიტყვა სასაქონლო ნიშნის კრიტერიუმს – განმასხვავებელუნარიანობას. ჩვეულებრივი სიტყვა ეს ისეთი სიტყვაა, რომელიც გამოიყენება, როგორც სასაუბრო, ასევე ლიტერატურულ ენაში. მისი მაგალითები ზემოთაღნიშნული სიტყვები „ია", „ცისარტყელა", აგრეთვე „აისი", „განთიადი" და სხვა შეიძლება იყოს. ამგვარი სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებია: „Camel" – ქართულად „აქლემი", რომელიც ძირითადში სიგარეტებისთვის გამოიყენება და წლების მანძილზე გამორჩეული სარეკლამო მნიშვნელობის ძალა შეიძინა; „APPLE" – ქართულად „ვაშლი", გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკის აღსანიშნავად (ეს ნიშანიც მსოფლიოში აღიარებულ ნიშანთა რიცხვს განეკუთვნება და ძლიერ ნიშანთა რიცხვში შედის).

მოგონილი (ფანტაზიური) სიტყვა

თუ ჩვეულებრივი სიტყვა შეიძლება არ იყოს დაცვითუნარიანი მოგონილი სიტყვა, როგორც წესი, ყოველთვის აკმაყოფილებს განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმს და შესაბამისად, მრავლად მოიძებნება ასეთი სიტყვის სასაქონლო ნიშნად რეგისტრირების მაგალითები. ჩვენ ადრე უკვე ვახსენეთ ცნობილი ქართული ნიშანი „სოლანი", რომელიც ნიშანთა ამ ჯგუფის კარგი მაგალითია. მას საქართველოს ბაზარზე საკმარისად კონკურენტუნარიანი ადგილი ეკავა. მოგონილი სიტყვისაგან შემდგარი ნიშნის მაგალითად გამოდგება სიტყვა „ლაზეგრინი", რომელიც მედიკამენტების აღსანიშნავად გამოიყენება და უკვე მოასწრო კარგი რეპუტაციის შეძენა საქართველოში. უცხოური ნიშნებიდან არ შეგვიძლია არ ვახსენოთ ისეთი აღიარებული ნიშანი, როგორიცაა „KODAK", რომელიც უმთავრესად ფოტოაპარატურისა და ფოტომასალებისათვის გამოიყენება. ეს ნიშანი იმდენად ძლიერია, რომ მრავალი მისი მიმბაძველი და პირდაპირი „მეკობრე" არსებობს მსოფლიოს ბაზარზე. ასეთ ნიშანთა სიძლიერე განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ თავად სიტყვა არ არის ნაწარმის შესახებ რაიმე ინფორმაციის მატარებელი.

ნიშნების ამ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ფანტაზიური ისეთი სიტყვა, რომელიც აუცილებელი არ არის, რომ მოგონილი იყოს. ზემოთაღნიშნული სიტყვა „APPLE" ამის მკაფიო მაგალითია. მისი ფანტაზიურობა იმით გამოიხატება, რომ ვაშლს არავითარი კავშირი არ გააჩნია კომპიუტერთან და ამ ნიშნის გამოყენება შემდგომში იწვევს მხოლოდ ფანტაზიური ასოციაციების დამყარებას ნაწარმთან. ის, რა თქმა უნდა, ნაწარმზე რაიმე ინფორმაციის პირდაპირი მატარებელი ვერაფრით ვერ იქნება. ფანტაზიური ნიშნის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია „MONTBLAN" – მონბლანი (ევროპის ყველაზე მაღალი მწვერვალი), გამოიყენება კალმების აღსანიშნავად და ძალზე მაღალი რეპუტაცია გააჩნია. რა თქმა უნდა, ნიშანი ფანტაზიურია კალმის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით თუ მას გამოიყენებდნენ, მაგალითად, მინერალური წყლის აღსანიშნავად.

სახელი, გვარი

ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა ახლო წარსულში, ან ამჟამად პირდაპირ კრძალავს სახელის, ან გვარის სასაქონლო ნიშნად გამოყენებას. ამას საფუძვლად სხვადასხვა მიზეზი უდევს. ზოგი კი

უშვებს მათ რეგისტრირებასა და გამოყენებას ნიშნად მაგრამ, განსაკუთრებულ პირობას აწესებს. მაგალითად, როგორც ეს საქართველოში იყო გათვალისწინებული 1992 წ. დებულებით სასაქონლო ნიშნების შესახებ, საჭირო იყო იმ პირის ნებართვის მიღება, ვინც საქართველოში მოცემული სახელს ატარებდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში რეგისტრირებულია ამ ჯგუფის მრავალი ნიშანი. მაგალითად „FORD" – ავტომობილებისათვის მსოფლიოში აღიარებული ნიშანი, „GORBATSHOW" უალკოჰოლო და სპირტიანი სასმელების აღსანიშნავად, „CHRISTIAN DIOR" და სხვა.

ზოგი ქვეყანა არავითარ პირობებს არ უყენებს სახელის გამომხატველი ნიშნის რეგისტრაციის მსურველს.

საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-5 მუხლის „თ" პუნქტის თანახმად, თანხმობა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა სასაქონლო ნიშნად განცხადებული სახელი ემთხვევა ცნობილი პიროვნების სახელს, ან ფსევდონიმს.

ვფიქრობთ, ასეთი ნორმა გარკვეულწილად დისკრიმინაციულია და სრულ თანხმობაში არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის უფლებასთან სახელზე, რომელიც ამ უფლებას იცავს განურჩევლად იმისა, პიროვნება ცნობილ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება თუ არა. აღნიშნულს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელის კომერციული მიზნით გამოყენების ან გამოყენების მცდელობის შემთხვევაში, რაც სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებისას, ან გამოყენებისას ყოველთვის უდავოა. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მიხედვით პირს, რომლის სახელიც ემთხვევა რეგისტრირებულ ნიშანს უფლება აქვს გამოიყენოს საკუთარი სახელი თუნდაც კომერციული მიზნით. ასეთ შემთხვევაში ორი იდენტური აღნიშვნა იქნება ჩართული სამოქალაქო ბრუნვაში, რაც ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ არ განვითარდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, რამაც შეიძლება ორივე მხარესა და მთლიანად საზოგადოებას ზიანი მოუტანოს.

საფირმო სახელწოდება

კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული, აუცილებლად მოიხსენიებს საფირმო სახელწოდებას სასაქონლო ნიშნების შემადგენელ ნაწილად, ან დამოუკიდებლად სასაქონლო ნიშნად რეგისტრირების შესაძლებლობას. ეს იმით აიხსნება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამ-

რეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენცია მოითხოვს, რომ მონაწილე ქვეყნებმა უზრუნველყონ საფირმო სახელწოდების დაცვა სპეციალური რეგისტრაციის შემოღების გარეშე – ფირმის რეგისტრაციის საფუძველზე, მასზე უფლებების განხორციელება უფრო გაძნელებულია, ვიდრე ნიშნებზე. გარდა ამისა, საფირმო სახელწოდებას სასაქონლო ნიშანთან ახლო ნათესაობა აკავშირებს (იმდენად, რომ მოსახლეობის უმეტესობა, მათ შორის მეწარმეები, ამ ორ ობიექტს ერთმანეთში ურევენ) და ბუნებრივია, მეწარმეთა მხრივ, მათი ერთგვაროვანი დაცვისკენ სწრაფვა, საფირმო სახელწოდების სასაქონლო ნიშნად დაცვას არც ერთი კანონმდებლობა არ კრძალავს. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის მიხედვით ნიშნად არ რეგისტრირდება მხოლოდ ისეთი აღნიშვნა, რომელიც შეიცავს აღრევის გამომწვევ საფირმო სახელწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საფირმო სახელწოდება დაცულია პარიზის კონვენციითა და კანონით მეწარმეთა შესახებ, მაინც მრავლად არის მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შემთხვევა. მაგალითად, იგივე „FORD“, აგრეთვე „შროშანი“ – გამოიყენება წამლებზე, „СИБА-ГЕЙГИ“, „ЯВА“ და სხვა.

გეოგრაფიული დასახელება

გეოგრაფიული დასახელების დაცვა ისეთ თავისებურ სამართლებრივ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომ ის, ამჟამად, ცალკე გამოყოფილ საკანონმდებლო აქტზე დაყრდნობით ხორციელდება. სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობა (ქვეყნების მიხედვით) მას სხვადასხვაგვარად უდგება: ზოგი საერთოდ კრძალავს, ზოგი რაღაც პირობებს აწესებს. საქართველოს კანონმდებლობაც, ისევე როგორც სხვა ქვეყნების კანონები, ირიბად კრძალავს ამ დასახელებების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციას. მაგალითად, საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტი კრძალავს რეგისტრაციას ისეთი აღნიშვნისა, რომელიც შედგება საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის დასახელებისაგან. მაგრამ, როგორც ადრე აღინიშნა, თუ ამ დასახელებას არავითარი კავშირი არა აქვს საქონელთან, მისი რეგისტრაცია ვერ აიკრძალება. „MONTBLAN“-ი ავტოკალმებისთვის კარგ მაგალითს წარმოადგენს. მაგრამ, იგივეს ვერ ვიტყვით სხვა შემთხვევაში. მაგალითად, „ყაზბეგი“ ლუდისათვის, როგორც სასაქონლო ნიშანი არ

უნდა დარეგისტრირდეს, ასევე, „ბორჯომი" მინერალური წყლისთვის, ან „თბილისი", ნებისმიერი სახის ნაწარმისათვის, „მტკვარი" – თევზისათვის და ა.შ.

წინადადება

სიტყვიერ ნიშანთა ჯგუფში შეიძლება ვიგულისხმოთ, აგრეთვე, მთელი წინადადება. ასეთად, როგორც წესი, გამოიყენება რაიმე მოწოდება, ან ლოზუნგი, მაგალითად, „ჩვენ ვაადვილებთ თქვენს ცხოვრებას". საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში ვხვდებით ასეთ მაგალითებს: „ESTROFEM FORTE" – ფეხსაცმელებისათვის, „DISCOVERY CHANNEL PICTURE" – რადიო და სატელევიზიო პროგრამების მომსახურებისათვის, „ШЕЛКОВАЯ ДОРОГА" – სიგარეტებისათვის, „WE TRY HARD" და სხვა.

სასაქონლო ნიშნად ასეთი აღნიშვნების რეგისტრირებისას ან გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საავტორო უფლებათა შესაძლო დარღვევები.

ციფრების, ასოებისგან შემდგარი ნიშნები

სასაქონლო ნიშნებში სიტყვების მსგავსად გამოიყენება ციფრები და ასოები. ძნელად მოიძებნება ქვეყანა, რომლის კანონმდებლობა უშვებს ცალკე აღებული ერთი სტანდარტული ასოს, ან ციფრის დაცვის შესაძლებლობას. ამასთან, კარგად არის ცნობილი მაკდონალდსის რესტორნებისა და სასადილოებისათვის რეგისტრირებული ნიშანი შემდგარი ერთი ასოსაგან „M". მაგრამ, ეს ასო იმდენად თავისებური სტილით არის რეგისტრირებული, რომ მისი დაცვა სწორედ ასეთი სტილით შესრულებულ სასაქონლო (ამ შემთხვევაში მომსახურების) ნიშანზე ვრცელდება. ამდენად, ნებისმიერ პირს შეუძლია თავის სასაქონლო ნიშანში გამოიყენოს ჩვეულებრივი ასო „M". იგივე ითქმის ციფრებზეც, რომელთა თვალსაჩინო მაგალითია სუნამო – შანელი „№5". ძველი თაობის საქართველოს მოსახლეობისათვის კარგად არის ცნობილი სუფრის ღვინოების აღსანიშნავად რომ გამოიყენებოდა ციფრები, მაგალითად, სასადილო ღვინო №8, ან №9.

როგორც წესი, დაცვიდან არ არის გამორიცხული ასოების კომბინაცია, რაც ხშირად სიტყვების შემოკლებას – აბრევიატურას წარმოადგენს. იგივე ითქმის ციფრების კომბინაციაზე. საქართველო-

შიც მათი დაცვის შემთხვევები სახეზე გვაქვს. ასეთი ნიშნების დაცვა დასაშვებია ჩვეულებრივი, სტანდარტული შრიფტით მათი წარმოდგენის შემთხვევაშიც. სამართლებრივად ეს მისაღებია, რადგან ერთი პიროვნება ვერ გახდება ყველა შესაძლო ასოთა თუ ციფრების კომბინაციის მონოპოლისტი მფლობელი, იგი მხოლოდ ერთი, კონკრეტული კომბინაციის მესაკუთრე ხდება. ცხადია, დაუშვებელია, რომ რომელიმე პირს გააჩნდეს განსაკუთრებული უფლება ერთ სტანდარტულ ასოზე, ან ციფრზე, რადგან მას ექნება უფლება ყველა დანარჩენს აუკრძალოს ამ ციფრისა თუ ასოს გამოყენება, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ასოებისა და ციფრებისაგან შემდგარი სასაქონლო ნიშნების მაგალითებია: „IBM“, „BMW“, „TBS“, „4711“ – პარფიუმერიისათვის და სხვ.

გამოსახულებითი ნიშნები

სასაქონლო ნიშნების ამ ჯგუფს იცავს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა. დსთ-ს ქვეყნების კანონები რუსეთის კანონის მაგალითზე პირდაპირ იყენებს ამ ტერმინს და აწესებენ, რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს გამოსახულებითი. გამონაკლისი არც საქართველო იყო, რომელიც გაჰყვა ყოფილი სსრ კავშირის პრაქტიკას და თავის 1992 წ. დებულებით სასაქონლო ნიშნების შესახებ პირდაპირ გამოიყენა ეს ტერმინი. ამგვარი მიდგომა არ შეიძლება ნაკლად ჩაითვალოს. ამ ტერმინზე არც საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმა თქვა უარი და გამოიყენა მე-3 მუხლის რედაქციით. გამოსახულებითი ნიშნები შედგება ორგანზომილებიანი ნახატებისაგან, ან სამგანზომილებიანი ფიგურების გამოსახულებებისაგან. ნახატები შეიძლება იყოს ნებისმიერი ხასიათისა, სტილიზებული, სქემატური ან ნატურალური სახით შესრულებული. ამ ჯგუფს განეკუთვნება ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, გეომეტრიული ფიგურების, ორნამენტების და სხვა სახის ნებისმიერი ნახატი. მათში გამოიყენება სტილიზებული ელემენტები, მაგალითად, მზის, ვარსკვლავების, ბორბლის და ა.შ. სახით, მიზანი ყოველთვის ერთია – შეიქმნას, რაც შეიძლება დასამახსოვრებელი ნიშანი. ასეთ მაგალითად გამოდგება ნავთობკომპანია შელ-ის ცნობილი ნახატი სტილიზებული ნიჟარის სახით.

სამგანზომილებიანი – მოცულობითი ნიშნების მაგალითად მოვიტანთ საყოველთაოდ ცნობილი ავტომობილის „მერსედესის“ ნიშანს სტილიზებული ბორბლის სახით. დასამახსოვრებელი იყო, თა-

ვის დროზე, საბჭოთა კავშირში ქ.გორკის ავტოქარხნის მიერ გამოშვებულ მსუბუქ მანქანებზე („Волга ГАЗ-21") მოთავსებული ირმის ფიგურა.

ამ ნიშნების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს კოკა-კოლას ბოთლი, რომელიც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნად.

სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონი ამ ჯგუფის მაგალითებად ასახელებს სამგანზომილებიან ფიგურას, მათ შორის, საქონლის ფორმას, ან შეფუთვას ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნულ გაფორმებას ფერის, ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით. კანონში გამოყენებული ტერმინი „სამგანზომილებიანი ფიგურა", რომლის შინაარსშიც მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ძალით მოქცეულია საქონლის შეფუთვა, სადავოდ გვეჩვენება – „შეფუთვა" სამგანზომილებიანი ფიგურაა?

უნდა აღინიშნოს, რომ ნიშნების ეს ჯგუფი საკმაოდ ახლოს დგას სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებთან, განსაკუთრებით სამრეწველო ნიმუშებთან. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში მათი რეგისტრაცია იკრძალებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება სამგანზომილებიან ნიშნებს. მათი რეგისტრაცია პირდაპირ იკრძალებოდა ანგლო-ამერიკული სამართლით. კოკა-კოლას ბოთლი ინგლისში მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ გატარდა რეგისტრაციაში. ეს მხოლოდ იმის შედეგი იყო, რომ ინგლისი იძულებული გახდა შეესრულებინა ევროპის გაერთიანების 1989 წლის დირექტივა მისი წევრი ქვეყნების მიერ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ, რომელმაც დააწესა მოცულობითი ნიშნების რეგისტრაცია.

ამასთან, ის ქვეყნები, სადაც დაიშვება სამგანზომილებიანი ნიშნის რეგისტრაცია, პარალელურად ავალდებულებენ მის მფლობელს, რეკლამისა ან სხვა მიზნებისათვის ორგანზომილებიანი გამოსახულების გამოყენებას. ამდენად, პრაქტიკაში გასარკვევი ხდება, რა სახის ნიშანია დაცული – ნახატი, თუ მოცულობა, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგივე ევროპის გაერთიანების კანონმდებლობის თანახმად ექსპერტიზის პროცესში უნდა მოხდეს გამოკვლევა, ხომ არ იმეორებს ნიშანი უკვე არსებულ სამრეწველო ნიმუშს. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონიც ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშთან განცხადებული ნიშნის შედარებას და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანას რეგისტრაციის ან უარის თქმის თაობაზე.

ფერადი ნიშნები

ხშირ შემთხვევაში მეწარმე იყენებს ცალკეულ ერთ ფერს, ან ფერების კომბინაციას (შეხამებას) საქონლის ან მომსახურების აღსანიშნავად. სასაქონლო ნიშნად ერთი რომელიმე ფერის დაცვა აკრძალულია. მოტივი ამ შემთხვევაშიც იგივეა, რაც ითქვა ციფრებისა და ასოების მიმართ. ითვლება, რომ ერთი ფერის მონოპოლიზაცია ვისიმე განსაკუთრებული უფლებებით დაუშვებელია. ამასთან, ერთ ფერს, როგორც სტანდარტულ ასოს, ციფრს, ან გეომეტრიულ ფიგურას არა აქვს ერთი საქონლის მეორე საქონლისაგან განმასხვავებლობის უნარი. მაგრამ, იგივეს ვერ ვიტყვით ფერთა კომბინაციაზე, მათ ორიგინალურ შეხამებაზე. ამიტომ, ამჟამად ფერთა კომბინაციის სასაქონლო ნიშნად დაცვას ითვალისწინებს თითქმის ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა.

საქართველოში მოქმედი კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ გარეგან გაფორმებასთან ერთად ჩამონათვალში მოიხსენიებს ფერებს და მათ კომბინაციას იმ ელემენტებად, რომლებმაც შეიძლება შეადგინონ სასაქონლო ნიშნები. ეს იმას ნიშნავს, რომ ფერები სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება საქონლის გაფორმებისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, უკვე მოიპოვება ამ ჯგუფის ნიშანთა რეგისტრაციის მაგალითები. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ უცხოელი ითხოვს საქართველოში ნიშნის რეგისტრაციას პარიზის კონვენციის თანახმად ე.წ. ტელ-კელის პრინციპზე დაყრდნობით, რაც მას აძლევს უფლებას მოითხოვოს მონაწილე ქვეყანაში ნიშნის იმ სახით დაცვა, როგორც არის ის დაცული წარმოშობის ქვეყანაში.

მეორეს მხრივ, არის შემთხვევებიც საქართველოს მეწარმის სახელზე მათი რეგისტრაციისა, მაგალითად, საქონელი გაფორმების გარეშე რეგისტრირებულია ნიშანი შემდგარი სამი ფერისაგან: მწვანე, ლურჯი, ყვითელი სამედიცინო ფირმა „ბორჯის“ სახელზე. ასეთი მიდგომა თანამედროვე ტენდენციებთან თანხმობაში ყოფნის სურვილით უფრო აიხსნება, ვიდრე კანონის მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

როგორც აღნიშნულიდან ირკვევა ფერების დამოუკიდებელი დაცვა საქართველოში სასაქონლო ნიშნად კვლავ აკრძალულია. ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვებია ფერთა კომბინაციის სასაქონლო (განსაკუთრებით მომსახურების) ნიშნად რეგისტრირება. უცხო ქვეყნების გამოცდილებაც ამაზე მიუთითებს.

ბგერითი ნიშნები

რიგი ქვეყნებისა იცავს სასაქონლო ნიშნად ბგერებისგან შემდგარ ნიშნებს. ძირითადში, ამგვარი ნიშნები რეგისტრირდება მომსახურებისათვის, მაგალითად, ტელე- ან რადიოგადაცემების სფეროში. ცნობილია, რომ რაიმე რეგულარულ ტელეგადაცემას თავისი ბგერითი გახმოვანება სდევს თან, მაგალითად, საინფორმაციო გადაცემა „მოამბე"-ს, გასართობ პროგრამებს და ა.შ. ამგვარი გახმოვანება, როგორც წესი, მელოდიას წარმოადგენს. ეს მელოდია, ან სასიამოვნო მოსასმენია, ან სპეციფიკურად ჟღერადი, რომ მსმენელს, ან მაყურებელს, სიამოვნებასთან ერთად, მოსმენის, ან ნახვის სურვილი გაუძლიეროს. გარდა ამისა, ბგერითი ნიშნები გამოიყენება პოლიციის საპატრულო მანქანების მიერ, სახანძრო რაზმების მიერ, სასწრაფო დახმარების მიერ და ა.შ.

კანონმდებლობა, რეგისტრაციისათვის ითხოვს ბგერითი ნიშნის დასაცავად მისი ნოტური ჩანაწერის წარმოდგენას, ან მასთან ერთად თავად ბგერების ჩანაწერს. ვფიქრობთ, მეორე პირობა აუცილებელია, რადგან ზოგ შემთხვევაში ბგერების ნოტური ჩაწერა ვერ ხერხდება, მაგალითად, თუ მოთხოვნილია ღრიალის გამომხატველი ბგერების, ან კრუხის კაკანის დაცვა სასაქონლო ნიშნად.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბგერითი ნიშნების დაცვას.

სურნელოვანი ნიშნები

აღნიშვნების ეს სახეობა მათი სასაქონლო ნიშნებად დაცვის პრაქტიკისათვის სრულიად ახალ ჯგუფს ქმნის. ძირითადში, ამგვარი ნიშნების გამოყენება განკუთვნილია მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისათვის – ქალებისათვის, ცალკეული მამაკაცებისათვის, ან, მაგალითად, ისეთი ადამიანებისათვის, ვისაც მხედველობა აქვს დაკარგული. პირველ ორ შემთხვევაში ნიშანი საქონელს განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის. მაგალითად, სასიამოვნო სურნელით მოკაზმული ქალის სამოსის, ან თეთრეულის ყიდვა ესიამოვნება ნებისმიერ ქალბატონს და შეიძლება შემდგომში მხოლოდ ასეთი სუნის მქონე საქონელი გახდეს სასურველი საყიდლად.

ტექნიკური თვალსაზრისით არახილვადი ნიშნების დაცვა სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ საერთაშორისო ხელშეკრულებები არ ავალდებულებს უხილავი ნიშნების დაცვას. მათი რეგისტრაციისთვის მოითხოვება სპექტროგრამის წარმოდგენა, რო-

მელიც შემდგომ ქვეყნდება. მაგრამ, ისმის კითხვა, რა არის ამ შემთხვევაში დაცული? – გამოსახულება სპექტროგრამის სახით თუ სხვა რამ? საქართველოს 1992 წ. კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ასეთი ნიშნების დაცვას. დღევანდელი კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ნიშნად გრაფიკულად გამოსახვად აღნიშვნებს იცავს. ამ კატეგორიაში შეიძლება მოექცეს სურნელოვანი ნიშანიც, თუ სპექტროგრამას ვივარაუდებთ სურნელის გამომხატველ გამოსახულებად გავიზიარებთ საფრანგეთის პრაქტიკას, არც საქპატენტს ექნება უარის საფუძველი სურნელოვანი ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე.

მომსახურების ნიშნები

თანამედროვე ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოების პირობებში მომხმარებელს უხდება თავისი არჩევანით განასხვავოს არა მარტო რომელიმე მეწარმის მიერ გამოშვებული პროდუქცია, არამედ ის მომსახურებაც, რასაც მას სთავაზობენ სხვადასხვა მომსახურების გამწევი პირები. მომსახურების ნიშნების სამართლებრივი დაცვა, სასაქონლო ნიშნების დაცვისაგან განსხვავებით, დიდი ხნის გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის. მომსახურების ნიშნების დაცვის ფორმალიზება ერთ-ერთმა პირველთაგანმა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმა შემოიღო. ეს მოხდა 1946 წლის სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონით, რომელიც ლანჰამის აქტად არის ცნობილი. ევროპის ქვეყნებში მომსახურების ნიშნების დაცვა ხორციელდება გაცილებით უფრო გვიან – 1960 წლის შემდეგ (გერმანია). ამ მომენტისათვის მომსახურების ნიშნების დაცვის აუცილებლობა გაითავისეს საერთაშორისო ხელშეკრულებებმა, კერძოდ, პარიზის კონვენციამ, რომელიც ამ საკითხს შეეხო და 1958 წლის, ლისაბონის კონფერენციის შემდეგ გაითვალისწინა მომსახურების ნიშნების დაცვის საჭიროება. პარიზის კონვენციას დაემატა მუხლი 6^{sexies}, რომელმაც დაავალდებულა მონაწილე ქვეყნები, რომ დაეცვათ მომსახურების ნიშნები. ამავე მუხლის თანახმად კონვენციის მონაწილე ქვეყნები არ იყვნენ ვალდებული გაეთვალისწინებინათ მათი რეგისტრაცია. ეს წესი დღემდე არ შეცვლილა და ძალაშია. ამასთან, ფართოდ დამკვიდრდა სასაქონლო ნიშნების დაცვასთან ერთად (მის თანაბრად) მომსახურების ნიშნების დაცვა. მათ დაცვას, პრაქტიკულად, უკვე ითვალისწინებს ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა. საქართველოში 1992 წლის დებულებით სასაქონლო ნიშნების შესახებ (რომლითაც დასაბამი მიეცა ჩვენს ქვეყანაში ნიშნების დაცვას)

ნორმატიულად დაწესდა მომსახურების ნიშნების დაცვის შესაძლებლობა სასაქონლო ნიშნების მსგავსად და თანაბრად. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ პირველი მუხლითვე ადასტურებს თავის ერთგულებას დამკვიდრებული პრაქტიკისადმი და აცხადებს: „ეს კანონი აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე, მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს".

დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებით მომსახურების ნიშნები და სასაქონლო ნიშნები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომ მოთხოვნები სასაქონლო ნიშნებისადმი გამოიყენება mutatis mutandis მომსახურების ნიშნებისთვისაც. შესაბამისად, მომსახურების ნიშნები შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში. ასევე შეიძლება განახლდეს მათი რეგისტრაცია, ან გაბათილდეს. მათ მფლობელს სასაქონლო ნიშნების მფლობელის მსგავსად, უფლება აქვს გასცეს ლიცენზია, ან გაასხვისოს ეს ნიშანი, აკრძალოს გამოყენება და სხვა.

პარიზის კონვენციის გარდა, სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მოქმედებს სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში, მომსახურების ნიშნებს ეხება იმავე ფარგლებში, როგორც კოლექტიურ ნიშნებს. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება და მისი პროტოკოლი უშვებს მომსახურების ნიშნების რეგისტრაციას, ხოლო საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმება ითვალისწინებს რვა კლასს (35-42), რომლებიც ეხება მომსახურების კლასიფიკაციას და გამოიყენება მათი რეგისტრაციისათვის.

მომსახურებას განეკუთვნება ისეთი სახის საქმიანობა, როგორიცაა მაგალითად, ტურიზმი, საყოფაცხოვრებო, საადვოკატო მომსახურება, სატრანსპორტო გადაზიდვები და სხვა.

მომსახურების ნიშნის შესატყვისი ტერმინები შემდეგია: ინგლისურად – „SERVICE MARK", ფრანგულად – „MARQUE DE SERVICE", გერმანულად – „DIENSTLEISTUNGSMARKE", ესპანურად – „MARCA DE SERVICIO", რუსულად „ЗНАК ОБСЛУЖИВАНИЯ".

კოლექტიური სარგებლობის ნიშნები

კოლექტიური სარგებლობის ნიშნების ჯგუფს შეადგენს ისეთი აღნიშვნები, რომლებსაც იყენებს ორი, ან მეტი ფიზიკური, ან იურიდიული პირისაგან შემდგარი გაერთიანება. მათ ერთმანეთთან საერთო ინტერესები აკავშირებთ და წარმოებულ პროდუქციას გა-

აჩნია ისეთი საერთო მახასიათებლები, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს გამოარჩიოს ამ გაერთიანებების პროდუქცია. ამ შემთხვევაში მომხმარებლისათვის არსებით მნიშვნელობას არ წარმოადგენს, თუ კონკრეტულად რომელი საწარმოს მიერ არის გამოშვებული შენაძენი. ნაწარმის თვისებებზე პასუხისმგებელია გაერთიანება, რომელიც სათუთად უფრთხილდება თავის რეპუტაციას.

კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნები

კოლექტიური ნიშნის ცნება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრდა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ძალით. მისი მე-7^{bis} მუხლი ავალებს ქვეყნებს მიიღონ განაცხადები და დაიცვან კოლექტიური ნიშნები, რომლებიც ეკუთვნის ისეთ გაერთიანებებს, რომელთა არსებობაც არ ეწინააღმდეგება მათი წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობას. მოცემულია კოლექტიური ნიშნების დაცვის სხვა მოთხოვნებიც. რადგან პარიზის კონვენციის ეს მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად, ნათელია, რომ კოლექტიური ნიშნის დაცვა ხორციელდება მასში მონაწილე ყველა ქვეყანაში. საქართველოს კანონმდებლობაც შეიცავს შესაბამის ნორმებს, რომლებიც აწესებს კოლექტიური ნიშნის დაცვას და ადგენს შესაბამის პროცედურულ მოთხოვნებს. „კოლექტიური ნიშანი“ ფართო გაგების ცნებაა. იგი მოიცავს, როგორც ჩვეულებრივად გაგებულ კოლექტიური ნიშანს (შემდგომში კოლექტიური ნიშანი), რომელიც მეწარმეთა რომელიმე კოლექტივს ეკუთვნის, ასევე სასერტიფიკაციო ნიშანს, რომელიც ისეთ პირს ეკუთვნის, რომელიც თავად მეწარმე არ არის და არ იყენებს მას (შემდგომში სასერტიფიკაციო ნიშანი). კონკრეტულად, ამ ორი ნიშნის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების ანალიზის წარმოდგენამდე შევეხებით მათი ცნებების შინაარსს. ისმოს სანიმუშო კანონი განვითარებადი ქვეყნებისათვის (სასაქონლო ნიშნების შესახებ) განმარტავს: „კოლექტიური ნიშანი არის ნებისმიერი აღნიშვნა, რომელიც მფლობელის მიერ დასახელებულია, როგორც კოლექტიური და ემსახურება მოცემული საწარმოს პროდუქციისა და მომსახურების განსხვავებას სხვა საწარმოს პროდუქციისა და მომსახურებისაგან მათი საერთო მახასიათებლების საფუძველზე. ამასთან, მოცემული ნიშნის გამოყენება უნდა კონტროლდებოდეს მისი მფლობელის მიერ“. ამ განმარტების არეში ექცევა სასერტიფიკაციო ნიშანიც. ჩვეულებრივ სასაქონლო ნიშნისგან კოლექტიური ნიშანი განსხ-

ვავდება იმით, რომ თუ ჩვეულებრივი ნიშანი ეკუთვნის ნებისმიერ მეწარმეს, კოლექტიური ეკუთვნის კონკრეტულ პირთა, ან მეწარმეთა გაერთიანებას. ამასთან, თუ ჩვეულებრივ სასაქონლო ნიშანს თავად მფლობელი იყენებს, კოლექტიურ ნიშანს, როგორც წესი, მფლობელი-გაერთიანება არ იყენებს. გარდა ამისა, თუ ჩვეულებრივი ნიშანი ერთი საწარმოს პროდუქციის გამოსარჩევად არის გამიზნული, კოლექტიური ნიშანი გაერთიანების ყველა მეწარმეთა მიერ გამოშვებული საერთო მახასიათებლების მქონე პროდუქციის გამორჩევას ემსახურება.

კოლექტიური ნიშნების დაცვის თვალსაზრისით ქვეყნებს ყოფენ ოთხ ჯგუფად:

I – ქვეყნები, რომლებიც ითვალისწინებენ კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციას. ამ ქვეყანათა ჯგუფში შედის დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა, გარდა ინგლისისა და ირლანდიისა, დსთ-ს ქვეყნები, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ალჟირი, ბრაზილია, კუბა, ლიბანი, მაროკო, ფილიპინები, შრი ლანკა, სირია, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები.

II – ქვეყნები, რომლებიც ითვალისწინებენ სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციას. ამ ჯგუფს შეადგენს ინგლისი და მისი მიმდევარი ქვეყნები, ირლანდიისა და იორდანიის ჩათვლით.

III – ქვეყნები, რომლებიც ითვალისწინებენ ორივე სახის – კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების დაცვას. ამ ჯგუფს ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი, თურქეთი, ისრაელი და ზოგიერთი სხვა.

IV – სხვა ქვეყნები, რომლებიც არ ითვალისწინებენ არც კოლექტიურ და არც სასერტიფიკაციო ნიშნების დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ასეთ ჯგუფებად დაყოფა პირობითად შეიძლება ჩაითვალოს მართებულად, რადგან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები და გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ აიძულებენ ქვეყნებს უზრუნველყონ ორივე სახის ნიშნის დაცვა. საქართველოში კოლექტიური ნიშნის დაცვა გათვალისწინებული იყო პირველივე საკანონმდებლო აქტით – 1992 წ. დებულებით სასაქონლო ნიშნების შესახებ და ჩვენი აზრით, მისი ნორმები ორივე სახის ნიშნის რეგისტრაციის შესაძლებლობას იძლეოდა.

განვიხილოთ კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნის ურთიერთდამოკიდებულება, მათი ცნებების განმარტებიდან გამომდინარე.

კოლექტიურ ნიშანს ახასიათებს შემდეგი: მისი მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ გაერთიანება, რომელიც თავად არ იყენებს ამ ნიშანს. მას იყენებს გაერთიანებაში შემავალი საწარმოები. კოლექტიური ნიშანი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გაერთიანებაში შემავალი საწარმოების პროდუქცია ხასიათდება მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი საერთო სპეციფიკური თვისობრივი მახასიათებლებით. მოთხოვნები ამ მახასიათებლებისადმი აისახება კოლექტიური ნიშნის წესდებაში. საწარმო, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, კოლექტიური ნიშანს ვერ გამოიყენებს. ამდენად, კოლექტიური ნიშნის მთავარი დანიშნულებაა მიაწოდოს მომხმარებელს უტყუარი ინფორმაცია პროდუქციის სპეციფიკური თვისებების შესახებ, რასაც აკონტროლებს გაერთიანება.

სასერტიფიკაციო ნიშანი განიმარტება კოლექტიური ნიშნის მსგავსად და შეიცავს მასთან საერთო შემდეგ მახასიათებლებს: პირი, რომელიც ფლობს ასეთ ნიშანს თავად არ იყენებს მას. ამასთან, პროდუქცია, რომლის მოსანიშნადაც გამოიყენება ეს ნიშანი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ, დადგენილ საერთო თვისობრივ მახასიათებლებს. სასერტიფიკაციო ნიშნისაგან განსხვავებით კოლექტიური ნიშანი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ გაერთიანებაში შემავალმა საწარმომ. ამდენად, ნიშნის გამომყენებელთა წრე დახურულია და მკაცრად არის განსაზღვრული. სასერტიფიკაციო ნიშანი კი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც დააკმაყოფილებს პროდუქციისადმი დადგენილ სტანდარტულ მოთხოვნებს. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი ნიშანი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა მატყლის მეწარმე პირმა, თუ ის აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და მიიღებს უფლებას გამოყენებაზე მისი მფლობელისგან – I.W.S NOMINE COMPANY LIMITED, ინგლისი, ვის სახელზეც არის ის რეგისტრირებული საქართველოში ნომრით 5227.

ამასთან, სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის უფლებამოსილი პირი (სახელმწიფო ორგანოს ჩათვლით), რომელსაც უფლება აქვს გააკონტროლოს მოცემული ნაწარ-

მის ხარისხი (მისი გამოცდილებიდან, ცოდნიდან და ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე). სასერტიფიკაციო ნიშანს განსაკუთრებული ტერმინოლოგიითაც მოიხსენიებენ. მაგალითად, ისლანდიაში მას საერთო ხარისხობრივ ნიშანს უწოდებენ (COMMON QUALITY MARK), ევროპის გაერთიანების მიერ შემოთავაზებულია ტერმინი საგარანტიო ნიშანი (GUARANTEE MARK). პარიზის კონვენცია არ ითვალისწინებს სპეციალურ ტერმინს და მისი შინაარსი იგულისხმება კოლექტიური ნიშნის ტერმინით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასერტიფიკაციო ნიშანს, განხილულთან შედარებით, კიდევ უფრო მეტი სიახლოვე გააჩნია კოლექტიურ ნიშანთან. კერძოდ, უფლებამოსილი პირის ნებით, რომელიც ფლობს ნიშანს, მისი გამოყენების უფლებას მიიღებს მხოლოდ ის საწარმო, რომელიც არა მარტო დააკმაყოფილებს სტანდარტს პროდუქციის ხარისხზე, არამედ ისიც, რომელსაც „ღირსად" მიიჩნევს აღნიშნული სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი. ამდენად, მფლობელს შეუძლია თავისი შეხედულებით შეავიწროვოს ნიშნის გამომყენებელ საწარმოთა წრე.

სხვა ქვეყნებში საკმარისია საწარმომ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები, რომ მიიღოს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი და მთავარი განსხვავება კოლექტიურ ნიშანსა და სასერტიფიკაციო ნიშანს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკით ის არის, რომ სასერტიფიკაციო ნიშანი აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას პროდუქციის გარკვეული სტანდარტებისადმი შესაბამისობის თაობაზე, ხოლო კოლექტიური ნიშანი მიუთითებს, როგორც ნაწარმის სპეციფიკურ თვისებებზე, ასევე მოცემული საწარმოს გარკვეულ გაერთიანებაში წევრად ყოფნაზე.

პარიზის კონვენციის გარდა, ამჟამად მოქმედი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან კოლექტიურ და სასერთიფიკაციო ნიშნებს მოიხსენიებს ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ, რომელიც მე-2(2)(ხ) მუხლით აცხადებს: ეს ხელშეკრულება არ გამოიყენება კოლექტიური, სასერტიფიკაციო და საგარანტიო ნიშნების მიმართ. რაც შეეხება TRIPS-ის ხელშეკრულებას, ის სპეციალურად არ ეხება ამ სახის ნიშნებს. მაგრამ მე-15 მუხლის მიხედვით ნიშნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი აღნიშვნა. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ხელშეკრულება ხმარობს ტერმინს „ნიშანი", რაც ძალზე ფართოა და, რა თქმა უნდა, სხვა სახის სასაქონლო ნიშნებთან ერთად მოიცავს კოლექტიურ ნიშნებსაც. ყოველ შემთხვევაში, ნათქვამის გამომ-

რიცხავ ნორმას TRIPS-ი არ შეიცავს. ამ საკითხს ანალოგიურად უდგება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება და პროტოკოლი.

გაითვალისწინა რა თანამედროვე მოთხოვნები საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმა კოლექტიურ ნიშნებს ცალკე თავი მიუძღვნა, რომელიც მოიცავს 30-ე დან 38-ე მუხლებს. დადგინდა, რომ საქართველოში სასერტიფიკაციო ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება. კერძოდ 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კოლექტიური ნიშანი „... განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების, ან სხვა თვისებების მიხედვით". აქედან გამომდინარე, კოლექტიური ნიშნით ისარგებლებს მხოლოდ გაერთიანების წევრი პირი. ამ დასკვნას ადასტურებს ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც კრძალავს კოლექტიური ნიშნის გადაცემას ან მისი გამოყენების ლიცენზიის გაცემას იმ პირზე, რომელიც გაერთიანების წევრი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასერტიფიკაციო ნიშანი საქართველოს კანონმდებლობით დაცვის საგანი არ არის, რადგან, როგორც ცნობილია, სასერტიფიკაციო ნიშნით შეიძლება ისარგებლოს იმ პირმა, რომელიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და სულაც არ არის სავალდებულო გაერთიანების წევრობა.

ამ მიმართებით ბუნდოვანია სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც აწესებს, რომ „კოლექტიური ნიშნის განმცხადებელი და მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ გაერთიანება, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი". კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირად გულისხმობს სხვადასხვაგვარ ორგანიზაციულ წარმონაქმნებს, მათ შორის პოლიტიკური, ან სოციალური მიზნების განხორციელებისათვის შექმნილ პირს. როგორ უნდა მოიქცეს საქპატენტი, თუ კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციას მოითხოვს ასეთი სახის საჯარო სამართლის სუბიექტი? თავისი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური მიზნებისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არც საქონელს აწარმოებს და არც მომსახურებას ეწევა. ცხადია, რომ ეს პირი ვერც მეწარმეთა, ან მომსახურების გამწევ პირთა გაერთიანებას ვერ შეადგენს და ვერც მისი წევრი იქნება. ამდენად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის სუბიექტად საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ შეიძლება ჩაითვალოს, რა-

საც სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონი მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით ითხოვს.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირად შეიძლება მოგვევლინოს ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა „სამტრესტი". საქმიანობის შინაარსიდან და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულებიდან გამომდინარე მას გარკვეული კონტროლის ფუნქციები აქვს მინიჭებული ღვინისა და მაგარი სასმელების ხარისხზე. მაშასადამე, თუ სამტრესტი მოითხოვს ნიშნის რეგისტრაციას, მან რეგისტრირებული ნიშანი შეიძლება კოლექტიური სარგებლობის ნიშნად აქციოს, რისთვისაც თავის თავზე უნდა აიღოს ღვინისა და მაგარი სასმელების რეგულარული კონტროლი და ნიშნით სარგებლობის უფლება იმ საწარმოს მისცეს, რომელიც დააკმაყოფილებს ხარისხობრივ და სხვა მოთხოვნებს. ამის უფლებას კანონის ზემოთ განხილული მუხლი არ იძლევა. ირკვევა, რომ სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებს აწესებ და მხოლოდ გაუგებრობას შექმნის პრაქტიკაში. თუ, დავუშვათ და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა თავის სახელზე დაარეგისტრირა კოლექტიური ნიშანი როგორ უნდა გამოიყენოს იგი? ამ კითხვას რომ პასუხი გაეცეს საჭიროა შევეხოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაირსახეობას. ასეთი პირი, უპირველესად, თვით სახელმწიფოა[1]. მისი სახელით სამართლებივ ურთიერთობებს შეიძლება ახორციელებდეს სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი და სხვ. თუ კოლექტიურ ნიშანს სამინისტრო ან კომიტეტი დაარეგისტრირებს მათ შეუძლია ნებისმიერ პირს დართონ ნება ამ ნიშნის გამოყენებაზე, ან თვითონ გამოიყენოს. მაგრამ სამინისტრო, გაერთიანება არ არის (არც კომიტეტია გაერთიანება) და ამის შესაძლებლობას მას საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ მისცემს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება იყოს, აგრეთვე, საჯარო სამართლებრივი კორპორაცია, მაგალითად, თვითმმართველობის ორგანო (მუნიციპალიტეტი). თუ მუნიციპალიტეტი არჩევნების საფუძველზე შეიქმნა, მაშინ ის დამოუკიდებელი იურიდიული პირია და შეუძლია თავის სახელზე კოლექტიური ნიშანი დაარეგისტრიროს. მაგრამ, რადგან იგი გაერთიანება არაა ვერ ისარგებლებს ამ ნიშნით, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო.

---

[1] ლადო ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. „სამართალი", თბილისი, 1997, გვ. 246-251.

ცნობილია, აგრეთვე საჯარო სამართლებრივი დაწესებულებები, როგორიცაა სახელმწიფო ტელევიზია, სახელმწიფო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტი, სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი და სხვ. თუ ამ დაწესებულებებიდან რომელიმემ დაარეგისტრირა კოლექტიური ნიშანი იგი ასევე ვერ ისარგებლებს აღნიშნული ნიშნით, ზემოთ აღნიშნული მიზეზებით.

იგივე ითქმის ისეთ საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირებზეც, კერძოდ საჯარო სამართლებრივ ფონდებზე, მაგალითად, საგზაო ფონდზე. ასეთივე ვითარებაში იქნება პოლიტიკური პარტიებიც, რომლებიც თავის სახელზე სასაქონლო ნიშანს საერთოდ ვერ დაარეგისტრირებენ.

ცალკე საკითხია, შეუძლია თუ არა თავის სახელზე სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას. თუ შეუძლია, მაშინ იგი კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციასაც შესძლებს, მაგრამ მასაც საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი შეუქმნის გადაულახავ დაბრკოლებას ასეთი ნიშნის გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც ვხედავთ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს პრაქტიკულად არა აქვთ უფლება დაარეგისტრირონ კოლექტიური ნიშანი თავის სახელზე. მათ რიცხვშია ისეთი პირიც, როგორიცაა საქსტანდარტი. **ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელს შეიძლება ჰქონდეს უფლება კოლექტიური ნიშნის მოპოვებაზე და მისი გამოყენების ლიცენზიის გაცემაზე. ასეთ შემთხვევაში საქსტანდარტის ნიშანი ხარისხის გარანტიის ნიშანი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე დამზადებული პროდუქციისათვის** და, ერთდროულად, იმის საფუძველიც იქნებოდა, რომ საწარმოს ნება დართვოდა წარწერის: „დამზადებულია საქართველოში“, ან „ქართული ჩაი“ და ა.შ. გამოყენებაზე. სამწუხაროდ, საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამის საშუალებას კვლავ არ იძლევა.

განხილულს დავამატებდით, რომ **საქართველოში კოლექტიურ ნიშნად შეიძლება დარეგისტრირდეს გეოგრაფიული სახელწოდება**, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება საქონლის წარმოშობის ადგილს. მთავარია, რომ მომხმარებელი ამ ნიშნით არ იქნეს მოტყუებული. მაგალითად, თუ ღვინისათვის ნიშანი „წინანდალი“ გამოიყენება, მაშინ იგი ან წინანდალში უნდა იყოს დამზადებული და ჩამოსხმული, ან დამზადებული მაინც წინანდალში და ჩამოსხმული სხვა ადგილას. ამასთან, დაუშვებელია, რომ ღვი-

ნო დამზადდეს წინანდალში მოწეული ყურძნისაგან, მაგრამ არა წინანდალში, არამედ სხვა ადგილას და ასეთი ღვინის აღსანიშნავად გამოყენებული იქნეს ნიშანი „წინანდალი“. ამგვარი ნიშნის რეგისტრაციის მაგალითია „ხვანჭკარა“.

თავი 27. სასაქონლო ნიშნის დაცვითუნარიანობა

სასაქონლო ნიშნის დაცვითუნარიანობა ისეთი თვისებაა, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს იმ მიზნით, რომ ნიშნის მფლობელს მიენიჭოს განსაკუთრებული უფლება რეგისტრირებულ აღნიშვნაზე. მოთხოვნები დაცვითუნარიანობისადმი პრაქტიკულად უნიფიცირებულ კრიტერიუმებს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში მოქმედი ნებისმიერი ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამება პარიზის კონვენციის მე-6^quinquies მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით, მოქმედი საქათველოს კანონმდებლობაც არ არის გამონაკლისი.

საზოგადოდ, იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანმა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია, იგი უნდა პასუხობდეს კრიტერიუმების ორ სახეს: **აბსოლუტურსა და ფარდობითს (შედარებითს)**.

ტერმინები „აბსოლუტური და ფარდობითი“ ამ ბოლო ხანს, განსაკუთრებით 90-იანი წლების განმავლობაში, საკანონმდებლო ტერმინად იქცა.

როდესაც საუბარია აბსოლუტური ხასიათის კრიტერიუმებზე, იგულისხმება ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც თავად სასაქონლო ნიშანს მიეკუთვნება და არანაირად არ მიიღება მხედველობაში, თუ როგორ კავშირში და დამოკიდებულებაშია მოცემული ნიშანი სხვა არსებულ ნიშნებთან.

კრიტერიუმების ამ ჯგუფის თანახმად სასაქონლო ნიშანს შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი დაცვა თუ ის:

- **განმასხვავებელუნარიანია;**
- **არ არის შეცდომის გამომწვევი;**
- **არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საზოგადოებრივ წესრიგს.**

შეფარდებითი ხასიათის კრიტერიუმებს წარმოადგენენ ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას იძლევა, რომ შესწავლილ იქნეს მოცემული ნიშნის სამართლებრივი დამოკიდე-

ბულება სხვა რეგისტრირებულ ნიშნებთან. ანუ შეისწავლება, ხომ არ არის მოცემული ნიშანი კონფლიქტში სხვა ნიშანთან. თუ ეს კონფლიქტი სახეზეა, მაშინ დაცვას ექვემდებარება მხოლოდ ის ნიშანი, რომელიც კონფლიქტის წარმოშობამდე სარეგებლობდა სამართლებრივი დაცვით.

აბსოლუტური ხასიათის კრიტერიუმები

ამ ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმი წარმოადგენს. ამ კრიტერიუმის არსებობა გამომდინარეობს სასაქონლო ნიშნის შინაარსიდან, რომელიც ნიშანს აკისრებს მთავარ ფუნქციას – განასხვავოს ერთი საწარმოს პროდუქცია, ან მომსახურება მეორე საწარმოს ანალოგიური, ან იდენტური პროდუქციისა ან მომსახურებისაგან. აღნიშნულთან მიმართებაში თავად ნიშანი უნდა იყოს იმდენად ორიგინალური, რომ იგი იოლად იქნეს მიჩნეული ისეთად, რომელიც განსხვავდება უშუალოდ პროდუქციისა, ან მომსახურებისაგან და, აგრეთვე, მოცემული პროდუქციის ან მომსახურების დასახელებისაგან. მაგალითად, თუ ნიშნად გამოყენებულია აფხორილი ინდაურის თუნდაც სტილიზებული გამოსახულება, ის უშუალოდ ინდაურისთვის (როგორც გასაყიდ ნივთისათვის) განმასხვავებელუნარიანად ვერ იქნება ცნობილი. ამასთან იგივე ნიშანი შეიძლება მაღალი ხარისხის განმასხვავებელუნარიანობით ხასიათდებოდეს ისეთი პროდუქციისათვის, როგორიცაა, მაგალითად, საყვირები, ან სხვა სახის ბავშვთა სათამაშოები. უკვე ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ სასაქონლო ნიშნის შექმნა და შერჩევა კონკრეტული პროდუქციისათვის საკმაოდ რთული შემოქმედებითი ხასიათის პრობლემაა, რომლის სწორ გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული მეწარმის წარმატება. ამ პრობლემის გადაწყვეტას დასავლეთის ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა, სადაც მითითებული ხასიათის საქმიანობაზე დახელოვნებული მეწარმეობა არის ფეხმოკიდებული. ამ სფეროში მოსაქმე მეწარმეებს მაღალი კვალიფიკაციის სხვადასხვა სპეციალობების მქონე მუშაკები ჰყავთ დაქირავებული, რომელთა ამოცანაა შექმნან და შესთავაზონ კლიენტებს მაღალი განმასხვავებელუნარიანობით გამორჩეული სასაქონლო ნიშანი. ნიშანს არ მოეთხოვება, რომ აუცილებლად იყოს რაიმე კონკრეტული იდეის მატარებელი. იგი, როგორც ადრე აღინიშნა, შეიძლება სრულიად ახალ ფანტაზიურ, ანუ მოგონილ სიტყვას წარმოადგენდეს, ან აბსტრაქ-

ტულ გამოსახულებას, რომელშიც მომხმარებელი საკუთარ აზრს უფრო ჩააქსოვს, ვიდრე მისი შემქმნელის ჩანაფიქრს ამოიცნობს. ნიშნის შექმნისას და შერჩევისას საჭიროა განისაზღვროს გამოყენების ტერიტორიული ფარგლები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვიერი ნიშნებისათვის. თუ პროდუქცია გაიყიდება განსხვავებულ ენოვან ქვეყნებში, სიტყვის მნიშვნელობას უნდა მიექცეს ყურადღება თუნდაც ორი თვალსაზრისით: ერთი მხრივ, იყოს ადვილად გამოსათქმელი და მიმზიდველი ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ახასიათებდეს განმასხვავებელუნარიანობა. მაგალითად, სიტყვა „მარმელო“ საქართველოს მომხმარებლისთვის იოლად გამოსათქმელიცაა და განმასხვავებელუნარიანიც იქნება კომშის „მურაბეული“ ნაწარმისათვის. პორტუგალიაში კი ამგვარი ნიშანი განმასხვავებელუნარიანი ვერ იქნება იგივე ნაწარმისათვის, რადგან მოცემული სიტყვა ითარგმნება, როგორც „კომში“. კვლავ აღვნიშნავთ, რომ იგივე სიტყვა „მარმელო“ პორტუგალიაშიც შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სხვაგვარი ნაწარმის მოსანიშნავად. განმასხვავებელუნარიანობის შეფასება ბევრადაა დამოკიდებული მომხმარებლის მსოფლმხედველობაზე და წარმოდგენებზე, ისევე, როგორც მის ცოდნასა და ქვეყანაში არსებულ ტრადიციებზე. ამასთან, განმასხვავებელუნარიანობა უნდა იქნეს განსაზღვრული მომხმარებლის იმ ჯგუფის თვალსაზრისის გათვალისწინებით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი პროდუქცია. ეს კრიტერიუმი პოტენციურად უნდა იქნეს შეფასებული იმ ქვეყნის სასაქონლო ნიშნების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, სადაც უფლება მოიპოვება რეგისტრაციით და ნიშნის გამოყენებას შეიძლება წინ უსწრებდეს განაცხადის მიწოდება.

თეორიიდან ცნობილია, რომ ნიშანი განმასხვავებელუნარიანია პროდუქციის მიხედვით, რომელზეც ის გამოიყენება, ან უნდა იქნეს გამოყენებული, იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აღნიშვნა ცნობილ იქნა, ან შეიძლება იქნეს ასეთად ცნობილი, იმ მომხმარებლის მიერ, რომლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვისაც არის განკუთვნილი აღნიშნული ნაწარმი.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიტერიუმის „განმასხვავებელუნარიანობა“ შეფასება დამყარებულია ცვალებად მიდგომებზე და დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და სხვაგვარ მდგომარეობაზე. მომხმარებლის შეხედულებებისამებრ ეს კრიტერიუმი შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც „ძლიერი“ ან „სუსტი“. ამასთან, სუსტი ნიშანი დროთა განმავლობაში

ინტენსიური გამოყენებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაძლიერდეს, ხოლო ძლიერი ნიშანი კი შესუსტდეს იმდენადაც, რომ საერთოდ დაკარგოს განსხვავების უნარი. ასეთი შემთხვევა მაშინ არის სახეზე, როდესაც ნიშანი მრავალმხრივი და ინტენსიური გამოყენებით ჯერ იძენს საყოფაცხოვრებო აღიარებას – ხდება ცნობილი მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო იგივე მიზეზის გამო, შემდგომ იქცევა გვარეობით ცნებად, რომელსაც ყველა იყენებს გარკვეული სახის პროდუქციის აღსანიშნავად. ამგვარად, ერთ დროს ძლიერი სასაქონლო ნიშანი კარგავს თავის მთავარ თვისებას და ველარ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას – ემსახუროს გარკვეული საწარმოს პროდუქციის ინდივიდუალიზაციას. ასეთი ნიშნების მაგალითია: „პრიმუსი", „გრამოფონი", „ტეფლონი" და სხვა. ასეთი ბედი, როგორც წესი, ეწევათ ხოლმე მოგონილ, ფანტაზიურ ნიშნებს, რომლებიც თავიდან ძნელად იკვლევენ გზას აღიარებისაკენ და საჭიროებენ ინტენსიურ ძვირადღირებულ და ხანგრძლივ სარეკლამო კამპანიას. ამავე დროს, არიან მოგონილი სიტყვები, რომლებიც გახდნენ ცნობილ ნიშნებად, მაგრამ იმდენად თავისებურია, რომ, პრაქტიკულად, მათ არ ემუქრებათ ამგვარი შესუსტება. საქართველოში ასეთ ცნობილ ნიშნად შეიძლება დასახელდეს „სოლანი" – სამამულო ნიშანი, ან მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ნიშანი „KODAK".

ძლიერი განსხვავების უნარი შეიძლება ჰქონდეს ისეთ ნიშნებსაც, რომლებიც წარმოდგენილია სიტყვებით და მომხმარებელში იწვევს დადებით ასოციაციებს საქონლის მიმართ, რითაც ამახსოვრებს თავის თავს. ასეთ ნიშნებად გამოიყენება, გარკვეულწილად აღწერილობითი თვისებების მქონე სიტყვები. მაგრამ, თუ სიტყვა მხოლოდ პროდუქციის თვისებებს აღწერს, მაშინ მას განსხვავების უნარი ვერ ექნება. ამასთან, არის ისეთი ნიშნები, რომლებიც პირდაპირ არ აღწერენ საქონელს, მაგრამ ირიბად მიუნიშნებს მასზე. ასეთ ნიშნებს განმასხვავებელუნარიანად მიიჩნევენ. ამასთან, შეიძლება ნიშანი თავდაპირველად აღწერილობითობის გამო ვერ ხასიათდებოდეს განმასხვავებლობის უნარით, მაგრამ ხანგრძლივი გამოყენებით მოიხვეჭოს ეს თვისება და მომხმარებლის თვალში გახდეს ისეთად, რომელიც ერთი საწარმოს საქონელს განასხვავებს სხვა მეწარმეთა ამგვარ საქონლისაგან. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადი არ არის ნიშანი აღწერილობითია თუ ირიბად მიმანიშნებელი, საქონლის თვისება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და საკმარისად მიჩნეული ის ფაქტი, რომ ნიშანი

ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებოდა გარკვეული ნაწარმის მოსანიშნად და, თუ საკითხთან დაკავშირებით დავა არ არსებობს მეწარმეთა შორის, მაშინ ყოყმანი უნდა იქნეს უკუგდებული და დადგინდეს ნიშნის შესაბამისობა განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმისადმი.

სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას უნდა შემოწმდეს შემდეგი სახის აღნიშვნები:

- მარტივი გეომეტრიული ფიგურები, რთული ნახატები, ასოები, ციფრები;
- უცხოური დამწერლობა (იეროგლიფები) და ტრანსლიტერაცია;
- ფერები.

ჩამოთვლილ აღნიშვნებს შეიძლება გააჩნდეთ განსხვავების უნარი, თუ ისინი შესრულებულია ორიგინალურად, (არაჩვეულებრივად) ისე, რომ მომხმარებელმა შესძლოს მათი დამახსოვრება. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ, მაგალითად, ფერი, ასო, მარტივი გეომეტრიული ფიგურა ჩვეულებრივი სახით გამოსახული არ შეიძლება მონოპოლიზირებულ იქნეს ერთი სუბიექტის მიერ. ხოლო, რაც შეეხება რთულ ნახატებს, მაგალითად, კომპოზიციურად მრავალი გამოსახულებისაგან შემდგარს, ან მოზაიკურ, ან სხვა ორნამენტულ გამოსახულებებს, გასაგებია, რომ მათი დამახსოვრება და ერთ მეწარმესთან და საქონელთან დაკავშირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ასეთი ნიშნები, როგორც წესი, არ მიიჩნევა განმასხვავებელუნარიან სიმბოლოებად.

სასაქონლო ნიშნის დაცვითუნარიანობას განაპირობებს ის, რომ არ იყოს მომხმარებლისათვის შეცდომის გამომწვევი საქონლის თვისებების, წარმოშობის, დამზადების, გამოყენების, სასარგებლო შედეგის და ა.შ. თვალსაზრისით. ყველაზე გავრცელებულ მაგალითად ნიშნისა, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს შეცდომის გამომწვევად, გამოდგება გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება საქონლის მოსანიშნად, როდესაც სინამდვილეში ამ საქონელს მოცემულ გეოგრაფიულ ადგილთან კავშირი არ აქვს. მაგალითად, ამჟამად ფართოდ რეკლამირებადი ლუდი ნიშნით – „ყაზბეგი“. საკითხავია, არის რაიმე კავშირში ეს ლუდი ამავე სახელის მქონე დასახლებულ პუნქტთან, თუ არა. თუ ეს კავშირი ლუდის წარმოშობის ან დამზადების თვალსაზრისით არ არსებობს, მაშინ „ყაზბეგი“ აღნიშნული ლუდის მოსანიშნად არ უნდა გამოიყენებოდეს. სხვა სახის მაგალითად მოვიყვანთ სასმელებს, რომლებიც მონიშნულია

აღნიშვნებით: „ტარხუნა“, „ლიმონი“, „ცივი ჩაი“ და ა.შ. თუ ეს სასმელები სინამდვილეში არ არიან დაფუძნებული მოცემულ ნედლეულზე, მაშინ ნიშანი შეცდომის გამომწვევი იქნება.

თუ შევაჯამებთ ზემოთმოყვანილს, უნდა დავასკვნათ, რომ სასაქონლო ნიშანი არ არის შეცდომის გამომწვევი, თუ ის არ შეიცავს ცრუ მინიშნებებს. ამასთან, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორ იქნება წარმოდგენილი ეს მინიშნებანი სასაქონლო ნიშანზე – დომინირებულად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ. ყველა შემთხვევაში, ამგვარი ცრუ მინიშნებების მქონე ნიშანი არ შეიძლება განხილულ იქნეს დაცვითუნარიანად, და უფრო მეტიც, ასეთი ნიშანი ყოველთვის არის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ კანონმდებლობით დევნის ობიექტი.

სასაქონლო ნიშანი რომ სრულად აკმაყოფილებდეს აბსოლუტური ხასიათის მოთხოვნებს დაცვითუნარიანობისადმი, ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმებს და საზოგადოებრივ წესრიგს. ნიშანი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, თუ ის წარმოადგენს რაიმე ამორალური ხასიათის გამოსახულებას, ან შეურაცხმყოფელ სიტყვას. ნიშანი ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს, თუ მასში გამოსახულია (მთლიანად), ან შეიცავს სახელმწიფო ორგანოს ოფიციალურ სიმბოლოს, ან, ვთქვათ, ტერორისტული დაჯგუფების ემბლემას და ა.შ.

საქართველოს კანონი აღნიშნული ხასიათის ნიშნებს არ მიიჩნევს დაცვითუნარიანად, ისევე როგორც ნებისმიერი ეროვნული კანონი, თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტი. უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის კონვენცია შეცდომის გამომწვევ ნიშნებს უდგება ყველაზე მკაცრად და მოითხოვს, რომ ეროვნულმა კანონებმა აუცილებლად იქონიოს შესაბამისი ამკრძალავი ნორმები. უფრო რბილად, მაგრამ მაინც გამოკვეთილად მოითხოვება ანტიზნეობრივი და საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგო ნიშნების გამოყენების აკრძალვა. ამასთან, საკითხის გადაწყვეტა – განეკუთვნება ნიშანი თუ არა აღნიშნული კატეგორიის ნიშნებს, მთლიანად მინდობილია ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე.

თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა დავა ნიშნის „NUTELA“ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. სარჩელი კერძო პირმა აღძრა, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორმა ბიბილაშვილმა. სარჩელის თანახმად მას ტკბილეულის ყიდვისას უსიამოვნო შემთხვევა მოუვიდა, რომელიც ჩხუბით დასრულდა. გამყიდველ ქალს სხვანაირად შემოესმა კითხვა ნიშნით „NUTELA“ გასაყიდად

გამოტანილი, ქილაში მოთავსებული ტკბილეულის თაობაზე. სამწუხაროდ, სასამართლომ არ გააუქმა რეგისტრაცია, რაც არ გამორიცხავს მომავალში ქართველ მომხმარებელთა მიერ ერთმანეთთან ემოციურ დაპირისპირებას და ახალ დავებს. ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით ასეთი ნიშნის რეგისტრაციისას და მასთან დაკავშირებული დავის განხილვისას მეტი სიმკაცრის გამოჩენაა საჭირო.

ფარდობითი (შედარებითი) ხასიათის კრიტერიუმები

ამ ჯგუფის კრიტერიუმები გაერთიანებულია ტერმინით „ფარდობითი“, ანუ შედარებითი, რადგან შეფასებისას ხდება ერთმანეთთან შედარება, რათა გაირკვეს, ხომ არ ემთხვევა მოცემული ნიშანი უკვე არსებულს. გასაგებია, რომ ერთნაირ (ერთი და იგივე) სასაქონლო ნიშანზე არ შეიძლება განსაკუთრებული უფლება ეკუთვნოდეს ორ ან მეტ მეწარმეს. სხვაგვარად თუ გადმოვცემთ აღნიშნულის შინაარსს, სასაქონლო ნიშნანს უნდა გააჩნდეს სიახლე. გასაგებია, რომ „სიახლე“ ყოველთვის შედარებითი კრიტერიუმია. ეს კრიტერიუმი ახასიათებს სამრეწველო საკუთრების პრაქტიკულად ყველა ობიექტს და მისი არსებობა განაპირობებს პრიორიტეტის უფლებას. ამავე კრიტერიუმზეა დამყარებული პარიზის კონვენციით დადგენილი საპრიორიტეტო შეღავათი, რომლის შინაარსი ის არის, რომ საკუთარ ქვეყანაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის თარიღი ხდება ასათვლელ წერტილად და სარგებლობს უპირატესობით ყველა სხვა განაცხადთან შედარებით იმ უცხოეთის ქვეყანაში, სადაც მოცემული ნიშნის მფლობელმა მიაწოდა განაცხადი იმავე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. აღნიშნული შეღავათით სარგებლობა შეიძლება, თუ საკუთარ ქვეყანაში განაცხადის მიწოდების დღიდან ექვსი თვე გასული არ არის. თუ ეს ვადა არ იქნა დაცული და განაცხადი სხვა ქვეყანაში მიეწოდა ექვსი თვის შემდეგ, თუნდაც ერთ დღის დაგვიანებით, უფლება საკონვენციო პრიორიტეტზე იკარგება. როგორც ცნობილია გამოგონების, სასარგებლო მოდელის, ან სამრეწველო ნიმუშის სიახლის განსაზღვრისას შედარება უნდა მოხდეს ნებისმიერი გზით საინფორმაციო წყაროებიდან ცნობილ იდენტურ გამოგონებასთან, სასარგებლო მოდელთან, ან სამრეწველო ნიმუშთან. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა რა სახის პუბლიკაცია იქნება ეს. თუ საპატენტო ინფორმაციას ავიღებთ შედარებისათვის, არ უნდა მიექცეს

ყურადღება განაცხადია გამოქვეყნებული, თუ უკვე დაპატენტებული გამოგონება.

სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში შედარება ხდება მხოლოდ მოცემულ ქვეყანაში რეგისტრირებულ ან საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებთან, აგრეთვე საფირმო სახელწოდებებთან. ამდენად, მხედველობაში არ მიიღება სხვა სახის პუბლიკაციები, ან სხვა ქვეყნის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების შესახებ. სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში ყველა ქვეყანა სიახლეს განსაზღვრავს ლოკალურად. მართალია, სხვა სახის პუბლიკაციები არ გამოიყენება, მაგრამ თუ საკითხი დადგა სიახლის განსაზღვრის შესახებ იმ ქვეყანაში, სადაც განსაკუთრებული უფლება მოიპოვება გამოყენებით, მაშინ უნდა შემოწმდეს, როდის იქნა პირველად გამოყენებული კონკურენტი სასაქონლო ნიშანი და პრიორიტეტი განისაზღვროს ამ ინფორმაციის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უფლებების მოპოვება ხდება რეგისტრაციის გზით, კანონმდებლობა პრიორიტეტის მიმართ (სიახლე) ადგენს სპეციალურ მოთხოვნას, რომ, თუ ორი ერთი და იგივე ნიშანი ერთი და იგივე დღეს იქნა წარდგენილი სარეგისტრაციოდ, მაშინ უპირატესობა (პრიორიტეტი) ენიჭება იმ ნიშანს, რომელიც პირველად იქნა გამოყენებული.

სასაქონლო ნიშნის, სხვა არსებულ ნიშნებთან შედარებისას, სიახლე განისაზღვრება არა მარტო იდენტურობის დადგენით, არამედ იმითაც, ხომ არ არის ნიშნები იმდენად მსგავსი, რომ შეცდომა გამოიწვიოს და ამით შესაძლებელი გახადოს საქონლის, ან მეწარმეთა ერთმანეთში აღრევა. ამგვარი შედარება გაცილებით მეტი სუბიექტურობით ხასიათდება, ვიდრე იდენტურობის დადგენა და თავისი შინაარსით ახლოს არის გამოგონების კრიტერიუმის „საგამომგონებლო დონე“ შეფასებასთან. ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ნიშანი განცალკევებით უნდა შედარდეს სხვა ნიშნებს, ანუ დაუშვებელია შედარება ერთზე მეტ ნიშანთან. მსგავსობაზე დასკვნას ვერ გამოვიტანთ იმ მოტივით, რომ სასაქონლო ნიშნის შემადგენელი სიმბოლოები მსგავსია, ან იდენტურია სხვადასხვა სასაქონლო ნიშნებში განთესილი სიმბოლოებისა.

ფარდობითი კრიტერიუმებისადმი მოთხოვნებს ითვალისწინებს ნებისმიერი ქვეყნის კანონი და უნდა ითქვას, რომ ამ კრიტერიუმების შეფასება ძალზე რთულია და დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის პრაქტიკაზე და სამართლებრივ პრინციპებზე. საკითხს,

თუ როგორ უნდა იქნეს შეფასებული მსგავსება, ამომწურავად ვერ პასუხობს ვერც ერთი ქვეყნის კანონი. მისი ინტერპრეტაცია შემოიფარგლება იმით, რომ დგინდება პრინციპი: „ნიშნები არ უნდა იყოს იმდენად მსგავსი, რომ მომხმარებელი შევიდეს შეცდომაში, ან მოხდეს აღრევა". შეცდომის ხარისხზეა დამოკიდებული ნიშნების მსგავსების ხარისხი და, შესაბამისად, დაცვითუნარიანობა. თუ მოცემული ნიშანი ემთხვევა, ან მსგავსია სხვა მოქმედი ნიშნისა, რომელიც სარგებლობს პრიორიტეტით, მაშინ ეს ნიშანი დაცვითუნარიანი ვერ იქნაბა.

ყოველივე აღნიშულის თანახმად, სასაქონლო ნიშანი დაცვითუნარიანია, თუ ის პასუხობს აბსოლუტური და ფარდობითი ხასიათის კრიტერიუმებს. ამ კრიტერიუმების მიხედვით ნიშნის რეგისტრაციის უარის თქმის ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-4 და მე-5 მუხლები.

გვინდა ცალკე შევეხოთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის თანახმად ნიშანი არ უნდა დარეგისტრირდეს, თუ ის იდენტურია მასზე „უფროსი" საფირმო სახელწოდებისა, ან სამრეწველო ნიმუშისა. კანონი დუმს სასაქონლო ნიშნისა და საავტორო სამართლის ობიექტის ურთიერთდამოკიდებულებაზე. საზოგადოდ, ინტელექტუალური საკუთრების სამართლიდან ცნობილია, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენებით შეიძლება დაირღვეს საავტორო უფლებები. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს საავტორო სამართლის ნორმები. კერძოდ, საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მიხედვით დარღვევად განიხილება ნაწარმოების ნებისმიერი გამოყენება კომერციული მიზნით. სწორედ ასეთ გამოყენებად შეიძლება დაკვალიფიცირდეს სასაქონლო ნიშნად სხვისი ნაწარმოების, ან ნაწარმოების არსებითი ნაწილის რეგისტრაციის მცდელობა. შესაბამისად ასეთი შემთხვევის გამოვლენისას უნდა აიკრძალოს ნიშნის რეგისტრაცია, ან გაუქმდეს უკვე რეგისტრირებული ნიშანი.

თავი 28. სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვება

სასაქონლო ნიშნების დაცვის პრაქტიკით ჩამოყალიბდა ორგვარი მიდგომა ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვების თვალსაზრისით.

პირველის თანახმად, **განსაკუთრებული უფლების მოპოვება რაიმე სპეციალურ წესთან დაკავშირებული არ არის. საამისოდ არ მოითხოვება რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვა**. მეწარმე თავისუფლად (კანონის დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში) ქმნის და ირჩევს მისთვის მისაღებ სიტყვას, თუ გამოსახულებას, ან სხვა სახის სიმბოლოს და პირდაპირ იყენებს მას თავისი საქონლის მოსანიშნად. განსაკუთრებული უფლების მოპოვება, აღნიშნული პრინციპით, ხდება კონკრეტული აღნიშვნის გამოყენების ფაქტით. უფლებების მოპოვების ასეთი წესი ახასიათებს ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მიმდევარ ქვეყნებს, სადაც სასაქონლო ნიშანზე უფლება დაცულია საერთო სამართლით და სპეციალური რეგისტრაცია აუცილებელი არ არის. „გამოყენება", განსაკუთრებული უფლების მოპოვების კუთხით, ნიშნავს სასაქონლო ნიშნის აღბეჭდვას პროდუქციაზე, ან შეფუთვაზე, ან მომსახურების თანმხლებ მასალაზე, ან მოცემული ნიშნის პრესით, ტელევიზიით, რადიომაუწყებლობით ან სხვა გზით რეკლამირებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ნიშნის სიმბოლური გამოყენება საკმარისი არ არის მასზე უფლებების მოპოვებისათვის. საჭიროა საკმაოდ ხანგრძლივი გამოყენება ისე, რომ ნიშანი მომხმარებელთა თვალში დაუკავშირდეს რომელიმე კონკრეტულ საქონელსა და მეწარმეს. როგორც ცნობილია, სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვა ხორციელდება ტერიტორიული ნიშნით იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც მოხდა განსაკუთრებული უფლების მოპოვების ფაქტი. როდესაც უფლება მოიპოვება ფაქტობრივი გამოყენების გზით პასუხია გასაცემი კითხვაზე, თუ რა ტერიტორიაზე იმოქმედებს აღნიშნული უფლება.

ვთქვათ, მეწარმე თავის საქონელს ასაღებს ქვეყნის გარკვეულ ადგილას, რომელიმე რაიონის, ან ქალაქის ფარგლებში, ხოლო ფედერალური ტიპის მოწყობის სახელმწიფოში მეწარმემ აღნიშნული საქმიანობა შეიძლება აწარმოოს ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის, მიწის ან შტატის და ა.შ. ფარგლებში. რა ტერიტორიით არის დაცული (მოპოვებული) განსაკუთრებული უფლება ამ შემთხვევაში? მართებულია დავეთანხმოთ სპეციალისტთა იმ აზრს, რომ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ნიშნის ცნობილობაზე მო-

სახლეობისათვის. თუ ნიშანი ცნობილია გარკვეული ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლის) თვალში, მაშინ განსაკუთრებული უფლება დაცული იქნება ამ კონკრეტულად აღებული ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში. თუკი ნიშანი ცნობილი გახდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაშინ განსაკუთრებული უფლებაც მოპოვებული იქნება ამ ქვეყნის სახელმწიფოს ფარგლებში.

მაშასადამე, **როდესაც განსაკუთრებული უფლება მოიპოვება ფაქტობრივი გამოყენების გზით ნიშნის მფლობელმა უნდა ამტკიცოს გამოყენების ფაქტის საკმარისობა ტერიტორიული ფარგლების ჩათვლით.** მართალია, საერთო სამართლის ქვეყნებში განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე მოიპოვება გამოყენებით, მაგრამ პარალელურად არსებობს შესაძლებლობა, რომ მეწარმემ რეგისტრაციაში გაატაროს საკუთარი ნიშანი, რაც მას მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ათავისუფლებს და ურყევს ხდის მის უფლებებს. რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ საჯარო სამართლის სუბიექტ-ორგანოში – საპატენტო უწყებაში. ეს უწყება ნიშნის რეგისტრაციის ფაქტს სპეციალური პუბლიკაციის სახით ხელმისაწვდომს ხდის პირთა განუსაზღვრელი წრისათვის.

სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვების მეორე გზა ითვალისწინებს ნიშნის აუცილებელ რეგისტრაციას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული უფლების მოპოვება დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე და მეწარმე ამ უფლების მოპოვებისათვის იძულებულია დაიცვას დადგენილი მოთხოვნები სასაქონლო ნიშნისადმი. განსაკუთრებული უფლებების მოპოვების აღნიშნულ პრინციპზეა დამყარებული კონტინენტური ევროპის სამართლის მიმდევარი ქვეყნების კანონმდებლობა. ამ ქვეყნებში ნიშნის მფლობელს ხელთ აქვს მყარი მტკიცებულება რეგისტრაციის ფაქტის სახით იმის შესახებ, რომ მას გააჩნია განსაკუთრებული უფლება მთელი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში და თარიღიც ცნობილია, როდიდანაც აითვლება მისი უფლება. გარდა ამისა, რეგისტრაციის ფაქტი საშუალებას აძლევს ნიშნის მფლობელს განაცხადის შეტანის თარიღიდან ისარგებლოს პარიზის კონვენციით დადგენილი საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით, თუ სხვა ქვეყანაში დააპირებს იგივე ნიშანზე უფლებების მოპოვებას.

ასეთი უფლებით ვერ ისარგებლებს გამოყენების ფაქტით მოპოვებული განსაკუთრებული უფლების მფლობელი. თუმცა, თუ ნიშანი ცნობილი გახდა საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაშინ

ასეთი ნიშნის მფლობელს შეუძლია თავისი უფლებების დასაცავად გამოიყენოს ნიშნის „ცნობილობის პრინციპი".

საქართველოს კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ მისდევს კონტინენტური ევროპის სამართალს და განსაკუთრებული უფლებების მოპოვებას უკავშირებს რეგისტრაციის ფაქტს. ამდენად, თუ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მეწარმეებს სურთ, რომ იქონიონ განსაკუთრებული უფლებები თავიანთ სასაქონლო ნიშნებზე, მათ უნდა დაარეგისტრირონ ისინი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში".

თანამედროვე საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთაშორისო ნორმების შემუშავება ქვეყნების კანონებს უფრო ჰარმონიზებულს ხდის და ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ქვეყანა იზიარებს არსებულ სხვადასხვა სამართლებრივ პრინციპს. ასე მაგალითად, გერმანიის ამჟამინდელი კანონმდებლობის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შეიძლება როგორც რეგისტრაციით, ასევე ფაქტობრივი გამოყენებით. საქართველოში, სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ფაქტობრივი გამოყენება იძლევა უფლებას უპირატესობაზე მხოლოდ რეგისტრაციის დროს, თუ ერთი და იგივე ნიშანზე ორი ან მეტი მეწარმე აცხადებს პრეტენზიას.[1]

გერმანიაში მოქმედი წესი კი იძლევა შესაძლებლობას, რომ გამოყენებით მოპოვებული განსაკუთრებული უფლების მფლობელმა მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა და ედავოს რეგისტრაციის გზით მოპოვებული განსაკუთრებული უფლების მქონე პირს, როგორც სამოქალაქო სამართლის ნორმებით, ასევე მოითხოვოს რეგისტრირებული ნიშნის გაუქმება.

სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, იწყება სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ სასურველი სიმბოლოს შერჩევით და მასზე საგანაცხადო მასალების მომზადებითა და „საქპატენტში" წარდგენით. როგორც აღინიშნა, სასაქონლო ნიშნად შეიძლება შერჩეულ იქნეს ჩვეულებრივი სიტყვა, ან სპეციალურად იქნეს ის მოგონილი. ასევე, შეიძლება სპეციალურად შეიქმნას გა-

---

[1] ეს ნორმა 1992 წლის დებულებიდან „სასაქონლო ნიშნების შესახებ" იქნა ნასესხები უცვლელად და უნდა ითქვას, რომ მან ფრანგი სპეციალისტების ინტერესი გამოიწვია. თავის დროზე ამ ნორმის შემუშავების ინიციატორი ბატონი სერგო ჯორბენაძე იყო.

მოსახულება, ან შერჩეულ იქნეს უკვე არსებულ გამოსახულებათა რიცხვიდან. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ იქნეს დარღვეული სხვისი საავტორო უფლებები.

სასაქონლო ნიშანი რომ მომავალში წარმატების მომტანი იყოს, გასათვალისწინებელია მრავალი ასპექტი. ერთი მხრივ, მეწარმემ უნდა შექმნას, ან აირჩიოს ისეთი აღნიშვნა, რომელიც მკვეთრად იქნება განსხვავებული მიმოქცევაში მყოფ ნიშნებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშვნას უნდა გააჩნდეს უნარი მომხმარებლამდე მიიტანოს გარკვეული სახის დადებითი ასოციაცია და შეუქმნას მას პოზიტიური განწყობა პროდუქციისადმი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეწარმე ესწრაფვის ნიშნის მეშვეობით გადასცეს მომხმარებელს ახალი ნაწარმის თავისთავადობის გამოხატულება ან საკუთარი საწარმოსადმი კეთილი სახელის შენარჩუნებისათვის სასურველი განწყობა და თან ისე, რომ არ იგრძნობოდეს ძალდატანება.

საუკეთესო ნიშანი ისეთი ნიშანია, რომელიც უშუალოდ, ან ირიბად მიაწვდის მომხმარებელს ინფორმაციას საქონლის შესახებ. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, საუკეთესო ნიშანი უნდა ვეძიოთ არსებულ სიტყვათა შორის. მაგრამ, აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოცემული ნაწარმისათვის სიტყვა არ უნდა იყოს აღწერილობითი. მაგალითად, აღნიშვნა „შავი ლუდი", ან „სპორტსმენის ფეხსაცმელი" კარგი ინფორმაციის მატარებელია, მაგრამ განმასხვავებელუნარიანობა არა აქვს შესაბამისად ლუდისა ან ფეხსაცმლისათვის და, ამდენად რეგისტრაციაში ვერ გატარდება. ამავე დროს ისეთი აღნიშვნა, როგორიცაა „ნაზი მეწამული" ქალთა პომადისათვის პრაქტიკულად სრული ინფორმაციის მატარებელია მისი ფერის და თვისების შესახებ, მაგრამ აღწერილობითი არ არის.

ირიბად ინფორმაციის გადმოცემა ნაწარმის შესახებ, ხშირ შემთხვევაში, უფრო მომგებიანია, ვიდრე პირდაპირი (პრიმიტიული) გადმოცემა. ადამიანი მიჩვეულია იაზროვნოს შედარებების საფუძველზე. ამასთან, თუ მომხმარებელს მიეცემა საშუალება ირიბი შედარების საფუძველზე მივიდეს პოზიტიურ განწყობამდე მოცემულ ნიშნისადმი და აღმოაჩინოს გარკვეული კავშირი პროდუქციასთან, მაშინ სასაქონლო ნიშანი ძლიერი განსხვავების უნარითაც გამოირჩევა და წარმატებითაც იფუნქციონირებს საქონლის მიმოქცევის სფეროში. შედარებითი სასაქონლო ნიშანი ისე უნდა შეირჩეს, ან შეიქმნას, რომ ინფორმაცია პროდუქციის შესახებ წარმოადგინოს პოზიტიური კუთხით. ამასთან, ამგვარი ინფორმაცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი საპირსპირო შედარებითაც. მაგალითად, სიტყვა

„გოლიათი“ როგორც მომსახურების ნიშანი მაღაზიისათვის, სადაც იყიდება მხოლოდ დიდი ზომის ტანსაცმელი პირდაპირი შედარების მატარებელია. იგივე სიტყვა, თუ ის იქნა გამოყენებული მსუბუქი მანქანებისათვის, როგორიცაა ყველაზე მცირელიტრაჟიანი მანქანა, საპირისპირო შედარების მატარებელია. მანქანებისათვის ურთიერთსაწინააღმდეგო შედარების მქონე ნიშნებია „იაგუარი“ და „კუ“. ხშირ შემთხვევაში საპირისპირო შედარება კეთილი განწყობის გამომწვევია და მომხმარებელში ზრდის შეძენის სურვილს.

სასაქონლო ნიშნების შექმნისა და შერჩევის პრობლემას, ისევე, როგორც აღქმის ფსიქოლოგიას, დაწვრილებით, მაღალი პროფესიონალიზმით განიხილავს ბატონი კასპერ ჯ.ვერკმანი თავის წიგნში „TRADE MARKS. THEIR CREATION PSYCHOLOGY AND PERCEPTION“. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს მივაწოდოთ მისი მნიშვნელოვანი შეხედულებანი სასაქონლო ნიშნის შერჩევის შესახებ. თვალსაჩინოა, რომ ირიბი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ უფრო ხატოვანი ინფორმაციაა და ემსახურება ამა თუ იმ ნაწარმის „ხატოვანი სახის“ შექმნის ამოცანას. ბუნებრივია, ყოველი მეწარმე ცდილობს რაც უფრო შეიძლება გააძლიეროს ნიშნის ეს ფუნქცია და თვისება. უპირველეს პლანზე ნაწარმის ხარისხია, რომელიც უკვე სასაქონლო ნიშნის მიმოქცევაში შემოტანამდე უნდა იყოს ცნობილი, რათა მან შესძლოს მომხმარებლის ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, თუ ნაწარმი ახალია, მან მომხმარებელში უნდა დაიმკვიდროს გამოკვეთილი საკუთარი სახე – და ამასაც ხელი უნდა შეუწყოს სასაქონლო ნიშანმა, ისე, რომ, იმავდროულად დააკმაყოფილოს გარკვეული კატეგორიის მომხმარებლების წარმოდგენები. მაგალითად, მდიდარ ხალხს თავისი წარმოდგენები და მოთხოვნები გააჩნია მსუბუქ ავტომანქანებისადმი, ძვირფასეულობისადმი და ა.შ. მომხმარებლის ამ ჯგუფზე გამიზნულმა სასაქონლო ნიშანმა რომ შექმნას მყარი საკუთარი „ხატოვანი სახე“, ეს წარმოდგენები არ უნდა გააწბილოს. ირიბი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის საქონელზეა გამიზნული სასაქონლო ნიშანი, როგორც წესი, არ გადმოსცემს საქონლის რეალურ თვისებებს, მაშინ, როდესაც, პირდაპირი ხასიათის ინფორმაცია ყოველთვის არის დაფუძნებული საქონლის არსებული თვისებების გადმოცემაზე.

სასაქონლო ნიშანი ინფორმაციას გადმოსცემს, თუ დაცულია შემდეგი პირობები:

– სასაქონლო ნიშნის (შემადგენელი) ელემენტები პირდაპირ, ან ირიბად გამოხატავენ, ან ასახელებენ ნაწარმის მახასია-

თებელს, ან მონაცემებს საწარმოს შესახებ, ან მომსახურების შესახებ;

– სასაქონლო ნიშანი, მთლიანობაში, ან მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტები ზემოქმედებენ მომხმარებელზე ისე, რომ მათ უნდა აღიქვან ინფორმაცია, გაიგონ და გაითავისონ მოცემულ აღნიშვნაში ჩადებული დედააზრი, იდეა.

აღნიშნული პირობები რომ დაკმაყოფილდეს, არსებობს შემდეგი შესაძლებლობანი:

ა) როდესაც აღნიშვნა წარმოადგენს საყოველთაოდ მიღებულ სიმბოლოს, რომელიც გამოხატავს კარგად ცნობილ ობიექტს. ასეთი სასაქონლო ნიშანი იოლად მიიტანს ინფორმაციას მომხმარებლამდე. მაგალითად შეიძლება იქნეს მოყვანილი ნიშანი „ЛЕСНОЙ ЛАНДЫШ", რომელიც სუნამოს აღსანიშნავად გამოიყენება და ამავე დროს აღწერილობითი არ არის

ბ) თუ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს საყოველთაოდ მიღებულ სიმბოლოს, მაგრამ გამოხატავს არცთუ კარგად ცნობილ ობიექტს, მაშინ საჭიროა დამატებითი განმარტების გამოსახვა ნიშანში. სხვანაირად მომხმარებელი თავად იმსჯელებს პროდუქტის თვისებაზე და შეიძლება ვერ ჩასწვდეს ნიშნის აზრს. მაგალითად, გამოსახულება სტილიზებული რომბის სახისა, მიუხედავად იმისა, რომ გამოსახავს ცნობილ სიმბოლოს, მომხმარებლისათვის არაფრისმთქმელია. თუ კი მისი მფლობელი იაპონური ფირმა „სუმიტომო" განმარტავს, რომ მოცემული აღნიშვნა წარმოადგენს იაპონური ჭის თავსახურის სტილიზებულ გამოსახულებას, რომელიც იაპონელთათვის ულევი სიუხვის გამომხატველია, მაშინ მომხმარებელს გარკვეული დადებითი ემოციები წარმოექმნება ამ ნიშნით წარმოდგენილი ნაწარმისადმი.

გ) თუ სიმბოლო მოსახლეობისათვის უცნობია, მაშინ ის საჭიროებს უფრო მეტ ძალისხმევას, რათა მომხმარებლამდე მიიტანოს შესაბამისი ინფორმაცია.

დ) თუ სასაქონლო ნიშნად შერჩეული სიმბოლო თავად არის უცნობი, და ამასთან ერთად უცნობია ის ობიექტიც, რომელსაც ის გამოხატავს, მაშინ მეწარმესაგან საჭიროა ხანგრძლივი სარეკლამო კამპანია ნიშნის აზრის განმარტებისათვის და მასზე ინფორმაციის მომხმარებლამდე მიტანისათვის. ასეთი სახის აღნიშვნის მაგალითად გამოდგება საქართველოში ჩინური იეროგლიფებისაგან შემდგარი სიტყვის რეგისტრაცია ან რაიმე სრულიად აბსტრაქტული ხასიათის გამოსახულე-

ბით წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება არც იყოს საჭირო რაიმე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რათა მომხმარებელმა თავად გაიგივეოს მოცემული ნიშანი საქონელთან, ან მეწარმესთან.

მომხმარებელი სხვადასხვაგვარად იცნობს სიმბოლოებს და იმ ობიექტებს, რომლებსაც გამოხატავს ისინი. ერთნი უფრო კარგად არიან გათვითცნობიერებულნი, ხოლო მეორენი ნაკლებად. შესაბამისად, საქონლის შესახებ ინფორმაციის მომხმარებლამდე მიტანა დამოკიდებულია იმაზე, თუ:

- როგორ არის სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ელემენტები ასახული მასში;
- რამდენად ადვილად არის შესაძლებელი აღნიშნული ელემენტების აღქმა და მათ შესახებ გარკვეული აზრის ჩამოყალიბება.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სასაქონლო ნიშნებში ხშირად გამოიყენება მარტივი ელემენტები ისეთი ობიექტების სახით, როგორიცაა მზე, ვარსკვლავები, ადამიანის ფიგურა და სხვა. ეს ობიექტები არამარტო თავად არის საყოველთაოდ ცნობილი, არამედ მათ სიმბოლოებსაც ძალზე კარგად იცნობს მომხმარებელი. მაგრამ ამ მარტივ სიმბოლოთა ამოცანა ზოგჯერ რთულია. ეს მაშინ ხდება, როდესაც:

- ცნობილი ობიექტები წარმოდგენილია უჩვეულო, ან მეტად აბსტრაქტულად გამოსახული სიმბოლოების მეშვეობით;
- გამოიყენება უჩვეულო სიმბოლოები ისეთი ობიექტების გამოსახვისათვის, რომლებიც თავად არის უცნობი ან უჩვეულო მომხმარებლის კონკრეტული კატეგორიისათვის.

ძნელია ვივარაუდოთ, რომ ინფორმაცია პროდუქციის შესახებ მიაღწევს მომხმარებლამდე, როდესაც ნიშანში ასახული ობიექტი და მისი სიმბოლო მისთვის სრულიად უცნობია. ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს სასაქონლო ნიშნის დამკვიდრების პროცესზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში პირიქით, ხელს უწყობს მას და მიზანშეწონილიც კი არის რომ მეწარმემ მიმართოს სასაქონლო ნიშნის ასეთი ელემენტებით აღკაზმას. ასეთი ხერხი კარგია, მაგალითად, ფარმაცევტული პრეპარატებისათვის.

ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იმას, რომ მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფები საერთოდ ვერ აღიქვამენ სასაქონლო ნიშნებზე წარმოდგენილ სიმბოლოთა შინაარსს, რის გამოც სასაქონლო ნიშანი მათთვის მისაღები ვერ იქნება იმდენად, რომ მოსა-

ლოდნელიც კი იქნება ამ ნიშნის (და მასთან ერთად ნაწარმის) მასხარად აგდება. ამასთან, სიმბოლოს არაჩვეულებრივობა, მისი სიახლე, ხშირად გამოიყენება ისეთი შთაბეჭდილების შექმნისათვის, რაც უფრო გააძლიერებს მომხმარებელში პროდუქტის შეძენის სურვილს. ეს მაშინ ხდება, როდესაც მოცემული აღნიშვნა ერთგვარი პრესტიჟულობითა და ნატიფობით, დახვეწილობით აღავსებს ნაწარმს. აღნიშნული ეფექტი მაშინ მიიღწევა, როდესაც ნიშნის ინფორმაციის გადმომცემი ელემენტები განლაგებულია სწორად შერჩეულ ადგილას და ცნობილი, ჩვეული ელემენტები უცნობ, უჩვეულო ელემენტთა რიგში გადადის.

ყოველივე აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ სასაქონლო ნიშნები, შემდგარი ნაცნობი აღნიშვნებისაგან მომხმარებელში აღძრავს ნდობის გრძნობას, ადვილად აღიქმება, მაგრამ ამასთან ერთად, ორიგინალობით არ გამოირჩევა. ახალი უჩვეულო გამოსახულებები მათი სიახლის გამო ხშირად მომხმარებელს არ მოსწონს, ძნელად აღიქმება, მაგრამ ამასთანავე ორიგინალობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მეწარმემ მხედველობაში უნდა იქონიოს მოცემული მოსაზრებანი და მათთან ერთად გაითვალისწინოს დღევანდელი ვითარება, მოდის მოთხოვნილებანი, ვაჭრობის ტენდენციები და სხვა, რათა შექმნას მისთვის წარმატების მომტანი სასაქონლო ნიშანი და მოიპოვოს მასზე განსაკუთრებული უფლებები.

სასაქონლო ნიშნის შექმნისა და შერჩევის შემდეგ მეწარმემ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები განსაკუთრებული უფლებების მოპოვების მიზნით. „განსაკუთრებული უფლება“ ანუ უფლება, რომ აღნიშნული მეწარმე საკუთარ სასაქონლო ნიშანს მოექცეს თავისი სურვილითა და შეხედულებებით, აუკრძალოს ნებისმიერ სხვა პირს მისი გამოყენება ან მიბაძვა, როგორც უკვე აღინიშნა, მოიპოვება ფაქტობრივი გამოყენებით ან სპეციალური რეგისტრაციით. პირველ შემთხვევაში მეწარმემ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს ნიშნის გამოყენება გაძლიერებული რეკლამირებით, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაარწმუნოს მომხარებელი ნიშნის მისდამი კუთვნილებაში. განსაკუთრებული უფლებების მოპოვების დასადასტურებლად მეწარმეს უნდა შეეძლოს დაამტკიცოს, როგორც პირველი გამოყენების ფაქტი, ასევე გამოყენების ინტენსიურობა. როგორც ვიცით იმ ქვეყნებში, რომლებიც მისდევენ უფლებათა მოპოვების ამ გზას პარალელურად, გათვალისწინებულია სასაქონლო ნიშნების სარეგისტრაციო სპეციალური სისტემა. როგორც წესი, მეწარმენი ამ შესაძლებლობას ფართოდ იყენებენ, რაზედაც მოწმობს ამერიკის, ინგლისის, კანადის სასაქონლო ნიშნე-

ბის რეგისტრაციის სტატისტიკა. ამ ქვეყნებში რეგისტრაციის ფაქტს დეკლარაციული და არა კონსტიტუციური ხასიათი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგისტრაცია ქმნის განსაკუთრებული უფლების კონკრეტული მეწარმის მიერ ფლობის პრეზუმპციას, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ დავის შემთხვევაში ნიშნის მფლობელი კი არ არის ვალდებული წარმოადგინოს მტკიცებულებანი, არამედ მეორე მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს პირველი გამოყენების ფაქტი რომ მას ეკუთვნის.

იმ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებული უფლება მოიპოვება რეგისტრაციის გზით – კონტინენტური ევროპის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, მეწარმეებმა არ უნდა დაკარგონ დრო და რაც შეიძლება სწრაფად გააფორმონ და მიაწოდონ განაცხადი რეგისტრაციისათვის სპეციალურ ორგანოს. საქართველოში, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, ნიშნების რეგისტრაციის ფუნქციას ასრულებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

მოკლედ გვინდა შევეხოთ იმ უპირატესობებს, რაც თან სდევს ნიშნის რეგისტრაციას. რეგისტრაციას რომ გარკვეული იურიდიული ხასიათის უპირატესობანი გააჩნია ამტკიცებს ის ფაქტი, რომ უფლებების გამოყენებით მოპოვების ქვეყნებში პარალელურად არის გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია.

რეგისტრაცია ისეთი აქტია, რომელიც საშუალებას იძლევა ზუსტად იქნეს დაფიქსირებული (რეგისტრირებული) დაცვის ობიექტის არსობრივი ფარგლები. გარდა ამისა, რეგისტრაციისას ზუსტად ფიქსირდება საქონლის ის წრე, რომელთათვისაც სასაქონლო ნიშანი არის განკუთვნილი გამოსაყენებლად.

რეგისტრაციას გააჩნია მეორე ანგარიშგასაწევი მნიშვნელობაც. საპატენტო უწყება ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია ყველა რეგისტრირებული ნიშნის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანო ოფიციალურად აფრთხილებს ნიშნის მფლობელის კონკურენტებს განსაკუთრებული უფლებების წარმოშობის შესახებ. გარდა ამისა, განაცხადის მიწოდების შემდეგ ნიშნის მფლობელს უფლება აქვს საქონელი აღნიშნოს ისეთი მონიშვნით, რომელიც კონკურენტებს აუწყებს, რომ ნიშანი სარეგისტრაციოდ არის შეტანილი, მაგალითად „ნიშანი წარდგენილია სარეგისტრაციოდ“. ხოლო რეგისტრაციის შემდეგ ნიშნის მფლობელი საქონელს მონიშნავს გამაფრთხილებელი აღნიშვნით ®, ხოლო საქართველოში „რ“. საქართველოში გამაფრთხილებელი აღნიშვნის ® გამოყენე-

ბა შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ შესაბამისმა მხარემ დამტკიცებულად ჩათვალოს, რომ გაფრთხილებული იყო ნიშნის საქართველოში გამოყენების თაობაზე. საქონელი ასეთი მონიშვნით ჩვენს ქვეყანაში შემოდის უცხოეთიდანვე, რაც იმას ადასტურებს, რომ მეწარმემ საკუთარ ქვეყანაში აღნიშნული ნიშანი რეგისტრაციაში გაატარა. საქართველოშიც თუ გაატარა ეს ნიშანი რეგისტრაციაში, მაშინ ამ ფაქტზე მიუთითებს ქართული აღნიშვნის „რ" გამოყენება, რაც გაფრთხილების განზრახვას ეჭვქვეშ ვეღარ დააყენებს.

ყოველივე აღნიშნული, დავის შემთხვევაში, ნიშნის მფლობელს მნიშვნელოვნად უადვილებს საკუთარი უფლებების დაცვას და ამცირებს ხარჯებს. ამასთან მტკიცებულების წარმოდგენის ტვირთი გადადის მოდავე მხარეზე. რეგისტრაცია მნიშვნელოვან უპირატესობას იძლევა განსაკუთრებული უფლებების მოპოვების თვალსაზრისით, რადგან ამ ფაქტით განსაკუთრებული უფლებების მოქმედება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დადასტურებულია.

გარდა ამისა, რეგისტრაცია იძლევა საშუალებას ზუსტად განისაზღვროს ნიშნის ის ძირითადი ელემენტები, რომელიც დაცულია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რთული კომბინირებული ხასიათის ნიშნებისათვის, რომლებშიც ხშირად გვხვდება არადაცვადი ელემენტები. ასეთი ელემენტები შეიძლება გამოიყოს სპეციალური ჩანაწერით რეესტრში მათი დისკლამაციის თაობაზე. ამგვარი ფაქტი კი აადვილებს დავის გადაწყვეტას და ხელსაყრელია, როგორც მოსამართლეთათვის, ასევე მოდავე მხარეებისათვის.

საზღვარგარეთ დაცვისათვის ქვეყნები ხშირად ითხოვენ, რომ სასაქონლო ნიშანი უკვე რეგისტრირებული იყოს წარმოშობის ქვეყანაში. ეს მოთხოვნა მკაცრად არის გათვალისწინებული ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულებით. ამდენად, თუ ნიშნის მფლობელს სურს საერთაშორისო დაცვა მოიპოვოს, ის ვალდებულია, თავიდან, საკუთარ ქვეყანაში დაარეგისტრიროს ნიშანი, მიუხედავად იმისა მოპოვებული აქვს მას თუ არა, განსაკუთრებული უფლება ფაქტობრივი გამოყენებით. იგივე შეიძლება ითქვას პარიზის კონვენციით დაწესებული საკონვენციო პრიორიტეტის გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მხოლოდ სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ განაცხადის მიწოდების საფუძველზე.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს რეგისტრაციის უპირატესობებზე სასაქონლო ნიშანზე უფლებების მოპოვების და შემდგომი

დაცვის თვალსაზრისით, რაც აუცილებლად უნდა იქონიონ მხედველობის არეში საქართველოს მეწარმეებმა. მათ მიერ საქართველოში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება რომ იქნეს მოპოვებული, განაცხადი უნდა მიეწოდოს საქპატენტს რეგისტრაციის მოთხოვნით.

განვიხილოთ, თუ ვინ არის ის პირი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო ნიშანზე უფლების მოპოვების სამართალსუბიექტად. იგი, ზოგადი მიდგომით, ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებაუნარიანი პირია. ასეთი კი, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. მაგრამ, სპეციალური კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების თაობაზე, როგორც წესი, სპეციალურ მოთხოვნებსაც აწესებს და ხშირ შემთხვევაში წინა პლანზე გამოაქვს სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპი; სასაქონლო ნიშანზე უფლების მოპოვებას ანდობს მხოლოდ მეწარმეს (მათ შორის ინდივიდუალურ საწარმოს, რომელიც ფიზიკური პირია, ან ისეთ საწარმოს, რომელიც მოგების მიღებას მიზნად არ ისახავს). საქართველო თავისი პირველი საკანონმდებლო აქტითვე გაჰყვა აღნიშნულ პრინციპს. ამაზე სასაქონლო ნიშნების შესახებ 1992 წლის დებულების პირველივე მუხლი მიუთითებს. იგი სასაქონლო ნიშნის დეფინიციისას აღნიშნავს, რომ ნიშანი უნდა იყოს განკუთვნილი „ერთგვაროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის". აქედან გამომდინარეობს, რომ განაცხადის შემტანი პირი რაიმე საქონლის (მომსახურების) მწარმოებელი უნდა იყოს. ეს მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშია დღევანდელ კანონმდებლობასთანაც, მათ შორის მეწარმეთა შესახებ კანონთან, რომელიც მეწარმედ ცნობს როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირს.

საქართველოს კანონმა სასაქონლო ნიშნების შესახებ, ჩვენი აზრით, გააფართოვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მთხოვნელ სუბიექტთა რიცხვი. მისი მე-2 მუხლი „ზ" პუნქტით განმარტავს, რომ განმცხადებელი ის ფიზიკური, ან იურიდიული პირია, რომელიც ითხოვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას. გამოდის, რომ ნებისმიერი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს რეგისტრირებული ნიშნის მფლობელი, განურჩევლად იმისა, არის ის თუ არა მეწარმე. ამასთან, გინდაც რომ შემდგომ გაირკვეს, რომ ნიშნის მფლობელი არც რეგისტრაციის დროს და არც დავის განსჯის დროს არ აწარმოებს რაიმე ნაწარმს ან არ ეწევა მომსახურებას, ნიშნის გაუქმება ვერ მოხდება ამ არგუმენტით. ასეთი ვითარება იძლევა „კანონიე-

რი თაღლითობის" შესაძლებლობას. ჩვენი აზრით, უნდა არსებობდეს ზოგადი საკანონმდებლო ნორმა, რომ პირი, როემლიც ნიშნის რეგისტრაციას მოითხოვს რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდეს. ამასთან, რომ არ გართულდეს ნიშნის რეგისტრაციის პროცედურა სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული „კეთილსინდისიერების" პრეზუმპციის პრინციპი და განმცხადებელი უნდა ჩაითვალოს მეწარმე სუბიექტად, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. შესაბამისად, დავა, მაგალითად, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნის მფლობელსა და საქართველოში რეგისტრირებულ ნიშნის მფლობელს შორის, რომელიც მეწარმე არ არის და რეგისტრაცია მოახდინა მხოლოდ აკრძალვითი ფუნქციის გამოყენებისათვის (რის გამოც, ხშირად, საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის მფლობელი იძულებულია გამოისყიდოს საკუთარი ნიშანი), უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნის მფლობელის სასარგებლოდ ვერ გადაწყდება. ამგვარი სიტუაცია თაღლითობას უწყობს ხელს და კონკურენტული გარემოს შექმნაზე უარყოფითად მოქმედებს.

მოთხოვნა, რომ ნიშნის მფლობელი მეწარმე უნდა იყოს ცნობილი იყო გერმანიის, იაპონიის, იტალიის, შვეიცარიის, ბრაზილიის, არგენტინის და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების კანონმლებლობისათვის. ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია და სხვა მრავალი სპეციალურ მოთხოვნას, რომ ნიშნის მფლობელი იყოს მეწარმე, არ ითვალისწინებდნენ. ამ ქვეყნების გავლენით დღევანდელი საერთაშორისო ნორმები აღარ ითვალისწინებს სპეციალური უფლებაუნარიანობის მოთხოვნას.

თავისებურია ეს საკითხი, როდესაც საქმე გვაქვს კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციასთან. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანაში უფლება კოლექტიურ ნიშანზე მოიპოვება მხოლოდ რეგისტრაციით. ამ სახის ნიშანი განკუთვნილია გაერთიანებების (ასოციაციების, კავშირების) მიერ გამოყენებისათვის. ამასთან, დაშვებულია კოლექტიური ნიშნის გამოყენება მოცემულ გაერთიანენებაში შემავალი ცალკეული საწარმოების მიერ. ამ საწარმოებს უფლება აქვთ საკუთარი ნიშნის გამოყენებაზეც ერთდროულად კოლექტიურთან.

განაცხადი სასაქონლო ნიშანზე

მოთხოვნები სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადის გაფორმების მიმართ უნიფიცირებულია და ყველა ქვეყნისათვის ანალოგიურია. განსხვავება მხოლოდ ცალკეული დოკუმენტის ფორმაში შეიძლება იყოს, რასაც, აბათილებს 1994 წლის საერთაშორისო ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ, რომელიც უფლებათა მოპოვების საკითხს ეხება. მისი მიზანია, გაადვილოს სასაქონლო ნიშანზე უფლებათა მოპოვება საზღვარგარეთ. ამ ჭრილში საქართველოს კანონმდებლობა თანხმობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან.

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

- დადგენილი ფორმის საგანაცხადო ბლანკს, რომელიც უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე და მასში აუცილებლად უნდა იყოს მოცემული: თხოვნა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, განმცხადებლის სახელი (სახელწოდება) და იურიდიული მისამართი, სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, საქონლის, ან მომსახურების ჩამონათვალი, წარმომადგენლის სახელი, ან სახელწოდება, თუ განაცხადი წარმომადგენლის მიერ შეიტანება, თხოვნა საკონვენციო, ან საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის შესახებ (განმცხადებლის სურვილისამებრ), სხვა მონაცემები;
- კოლექტიური ნიშნის დებულებას, თუ მოითხოვება ასეთი ნიშნის რეგისტრაცია;
- შესაბამისი ქვეყნის უწყების მიერ დამოწმებულ განაცხადს, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი;
- ცნობას საერთაშორისო გამოფენის ადმინისტრაციისაგან საქონლის ექსპონირების თაობაზე, თუ მოითხოვება საგამოფენო პრიორიტეტი;
- წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელ საბუთს, თუ განაცხადი შეიტანება წარმომადგენლის მეშვეობით;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს.

თუ განმცხადებელი ითხოვს კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციას, მაშინ მან საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 32-ე მუხლის მიხედვით განაცხადს თან უნდა დაურთოს კოლექტიური ნიშნის დებულება, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს გაერთიანების სახელწოდება, მიზნები და ადგილმდებარეობა, იმ პირთა წრე, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნული კოლექტიური ნიშნით სარგებლობის უფლებამოსილება, მათი სამართლებრივი სტა-

ტუსი და მისამართი, კოლექტიური ნიშნით აღსანიშნავი საქონლის ნუსხა და ერთიანი ხარისხობრივი მახასიათებლები. აგრეთვე, წესდებაში უნდა იქნეს მითითებული კოლექტიური ნიშნის გამოყენების, მის გამოყენებაზე კონტროლის პირობები, უფლება-მოვალეობები და სანქციები კოლექტიური ნიშნის დებულების დარღვევისათვის. თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას, მაშინ დებულება უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერ პირს, რომლის საქონელიც დაკავშირებულია მოცემულ ადგილთან უფლება აქვს გახდეს გაერთიანების წევრი და შეუძლია ისარგებლოს კოლექტიური ნიშნით.

თუ განმცხადებელი ითხოვს საკონვენციო, ან საგამოფენო პრიორიტეტს, მაშინ მან განაცხადის შეტანის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა უნდა წარადგინოს ასეთი მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთი – პირველი განაცხადის მიმღები უწყების მიერ დამოწმებული ასლი, ან გამოფენის ადმინისტრაციის ცნობა.

ამ დოკუმენტების წარმოდგენა შეიძლება აუცილებელი არ იყოს. ამ შემთხვევაში ის შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, თუ მარეგისტრირებელ უწყებას ეჭვი აღეძრა წარმოდგენილი მონაცემების მიმართ. საქართველოს კანონმდებლობა მათ წარდგენას იმპერატიულად ითხოვს.

სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზა

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის საკითხი დამოკიდებულია სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზაზე, რომელსაც ატარებს სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანო. ეს ორგანო, როგორც წესი, ან საპატენტო უწყებაა, ან სპეციალური „სასაქონლო ნიშნების უწყება". საქართველოში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი". სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა იწყება უწყებაში განაცხადის შესვლისთანავე. ექსპერტიზა წარმოადგენს ადმინისტრაციულ პროცედურას და მოიცავს ორ ნაწილს (ეტაპს) – ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივ ექსპერტიზას.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

ექსპერტიზის ამ სტადიას აწესრიგებს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-13 მუხლი და მისი მიზანია განისაზღვროს, შესრულებულია თუ არა ის ფორმალური ხასიათის მქონე მოთხოვნები.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი ქვეყნის კანონი ვერ ასახავს ყველა პროცედურულ და ფორმალურ მოთხოვნას (კანონი აწესებს ზოგად პრინციპულ მოთხოვნებს), რის გამოც მოქმედებს შესაბამისი წესით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები – განაცხადის გაფორმების წესები, ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციები.

შესაბამისად, ექსპერტიზა ხელმძღვანელობს როგორც კანონებით, ასევე აღნიშნული კანონქვემდებარე აქტებით.

როგორც აღვნიშნეთ, ფორმალური მოთხოვნები ყველაზე მეტად არის უნიფიცირებული და მათი ექსპერტიზაც მსგავსი თავისებურებებით ხასიათდება.

საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი აწესებს ერთიანი კანონქვემდებარე აქტის „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ" ინსტრუქციის არსებობას (შემდგომში „ინსტრუქცია"). ინსტრუქცია შეიცავს განაცხადის დადგენილი ფორმის შემოწმების სპეციალურ მოთხოვნებს, და ადგენს, რომ განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა მოიცავს განაცხადის კომპლექტურობის, განაცხადის თანდართული მასალების გაფორმების, საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის, მისი კლასიფიკაციის და გადახდილი საგანაცხადო საფასურის დაწესებულთან შესაბამისობის შემოწმებას.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად მიიღება შემდეგი გადაწყვეტილებები:

- განაცხადის დაბრუნების შესახებ;
- შეტყობინება-მოთხოვნის გაგზავნის შესახებ;
- განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის შესახებ.

განაცხადი შეიძლება დაუბრუნდეს განმცხადებელს ფორმალური მოთხოვნების დარღვევის გამო, თუ არ შესრულდა სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, ან მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის და/ან ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში, განაცხადს, რომელიც იქნა შეტანილი საქპატენტში მიუხედავად იმისა, რომ მასზე გაიცა საკანცელარიო ცნობა საგანაცხადო საბუთების ჩაბარების თაობაზე, პრიორიტეტი (ანუ განაცხადის მიწოდების თარიღი) ვერ დაუდგინდება. განმცხადებელს უბრუნდება ყველა წარდგენილი საბუთი. საკანცელარიო ცნობაში აღნიშნული საგანაცხადო მასალების საქპატენტის მიერ მიღების თარიღი არ უნდა იქნეს გაიგივებული განაცხადის შეტა-

ნის თარიღთან და პრიორიტეტთან. როდესაც მიეწოდება საგანაცხადო საბუთები, იგულისხმება „სავარაუდო განაცხადი", რომელიც იძენს განაცხადის სტატუსს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და დადგინდება, რომ „სავარაუდო განაცხადი „გაფორმებულია ყველა იმ ფორმალური მოთხოვნის გათვალისწინებით, რაც საკმარისია, რომ განაცხადს დაუდგინდეს „შეტანის თარიღი" ანუ პრიორიტეტი. ექსპერტიზის ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ „სავარაუდო განაცხადი" იქცევა „სწორად გაფორმებულ განაცხადად" და განმცხადებელი ისარგებლებს ყველა უფლებით, რაც წარმოიშობა აღნიშნული ფაქტის დადგენის შედეგად. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ უფლებათაგან არის პრიორიტეტით სარგებლობის უფლება, მათ შორის პარიზის კონვენციის მიხედვით. ამავე დროს, განმცხადებელს ეკვეცება უფლებები თავის განაცხადში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მას მხოლოდ ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისი და არა არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა შეუძლია განაცხადში.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად განაცხადი დაუბრუნდება განმცხადებელს, თუ განაცხადს აკლია დადგენილი ფორმის საგანაცხადო ბლანკი, ან თუ განაცხადის გაფორმებაში დაშვებულია არსებითი ხასიათის დარღვევები.

განაცხადი განმცხადებელს უბრუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი არ იქნა მიწოდებული განაცხადის წარდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ექსპერტიზა ფორმალური მოთხოვნების შემოწმების დროს ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ განმცხადებელს არ შეუქმნას ზედმეტი ხელოვნური დაბრკოლებანი განცხადებული ნიშნისთვის პრიორიტეტისა და მასზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვების თვალსაზრისით. ამ პრინციპიდან გამომდინარე, განმცხადებელს არ დაუბრუნდება საგანაცხადო მასალები, როდესაც ისინი ჯერ კიდევ „სავარაუდო განაცხადს" წარმოადგენს, თუ აღნიშნულ საბუთებში აღმოჩენილია მხოლოდ ისეთი ფორმალობების დარღვევები, რომლებიც ხელს არ შეუშლის ექსპერტიზის ჩატარებას. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზა განმცხადებელს შესთავაზებს ხარვეზების გამოსწორებას და თუ დადგენილი დროის ფარგლებში ეს მოთხოვნა შესრულდება, სავარაუდო განაცხადი განსახილველად მიიღება და ის იქცევა სწორად გაფორმებულ განაცხადად.

განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შედეგად განაცხადს ენიჭება განაცხადის ნომერი (რომელიც უნდა განვასხვავოთ საკანცელარიო ცნობაზე აღნიშ-

ნულ ნომრისაგან) და ექსპერტიზა ადგენს განაცხადის მიწოდების, ანუ შშეტანისითარიღს (ადასტურებს ამ თარიღად საკანცელარიო ცნობაზე აღნიშნულ თარიღს). ეს თარიღი შემდგომში პრიორიტეტის თარიღად გამოიყენება.

თუ უცხოელ განმცხადებელს სურს ისარგებლოს კონვენციური პრიორიტეტით, განაცხადთან ერთად, ან ერთი თვის ვადაში მან უნდა შეიტანოს განცხადება პრიორიტეტის მოთხოვნაზე იმ ქვეყნის მითითებით, რომელშიც სასაქონლო ნიშანი პირველად იყო განცხადებული. თუ პირველი განაცხადის ასლი და სხვა მასალები, რომლებიც აუცილებელია პრიორიტეტის დასადგენად, განმცხადებელმა არ წარადგინა განაცხადის შეტანის დღიდან სამი თვის ვადაში, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი დგინდება „საქპატენტში" განაცხადის შეტანის დღით.

ასევე, ოფიციალურ, ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე გამოყენებული სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს გამოფენაზე ამ სასაქონლო ნიშნით მონიშნული ექსპონატის მოთავსების თარიღით. თუ განმცხადებელს სურს ისარგებლოს საგამოფენო პრიორიტეტით, განაცხადს თან უნდა დაერთოს ან 3 თვის ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი გამოფენის ადმინისტრაციის, ან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა სარეგისტრაციო სასაქონლო ნიშნის გამოფენის ექსპონატზე გამოყენებისა და ექსპონირების თარიღის შესახებ. თუ განმცხადებელმა ცნობა არ წარადგინა აღნიშნულ ვადაში, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი დგინდება განაცხადის „საქპატენტში" შეტანის თარიღით. გარდა აღნიშნულისა განმცხადებელს შეუძლია ერთი განაცხადი გაყოს ორ ან მეტ დამოუკიდებელ განაცხადად, თუ ჩამონათვალი ერთზე მეტ საქონლის ან მომსახურების დასახელებას შეიცავს. ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება იყოს ორი მოწმობით დაცული, ანუ შიძლება ორჯერ იქნეს დარეგისტრირებული ერთი და იგივე თარიღის მქონე პრიორიტეტით. ეს ნორმა კანონის ნოველას წარმოადგენს, რაც საერთაშორისო მოთხოვნებთან თანხმობაშია (იგი 1992 წ. დებულებით გათვალისწინებული არ იყო).

თუ ყველა აღნიშნული მოთხოვნის შემოწმებით მტკიცდება შესაბამისობა ფორმალური მოთხოვნებისადმი განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ. მასში მითითებულია განაცხადისათვის მინიჭებული ნომერი, პრიორიტეტი, საქონლის კლასები და, თუ აუცილებელია, დამატებით წარსადგენი ცნობებისა და დოკუმენტების ნუსხა.

არსობრივი ექსპერტიზა

სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზა, გარდა ფორმალური მოთხოვნების შემოწმებისა, მოიცავს აგრეთვე არსობრივი ხასიათის შემოწმებას დაცვითუნარიანობაზე. ამგვარ შემოწმებას მთლიანად, ან ნაწილობრივ აწარმოებენ მრავალი ქვეყნის შესაბამისი უწყებები. არსობრივი ექსპერტიზის შედეგად დგინდება პასუხობს თუ არა სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლო იმ მოთხოვნებს, რომ მიჩნეულ იქნეს ის სასაქონლო ნიშნის ფუნქციათა მატარებლად. ამასთანავე დგინდება, ხომ არ არის განცხადებული აღნიშვნა იდენტური ან იმდენად მსგავსი უკვე არსებული სასაქონლო ნიშნისა, რომ სახეზე იყოს ამ უკანასკნელის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების დარღვევა.

არსობრივი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომ დაცულ იქნეს საქონელბრუნვაში მონაწილე მხარეთა ინტერესები სრულად. უპირველესად, მხედველობაში მიიღება საზოგადოებისა და იმ მეწარმე (ან მოვაჭრე, ან მომსახურების გამწევი) პირების ინტერესები, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენტულ შეჯიბრში იმყოფებიან.

როგორც აღინიშნა, არსობრივი ექსპერტიზა მოიცავს ორი ტიპის შემოწმებას. პირველი ტარდება ე.წ. აბსოლუტურ საფუძველზე დაყრდნობით. შემოწმება ტარდება ნიშნის განმასხვავებელუნარიანობაზე, შეისწავლება, ხომ არ არის განცხადებული აღნიშვნა შეცდომაში შემყვანი, ამორალური, ან ხომ არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს და ა.შ. ასეთი ხასიათის ექსპერტიზისას ნიშანი ედარება მხოლოდ „საკუთარ თავს“ მასში გამოხატული თვისებების შესწავლის თვალსაზრისით. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, ასეთი ხასიათის ექსპერტიზა ძალზედ სასარგებლოა არა მარტო მომხმარებლის უფლებათა დაცვის კუთხით, არამედ საქონელბრუნვაში მონაწილე კონკურენტების უფლებათა დაცვის კუთხითაც. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ არავის არ მიეცეს შესაძლებლობა, რათა ერთპიროვნულად დაეპატრონოს აღწერილობითი ხასიათის ტერმინს, ან გვარეობით ცნებას. ეს ვითარება უნდა აკონტროლოს შესაბამისმა ორგანომ (საპატენტო უწყებამ), მაგრამ მის ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული აღნიშნული საკითხის ადმინისტრაციული აქტით გადაწყვეტა. პირიქით, უწყებამ მკაცრად უნდა დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც მოაწესრიგებს ბაზარზე არსებულ სიტუაციას.

მეორე ტიპის შემოწმებისას განცხადებული სიმბოლო ედარება სხვა სასაქონლო ნიშნებს, რომლებზეც უკვე მოპოვებულია განსაკუთრებული უფლებები. ასეთი შემოწმება ტარდება ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით და შედარება ხდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს ხომ არ შეიბღალება იდენტური, ან მსგავსი ნიშნის მფლობელის უფლებები. ამასთან, ითვალისწინებენ საქონლისა ან მომხმარებლების იდენტურობასა და მსგავსებას. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცემულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ტიპის ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭიროა შესაბამისი ძვირადღირებული საძიებო სისტემები და მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტები. უნდა ითქვას, რომ სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ჩატარებისათვის მეტად სასურველია, რომ ექსპერტები იურისტები იყვნენ. ამიტომ არის იურისტებით დაკომპლექტებული დასავლეთის ქვეყნების საპატენტო უწყებების სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის განყოფილებები. ამ ტიპის ექსპერტიზის ჩატარება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ექსპერტმა მრავალი ასპექტი უნდა გაითვალისწინოს და პირუთვნელად, მაღალი პროფესიონალიზმის გამოვლენით მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება. მაგალითად, ექსპერტმა უნდა გაითვალისწინოს ადრინდელი ნიშნის მიხედვით მოპოვებული განსაკუთრებული უფლებები ძალაშია თუ უკვე ბათილია. ექსპერტმა შეიძლება მიიჩნიოს სასაქონლო ნიშნები ერთმანეთის მსგავსად და გამოიტანოს უარყოფითი გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე. ამ დროს კი შეიძლება ეს ნიშნები მომხმარებლისათვის და კონკურენტისათვის ამგვარ ასოციაციას სულაც არ იწვევდეს. აღნიშნული სიტუაციების მსგავსი კიდევ შეიძლება ბევრი მოიძებნოს. ამგვარმა სირთულეებმა მისცა ბიძგი ისეთი ექსპერტიზის სისტემის ჩამოყალიბებისკენ, რომელიც შესაბამისი პროცედურული ნორმების დაწესებით საკითხის გადაწყვეტას ანდობს თავად კონკურენტებს, რომლებსაც ეძლევათ შესაძლებლობა წინ აღუდგნენ რეგისტრაციას, თუ მიიჩნევენ რომ მათი უფლებები შეიძლება შეიბღალოს.

ცნობილია ერთმანეთისაგან განსხვავებული შემდეგი ექსპერტიზის ჩატარების პროცედურული სისტემები:

– **ინგლისის მიერ აპრობირებული ექსპერტიზის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს შემოწმებას როგორც აბსოლუტურ საფუძველზე, ასევე ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით.** გარდა ამისა, უწყების მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უფ-

ლება ეძლევათ მესამე პირებს, რომ შეედავონ მომავალი ნიშნის რეგისტრაციას უშუალოდ უწყების წინაშე. ასეთი წესი საშუალებას აძლევს უწყებას გამოასწოროს საკუთარი შეცდომა და შეცვალოს გამოტანილი გადაწყვეტილება, თუ დადგინდება შემდავებელი მხარის არგუმენტების ჭეშმარიტება. ამ სისტემას მისდევდა ესპანეთი, სკანდინავიური ქვეყნები, პორტუგალია და სხვ.

– **ექსპერტიზის მეორე სისტემა**, რომლის ფუძემდებელიც საფრანგეთია, **ითვალისწინებს ფორმალური მოთხოვნების გარდა შემოწმებას მხოლოდ აბსოლუტურ საფუძველზე დაყრდნობით**, რის შედეგადაც მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე. ეს სისტემა არ ითვალისწინებს შემოწმებას ფარდობით საფუძველზე და ამიტომ უწყება არ ახდენს შედარებას სხვა ადრინდელ ნიშნებთან. ასეთი სისტემის პლუსია ოპერატიულობა, კვალიფიცირებული ექსპერტების რაოდენობის სიმცირე, არ არის აუცილებელი განვითარებული საძიებო სისტემების შექმნა და ექსპლუატაცია და ა.შ. მთავარი მინუსი ამ სისტემისა ის არის, რომ განმცხადებელმა – მომავალმა ნიშნის მფლობელმა, არ იცის რა ბედი ელის რეგისტრაციას მისი ნიშნის გამოყენების შედეგად სხვა ნიშნის მფლობელის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ დავის წარმოქმნისას. აღნიშნული ექსპერტიზის სისტემა, გარდა ამისა, არ იძლევა საშუალებას, რომ მესამე პირებმა რეგისტრაციამდე მიიღონ ზომები და წინ აღუდგნენ რეგისტრაციას უშუალოდ უწყებაში შედავებით, ანუ გამოიყენონ უფრო ოპერატიული და ეკონომიკურად ხელსაყრელი რეგისტრაციის ადმინისტრაციული წესით გაპროტესტების შესაძლებლობა. მათ მხოლოდ სასამართლო წესით შეუძლიათ აღძრან საქმე უკვე რეგისტრირებული ნიშნის მთლიანად, ან ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე. ექსპერტიზის ამ სისტემაზე განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისიდან უარს ამბობს მისი ტრადიციულად მიმდევარი ქვეყნების უმეტესობა. მაგალითად, შეგვიძლია შვეიცარია და თავად საფრანგეთი მოვიყვანოთ.

– **ექსპერტიზის შემდეგი სისტემა** დაფუძნებულია გერმანიის მიერ. იგი აღწერილი სისტემების გარკვეულ კომპრომისს წარმოადგენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით. **ექსპერტიზას საპატენტო უწყება ატარებს ფორმალური მოთხოვნების მიმართ, ხოლო არსობრივ შემოწმებას ნაწილობრივად – აბსოლუტურ საფუძველზე დაყრდნობით.** გარდა ამისა, კანონმდებლობით დადგენილია შედავების შესაძლებლობა ნიშნის

რეგისტრაციამდე საპატენტო უწყების წინაშე. სხვაგვარად რომ ითქვას, მესამე პირს შედარებით იაფი ადმინისტრაციული პროცედურის გამოყენება შეუძლია, რომელიც ამასთანავე ოპერატიულადაც წარიმართება. ამ სისტემაზე ამჟამად მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის შედეგად ბევრი ქვეყანა გადადის. საფრანგეთის თანამედროვე კანონმდებლობა, ევროპის გაერთიანების კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ამ სისტემის უპირატესობების აღიარების თვალსაჩინო მაგალითია.

საქართველოს დღევანდელი კანონი ბრიტანული ექსპერტიზის სისტემის მიმდევარია. ამგვარი სისტემის ექსპერტიზის არსებობა ხელსაყრელია განმცხადებლებისა და მათი კონკურენტებისათვის, რადგან უწყება განმცხადებელს აწვდის და მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომს ხდის (სასაქონლო ნიშნების შედარებითი ანალიზისათვის) ჩატარებული ძიების შედეგებს. უარყოფითი მხარე ისაა, რომ რეგისტრაცია ხორციელდება არაუადრეს 1 წლისა, რაც აძნელებს ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების თავისდროულ გამოყენებას, რადგან მათი მოქმედების ათვლის წერტილი რეგისტრაციის თარიღია.

საქართველოს კანონი აგებულია სასაქონლო ნიშნებისათვის დაწესებული ყველა მოთხოვნის შემოწმებაზე, ამასთან მისი მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს წინასარეგისტრაციო შედავებას მესამე პირთა მხრიდან. ნიშნის არ დარეგისტრირების შესახებ მესამე პირებს შესაძლებლობა აქვთ შედავებით მიმართონ საქპატენტის სააპელაციო პალატას.

არსობრივი ექსპერტიზის შინაარსი საკმაოდ დაწვრილებით არის გადმოცემული სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ინსტრუქციაში, რომლის ძირითადი დებულებანი კომენტარს არ მოითხოვს. ინსტრუქცია თანამიმდებვრობით აშუქებს იმ საკითხებს, რომლებიც ექვემდებარება შემოწმებას, კერძოდ, მოწმდება:

– ხომ არ განეკუთვნება განცხადებული სიმბოლო ისეთთა რიცხვს, რომელიც საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის ნაწარმის გვარეობითი ცნება. თუ ეს ფაქტი დადგინდა, მაშინ სარეგისტრაციოდ შეტანილი სიმბოლო სასაქონლო ნიშნად ვერ დარეგისტრირდება. ინსტრუქცია ამგვარი სიმბოლოების მაგალითად მოიხსენიებს სიტყვებს „ჩურჩხელა", „მაწონი", „აჯიკა". მათ რიცხვს შეიძლება დაემატოს მრავალი ამგვარი ტერმინი, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება გვარეობით ცნებად. გარდა ასეთებისა, არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთმანეთისაგან

დამოუკიდებელი მესამე პირების მიერ მრავალჯერადი, ინტენსიური გამოყენების შედეგად, დროთა განმავლობაში იქცა გვარეობით ცნებად. მაგალითები მრავალია. ერთ დროს სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებული და გამოყენებული სიტყვები „პრიმუსი", „გრამოფონი", „ტეფლონი", „ცელოფანი", „ასპირინი" და სხვა ნათლად ადასტურებს გამოთქმულ აზრს.

– ხომ არ განეკუთვნება განცხადებული სიმბოლო ისეთ სიმბოლოთა რიცხვს, რომლებსაც განმასხვავებელუნარიანობა არ აქვს. ინსტრუქციის მიხედვით ასეთი შეიძლება იყოს:

ა) აღნიშვნები, რომლებიც შედგება მხოლოდ ერთი არასტილიზებული ასოსა ან ციფრისაგან, მარტივი ფიგურის, ან მათი მარტივი კომბინაციისაგან. მიდგომა ასოთა და ციფრების მიმართ გასაგებია. არავის არ აქვს უფლება მონოპოლიურად გამოიყენოს სასაქონლო ნიშნად ჩვეულებრივად დაწერილი ასო, მაგალითად: „დ"; „M"; „7" და ა.შ. ასევე გასაგებია ისეთი ჩვეულებრივად გამოსახული მარტივი გეომეტრიული ფიგურის აკრძალვა სასაქონლო ნიშნად, როგორიცაა მაგალითად: სამკუთხედი, წირი, წრფე და ა.შ. მაგრამ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ამ ფიგურათა კომბინაციისაგან შემდგარი აღნიშვნა არ შეიძლება იქნეს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნად. კომბინაციამ, თუნდაც მარტივმა (აქვე საკითხავია რა არის მარტივი კომბინაცია – ინსტრუქცია ამ საკითხს გვერდს უვლის) არ შეიძლება აღნიშვნას არ შესძინოს გარკვეული დონის ორიგინალობა, რაც საკმარისი იქნება, რომ ნიშანი განმასხვავებელუნარიანი იყოს.

ბ) თვით საქონლის მარტივი გამოსახულება, მაგალითად ფეხსაცმელი, სათვალე, ბურთი და ა.შ.

გ) საწარმოს ორგანიზაციული ფორმის აღმნიშვნელი სიტყვები, ისევე, როგორც საწარმოს სახის და დანიშნულებისა. მაგალითად, სასაქონლო ნიშნად ვერ დარეგისტრირდება აღნიშვნები: „შპს", „სს", „ქარხანა", „LTD", „LLC", „სააქციო საზოგადოება", „კვლევითი ლაბორატორია" და სხვა.

დ) საყოველთაოდ მიღებული სიტყვიერი მინიშნებები, მაგალითად, „საერთაშორისო", „International", „национальный" და ა.შ.

ე) ფულის ნიშნების აღმნიშვნელი სიმობლოები, მაგალითად, „დოლარი" ან „$" და სხვა.

– ხომ არ განეკუთვნება განცხადებული სიმბოლო აღწერილობითი ხასიათის აღნიშვნებს, როგორიცაა:

ა) ტერმინები, რომლებიც მიუთითებენ მხოლოდ საქონლის, ან ნაწარმის თვისებებზე (შესაქები სიტყვების ჩათვლით), აგრეთვე შემადგენლობაზე, რაოდენობაზე, ნაწარმის ხერხზე, დანიშნულებაზე, ღირებულებაზე, წარმოების, ან გასაღების ადგილსა და დროზე, მასალასა და ნედლეულზე, მაგალითად:

თბილისი 1968 – საქონლის წარმოების ადგილი და დრო.
ექსტრა – ხარისხის შესაქები სიტყვა
Made in Georgia – საქონლის წარმოების ადგილი
სინთეზი – საქონლის წარმოების ხერხი
სუფთა შალი – მასალა
ფასი – 200 ლარი – ღირებულება
For children – საბავშვო – დანიშნულება და ა.შ.

ვ) საქონლის, ან მომსახურების საყოველთაოდ მიღებული დასახელებები, რომლებიც აღნიშნავს საქონლის, ან მომსახურების გვარობას ან სახეობას, მაგალითად: ხილი, კანფეტი, ფანქარი, ფეხსაცმლის კერვა, შეკეთება და სხვა.

ზ) ისეთი სახის მოგონილი აღნიშვნები, რომლებიც შექმნილია (ხელოვნურად) მრეწველობის, ან მომსახურების ამა თუ იმ დარგის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შემოკლებებისაგან. ამ ხასიათის აღნიშვნების მაგალითებია: „თბილთამბაქო", „საქენერგო", „თბილრძე", „საქსტანდარტი", „საქპატენტი", „საქინფორმი" და ა.შ.

– ექსპერტიზა შეისწავლის, ხომ არ წარმოადგენს განცხადებული აღნიშვნა გეოგრაფიულ დასახელებას, ან აღნიშვნას. თუ ექსპერტიზა დარწმუნდა, რომ სარეგისტრაციოდ განცხადებული სიმბოლო წარმოადგენს საქართველოს რომელიმე ნაწილის, ადგილის, მდინარის, მთის ქედის ან მწვერვალის, ტბის და ა.შ. დასახელებას, მაშინ გამოიტანს უარყოფით გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე. უფრო რთულია შემოწმება იმისა, ხომ არ წარმოადგენს სიმბოლო მსოფლიოს სხვა ქვეყნის გეოგრაფიულ დასახელებას. აქ მიდგომა შემდეგია: შეისწავლება, არის თუ არა აღნიშვნა ცნობილი გეოგრაფიული დასახელება, მაგალითად პარიზი, კიევი, მანჩესტერი და ა.შ. თუ აღნიშვნა მცირე დასახლებული პუნქტია, რომლის რუკაზე მოძებნაც კი ჭირს, მაშინ შეიძლება სიმბოლო დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშნად.

იმ შემთხვევაში, როდესაც სიმბოლო კომბინირებულია ორიგინალურ სხვა სიტყვასთან ან გამოსახულებასთან, და ამასთან გე-

ოგრაფიული აღნიშვნა ნიშნის აღქმის თვალსაზრისით არ დომინირებს, მაშინ განცხადებული სიმბოლო შეიძლება დარეგისტრირდეს მთლიანობაში. ამასთან, საქონელს ამ ადგილთან უნდა ჰქონდეს პირდაპირი კავშირი.

თუ სიმბოლო წარმოდგენილია ცნობილი გეოგრაფიული გამოსახულებით, ან ამ გეოგრაფიულ ადგილთან ასოცირებული აღნიშვნით ექსპერტიზა იხელმძღვანელებს ზემოაღნიშნული წესით. მაგალითად, უარი ეთქმის ქართლის დედის, ეიფელის კოშკის, კრემლის, ყაზბეგის, არარატის და სხვა გამოსახულებების რეგისტრაციას. გამონაკლისის სახით გეოგრაფიული აღნიშვნა შეიძლება დარეგისტრირდეს კოლექტიური ნიშნისათვის საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 31-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით.

– ექსპერტიზას არ შეუძლია რეგისტრაციაში გაატაროს ისეთი ხასიათის სიმბოლოები, რომლებიც შეიძლება ერთდროულად მრავალი პირის უფლებების წარმოშობას ადასტურებდეს. ამ აღნიშვნათა რიცხვს მიეკუთვნება ჯილდოების გამოსახულება, რადგან ერთნაირი ჯილდოთი შეიძლება დაჯილდოებული იყოს სხვადასხვა მწარმოებლის საქონელი, რის გამოც მათ ვერ მიეცემა განსაკუთრებული უფლებებით დაცვის შესაძლებლობა. ამგვარი ხასიათის მაგალითია რომელიმე საერთაშორისო კონკურსზე მიღებული ჯილდო.

– იკრძალება ცნობილ პიროვნებათა სახელების, გვარების, ფსევდონიმების, ფაქსიმილების და პორტრეტების რეგისტრაცია მათი თანხმობის გარეშე. გარდაცვლილი პიროვნების სახელის, ფსევდონიმის, პორტრეტის, ფაქსიმილეს, რეგისტრაცია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ რეგისტრაციას ითხოვს აღნიშნული პირის მემკვიდრე იმ საქონლისათვის, რომლის წარმოება ოჯახური ტრადიციაა. სადღეისოდ საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში მრავლად არის გამოქვეყნებული სახელების, გვარების და ა.შ. რეგისტრაციის ფაქტი. მაგალითად, „FORD“, „Nina Richi“ და ა.შ. ამ ნიშნების რეგისტრაცია შეიძლება არ ჩაითვალოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევად, რადგან ძალაშია პარიზის კონვენციის პირობა, რომ უცხოელ განმცხადებელს, თუ საკუთარ ქვეყანაში რეგისტრირებული აქვს იგივე აღნიშვნა, მაშინ ის მოითხოვს (საქართველო ვალდებულია დაემორჩილოს) ტელ-კელის პრინციპის გამოყენებას. ასეთივე მოთხოვნის უფლება აქვთ განმცხადებლებს სხვა სახის აღნიშვნებთან მიმართებაშიც.

ამ შემთხვევაში ექსპერტიზამ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში სიმბოლო იმ სახით, რა სახითაც არის ის დაცული წარმოშობის ქვეყანაში. ამასთან, უარი შეიძლება ეთქვას რეგისტრაციას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებულმა აღნიშვნამ, საქართველოში არსებული ენობრივი, სოციალური და სხვა თავისებურებების გამო, შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, ან ენინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მორალს. გარდა აღნიშნულისა, არის ისეთი ფაქტები, როდესაც ნიშანი წარმოადგენს საქართველოში გავრცელებულ სახელებს, მაგრამ მაინც რეგისტრირებულია ამ სახელის მატარებელი პირის თანხმობის გარეშე. აღნიშნული ხასიათის ნიშნები რეგისტრაციაში გატარდა ჯერ კიდევ 1992 წ. დებულების მოქმედების დროს, მიუხედავად იმისა, რომ დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ ითხოვდა იმ პირის თანხმობას, რომლის სახელსაც ემთხვეოდა სარეგისტრაციო ნიშანი. ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით თანხმობა საჭიროა მხოლოდ ცნობილი პიროვნების სახელთან იდენტური, ან მსგავსი აღნიშვნის რეგისტრირებისას.

– ექსპერტიზა ვალდებულია შეამოწმოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს შესაბამისობა პარიზის კონვენციის 6ბის და 6ტერ მუხლების მოთხოვნებთან.

ეს მუხლები აწესებს აკრძალვებს რეგისტრაციაზე როგორც აბსოლუტურ, ასევე ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით. აბსოლუტური საფუძვლებით უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციას თუ სიმბოლოები, მთლიანად, ან ნაწილობრივ შედგება სახელმწიფოებრივი, ან საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური აღნიშვნებისაგან, დროშებისაგან, ჰიმნებისაგან, ჰერალდიკური გამოსახულებებისაგან, ოფიციალური საგარანტიო და საკონტროლო დამღებისაგან და ბეჭდებისაგან.

ამ მუხლების სხვა მოთხოვნები ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით კრძალავს ნიშნის რეგისტრაციას, თუ ის არის მსგავსი სხვა უკვე მოქმედი ნიშნისა იმდენად, რომ შეიძლება მოხდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა ან ამ ნიშნების ერთმანეთთან აღრევა. ეს მოთხოვნები ემსახურება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას. ამ მიმართებაში განსაკუთრებით გამოსაყოფია რეგისტრაციის აკრძალვა იმ ნიშნებისა, რომლებსაც აქვს საერთო ელემენტები ადრე რეგისტრირებულ, ან საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებთან, იმეორებს, ან ბაძავს ამ უკანასკნელს, ან მის ნაწილს, ან სხვაგვარად შეუძლია მოახდინოს აღრევა აღნიშ-

ნული ნიშნებისა. გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილობის თაობაზე იღებს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო. საქართველოში ეს ორგანოებია საქპატენტი, ან სასამართლო. საკითხის გადაწყვეტისას საფუძვლად უნდა იქნეს აღებული მტკიცება, რომელიც ადასტურებს ნიშნის ცნობილობის ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებში, კერძოდ, ჩვენს ქვეყანას თუ ეხება საკითხი, მხედველობაში მიიღება ცნობილობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

გარდა აღნიშნულისა, შედარება ტარდება ყველა იმ რეგისტრირებულ ნიშანთან, რომლებსაც აქვთ საქპატენტში განაცხადის შეტანის უფრო ადრინდელი თარიღი.

აღსანიშნავია, რომ ნიშნების შედარებისას, რომელთაგან არც ერთი არ არის საყოველთაოდ ცნობილი საქართველოში, მხედველობაში მიიღება საქონლის, ან მომსახურების ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება ნიშნის რეგისტრაცია. ახლად ამოქმედებული კანონის მიხედვით იგივე წესი ვრცელდება საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებისათვის. 1992 წ. დებულებასთან შედარებით კანონი აუარესებს აღნიშნული ნიშნების დაცვას, რადგან მისი 36-ე მუხლი პირდაპირ კრძალავდა საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის იდენტური ან მსგავსი აღნიშვნის როგორც რეგისტრაციას (საქონლის ჩამონათვლის მიუხედავად), ასევე გამოყენებას. თუ ირკვეოდა, რომ განცხადებული ნიშანი წინააღმდეგობაში მოდიოდა საყოველთაოდ ცნობილ ნიშანთან, მაშინ არ იყო საჭირო საქონლის ჩამონათვალის შედარება. საკმარისი იყო, რომ ექსპერტიზა დარწმუნებულიყო, რომ განცხადებული ნიშანი მსგავსი ან იდენტური იყო ცნობილისა და მიუხედავად საქონლის ჩამონათვალისა, ექსპერტიზას უნდა მიეღო უარყოფითი გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების დაცვის მოწესრიგებას და ცდილობს რეკომენდაციები შეიმუშავოს ამ მიმართებაში. საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები ფართოდ იყო დაცული საქართველოში. ამის დასტურია 1992 წ. დებულებისა და მის საფუძველზე შემუშავებული ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციის პირდაპირი მოთხოვნა: „თუ სარეგისტრაციოდ შემოტანილი ნაშინი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის მსგავსია, იგი არ რეგისტრირდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ გამოსახულებით მონიშნული სხვადასხვა საქონელი არ არის ერთგვაროვანი...“ ერთგვაროვან საქონლად იგულისხმებოდა (ამჟა-

მადაც ასევე იგულისხმება) საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთიდაიგივე კლასში შემავალი, ან სხვადასხვა კლასში გაერთიანებული ერთიდაიგივე სახის, დანიშნულების და გასაღების პირობების (რეალიზაციის წესი და გასაღების სფერო) მქონე საქონელი. აქედან გამომდინარე იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდებოდა ჩვეულებრივი (ჯერ კიდევ ფართოდ უცნობი) სასაქონლო ნიშნის მსგავსება და იდენტურობა, ექსპერტს უნდა მიემართა საქონლის ჩამონათვალისათვის, მიუხედავად იმ კლასებისა, რომლებსაც განეკუთვნებოდა ეს სასაქონლო ნიშანი. მაგალითად: ჩანთა ტყავის – მე-18 კლასი, ჩანთა ქსოვილის – 24-ე კლასი. ეს წესი დაღესაც არ შეცვლილა. ცნობილი სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში კი ექსპერტი ვალდებული იყო რეგისტრაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიეღო მაშინვე, როცა დადგინდებოდა მასთან განცხადებული ნიშნის იდენტურობა, აწ მსგავსება. ეს წესი, სამწუხაროდ, შეიცვალა კანონის მიღებასთან ერთად.

სასაქონლო ნიშნების მსგავსების საფუძვლად არის მიჩნეული მომხმარებლის თვალში მათი აღრევის შესაძლებლობა.

გამოსახულებების მსგავსებას განაპირობებს ერთნაირი ელემენტების არსებობა. ნიშნების მსგავსებაზე შემოწმების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნიშანში შესული ერთნაირი და განსხვავებული ელემენტების თანაფარდობა და აგრეთვე, მათი მნიშვნელობა გამოსახულების კომპოზიციაში.ნიშნების მსგავსების განსაზღვრის დროს ექსპერტიზამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მომხმარებელს, როგორც წესი, არა აქვს ნიშნების შედარების შესაძლებლობა და იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებით. ამიტომ, ექსპერტიზის ჩატარებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას: ნიშნების აღრევის საშიშროება დიდია იმ აღნიშვნებისათვის, რომლებიც განკუთვნილია ფარმაცევტული, კვების და ქიმიური საქონლის მოსანიშნავად. ამიტომ, დაუშვებელია აღნიშნული სახის საქონლის მწარმოებლის ამოსაცნობი აღნიშვნის გარეშე შეთავაზება მომხმარებლისათვის. ერთერთი ძლიერი ამოსაცნობი აღნიშვნა სწორედ სასაქონლო ნიშანია.

სიტყვიერი ნიშნის მსგავსება დგინდება ჟღერადობით, გრაფიკულად და აზრობრივად, რადგან, როგორც წესი, მსგავსება წარმოიქმნება ამ ფაქტორების ერთობლივი აღქმის შედეგად.

სიტყვიერი ნიშნების ბგერითი მსგავსება დგინდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ახლობელი ბგერების და ბგერათშეწყობების განლაგება ერთმანეთის მიმართ;
- მარცვლების დამთხვევა;
- მარცვლების რაოდენობა ნიშანში;
- ერთნაირი და ახლობელი ბგერათშეწყობების ადგილი ნიშნის შემადგენლობაში;
- ერთი ნიშნის შესვლა მეორეში;
- ახლობელი, ან ერთნაირი ბგერების არსებობა.

ეს კრიტერიუმები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ურთიერთკავშირში.

ნიშანი ჩაითვლება როგორც მსგავსი, თუ დაემთხვა საწყისი, ან ბოლო ნაწილები, ან ორივე ერთად. შესაძლებელია, აგრეთვე დაემთხვეს მხოლოდ შუა ნაწილები.

სიტყვების ელემენტები არატოლფასია, მათ შორის არის ძლიერი და სუსტი ელემენტები. ძლიერ ელემენტებს ახასიათებს ორიგინალობა, ჟღერადობის თავისებურება. ამ ელემენტების დამთხვევა, როგორც წესი, იწვევს სიტყვის მსგავსების წარმოქმნას; სუსტი ელემენტები მსგავსებას არ იწვევს, მაგრამ შეუძლია მსგავსების გაძლიერება სხვა მსგავს ელემენტთან ერთობლიობაში. ასეთ სუსტ ელემენტებს განეკუთვნება ფორმანტი, რომელიც მუდმივად ხვდება სასაქონლო ნიშანში და ამიტომ დაკარგული აქვს განმასხვავებელუნარიანობა. ფორმანტი არის ასოთა წყობა, რომელიც რეგულარულად მეორდება სხვადასხვა მფლობელების სასაქონლო ნიშანში, მაგრამ არ იწვევს ნიშნების კოლიზიას (დაპირისპირებას). მათ რიცხვს ეკუთვნის ისეთი ელემენტები, როგორიცაა -ოლ, -ცილინი, -მიცინი, -ტრონი.

ფორმანტებს შეიძლება მიეკუთვნოს, აგრთევე, ნივთიერებების, ან ორგანიზმის ნაწილების შემოკლებული სახელწოდებები, მაგალითად, ჰიდროენზიმი, კარდი, კორი, დენტი. ფორმანტებს მიეკუთვნება რიგი სიტყვებისა, რომლებმაც მრავალჯერადი გამოყენების გამო სხვადასხვა მფლობელების ნიშნებში მთლიანად დაკარგა განმასხვავებელი ფუნქციები, მაგალითად: System, test, club და ა.შ.

ძლიერი ელემენტები შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც საერთო ელემენტები სასაქონლო ნიშნების სერიების შექმნისას.

სერია ეწოდება ერთი მფლობელის სასაქონლო ნიშნების ჯგუფს, რომლებსაც აქვს საერთო ელემენტი.

თუ განცხადებული ნიშანი შეიცავს ადრე რეგისტრირებულ, სერიის ძირითადი ელემენტის მსგავს ელემენტს, მას უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, რადგან მომხმარებლის მიერ იგი აღიქმება, როგორც სერიაში შემავალი და სერიის მფლობელის კუთვნილება.

საერთო ელემენტები შეიძლება იყოს აზრობრივი, ასოითი, გამოსახულებითი.

სერიის მაგალითი: DOLOMAT, DOLOTRON, DOLOPOL.

გრაფიკული მსგავსება სიტყვიერ გამოსახულებაში განისაზღვრება:

- საერთო მხედველობითი შთაბეჭდილებით;
- ასოების გრაფიკული ხასიათის გათვალისწინებით (დამწერლობის სახე, შრიფტი, ხელნაწერი);
- ასოების ერთიერთგანლაგებით;
- ფერთა გამით.

გრაფიკული და ბგერითი მსგავსება ურთიერთკავშირშია. გრაფიკულ შთაბეჭდილებას შეუძლია გააძლიეროს გამოსახულების მსგავსება, ან პირიქით, ხაზი გაუსვას განსხვავებას.

გამოსახულებების აზრობრივ მსგავსებას განაპირობებს მათში ჩადებული საერთო ურთიერთგამომრიცხავი იდეები.

გამოსახულებითი, მოცულობითი და კომბინირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსების მთავარი კრიტერიუმი არის საერთო მხედველობითი (ვიზუალური) შთაბეჭდილება.

გამოსახულებითი აღნიშვნების მსგავსება დაკავშირებულია:

- გამოსახულების შესახედაობასთან და ხასიათთან (კონკრეტული, სტილიზებული, კარიკატურული, აბსტრაქტული და ა.შ.).
- მის გეომეტრიულ ფორმებთან (სილუეტი, მონახაზი, ხაზები).
- ფერების შეხამებასთან.

მოცულობითი ნიშანი წარმოადგენს სამგანზომილებიან სხეულს და ამ თავისებურებიდან გამომდინარე ინსტრუქცია ითხოვს, რომ ასეთი ნიშანი შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ ერთი სახის საქონლისათვის. მაგალითად: სუნამოს ფლაკონი – მხოლოდ სუნამოსთვის, მინერალური წყლისთვის განკუთვნილი ყუთი მხოლოდ მინერალური წყლისთვის.

სიტყვიერი, გამოსახულებითი, კომბინირებული და მოუცლობითი ნიშნების იდენტიურობაზე და მათ მსგავსებაზე ექსპერტიზის ჩატარებისას, განცხადებული ნიშანი უნდა შედარდეს:

სიტყვიერი – სიტყვიერსა და კომბმნირებულ ნიშნებს.

გამოსახულებითი – გამოსახულებით, კომბინირებულ და მოცულობით ნიშნებს და „საქპატენტის“ მიერ პატენტგაცემულ სამრეწველო ნიმუშებს.

კომბინირებული – კომბინირებულ, გამოსახულებით, მოცულობით და სიტყვიერ ნიშნებს.

მოცულობითი – მოცულობით, გამოსახულებით, კომბინირებულ ნიშნებს და საქპატენტში რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშებს.

ექსპერტიზის მსვლელობის დროს ექსპერტი უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს განაცხადზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი დამატებითი მონაცემები. ამის შესახებ განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის შემოტანილ განაცხადებზე გამოიტანება შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, მიზეზების მითითებით.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე დადებითი გადაწყვეტილება გამოიტანება, თუ განცხადებული ნიშანი აკმაყოფილებს ყველა დადგენილ მოთხოვნას. ამის შემდეგ, საქპატენტი, ერთი თვის ვადაში ინფორმაციას ნიშნის რეგისტრაციის შესახებ აქვეყნებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. გამოქვეყნების დღიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს შეუძლია გაასაჩივროს ნიშნის რეგისტრაცია საქპატენტის სააპელაციო პალატაში. თუ დადებითი გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა საქპატენტს შეაქვს შესაბამისი მონაცემები სახელმწიფო რეესტრში და აქვეყნებს ინფორმაციას რეგისტრირებული ნიშნის თაობაზე სამრეწველო საკუთრების ბიულეტენში. ამ ფაქტის შემდეგ მესამე პირებს შეუძლიათ დააყენონ საკითხი ნიშნის რეგისტრაციას გაბათილების შესახებ სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ კანონით გასაჩივრების უფლება მხოლოდ დაინტერესებულ პირს აქვს.

თავი 29. განსაკუთრებული უფლებების ფარგლები

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ისევე, როგორც სამოქალაქო კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს განსაკუთრებული უფლების განმარტებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს 1102-ე მუხლი მხოლოდ მიუთითებს განსაკუთრებული უფლების დაცვის არსებობაზე სპეციალური საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. შედეგად განსაკუთრებული უფლების შინაარსი უნდა განიმარტოს კანონმდებლობის მთლიანობაში ანალიზის საფუძველზე. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-6 მუხლი ადგენს, რომ განსაკუთრებული უფლებების წარმოშობა დაკავშირებულია ნიშნის რეგისტრაციასთან. მხოლოდ რეგისტრირებული ნიშნის მფლობელს გააჩნია განსაკუთრებული უფლება და მას შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს იდენტური, ან მსგავსი ნიშნის გამოყენება. როგორც ვხედავთ, კანონი წინა პლანზე წამოსწევს აკრძალვითი ფუნქციის განხორციელებას და აღნიშნული მე-6 მუხლი მიძღვნილია ამ ფუნქციის ცხოვრებაში გატარებისადმი. იგი იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიძლება რეგისტრირებული იმ ნიშნის უნებართვო გამოყენების აკრძალვა, რომელიც არღვევს განსაკუთრებულ უფლებებს. განსაკუთრებული უფლება ხასიათდება არა მარტო ამკრძალავი ფუნქციით, არამედ პოზიტიური ფუნქციითაც, რომლის თანახმადაც სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეუძლია (და მხოლოდ მას) თავისი ნებით გამოიყენოს და ისარგებლოს ამ ნიშნით. ხოლო გამოყენებისა და სარგებლობის ფარგლებს ადგენს შესაბამისი სამართლებრივი ნორმები.

როგორც მიღებულია, **განსაკუთრებულ უფლებებს სასაქონლო ნიშანზე განიხილავენ დროში და სივრცეში მოქმედების კუთხით.** გარდა ამისა, განისაზღვრება მოქმედების სფერო ანუ საქონლის ის ჩამონათვალი, რომელზეც მოქმედებს უფლება სასაქონლო ნიშანზე.

დროში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება მოქმედებს პრაქტიკულად განუსაზღვრელი ვადით. მაგრამ იმისათვის, რომ ეს უფლება მოქმედებებს, მსოფლიოს პრაქტიკულად ნებისმიერ ქვეყანაში ნიშნის მფლობელი ყოველი 10 წლის გასვლისას, ვალდებულია განცხადებით მიმართოს შესაბამისი ქვეყნის საპატენტო უწყებას მოქმედების გაგრძელების სურვილით. ამასთანავე, აუცილებელია გაგრძელებისათვის და ყოველი 10 წლის გან-

მავლობაში მოქმედებისათვის დაწესებული საფასურის გადახდა. ზოგი ქვეყნისათვის, მაგ. იაპონიის პრაქტიკისათვის ცნობილია გაგრძელებაზე განცხადების მიღების შემდეგ გარკვეული გამოკვლევის ჩატარება და მტკიცებულების მოთხოვნა ნიშნის ნამდვილად გამოყენების თაობაზე. თუ დადასტურდა, რომ რომელიმე საქონელზე, რომელიც მითითებული იყო განაცხადში და შემდგომ შეტანილ იქნა რეესტრში, სასაქონლო ნიშანი არ იქნა გამოყენებული, მაშინ განსაკუთრებული უფლება შესაბამისად იკვეცება. თუკი ნიშანი დროის ამ პერიოდში საერთოდ არ იყო გამოყენებული, მაშინ განსაკუთრებული უფლებების მოქმედების გაგრძელებაზე ითქმის უარი. ყოველივე აღნიშნული ეხება რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს.

თუ განსაკუთრებული უფლება მოპოვებულია გამოყენებით, მაშინ განსაკუთრებული უფლება შეწყდება მხოლოდ ამ ნიშნის ფაქტობრივად გამოყენების შეწყვეტის მომენტიდან. ეს კი დამოკიდებულია მხოლოდ განმცხადებლის სურვილზე და არსებულ ეკონომიკურ გარემოებებზე და არა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ნებასა და კომპეტენციაზე.

თავისებურია სივრცეში განსაკუთრებული უფლებების მოქმედება. ჩვეულებრივად, განსაკუთრებული უფლების მოქმედება შემოფარგლულია იმ ქვეყნის ტერიტორიით, სადაც მოხდა, მაგალითად, პატენტის გაცემა. სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში ეს წესი მართებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კატეგორიის ნიშანთან გვაქვს საქმე. ჩვეულებრივ, სამოქალაქო ბრუნვაში ახლად ჩართული ნიშნის დაცვა, რომელზეც განსაკუთრებული უფლება მოიპოვება გამოყენების გზით შემოიფარგლება ქვეყნის იმ ტერიტორიით, რომლითაც არის შემოსაზღვრული მოცემული ნიშნის გამოყენება. ანუ, იმისათვის, რომ ასეთმა ნიშანმა მფლობელს მოუპოვოს განსაკუთრებული უფლება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა გავიდეს გარკვეული დრო, სანამ ნიშანი არ გახდება ცნობილი მთელს ქვეყანაში. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი კი ყოველთვის წარმოშობს განსაკუთრებულ უფლებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

გარკვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში განსაკუთრებული უფლების მოქმედება შეიძლება გასცდეს ერთი ქვეყნის ტერიტორიას. აქ ორი შემთხვევაა გამოსაყოფი.

პირველი, როდესაც სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია რეგიონალური ორგანიზაციის უწყებაში. განსაკუთრებული უფ-

ლება იმოქმედებს ამ ორგანიზაციაში შემავალი ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ თავად მფლობელმა სხვაგვარად არ ისურვა.

მეორე, როდესაც ნიშნის ცნობილობა გასცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს. ამ ფაქტს ადგილი აქვს განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, საინფორმაციო საშუალებების არნახული განვითარების გამო. როგორც წესი, ნიშნის რეკლამირება ითვლება მისი ნომინალური გამოყენების ფაქტად. ნიშნის რეკლამას გამოყენებად აღიარებს საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 24-ე მუხლი.ინტენსიური რეკლამა კი, მაგალითად ტელევიზიით, ცნობილს ხდის ან ნიშანს თუნდაც ის არ გამოიყენებოდეს მოცემულ სახელმწიფოში რელურად. ამდენად, ნიშანი ხდება მსოფლიოში აღიარებული ანუ საკმარისად სრულდება ის პირობა, რომ ნიშანი ამ ქვეყანაშიც საყოველთაოდ ცნობილად იქნეს მიჩნეული. თუ ნიშნის მფლობელი დაამტკიცებს, რომ მისი ნიშანი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის ცნობილი განსაკუთრებული უფლებებიც იმოქმედებს შესაბამის ქვეყნებში. მაგალითისათვის შეიძლება ითქვას, რომ „Coca-Cola" ცნობილობის საფუძველზე დაცულია მთელ მსოფლიოში მისი ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე.

განსაკუთრებული უფლებების მოქმედების სფერო შემოფარგლულია იმ საქონლით, რომელიც არის მოცემული განცხადებულ ჩამონათვალში და მისი მსგავსი საქონლით. მაგალითად, თუ ნიშანი რეგისტრირებულია მსუბუქი ავტომობილებისათვის განსაკუთრებული უფლება სათამაშოებზე ან ალკოჰოლურ პროდუქტზე ვერ გავრცელდება. ასევე, თუ ნიშანი გამოიყენება მხოლოდ ერთი სახის საქონლისათვის განსაკუთრებული უფლება მხოლოდ ამ საქონელზე გავრცელდება.

გამონაკლისი დაიშვება ისეთი ნიშნების შემთხვევაში, როდესაც საყოველთაოდ ცნობილ ნიშანთან გვაქვს საქმე. მაგრამ აღნიშნული გამონაკლისები დგინდება კონკურენციის შესახებ კანონმდებლობით და არა სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონით.

თუ შევაჯამებთ ზემოთმოყვანილს, შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებული უფლების მოქმედება სასაქონლო ნიშანზე პრაქტიკულად არ არის შემოსაზღვრული დროით, სივრცეში შემოიფარგლება ქვეყნის, ან მისი ნაწილის ტერიტოირით ჩვეულებრივი ნიშნისათვის, ხოლო საყოველთაოდ ცნობილისათვის ტერიტორიით იმ ქვეყანათა რიცხვის მიხედვით, სადაც არის ის საყოველთაოდ აღიარებული. მოქმედების სფერო შემოიფარგლება საქონლის ჩამონათვლით.

ნიშნის მფლობელმა შეიძლება წამოაყენოს მოთხოვნა მისი განსაკუთრებული უფლებების დარღვევის თაობაზე თუ დადასტურდა, რომ უნებართვოდ გამოყენებულია იდენტური, ან იმდენად მსგავსი ნიშანი, რომ მოსალოდნელია აღრევა, ან მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

განსაკუთრებული უფლება ვერ განხორციელდება ზოგიერთ შემთხვევაში. ასეთი მაგალითია, თუ სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებულია საკუთარი სახელი და მას იყენებს ამავე სამოქალაქო სახელის მქონე პირი. ასევე ვერ აიკრძალება გეოგრაფიული სახელწოდების გამოყენება, რომლის მინიშნებაც გარკვეულ შემთხვევაში აუცილებელია მოცემული საქმიანობის, ან საქონლის აღნიშვნისათვის.

სურათის სრულად გაშუქებისათვის საჭიროა სასაქონლო ნიშნების დაცვისათვის ერთ-ერთ სამართლებრივად რთულ საკითხს შევეხოთ, რომელსაც **„უფლებათა ამოწურვის პრინციპი“** ეწოდება. აქ საკითხი ორგვარად წარმოსდგება.

როდესაც ნიშნის მფლობელი საქმიანობს, ან ყიდის საკუთარ პროდუქციას ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაშინ მის მიერ ან მისი ნებართვით სხვა პირის მიერ სამოქალაქო ბრუნვაში ერთხელ ჩართვის შემდეგ ამავე ნიშნით მონიშნულ ამავე საქონელზე, რომელიც გადამყიდველის მიერ კანონზომიერად ვრცელდება სამომხმარებლო ბაზარზე, განსაკუთრებული უფლება ვეღარ გავრცელდება. ანუ, სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ აქვს უფლება აუკრძალოს კეთილსინდისიერ გადამყიდველს მისი სასაქონლო ნიშნის მქონე საქონლის შემდგომი ხელახალი გაყიდვა.

უფრო რთულად წყდება პრობლემა სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით საზღვარგარეთ რომელიმე ქვეყანაში საქონელბრუნვაში ჩართული მისი სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის საკუთარ ქვეყანაში შემოტანის შემთხვევაში.

სასაქონლო ნიშნების დაცვის სამართალი ამ შემთხვევას „პარალელურ იმპორტად“ იცნობს.

სამართლიანი წესის შეთავაზება კანონმდებლობას უჭირს და უმთავრესად საკითხის გადაწყვეტას სასამართლოს ანდობს. სასამართლომ რომ გადაწყვეტილება გამოიტანოს, უნდა გაითვალისწინოს მრავალი, მათ შორის, საკმაოდ ფაქიზი პირობები, რომლებიც ქვეყნის ეროვნულ და სოციალურ თვისებებზეც იქნება დამოკიდებული. მაგალითად, თუ ქართველი მეწარმე საქონელს ამზადებს თურქეთში გასაყიდად, ის გაითვალისწინებს თურქეთში არსებულ თავისებურებებს და პროდუქციას, მის შეფუთვას განსხვავებულ

იერსახეს მიმსცემს. თუ იგივე საქონელი დაბრუნდება საქართველოში, ამან მეწარმის საქმიანობაზე და მის სახელზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ამდენად, ასეთ შემთხვევაში მართებული იქნებოდა ნიშნის მფლობელი ფლობდეს განსაკუთრებულ უფლებას. ანუ, სასამართლო არ უნდა დაეყრდნოს უფლებათა ამოწურვის პრინციპს. სხვა შემთხვევაში, თუ ნიშნის მფლობელის უფლებები ასეთნაირად არ ილახება, „უფლებათა ამოწურვის" პრინციპი სრული მოცულობით იმოქმედებს. ეს შეიძლება ითქვას ისეთი ქვეყნების პრაქტიკისათვის, რომლებიც ერთიან ეკონომიკურ სივრცეში არიან გაერთიანებული. ამის მკაფიო მაგალითი ევროპის გაერთიანების ქვეყნებია. აქ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში საქონლის შეტანა უნდა იწვევდეს უფლებათა ამოწურვას, თუ რა თქმა უნდა, ამ პრინციპისათვის საჭირო ყველა პირობა იქნა დაკმაყოფილებული.

საქართველოს კანონმა სასაქონლო ნიშნების შესახებ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით პირდაპირ დაადგინა, რომ განსაკუთრებული უფლება იწურება სხვა ქვეყნიდან საქონლის შემოტანის შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანი გამოიყენება მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით. ამ ნორმის გამოყენება პრაქტიკაში დაკავშირებული იქნება მრავალი ფაქტორის გათალისწინებასთან, რაზეც კანონი სდუმს.

თავი 30. სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლება-მოვალეობები

სანამ განმცხადებელი რეგისტრირებული ნიშნის მფლობელი გახდება, მას უფლება-მოვალეობებიც შესაბამისად განსხვავებული აქვს იმისგან, რაც ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ არის წარმოშობილი. განმცხადებლის უფლება-მოვალეობანი ძირითადად მარეგისტრირებელ ორგანოსთან ურთიერთობით შემოიფარგლება. მას უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებები განაცხადში, მოთხოვნა წაუყენოს საპატენტო უწყებას, თუ ეს უკანასკნელი რეგისტრაციის პროცედურასთან დაკავშირებით რაიმე პირობას დაარღვევს. განმცხადებლის მოვალეობაა შეასრულოს უწყების პროცედურული მოთხოვნები, გადაიხადოს დადგენილი საფასურები დროულად. მას შემდეგ, რაც განაცხადს მიენიჭება მიღების თარიღი (პრიორიტეტი) დაუდგინდება, განმცხადებელს წარმოეშვება უფლება ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტით პარიზის კონვენციის მონაწილე სხვა ქვე-

ყანაში იგივე ნიშნის რეგისტრაციისათვის. ასევე, განმცხადებელს უფლება აქვს გააუქმოს, ან უკან გამოიხმოს განაცხადი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ნიშანი ჯერ კიდევ რეგისტრირებული არ არის, განმცხადებელს შეუძლია სასამართლოს მიმართოს, თუ მას დავა წარმოეშვა მარეგისტრირებელ უწყებასთან. გარდა ამისა, განმცხადებელს უფლება აქვს საკუთარი განაცხადი და შესაბამისად ნიშანი შეინახოს საიდუმლოდ სანამ არ დაგება ex-officio გამოქვეყნების დრო.

ნიშნის მფლობელის უფლება-მოვალეობანი განსხვავებულია განმცხადებლის უფლება-მოვალეობებისაგან. ძირითადი უფლება ის არის, რომ ნიშნის მფლობელს შეუძლია მიიღოს კანონით დადგენილი ნებისმიერი ზომები განსაკუთრებული უფლებების დარღვევის აღსაკვეთად. მას უფლება აქვს თავად გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, ან სხვას გადასცეს ეს უფლება მთლიანად, ან ნაწილობრივად.

განსაკუთრებული უფლება შეიძლება გადაეცეს პირს კანონისმიერად ან მფლობელსა და სხვა პირს შორის არსებული შეთანხმების თანახმად. პირველ შემთხვევაში უფლება გადადის კანონისმიერ ან ანდერძით მემკვიდრეზე. უფლება მემკვიდრეობით შეიძლება იურიდიულ პირსაც გადაეცეს მისი გაუქმების და სანაცვლოდ სხვა პირის წარმოქმნის შემთხვევაში. ასეთი უფლებამონაცვლე თავად ხდება ნიშნის მფლობელი და მასზე გადადის ყველა არსებული ვალდებულებისა თუ მოთხოვნის შესრულება. იგი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს ნიშნის მფლობელის მაგივრად სრული მოცულობით. უფლებათა გადაცემა შეიძლება მოხდეს ჩუქებითაც.

განსაკუთრებული უფლების გადაცემა გარიგების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, როგორც სრული მოცულობით, ასევე ნაწილობრივად. უფლებების ნაწილობრივი გადაცემა ხდება სალიცენზიო ხელშეკრულებით, ფრენშაიზინგით ან უფლებათა გადაცემის შესახებ უშუალო კონტრაქტით. ნაწილობრივია უფლებათა გადაცემა, თუ ნიშნის მფლობელი უთმობს სხვა პირს უფლებას სასაქონლო ნიშანის რომელიმე სახის საქონელზე გამოყენებისათვის. მაშინ თვითონ, ამავე საქონელზე ვეღარ გამოიყენებს ნიშანს. ნაწილობრივად გადაცემა უფლებებისა ხდება სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზეც, რომელიც შეიძლება იყოს განსაკუთრებული, სრული ან მარტივი. უკანასკნელ შემთხვევაში ნიშნის მფლობელსაც რჩება ნიშნის გამოყენების უფლება იგივე პირობებით. სრული ლიცენზიის გაცემისას ნიშნის მფლობელს რჩება მხოლოდ ტიტულის ფლობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში უკვე მიღებულ წესად იქცა უფლებების გადაცემა საწარმოს გარეშე. ოღონდ, ასეთ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული პარიზის კონვენციის მოთხოვნა და ნიშანს გუდვილი უნდა ჰქონდეს. საქართველოს კანონმდებლობით ეს ნორმა დასაბამიდანვე დაწესდა (1992 წელს, მაშინ, როდესაც საერთაშორისო დონეზე ამ საკითხზე თანხმობა სპეციალისტთა შორის მიღწეული არ იყო). მთავარი ინიციატორი აღნიშნული ნორმის ამოქმედებისა იყო ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერ-იურისტი – ბატონი სერგო ჯორბენაძე. აქედან გამომდინარე და იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ნიშნის გადაცემის შესაძლებლობა საწარმოს გარეშე განამტკიცა ახლადმიღებულმა კანონმა სასაქონლო ნიშნების შესახებ ვერ დავეთანხმებით პროფესორ ჭანტურიას აზრს, რომ არ შეიძლება არაფულადი შესატანის სახით გამოყენებულ იქნეს სასაქონლო ნიშანი საწარმოს დასაარსებლად.[1]

ნიშნის მფლობელის მოვალეობანი ძირითადად ის არის, რომ მან უნდა მიიღოს ზომები განსაკუთრებული უფლებების შენარჩუნებისათვის. აქედან მთავარია ნიშნის გამოყენების მოვალეობა. თუ ადრე, 90-იან წლებამდე ნიშნის გამოყენება ფაკულტატიური მოვალეობა იყო, ამჟამად ყველა ახალი საკანონმდებლო აქტი აწესებს ნიშნის აუცილებლად გამოყენების პირობას. თუ გარკვეული დროის პერიოდში ნიშანი არ იქნა გამოყენებული, მაშინ განსაკუთრებული უფლება იკარგება. ეს პერიოდი, როგორც წესი, ხუთ წელიწადს შეადგენს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ ნიშნის მფლობელმა ეს მოვალეობა შეასრულა, მაშინ 5 წლის შემდეგ მისი ნიშნის რეგისტრაციის გაბათილებას ვეღარავინ განახორციელებს აღნიშნულ საფუძველზე. საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმა ამ პრობლემას გვერდი არ აუარა და 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით დააწესა ნიშნის გაუქმების შესაძლებლობა, თუ ის 5 წლის განმავლობაში არ იქნა გამოყენებული.

ფაკულტატურია მოვალეობა ნიშნის გამოყენებისას გამაფრთხილებელი ან განმარტებითი მინიშნებებით მისი აღჭურვის შესახებ. ასეთი სახის მინიშნებებია, მაგალითად, – „ნიშანი რეგისტრირებულია". თუ ის ჯერ რეგისტრირებული არ არის, მაშინ იყენებენ შემდეგ აღნიშნვნას „ნიშანი შეტანილია სარეგისტრაციოდ". ასეთი მონიშვნების გაკეთება ზოგ შემთხვევაში აუცილებელია იმისათვის, რომ განმტკიცდეს უფლება ზიანის ანაზღაურებაზე.

---

[1] იხ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა, თბილისი, 1998წ., გვ. 55.

თავი 31. სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული დავები

სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული დავები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს. პირველი ჯგუფის დავები წარმოიშობა განმცხადებელსა ან სასაქონლო ნიშნის მფლობელსა და მარეგისტრირებელ უწყებას შორის. მეორე ჯგუფის დავები კი წარმოიშობა ნიშნის გამოყენების შედეგად და დაკავშირებულია განსაკუთრებული უფლებების დარღვევებთან.

დავები საპატენტო უწყებასთან და მათი განხილვა

სანამ ნიშანს საპატენტო უწყება იხილავს სტადიაზე, დავები წარმოიშობა განმცხადებლის უთანხმოების შედეგად საპატენტო უწყების გადაწვეტილებაზე. საპატენტო უწყება თავად არ გამოვა დავის დამწყებ მხარედ, რადგან ის ადმინისტრაციული ორგანოა, ხელმძღვანელობს კანონმდებლობითა და საპროცედურო წესებით, რომელთა თანახმადაც საპატენტო უწყების გადაწყვეტილება აუცილებელია შესასრულებლად განმცხადებლისათვის. ამდენად, ამ პროცესში შეიძლება შეილახოს მხოლოდ განმცხადებლის უფლებები. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ განმცხადებელს საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით უნდა ჰქონდეს შედავების უფლება. განმცხადებელს შეუძლია აღძრას შედავება განაცხადის განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. მაგალითად:

- განაცხადის შეტანის თარიღის დადგენაზე და უარყოფით გადაწვეტილებაზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად;
- უარყოფით გადაწყვეტილებაზე არსობრივი ექსპერტიზის შედეგად; განაცხადის ნაწილობრივად უარყოფაზე და სხვა.

რადგან საქართველოში კანონმდებლობით არის გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის წინააღმდეგ მესამე პირების მიერ შედავების შეტანის პროცედურა. გამოქვეყნების შემდეგ, **სანამ ნიშანი რეგისტრირებულია, საპატენტო უწყებას შეიძლება ედავოს განმცხადებლის გარდა სხვა დაინტერესებული პირიც.**

გარდა აღნიშნულისა, **საპატენტო უწყებასთან დავა შეიძლება წარმოეშვას ნიშნის მფლობელს ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ, მაგალითად, უფლებათა შენარჩუნების თაობაზე**. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც უწყება გამოაცხადებს განსაკუთრებულ

უფლებებს შეწყვეტილად, მაგალითად, დაწესებული საფასურის გადაუხდელობის გამო.

სხვაგვარი დავაც შეიძლება მოხდეს უწყებასა და ნიშნის მფლობელს შორის. მაგალითად, საქართველოში სალიცენზიო ხელშეკრულება თუ უწყებაში რეგისტრირებულ არ იქნა, ან საქპატენტმა რაღაცა მიზეზის გამო დროზე არ მოახდინა ამ ხელშეკრულების რეგისტრაცია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და იმისათვის, რომ შეიქმნას დავების ოპერატიული და მოდავე მხარისათვის ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი პირობები, თითქმის ნებისმიერი ქვეყნის კანონი აწესებს სააპელაციო პროცედურას, რომელიც ხორციელდება უშუალოდ საპატენტო უწყებაში ან მის ზემდგომ ორგანიზაციაში. საქართველოს კანონმდებლობამ თავიდანვე გაითვალისწინა ასეთი წესი და 1992 წლის დებულებით გამოგონების შესახებ ჩამოაყალიბა სააპელაციო პალატის არსებობა მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან. ამჟამად, სააპელაციო პალატა საქპატენტთან არსებობს. სააპელაციო პალატაში გასაჩივრებას ეხება სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-16 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ საჩივარი უნდა იქნეს განხილული ორი თვის ვადაში.

სააპელაციო პალატაში დავის განხილვის პროცედურა რეგულირდება ან სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით – კონტინენტური ევროპის ქვეყნები, იაპონია, ან შესაბამის სასამართლოში არსებული პროცესით – საერთო სამართლის ქვეყნები, კერძოდ, ინგლისი, კანადა. სააპელაციო პალატაში დავების განხილვა წინასწარ მზადდება, ეგზავნებათ შეტყობინება მოდავეებს და მათი დასწრებით იმართება მოსმენა. დავა შეიძლება მოდავე მხარის დასწრების გარეშეც განიხილოს. იქმნება კოლეგიები არანაკლებ 3 სპეციალისტისგან, რომლებიც იურისტები უნდა იყვნენ. მოდავე მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებანი, რომლებიც შეიძლება იყოს დოკუმენტური, რეალური ან ექსპერტთა დასკვნა.

სააპელაციო პროცედურის შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებაზე დავა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოში. უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც სხვა მრავალი ქვეყნის პრაქტიკით არის დადგენილი, საქართველოშიც მოდავე მხარეს თავისი შეხედულებით შეუძლია პირდაპირ მიმართოს სასამართლოს სააპელაციო პალატისათვის მიმართვის გარეშე.

განსაკუთრებული უფლებების დარღვევა და დავების განხილვა

მას შემდეგ, რაც ნიშნის მფლობელი მოიპოვებს განსაკუთრებულ უფლებებს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კონტროლი გაუწიოს ბაზარს, რომ, დროზე გამოავლინოს და არ დაუშვას უფლებების დარღვევა. ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი ბაზრის მქონე ქვეყნებში, რომელთა რიცხვს სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან ერთად საქართველოც განეკუთვნება. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად ითვლება იდენტური, ან მსგავსი სასაქონლო ნიშნის უნებართვო გამოყენება იგივე სახის, ან მსგავსი საქონლისათვის. დარღვევად ითვლება აგრეთვე რეკლამისათვის გამოყენება იდენტური, ან მსგავსი სასაქონლო ნიშნისა. როგორც აქედან გამომდინარეობს, დარღვევის დამტკიცებისათვის საჭიროა უეჭვო იყოს გამოყენების ფაქტი. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ 24-ე მუხლით იძლევა იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც ნიშნის გამოყენებად მიიჩნევა. ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ნიშნის ფაქტიური გამოყენება გულისხმობს მის განმეორებას, რაც შეიძლება იყოს პირდაპირი (იდენტური ნიშნის გამოყენება) ან მიმსგავსებითი.

პირველი სახის უნებართვო გამოყენება ინტელექტუალური საკუთრების სამართალში ცნობილია, როგორც კონტრაფაქცია. ეს სიტყვა ლათინური წარმომავლობისაა და შეიცავს ორ ნაწილს „Contra" – წინააღმდეგ და „Facere" – კეთება. ამდენად, კონტრაფაქცია შეიძლება ითარგმნოს, როგორც ქმედება, მიმართული განსაკუთრებული უფლების მფლობელის საწინააღმდეგოდ. ფრანგულიდან თუ ვთარგმნით „Contrefaction" გაყალბებას ნიშნავს. იგივე მნიშვნელობა აქვს ინგლისურ სიტყვას „Counterfaiting". ამდენად, კონტრაფაქცია შეიძლება განიმარტოს, როგორც გაყალბებული ნიშნის გამოყენება განსაკუთრებული უფლებების მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ. ჩვეულებრივად კონტრაფაქციად ითვლება ზუსტად იგივე ნიშნის (იდენტური) გამოყენება უნებართვოდ. ბოლო ხანს იურისპრუდენცია აფართოებს მის შინაარსს და კონტრაფაქციად ითვლება ნიშნის ძირითადი ელემენტების უნებართვო განმეორება და გამოყენება.

მეორე სახის დარღვევაა – მიმსგავსება, რასაც იურიდიული მეცნიერება უწოდებს იმიტაციას. ამ შემთხვევაში ნიშანი განიცდის

სერიოზულ ცვლილებებს, მაგრამ სახეზე რჩება საერთო შთაბეჭდილება და იდეური შინაარსი.

კონტრაფაქციის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს: „ADIDAS" – ორიგინალური ნიშანი და „ADIBAS" – გაყალბებული.

იმიტაციის მაგალითად გამოდგება: „შვიდი სპილო" – ორიგინალური ნიშანი და „შვიდი სილო" ან „5 სპილო" – იმიტირებული. საქონელი, რომლისთვისაც გამოიყენებოდა ორივე ნიშანი, თეთრეულია. სასამართლო პრაქტიკას, როგორც წესი, უჭირს ზუსტი ზღვრის გავლება კონტრაფაქციასა და იმიტაციას შორის, ამიტომ ხშირად კანონმდებლობა და პრაქტიკა სასაქონლო ნიშნის ნებისმიერი სახით უნებართვო გამოყენებას კონტრაფაქციას უწოდებს. სასამართლო, დავების განხილვისას, ნიშნების მსგავსების დასადგენად (ისევე როგორც საქონლისა) იყენებს ე.წ. „საშუალო დონის (ჩვეულებრივი) მომხმარებლის" შეხედულებას. საქართველოს პირობებში, როდესაც გამოყენებული ნიშნების უმეტესობა უცხოურია და ლათინური დამწერლობით წარმოსდგება, სიტყვიერი ნიშნების მსგავსების დადგენა ჩვეულებრივი ქართველი მომხმარებლის შეხედულებაზე დაყრდნობით კორექტული ვერ იქნება. ეს გარემოება განსაკუთრებით იჩენს თავს, როდესაც უნდა შემოწმდეს სიტყვიერი ნიშნის ჟღერადობა. რა წესით წაიკითხავს ლათინური ასოებით დაწერილ ნიშანს საშუალო ქართველი მომხმარებელი, მაგალითად ნიშანს „NUTELA"? – მოეთხოვება კი მას ზუსტი წაკითხვა შესაბამისი ენის მიხედვით, ვთქვათ, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, ესპანური და ა.შ.

უცხო ენაზე რეგისტრირებული ნიშნების ქართველი მომხმარებლის მიერ კურიოზული წაკითხვა რომ თავიდან იქნეს აცილებული საჭიროა ისეთი ნიშნების, როგორიცაა „TRAKIA" და სხვ. ქართული დამწერლობით გამოყენება. ასეთ შემთხვევებში ნიშანი წაიკითხება „თრაკია" – ბულგარეთის ისტორიული რაიონი.

გამოსახულების ანალიზისას ჩვეულებრივი მომხმარებლის შეხედულება რაიმე ეროვნულ თავისებურებებზე იმდენად არ არის დამოკიდებული, რომ აღნიშნულის მაგვარი სირთულე წარმოქმნას.

შევეხებით კიდევ ერთ პრაქტიკულ საკითხს. მიჩნეულია, რომ დარღვევად ითვლება აგრეთვე სიტყვიერი ნიშნის თარგმნის უნებართვოდ გამოყენება. კვლავ, თუ გავითვალისწინებთ ქართული ენის განსხვავებულობას სხვა ენებისაგან, მაშინ დასადგენია, ჩაითვლება თუ არა დარღვევად ქართველი მომხმარებლის შეხედულებიდან გამომდინარე ორი შემდეგი ნიშნის გამოყენება: „Spring"–

ინგლისური და „გაზაფხული“ ქართული. იგივე კითხვასთან გვაქვს საქმე, თუ რუსულ სიტყვას „Весна“ გავითვალისწინებთ. თვალსაჩინოებისათვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. აქვთ თუ არა რაიმე საერთო ერთმანეთთან შემდეგ ნიშნებს (ქართველი მომხმარებლის თვალთახედვიდან) მკითხველმა თავად განსაჯოს: „Sunset“, „Закат“და „დაისი“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ თარგმნილი სიტყვისაგან შემდგარი ნიშნის გამოყენებას განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ განიხილავს, რის დასტურიც არის ის, რომ აღნიშნული კანონის 24-ე მუხლი, რომელიც იძლევა „გამოყენების“ ამომწურავ ჩამონათვალს თარგმნილი ნიშნის შემთხვევას არ ითვალისწინებს.

ერთი და იმავე ნიშნის გამოყენება ერთმანეთისაგან განსხვავებული საქონლისათვის დარღვევად არ ჩაითვლება და ეს გასაგებია, თუ საქმე გვაქვს ნიშანთან, რომელიც ჯერ კიდევ საყოველთაოდ ცნობილი არ გამხდარა. მაგრამ, თუ საქონლის ან მომსახურების მსგავსება მტკიცდება, მაშინ დარღვევა სახეზე იქნება. მაგალითად, პარიზის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ნიშნის „Technica“ მფლობელის განსაკუთრებული უფლება დაირღვა სხვა პირის მიერ იგივე ნიშნის გამოყენებით. მოტივი ის არის, რომ სასამართლომ ერთმანეთის მსგავსად მიიჩნია მომსახურება შენობების, ნაგებობების და წყალგაყვანილობის აგების სფეროში და მომსახურება შენობებისა და ნაგებობების მოვლა-პატრონობის სფეროში.

სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებათა დარღვევის კიდევ ერთი სახეა სხვისი ნიშნის რეპუტაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობისათვის (Passing off). ამ დარღვევის შინაარსი ადრე უკვე გადმოვეცით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, როდესაც ამგვარი ქმედებაა სახეზე მაშინ ნათელია, რომ დამრღვევი პირი იყენებს საყოველთაოდ ცნობილ ნიშანს, ანუ ისეთ ნიშანს, რომელსაც სტაბილური და ძლიერი რეპუტაცია გააჩნია მოცემულ ქვეყანაში. კონკრეტულ შემთხვევაში საქონელს არსებითი მნიშვნელობა არ ექნება. მართლაც წარმოვიდგინოთ, რომ ვიღაცა უნებართვოდ იყენებს ნიშანს „Mercedes“, ვთქვათ, საქართველოში ტანსაცმლის საწარმოებლად და გასაყიდად, განა მყიდველი უნებლიედ არ დაუკავშირებს ამ საქონლის მწარმოებელს ცნობილ გერმანულ ავტომანქანების მწარმოებელს? ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ დავები სასაქონლო ნიშნის დარღვევაზე რთულად გადასაწყვეტ

დავებს წარმოადგენს და პრაქტიკა ერთი და იგივე საკითხზე განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყნამდე. საქართველოში ერთიდაიგივე მიდგომის დამკვიდრებისაკენ არის მიმართული სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, რომელიც კრძალავს კარგი რეპუტაციის მქონე ნიშნის მსგავსი აღნიშვნის ისეთ უნებართვო გამოყენებას, რაც დამრღვევ პირს შეუქმნის დაუმსახურებელ ხელსაყრელ პირობებს, ან ზიანს მიაყენებს ნიშნის გუდვილს.

საქართველოში სასამართლო პრაქტიკა ჯერ მწირია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე მოქმედი (რეგისტრირებული) ნიშნების რიცხვი 35 000-ზე მეტია, შეიძლება დავასკვნათ, რომ სულ ახლო მომავალში მოსალოდნელია ხშირი დავები. ამიტომ, საქართველოს მეწარმენი ყურადღებით უნდა იყვნენ და დროულად მოიპოვონ და დაიცვან უფლებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ნათქვამის გასაძლიერებლად მოვიყვანთ ერთ ცნობილ ფაქტს. 60-იან წლებში ჩეხოსლოვაკიიდან არგენტინაში უნდა მიეწოდებინათ ავტომანქანები ნიშნის „TATRA" გამოყენებით. ექსპორტიორმა არ შეისწავლა არგენტინის ბაზარი და წააწყდა იმ ფაქტს, რომ ვინმე Rousek-მა მოასწრო თავის სახელზე დაერეგისტრირებინა აღნიშნული ნიშანი. შედეგად, ექსპორტიორს მოუხდა ნიშნის შეცვლა. შემდეგ, არგენტინაში მანქანები შეტანილ იქნა ნიშნით „Skoda". გასაგებია, რომ ექსპორტიორი დაკარგავდა დროს, და გაიღებდა სერიოზულ ფულად სახსრებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ შემთხვევაში ჩეხეთის ავტოქარხანამ შესძლო თავიდან აერიდებინა სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლების დარღვევა და არ მოუხდა სასამართლო პროცესებზე გამოსვლა. მაგრამ, როდესაც ნიშნის მფლობელის უფლებები დარღვეულია როგორ უნდა გადაწყდეს დავა?

განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას დავის გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს შემდეგი გზებით:

- **მორიგებით;**
- **სასამართლოში სამოქალაქო საქმის აღძვრით;**
- **სამედიატორო სასამართლოში (არბიტრაჟი) საქმის განხილვით;**
- **სისხლის სამართლის საქმის აღძვრით.**

მხარეთათვის ყველაზე ხელსაყრელია მორიგება, მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ მიმართავენ არბიტრაჟს, ან სასამართლოს.

საქართველოში, სადღეისოდ, უკვე შეიქმნა კერძო არბიტრაჟები, რომლებიც შეეცდებიან საქმე მაქსიმალური ობიექტურობით გადაწყვიტონ, რათა დაიმკვიდრონ კარგი სახელი და წარმატებით ისაქმიანონ მომავალში. ამასთან, არბიტრაჟი გაცილებით უფრო სწრაფად განიხილავს სარჩელს და უფრო ნაკლები ფინანსური ხარჯებით, ვიდრე სასამართლო.

თუ მხარეები სხვაგვარად არ ისურვებენ მათ მოუხდებათ მიმართვა სასამართლოში. სარჩელი განიხილება სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის წესით, ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. სასამართლოსადმი მიმართვისას უფლებათა დარღვევის ფაქტი უნდა დაამტკიცოს ნიშნის მფლობელმა. ყველაზე დამაჯერებელია ნივთიერი მტკიცებულების წარმოდგენა. ყურადღება ექცევა დოკუმენტურ მტკიცებულებებსაც, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია ნიშნის სარეგისტრაციო დოკუმენტები, სარეკლამო მასალები, სხვადასხვა სახის ზედდებულები და ა.შ. მხედველობაში მიიღება მოწმეთა ჩვენებებიც. უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება ერთ-ერთი რთული საკითხია. შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების არსებობას დიდ ყურადღებას უთმობს თანამედროვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები. საქართველოს დღევანდელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს საკმარის ზომებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა დაყადაღება საქონლისა, რომელზეც არის დატანილი ყალბი ნიშანი. მოსარჩელემ სასამართლოს ამ ღონისძიების გატარების მიზნით შეიძლება მიმართოს სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ან მის შემდეგ.

პარიზის კონვენციის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფა საქართველოში მოხერხდება ახლადმიღებული კანონის „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ გამოყენებით, რომელმაც გამოასწორა საბაჟო კოდექსის ხარვეზები ამ მიმართებით.

მოპასუხე მხარე თავის დასაცავად, როგორც წესი, საქმეს იწყებს იმით, რომ ეჭვის ქვეშ აყენებს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების ნამდვილად არსებობის ფაქტს. ამასთან, ეჭვის ქვეშ შეიძლება იქნეს დაყენებული ნიშნის რეგისტრაციის ფაქტი დასაბამიდანვე. ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი როგორც აბსოლუტურ, ისე ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით. სასაქონლო ნიშნის გაუქმებისა და ბათილად

ცნობის საფუძვლები მოცემულია სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 27-ე და 28-ე მუხლებში. კანონის ახალმა რედაქციამ შესაძლებელი გახადა ნიშნის გაუქმება, თუ ის რეგისტრირებული იყო არაკეთილსინდისიერი განზრახვით. ნიშნის გაუქმებისას განსაკუთრებული უფლება წყდება გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, ხოლო ბათილად ცნობის შემთხვევაში ითვლება, რომ განსაკუთრებული უფლებები მოპოვებული არ ყოფილა დასაბამიდანვე.

გარდა ამისა, მოპასუხეს შეუძლია ამტკიცოს, რომ სინამდვილეში დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ექსპერტების მონაწილეობა, რომლებიც შეაფასებენ იდენტური, ან მსგავსია თუ არა ნიშნები და/ან საქონელი, რაც დიდ სირთულეებთან, დროისა და ფულადი სახსრების დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

მოპასუხე შეიძლება თავისი ქმედების გამართლება შეეცადოს იმის მტკიცებით, რომ მოსარჩელემ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მიიღო ზომები დარღვეული უფლებების დასაცავად, რაც შეიძლება გათანაბრებული იქნეს საკუთარ უფლებებზე უარის თქმასთან.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით სასამართლომ სარჩელის განხილვის შედეგად შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება და დააკისროს დამრღვევს შემდეგი ხასიათის სანქციები:

- **დარღვევის გამომწვევი ქმედების შეწყვეტა;**
- **მიყენებული ზიანის ანაზღაურება;**
- **ეტიკეტების, ნახატების, ანაბეჭდების, პაკეტის, შეფუთვის და სარეკლამო განცხადების განადგურება;**
- **ნიშნის დასამზადებლად მომარჯვებული კლიშეების, მატრიცების განადგურება;**
- **საქონლის განადგურება, თუ ამ საქონლისგან ნიშნის განცალკევება შეუძლებელია;**

ჩამოთვლილი სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45-ე მუხლი.

საქმე შეიძლება იყოს აგრეთვე სისხლის სამართლის წესით განხილული და მაშინ დამნაშავე პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა, ან დაპატიმრება.

ჯარიმას ითვალისწინებს ადმინისტრაციული კოდექსიც.

საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მაგალითები

სიტყვისაგან, ასოებისაგან, ციფრებისაგან შემდგარი ნიშნები

მარს	ШЕЛКОВАЯ ДОРОГА
PANTENE PRO-V	THE WORLD OF INTERIORS SEIBERLING SL-400
GLISS	პური &COMPANY
KUR	ფიტომალი
ABB	1×1
VRV	



MANDARINA DUCK

სავაჭრო კაზმულობა, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნად





კარი IV. სხვა კომერციული აღნიშვნების სამართალი

თავი 32. გეოგრაფიული აღნიშვნები

თანამედროვე პირობებში, როდესაც სამომხმარებლო ბაზარი სულ უფრო გადაჯერებული ხდება საქონლით, მეწარმეს განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა და ღონისძიებების გატარება უხდება, რომ საქონელი წარმატებით და სტაბილურად ჩართოს სამეურნეო მიმოქცევაში. მომხმარებელი ამ ვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქონლის სპეციფიკურ თვისებებს, მის განსაკუთრებულ ხარისხსა და იმ გარემოს – გეოგრაფიულსა თუ ადამიანურს, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს პროდუქციაზე. ამ მიზნით მეწარმენი ცდილობენ ისეთი სახის აღნიშვნებით აღჭურვონ საქონელი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მიანიშნებენ მომხმარებელს საქონლის წარმოშობის წყაროზე და მასთან დაკავშირებულ სხვა განსაკუთრებულ გარემოებებზე. როგორც წესი, ასეთი აღნიშვნები მიუთითებენ ნატურალურ წარმოშობაზე, ტექნოლოგიაზე, გეოგრაფიულ წარმოშობაზე და სხვ. პირდაპირ მიმათითებელი აღნიშვნების მაგალითია „Cotton 100%“ (ბამბა 100%), „Pure wool“ (სუფთა მატყლი), „Leather“ (ტყავი), „ბორჯომი“, „საირმე“, „ატენური“, „Pilsen“, „წარმოებულია საქართველოში“, „Swiss made“ (შვეიცარული ნაწარმი).

არაპირდაპირ აღნიშვნებს განეკუთვნება, მაგალითად, მთაწმინდის სტილიზებული გამოსახულება, ქართლის დედის გამოსახულება, ეიფელის კოშკის, კოლიზეუმის, კრემლისა ან თავისუფლების ქანდაკების გამოსახულება და სხვა.

ნაწარმის ხასიათზე მიმანიშნებელი აღნიშვნები გეოგრაფიულ აღნიშვნებს არ წარმოადგენს და სპეციალურ დაცვას არ ექვემდებარება.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას დიდი ხნის ისტორია აქვს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია 100 წელიწადზე მეტია, რაც ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს ამ ობიექტების საერთაშორისო დაცვის გაძლიერების მიზნით. პარიზის კონვენცია, 1883 წლის რედაქციიდან მოყოლებული, შეიცავს საქონლის წარმოშობაზე და ადგილწარმოშობაზე მითითების დაცვის ნორმებს, ამასთან, მათ მიაკუთვნებს სამრეწველო საკუთრების ობიექტებს.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა სამართლებრივად რთულად მოსაგვარებელ პრობლემას წარმოადგენს. ამის დასტურია ის, რომ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას მიეძღვნა მრავალი სპეციალური სიმპოზიუმი.

ამ საკითხისადმი სპეციალური მოთხოვნები ჩამოაყალიბა ვაჭრობის თანხვედრი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ TRIPS -ის ხელშეკრულებამ. ტერმინი „გეოგრაფიული აღნიშვნა" ამ ხელშეკრულებამ აქცია საერთაშორისო პრაქტიკაში მისაღებ ტერმინად, მანამდე იგი მოიხსენიებოდა მხოლოდ სპეციალურ ლიტერატურაში. პარიზის კონვენციისათვის ეს ტერმინი ცნობილი არ არის. საკანონმდებლო პრაქტიკაში გეოგრაფიული აღნიშვნა მკვიდრდება TRIPS-ის ამოქმედების შემდგომ პერიოდში, ანუ ბოლო 8 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში თითქმის ყველა ქვეყანა, მათ შორის განვითარებული, ახდენს კანონმდებლობის რევიზიას ხსენებულ ხელშეკრულებებისადმი თანადობაში მოყვანის მიზნით. ამგვარი ღონისძიებების განხორციელება სავალდებულოა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის. შესაბამისად, არც საქართველო დარჩენილა გულგრილი ამ პროცესისადმი და 1999 წ. მან მიიღო სპეციალური კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ".

გეოგრაფიული აღნიშვნა, როგორც ტერმინი, გამოიყენება პარიზის კონვენციით გათვალისწინებული ორი ობიექტის: საქონლის წარმოშობის და საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელების (ადგილწარმოშობის დასახელება) აღსანიშნავ ჯამურ ტერმინად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმაც გამოიყენა ეს ტერმინი.

ა. წარმოშობის აღნიშვნა

ტერმინი გეოგრაფიული აღნიშვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შემდეგნაირად არის გადმოცემული (1103-ე მუხლი): „წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების უფლება.

საქონელზე (მომსახურებაზე) ადგილწარმოშობის დასახელებისა და წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის უფლება წესრიგდება შესაბამისი კანონით".

როგორც ვხედავთ, ამ ნორმის თანახმად ორი სხვადასხვა ობიექტის დაცვასთანა გვაქვს საქმე საქართველოში და ტერმინი **„გეოგრაფიული აღნიშვნა" ჯამურ ტერმინს არ წარმოადგენს**, რაც

დაადასტურა კანონმა „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“. თუ რა იგულისხმება „წარმოშობის გეოგრაფიულ აღნიშვნად“ არ არის კოდექსში გადმოცემული, მას კანონი განმარტავს. გეოგრაფიულ აღნიშვნად კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ მიიჩნევს სახელს, ან სხვა რაიმე სიმბოლოს, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია იმ საქონლის მოსანიშნად, რომელიც ამ გეოგრაფიულ ადგილიდან არის წარმოშობილი, ან რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებელი დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან, ან რომლის წარმოება ან ნედლეულის დამზადება ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

პ არიზის კონვენციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია: პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, წარმოშობის (წყაროს), ან წარმოშობის ადგილის დასახელების აღნიშვნა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა“. ამ მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სამრეწველო საკუთრების ობიექტად, ან წარმოშობის აღნიშვნა უნდა იყოს, ან ადგილწარმოშობის დასახელების აღნიშვნა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი ორივე ობიექტს ცნობს და თან პარიზის კონვენციისაგან განსხვავებით ასახელებს „წარმოშობის გეოგრაფიულ აღნიშვნას“. ხოლო კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ წარმოშობის აღნიშვნას არ ეხება, სამაგიეროდ „გეოგრაფიულ აღნიშვნას“ დაცვის მეორე ობიექტად ასახელებს, რომელიც თავის შინაარსით ახლოს არის „ადგილწარმოშობასთან“, ხოლო მოიცავს იგი წარმოშობის აღნიშვნას თუ არა გასარკვევია. პარიზის კონვენცია ფართო გაგების ტერმინს იყენებს – „წარმოშობის აღნიშვნა“. ამ ტერმინს იყენებს აგრეთვე, საქონლის ადგილწარმოშობის დაცვისა და მისი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ გეოგრაფიულ აღნიშვნად დასახელების გარდა სხვა „რაიმე სიმბოლოს“ მიიჩნევს, მაშინ დასაშვებია გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნა წარმოშობის აღნიშვნად შეიძლება მოგვევლინოს, თუ საქონლის მოსანიშნად გეოგრაფიული ადგილის ამოსაცნობი სიმბოლიკა იქნა გამოყენებული.

პარიზის კონვენციისა და ლისაბონის ხელშეკრულებების გათვალისწინებით ისმომ განვითარებადი ქვეყნებისათვის შეიმუშავა სანიმუშო კანონი ადგილწარმოშობის დასახელებისა და წარმოშობის აღნიშვნის შესახებ (MODEL LAW FOR DEVELOPING COUNTRIES ON APPELLATIONS OF ORIGIN AND INDICATIONS OF SOURCE). ამ კანონის და ლისაბონის ხელშეკრულების განმარტებები ერთმანეთის სინონიმურია. ისინი არც პარიზის კონვენციის განმარტებას ეწინააღმდეგება. წარმოშობის აღნიშვნად ციტირებულ დოკუმენტებში იგულისხმება ნებისმიერი სახის სიტყვა, ან რაიმე სხვა სიმბოლო, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებელმა დაასკვნას, თუ რომელ ქვეყანაში, ან სხვა გეოგრაფიულ ადგილზე არის წარმოებული მოცემული ნაწარმი. საქონლის წარმოშობის აღნიშვნისათვის გამოიყენება გამოთქმა „წარმოებულია ... (ქვეყანაში)", ხოლო სხვაგვარი აღნიშვნა შეიძლება იყოს, მაგალითად, რომელიმე ქვეყნის ეროვნული სიმბოლიკის გამოყენება, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური. ოფიციალურ სიმბოლოებს განეკუთვნება: დროშები, გერბები და სხვა, ხოლო არაოფიციალურს წარმოადგენს ისეთი გამოსახულება (სიმბოლო), რომელიც მოცემულ ქვეყანასთან ასოცირდება (მაგ., კრემლი – რუსეთისათვის, ეიფელის კოშკი – საფრანგეთისთვის).

თუ დავუბრუნდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსს შევნიშნავთ, რომ ამგვარი აღნიშვნებისათვის გამოყენებული ტერმინი – „წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნა" უფრო ვიწროა, ვიდრე ამას მოითხოვს საერთაშორისო ნორმები. ასეთივე სიტუაცია იკვეთება საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ კანონიდან გამომდინარე. სიტყვა „გეოგრაფიული", რომელიც დაემატა ტრადიციულ ფრაზას „წარმოშობის აღნიშვნა", გამორიცხავს გამოსახულებითი სიმბოლოების გამოყენებას. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსში მოცემული ფორმულირება მუხლის შინაარსს ტავტოლოგიურს ხდის, რადგან მეორე ტერმინი „ადგილწარმოშობის დასახელება", ზუსტად იგივე მნიშვნელობისა არის. იგი აღნიშნულის მსგავსად გულისხმობს გეოგრაფიული ადგილის მინიშნებას, ან დასახელებას.

ბ. ადგილწარმოშობის დასახელება

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება თავისი მოთხოვნებით გაცილებით უფრო მკაცრია ნაწარმის სპეციფიკურ ხარისხზე მინიშნების თვალსაზრისით, ვიდრე წარმოშობის აღნიშვნა. ეს იმით

აიხსნება, რომ წარმოშობის აღნიშვნისათვის არ არის აუცილებელი, რომ ნაწარმის ხარისხი იყოს დამოკიდებული მოცემულ გეოგრაფიულ ადგილის კლიმატურ, ადამიანურ და სხვა ფაქტორებთან, მაშინ, როცა ადგილწარმოშობის დასახელება ამას უპირობოდ გულისხმობს.

საზოგადოდ, ადგილწარმოშობის დასახელება განიმარტება, როგორც გეოგრაფიული სახელწოდება ქვეყნისა, რეგიონისა, ან სხვა კონკრეტული ადგილისა, რომელიც უთითებს, რომ ნაწარმი წარმოშობილია ამ ქვეყნიდან, რეგიონიდან, ან ადგილიდან და, რომ ნაწარმის ხარისხი დამოკიდებულია ან მხოლოდ, ან ძირითადად კონკრეტული ადგილის გარემოსაგან (ბუნებრივი პირობების ან ადამიანური ფაქტორების ჩათვლით). ამასთან საკმარისია, რომ სახეზე იყოს ერთ-ერთი – ან ბუნებრივი პირობებით გამოწვეული განსაკუთრებული ხარისხი, ან ადამიანური ფაქტორებით (ტრადიციებით) განპირობებული ხარისხი.

დასახელება ზოგ შემთხვევაში შეიძლება აუცილებლად არ იყოს გეოგრაფიული სახელწოდება. მაგალითად, „Xtabentin" – არ არის რაიმე გეოგრაფიული სახელწოდება, მაგრამ ამ სახელით მხოლოდ მექსიკური სასმელია ცნობილი, ქართველი მომხმარებლისათვის უფრო ნათელი გახდება, თუ მაგალითისათვის „ჩურჩხელას", „სულგუნს", ან „მაწონს" მოვიყვანთ. ეს ნაწარმი პირდაპირ ასოცირდება საქართველოსთან და საჭიროა სახელმწიფოებრივი ზომების მიღება, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციული ნაწარმის დასახელება არ „გაუბრალოვდეს" და ჩვეულებრივი გვარეობითი ცნება გახდეს. ამის საშიშროება აშკარად იგრძნობა და მაგალითისათვის რუსეთში წარმოებული ყველი „Сулгуни" გამოდგება.

კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ფართოდ განიმარტება ადგილწარმოშობის დასახელება, გაიზიარა ლისაბონის ხელშეკრულების ეგიდით 1970 წელს მოწვეულმა საბჭოს სხდომამ. გადმოცემული ფართო გაგება არ ნიშნავს იმას, რომ ადგილწარმოშობის დასახელებად შეიძლება იქნეს გამოყენებული ქვეყნის ოფიციალური სიმბოლო. ტერმინი ითხოვს, რომ მასში აუცილებლად იყოს წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელწოდება. გამონაკლისის სახით დაშვებულია, რომ გამოყენებულ იქნეს სხვა სახელი. ეს სახელი, მისი მრავალჯერადი გამოყენებით, უკვე უნდა იყოს მომხმარებლის თვალში განუყოფელად დაკავშირებული გეოგრაფიულ სახელწოდებებთან, როგორც „ჩურჩხელა" არის გაიგივებული საქართველოდან წარმოშობილ პროდუქტთან.

„საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ცნება ვიწროდაა განმარტებული, რადგან ადგილწარმოშობად იგი მხოლოდ გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევებში ქვეყნის თანამედროვე, ან ისტორიულ სახელს მიიჩნევს. ამ განმარტებით სიმბოლო, რომელიც გარკვეულ ქვეყანასთან, ან სხვა გეოგრაფიულ ადგილთან არის მჭიდროდ დაკავშირებული და ასოცირდება კიდევაც ადგილწარმოშობის დასახელებად ვერ იქნება მიჩნეული.

ადგილწარმოშობის დასახელების პირდაპირ მაგალითს წარმოადგენს სახელწოდებები „ბორჯომი", „საირმე", „ხვანჭკარა", „წინანდალი", „გურჯაანი" და სხვა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ისეთ ნაწარმთან, რომელიც ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის ადამიანურ ფაქტორთან არის დაკავშირებული, არ არის აუცილებელი, რომ მასალაც ამავე რაიონიდან იყოს წარმოშობილი. მაგალითად, კახური ქუდის წარმოებისათვის საქართველოს სხვა რაიონიდან წარმოშობილ მასალის გამოყენების ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს და სპეციფიკურ ხარისხობრივ თვისებებზე გადამწყვეტ გავლენას ვერ იქონიებს. ასეთ შემთხვევაში, „ადგილწარმოშობის დასახელების" გამოყენების მართებულად მისაჩნევად საკმარისი იქნება, რომ სახეზე იყოს ნაწარმის დამზადების სპეციფიურობის კავშირი მოცემულ რაიონში არსებულ პროფესიულ ტრადიციებთან. აღნიშნული მართლზომიერია არა მარტო ხალხური ნაწარმის მიმართ, არამედ ხელოვნების ნიმუშების მიმართაც – განსაკუთრებით მოხატულობა, ორნამენტი, გარეგნული სახე (მაგალითად, გჟელის ჭურჭელი, სვანური ტანსაცმელი და სხვა).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საკმარისია ორი ტერმინის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ტერმინი „საქონლის წარმოშობის აღნიშვნა", რადგან თავისი ფართო შინაარსით ტერმინი მოიცავს გეოგრაფიულ სახელწოდებასთან ერთად სხვაგვარი სიმბოლოების გამოყენებასაც.

ორი პრაქტიკულად ურთიერთშემცველი ტერმინის არსებობა კარგად იყო ცნობილი სპეციალისტებისათვის და ისმოს ძალისხმევით შემოღებულ იქნა განსაკუთრებული ტერმინი – „გეოგრაფიული აღნიშვნა". მიუხედავად აღნიშნულისა საქართველოში 1999წ. 22 ივნისს მიღებულმა კანონმა გამოიყენება „გეოგრაფიული აღნიშვნა" როგორც დამოუკიდებელი ობიექტის აღმნიშვნელი ტერმი-

ნი. კერძოდ, კანონის სათაური „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ გამოთქმულ აზრს ადასტურებს.

ტერმინი „გეოგრაფიული აღნიშვნა“ გამოიყენება, აგრეთვე, საერთაშორისო შეთანხმებებში, ან სხვა დოკუმენტებში – TRIPS-ის ხელშეკრულების გარდა ევროპის გაერთიანების საბჭოს 1992 წლის №2081/92 დეკრეტში კვების პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ. ორივე დოკუმენტი ეხება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას იმ პროდუქტებისათვის, რომელთა ხარისხი და თვისება დამოუკიდებელია გეოგრაფიულ წარმოშობაზე. ეს დოკუმენტები არ ითვალისწინებს უბრალო აღნიშვნებს, რომლებიც მიუთითებს მხოლოდ ნაწარმის წარმოშობის გეოგრაფიულ ადგილს, ანუ „წარმოშობის აღნიშვნას“ არ ეხება.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ეროვნული კანონების დონეზე ხორციელდება სხვადასხვა გზით.

1. როდესაც უფლებათა დაცვის მიზნით გამოიყენება კანონმდებლობის ზოგადი ნორმები, ან სამართლებრივი პრინციპები, და არა რაიმე სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებანი.
2. კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაციის გზით, მათ შორის, სასერტიფიკაციო ნიშნად.
3. სპეციალური წესით, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაზე.

საერთო სამართლის მიმდევარი ქვეყნები, იზიარებენ რა ახალ საერთოშორისო მოთხოვნებს, ამჟამად, უკვე სპეციალურ, ან ტრადიციულისაგან განსხვავებით სხვა სამართლებრივ წესებს ამტკიცებენ გეოგრაფიული აღნიშვნების დასაცავად. ჩვეულებრივ, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ამ ობიექტის დასაცავად გამოიყენება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმები, რომლებიც კრძალავენ მოტყუებითი, ან ცრუ აღნიშვნების გამოყენებას და სხვისი სახელით (რეპუტაციით) სარგებლობას.

ამასთან, რადგან გეოგრაფიული აღნიშვნის უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში მოქმედ მეწარმეებს, ამ ობიექტის სამართლებრივი დაცვა ხორციელდება აგრეთვე კოლექტიური, ან სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებით. მაგალითად, ნიშანი „FJ“ – გამოიყენება ხილის წვენის აღსანიშნავად და მიუთითებს, რომ წვენი წარმოებულია ფლორიდაში. ამ შტატის ნე-

ბისმიერი მეწარმე, რომელიც უშვებს წვენებს და აკმაყოფილებს ამ ნიშნის გამოყენებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, უფლებამოსილია თავისი წვენები აღნიშნოს მოცემული ნიშნით. აშშ-ში ითვლება, რომ გეოგრაფიული აღნიშვნის ამ წესით დაცვა სავსებით მისაღებია და ზედმეტად ითვლება სხვა სპეციალური კანონის მიღება. ამ თეზისის მართებულობა იმით აიხსნება, რომ პარიზის კონვენციის თანახმად კოლექტიურ ნიშანს ყველა მონაწილე ქვეყანამ უნდა დაუწესოს დაცვა. ამგვარი დაცვის მოპოვება შეუძლიათ, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ პირებს. ამგვარად იქნა დაცული აშშ-ში აღნიშვნა „Roquefort". სასერტიფიკაციო სახის კოლექტიური ნიშანი დარეგისტრირდა განთქმული ფრანგული ყველის მეწარმე ასოციაციის სახელზე.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა სპეციალური კანონმდებლობით პირველად შემოღებულ იქნა საფრანგეთის მიერ 1919 წლის კანონით ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ. ამჟამად, მათ პრაქტიკას სხვა ქვეყნებიც მისდევენ, მათ შორის არის დსთ-ს ბევრი ქვეყანა.

საფრანგეთის აღნიშნული კანონმდებლობის თანახმად, ადგილწარმოშობის დასახელებას წარმოადგენს ქვეყნის, რეგიონის, ან სხვა ადგილმდებარეობის სახელწოდება, რომლითაც აღინიშნება ამ ადგილებიდან წარმოშობილი პროდუქტი, რომლის ხარისხი და თვისებები დამოკიდებულია მოცემულ გეოგრაფიულ გარემოზე, მის ბუნებრივ და ადამიანურ ფაქტორებზე. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე ადგილწარმოშობის დასახელებით დაცვა ვერ მოხდება იმ პროდუქტისა, რომელიც ორივე პირობას არ დააკმაყოფილებს. ეს არის იმის მიზეზი, რომ საფრანგეთი სასაქონლო ნიშნით იცავს ზოგიერთ პროდუქტს – ყველი იქნება ეს, ღვინო, თუ მინერალური წყალი, როდესაც ვერ სრულდება ორივე მოთხოვნა.

ამასთან, ადგილწარმოშობის დასახელების დაცვა ხორციელდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე. ეს რეესტრი, როგორც წესი, საპატენტო უწყებაშია, ასეა რუსეთში და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. რიგ ქვეყნებში სხვა ორგანოებია უფლებამოსილი რეესტრის წარმოებაზე, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო (იტალია). რეგისტრაციისათვის მიეწოდება სათანადო მოთხოვნების დაცვით გაფორმებული განაცხადი და, თუ ექსპერტიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მიიღება გადაწყვეტილება დასახელების ადგილწარმოშობად რეგისტრაციის თაობაზე.

ადგილწარმოშობის დასახელებას იცავს, აგრეთვე, ევროპის გაერთიანების სპეციალური აქტები (დირექტივები).

გეოგრაფიული აღნიშვნის განსაკუთრებული დაცვა საფრანგეთის პრაქტიკით კოლექტიური ნიშნის დაცვის პრინციპის გამოყენებით არის გათვალისწინებული კვების პროდუქტების, ან „არა საკვები" და „არაგადასამუშავებადი" სოფლის მეურნეობის პროდუქტისათვის (მაგალითად მარცვლეულის თესლი), რომელიც არ არის „ადგილწარმოშობად" დაცვადი. ეს დაცვა დაფუძნებულია 1983 წლის დეკრეტზე (1990 წელს გადამოწმდა) სოფლის მეურნეობის ეტიკეტის (იარლიყის) შესახებ, („AGRICULTURAL LABEL" ინგლისურად, ფრანგულად „LABEL AGRICOLE"). ამგვარი ეტიკეტი შეიძლება იყოს ეროვნული ეტიკეტი, რომელიც თან ახლავს პროდუქტს, რომლის თვისება და ხარისხი აღემატება ასეთივე პროდუქტის ჩვეულებრივ თვისებებსა და ხარისხს. ასეთი ეროვნული ეტიკეტი ცნობილია, როგორც „წითელი ეტიკეტი" (RED LABEL). აღნიშნული ხასიათის დაცვით ვერ ისარგებლებს პროდუქტი, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებით არის დაცული, აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის ღვინო. ეს ეტიკეტი რეგისტრირდება ერთი პირის სახელზე, რომელიც მხოლოდ კონტროლს უწევს შესაბამის პროდუქტს. ამ ეტიკეტით დაცვას შეიძლება მიმართოს უცხოელმაც. მაგალითად, შოტლანდიელმა მეწარმეებმა მოიპოვეს აღნიშნული ფრანგული ეტიკეტი შოტლანდიური ორაგულისათვის. ამგვარი მაგალითი შეიძლება იყოს მიზანშეწონილი საქართველოსთვისაც თუნდაც განთქმული „ცოცხალის", „ხრამულის", „ჭოპორტის პომიდვრის" და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტის დაცვისათვის, რომელთა სამართლებრივი დაცვა დღემდე არ ხორციელდება.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ საქართველოში 1999 წ. 22 ივნისს მიღებული კანონი ეფუძნება ზემოთ განხილულ სამართლებრივ პრინციპებს, რის გამოც მისი დაწვრილებითი განხილვა ამ წიგნში მიზანშეწონილად არ გვესახება. დავამატებთ მხოლოდ, რომ საქართველოს კანონმა გამიჯნა გეოგრაფიული აღნიშვნა საქონლის ადგილწარმოშობისაგან და განმარტა იგი შემდეგნაირად: **„გეოგრაფიული აღნიშვნა არის სახელი,** ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია იმ საქონლის მოსანიშნად:

ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;

ბ) რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია, ან სხვა მახასიათებელი დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან;

გ) რომლის წარმოება, ან ნედლეულის დამზადება, ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.“

ადგილწარმოშობის დასახელება კი განმარტებულია: „ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის (შემდგომ – გეოგრაფიული ადგილი) თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;

ბ) რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით;

გ) რომლის წარმოება, ან ნედლეულის დამზადება, ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.“

როგორც ვხედავთ კანონისეული განმარტებით განსხვავება გეოგრაფიულ აღნიშვნასა და საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებას შორის მცირედია. ამიტომაც დაშვებულია გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა საქონლის ადგილწარმოშობად იმ შემთხვევაში თუ ტრადიციული გეოგრაფიული დასახელება მომხმარებელს უქმნის წარმოდგენას მოცემული გეოგრაფიული ადგილიდან საქონლის წარმოშობაზე. გარდა ამისა გეოგრაფიული და საქონლის ადგილწარმოშობის აღნიშვნა (გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა) შეიძლება დაცულ იქნეს კოლექტიური ნიშნის სახით სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

როგორც ვიცით საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა საქართველოში ხორციელდება მათი „საქპატენტში“ რეგისტრაციის გზით ან საერთაშორისო ხელშეკრულებების ძალით.შესაბამისად მათი გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ „საქპატენტში“ უფლებათა მფლობელად რეგისტრირებულ პირებს, ან იმ პირებს, რტომლებიც მითითებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ასევე, უფლებათა დარღვევის შემთხვევაში მხოლოდ ასეთ პირებს აქვთ მოთხოვნის წაყენების უფლება.

საქართველო მხოლოდ ერთი 1999 წელს მიღებული ხელშეკრულების „ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების აღკვეთისა და თავიდან აცილების ღონისძიებე-

ბის შესახებ“ მონაწილე მხარეა, რომელიც მისივე ინიციატივით არის დადებული დსთ ფარგლებში და რომელიც ფალსიფიცირებული აღნიშვნებით მონიშნული პროდუქციის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული მრავალმხრივი აქტია. მასში სათანადო ადგილი ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიულ აღნიშვნებსაც უჭირავს. ამჟამად მიმდინარეობს მისი ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება და ქვეყნებს შორის შეთანხმება. საქართველოს და ზოგიერთი სხვა ქვეყნების მიერ უკვე მომზადდა და ერთმანეთს დაეგზავნა იმ დასახელებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იქნეს ადგილწარმოშობის შესახებ კანონოთ დაცული, რათა, თუ მოხდება მათი უნებართვო გამოყენება და ფალსიფიცირება შესაძლებელი იყოს რაიმე აღმკვეთი ღონისძიებების გატარება.

მიმდინარეობს მუშაობა დსთ ფარგლებში ადგილწარმოშობის დასახელებების ერთიანი რეესტრის შექმნის თაობაზე. საქართველოს მიერ მომზადებულია და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის №88 ბრძანებულებით დამტკიცდა ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს შემდეგ დასახელებებს:

ა) **ღვინო – წინანდალი; თელიანი; ნაფარეული; ვაზისუბანი; მუკუზანი; ახაშენი; გურჯაანი; კარდენახი; ტიბაანი; ქინზმარაული; მანავი; ხვანჭკარა; ტვიში; ყვარელი; ატენური; სვირი; კოტეხი; კახეთი (კახური)**

ბ) **ღვინის ბრენდი: ენისელი; გრემი; ვარციხე**

გ) **მინერალური წყალი: ბორჯომი; საირმე; ნაბეღლავი; მიტარბი; ზვარე; უწერა; სქური; ლუგელა; ბოლნისი; ძაუ; ბაგიათი; აჯადჰარა**

საქართველოში ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციისა და მათი გამოყენების წესს, აგრეთვე საგანაცხადო მასალების შედგენილობას ადგენს საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, აგრეთვე ზემოთ მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ,“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებების შესახებ და მისით დამტკიცებული დებულებები: „ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების დადგენის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და კონტროლის შესახებ“; „მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების დადგენის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და კონტროლის შესახებ“. მითითებული ბრძანებულება ითვა-

ლისწინებს აგრეთვე ადგილწარმოშობის დასახელებების სრულფასოვანი დაცვისათვის საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებების გატარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

თავი 33. საფირმო სახელწოდება

საფირმო სახელწოდება, თავისი შინაარსით, სამოქალაქო სახელის მსგავსია და ზოგიერთი ასპექტით შეიძლება მის ნაირსახეობადაც იქნეს განხილული. ცნობილია, რომ სამოქალაქო სახელი უკავშირდება უფლებაუნარიან პირს, რომელიც იმის გარდა, რომ სარგებლობს უფლებით (მას უფლება აქვს იქონიოს სახელი), ვალდებულიცაა საქმიან თუ სხვაგვარ სამოქალაქო, ან საზოგადოებრივ ურთიერთობებში გამოვიდეს საკუთარი სახელით. პირის ეს ვალდებულება უპირველესად იქიდან მომდინარეობს,რომ სახელი ის საშუალებაა, რომელიც იძლევა მოცემული კონკრეტული პირის სხვებისგან გარჩევის შესაძლებლობას. ეს თვისება იმდენად მნიშვნელოვანია კერძო სამართლისათვის (და არა მარტო სამართლის ამ დარგისათვის), რომ სამოქალაქო სამართალი მას განსაკუთრებული დაცვის ობიექტად თვლის. ასეა საქართველოშიც. აღნიშნული თვისება – მოახდინოს კონკრეტული პირის იდენტიფიცირება (სახელის უმთავრესი თვისება) საფირმო სახელწოდების ძირითადი თვისებაც არის. პირის ზუსტი იდენტიფიცირება კი, საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა პირთა აღრევა მათი საქმიანობის ჩათვლით. ანალოგიურად, მეწარმე პირიც ვალდებულია იქონიოს საკუთარი სახელწოდება და ამას ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა ითხოვს. საფირმო სახელწოდებას არც პარიზის კონვენცია უვლის გვერდს და მას სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტების რიცხვში მოიხსენიებს.

თავისი ბუნებით სამოქალაქო სახელს თანამედროვე სამართალი ორი თვალთახედვით განიხილავს. პირველი და ამჟამად გაბატონებული შეხედულება სამოქალაქო სახელის უფლებას განიხილავს პირად უფლებად. სამოქალაქო სამართალი სამოქალაქო სახელის უფლებას პირთა პირადი არაქონებრივი უფლებისადმი მიძღვნილი სამართლებრივი ნორმებით აწესრიგებს. ამასთან, დღვანდელი მეცნიერები ხაზგასმით მოიხსენიებენ სახელის არამატერიალურ ქონებრივ ბუნებას, რასაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კომერციული ურთიერთობების წარმართვისათვის.

მეცნიერთა გარკვეული წრე მიიჩნევს, რომ სახელის უფლება არის როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, წმინდა სახით, ასევე არამატერიალური ქონებრივი უფლებაც (საქმიან ურთიერთობებში გამოსაყენებლად). ამგვარად, მეცნიერები სამოქალაქო სახელს ორგვარი ბუნების მქონედ მიიჩნევენ. აღნიშნული ორგვარი ბუნება არც საფირმო სახელწოდებისათვის არის უცხო. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ საფირმო სახელწოდების მატარებელ პირს (საწარმოს, კავშირს, ამხანაგობას) თავისი უფლებების დაცვისას შეუძლია მოითხოვოს ღირსების დაცვა, (როდესაც მას სახელს უტეხენ), მისი სახელის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურება, ან ორივე ერთად.

საფირმო სახელწოდებას თანამედროვე კერძო სამართალი ერთგვაროვნად განმარტავს და სამოქალაქო სახელს მნიშვნელოვანწილად უკავშირებს. **საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-6.1 მუხლის თანახმად საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა, არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო.** ამ მუხლის თანახმად ყოველი საწარმო საქმიან ურთიერთობებს ამყარებს საკუთარი სახელწოდებით, რასაც, აგრეთვე ფირმაც ეწოდება.

საფირმო სახელწოდების აღსანიშნავად გამოიყენება შემდეგი ტერმინები:

ინგლისურად – FIRM, TRADE NAME,

გერმანულად – FIRMA, HANDELSNAME,

ფრანგულად – FIRME, MAISON, NOM COMMERCIAL, RAISON DE COMMERCE, RAISON SOCIALE,

ესპანურად – FIRMA, CASA de COMMERCIO, RAZON SOCIAL, NOMBRE COMMERCIAL,

რუსულად – ФИРМА, ФИРМЕННОЕ НАИМЕНОВАНИЕ.

საფირმო სახელწოდების გამოყენებით, საქმიან ურთიერთობებში მყოფი სუბიექტები დებენ და ასრულებენ ხელშეკრულებებს, მათ მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას უწევენ რეკლამას, აწარმოებენ საფინანსო ოპერაციებს, გამოდიან სასამართლოს წინაშე მოსარჩელედ, ან მოპასუხედ და ა.შ.

გვინდა გამოვეხმაუროთ პროფესორ ლადო ჭანტურიას აზრს იმის შესახებ, რომ სამოქალაქო სახელისგან უნდა განვასხვავოთ იურიდიული პირის სახელი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა სახელწოდებას (საფირმო სახელწოდებას) უწოდებს, რაც *მოწესრიგებულია როგორც სამოქალაქო კოდექსში, ასევე კანონში მეწარმეთა შესახებ. საფირმო სახელწოდება იურიდიული პირების*

იდენტიფიკაციის, მათი თავისთავადობის დადგენის საშუალებაა და მისი ტარებაც სავალდებულოა – შეუძლებელია არსებობდეს იურიდიული პირი საფირმო სახელწოდების გარეშე. ამ შეხედულებით საფირმო სახელწოდება დაკავშირებულია მხოლოდ იურიდიულ პირთან. კანონი მეწარმეთა შესახებ კი ითხოვს, რომ საფირმო სახელწოდება ინდივიდუალურ მეწარმესაც გააჩნდეს, რომელიც ფიზიკური პირია. იგივე ითქმის ამხანაგობებზე, რომლებსაც ასევე აქვთ უფლება და ალბათ, მოვალენი არიან იქონიონ საფირმო სახელწოდება. ამხანაგობები იურიდიული პირი არ არის. *ამდენად, მართებული იქნება საფირმო სახელწოდება დავუკავშიროთ ნებისმიერ ორგანიზებულ წარმონაქმს, რომელიც ურთიერთობებში საკუთარი საფირმო სახელწოდებით გამოვა.*

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საფირმო სახელწოდება სრულად მოწესრიგებული არ არის საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, არ არის დადგენილი, თუ რა წესით მოიპოვება უფლება საფირმო სახელწოდებაზე – რეგისტრაციით, თუ გამოყენებით. მეწარმეთა შესახებკანონის თანახმად უნდა ვივარაუდოთ, რომ უფლება მოიპოვება საწარმოს რეგისტრაციით, რადგან იმავდროულად ხდება ფირმის რეგისტრაციაც. არ იქნება სწორი, რომ ვივარაუდოთ თითქოს ამგვარად რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების მფლობელი პირი ვერ გამოიყენებს თავის განსაკუთრებულ უფლებას მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტიდან გამომდინარე და, რომ ამ უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ საფირმო სახელწოდების რეალურად გამოყენების შემდეგ. ეს შეიძლება მართებული იყოს ცალკეულ შემთხვევებში, მაგრამ სხვა დანარჩენ შემთხვევებში არა. მაგალითად, ვფიქრობთ, მართებული იქნება, თუ რეგისტრირებული ფირმის მფლობელი, რომლის საქმიანობის საგანს მომსახურება წარმოადგენს, წინ აღუდგება ამავე სახის მომსახურებაზე სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის თანახმად სხვა პირზე იდენტური სახელის მომსახურების ნიშნად რეგისტრაციას.

ამასთან, რა თქმა უნდა, მართებულია ითქვას, რომ საფირმო სახელწოდებაზე უფლება მოიპოვება გამოყენების გზით. ამის ნათელი დასტურია სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირების, 930-ე მუხლით გათვალისწინებული მისი მსგავსი ორგანიზებული წარმონაქმნის – ამხანაგობის არსებობა. ეს უკანასკნელიც არ საჭიროებს რეგისტრაციას. ორივე წარმონაქმნის კანონზომიერად არსებობისთვის საკმარისია ხელშეკრულება მათ შემქმნელ პირებს შორის.

შესაბამისად, არ საჭიროებს რეგისტრაციას მათი საფირმო სახელწოდებაც, რაც არ ათავისუფლებს მათ ვალდებულებისაგან, იქონიონ საკუთარი ფირმა.

საფირმო სახელწოდების სამართლებრივი მოწესრიგება არ არის უნიფიცირებული და ერთგვაროვანი არა მარტო სამართლებრივი სისტემების მიხედვით, არამედ სახელმწიფოების შიგნითაც კი, კერძოდ, ფედერალური მოწყობის სახელმწიფოებში. ასე, მაგალითად, აშშ-ში ამ საკითხს აწესრიგებს შტატების კანონმდებლობა და არა ფედერალური კანონი, ხოლო როგორც ვიცით, შტატების კანონები ერთმანეთისგან ხშირად მკვეთრად განსხვავდება.

ყველა ქვეყანა სამართლებრივად აწესრიგებს შემდეგ საკითხებს:

ა. რა სახის აღნიშვნები შეიძლება იყოს რეგისტრირებული, ან გამოყენებული საფირმო სახელწოდებად;

ბ. რა უფლება-მოვალეობანი გააჩნია ფირმის მფლობელებს;

დ. როგორ დაიცვება უფლება საფირმო სახელწოდებაზე;

ე. როდის წყდება უფლება ფირმაზე;

საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით (ინგლისი, აშშ, კანადა და სხვები), აგრეთვე იაპონიის კანონმდებლობის თანახმად, საფირმო სახელწოდებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლად შერჩეული აღნიშვნები. აღნიშვნებად იგულისხმება ნებისმიერი სიტყვა ან ფრაზა. ეს გასაგებიცაა, რადგან საფირმო სახელწოდებად გამოსახულებითი ხასიათის აღნიშვნა ვერ გამოდგება. მეწარმე თავისუფალია საფირმო სახელწოდების შერჩევაში მაშინაც კი, როდესაც საქმე გვაქვს ინდივიდუალურ საწარმოსთან. მეწარმეთა თავისუფლება შეზღუდულია მხოლოდ ისეთი სახელწოდებების გამოყენების აკრძალვით, რომლებიც, შეურაცხმყოფელ, ან ამორალურ სიტყვას წარმოადგენს. არ არის, აგრეთვე დაშვებული სიტყვების, „საერთაშორისო", „ცენტრალური", „სამეფო" და სხვათა გამოყენება. კანონმდებლობა აგრეთვე ავალდებულებს მეწარმეებს, რომ საფირმო სახელწოდებაში გამოყენებულ იქნეს მეწარმეობის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის გამომხატველი აღნიშვნები, როგორიცაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობა და ა. შ.

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში ამგვარი მოთხოვნების შესრულება კანონის ძალით ასევე სავალდებულოა. საერთო სამართლისაგან განსხვავებით კონტინენტური ევროპის სა-

მართალი მეწარმეს არ აძლევს სრულ თავისუფლებას საფირმო სახელწოდების არჩევაში. პირიქით, საფირმო სახელწოდების შერჩევა დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე. ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია, საფირმო სახელწოდებად აირჩიოს საკუთარი სამოქალაქო სახელი. ეს წესი გამომდინარეობს ზოგადი პრინციპიდან – ფირმის ჭეშმარიტების თაობაზე. ამავე პრინციპიდან გამომდინარეობს მოთხოვნა საწარმოს საქმიანობის საგნისა და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის აღნიშვნის გამოყენებაზე საფირმო სახელწოდების ელემენტად.

რადგან საქართველოს კანონმდებლობა კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპებზეა აგებული, მიზანშეწონილია, ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მაგალითზე.

ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია, თავისი სახელით ისაქმიანოს და გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობებში. რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ფიზიკური პირის სრული სახელი შედგება სახელისა და გვარისაგან, ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია, დაიცვას ეს მოთხოვნა საფირმო სახელწოდებისთვისაც. ამასთან, მას შეუძლია აგრეთვე მიანიშნოს საქმიანობის საგანიც. ამდენად, ინდივიდუალური სანარმოს საფირმო სახელწოდება შეიძლება იყოს: „თამაზ ხატიაშვილი“ ან „თამაზ ხატიაშვილის საადვოკატო ბიურო“.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შემოკლებით სპს) საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთი პარტნიორის სრულ სახელს აუცილებლად, რასაც უნდა დაემატოს ამ საზოგადოების აბრევიატურა „სპს“. დასაშვებია, საფირმო სახელწოდება შედგებოდეს ყველა პარტნიორის სრული სახელისაგან, ამ შემთხვევაში „სპს“-ს დამატება აუცილებელი არ არის.

კომანდიტური საზოგადოების (შემოკლებით „კს“), საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს კომპლემენტარის სრულ სახელს მაინც „კს“-ის დამატებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, („შპს“), სააქციო საზოგადოებას („სს“), რეგისტრირებულ კოოპერატივს („რკ“)უფლება აქვთ, საფირმო სახელწოდებად აირჩიოს სახელწოდება მათი საქმიანობის საგნის გამოხატვით და აუცილებელი მინიშნებით საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე. საწარმოთა საფირმო სახელწოდება შეიძლება შედგებოდეს დამფუძნებელთა სრული სახელისგანაც, აგრეთვე, იგი შეიძლება იყოს მო-

გონილი, ან ჩვეულებრივად გამოყენებული სიტყვა. ყველა შემთხვევაში აუცილებელია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელი დამატების გამოყენება.

თუ საწარმო შეიძინა სხვა პირმა, მას შეუძლია ადრინდელი სახელწოდება გამოიყენოს ადრინდელ მფლობელთან შეთანხმებით.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი მე-6 მუხლით აწესებს შეზღუდვას საფირმო სახელწოდების მიმართ. არ შეიძლება საფირმო სახელწოდებად გამოყენებულ იქნეს ისეთი სახელი ან დამატება, რომელმაც შეიძლება მესამე პირი შეაცდინოს, ან გამოიწვიოს გაუგებრობა, მაგ. საწარმოს ფორმისა და საქმიანობის შესახებ, ან საქმიანობის მოცულობასა, ანდა პარტნიორთა ურთიერთობების თაობაზე.

მოყვანილი აკრძალვების ჩამონათვალი ამომწურავია. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მცირედი კომენტარის გაკეთება. თუ საწარმო ლუდის გამოშვებისათვის არის დაფუძნებული, ხოლო საფირმო სახელწოდებად არჩეულ იქნა სიტყვა „აფთიაქი“, ეს შეცდომის გამომწვევი იქნება და რეგისტრაციაში ვერ გატარდება. ასევე – „შპს უალკოჰოლო სასმელების საწარმო“, თუ ის სინამდვილეში ინდივიდუალური საწარმოა და ა. შ. ამგვარი სახელწოდებების ანალიზი მოცემული აკრძალვების ჭრილში სირთულეს არ წარმოადგენს არც დამფუძნებლებისათვის და არც მარეგისტრირებელი ორგანოსათვის. ძნელია რეალურად წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომ რომელიმე მხარემ ყურადღება არ მიაქციოს და დაუდევრობით აირჩიოს, ან რეგისტრაციაში გაატაროს ანალოგიური შეცდომის გამომწვევი საფირმო სახელწოდება. სამაგიეროდ, პრაქტიკაში გვაქვს მრავალი შემთხვევა სხვაგვარი შეუსაბამობებისა, განსაკუთრებით, როდესაც გამოიყენება გეოგრაფიული, ისტორიული, ან ოფიციალური დასახელებები. მაგალითად, „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტო, შპს“. სიტყვა „საქართველოს“ გამოყენება უმართებულოა, რადგან ამგვარი შპს მრავალი შეიძლება იყოს, ხოლო ამ დასახელებას სახელმწიფო ორგანოსადმი ცრუმინიშნებასთან ერთად მისი საქართველოში ერთადერთობის პრეტენზიულობაც გააჩნია. ასეთი სახელწოდების გამოყენება შპს-თვის სახელმწიფოსაგან ნებართვის გარეშე მიუღებლად გვესახება. მიუღებელია, აგრეთვე შემდეგი სახელწოდება: „ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, „კს“. აქ შეცდომაში შემყვანია სიტყვა „ცენტრალური“. პრაქტიკაში ხშირია, განსაკუთრებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შემ-

თხვევაში, სახელწოდებები: „არაგვი“, ან „სამგორი“ და სხვა, რომლებიც არავითარ კავშირში არ არიან მოცემულ გეოგრაფიულ ადგილთან. ასეთ სახელწოდებებთან დაკავშირებით უმჯობესი იქნებოდა, პირდაპირი ამკრძალავი ხასიათის ნორმები არსებობდეს. გასარკვევია, აგრეთვე, დასაშვებია თუ არა იმ სახელების გამოყენება ფირმაში, რომლებიც საწარმოს დამფუძნებლების სახელს არ ემთხვევა. მრავალია სხვა მოსაგვარებელი საკითხიც და მიგვაჩნია, რომ საფირმო სახელწოდების სრული მოწესრიგებისათვის საჭიროა სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღება. მასში უნდა აისახოს აგრეთვე მოთხოვნები არარეგისტრირებული კავშირების, ამხანაგობების, ფონდების და სხვა არაკომერციული გაერთიანებების საფირმო სახელწოდებების მიმართ. ამ საწარმოთა რიგში შეიძლება მოხსენებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რადგან მისი რეგისტრაცია სავალდებულო არ არის – საკმარისია შესაბამისი ორგანოს დამაფუძნებელი აქტი, რომ ასეთმა პირმა მოქმედება დაიწყოს.

ჩვეულებრივად, საფირმო სახელწოდებაზე უფლება წარმოიშობა საწარმოს დაფუძნებასთან ერთად. ზოგ ქვეყანაში უფლება ფირმაზე წარმოიშობა მისი გამოყენების ფაქტიდან. მაგალითად, არგენტინაში სასამართლომ უარყო რეგისტრაცია სახელწოდებისა იმ არგუმენტით, რომ სხვა პირს უკვე დაწყებული ჰქონდა საქმიანობა იდენტური ფირმით. ესპანეთში მოქმედი წესის თანახმად, თუ ფირმად გამოყენებულია დამფუძნებლის სახელი, მაშინ უფლების წარმოშობა რეგისტრაციაზე დამოკიდებული არ არის, ხოლო თუ სახელი რაიმე სხვა სიტყვაა, მაშინ საჭიროა მისი რეგისტრაცია. უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა ფირმაზე უფლების მოპოვებას აკავშირებს მის რეგისტრაციასთან. ამ პრინციპს ემყარება კონტინენტური ევროპის სამართალი. საქართველოს კანონმა მეწარმეთა შესახებ კომერციული მიზნებისათვის (მოგებაზე გამიზნული) შექმნილ საწარმოთათვის დააწესა აღნიშნული პრინციპის შესაბამისი მოთხოვნა. ანუ, კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა საფირმო სახელწოდებაზე უფლების მოპოვება დაკავშირებულია რეგისტრაციაზე, რადგან სავალდებულოდ მოითხოვება საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს სხვა სახის სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, რომელთა საქმიანობა, მათ შორის სამეწარმეო, არ მოითხოვს რეგისტრაციას. შესაბამისად, ეს სუბიექტები საქმიან ურთიერთობებში გამოდიან საფირმო სახელწოდებით, რომელიც არ მოითხოვს სპეცი-

ალურ რეგისტრაციას. უეჭვოა, რომ ასეთ შემთხვევაში უფლება საფირმო სახელწოდებაზე მოიპოვება ფაქტობრივი გამოყენების გზით. თუ გავიზიარებთ ამ დასკვნას, მაშინ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ერთ შემთხვევაში საფირმო სახელწოდებაზე უფლება მოიპოვება რეგისტრაციის ფაქტით, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტობრივი გამოყენებით. გამოთქმულთან დაკავშირებით ერთ კითხვაზეა გასაცემი პასუხი – როგორია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა სამრეწველო საკუთრების დაცვის, პარიზის კონვენციის მოთხოვნასთან. პარიზის კონვენციის მე-8 მუხლი აცხადებს, რომ საფირმო სახელწოდება უნდა იყოს დაცული მონაწილე ქვეყნებში აუცილებელი რეგისტრაციის გარეშე. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა ფირმა სასაქონლო ნიშნად, ან მის ნაწილად დაცული. როგორც ვხედავთ, ამ მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ ეთანადება. შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია (მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნასთან გვინდა გავავლოთ პარალელი), როდესაც უცხოელი ფირმა უპირატესობით ისარგებლებს სამამულო ფირმის მიმართ. რადგან პარიზის კონვენციის მე-8 მუხლი სპეციალურ სავალდებულო წესს ითვალისწინებს საფირმო სახელწოდებისადმი ამავე კონვენციით დადგენილი ეროვნული რეჟიმის ნორმა ამ მუხლზე ვერ გავრცელდება. ამიტომ, საქართველოს ბაზარზე შემოსულ საზღვარგარეთულ რომელიმე ქვეყნის საწარმოს, თუ ამის საჭიროება შეექმნება, ყოველგვარი რეგისტრაციის (საქართველოში) გარეშე პარიზის კონვენციაზე დაყრდნობით შეუძლია მოითხოვოს საქართველოში რეგისტრირებული იდენტური ფირმის გამოყენების აკრძალვა და რეგისტრაციის გაუქმება. ამასთან, არ ექნება მნიშვნელობა წარმოშობის ქვეყანაში როდის იქნა მოპოვებული უფლება მოცემულ ფირმაზე – საქართველოში იდენტური ფირმის რეგისტრაციამდე, თუ მას შემდეგ. იგივე აზრი გამომდინარეობს ბოდენხაუზენის პარიზის კონვენციის ცნობილი კომენტარიდან. ამდენად, მოსაგვარებელია საფირმო სახელწოდების დაცვისას ამგვარი პარადოქსული სიტუაციის თავიდან აცილების საკითხი.

როგორც ვიცით, ფირმის მფლობელს გააჩნია განსაკუთრებული უფლება მის საფირმო სახელწოდებაზე. განსაკუთრებული უფლება ვრცელდება იდენტურ, ან მსგავს საფირმო სახელწოდებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც იდენტური, ან მსგავსი სახელწოდებით ორი, ან მეტი საწარმო ეწევა ერთგვაროვან საქმიანობას. ამასთან, სივრცით, საფირმო სახელწოდება დაცული არის ტერიტორიული პრინ-

ციპის თანახმად იმ ქვეყნის ფარგლებში, რომელშიც არის რეგისტრირებული (ან მოიპოვა განსაკუთრებული უფლება გამოყენებით) მოცემული საწარმო.

როდესაც განსაკუთრებული უფლება მოიპოვება რეგისტრაციის გარეშე, უნდა ვივარაუდოთ, რომ უფლება საფირმო სახელწოდებაზე ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუ ეს აზრი მართებულია, მაშინ გასათვალისწინებელია, რომ საფირმო სახელწოდების დაცვის პრაქტიკაში არ არსებობს იურიდიული ცნება საყოველთაოდ ცნობილობის შესახებ, სასაქონლო ნიშნების დაცვის პრაქტიკისაგან განსხვავებით.

უფლება ფირმაზე არ არის დროით შეზღუდული, მაგრამ თუ საწარმომ შეწყვიტა საქმიანობა, ეს უფლებაც, ცხადია, რომ წყდება. როდესაც საწარმო სხვა პირის მფლობელობაში გადადის, საფირმო სახელწოდება ცალკე ფასდება და შეიძლება გადაეცეს ახალ მფლობელს საწარმოსთან ერთად შეზღუდვის გარეშე, ან დათქმით გამოყენების ხანგრძლივობის შესახებ. საფირმო სახელწოდების გადაცემა საწარმოს გარეშე არ დაიშვება.

საფირმო სახელწოდებაზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი პირი ვალდებულია გამოიყენოს ფირმა აბრებზე, დოკუმენტებში, ბეჭდებზე, შტამპებზე და ა. შ.

ფირმაზე უფლების დარღვევად ითვლება იდენტური, ან მსგავსი სახელწოდების გამოყენება სხვა საწარმოს მიერ, რომელიც ანალოგიურ, ან იდენტურ საქმიანობას ეწევა. გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ან გამოყენება, თუ ის ემთხვევა საფირმო სახელწოდებას, ან მისი მსგავსია და, თუ ნიშანი რეგისტრირებულია, ან გამოიყენება საწარმოს მიერ გამოშვებულ იდენტური, ან მსგავსი საქონლისათვის, ასევე ითვლება ფირმაზე უფლების დარღვევად. ამდენად, ასეთი ფირმის მფლობელმა შეიძლება მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება, ან გამოყენების შეწყვეტა ზიანის ანაზღაურებასთან ერთად. იგივე ითქმის დომეინებთან მიმართებით.

უფლება საფირმო სახელწოდებაზე დაიცვება აგრეთვე ადმინისტრაციული წესით. კერძოდ, ადმინისრტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებულია დამრღვევი პირის დასჯა ჯარიმით 50 საშუალო ხელფასის ოდენობით. გარდა ამისა, საქართველოში ადმინისტრაციული წესით დაცვა შეიძლება მოხდეს იმ ორგანოში, სადაც ხდება ფირმის რეგისტრაცია, როდესაც სასამართლო უარს იტყვის რეგისტრაციაზე, იდენტური ფირმის არსებობის გამო.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენების გარდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც შეიძლება დადგეს, თუ აკრძალული ქმედება განზრახ არის ჩადენილი. სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი ჯარიმასთან ერთად წლამდე გამასწორებელ სამუშაოებსაც და პატიმრობასაც ითვალისწინებს. საფირმო სახელწოდების მსგავსად დაცვას ექვემდებარება ე.წ. „კომერციული დასახელება". დაცვის ეს ობიექტი იგივე მიზანს ემსახურება – გამოიყენება საწარმოს აღსანიშნავად. კომერციული დასახელება წარმოადგენს საწარმოს მეორე სახელს (შეიძლება შევადაროთ „მეტსახელების" გამოყენების პრაქტიკას). როგორც წესი, კომერციული დასახელება საფირმო სახელწოდების შემოკლებაა, რომელიც არ საჭიროებს მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით რეგისტრაციას, ამასთან, მისი გამოყენება უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სრული სახელისა. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია დასახელება „IBM". ეს დასახელება საფირმო სახელწოდებად არ არის რეგისტრირებული, იგი რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნად. საწარმოს საფირმო სახელწოდება, რომელსაც ეკუთვნის „IBM" ნიშანი არის „INTERNATIONAL BUSINESS MASHINES". რადგან კომერციული დასახელება შემოკლებულ სახელწოდებას წარმოადგენს დასაშვებია აბრევიატურის გამოყენება. ასეთი წესი არ უნდა ვრცელდებოდეს საფირმო სახელწოდებაზე. მხედველობაში გვაქვს საქართველოს კანონმდებლობა. მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, საფირმო სახელწოდება არის სახელი, რომლითაც საწარმო საქმიანობს და შესაბამისად გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში. სახელი კი არ შეიძლება იყოს რაღაცა გამოუთქმელ ასოთა თანაწყობა, აბრევიატურა, ის ყოველთვის სიტყვას უნდა წარმოადგენდეს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სახელი არის „სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ვისმე, რასმე, რაც ჰქვია, რასაც უწოდებენ ვისმე, რასმე, – სახელწოდება". ამავე ლექსიკონის თანახმად სიტყვა არ შეიძლება ისეთი აბრევიატურა იყოს, რომლის ბგერებს შორის არ არსებობს ისეთი შეერთება, რომელიც ლექსიკურ, საგნობრივ მნიშვნელობას შესძენს ამ ასოთა ჯგუფს.

როგორია საფირმო სახელწოდების დაცვის თავისებურებათა ურთიერთშეფარდება სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებთან შედარებით?

როგორც ადრე იქნა აღნიშნული, საფირმო სახელწოდებას თავისი შინაარსით ყველაზე მეტი სიახლოვე სასაქონლო და მომსახუ-

რების ნიშნებთან აკავშირებს. შემოვიფარგლებით ამ ობიექტების სამართლებრივი დაცვის თავისებურებების განხილვით.

მეწარმეს ყოველთვის გააჩნია არჩევანი ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენოს საფირმო სახელწოდებად, ან სასაქონლო ნიშნად, ანდა ერთდროულად გამოიყენოს და დაიცვას ის, როგორც საფირმო სახელწოდება, და როგორც სასაქონლო ნიშანი. ერთზეც და მეორეზეც მეწარმეს წარმოექმნება განსაკუთრებული უფლებები, რაც ავალდებულებს მესამე პირებს თავი შეიკავონ მითითებული აღნიშვნების უნებართვოდ გამოყენებისაგან. როგორც საფირმო სახელწოდება, ასევე სასაქონლო ნიშანი ქმნის კონკრეტული საწარმოს იმიჯსა და რეპუტაციას. როდესაც რეპუტაცია მაღალია,მაშინ მოსალოდნელია მესამე პირისაგან ლტოლვა მიბაძვისაკენ, ან პირდაპირ ასეთი რეპუტაციის მქონე საფირმო სახელწოდებების გამოყენებისაკენ საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. თუ ამგვარი მიბაძვა, ან გამოყენება უნებართვოა, მაშინ აშკარაა სხვისი რეპუტაციის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების მცდელობა, რაც კანონის ძალით ისჯება. ასეთი დარღვევის ამკრძალავი, ან აღმკვეთი ნორმები გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

უფლება სასაქონლო ნიშანზე წარმოიშოვება, ან რეგისტრაციის, ან გამოყენების საფუძველზე. საფირმო სახელწოდება კი ნებისმიერ შემთხვევაში დაცულია საწარმოს რეგისტრაციასთან ერთად.

განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე მოქმედებს გარკვეული ქვეყნის ტერიტორიაზე (სადაც ეს ნიშანი დაცულია რეგისტრაციის, ან გამოყენების საფუძველზე), ხოლო პარიზის კონვენციის თანახმად, უფლება საფირმო სახელწოდებაზე მოქმედებს ნებისმიერ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც საქმიანობს მეწარმე.

განსაკუთრებული უფლება საფირმო სახელწოდებაზე არის საწარმოსაგან განუსხვისებელი. საპირისპიროდ, უფლება სასაქონლო ნიშანზე შეიძლება იქნეს გადაცემული საწარმოს გარეშეც, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა შესაბამისი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა.

სასაქონლო ნიშნის დაცვისათვის პარიზის კონვენცია ითვალისწინებს უფლებათა გაფართოების შესაძლებლობას ე.წ. „საყოველთაოდ ცნობილობის“ პრინციპის საფუძველზე. საფირმო სახელწოდებისთვის ასეთი წესი დადგენილი არ არის, მისი დაცვა მუდამ შემოფარგლულია საწარმოს საქმიანობის საგნით. თუმცა, ერთი გარემოება გვაფიქრებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ფირმის ცნო-

ბილობას ყურადღება ექცევა. მაგალითად, თუ საქმიანობა შეწყვიტა განთქმული სახელის მქონე საწარმომ სხვა საწარმოს სახელზე, იდენტური სახელწოდების რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ ისეთი დროის გასვლის შემდეგ, როდესაც მომხმარებელი დაივიწყებს ადრინდელ საწარმოსთან ამ სახელწოდების კავშირს. ამგვარი წესი მოქმედებს სასაქონლო ნიშნებისთვისაც, რომელთათვისაც აღნიშნული ვადა არანაკლებ 3 წელია.

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების შენარჩუნებისათვის საჭიროა შესრულდეს დადგენილი პირობები: მფლობელმა უნდა გადაიხადოს ყოველწლიური, კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხა და ფაქტობრივად გამოიყენოს აღნიშვნა საქონლის მოსანიშნად. უფლება საფირმო სახელწოდებაზე არ არის დამოკიდებული რაიმე ყოველწლიურ გადასახადებზე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით – სანამ არ გაუქმდება საწარმო.

როგორც აღნიშნულიდან გამომდინარეობს, უფლება სასაქონლო ნიშანზე და უფლება საფირმო სახელწოდებაზე ურთიერთდამოკიდებული უფლებები არ არის, მაგრამ კარგად ავსებენ ერთმანეთს. ორივე ემსახურება როგორც მეწარმეს, ასევე საზოგადოებას და კონკურენციის ერთგვარი ძლიერი საშუალებაა. მეწარმის უფლებები რომ სრულად იყოს დაცული, მან უნდა გაითვალისწინოს სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და საფირმო სახელწოდებების დაცვის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები და აირჩიოს დაცვის შესაბამისი გზა.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ყველაზე ხელსაყრელია ორივე მიმართულების (კომბინირებული) დაცვის არჩევა. ამას არც ერთი ქვეყნის კანონი არ კრძალავს.

თავი 34. სავაჭრო კაზმულობა

კომერციული აღნიშვნების ცალკე ობიექტია საქონლის აღკაზმვა გამორჩეული შეფუთვით, მისი გარეგნული გაფორმებით, პროდუქტის მოსათავსებლად განკუთვნილი მოცულობის, მათ შორის ფლაკონის, კოლოფის და ა.შ. ორიგინალური შესრულებით და სხვ. აღნიშნული ობიექტის სამართლებრივი ლაცვის პრობლებემბა თავი მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ და განსაკუთრებულად აქტუალური თანამედროვე პერიოდში გახდა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავამახვილოთ ყურადღება ტერმინოლოგიის თავისებურებებზე ქვეყნების მიხედვით. რუსულ ლიტერატურაში ამ ობიექტი-

სათვის გამოიყენება ტერმინი „ВНЕШНИЙ ВИД“. ეს ტერმინი ვიწროა თავისი შინაარსით და საკმარისად ვერ გამოხატავს განსახილველი ობიექტის ბუნებას. ყველაზე მისაღები ტერმინი ინგლისური ლიტერატურიდან არის ცნობილი. ვგულისხმობთ „TRADE DRESS“-ს და „GET-UP“-ს.

ტერმინი „TRADE DRESS“ შემოღებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკით, ხოლო „GET-UP“ – კანადის, ინგლისის, ავსტრალიის მიერ.

ამერიკასა და კანადაში ამ ტერმინით იგულისხმება ნაწარმის, ან მომსახურების საერთო (მთლიანობაში აღებული) შთაბეჭდილება (იმიჯი) და გარეგანი სახე. ნაწარმის კონფიგურაცია და შეფერილობა (ფერი), ასევე განეკუთვნება ამ სფეროს.

ავსტრალიური განმარტებით „GET-UP“-ად მოიაზრება ნაწარმის, ან მომსახურების ისეთი სახით წარმოდგენა, რაც სავაჭრო ბუნებაზე მიუთითებს. ამ სფეროს განეკუთვნება შეფუთვა, ეტიკეტი, პროდუქტის ჩასასხმელად, ან მოსათავსებლად განკუთვნილი მოცულობები, ნაწარმის კონფიგურაცია და ფორმა, ფერი, ზომები და მათი ნებისმიერი კომბინაცია.

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები ამ სახეობას იცავენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კანონმდებლობის მიხედვით. დავეყრდნობით ამჟამად მოქმედ კანონმდებლობას, რომელმაც ევროპაში ერთიანი საკანონმდებლო სისტემა ჩამოაყალიბა.

მათ რიცხვშია ორი სამართლებრივი აქტი:

ა) 1988 წლის 21 დეკემბრის პირველი დირექტივა ევროპის გაერთიანების ქვეყნებში სასაქონლო ნიშნების თაობაზე კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ;

ბ) ევროპის გაერთიანების სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ 1993 წლის 20 დეკემბრის მითითებანი.

სანამ ამ აქტების ნორმებს განვიხილავთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისში დიდი ხანია არსებობს განსახილველი საკითხის საკანონმდებლო რეგულირება საერთო სამართლის ნორმებით. ამდენად, ევროპის გაერთიანების მოთხოვნები ინგლისისათვის შედარებით იოლად შესასრულებელი იყო. ინგლისში „TRADE DRESS“-ის (GET-UP) დაცვა ხორციელდებოდა „passing-off“-ის (რეპუტაციის გამოყენებით სხვისი საქონლის საკუთარი სახელით გასაღება) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწევად მიჩნევის საფუძველზე. დღევანდდელი ინგლისური კანონის პრინციპია, დაცულ იქნეს

სასაქონლო ნიშნად ნებისმიერი აღნიშვნა, რომლის რეპუტაციაც შეიძლება იყოს სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის სასურველი და ხელსაყრელი.

დავუბრუნდეთ ევროპის გაერთიანების კანონმდებლობას. ორივე ზითითებული სამართლებრივი აქტის მიხედვით სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნებისმიერი ხილვადი აღნიშვნით. მათ შორის, ჩამონათვალში მოცემულია „ნაწარმის ფორმა, ან მისი შეფუთვა". როგორც ვხედავთ, ასეთი ფორმულირება არსობრივად უახლოვდება უკვე განხილულ (ამერიკა, კანადა, ავსტრალია, ინგლისი) დაცვის პრაქტიკას. ამ ფორმულირებით, თუ ვიგულისხმეთ, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსად მომსახურების ნაშნების დაცვაც ხორციელდება, მაშინ მიდგომა თითქმის ერთნაირია. ევროპის კანონმდებლობის თანახმად სასაქონლო ნიშნად შეიძლება დაცულ იქნეს „TRADE DRESS"-ი, „GET-UP"-ი დირექტივის მე-2 მუხლისა და მითითებების მე-4 მუხლის გამოყენებით.

დაახლოებით, ამგვარი შინაარსია ჩადებული სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საკანონმდებლო პრინციპებშიც. თუ შევაჯამებთ ისეთი ქვეყნების პრაქტიკას, როგორიცაა: არგენტინა, ბრაზილია, პერუ, ჩილე, კოლუმბია, მექსიკა, ვენესუელა და სხვა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „TRADE DRESS"-ის შინაარსით იგულისხმება „ნაწარმის, ან მომსახურების ისეთი შთაბეჭდილება (იმიჯი), რომელიც შეიცავს განმასხვავებელ მახასიათებლებს და ელემენტებს: როგორიცაა ზომები, ფორმა, ფერი და ფერების კომბინაცია, ტექსტურა, და სხვა".

აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ჩინეთი, კორეა, იაპონია, ახალი ზელანდია, მალაიზია, ფილიპინები, ტაივანი, ტაილანდი, ჰონკონგი „TRADE DRESS"-ის განმარტება ან ავსტრალიის იდენტურია, ან ევროპა-ამერიკის განმარტებების შეხამებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია ის, რომ ჯერჯერობით ყველა ქვეყანა არ იცავს „TRADE DRESS"-ს სასაქონლო ნიშნად, თუმცა სამართლებრივი დაცვა ყველა შემთხვევაში ხორციელდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებით.

ზემოთაღნიშნულით შევეცადეთ გადმოგვეცა ტერმინების „TRADE DRESS", „GET-UP" შინაარსი, რათა შემოთავაზებულ იქნეს ქართული შესაბამისი ტერმინი. ჩვენი აზრით, ქართულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერმინი: „სავაჭრო ჩაცმულობა", „სავაჭრო სამოსი", „სავაჭრო მორთულობა", „სავაჭრო კაზმულობა". ალბათ, მისაღებია ნებისმიერი აღნიშნული ტერმინი.

ჩვენ ყველაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ „სავაჭრო კაზმულობა“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად „კაზმულობა“ გადმოცემულია, როგორც „მოხდენილობა“, „ნატიფობა“, რაც შემოქმედებით ხასიათსა და განმასხვავებელუნარიანობაზე მიუთითებს და, ამდენად, უფრო აახლოებს ამ ობიექტს სასაქონლო ნიშანთან და მისი დაცვის მოთხოვნებთან. საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სავაჭრო კაზმულობა, რომელიც ორგანზომილებიან, ან სამგანზომილებიან აღნიშვნას წარმოადგენს, შეიძლება იქნეს დაცული კანონით სასაქონლო ნიშნების შესახებ, ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებით, მაგალითად, მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით. თუ კაზმულობა სასაქონლო ნიშნად იქნა რეგისტრირებული, (მაგალითები იხილეთ ზემოთ) მაშინ მის დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნეს სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობა. ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევაში, სავაჭრო კაზმულობა დამოუკიდებელი სახის დაცვის ობიექტად ვერ განიხილება – ის სასაქონლო ნიშანია. სავაჭრო კაზმულობა დამოუკიდებელ ობიექტად მაშინ მოიხსენიება, როცა მის დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნეს კერძო სამართლებრივი ზოგადი წესები, კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამ ჯგუფის აღნიშვნების კარგი მაგალითია შვეიცარული შოკოლადის „TABLERONE“-ის კაზმულობა სამკუთხა ყვითელი ფერის პირამიდის ფორმით.

ნაწილი III

ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები



კარი V. სასელექციო მიღწევა

სელექციური მიღწევა, თავისი შინაარსით, მოიცავს მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანას. ის, რომ სასელექციო მიღწევის დაცვა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ობიექტია, უდავოა. მაგრამ არ არის ზუსტად გადაწყვეტილი ეკუთვნის თუ არა სასელექციო მიღწევის დაცვა სამრეწველო საკუთრების ობიექტებს. პარიზის კონვენცია ამ საკითხს ღიად ტოვებს და ეროვნული კანონმდებლობის სფეროს მიაკუთვნებს მას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1101-ე მუხლით ადგენს, რომ მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის დაცვა ხორციელდება შესაბამისი სპეციალური კანონმდებლობით. ნორმა მოქცეულია კოდექსის სამრეწველო საკუთრებითი უფლებების დაცვის ნაწილში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, სასელექციო მიღწევა სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტია. განსხვავება ის არის, რომ აშშ-ში დაცვა ხორციელდება საპატენტო კანონით, ხოლო საქართველოში სპეციალური კანონით. სამოქალაქო კოდექსის 1101-ე მუხლი ხმარობს ტერმინს „სასელექციო მიღწევა“, ხოლო 1996 წლის ნოემბერში მიღებული სპეციალური კანონი სათაურშივე განსხვავებულად იყენებს ტერმინს, მისი სათაურია „კანონი სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ“. განსხვავება პრინციპული არ არის, მაგრამ კარგი იქნებოდა ერთი ტერმინი ყოფილიყო გამოყენებული.

სასელექციო მიღწევის დაცვა ითვალისწინებს, როგორც წესი, მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვას. ცხოველთა ჯიშების დაცვას აწესებს მხოლოდ ყოფილი სოცქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა. შესაბამისად, საერთაშორისო დაცვა მხოლოდ მცენარეთა ახალ ჯიშებზე შეიძლება განხორციელდეს 1961 წელს პარიზში დადებული კონვენციით მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ. ეს კონვენცია გადასინჯულ იქნა 1978 და 1991 წლებში. მისი შემოკლებული დასახელებაა „UPOV“, რომელიც ამ კონვენციით დაარსებული კავშირის ფრანგული დასახელების აბრევიატურაა „UNION INTERNATIONALE POUR LA PROTECTION DES OBTENTION VEGETALES“. ამ დასახელების შემოკლებას უცვლელად იყენებენ სხვა ქვეყნებიც, მაგალითად, ინგლისურად „UPOV“, რუსულად „УПОВ“. ამდენად, უპრიანი იქნება ქართულადაც შემდგომ შემოკლებულ სახელად გამოყენებულ იქნეს „უპოვ“-ის კონვენცია.

ახალი ჯიშების გამოყვანა დაკავშირებულია ხანგრძლივ შემოქმედებით შრომასთან. ერთი ჯიშის გამოყვანას სჭირდება სულ მცირე 10-15 წელიწადი. გამოყვანილი ახალი ჯიში შემდგომში პრაქტიკული რეალიზაციის საგანი ხდება და მისი განმეორება სირთულესთან აღარ არის დაკავშირებული. ამისათვის სელექციონერის არც გამოცდილება და არც ცოდნა აღარ არის საჭირო. შესაბამისად, ადვილია სხვისი შემოქმედების შედეგით სარგებლობა და მატერიალური შემოსავლის მიღება.

ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა სელექციონერთა უფლებების დაცვის შემოღება. საქართველო ოდითგანვე ცნობილია, როგორც მიწათმოქმედთა ქვეყანა და მიჩნეულია მრავალი ახალი მცენარეთა, ცხოველთა თუ სასარგებლო მწერების (ფუტკარი) ჯიშების სამშობლოდ. ამდენად, საქართველოში სასელექციო ჯიშების დაცვის შესახებ კანონის მიღება ფრიად მისასალმებელია.

სასელექციო მიღწევის დაცვის კანონმდებლობას გარკვეული სიახლოვე აკავშირებს საპატენტო კანონმდებლობასთან და მრავალი დებულებანი, მათ შორის უფლებათა მოპოვებისადმი მიძღვნილი, ხშირად ანალოგიურია. ორივე შემთხვევაში მფლობელს ეძლევა განსაკუთრებული უფლება თავისი შემოქმედების შედეგზე.

სელექციონერის უფლებები დაცულია იმ შემთხვევაში, თუ ჯიში ხასიათდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- **სიახლე**
- **განსხვავებულობა**
- **ერთგვაროვნება**
- **სტაბილურობა.**

ეს კრიტერიუმები უპოვის კონვენციასა და სასელექციო მიღწევების შესახებ საქართველოს კანონში ერთნაირად არის ასახული. ამასთან, დაცვის მოსაპოვებლად საჭიროა, რომ ახალი ჯიში შეტანილი იყოს ბოტანიკური და ზოოლოგიური გვარებისა და სახეობების ნუსხაში.

სიახლის კრიტერიუმი განსხვავებულია საპატენტო სამართლით მიღებულისაგან და ასახავს მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. სიახლე სახეზეა, თუ ჯიშის, მცენარის, თესლის ან ცხოველის სანაშენე მასალა არ გაყიდულა წარმოებაში გამოყენების მიზნით და არ გადაცემულა სხვა პირისათვის საქართველოში უფლებათა მოსაპოვებლად განაცხადის შეტანამდე ერთი წლის განმავლობაში, ან სხვა საზღვარგარეთის ქვეყანაში განაცხადის შეტანამდე 4 წლის განმავლობაში. ეს პირობა საქართველოს კანონით ვაზის, მერქნიანი, დეკორატიული,

ხეხილოვანი და ტყის ჯიშებისათვის დათქმულია არანაკლებ 6 წლიანი ვადის გათვალისწინებით.

განსხვავებულობა იმით გამოიხატება, რომ ჯიში ძირითადი ნიშან-თვისებებით უნდა განსხვავდებოდეს საყოველთაოდ ცნობილი სელექციური მიღწევებისაგან. საქართველოს კანონი ჯიშის საყოველთაოდ ცნობილობას პირდაპირ უკავშირებს მოწმობის გაცემასა და გამოსაყენებლად დაშვებას. ეს მიდგომა არ ეთანადება საერთაშორისო მოთხოვნებს და ძალზე ვიწროა შინაარსით. გამოდის, რომ, თუ ჯიშზე მოწმობა არ გაიცა, მაშინ ის საყოველთაოდ ცნობილი ვერ გახდება?!

ერთგვაროვნება ახასიათებს ჯიშს, თუ ერთი და იგივე მცენარეები ან ცხოველები მორფო-ბიოლოგიური ნიშან-თვისებებით ერთგვაროვანია ჯიშის გამრავლების პროცესისათვის დამახასიათებელი ცვალებადობის გათვალისწინებით.

სტაბილურობა ახასიათებს სელექციურ მიღწევას, თუ მრავალჯერადი გამრავლების ან გამრავლების განსაკუთრებული ციკლის პროცესში, გამრავლების ყოველი ციკლის ბოლოს, მისი ძირითადი ჯიშური ნიშან-თვისებები უცვლელი რჩება.

აღნიშნული კრიტერიუმები, კონკრეტული ჯიშის მასალის იდენტიფიკაციისათვის და სელექციონერისათვის უფლებების მინიჭებისათვის უნდა იქნეს ტექნიკურად შემოწმებული. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი საგანია იმ სახის ბუნებრივი გამრავლების სისტემის შემოწმება, რომელსაც განეკუთვნება ჯიში. მოწმდება აგრეთვე ჯიშის გამოყვანისას გამოყენებული სასელექციო მეთოდებისა და გამოყვანილი ჯიშის შენარჩუნების მეთოდები.

შემოწმებისას ყურადღება მახვილდება გამრავლების ოთხ მთავარ სისტემაზე:

- ვეგეტაციურად გამრავლებად ჯიშებზე (მაგალითად, კარტოფილი).
  რადგან ყოველ მცენარეს ერთი და იგივე გენოტიპი გააჩნია (ტიპის ერთგვაროვნებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი), განსხვავებულობის შეფასება შედარებით მარტივია.
- ჯიშებზე, რომლებიც თვითდამტვერვით მრავლდება.
  ასეთ მცენარეთა შორის უმნიშვნელო განსხვავებები არსებობს და ერთგვაროვნების დონე ასევე მაღალი აქვთ. განსხვავებულობის შემოწმება ამ შემთხვევისათვისაც იოლია (ხორბალი, ქერი).
- ჯიშებზე, რომლებიც ჯვარედინი დამტვერვით მრავლდება.

იმის მიხედვით, თუ როგორია ჯვარედინი დამტვერვის კონტროლი დახასიათდება ჯიშობრივი სტრუქტურის განსხვავებები. ამ სისტემაში ერთი და იგივე ჯიშის მცენარეთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება. ამდენად, ერთგვაროვნების დონე დაბალია და განსხვავებულობის დადგენა მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც სხვა მეთოდების გამოყენებას საჭიროებს.

– ჰიბრიდულ ჯიშებზე.
ამ სისტემის ჯიში წარმოადგენს გენეტიკურად ერთმანეთის არამსგავსი მშობლების შეჯვარების პროდუქტს. მშობლები, ამოირჩევა ერთგვაროვანი და ერთმანეთის მონათესავე ხაზიდან. ორი კომპონენტისაგან ფორმირებული უბრალო ჰიბრიდი ხასიათდება ერთგვაროვნების უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ორმაგი ან სამმაგი შეჯვარებით მიღებული. ამასთან, ამ უკანასკნელებს მახასიათებელთა სეგრეგაცია გააჩნია.

ტექნიკური შემოწმებისათვის „უპოვ"-ის კოვენციის ეგიდით შემუშავებულია სახელმძღვანელოები, რომლებიც იმისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ შეიქმნეს თესლების სერტიფიკაციის ეროვნული ჩამონათვლები.

ქვეყნების ერთმანეთთან თანამშრომლობაც ითვალისწინებს გარკვეული მცენარეთა შემოწმების ურთიერთხელსაყრელი სისტემის დამკვიდრებას. მაგალითად, დეკორაციული სახის მცენარეთა გამოსაცდელად შექმნილია ცენტრალიზებული სისტემა. ტექნიკური გამოცდა ტარდება ერთი ორგანოს მიერ. ეს ორგანო წინასწარ განისაზღვრება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი აწარმოებს ვაშლის გამოცდას ბელგიის, დანიის, საფრანგეთის, გერმანიის, ნიდერლანდებისა და ესპანეთისათვის.

აღნიშნული გამოცდების ჩატარებას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც. მას შემდეგ, რაც დადგენილი ფორმის განაცხადი მიეწოდება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან არსებული მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრის „საქჯიშცენტრს", ტარდება განაცხადის წინასწარი ექსპერტიზა ფორმალური მოთხოვნების მიმართ. თუ ეს მოთხოვნები დაცულია, ინფორმაცია სელექციურ მიღწევაზე ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტენში. ამ თარიღიდან ექვსი თვის ვადაში მესამე პირებს უფლება აქვთ აღძრან დავა გაცხადებული მიღწევის სიახლის მიმართ. ასეთი დავის არ არსებობის

შემთხვევაში, ტარდება გამოცდა სელექციური მიღწევების სხვა კრიტერიუმების დადგენის მიზნით. ამისათვის განმცხადებელი ვალდებულია მითითებულ მისამართზე კომისიას წარუდგინოს საჭირო რაოდენობის მცენარის თესლი, ნერგი ან ცხოველის სანაშენე მასალა.

თუ გამოცდების შედეგი დადებითია, ხდება მიღწევის რეგისტრაცია და მოწმობის გაცემა, რომელიც ადასტურებს მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას. თუ მიღწევა შექმნილია სამსახურებრივი დავალების ან მოვალეობის შესრულების შედეგად, მაშინ განაცხადს აწვდის და მოწმობის მფლობელი ხდება დამქირავებელი.

განსაკუთრებული უფლება მოქმედებს 30 წელიწადს რეგისტრირების დღიდან, ხოლო ვაზის, მერქნიანი, ხეხილოვანი, დეკორატიული, ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ტყის ჯიშებისათვის, მათ შორის საძირეებისათვის – 35 წელი.

ამჟამად საქართველოში მოქმედი კანონი სელექციურ მიღწევების შესახებ ითვალისწინებს საპატენტო სამართლის მსგავს დროებითი დაცვის რეჟიმს. კანონის მე-18 მუხლი აცხადებს, რომ განმცხადებელს განაცხადის მიწოდებიდან მოწმობის მიღებამდე ენიჭება დაცვა, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას, თუ დარღვეულია მე-16 მუხლში ჩამოთვლილი უფლებები. მაგრამ მე-18 მუხლი განსაკუთრებული უფლებების დროებითი დაცვის ნაცვლად ტერმინად იყენებს „საავტორო უფლების დროებით დაცვას", რაც იურიდიულად უხეში შეცდომაა. საავტორო უფლებათა დაცვა რეგულირდება საავტორო სამართლით, ხოლო სელექციური მიღწევა არ არის რაიმე ნაწარმოები, მაგალითად, მუსიკალური ან მხატვრული და მასზე საავტორო უფლება ვერ წარმოიქმნება.

კანონის მე-16 მუხლი სელექციონერის უფლებათა ჩამონათვალს იძლევა ამომწურავად. რომლის მიხედვით განსაკუთრებული უფლება განმარტებულია: „მოწმობის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერი პირი ვალდებულია მისგან აიღოს ლიცენზია (ნებართვა) მოწმობით დაცული სელექციური მიღწევის გამოყენებაზე". ამ ნორმიდან სრულიად არ ჩანს რა უფლება გააჩნია სელექციონერს იმ შემთხვევაში, როდესაც მისგან ნებართვას არ იღებენ. ეს მძიმე იურიდიული შეცდომაა, რადგან არ არის განსაზღვრული, რომ მოწმობის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ სხვა პირს აუკრძალოს მისი უფლების დამრღვევი ქმედების ჩადენა. ეს არის განსაკუთრებული უფლებების საყოველთაოდ მიღებული შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ ამოქმედებიდან უკ-

ვე გასულია 6 წელი სელექციური მიღწევების შესახებ საქართველოს კანონი ისეთი მიუღებელი ნოველის მაგალითს ავლენს, რაც მდგომარეობის გამოსწორებას საჭიროებს.

კანონის აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილია ქმედებები, რომლებიც გამოყენების ფაქტად ითვლება, ესენია:

- **წარმოება და კვლავწარმოება;**
- **შემდგომი გამრავლების მიზნით სათეს კონდიციამდე დაყვანა;**
- **გაყიდვა და გასხვისების სხვა სახე;**
- **ექსპორტი;**
- **იმპორტი.**

მოწმობის მფლობელის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება, აგრეთვე, მცენარეულ მასალასა და საწარმოო დანიშნულების ცხოველზე, რომელიც მიღებულია მცენარის თესლისგან ან სანაშენე ცხოველისგან.

განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ ითვლება:

- **პირადი მოხმარებისა და სელექციური მიზნით განხორციელებული ქმედებები:**

ახალი ჯიშის შექმნისას საწყის მასალად სელექციური მიღწევის გამოყენება იმ ქმედებების გამოკლებით, რაც განსაკუთრებული უფლებების დარღვევად ითვლება.

ადგილობრივად მიღებული მცენარეული მასალის თესლად გამოყენება ამავე მეურნეობის ტერიტორიაზე ორი წლის განმავლობაში. ამასთან, მცენარეების გვარებისა და სახეობების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო.

- **საწარმოო დანიშნულების ცხოველების გამრავლება იმ საწარმოში გამოსაყენებლად, სადაც ის გამოიყვანეს.**
- **ნებისმიერი ქმედებები თესლზე, მცენარეულ და სანაშენე მასალაზე ან საწარმოო დანიშნულების ცხოველზე, რომელიც იქნა ჩართული სამეურნეო ბრუნვაში უფლებათა მფლობელის თანხმობით.**

საპატენტო სამართალში, მიღებულის მსგავსად, დადგენილია იძულებითი ლიცენზირების წესი.

იძულებითი ლიცენზია (არ არის განმარტებული, თუ რა სახის ლიცენზია შეიძლება გაიცეს) გაიცემა ოთხი წლის ვადით, რასაც აკონტროლებს სელექციური მიღწევების დაცვისა და გამოცდის კომისია.

კანონი ადგენს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის პირობებს. კერძოდ, იძულებითი ლიცენზია გაიცემა, თუ:

- მფლობელი სელექციური მიღწევას არ აწარმოებს ან აწარმოებს არასაკმარისად;

მფლობელი უმიზეზოდ აცხადებს უარს ლიცენზიის გაცემაზე.

პირმა, რომელიც მოითხოვს იძულებით ლიცენზიას, უნდა წარმოადგინოს იმის მტკიცებულებანი, რომ მას გააჩნია საკმარისი ფინანსური და სხვა პირობები ლიცენზიით „... კომპეტენტურად და ეფექტიანად..." სარგებლობისათვის.

სელექციურ მიღწევაზე უფლებების მფლობელი პირის ვალდებულებათაგან გამოყენების გარდა აღსანიშნავია, მოწმობის მოქმედების მთელ პერიოდში, მის საგანაცხადო აღწერილობაში მოყვანილი ჯიშის ნიშან-თვისებების შენარჩუნების მოვალეობა.

სელექციურ მიღწევაზე გაცემული მოწმობა შეიძლება იქნეს ცნობილი ბათილად, ამისათვის ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს თავად სელექციური მიღწევის გამოცდის და დაცვის კომისიას, ანუ იმავე ორგანოს, რომელმაც გასცა მოწმობა. კომისია შედავებას მოწმობის ბათილობაზე განიხილავს ექვსი თვის ვადაში. განხილვა შეიძლება გაგრძელდეს, თუ დამატებითი გამოცდის ჩატარება შეიქმნა საჭირო.

მოწმობა ბათილდება, თუ:

- ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის კრიტერიუმი უსაფუძვლოდ იქნა შეფასებული დადებითად;
- მოწმობის გაცემის თარიღისათვის აღარ კმაყოფილდება სიახლისა და განსხვავებულობის მოთხოვნები.
- აღმოჩნდა, რომ მოწმობის მფლობელს არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი მოწმობის მიღებისა.

კანონი იძლევა, აგრეთვე, მოწმობის გაუქმების პირობებს, რაც დაკისრებული აქვს ისევ კომისიას. კერძოდ, მოწმობა უქმდება, თუ:

- აღარ კმაყოფილდება ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის კრიტერიუმის მოთხოვნები;
- არ იქნა წარდგენილი მცენარის თესლი, ნერგი, სანაშენე მასალა, საბუთები და ინფორმაცია იმისათვის, რომ ჩატარდეს შემოწმება. ან, გარდა ამისა, თუ არ იქნა შექმნილი ადგილზე ინსპექციის ჩატარების ხელშემწყობი პირობები. ამ ქმედებათა შესრულების ვადად დასახელებულია 12 თვე.
- არ იქნა გადახდილი ყოველწლიური საფასური მოწმობის ძალაში შენარჩუნებისათვის;

– გაუქმებულია სასელექციო მიღწევის დასახელება და მოწმობის მფლობელმა არ წარადგინა სხვა შესაფერისი დასახელება.

გვინდა შევჩერდეთ დასახელების თავისებურებებზე სასელექციო მიღწევების დაცვის შესახებ კანონის თანახმად. კანონის მე-6 მუხლი ადგენს ზოგად მოთხოვნებს დასახელების მიმართ. კერძოდ, ის უნდა იძლეოდეს სელექციური მიღწევის იდენტიფიცირების საშუალებას, იყოს მოკლე და გააჩნდეს განმასხვავებელუნარიანობა სხვა ახლომდგომი დასახელებებისაგან, არ შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისაგან, არ იყოს შეცდომაში შემყვანი სელექციური მიღწევის თვისებების, წარმოშობის, მნიშვნელობისა და სელექციონერის პიროვნების გარკვევის დროს. დასახელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჰუმანურობისა და მორალის პრინციპებს. როგორც ვხედავთ, აქ ბევრი ისეთი მოთხოვნაა, რომელიც სასაქონლო ნიშნებისათვის არის დადგენილი. პრინციპული განსხვავება ის არის, რომ თუ სასაქონლო ნიშანზე სიტყვის შერჩევისას არავისი თანხმობა არ არის საჭირო, სელექციური მიღწევის დასახელება უნდა მოიწონოს კომისიამ, რომლის დასტურის გარეშეც დასახელება ვერ მიენიჭება განცხადებულ მცენარესა თუ ცხოველის ჯიშს.

გარდა ამისა, სავალდებულოა შემდგომში რეგისტრირებული დასახელების გამოყენება. ამასთან, დასახელების შეცვლა დაშვებულია მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში, რომელსაც კომისია განსაზღვრავს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სელექციური მიღწევის დასახელებისადმი წაყენებული მოთხოვნების მსგავსება სიტყვიერ სასაქონლო ნიშანთან. მსგავსება იმით გამოიხატება, რომ კანონი სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ დასახელების გამოყენებას საგანგებოდ აწესრიგებს, ისე, რომ შეიმჩნევა მისი საერთო იურიდიული ბუნება სიტყვიერ სასაქონლო ნიშანთან. ასე მაგალითად, პასუხისგების შესაძლებლობაა დაწესებული თუ:

– პირი, რომელსაც დაერთო ნება სასელექციო მიღწევით სარგებლობაზე იყენებს სხვა, რეგისტრირებულისგან განსხვავებულ სახელს;
– სელექციური მიღწევის სახელი გამოიყენება სხვა მცენარისა ან ცხოველის ჯიშის აღსანიშნავად, რაც შეცდომაში შემყვანია;

– სელექციური მიღწევის სახელად გამოყენებულია რეგისტრირებულის იმდენად მსგავსი დასახელება, რომ შესაძლებელია მათი აღრევა.

გვინდა მოკლედ აღვნიშნოთ საქართველოს სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ კანონის ზოგიერთი პრინციპული ნაკლი. გაუგებარია როდის შეუძლია სელექციონერს (და სხვა პირს) მიმართოს სასამართლოს. მოწმობის ბათილად ცნობაც და გაუქმებაც მხოლოდ კომისიის კომპეტენციაშია დატოვებული. შემოტანილია მსოფლიოს იურიდიული პრაქტიკისათვის უცნობი ცნება „საავტორო უფლება სელექციურ მიღწევაზე" და მისადმი მიძღვნილია მთელი თავი.

კანონი პრაქტიკულად არ შეიცავს სანქციას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ამ წიგნის პირველ გამოცემაში საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება ვთვლით, რომ კანონი სელექციურ მიღწევათა დაცვის შესახებ დაუყოვნებლივ არის გადასახედი.

საქართველოში 1999 წ. მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს კანონი სასოფლო სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ". **ამ კანონმა დააფუძნა ახალი ორგანიზაცია „საქჯიშცენტრი", რომელიც მიიღებს განაცხადებს, ჩაატარებს შესაბამის ექსპერტიზას და გასცემს დამცავ დოკუმენტს – მოწმობას მცენარეთა ახალ ჯიშზე.** იმავდროულად გაუქმებული არ არის სელექციური მიღწევების შესახებ კანონის ის ნაწილი, რომელიც სელექციურ მიღწევაზე მოწმობის გაცემას ავალებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის სახელმწიფო კომისიას. აღნიშნული კანონის ამოქმედებამ გაუგებარა გახადა თუ რომელ ორგანოსთან უნდა იქონიოს ურთიერთობა სელექციონერმა.

თავი VI. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციამ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და მისი აღკვეთა სამრეწველო საკუთრების სფეროს დაუკავშირა. ამ ობიექტის არსის შეცნობა საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის განვითარების პერიოდში სასარგებლო და საჭირო იქნება. არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენში ფეხი მოიკიდა თავისუფლად რეგულირებადმა სამომხმარებლო ბაზარმა, რომლის წარმატებით განვითარების მთავარი ბერკეტი მეწარმეთა კონკურენციაა. ხოლო იქ, სადაც შეჯიბრი არსებობს, მიუხედავად კეთილი ჩვევებისა, ტრადიციისა და დაწერილი თუ დაუწერელი კანონებისა, არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარების პრაქტიკული გამოვლინებაც. ამ საკითხს პარიზის კონვენცია საგანგებოდ ეხება და ავალებს მონაწილე ქვეყნებს, რომ მათ მიიღონ ყველა საჭირო ზომები – საკანონმდებლო თუ პრაქტიკული, რომ არ დაუშვან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება. საქართველოში უკვე ბევრი მოიძებნება ამგვარი კონკურენციის მაგალითები, რაზედაც პრესის ფურცლებიც მეტყველებს.

თუ გადავხედავთ სადღეისოდ არსებულ სამართლებრივ ბაზას საქართველოში აღმოვაჩენთ, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი ნორმები სხვადასხვა კანონებშია განთესილი, თუმცა არსებობს სპეციალური კანონი „ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“. ეს მიდგომა, გვესახება რომ სწორია, რადგან რთულია შეიქმნას ერთი ამომწურავი სპეციალური აქტი, რომელიც ეკონომიკისა და მეწარმეობის მრავალ სფეროს მოაწესრიგებს.

პარიზის კონვენცია არაკეთილსინდისიერ კონკურენციას განიხილავს, როგორც მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში არსებული პატიოსანი ჩვევების საწინააღმდეგო აქტს. კავშირი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სამრეწველო საკუთრების დაცვისა იმდენად ფართოა, რომ მისი აღკვეთისაკენ მიმართული ნორმების შეტანას აუცილებლად თვლის ნებისმიერი ქვეყნის სასაქონლო ნიშნების დაცვის თუ საპატენტო კანონმდებლობა. უფრო მეტიც, საავტორო სამართალიც ვერ უვლის გვერდს ამ აქტს.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი გამოგონე-

ბის არსის მოტყუების გზით განხორციელება, ან იმ პირის მიერ ვინც ფლობს ინფორმაციას ასეთი გამოგონებების შესახებ, მაგალითად, განაცხადების განხილვის პერიოდში, სხვა პირისათვის გადაცემა მისთვის საჭირო ინფორმაციისა და მონაწილეობა ამ გამოგონების პრაქტიკულ რეალიზაციაში. სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწევა სახეზეა სხვა საქვეყნოდ ცნობილი ნიშნის რეპუტაციით სარგებლობისას. ასევე განიხილება სამრეწველო ნიმუშების მიმსგავსება და უკვე დამკვიდრებული სამრეწველო ნიმუშის კარგი სახელით სარგებლობა საკუთარი კომერციული ინტერესებისათვის. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მაგალითი იქნება აგრეთვე ნაწარმზე ან მის შეფუთვაზე, ან რეკლამისათვის შემდეგი გამაფრთხილებელი აღნიშვნების გამოყენება: „დაცულია საქართველოს პატენტით", „ნიშანი რეგისტრირებულია" და სხვა, იმ დროს, როდესაც ამ ფაქტს ადგილი არა აქვს.

აღიარებულია, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწევისაგან ეფექტური დაცვა კარგად ავსებს და განამტკიცებს სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათზე ჯერ კიდევ უფლებები მოპოვებული არ არის.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამწევი პირი უპირველესად ცდილობს მოატყუოს მომხმარებელი, რომლის განწყობაზეც არის დამოკიდებული საქმიანობის განვითარება. მაგრამ, ეკონომიკა ვერ იქნება დამოკიდებული იმაზე, გაერკვა თუ არა მომხმარებელი მეწარმის კეთილსინდისიერებაში. ეკონომიკის აღმავალი განვითარებისათვის საჭიროა მყარი საკანონმდებლო უზრუნველყოფა. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცნება საფრანგეთის პრაქტიკიდან მომდინარეობს და სპეციალისტები ამის დასტურად დაახლოებით 1850 წელს ასახელებენ. საფრანგეთის სასამართლოებმა სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლზე დაყრდნობით შეძლეს კონკურენტების დაცვის პრინციპების შემუშავება, რომლებიც ამჟამადაც გამოიყენება. მიღებული იქნა ცალკე კანონებიც, მაგალითად 1905 წლის კანონი თაღლითობასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც შემდგომ კიდევ უფრო განვითარდა და მას დაემატა სხვა საკანონმდებლო აქტები და დეკრეტები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანთაგანია 1973 წ. მიღებული „რეიეს კანონი", რომელიც შეცდომაში შემყვან რეკლამას კრძალავს. უნდა დასახელდეს აგრეთვე კანონები მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ მიღებული 1978 და 1989 წლებში.

გერმანიაში 1909 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ, რომელიც დღესაც ძირითადი მოქმედი სამართლებრივი აქტია. კანონი აგებულია ორი ძირითადი საკითხის მოწესრიგების ირგვლივ. ეს საკითხებია – უპატიოსნო და შეცდომაში შემყვანი საქმიანობა. კანონი, სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას აძლევს კერძო პირებს, რასაც კარგად იყენებენ კონკურენტები, მეწარმენი და მომხმარებლები.

დიდი ბრიტანეთის პრაქტიკა საერთო სამართლის ნორმების გამოყენებას გა ჰყვა და უარყო ცალკე სპეციალური სამართლებრივი აქტის მიღება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისათვის. ითვლება, რომ სხვისი სახელით სარგებლობის აკრძალვა საკმარისად აწესრიგებს საკითხს. გარდა ამისა, აკრძალულ აქტებად არის მიჩნეული ცილისწამება და კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება. 1863 წლიდან მიღებულ იქნა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ საკანონმდებლო დებულებანი, რომლებიც შემდგომ განმტკიცდა დამატებითი საკანონმდებლო აქტებით – 1973 წლის კანონით პატიოსანი ვაჭრობის შესახებ, 1971 და 1975 წწ კანონებით მომხმარებლისათვის საქონლისა და მომსახურების თავზე მოხვევის თაობაზე, 1987 წლის კანონით მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ და 1988 წლის ნორმატიული აქტით შეცდომაში შემყვანი რეკლამის კონტროლის შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის პრაქტიკა ვითარდებოდა სასამართლო პრეცედენტებზე დაყრდნობით საერთო სამათლის იმ ნორმის საფუძველზე, რომელიც სხვისი სახელით სარგებლობას სამოქალაქო სამართალდარღვევად მიიჩნევს. საერთო სამართლის ამ დებულებას დაერთო 1946 წელს მიღებული კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ. ამ კანონის შესაბამისმა ნორმამ შესაძლებელი გახადა სასამართლო წესით დაცვის განხორციელება ცრუ განცხადებების წინააღმდეგ, რომლებიც ითვალისწინებს კონკურენტების პროდუქციის ძაგებას. 1988 წლიდან ეს დებულება კიდევ უფრო გაფართოვდა და აკრძალულად იქნა მიჩნეული შეცდომაში შემყვანი ან ცრუ განცხადებები სხვა პირთა საქონლის ან მომსახურების შესახებ. აშშ-ში გატარდა ადმინისტრაციული ღონისძიებებიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არ დაშვების მიზნით. 1914 წელს შეიქმნა ვაჭრობის ფედერალური კომისია, რომელიც აღიჭურვა ფართო იურისდიქციით სასამართლო წესით საკითხის მოწესრიგე-

ბის თვალსაზრისით. განსაკუთრებით ეს ეხება შტატებს შორის ან მასთან დაკავშირებით გამოვლინებულ ისეთ აქტებს, რომლებიც შეიცავენ უპატიოსნო ან შეცდომაში შემყვან ქმედებებს საქონლით ვაჭრობის ან მომსახურების გაწევის შემთხვევებში.

სხვა ქვეყნებშიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ მიღებულ იქნა სპეციალური საკანონმდებლო აქტები, ან მისი აღკვეთისაკენ მიმართული დებულებანი აისახა სხვადასხვა კანონთა ნორმებში. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ღონისძიებათა გატარებას საგანგებოდ ითხოვს თანამედროვე საერთოშორისო თანამშრომლობა. სპეციალური მოთხოვნები აქვს ჩამოყალიბებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასა და გაერთიანებული ევროპის საბჭოს. ამ მოთხოვნების შესაბამისად, მრავალმა ქვეყანამ 1992 წლიდან დაწყებული გადახედა და ეროვნულ კანონებში შეიტანა გადასინჯული ნორმები, რომლებიც უფრო სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებს ეხება ან კრძალავს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის აქტების ჩამონათვალი მოცემულია კანონით მონოპოლური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ. ეს კანონი დასახელებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ სპეციალური კანონია და მის მე-9 მუხლში ჩამოთვლილია ქმედებები, რომლებიც მიიჩნევა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებად. შესაბამის ნორმებს ითვალისწინებს: კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა დებულებანი, კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. სანქციები გათვალისწინებულია: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, 158-ე მუხლი; სისხლის სამართლის კოდექსით, კერძოდ 195-ე, 196-ე, 201-ე, 202-ე მუხლები, კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, 45-ე მუხლი.

გამომდინარე პარიზის კონვენციიდან სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა და სპეციალური კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შინაარსის გადმოცემისას ეყრდნობა ისეთ ცნებებსა და ტერმინებს, როგორიცაა: **„პატიოსანი კომერციული პრაქტიკა“, „კეთილსინდისიერების პრინციპები“, „პროფესიული კორექტულობა“, „პატიოსნება“, „წესიერება“, „პატიოსანი საქმიანობა ბაზარზე“** და სხვა.

აღნიშნული ცნებების განმარტება გარკვეულ სუბიექტივიზმთან არის დაკავშირებული. ამაზე იმ ქვეყნების პრაქტიკაც მიუთი-

თებს, რომლებსაც დიდი გამოცდილება გააჩნია. არაკეთილსინდისიერი კონკურენციიდან გამომდინარე დელიქტი დგინდება ისეთი სუბიექტური ხასიათის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორიცაა „ბრალი" და „ბოროტი განზრახვა". ამიტომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის დადგენისას საჭიროა შესაბამისი ნორმების ღრმა ანალიზი, რომ ზუსტად განისაზღვროს მათი მიზანი. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მთავარი მიზანი კი არის ის, რომ საქონელბრუნვაში ყველა მონაწილე მხარის ინტერესები დაიცვას კეთილსინდისიერი და ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებისა და მისი უზრუნველყოფის ნიადაგზე. მხედველობაში, უპირველესად, უნდა იქნეს მიღებული პატიოსანი მომხმარებლის ინტერესები და მას შეუხამდეს მეწარმეთა და საქონელბრუნვაში მონაწილე სხვა პირთა საქმიანობა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწევის აქტებად ჩვეულებრივად მიიჩნევა შემდეგი:

– საწარმოს, პროდუქციის ან სამეწარმეო საქმიანობის აღკვეთისაკენ მიმართული ქმედებები. ეს დებულება ვრცელდება ნებისმიერ ისეთ ქმედებაზე, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშნებს, სხვა აღნიშვნებს, მარკირებას, რაიმე დევიზის (ლოზუნგის) გამოყენებას, საქონლის შეფუთვას, ფორმას ან ფერს, აგრეთვე ნებისმიერ ისეთ განმასხვავებელ მინიშნებას, რასაც სამეწარმეო (სამრეწველო) ან კომერციულ საქმიანობაში იყენებენ.

სარჩელის განხილვისათვის საკმარისია, რომ მოსარჩელემ დაამტკიცოს აღრევის შესაძლებლობა. ამასთან, ისეთი ქმედების წინააღმდეგ მიმართული აღმკვეთი ღონისძიებანი, როგორრიცაა აღრევა, ხანდაზმულობის ვადით არ შეიზღუდება.

შევეხებით აღრევის ზოგიერთ რთულ სახეებს, რადგან სასაქონლო ნიშნების და სხვა აღნიშვნებისა თუ შეფუთვის მსგავსება აღრევის ელემენტარული გამოვლინებანია და ხშირად ხდება. აშშ-ს პრაქტიკიდან ცნობილია ე.წ. „სპონსორობის აღრევა". ეს ის შემთხვევაა, როდესაც მომხმარებელი ითვალისწინებს, რომ საქონელსა და მომსახურებას აქვთ სხვადასხვა წარმოშობა და, რომ ორი მეწარმე ერთმანეთთან არ იმყოფება იმდენად მჭიდრო კავშირში, რომ მომხმარებელს შეექმნას ამ ორი მეწარმის ურთიერთდამოკიდებულების შთაბეჭდილება. მაგრამ, საქონლისა და მომსახურების სახეების გათვალისწინებით, რომლისთვისაც გამოიყენება სასაქონლო ნიშანი და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ახორციელებს ანალოგიურ ქმედებას მეორე მეწარმე, მომხმარებელს ექმნება შთა-

ბეჭდილება, რომ აღნიშნული მეორე მეწარმის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ხდება შეთანხმების საფუძველზე. სპონსორობის აღრევის კონცეფცია ყველაზე მეტად ვლინდება სარეკლამო საქმიანობაში, კერძოდ, როდესაც საქმე ეხება გამოჩენილი პიროვნებების (კულტურის დარგის მოღვაწენი, სპორტსმენები და სხვა) უფლებებს, აგრეთვე ლიტერატურის ან სხვა მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟების გამოყენების უფლებებს. მომხმარებელი შეცდომაში შედის პერსონაჟის სახელის ან გამოსახულების გამოყენების გამო, თითქოს მეწარმეს ამგვარ ქმედებაზე უფლება საკუთრივ გააჩნია ან მიღებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება.

აღნიშვნებისა და მინიშნებების აღრევის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი დებულებანი დაცვიდან გამორიცხავენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც საქონლის ფორმა განპირობებულია მისი ფუნქციური დანიშნულებით, ან როდესაც კონფიგურაცია ისეთია, რომ მხოლოდ ის სძენს საქონელს განსაკუთრებულ სამომხმარებლო ღირებულებას.

– შეცდომის გამომწვევი ქმედება.

ამ სახის ქმედება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა არაკეთილსინდისიერ კონკურენციაში. იგულისხმებ ა ისეთი სახის ქმედება, რომლის შედეგად მომხმარებელს ექმნება მცდარი შთაბეჭდილება კონკურენტების პროდუქციასა (ნაწარმსა) და მომსახურებაზე. ამ ქმედების ქვეშ ექცევა ისეთი სახის ქმედებანი, რომლებიც დაფუძნებულია მოტყუებით ინფორმაციაზე. ამას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმები კრძალავს, რადგან კონკურენცია უნდა ემყარებოდეს პატოისნებას.

შეცდომის გამომწვევი ქმედება, რომელიც ხორციელდება განზრახ და უფრო მეტიც, ბოროტი განზრახვით, მაგალითად, ფარმაცევტიკის სფეროში, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციის გამოყენების გარდა, ექვემდებარება სისხლის სამართლებრივ დევნას.

მნიშვნელოვნად იზღუდება აგრეთვე პროდუქციის გასაღების ისეთი ფორმა, რომელიც ითავსებს პრიზების ან სარეკლამო საჩუქრების დარიგებას. ამგვარი ვაჭრობის განხორციელება დეტალური საკანონმდებლო რეგლამენტაციის საგანია. ვფიქრობთ, საქართველოს დღევანდელ პირობებისათვის, როდესაც მოძალებულია აღნიშნული სახის ვაჭრობის პრაქტიკა, საჭიროა შემუშავდეს უფრო დეტალური ნორმები, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოში მოათავსებენ ასეთ ვაჭრობას.

გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ ჭეშმარიტი ფაქტის განცხადებაც კი შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი. მაგალითად, თუ პროდუქტში ქიმიკატების გამოყენება კანონით იკრძალება და მეწარმე რეკლამირებისას აცხადებს, რომ მისი ნაწარმი არ შეიცავს ქიმიკატებს, მაშინ მომხმარებელს შეიძლება შექმნეს ამ პროდუქტის შესახებ რაღაცა განსაკუთრებულობის შთაბეჭდილება. ამდენად, მეწარმემ შეიძლება მოიპოვოს უპირატესობა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანით.

შეცდომის გამომწვევი აქტის შეფასებისას გამოიყენება „საშუალო მომხმარებლის" ან „ნაკლებად გათვითცნობიერებული არაკრიტიკულად განწყობილი მომხმარებლის" ფიგურა. ძირითადი მტკიცება შეცდომის გამომწვევი ქმედების შესახებ ეყრდნობა აღნიშნულ მომხმარებელთა წრის გამოკითხვის შედეგებს. 10-15% მომხმარებელი თუ თვლის ქმედებას შეცდომის გამომწვევ აქტად, მაშინ ფაქტი დამტკიცებულად ითვლება.

– კონკურენტების დისკრედიტაცია.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეს აქტი გამოიხატება კონკურენტის ძაგებაში, ანუ მის შესახებ ნებისმიერი ისეთი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მეტოქის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენება. დისკრედიტაციის მეშვეობით არაკეთილსინდისიერი კონკურენტი ცდილობს ბაზარზე უპირატესობის მოპოვებას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწევის ეს აქტი ჩვეულებრივად ექვემდებარება სამოქალაქო სამართლებრივ სანქციებს, რაც ითვალისწინებს, მაგალითად, არაკეთილსინდისიერი ქმედების აკრძალვას და ზიანის ანაზღაურებას.

კონკურენტმა თავისი შელახული უფლებების დაცვა შეიძლება მოითხოვოს მიუხედავად იმისა, ფაქტობრივად მიადგა მას ზიანი თუ ჯერ არა.

დისკრედიტაციის ქმედებათა რიცხვს განეკუთვნება კონკრეტულ კონკურენტზე მითითება (მის ნაწარმის ან მომსახურების წინააღმდეგ გალაშქრება), რაიმე ფაქტების გამომზეურება, ან კონკურენტის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა, ცრუ ცნობების გავრცელება. ზუსტი მონაცემების გავრცელებაც შეიძლება ჩაითვალოს დისკრედიტაციის მცდელობად, რადგან ამგვარი ქმედებაც შეიძლება განხილულ იქნეს ვაჭრობაში მიღებული პატიოსანი ჩვევების დარღვევად.

– კომერციული საიდუმლოების გამოყენება.

კომერციული საიდუმლოების უნებართვო გამოყენება განიხილება კომერციული ღირებულების მქონე ქონების მითვისებად, რაც იკრძალება სპეციალური საკანონმდებლო ნორმებით, ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონომდებლობით. ეს ქმედება შეიძლება განეკუთვნებოდეს სამოქალაქო სამართალდარღვევათა, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა, ან სისხლის სამართლებრივ სამართალდარღვევათა რიცხვს.

კომერციულ საიდუმლოებაზე უფლებათა დარღვევის ფაქტის მტკიცებისას დაინტერესებულმა პირმა ცხადად უნდა დაასაბუთოს, რომ ის ამ საიდუმლოებას განსაკუთრებულ ღირებულებად განიხილავს და, რომ მას შესაბამისი ზომები ჰქონდა მიღებული, ან გამოამჟღავნა განზრახვა (მაგ. ხელშეკრულებით) ამ ინფორმაციის კონფიდენციალური ხასიათის საიდუმლოდ შენახვის თაობაზე.

დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს ყოფილი თანამშრომლის მიერ ინფორმაციის გამოყენებასა ან გაცხადებაში, აგრეთვე კონკურენტის მიერ კონფიდენციალური (საიდუმლო) ინფორმაციის უნებართვოდ გამოყენებასა ან გაცხადებაში. კომერციულ საიდუმლოებად დაცვა ხდება იმ ინფორმაციისა, რომელიც იქნა მოპოვებული არაკანონისმიერი გზით. ინფორმაციის ფლობა კანონისმიერად, მაგრამ მისი შემდგომი გამოყენება კანონით, ან ვალდებულებით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ასევე შეიძლება დარღვევად ჩაითვალოს.

– სხვისი მიღწევების არამართლზომიერი გამოყენება.

ქმედება, რომელიც გამიზნულია სხვისი მიღწევის გამოყენების ხარჯზე გამდიდრებისკენ, რომელიც მომხმარებელმა ან სხვა პირმა სათანადოდ შეაფასა და გარკვეულ წილად გაითვითცნობიერა, განიხილება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად. ეს ქმედება დამყარებულია, როგორც წესი, აღნიშვნების ან მინიშვნებების, პროდუქციის ან სხვა სახის მიგნების ან გამოგონების იმიტაციაზე. სხვაგვარად, ამ აქტს კომერციულ პარაზიტირებას უწოდებენ.

სხვა, ადრე ცნობილი მიღწევის გამოყენება შეიძლება არ იქნეს განხილული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად და თავსებადი იყოს ნორმალური კონკურენციის პირობებთან. ეს მაშინ ხდება, როდესაც არც კომერციაში მონაწილე სხვა პირები და არც მომხმარებელი შეცდომაში არ შედის, ან არ ხდება კონკურენტების ერთმანეთში აღრევა.

კომერციული პარაზიტირებისაგან დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობით ხორციელდება, მაშინ როდესაც სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვის შესახებ სპეციალური კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

კომერციული პარაზიტირების ქმედებათა რიცხვს მიეკუთვნება სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის ან სარეკლამო ღირსშესანიშნავობის შესუსტება, სხვისი რეპუტაციის გამოყენება, პირდაპირი კოპირება და აგრეთვე ე.წ. „პარაზიტული ქმედება“. უკანასკნელი ქმედება განიხილება ასეთად, როდესაც მიმბაძველი სისტემატურად და გამიზნულად ითვისებს ერთი კონკრეტული კონკურენტისათვის დამახასიათებელ მიღწევას. არაკეთილსინდისიერებას ამჟღავნებს ისეთი ფაქტები, როგორიცაა კონკურენტისაგან ნიმუშების მოპოვება ან მიღება იმ მიზნით, რომ ადვილად მოახდინოს მიბაძვა (იმიტაცია) პროდუქტისა, რაც შემდგომში მისი საქმიანობის ერთ-ერთ საგნად იქცევა.

– **შედარებითი რეკლამა.**

არაკეთილსინდისიერ ქმედებად განიხილება და, როგორც წესი, იკრძალება რეკლამა, რომელშიც კონკურენტი ან აცხადებს, რომ მისი პროდუქცია ისევე კარგია, როგორც სხვისი, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი თვისებების მქონეა, ან, პირიქით, აცხადებს, რომ მისი პროდუქცია სჯობს სხვისას.

ასეთი განცხადებები იკრძალება იმის საფუძველზე, რომ ერთ შემთხვევაში დისკრედიტაციის აქტად მიიჩნევა, ხოლო მეორე შემთხვევაში შეცდომის გამომწვევად.

ზოგი ქვეყანა საერთოდ კრძალავს შედარებითი რეკლამის აქტს (გერმანია), ზოგი კი მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებს.

– **არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სხვა აქტები.**

ასეთ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება მომაბეზრებელი რეკლამა, შიშის შეგრძნების გამოყენება, ზედმეტი ფსიქოლოგიური ზეწოლა, გასაღების სტიმულირება ჯილდოებისა და საჩუქრების დარიგებით, ან ლატარიის გამოყენებით და სხვა, კომერციული საქმიანობისათვის დაბრკოლებების შექმნა (მაგალითად, დამზადებული ეტიკეტების განზრახ განადგურება, რაც კონკურენტს შეუფერხებს პროდუქციის წარმოებას).

საქართველოს კანონმდებლობით არაკეთილსინდისიერ კონკურენციას განეკუთვნება:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ად-

რესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებს გარკვეულ სამეურნეო ქმედებისაკენ;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;

დ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე) არასწორი შეხედულების შექმნა, მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;

ე) კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო სახელწოდების თვითნებური გამოყენება;

ვ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;

ზ) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

კარი VII. საწარმოო-კომერციული საიდუმლოება (ნოუ-ჰაუ)

ინტელექტუალური საკუთრების ობეიქტებს შორის ნოუ-ჰაუ პირდაპირ არ ფიგურირებს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის 2(VIII) მუხლის ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს ნოუ-ჰაუს არ მოიხსენიებს. მისი არსებობის მართლზომიერება იგულისხმება აღნიშნული მუხლის ბოლო აბზაცის ფარგლებში, რომელიც აცხადებს, რომ სხვა უფლებებთან ერთად, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს, სამეწარმეო და სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ყველა უფლებას.

სამრწველო-კომერციული საიდუმლოების დაცვას ეხება TRIPS-ი, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებისაგან მოითხოვს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის აუცილებლობას. ეს მოთხოვნა მოცემულია 39-ე მუხლით და ისი შინაარსი აგებულია პარიზის კონვენციის 10^{bis} მუხლის მოთხოვნებზე, რომელიც პარიზის კავშირის წევრ ქვეყნებს ავალებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმოო-კომერციული საიდუმლოების დაცვას სამი ფუძემდებლური საერთაშორისო ხელშეკრულება ეხება:

- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების ხელშეკრულება;
- პარიზის კონვენცია, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებით (რაზედაც TRIPS-ი მიუთითებს).
- TRIPS-ი, სპეციალურ განყოფილებას უძღვნის მოცემული ობექტის დაცვას. განყოფილება დასათაურებულია „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა". TRIPS-ის მოცემული განყოფილება ოპერირებს ისეთი ცნებებით, როგორიცაა „საიდუმლო ინფორმაცია", „კომერციული ღირებულება".

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმოო-კომერციული საიდუმლოება ინტელექტუალური საკუთრების თავისებური ობიექტია, ის არ მიეკუთვნება მხოლოდ საავტორო სამართლის ან სამრეწველო საკუთრების სამართლის ობიექტებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ფრიად გაბედულად მიაკუთვნა საწარმოო-კომერციული საიდუმლოება სამრეწველო საკუთრებას და ეს ტერმინი საკანონმდებლო ტერმინად აქცია. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სამო-

ქალაქო კოდექსის 1105-ე მუხლი „საწარმოო-კომერციული საიდუმლოება" მოთავსებულია კარში „სამრეწველო საკუთრება". საერთოდ, თანამედროვე სამართლის თეორიაში ცალსახად არ არის გადაწყვეტილი, შეიძლება თუ არა ნოუ-ჰაუ დაუკავშირდეს საკუთრებას. ეს იმით აიხსნება, რომ ნოუ-ჰაუ უფრო მეტად არის არამატერიალური, ვიდრე ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტი. ამ ობიექტის დაცვის აუცილებლობა ნაკარნახევია პრაქტიკით. შეფასებულია, რომ ამერიკელი მეწარმეები და ბიზნესმენები ყოველწლიურად განიცდიან 4-5 მილიარდი აშშ-ს დოლარის ოდენობის ზიანს. საიდუმლო ინფორმაციის დაცვას ყურადღება ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს ეთმობოდა. ცნობილია, რომ მონას ხშირად აიძულებდნენ მისი პატრონის საიდუმლოების გამჟღავნებას. აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად რომში შემოღებულ იქნა სპეციალური კანონი – servi corrupti, რომელიც ითვალისწინებდა კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედი იმ პირის დაჯარიმებას, რომელიც მონას რაიმე ქმედებით მისი პატრონის საიდუმლოებას დასტყუებდა. ჯარიმა მიყენებული ზიანის შესაბამის გაორმაგებულ თანხას წარმოადგენდა.

თანამედროვე სამართალმცოდნენი საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებას ინტელექტუალურ საკუთრებით „არასრულ უფლებად" განიხილავენ და მიაკუთვნებენ ინტელექტუალურ საკუთრებას, როგორც არამატერიალურ ობიექტს. მეორე მხრივ, სპეციალისტთა სხვა ჯგუფი ნოუ-ჰაუს მოიხსენიებს ფაქტიურ კუთვნილებათა რიცხვში და ამ ობიექტს სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ ობიექტად გამოყოფს. არსებობს სპეციალისტთა არც თუ მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებას ქონებად, ანუ საკუთრებად განიხილავს.

ყველაზე განვითარებული საკანონმდებლო სისტემა, რომელიც ნოუ-ჰაუს დაცვისკენ არის მიმართული, გააჩნია ამერიკის შეერთებული შტატებს სადაც პრეცედენტებზე დაყრდნობით შემუშავდა და შემოღებულ იქნა კომერციული საიდუმლოების დაცვის ერთიანი კანონი. ეს საკანონმდებლო აქტი ეყრდნობა საკუთრების დაცვის პრინციპებს, ხოლო სამოსამართლო პრაქტიკამ დამატებით დაამკვიდრა შეხედულება, რომ მხარეთა შორის უნდა არსებობდეს კონფიდენციალური, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობანი. თუ ასეთი ურთიერთობანი არ არსებობს, მაშინ შეიძლება საქმე არც იყოს განხილული. თუ საქმე განსახილველად იქნა მიღებული, სასამართლო კომერციული საიდუმლოების მფლობელის მხარეს

ამართლებს. მაგალითად, 1984 წელს უზენაესმა სასამართლომ ერთერთი საქმის განხილვისას უსაფუძვლოდ ცნო გარემოს დაცვის სააგენტოს მოთხოვნა ქიმიური პროდუქტების მწარმოებელ კომპანიას გაეხსნა კომერციული საიდუმლოება (ქიმიური ფორმულა). უსაფუძვლობის არგუმენტაციად მხარეთა შორის კონფიდენციალური ურთიერთობების არარსებობა იყო მოყვანილი. ნდობას რომ ამ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ადასტურებს ამერიკული მოსამართლის ოლივერ ჰოლმსის ცნობილი გამონათქვამიც, რომლის თანახმადაც „საკუთრება“ კომერციულ საიდუმლოებასა და საფირმო აღნიშვნასთან მიმართებით უფრო მეორადია, რაც იმით აიხსნება, რომ იგი ვლინდება, როგორც მხარეთა შორის არსებული ნდობა. რამდენად მნიშვნელოვანი საიდუმლოება გააჩნია მოსარჩელეს და გააჩნია თუ არა მას ასეთი საიდუმლოება, მოპასუხისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ მოპასუხემ საიდუმლო ინფორმაცია მისადმი მოსარჩელის განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე მიიღო. ჰოლმსი აღნიშნავს, რომ შეიძლება უარყოფილ იქნეს უფლება საკუთრებაზე, მაგრამ არა ნდობა. ამდენად, სასამართლო პროცესების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა იმდენად საკუთრების უფლება, რამდენადაც ის, რომ მოპასუხე მოსარჩელესთან დაკავშირებული იყო კონფიდენციალური (განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებული) ურთიერთობებით. აშშ-ს სასამართლოები სამეწარმეო-კომერციულ საიდუმლოებას ოდითგანვე განიხილავენ საკუთრების (კერძოდ ინტელექტუალური საკუთრების) ერთ-ერთ ფორმად და ამ მიდგომის სისწორე დადასტურდა 1979 წელს მიღებული კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ კანონის დებულებებით.

განსხვავებული მიდგომა გააჩნია კონტინენტური ევროპის სამართალს, რომელიც კომერციული საიდუმლოების დაცვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობით ახორციელებს. გერმანიის კანონი გამოყოფს საიდუმლოების ორ კატეგორიას – საწარმოო და კომერციულ საიდუმლოებას. კომერციული საიდუმლოების დაცვის იურიდიულ პრინციპად გერმანიაში (ისევე, როგორც კონტინენტური ევროპის უმრავლეს ქვეყანაში) აღიარებულია, საზოგადოდ მიღებული სამართლებრივი კატეგორიებისა და პიროვნებათა ინტერესების გამიჯვნა, რაც ექვემდებარება სამართლებრივი ნორმებით დაცვას, ამასთან ინტერესებს საკუთრების კატეგორიას არ განაკუთვნებენ. ამდენად, კომერციული საიდუმლოება კონტინენტური ევროპის სამართალში განიხილება ინტე-

ლექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტად მხოლოდ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის იდენტურად და მასთან ერთად იმდენად, რამდენადაც ის სამრეწველო საკუთრებას უკავშირდება.

საქართველოში საიდუმლო ინფორმაციის დაცვა რევოლუციამდელი რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის კანონებით ხორციელდებოდა. რევოლუციამდელი რუსეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა „საფაბრიკო საიდუმლოების" (Фабричные секреты), სავაჭრო საიდუმლოებისა და საკრედიტო განკარგულებების (Кредитные установления) საიდუმლოების დაცვას.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საიდუმლო ინფორმაციას სახელმწიფო იცავდა, როგორც სახელმწიფო საიდუმლოებას, ან სამხედრო საიდუმლო ინფორმაციას. სხვაგვარი საიდუმლო ინფორმაცია იმ დროს ვერც იარსებებდა, რადგან მესაკუთრე ერთადერთი სუბიექტი – სახელმწიფო იყო. პრაქტიკულად, კომერციული ან საწარმოო საიდუმლოების მფლობელ სუბიექტებს ეს საიდუმლოება არ ეკუთვნოდათ და საბაზრო ურთიერთობებისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარებას საბჭოურ პერიოდში არავითარი ქმედითი დატვირთვა არ გააჩნდა. მიდგომა უკვე პერესტროიკის დროს იცვლება, როდესაც საბჭოთა კავშირი ცდილობს საკუთრებაზე დამყარებულ თანამედროვე სამართლებრივ ურთიერთობებზე გადასვლას, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. შედეგად, ცნება „კომერციული საიდუმლოება" პირველად 1990 წელს შემოიტანა კანონმა საწარმოთა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ (Закон о предприятиях и предпринимательской деятельности). კანონმა აღიარა, რომ კომერციული საიდუმლოების გამომჟღავნებამ შეიძლება საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესოს. ამერიკელ სპეციალისტთა მიერ შეფასებულია, რომ თუ საწარმოს კუთვნილი საიდუმლო ინფორმაციის 20% გამჟღავნდა, ასეთ საწარმოთა 60% კოტრდება.

საქართველოს კანონმდებლობით პირველად საიდუმლო ინფორმაციის დაცვა ეროვნულმა სამოქალაქო კოდექსმა დააწესა. მისმა 1015-ე მუხლმა დაამკვიდრა ცნებები „საწარმოო-კომერციული საიდუმლოება" და „ნოუ-ჰაუ", როგორც თანაბარუფლებიანი ტერმინები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ტერმინი „ნოუ-ჰაუ" უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა ვიდრე კოდექსმა გაითვალისწინა. კოდექსის მიღებამდე „ნოუ-ჰაუ" გაგებული იყო როგორც სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული სა-

იდუმლო ინფორმაცია. ამჟამად კი ნოუ-ჰაუ გავრცელდა სავაჭრო და სხვა სახის კომერციულ საიდუმლოებაზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მოიცავს ნებისმიერი ხასიათის საწარმოო თუ კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოში საწარმოო, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და კომერციული საიდუმლოების დაცვას ითვალისწინებს კანონი კონკურენციისა და მონოპოლიური საქმიანობის შესახებ, რომლის მე-9 მუხლი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად მიიჩნევს ჩამოთვლილი სახის ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღებას, მოპოვებას, გამოყენებას ან გავრცელებას მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

არსებითად, **საწარმოო-კომერციული საიდუმლოების დაცვა ხორციელდება, თუ მეწარმე (ან სხვა მფლობელი) თავისი მოქმედებით დაამტკიცებს, რომ მოცემული ინფორმაცია მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რაც ამ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვისათვის გაწეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებების გატარებით უნდა დადასტურდეს**. აღნიშნული მოთხოვნები ნოუ-ჰაუს დაცვისადმი ნათლად არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის 1015-ე მუხლში და შეესაბამება სადღეისოდ აღირებულ პრინციპებსა და საერთაშორისო მოთხოვნებს. მაგალითისათვის მოვიყვანთ TRIPS-ის მოთხოვნებს. კერძოდ, მისი 39-ე მუხლი, რომლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოსათვისაც, აწესებს შემდეგს: ყოველმა ქვეყანამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უნდა მისცეს შესაძლებლობა წინ აღუდგნენ კანონიერად დაქვემდებარებული მათ კონტროლს ინფორმაციის თანხმობის გარეშე გამჟღავნებას, მიღებას ან გამოყენებას, თუ აღნიშნული ქმედებები კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერ ჩვევებს ეწინააღმდეგება.

აღნიშნული შესაძლებლობა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს მიეცემა თუ ინფორმაცია:

- საიდუმლოა იმ გაგებით, რომ იგი მთლიანობაში ზუსტად იდენტური სახით, ან მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობით არ არის ცნობილი საერთოდ, ან არ არის ისეთი პირებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი, რომლებსაც, ჩვეულებრივისამებრ, გააჩნიათ ხოლმე გარკვეული სახის კავშირი ასეთ ინფორმაციასთან;
- თავისი საიდუმლოების გამო წარმოადგენს კომერციული ღირებულების ინფორმაციას;

და აგრეთვე,

- თუ იგი, ისეთი გონივრული ღონისძიებების ობიექტია, რომლებიც არსებულ ვითარებაში მიმართულია იმისა, რომ პირმა, რომელიც კანონიერად აკონტროლებს მოცემულ საიდუმლო ინფორმაციას, შეძლოს ინფორმაციის საიდუმლოების შენახვა.

TRIPS-ის მოცემული მუხლი განმარტავს, რომ „ქმედება კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერი ჩვევების საწინააღმდეგოდ" ნიშნავს:

- ხელშეკრულების დარღვევას;
- ნდობის შერყევას ან ნდობის შერყევის წახალისებას.

ასეთ ქმედებებად განიხილება მესამე პირების მიერ საიდუმლო ინფორმაციის მიღება, თუ მათ იცოდნენ, ან გამოიჩინეს დიდი დაუდევრობა იმ თვალსაზრისით, რომ მათ უნდა სცოდნოდათ აღნიშნული ინფორმაციის მიღებისათვის გამოყენებული რომ იყო არაკეთილსინდისიერი ქმედებები.

თუ შევადარებთ TRIPS-ის მოცემულ მოთხოვნებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან და კონკურენციის და მონოპოლიური საქმიანობის კანონთან, შევნიშნავთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ძირითადად.

საწარმოო კომერციულ საიდუმლოებად ითვლება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: ტექნოლოგიური რეგლამენტი, ინსტრუქცია, ნახაზები, ქიმიური ფორმულები, ლაბორატორიული და სხვაგვარი ცდების მონაცემები, ინფორმაცია კლიენტურის შესახებ, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა გამოქვეყნებამდე, ნეგატიური ხასიათის სამეცნიერო კვლევის შედეგები, სხვაგვარი ტექნიკური და კომერციული მონაცემები. ეს ჩამონათვალი მაგალითისთვისაა წარმოდგენილი და ამომწურავი ვერ იქნება.

კომერციული საიდუმლოების შენახვისათვის მრავალმხრივი ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული. ამ ღონისძიებათა ვრცელი წარმოდგენა დიდ მოცულობას მოგვთხოვდა და ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოკლედღა შევეხოთ პასუხისმგებლობას, რაც მეტ-ნაკლებად დაასრულებს ნოუ-ჰაუს დაცვის თავისებურებების წარმოჩენას. საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებაზე უფლებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა (როდესაც წარმოდგენილია დელიქტი), ისე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შეიძ-

ლება გამოყენებულ იქნეს ისეთივე ზომები, როგორიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისას გამოიყენება, მათ შორის არაკეთილსინდისიერი საქმიანობის შედეგად წამოწყებული საქმიანობის შეწყვეტა და პროდუქციის ჩამორთმევა დაზიანებული მხარის სასარგებლოდ. კომპენსაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს (და დაკმაყოფილდეს) მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი ზომების გატარებას, დამნაშავე პირის სხვადასხვა დროით დაპატიმრების შესაძლებლობის ჩათვლით. იმედია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიღებასაც ახლო მომავალში ველით, გაითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებთან შეხამებულ მკაცრ ზომებს.

საწარმოო-კომერციული საიდუმლოების დაცვის პრაქტიკის გაშუქება რომ უფრო მეტი სისრულით წარმოვადგინოთ, შევეხებით იაპონიის მაგალითს. იაპონიას არ გააჩნია არც ერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებს რაიმე პასუხისმგებლობას ნოუ-ჰაუზე უფლების დარღვევისას. იაპონელი მეწარმეები საკითხს შრომის ორგანიზაციითა და შესაბამისი მოთხოვნების ჩამოყალიბებით და დაცვით აგვარებენ. კერძოდ, პრაქტიკულად ყველა ფირმა განუხრელად მისდევს მუშაკთა ქცევის კოდექსს. ეს კოდექსი შეიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც იკრძალება კომერციული საიდუმლოების გაცემა; ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც შეარყევენ ნდობას მოცემული მეწარმის მიმართ; ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე შეთავსებით სხვაგან მუშაობა; ქრთამის მიღება ან მიცემა და სხვ.

იაპონელ მეწარმეებს ყველაზე ნაკლებად ადგება ზიანი, რასაც ამ ქვეყანაში არსებულ ტრადიციებს უკავშირებენ. როგორც წესი, იაპონელი მეწარმე სამუდამოდ ღებულობს მუშაკს და იმაზე ზრუნავს, რომ მუშაკმა თავი მოცემული საწარმოს „ოჯახის“ წევრად იგრძნოს. შესაბამისად, მისთვის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მისი ოჯახის (საწარმოს) წინააღმდეგ არის მიმართული, მიუღებელია. იაპონელი მეწარმეების მიდგომას საკითხისადმი კარგად გამოხატავს „სონის“ ხელმძღვანელობის შეხედულება. ითვლება, რომ თუ მუშაკს არ აკავშირებს საწარმოსთან განსაკუთრებული ერთგულება, მაშინ შეუძლებელია ბოლო მოეღოს საწარმოდან საიდუმლო ინფორმაციის გადინებასა და ქურდობას. როგორც ცნობილია, სხვა დანარჩენ ქვეყნებს ნოუ-ჰაუს დაკარგვით განსაკუთრებულად დიდი ზიანი ადგება.

და აგრეთვე,

- თუ იგი, ისეთი გონივრული ღონისძიებების ობიექტია, რომლებიც არსებულ ვითარებაში მიმართულია იმისა, რომ პირმა, რომელიც კანონიერად აკონტროლებს მოცემულ საიდუმლო ინფორმაციას, შეძლოს ინფორმაციის საიდუმლოების შენახვა.

TRIPS-ის მოცემული მუხლი განმარტავს, რომ „ქმედება კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერი ჩვევების საწინააღმდეგოდ" ნიშნავს:

- ხელშეკრულების დარღვევას;
- ნდობის შერყევას ან ნდობის შერყევის წახალისებას.

ასეთ ქმედებებად განიხილება მესამე პირების მიერ საიდუმლო ინფორმაციის მიღება, თუ მათ იცოდნენ, ან გამოიჩინეს დიდი დაუდევრობა იმ თვალსაზრისით, რომ მათ უნდა სცოდნოდათ აღნიშნული ინფორმაციის მიღებისათვის გამოყენებული რომ იყო არაკეთილსინდისიერი ქმედებები.

თუ შევადარებთ TRIPS-ის მოცემულ მოთხოვნებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან და კონკურენციის და მონოპოლიური საქმიანობის კანონთან, შევნიშნავთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ძირითადად.

საწარმოო კომერციულ საიდუმლოებად ითვლება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: ტექნოლოგიური რეგლამენტი, ინსტრუქცია, ნახაზები, ქიმიური ფორმულები, ლაბორატორიული და სხვაგვარი ცდების მონაცემები, ინფორმაცია კლიენტურის შესახებ, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა გამოქვეყნებამდე, ნეგატიური ხასიათის სამეცნიერო კვლევის შედეგები, სხვაგვარი ტექნიკური და კომერციული მონაცემები. ეს ჩამონათვალი მაგალითისთვისაა წარმოდგენილი და ამომწურავი ვერ იქნება.

კომერციული საიდუმლოების შენახვისათვის მრავალმხრივი ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული. ამ ღონისძიებათა ვრცელი წარმოდგენა დიდ მოცულობას მოგვთხოვდა და ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოკლედღა შევეხოთ პასუხისმგებლობას, რაც მეტ-ნაკლებად დაასრულებს ნოუ-ჰაუს დაცვის თავისებურებების წარმოჩენას. საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებაზე უფლებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა (როდესაც წარმოდგენილია დელიქტი), ისე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შეიძ-

ლება გამოყენებულ იქნეს ისეთივე ზომები, როგორიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისას გამოიყენება, მათ შორის არაკეთილსინდისიერი საქმიანობის შედეგად წამოწყებული საქმიანობის შეწყვეტა და პროდუქციის ჩამორთმევა დაზიანებული მხარის სასარგებლოდ. კომპენსაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს (და დაკმაყოფილდეს) მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი ზომების გატარებას, დამნაშავე პირის სხვადასხვა დროით დაპატიმრების შესაძლებლობის ჩათვლით. იმედია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიღებასაც ახლო მომავალში ველით, გაითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებთან შეხამებულ მკაცრ ზომებს.

საწარმოო-კომერციული საიდუმლოების დაცვის პრაქტიკის გაშუქება რომ უფრო მეტი სისრულით წარმოვადგინოთ, შევეხებით იაპონიის მაგალითს. იაპონიას არ გააჩნია არც ერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებს რაიმე პასუხისმგებლობას ნოუ-ჰაუზე უფლების დარღვევისას. იაპონელი მეწარმეები საკითხს შრომის ორგანიზაციითა და შესაბამისი მოთხოვნების ჩამოყალიბებით და დაცვით აგვარებენ. კერძოდ, პრაქტიკულად ყველა ფირმა განუხრელად მისდევს მუშაკთა ქცევის კოდექსს. ეს კოდექსი შეიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც იკრძალება კომერციული საიდუმლოების გაცემა; ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც შეარყევენ ნდობას მოცემული მეწარმის მიმართ; ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე შეთავსებით სხვაგან მუშაობა; ქრთამის მიღება ან მიცემა და სხვ.

იაპონელ მეწარმეებს ყველაზე ნაკლებად ადგება ზიანი, რასაც ამ ქვეყანაში არსებულ ტრადიციებს უკავშირებენ. როგორც წესი, იაპონელი მეწარმე სამუდამოდ ღებულობს მუშაკს და იმაზე ზრუნავს, რომ მუშაკმა თავი მოცემული საწარმოს „ოჯახის" წევრად იგრძნოს. შესაბამისად, მისთვის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მისი ოჯახის (საწარმოს) წინააღმდეგ არის მიმართული, მიუღებელია. იაპონელი მეწარმეების მიდგომას საკითხისადმი კარგად გამოხატავს „სონის" ხელმძღვანელობის შეხედულება. ითვლება, რომ თუ მუშაკს არ აკავშირებს საწარმოსთან განსაკუთრებული ერთგულება, მაშინ შეუძლებელია ბოლო მოელოს საწარმოდან საიდუმლო ინფორმაციის გადინებასა და ქურდობას. როგორც ცნობილია, სხვა დანარჩენ ქვეყნებს ნოუ-ჰაუს დაკარგვით განსაკუთრებულად დიდი ზიანი ადგება.

თავი VIII. ინტეგრალური სქემები

დროთა განმავლობაში ინტელექტუალური საკუთრების სამართალში ახალ-ახალი დაცვის ობიექტები ჩნდება. ასეთი ვითარება მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი, ხშირად რევოლუციური მიღწევების შედეგია. ერთ-ერთი ასეთია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში შექმნილი და პრაქტიკაში სწრაფად რეალიზებული ობიექტი – ინტეგრალური მიკროსქემა. შეიძლება ითქვას, რომ მისმა გამოჩენამ, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზარზე, უმალ წარმოაჩინია, აღნიშნულ ობიექტზე უფლებების დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებული მრავალი სირთულე და ის, რომ არსებული სამართლებრივი ნორმები საკმარისად ვერ აწესრიგებს წარმოქმნილ ქონებრივსა თუ არაქონებრივ ურთიერთობებს. სირთულე თავად ობიექტის ბუნებასა და ტექნიკურ გამოხატულობაშივე იმალება. საკმარისია მიკროსქემა შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტის ხელში მოხვდეს, რომ მთლიანი სქემის აგებულება სრულიად თვალსაჩინო ხდება. აქედან გამომდინარე, ასეთი მიკროსქემის გამეორება არანაირ პრინციპულ სირთულესთან აღარ იქნება დაკავშირებული. ერთადერთ მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოდ გვევლინება იმ პირის სამრეწველო-ტექნოლოგიური დონე, რომელიც დააპირებს მიკროსქემის დამზადებას. ამდენად, კონკურენცია კეთილსინდისიერიცაა და არაკეთილსინდისიერიც და, შესაბამისად, უფლებების დარღვევის აქტები ხდება მაღალი ტექნოლოგიების მქონე საწარმოებსა თუ სამეცნიერო დაწესებულებებს შორის. აქედან, გასაგებია, რომ ინტეგრალური მიკროსქემის დაცვა უფრო განვითარებულ ქვეყნებს აინტერესებს, ვიდრე განვითარებად ქვეყნებს.

ინტეგრალური მიკროსქემების არსებობა დაკავშირებულია უდიდეს ინვესტიციებთან და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის მიღწევებთან. მათი შექმნა და განვითარება მიზნად ისახავს თანამედროვე მიკროსქემების ზომების სულ უფრო მეტად შემცირებას, იმავდროულად, მათი ფუნქციების გაზრდას. ასეთი ინტეგრალური მიკროსქემები განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ახალი ტიპის გამოთვლითი ტექნიკის შექმნისა და წარმოებისას, თუმცა მათ შევხვდებით სამომხმარებლო საგნებშიც, მაგალითად, სარეცხ მანქანებში, საათებში, ტელევიზორებში და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ინტეგრალური მიკროსქემა შეიძლება ასლის სახით იყოს გამეორებული, ან სპეციალისტების მიერ შესწავლილი და მასზე დაყრდნობით გაუმჯობესებული ვარიანტით წარმოდგეს სამომხმარებლო ბაზარზე.

იმის გასაშუქებლად, თუ რა გზა უნდა იქნეს არჩეული ამ ობიექტის სამართლებრივად დასაცავად, შევეხებით ინტეგრალური მიკროსქემის ტერმინოლოგიურ განმარტებას.

მიკროსქემა განიმარტება, როგორც ინტეგრალური სქემა, რომელიც რაღაც რთულ ფუნქციას ასრულებს.[1] ამ განმარტებიდან ჩანს, რომ მიკროსქემა შეიძლება იყოს ინტეგრალური სქემა. ინტეგრალური სქემა კი განიმარტება, როგორც ელექტრონული ელემენტების შემცველი და ნახევარგამტარიან კრისტალის ზედაპირზე, ან მის შიგნით განლაგებული მინიატურული ელექტრონული სქემა. ამ განმარტებას თუ დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით მეტ ყურადღებას ისეთი მიკროსქემა მოითხოვს, რომელიც კრისტალის ზედაპირზე განლაგებულ სქემას წარმოადგენს. ასეთი სქემა, გარკვეულ წილად, ტოპოგრაფიულ რუკას შეიძლება შედარდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული სქემის შემადგენელი ნაწილები თავისი შემადგენლობითა და კავშირებით ხილულია. აღნიშნული შედარება იმითაც დასტურდება, რომ როგორც დარგის სპეციალურ ლიტერატურაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში, ინტეგრალური მიკროსქემის აღსანიშნავად მეორე ტერმინიც გამოიყენება – „ტოპოგრაფია", რომელიც ინფორმატიკის სფეროში არსებული ლიტერატურის მიხედვით განიმარტება, როგორც რაიმე სახის ზოგადი სქემა ან კონფიგურაცია.

აღნიშნული ტერმინოლოგიური მიმოხილვა იმიტომ დაგვჭირდა, რომ შემოვიტანოთ შესაბამისი ქართული ტერმინი. ჩვენი აზრით, სწორი იქნება, თუ გავყვებით დარგობრივ ტერმინოლოგიას და ქართულად დავამკვიდრებთ ინგლისურის (ასევეა რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში) მსგავს ტერმინოლოგიას. გასათვალისწინებელი ისიც არის, რომ ელექტრონიკასა და ინფორმატიკაში ინგლისური ენა ბატონობს. ინგლისურად სპეციალურ ლიტერატურაში ორი ტერმინი გამოიყენება: „Integrated circuit" და „Topography". პირველი ტერ-

[1] В. И. Першиков, В. М. Савинков, Толковый словарь по информатике, М., Финансы и статистика, 1991, с. 201; 389.

მინი ქართულად ინტეგრალურ სქემად გადმოიცემა, ხოლო მეორე – ტოპოგრაფიად. ინგლისურად გამოიყენება, აგრეთვე, ტერმინი „Layout-design", რაც შეიძლება ითარგმნოს როგორც „სქემატური აგებულება". შემდგომში ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს „ინტეგრალური მიკროსქემა".

ინტეგრალური მიკროსქემის სპეციალური კანონმდებლობით დაცვის აუცილებლობა პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში იგრძნეს. შესაბამისად, პირველი სპეციალური კანონი აშშ-ში იქნა მიღებული, სამოცდაათიან წლებში. შემდგომ, 1985 წელს კანონი იაპონიამ მიიღო, ხოლო ამჟამად ინტეგრალური მიკროსქემების დაცვა ხორციელდება ევროპის გაერთიანების ყველა წევრ ქვეყანაში, ინდოეთში და ა.შ. საკითხი, თუ რა კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული ინტეგრალური მიკროსქემები, ერთგვაროვნად ვერ წყდება. ეს ვითარება დასაცავი ობიექტის ტექნიკური ბუნებიდან მომდინარეობს. თავად ელექტრონული სქემები საპატენტო სამართლით დაიცვება. ახალი გარეგანი სახე შეიძლება სამრეწველო ნიმუშს წარმოადგენდეს და მასზე გავრცელდება, ან საავტორო სამართალი, ან საპატენტო სამართალი. მიკროსქემაში ელემენტების გარკვეული თანამიმდევრობით განლაგება (ამა თუ იმ ფუნქციის შესასრულებელ მიკროსქემაში გაერთიანება) შეიძლება ვერ იქნეს დაცული საპატენტო სამართლით და არც საავტორო სამართლის ნორმები იყოს საკმარისი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარად წყვეტს ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის საკითხს და, უმეტესწილად, ამას ახორციელებს საავტორო სამართლით – ინგლისი, ინდოეთი, ან სპეციალური კანონმდებლობით – ქვეყანათა უმრავლესობა, ანაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის კანონმდებლობით – არგენტინა, შვეიცარია. საქართველოში ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის საკითხი გადაწყდა 1999 წ. ივნისში სპეციალური კანონის მიღებით. თუმცა, თუ ინტეგრალურ მიკროსქემას განვიხილავთ როგორც სქემას („ტოპოგრაფიულ რუკას"), მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ საავტორო სამართლის ნორმები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიღებულია სპეციალური კანონი, ჩვენ ინტეგრალური მიკროსქემების დაცვას საავტორო სამართლით უფრო მართებულად მივიჩნევთ. მიკროსქემების საავტორო სამართლით დაცვა განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა, მაგრამ კანონს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საჭიროა დაემატოს ნორმა, რომელიც დაადგენს განსაკუთრებული უფლებე-

ბის მოქმედებას დროში, რადგან არსებული სპეციალური კანონების თანახმად, დაცვის ხანგრძლივობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საავტორო სამართალი ადგენს ძირითადი მის ობიექტებისათვის.

უფრო დაწვრილებით, განვიხილოთ როგორია ინტეგრალური მიკროსქემების დაცვა სპეციალური კანონების თანახმად.

დაცვის ობიექტს ინტეგრალური მიკროსქემა წარმოადგენს. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების კანონებით დასაცავ ობიექტად მითითებულია, აგრეთვე, ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია. მაგალითად, რუსეთის კანონის სათაურია „Закон о правовой охране топологий интегральных микросхем". ინგლისელთა მიერ დამკვიდრებული ტერმინი „Topography" რუსული „топология" სინონიმად უნდა განვიხილოთ. ქართულად, ჩვენი აზრით, უმჯობესია ინგლისური ტერმინი იქნეს გამოყენებული. ეს ტერმინი გარკვეულწილად მიკროსქემების სამ– განზომილებიან აგებულებასაც გამოხატავს. სამწუხაროდ, საქართველოს კანონი რუსეთის პრაქტიკას გაჰყვა და ტერმინიც გადმოიღო. ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონი დაცვის ობიექტად „Mask"-ს (ანაბეჭდი) ასახელებს. იაპონიისა და აშშ-ს კანონებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ინტეგრალური მიკროსქემა დაცვადია, მიუხედავად იმისა, განხორციელებულია იგი ნახევარგამტარში, თუ არა. ამასთან, სამართლებრივად უფლებათა დარღვევა შეიძლება დაფიქსირდეს როგორც საბოლოო ჩიპის, ასევე შუალედური ჩიპის მიხედვით. დაცვის კრიტერიუმად მიჩნეულია „შემოქმედებითი წვლილი", რაც საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის მოთხოვნათა ანალოგიურია.

ინტეგრალური მიკროსქემის მფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება მოცემული სქემის გამოყენებაზე, კერძოდ, ჩიპში განხორციელებასა და მზა ნახევარგამტარებით ვაჭრობაზე. ამერიკისა და იაპონიის კანონი განსაკუთრებულ უფლებებს ავრცელებს იმ ნაწარმზეც, რომლებშიც გამოყენებულია მიკროსქემა. ამ უფლების განხორციელება ძალზე ძნელია, რადგან დარღვევის გამოსავლენად საჭიროა ნივთის ნაწილებად დაშლა. თავად ჩიპის ანალიზისათვის საჭიროა სპეციალური ძვირადღირებული აპარატურა. აღნიშნული სირთულეების გამო ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა უარს ამბობს განსაკუთრებული უფლება ნაწარმზეც გავრცელდეს.

განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება აგრეთვე ისეთ ქმედებაზე, რასაც საინჟინრო გადაკეთება (Reverse engineering) ჰქვია. ეს

მინი ქართულად ინტეგრალურ სქემად გადმოიცემა, ხოლო მეორე – ტოპოგრაფიად. ინგლისურად გამოიყენება, აგრეთვე, ტერმინი „Layout-design“, რაც შეიძლება ითარგმნოს როგორც „სქემატური აგებულება“. შემდგომში ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს „ინტეგრალური მიკროსქემა“.

ინტეგრალური მიკროსქემის სპეციალური კანონმდებლობით დაცვის აუცილებლობა პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში იგრძნეს. შესაბამისად, პირველი სპეციალური კანონი აშშ-ში იქნა მიღებული, სამოცდაათიან წლებში. შემდგომ, 1985 წელს კანონი იაპონიამ მიიღო, ხოლო ამჟამად ინტეგრალური მიკროსქემების დაცვა ხორციელდება ევროპის გაერთიანების ყველა წევრ ქვეყანაში, ინდოეთში და ა.შ. საკითხი, თუ რა კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული ინტეგრალური მიკროსქემები, ერთგვაროვნად ვერ წყდება. ეს ვითარება დასაცავი ობიექტის ტექნიკური ბუნებიდან მომდინარეობს. თავად ელექტრონული სქემები საპატენტო სამართლით დაიცვება. ახალი გარეგანი სახე შეიძლება სამრეწველო ნიმუშს წარმოადგენდეს და მასზე გავრცელდება, ან საავტორო სამართალი, ან საპატენტო სამართალი. მიკროსქემაში ელემენტების გარკვეული თანამიმდევრობით განლაგება (ამა თუ იმ ფუნქციის შესასრულებელ მიკროსქემაში გაერთიანება) შეიძლება ვერ იქნეს დაცული საპატენტო სამართლით და არც საავტორო სამართლის ნორმები იყოს საკმარისი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარად წყვეტს ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის საკითხს და, უმეტესწილად, ამას ახორციელებს საავტორო სამართლით – ინგლისი, ინდოეთი, ან სპეციალური კანონმდებლობით – ქვეყანათა უმრავლესობა, ანაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის კანონმდებლობით – არგენტინა, შვეიცარია. საქართველოში ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის საკითხი გადაწყდა 1999 წ. ივნისში სპეციალური კანონის მიღებით. თუმცა, თუ ინტეგრალურ მიკროსქემას განვიხილავთ როგორც სქემას („ტოპოგრაფიულ რუკას“), მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ საავტორო სამართლის ნორმები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიღებულია სპეციალური კანონი, ჩვენ ინტეგრალური მიკროსქემების დაცვას საავტორო სამართლით უფრო მართებულად მივიჩნევთ. მიკროსქემების საავტორო სამართლით დაცვა განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა, მაგრამ კანონს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საჭიროა დაემატოს ნორმა, რომელიც დაადგენს განსაკუთრებული უფლებე-

ბის მოქმედებას დროში, რადგან არსებული სპეციალური კანონების თანახმად, დაცვის ხანგრძლივობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საავტორო სამართალი ადგენს ძირითადი მის ობიექტებისათვის.

უფრო დაწვრილებით, განვიხილოთ როგორია ინტეგრალური მიკროსქემების დაცვა სპეციალური კანონების თანახმად.

დაცვის ობიექტს ინტეგრალური მიკროსქემა წარმოადგენს. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების კანონებით დასაცავ ობიექტად მითითებულია, აგრეთვე, ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია. მაგალითად, რუსეთის კანონის სათაურია „Закон о правовой охране топологий интегральных микросхем". ინგლისელთა მიერ დამკვიდრებული ტერმინი „Topography" რუსული „топология" სინონიმად უნდა განვიხილოთ. ქართულად, ჩვენი აზრით, უმჯობესია ინგლისური ტერმინი იქნეს გამოყენებული. ეს ტერმინი გარკვეულწილად მიკროსქემების სამ– განზომილებიან აგებულებასაც გამოხატავს. სამწუხაროდ, საქართველოს კანონი რუსეთის პრაქტიკას გაჰყვა და ტერმინიც გადმოიღო. ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონი დაცვის ობიექტად „Mask"-ს (ანაბეჭდი) ასახელებს. იაპონიისა და აშშ-ს კანონებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ინტეგრალური მიკროსქემა დაცვადია, მიუხედავად იმისა, განხორციელებულია იგი ნახევარგამტარში, თუ არა. ამასთან, სამართლებრივად უფლებათა დარღვევა შეიძლება დაფიქსირდეს როგორც საბოლოო ჩიპის, ასევე შუალედური ჩიპის მიხედვით. დაცვის კრიტერიუმად მიჩნეულია „შემოქმედებითი წვლილი", რაც საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის მოთხოვნათა ანალოგიურია.

ინტეგრალური მიკროსქემის მფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება მოცემული სქემის გამოყენებაზე, კერძოდ, ჩიპში განხორციელებასა და მზა ნახევარგამტარებით ვაჭრობაზე. ამერიკისა და იაპონიის კანონი განსაკუთრებულ უფლებებს ავრცელებს იმ ნაწარმზეც, რომლებშიც გამოყენებულია მიკროსქემა. ამ უფლების განხორციელება ძალზე ძნელია, რადგან დარღვევის გამოსავლენად საჭიროა ნივთის ნაწილებად დაშლა. თავად ჩიპის ანალიზისათვის საჭიროა სპეციალური ძვირადღირებული აპარატურა. აღნიშნული სირთულეების გამო ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა უარს ამბობს განსაკუთრებული უფლება ნაწარმზეც გავრცელდეს.

განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება აგრეთვე ისეთ ქმედებაზე, რასაც საინჟინრო გადაკეთება (Reverse engineering) ჰქვია. ეს

გასაგებიც არის, რადგან საინჟინრო გადაკეთების შედეგად იქმნება განსხვავებული ობიექტი.

ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის კანონმდებლობა, როგორც წესი, არ ითვალისწინებს უფლებათა შეზღუდვას იძულებითი ლიცენზიის გაცემის სახით უფლებათა შეზღუდვას იძულებითი ლიცენზიის გაცემის სახით. საქართველოს კანონმდებლობით დაწესდა იძულებითი ლიცენზიის გაცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი გამოყენება ნაკარნახევია სახელმწიფო არაკომერციული ინტერესებით. იძულებითი ლიცენზია ასევე შეიძლება გაიცეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მიზნით.

რაც შეეხება უფლებათა წარმოქმნას, იგი, საზოგადოდ, არავითარ ფორმალობათა განხორციელებასთან არ არის დაკავშირებული. რუსეთის კანონის თანახმად, ინტეგრალური მიკროსქემის რეგისტრაცია „ეგმ პროგრამების, მონაცემთა ბაზებისა და ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიების სამართლებრივი დაცვის რუსეთის სააგენტოში“ უფლებათა წარმოშობის ალტერნატიული შესაძლებლობაა. რუსეთის კანონი უფლებათა წარმოშობას უკავშირებს, აგრეთვე, მიკროსქემების პირველ გამოყენებას კომერციული მიზნით. საქართველოში განსაკუთრებული უფლება ტოპოლოგიაზე წარმოიშვება მისი „საქპატენტში“ რეგისტრაციის დღიდან.

განსაკუთრებული უფლებები, როგორც წესი, მოქმედებენ, 10 წელიწადს პირველი გამოყენების თარიღიდან, ან სარეგისტრაციოდ განაცხადის მიწოდების თარიღიდან. საქართველოში მოქმედების ვადა დაწესებულია 10 წლით ტოპოლოგიის რეგისტრაციის დღიდან.

განსაკუთრებული უფლებების დარღვევად ითვლება:

- მიკროსქემების კოპირება;
- გამოყენება, ვაჭრობა ან გასაყიდად შეთავაზება, ქვეყანაში შემოტანა საზღვარგარეთიდან.

განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ ითვლება მიკროსქემების:

- პირადი მიზნებისათვის გამოყენება, რაც მოგების მიღებას მიზნად არ ისახავს;
- გამოყენება კვლევათა ჩატარების მიზნით;
- გამოყენება სასწავლო პროცესში;
- უფლებათა მფლობელის მიერ სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული მიკროსქემის შემდგომი გავრცელება (უფლებათა ამოწურვის პრინციპი).

პასუხისმგებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს კომპენსაციას, ჯარიმებს, ეგზემპლარების ჩამორთმევას და ა.შ.

ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის სფეროში ისმოს თაოსნობით დადებულია სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც ვაშინგტონში მოეწერა ხელი 1989 წელს. სამწუხაროდ, ამ ხელშეკრულებას ქვეყანათა უმრავლესობა ჯერაც არ მიერთებია, შესაბამისად, ის არ არის შესული ძალაში.

ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის დაწესებას ითხოვს კიდევ ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება – TRIPS-ი. ის ადგენს ძირითად პრინციპებს, რომლებიც ზემოთ განხილულისგან არ განსხვავდება.

ᲙᲐᲠᲘ IX. ᲓᲝᲛᲔᲘᲜᲘ

დომეინი თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ახალ პირმშოს წარმოადგენს.

1993 წელს საქმიან სამყაროში შემოიჭრა ინტერნეტი – ინფორმაციის მიმოცვლის თანამედროვე ელექტრონული ქსელი. თავად სიტყვა ინტერნეტი მოგონილი სიტყვაა და წარმოადგენს ორი ინგლისური სიტყვის International (საერთაშორისო) და Network (ქსელი) შემოკლებებისაგან Inter და Net შემდგარ სიტყვას InterNet, რომელიც შეუცვლელად გავრცელდა მთელს მსოფლიოში. ინტერნეტის ქსელში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოათავსოს საკუთარი ინფორმაცია და მიაწოდოს ის სხვა პირს, რომელიც სარგებლობს ამ ქსელით. აქ შეიძლება მოთავსდეს ნებისმიერი ხასიათის ინფორმაცია: კომერციული, სამეცნიერო, ტექნიკური, საბავშვო, გასართობი, გამოსახულებანი და ა.შ. ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება ამ ქსელის მეშვეობით ხდება ძალზე სწრაფად. ქსელით სარგებლობის ფასი დაბალია და ხელმისაწვდომი. ინტერნეტში, პრაქტიკულად, ტერიტორიული საზღვრები წაშლილია. იგი, ერთი მხრივ, მიმზიდველია მომხმარებლისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ქმნის უამრავ იურიდიულ სირთულეს სადაო სიტუაციების განსჯისა და პასუხისმგებლობის დადგენისას. დარღვევები, როგორც წესი, ინტერნეტში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ხდება. უპირველესად, ამ კუთხით უნდა შევეხოთ ინტერნეტში არსებულ ე.წ. დომეინებს. იმისათვის, რომ რომელიმე პირმა ისარგებლოს ინტერნეტით მას უნდა გააჩნდეს საკუთარი დომეინი. ინგლისურად გამოიყენება ტერმინი „Domain Name", რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ბინის მისამართის სახელი". რადგან ქსელი საერთაშორისოა და მისი საქსელო ტერმინოლოგია ინგლისურია, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ქართულად გამოვიყენოთ ინგლისური ტერმინის პირველი ნაწილი „დომეინი". დომეინი არის აღნიშვნა, რომელიც ასრულებს ინტერნეტში აბონენტის მისამართის როლს. თავისი ბუნებით დომეინი სასაქონლო ნიშნის მსგავსი, ინტელექტუალური საკუთრების ახალი ობიექტია, რომელიც ჯერ სამართლებრივად შესწავლილი და მოწესრიგებული არ არის. ყოველი დომეინი შეიცავს შემდეგ სიმბოლოებს: http://WWW. პირველი – http აღნიშნავს პროგრამას, რომელიც გამოიყენება ქსელში, ხოლო აბრევიატურა „WWW" (WORLD WIDE WEB) ქართულად ითარგმნება, როგორც „ობობას მსოფლიო ქსელი" და ინტერნეტის ქსელში ყოფ-

ნას ადასტურებს. თავად დომეინი შედგება მინიმუმ ორი ნაწილისაგან: უმაღლესი დონისა (TOP-) და მეორე დონის (SECOND LEVEL) დომეინებისაგან. აგრეთვე, დომეინს შეიძლება გააჩნდეს მესამე დონეც.

სრულად დაწერილი დომეინის მაგალითია შემდეგი აღნიშვნა:
http://WWW.YAHOO.COM

აქ უშუალოდ დომეინის აღმნიშვნელია სიმბოლოები YAHOO.COM. უმაღლესი დონის დომეინი არის „COM", ხოლო YAHOO არის მეორე დონის დომეინი. უმაღლესი დონის დომეინად შეიძლება იყოს გამოყენებული მხოლოდ გარკვეული, სპეციალურად შერჩეული სიმბოლოები. ესენია, მაგალითად: firm, store, web, arts, rec, info, nom, com, org, net და სხვ. ყოველ მათგანს საკუთარი გამოყენება აქვს. მაგალითად, firm – განსაზღვრულია მეწარმეთა დომეინის დასაფუძნებლად, store – ისეთი მეწარმე პირებისათვის, რომლებიც საქონლის შეძენას სთავაზობენ, arts – ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის, რომლებიც ეწევიან კულტურულ სფეროში საქიმიანობას ან სთავაზობენ გართობებს და ა.შ.

მეორე დონის დომეინი თავისუფლად არჩევადია, ოღონდ შეიძლება შეზღუდული იყოს სიმბოლოთა რაოდენობა, მაგალითად, არა უმეტეს 7 ასოთი. ორგანო, რომელიც აფორმებს ინტერნეტის ახალ აბონენტს (სადღეისოდ ინტერნეტში მისამართი გააჩნია 50 მილიონზე მეტ მომხმარებელს), ერთდროულად ადგენს მის დომეინს, ამასთან, მეორე დონის დომეინს არავითარ ექსპერტიზას არ უტარებს. ახალი დომეინი მოწმდება მხოლოდ მოცემულ ადგილას რეგისტრირებული დომეინების მეორე დონესთან შედარებით. სრული იდენტურობა ამ შემთხვევაში დაუშვებელია. მაგრამ ოდნავი განსხვავებაც კი საკმარისია დომეინის დასაფუძნებლად. მაგალითად, დასაშვებია ორი შემდეგი დომეინის არსებობა: http://WWW.YAHOO.COM და http://WWW.YAHOO.COM. რადგან მეორე დონის დომეინს თავისუფლად ირჩევენ, ცნობილი მეწარმენი უფრო მიელტვიან დომეინის საკუთარი საფირმო სახელწოდებითა ან სასაქონლო ნიშნით გამოხატვას. მაგრამ, რადგან ინტერნეტი მსოფლიო ქსელია, დომეინის დასარეგისტრირებლად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებობს დამოუკიდებლად მოქმედი მარეგისტრირებელი ორგანოები. ისინი ერთმანეთის მიერ რეგისტრირებული დომეინების შესახებ ინფორმაციას არ ამოწმებენ და არ ადარებენ მას საკუთარ დომეინებს. შედეგად ერთი და იგივე მეორე დონის დომეინი შეიძლება გამეორდეს, ამასთან, სამართლებრივად, მათი

პოზიციები ურყევი იქნება. დომეინი შეიძლება გამეორდეს ქვეყნის შიგნითაც, მაგალითად, ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ. თუ რა იურიდიულ უხერხულებას გამოიწვევს ასეთი ვითარება, ნათელია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დომეინი სასაქონლო ნიშნის მსგავსი ფუნქციის მატარებელიცაა. ხშირად შეიძლება მოხდეს მოქმედი სასაქონლო ნიშნისა და სხვის სახელზე რეგისტრირებული დომეინის კონფლიქტი. როგორ უნდა მოწესრიგდეს სიტუაცია ასეთ შემთხვევაში, ვის უნდა მიეცეს უპირატესობა: რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელსა თუ დომეინის მფლობელს? ეს და სხვა საკითხები ძნელად გადასაწყვეტი საკითხებია და მათ საგანგებოდ სწავლობს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაც, რომელიც ცდილობს უნივერსალური მიდგომა შეიმუშაოს. გადასაწყვეტ საკითხთა რიცხვში დასახელებულია სხვა საკითხებიც, მაგალითად, რომელი ტერიტორიის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული დავის შემთხვევაში; როგორ იქნეს თავიდან აცილებული რეგისტრიაციის დროს ისეთი პრობლემა, როგორიცაა სასაქონლო ნიშნის არ გამეორება (მხედველობაში გვაქვს სიტყვიერი ნიშანი) დომეინად; როგორ და რის საფუძველზე გადაწყდეს საფირმო სახელწოდებისა და დომეინის კონფლიქტი და მრავალი სხვა. ძნელად გადასაჭრელია დავა, რომელიც საავტორო უფლებების დარღვევებს ეხება ინტერნეტში. არა ნაკლებ რთულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ზომების გატარება, პასუხისმგებლობის დადგენა და განხორციელება პირადი უფლებების – ღირსებისა და პატივის შელახვისას. გადასაწყვეტია სხვა მრავალი საკითხი, მაგრამ მათი განხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და შემოვიფარგლებით ნათქვამით. ამასთან, თვალსაჩინოებისათვის უფლებათა დარღვევის რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ აშშ-ს 1996 წლის სასამართლო პრაქტიკიდან.

სასაქონლო ნიშნებისა და დომეინის კონფლიქტები[1]

1. Playboy Enterprises, Inc. v. Frena. უფლებათა დარღვევა დადგინდა განცხადებათა დაფის მფლობელის მხრიდან (მოპასუხე), რომელმაც ნება დართო მომხმარებელს, რომ განთავსებულიყო Playboy-ს ფოტოგრაფიები.
2. MTV Network v. Curry. დავაში მხარედ იქნა მიწვეული MTV-ს ყოფილი ვიდეო პარტნიორი, რომელიც დომეინად mtv.com-ს იყენებს.
3. Nova Star Inc. v. Impact Technology. დავა ეხება დომეინად novastar.com-სა და სასაქონლო ნიშნის კონფლიქტს. არც ერთ მხარეს რეგისტრირებული ნიშანი არ გააჩნია. სასამართლო ცდილობს დავის გადასაწყვეტად სასაქონლო ნიშნის კანონთან ერთად საერთო სამართალი გამოიყენოს.

საავტორო უფლებათა დარღვევა:

1. Lotus Development Corp. v. Borland International Inc. უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა დაცვის ფარგლების შეზღუდვა „Look and Feel" ინტერფეისისათვის.
2. Cubby, Inc. v. CompuServe Inc. სასამართლომ მოპასუხე მაღაზიასთან და ბიბლიოთეკასთან გააიგივა და დაადგინა, რომ CompuServe პასუხისმგებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ „ეცოდინებოდა ან უნდა სცოდნოდა", რომ არსებობს ცილისმწამებლური ვითარება, რაც მისმა მომსახურებამ გამოიწვია. სავარაუდო ცილისწამება გამოქვეყნდა საინფორმაციო ფურცელში, რომელიც მიეძღვნა CompuServe-ის მიერ ორგანიზებულ ფორუმს. სასამართლომ აღნიშნა, რომ CompuServe-ს ვერ დაუმტკიცდა, რომ მან გააცნობიერა, თითქოს მისმა პუბლიკაციამ შექმნა ცილისწამებლური გარემო მოსარჩელეს ირგვლივ.

---

[1] მაგალითები აღებულია Steven M.Weinberg-ის მოხსენებიდან „Domain Names on the Internet", რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების ასოციაციის – Inta-ს მიერ 1996 წელს.

ნაწილი IV

საერთაშორისო ხელშეკრულებები



კარი X. ზოგადი დებულებები

ინტელექტუალური საკუთრება კერძო სამართლის სფეროს მიეკუთვნება, შესაბამისად ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო კერძო სამართლის ნაწილია. აქედან გამომდინარე ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი მიმართულია კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ, როდესაც ამ ურთიერთობების მონაწილე ერთი მხარე მაინც უცხო ქვეყნის პირია.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენს გონებრივი შემოქმედების შედეგს და უსხეულოა, რის გამოც მათი გავრცელება საზღვრებით ვერ შემოიფარგლება. შესაბამისად, შემქმნელის უფლებების სრულფასოვანი დაცვისათვის, წარმოშობის ქვეყანაში ასეთი ქმნილებების დაცვა საკმარისი არ არის. აქედან გასაგებია, რომ ქვეყნებმა უნდა იზრუნოს როგორც ეროვნული ქმნილებების ისე უცხო ქვეყანაში შექმნილი ქმნილებების თანაბარუფლებიანი დაცვისათვის. ნივთის მესაკუთრისაგან განსხვავებით ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებები მოქმედებს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, ანუ ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებები ობიექტს თან არ მისდევს. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ავტორობის უფლება უნივერსალურია იმ გაგებით, რომ ერთიდაიგივე ნაწარმოებს ან სხვა ქმნილებას არ შეიძლება ჰყავდეს სხვა ავტორი – ეს უფლება ექსტერიტორიულია. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყანამ შეიძლება უარი თქვას ავტორის ქონებრივი უფლებების დაცვაზე, მაქრამ ეთიკურ-მორალური ნორმების გათვალისწინებით ავტორობის უფლება და მასთან ერთად სახელის უფლება უნდა დაიცვას ყველა შემთხვევაში, გინდაც რომ არ იყოს ეს ქვეყანა საერთაშორისო თანამშრომლობის მონაწილე.

თავდაპირველად ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დაცვა ძირითადად ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ხდებოდა. შემდეგ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსიფიკაციამ მოითხოვა უფრო ყოვლისმომცველი ინსტრუმენტების ამოქმედება. შედეგად, დღეს, უკვე მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ენიჭება უპირატესობა, რაც ორმხრივ ხელშეკრულებებთან ერთად ქმნის ინტელექტუალური საკუთრების მყარი დაცვის ნიადაგს. რა თქმა უნდა ასეთი ხელშეკრულებების მოქმედებას ანმტკიცებს ან უარყოფს ეროვნული

კანონმდებლობის ნორმები, რომლებითაც განისაზღვრება საერთაშორისო ნორმების ძალის გავრცელების კონკრეტული მექანიზმები და საშუალებები. სწორედ ასეთი მექანიზმების შექმნა და უზრუნველყოფა აკისრია ქვეყნებს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ერთმანეთთან ურთიერთობების განხორციელებისას.

საზოგადოდ საერთაშორისო (საჯარო) სამართლის წყაროებია საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული ჩვეულება. როგორც ქართველი მეცნიერი თენგიზ ლილუაშვილი აღნიშნავს: "სხვაგვარი ვითარება გვაქვს საერთაშორისო კერძო სამართალში. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია უწინარეს ყოვლისა შინასახელმწიფოებრივი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები. რაც შეეხაბა საერთაშორისო ხელშეკრულებებს – ისინი საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია მხოლოდ გასაშუალებული სახით".[1] საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების დაცვა საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად კონსტიტუციით არის აღიარებული. მისი მე-6 მუხლი ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიმატს, თუ ეროვნული შინასახელმწიფოებრივი აქტი ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელს. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. კვლავ დავიმოწმებთ ზემოთ დასახელებულ ნაშრომს და აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის არსიდან გამომდინარე საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმამ ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს შინასახელმწიფოებრივ კანონებში და მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ მოხდა საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა. ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც საქართველო კანონით საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ და სხვა აქტებით დადგენილი წესით მიუერთდა და აღიარა ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში იძენს შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის ძალას.[2]

რაც აღინიშნა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ესადაგება საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების სამართალსაც. მაშასადამე, ამ მიმართებით, საქართველოში საერთაშორისო სამართლებრივი წყაროებია ყველა ის მოქმედი ეროვნული კანონი და საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც აწესრიგებს ინტელექტუალურ-საკუთრებით ურთიერთობებს, აგრეთვე საერთაშორისო ჩვეულება, რომელიც გამოიყენება ამ სფეროში.

ინტელექტუქლურ-საკუთრებითი უფლებების მფლობელის უფლებები საერთაშორისო დაცვას ექვემდებარება, როგორც წესი,

შემდეგი ნიშნების მიხედვით: ობიექტის წარმოშობის ქვეყანა არის თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე; ავტორი არის თუ არა მონაწილე ქვეყნის მოქალაქე ან რეზიდენტი, გააჩნია თუ არა იურიდიულ პირს მოქმედი საწარმო მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე, აღიარებს თუ არა ქვეყანა ზოგიერთ შემთხვევებში ნაცვალგების პრინციპს და ა.შ. სადღეისოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებს ქვეყნების უმეტესობა ეროვნული კანონებით საკუთარ მოქალაქეთა თანაბრად იცავს. მაგრამ, ხშირ შემთხვევებში, თუ ის ქვეყანა, რომლის მოქალაქის უფლებების დაცვასთანაც გვაქვს საქმე სანაცვლოდ იგივე უფლებებს არ უზრუნველყოფს შინასახელმწიფოებრივი კანონით ან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ უფლებათა საერთაშორისო დაცვა მხოლოდ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით შეიძლება იყოს მიღწეული.

ᲙᲐᲠᲘ XI. ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ

ᲗᲐᲕᲘ 35. ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐ

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, შემდგომში ისმო, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, იგი 1974 წლიდან არის გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება. კონვენციას, რომელმაც დააფუძნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, ხელი მოეწერა 1967 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1970 წ. ამ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოთა რიცხვი ყველაზე მრავალრიცხოვანია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით და 2006 წლისათვის 183 შეადგინა. საქართველოც მას 1994 წელს მიუერთდა.

დასაბამი ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას მიეცა 1883 წლის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით და 1886 წლის ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციით. ორივე კონვენცია ითვალისწინებდა საერთაშორისო სამდივნოების შექმნას, მათ ზედამხედველობას უწევდა შვეიცარიის მთავრობა. თანამდებობრივი პირები, რომლებიც ახორციელებდნენ კონვენციების ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას, იმყოფებოდნენ ბერნში. საქმიანობას ფაქტიურად ეწეოდა ორი სამსახური – ერთი სამრეწველო საკუთრების, ხოლო მეორე საავტორო უფლებათა სფეროში. 1893 წელს ეს ორი სამსახური გაერთიანდა და ფუნქციონირებდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიუროს სახელწოდებით. 1960 წელს ეს ბიურო გადავიდა ჟენევაში.

1967 წლიდან სტოკჰოლმში დიპლომატიურ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ბიუროს ნაცვლად დაარსებულიყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცა, შემოკლებით ისმო (ინგლისურად – WIPO, ფრაგულად და ესპანურად OMPI, რუსულად –ВОИС).

ყველა ადმინისტრაციული მუხლი, რომელიც გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ბიუროს ეგიდით დადებულ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, ხელახლა იქნა მიღებული. მათი გადახედვა მოხდა იმის გამო, რომ ისმოს წევრ ქვეყნებს სურვილი ჰქონდათ

ეს ორგანიზაცია ყოფილიყო სამთავრობათაშორისო, ან სამთავრობათაშორისო ორგანოთა ორგანიზაცია, და ამავე დროს, შვეიცარიის მთავრობისგან დამოუკიდებელი. ქვეყნების სურვილით ისმო გახდა გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია 1974 წლის 17 დეკემბერს.

ისმოს ძირითადი მიზნებია:

– ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მსოფლიოში.

ამისათვის მისი ხელმძღვანელობით იდება მრავლმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები სახელმწიფოთა შორის. ისმო ზრუნავს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე და, როდესაც მიზანშეწონილია, ამ თანამშრომლობაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც კომპეტენტურნი არიან მოცემულ საკითხებში.

– უზრუნველყოს ადმინისტრაციული კოოპერირება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ საერთაშორისო თანამშრომლობის კავშირებს შორის.

არსებული საერთაშორისო შეთანხმებები იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის დამფუძნებელი ხელშეკრულებები. ესენია სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენცია; ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია; შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის კონვენცია; ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ; მადრიდის ხელშეკრულება საქონელზე ცრუ და შეცდომაში შემყვანი აღნიშვნების მითითების აღკვეთის შესახებ; ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დაცვის და რეგისტრირების შესახებ; ოლიმპიურ სიმბოლოთა დაცვის შესახებ ნაირობის ხელშეკრულება.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება ხელშეკრულებები, რომლებიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაცვას. ამ ჯგუფში შედის: ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ; სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრირების შესახებ მადრიდის ხელშეკრულება; სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრირების მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი; ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ; ლისაბონის ზემოაღნიშნული ხელშეკრულება (იგი მიეკუთვნება ორივე ჯგუფს); საპატენტო პროცედურისთვის მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება; სამ-

რეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის ხელშეკრულება.

მესამე ჯგუფში შედის ხელშეკრულებები, რომლებიც ადგენს საკლასიფიკაციო სისტემებს და მათი გაუმჯობესებისა და განახლების პროცედურებს. ესენია: საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ სტრასბურგის ხელშეკრულება; სასაქონლო ნიშნების და მომსახურების რეგისტრაციისთვის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის ხელშეკრულება; სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ ვენის შეთანხმება; სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ ლოკარნოს ხელშეკრულება.

ისმო დახმარებას უწევს ქვეყნებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის ამაღლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამშრომლობაში. ეწევა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმიანობას, იძლევა იურიდიულ კონსულტაციებს და დახმარებას უწევს ქვეყნებს კანონების შემოღებისას, ან მათი განახლებისას, ქვეყნების თხოვნით ქმნის, ან ეხმარება სამრეწველო საკუთრების დაცვის უწყებების გაძლიერებას, ხელს უწყობს საინოვაციო და საგამომგონებლო საქმიანობას, ხელმისაწვდომს ხდის საპატენტო დოკუმენტებში არსებულ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გამოყენებას.

ამ კონვენციამ დაამკვიდრა ცნება "ინტელექტუალური საკუთრება" და განსაზღვრა მისი ფარგლები, ობიექტების შეუზღუდავი ჩამონათვლის მოცემით. ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც განეკუთვნება:

- ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოებებს,
- მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას, ხმის ჩაწერას, რადიო და ტელე გადაცემებს,
- გამოგონებებს ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში,
- სამეცნიერო აღმოჩენებს,
- სამრეწველო ნიმუშებს,
- სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს,

– არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას, აგრეთვე ყველა სხვა უფლებას, რომლებიც სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ ან მხატვრულ სფეროში ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია".

მოცემული ჩამონათვლის პირველი, მეორე და ბოლო პოზიციები განსაზღვრავს საავტორო სამართლის მოქმედების სფეროს, ხოლო დანარჩენი უმთავრესად სამრეწველო საკუთრების სამართალს ეკუთვნის.

ისმო იმართება შემდეგი ოთხი ორგანოს მიერ: გენერალური ასამბლეა, კონფერენცია, საკოორდინაციო საბჭო და ისმოს საერთაშორისო ბიურო (სამდივნო).

გენერალური ასამბლეა უზენაესი ორგანოა. იგი ნიშნავს გენერალურ დირექტორს და წყვეტს ყველა კარდინალურ საკითხს. ასამბლეაში მონაწილეობას იღებს ისმოს ყველა წევრი, ან რომელიმე კავშირში მონაწილე ქვეყნები.

კონფერენცია იძლევა რეკომენდაციებს ამა თუ იმ საკითხზე, ადგენს ორწლიან პროგრამებს განვითარებადი ქვეყნების დახმარებისთვის, ღებულობს ბიუჯეტს. მის მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვს ისმოს ყველა წევრ ქვეყანას.

საკოორდინაციო საბჭო საკონსულტაციო ორგანოა. იგია აგრეთვე გენერალური ასამბლეისა და კონფერენციის აღმასრულებელი ორგანო.

ისმოს საერთაშორისო ბიურო, ანუ სამდივნო, წარმოადგენს ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და მის შემადგენლობაში არიან მუდმივი თანამშრომლები სხვადასხვა ქვეყნებიდან.

თავი 36. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია

(ბერნის კონვენცია)

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის აუცილებლობა საერთაშორისო დონეზე პირველად წარმოჩინდა 1858 წელს ბრიუსელში გამართული ლიტერატურული და მხატვრული საკუთრების კონგრესზე, რომელსაც დაესწრო სამეცნიერო საზოგადოებების წარმომადგენლებები, ეკონომისტები, მწერლები, ჟურნალისტები, გამომცემლები და სხვა მრავალი დაინტერესებული პირი ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან. მაგრამ, ავტორთა უფლებების ერთგვაროვნად დაცვის საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში პირველად დაისვა და გარკვეულ წილად მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან დონეზე პირველად გადაწყდა 1878 წლის ლიტერატურულ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც იქნა მოწვეული მწერალთა ფრანგული ასოციაციის ინიციატივით. ამავე კონგრესზე, რომელსაც განთქმული ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო თავკაცობდა დაფუძნდა აგრეთვე მწერალთა და მხატვართა საერთაშორისო ასოციაცია, რომლის უმთავრეს უახლოეს მიზნად გამოცხადდა ლიტერატურული და მხტვრული ნაწარმოებების საერთაშორისო კონვენციის მიღება. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უცხო ქვეყანაში წარმოშობილ ნაწარმოებებს ეხებოდა, რომლითაც დადასტურდა და უფრო გაღრმავდა 1858 წლის ლიტერატურული და მხატვრული საკუთრების კონგრესის გადაწყვეტილება. კერძოდ, ჩამოყალიბდა პროგრამული კონცეფცია, რომ ყველა ავტორის უფლებები, რომელთა ნაწარმოებებიც გამოიცა ან შესრულდა კონგრესის მონაწილე ქვეყნებში, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, უნდა ყოფილიყო დაცული იმავე წესითა და ფარგლებში, როგორც იყო დაცული საკუთარი ქვეყნის ავტორთა უფლებები. ამ ასოციაციის მცდელობით შემდგომ გაიმართა 1882 წლის რომის კონგრესი და 1883 წლის ბერნის კონფერენცია, რომელზეც მომზადდა მასალები და კონვენციის პროექტი, დიპლომატიურ კონფერენციაზე გამოსატანად. შედეგად 1886 წლის 9 სექტემბერს მიღებულ იქნა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, რასაც წინ უსწრებდა 1884 და 1885 წლების დიპლომატიურ კონფერენციებზე მისი განხილვა. ბერნის კონვენცია ღია კონვენციად გამოცხადდა. მას შეუძლია მიუერთდეს ნებისმიერი ქვეყანა. მი-

ერთების ან რატიფიცირების საბუთები უნდა ჩაბარდეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს. მხარე ქვეყნებმა, კონვენციის თანახმად, შექმნეს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისი კავშირი – **ბერნის კავშირი.** ამ კავშირის წევრი ბერნის კონვენციის ყველა მხარე სახელმწიფოა. იმის გათვალისწინებით, რომ საავტორო უფლებათა დაცვა დიდმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნაწარმოებების გამოცემისა და სხვაგვარად გავრცელების ახალ ტექნოლოგიებზე კონვენციითვე დადგინდა მისი პერიოდულად გადასინჯვის შესაძლებლობა. ასეთი გადასინჯვები გაიმართა 1908 წელს ბერლინში, 1914 წელს ბერლინში, 1928 წელს რომში, 1948 წელს ბრიუსელში, 1967 წელს სტოკჰოლმში და 1971 და 1979 წელს პარიზში. მათ შედეგად მიღებულ იქნა ცვლილებები და დამატებები ან კონვენციის ახალი აქტები. საქართველო ბერნის კონვენციის პარიზის აქტს მიუერთდა 1995 წლის მაისიდან. 2006 წლის მდგომარეობით ბერნის კონვენციის მხარე სახელმწიფოთა რიცხვი 160-ს შეადგენდა.

ბერნის კონვენციაში, რომლის დადების მიზანია ერთგვაროვნული წესით ავტორთა უფლებების საერთაშორისო დაცვა, სრულად აისახა მწერალთა და მხატვართა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1878 წლის კონგრესზე შემუშავებული კონცეფცია და ავტორთა უფლებების საერთაშორისო დაცვა დაეფუძნა სამი ძირითად პრინციპს. ეს პრინციპებია ეროვნული რეჟიმი, ავტომატური დაცვა, დაცვის დამოუკიდებლობა.

ეროვნული რეჟიმი ნიშნავს იმას, რომ მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოშობილი ნაწარმოები ისეთივე დაცვით უნდა სარგებლობდეს სხვა მონაწილე ქვეყანაში რა დაცვითაც სარგებლობს ამ სხვა ქვეყნის, მოქალაქეთა ავტორობით წარმოშობილი ნაწარმოები. აქედან გამომდინარე ბერნის კონვენციით დაცული იქნება როგორც მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები, მაგრამ იმ პირობით თუ იგი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიცა პირველად. ამასთან, მოქალაქედ ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირიც იგულისხმება.

ავტომატური დაცვა ნიშნავს იმას, რომ ნაწარმოები ნებისმიერი მონაწილე წვეყნის ტერიტორიაზე დაცულია ყოველგვარი ფორმალობების შესრულების გარეშე. აქედან გამომდინარე ნაწარმოების დაცვისათვის არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მაგალითად

მისი რეგისტრაცია ან დეპონირება რომელიმე უფლებამოსილ ორგანოში. დაცვით უნდა ისარგებლობს ნაწარმოებმა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ გამოქვეყნებულა.

დაცვის დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ ნაწარმოები დაცვას ექვემდებარება მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, დაცულია იგი თუ არა წარმოშობის ქვეყანაში. ამ მიმართებით მონაწილე ქვეყნებს უფლება აქვთ ნაცვალგებით აღარ დაიცვან ნაწარმოები საკუთარ ტერიტორიაზე, თუ ამ ნაწარმოებს წარმოშობის ქვეყანაში ამოეწურა საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა.

ბერნის კონვენცია არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საერთაშორისო შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რომელიც ამოქმედების დღიდანვე გახდა უმნიშვნელოვანესი წყარო ეროვნული კანონების საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციისა და სრულყოფის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ მონაწილე ქვეყნები ისედაც ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ საავტორო უფლებათა დაცვის კონვენციით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები ქვეყნები იყენებდნენ (და ამჟამადაც იყენებენ) ბერნის კონვენციის ნორმებს საკუთარი კანონების ახლად შექმნისა და კონკრეტული ნორმების ჩამოყალიბებისათვის, ხშირ შემთხვევებში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი მისდამი მიერთებული არ იყვნენ. ამ პროცესის მიღმა არც საქართველო დარჩენილა, რომლის ეროვნული კანონიც პრაქტიკულად სრულად შეიცავს ბერნის კონვენციის ძირითად მოთხოვნებს. სანამ ბერნის კონვენციის განვითარების მოკლე რეტრომიმოხილვას წარმოვადგენდეთ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწვრილებით განვიხილოთ ძირითადი დებულებები და ნორმები პარიზში 1971 წელს რევიზიის შედეგად მიღებული და 1979 წელს შეტანილი ცვლილების შესაბამისი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ლიტერატურაში პარიზის აქტად მოიხსენიებენ და რომლის ნორმებითაც არის შებოჭილი საქართველო.

ბერნის კონვენცია შეიცავს მატერიალურ-სამართლებრივ (1-21-ე მუხლები) და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ (22-ე – 38-ე მუხლები) ნორმებს. გარდა ამისა მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს I-VI მუხლებისაგან შემდგარი დამატებითი კარი, რომელიც განვითარებადი ქვეყნებისათვის გამოსაყენებელ სპეციალურ ნორმებს ითვალისწინებს.

ეფუძნება რა ზემოთ მოცემულ სამ ძირითად პრინციპს ბერნის კონვენცია აწესებს დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია მე-5 მუხლით და რომლებიც ვალდებულია ცნოს ყოველმა მონაწილე ქვეყანამ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვით თუ უამისოდ.

კონვენციით მინიჭებული უფლებების მფლობელი სუბიექტები

როგოც აღვნიშნეთ ბერნის კონვენციით დაცვადი ობიექტებია ნებისმიერი გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი მხატვრული, ლიტერეტურული, მეცნიერული და ა.შ. ნაწარმოები. შესაბამისად აღარ გაგვიჭირდება დავასახელოთ ის პირები, რომლებსაც ბერნის კონვენცია მიიჩნევს აღნიშნული ნაწარმოებების შექმნის შედეგად წარმოქმნილი უფლებების – საავტორო უფლებების მფლობელებად და კონვენციით დადგენილი მოთხოვნებით თუ შეღავათებით მოსარგებლე სუბიექტებად.

უპირველეს ყოვლისა ეს არის **ავტორი**. სრულიად გასაგებია, რომ ავტორის უფლებამონაცვლეც კონვენციის სრულფასოვანი სუბიექტია. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ განმარტებას კონვენცია არ იძლევა ავტორად მოიაზრება ფიზიკური პირი, რომლის გონებრივ – შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები. ამასთანავე დაწესებულია ავტორობის პრეზუმფცია iuris tantum, ანუ საპირისპიროს დამტკიცებამდე ავტორად იგულისხმება ის პირი, რომლის სახელიც (ან საყოველთაოდ ცნობილი ფსევდონიმი) შეიძლება ამოვიკითხოთ ნაწარმოებიდან ჩვეულებრივი წესით. სწორედ ასეთ პირს აქვს კონვენციით მინიჭებული შესაძლებლობა საავტორო უფლებების ხელყოფის შემთხვევაში აღძრას საქმე და მიიღოს შესაბამისი ზომები დარვევის ფაქტის აღსაკვეთად. მას აქვს აგრეთვე უფლება წამოაყენოს სათანადო მოთხოვნები წარმოქმნილი ზიანის მიხედვით, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის მონაწილე ქვეყანა საკუთარ მოქალაქეთათვის. მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც ავტორის ვინაობა ვერ ირკვევა ნაწარმოებიდან ჩვეულებრივი წესით – ავტორის სახელი მოცემულია უცნობი ფსევდონიმით ან ნაწარმოები გამოქვეყნებულია ავტორის სახელის მითითების გარეშე (ანონიმურად), მაშინ საავტორო უფლებებს, ცხადია, ავტორი ვერ გამოიყენებს, სანამ მისი ვინაობა არ გამჟღავნდება. მაგრამ, იმისათვის, რომ არ

შეიქმნას სამართლებრივად მოუწესრიგებელი სიტუაცია საავტორო უფლებათა დაუბრკოლებრივი განხორციელებისათვის კონვენცია ავტორის წარმომადგენლად iuris conventionis ასახელებს ნაწარმოების გამომცემელს.

რიგ შემთხვევებში ნაწარმოების ხასითიდან და ბუნებიდან გამომდინარე საავტორო უფლებათა სუბიექტის განსაზღვა ეროვნულ კანონმდებლობას აკისრია და სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი. მაგალითად, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით საერთო სამართლის ქვეყნები საავტორო უფლებათა სუბიექტად უშუალოდ ასეხელებენ კინოფილმების მწარმოებლებს (შემდგომში კინომეწარმედ მოვიხსენიებთ) და კინომატოგრაფიული ნაწარმოების შექმნამდე არსებული ნაწარმოებების ავტორებს (პოეტებს, სცენარის ავტორებს, კომპოზიტორებს და ა.შ.). ამ ქვეყნებში დამდგმელი რეჟისორი საავტორო უფლებათა სუბიექტად არ მიიჩნევა. მრავალ სხვა ქვეყანაში კი საავტორო უფლებათა სუბიექტებად მხოლოდ შემოქმედებითი წვლილის შემტანი პირებია (ავტორები) დასახელებული საავტორო უფლებათა სუბიექტებად და შესაბამისად კინომეწარმე მათი სუბიექტი არ არის. ასევე, მრავალი ქვეყანა აწესებს ავტორებისგან კინომეწარმეზე cessio legis (უფლებათა გადაცემის) შესაძლებლობას. ხოლო რიგი ქვეყნებისა ადგენს უფლებათა გადაცემის პრეზუმფციას, თუ შეთანხმება კინომეწარმესა და ავტორებს შორის სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამ არაერთგვაროვნობის დაძლევის მიზნით კონვენცია კინომეწარმის სასარგებლოდ კინომატოგრაფიული ნაწარმოების ავტორებს არ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს ასეთი ნაწარმოების ზოგიერთი ფორმით გამოყენებისათვის. კერძოდ, როდესაც საავტორო უფლებათა მფლობელები ავტორებია მათ არა აქვთ უფლება შეეწინააღმდეგონ ნაწარმოების კვლავწარმოებას, ეგზემპლარების გაყიდვით, გაქირავებით ან სხვაგვარი გასხვისებით გავრცელებას, საჯარო ჩვენებას, სამავთულო ქსელით მოსახლეობამდე მის დაყვანას, სამაუწყებლო გადაცემას ან მოსახლეობამდე სხვა გზით დაყვანას, ნაწარმოების სუბტიტრირებასა და დუბლირებას. ფაქტობრივად, ბერნის კონვენცია აწესებს კინომეწარმის სასარგებლოდ ზემოაღნიშნული უფლებების მფლობელობის პრეზუმფციას iuris conventionis. ეს წესი დადგენილია სამართალ ურთიერთობების იმ ქვეყნებში მოსაწესრიგებლად, რომლებიც კინომეწარმეს საავტორო უფლებათა მფლობელად არ მიიჩნევენ და არც cessio legis შესაძლებლობას ითვალისწინებენ. იმ საკითხთან დაკავშირე-

ბით, თუ კონკრეტულად რომელი პირია კინომეწარმე ბერნის კონვენცია ადგენს იმ პირის სასასრგებლოდ iuris tantum პრეზუმფციას, რომლის სახელწოდებაც (ან სახელი) ზუსტად ირკვევა კინომატოგრაფიული ნაწარმოებიდან ჩვეულებრივი წესით.

გარდა აღნიშნულისა, თუ ნაწარმოების ავტორი უცნობია, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იგი კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქეა ურთიერთობათა მომწესრიგებელ სუბიექტად – ავტორის წარმომადგენლად სახელმწიფო გამოდის. კერძოდ, მას შეუძლია დაასახელოს ის უფლებამოსილი პირი, რომელიც გააკონტროლებს უფლებების გამოყენებას კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებში. მიჩნეულია, რომ ამ ნორმის არსებობა იძლევა ფოლკლორული ნაწარმოებების დაცვის შესაძლებლობას.

ბერნის კონვენცია ადგენს კრიტერიუმებს საავტორო უფლებათა მფლობელი სუბიექტების განსაზღვრისათვის. მოცემულია ორო ძირითადი კატეგორიის კრიტერიუმი: **პიროვნული და ტერიტორიალური** (იგი ნაწარმოების გამოქვეყნების ტერიტორიასთანაა დაკავშირებული, მას ზოგჯერ მატერიალურ კრიტერიუმად მოიხსენიებენ).

პიროვნული კრიტერიუმის მიხედვით სუბიექტი მოქალაქეობის პრინციპის თანახმად განისაზღვრება. კონვენციით ისარგებლებს ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილე ქვეყნის მოქალაქეა ან მასთან გათანაბრებული პირია. მოქალაქესთან გათანაბრებული პირი არის ის, რომელსაც მონაწილე ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი აქვს.

ტერიტორიალური კრიტერიუმის მიხედვით ბერნის კონვენციის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს მონაწილე ქვეყნის მოქალაქის გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეც. ეს მაშინ მოხდება, როდესაც ასეთი პირი პირველად თავის ნაწარმოებს რომელიმე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოსცემს, ან ერთდროულად გამოსცემს ასეთ ქვეყანაში და ნაწარმოების წარმოშობის ან სხვა ქვეყანაში, რომელიც არ მონაწილეობს ბერნის კონვენციაში. ორ ან მეტ ქვეყანაში ერთდროულად გამოცემულად ჩაითვლება ნაწარმოები, რომელიც პირველი გამოცემის დღიდან ათვლით 30 დღის განმავლობაში გამოიცემა სხვა ქვეყანაში. ამ კრიტერიუმის გამოყენებასთან დაკავშირებით საჭიროა გავაშუქოთ თუ რა იგულისხმება გამოცემად[3] საერთოდ და ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნად ბერნის კონვენციის მიხედვით.

გამოცემად მოიაზრება ავტორის მიერ ან მისი თანხმობით განხორციელებული ქმედება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით და

მიმართული ნაწარმოების ორიგინალის ასლების გამოშვებისკენ. ამასთან, გამოშვებული ასლების რაოდენობამ უნდა შეადგინოს ის გონივრული ოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება მოცემული ნაწარმოების ნაირსახეობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი მოთხოვნილობის დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე გამოცემად არ ჩაითვლება დრამატული, მუსიკალურ-დრამატული, მუსიკალური ან კინემატოგრაფიული ნაწარმოების დადგმა (შესრულება); ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო კითხვა, სამავთულო ქსელით მოსახლეობამდე დაყვანა ან სამაუწყებლო გადაცემა მხატვრული ან ლიტერატურული ნაწარმოებისა; ხელოვნების ნაწარმოების გამოფენა და არქირექტურული ნაწარმოების აგება. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი დადგმა არ წარმოადგენს გამოცემას იგი გამოცემულად მიიჩნევა თუნდაც, რომ მისი ასლები არ იყიდებოდეს, მაგრამ მოსახლეობამდე დაიყვანებოდეს პროეცირებით, კინოთეატრებში ან ტელევიზიით ჩვენებით. ცალკეულ მუსიკალურ ნაწარმოებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გამოცემულად მიიჩნევა, მაგალითად სიმფონია ან კონცერტი, ოპერა, ოპერეტა და ა.შ., რომელთა ჩანაწერებიც გამოქვეყნებულია სულ რამდენიმე ცალად და ისინი არ იყიდება, მაგრამ მათი თხოვება დაუბრკოლებრივ შეუძლია შემსრულებლებს ან იმპრესარიოს.

ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნად ითვლება ქვეყანა, სადაც იგი გამოიცა. თუ ნაწარმოები გამოცემულია მონაწილე და სხვა ქვეყანაში, მაშინ წარმოშობის ქვეყანა კონვენციის მონაწილე ქვეყანაა. თუკი ნაწარმოები ერთდროულად არის გამოცემული კონვენციის მონაწილე ქვეყნებში, მაშინ წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა ის ქვეყანა, რომელიც ნაკლები ხანგრძლივობით იცავს საავტორო უფლებებს.

გამოუცემელ ნაწარმოებთან დაკავშირებით წარმოშობის ქვეყანა განისაზღვრება ავტორის მოქალაქეობის მიხედვით. იგივე წესით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როდესაც ნაწარმოები გამოქვეყნებულია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელიც არ არის ბერნის კონვენციის მონაწილე. ანალოგიით განისაზღვრება კინემატოგრაფიული და არქიტექტურული ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანა.

საავტორო უფლებათა მფლობელი სუბიექტის დადგენისათვის ბერნის კონვენცია ითვალისწინებს აგრეთვე "მეორე ხარისხოვან", ნაწარმოების ნაირსახეობაზე მიბმულ, კრიტერიუმებს.

– კინემატოგრაფიული ნაწარმოები გინდაც რომ მისი ავტორები არ იყვნენ მონაწილე ქვეყნის მოქალაქენი ან არ იყოს გამო-

ქვეყნებული რომელიმე ასეთ ქვეყანაში იგი მაინც დაცვადია ბერნის კონვენციით, თუ კინომეწარმე მონაწილე ქვეყნის მოქალაქეა ან აქვს საცხოვრებელი ადგილი (ფიზიკური პირი), ან, თუ კინომეწარმეს აქვს მონაწილე ქვეყანაში რეგისტრირებული ოფისი (იურიდიული პირი). თუ კინოფილმი ერთობლივად ორი ან მეტი კინომეწარმის მიერ არის გამოშვებული მაშინ საკმარისია ერთ-ერთმა მათგანმა დააკმაყოფილოს იურიდიული ან ფიზიკური პირისათვის დადგენილი მოთხოვნა, რათა სუბიექტად კინომეწარმენი იქნენ ცნობილი.

- არქიტექტურული ნაწარმოები კონვენციით მინიჭებული უფლებებით ისარგებლებს ნებისმიერი სუბიექტი იმის მიხედვით არის თუ არა პროექტის შესაბამისად განხორციელებული აგებულობა მუდმივად განლაგებული მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე.
- არქიტექტურულ ნაწარმოებში განუყოფლად ჩართული ნაწარმოების შემთხვევაში (მაგალითად, გრაფიკული ან პლასტიკური ნაწარმოები) კონვენციით მინიჭებული უფლებებით მოსარგებლე სუბიექტი ასევე იქნება ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე (ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე), თუ არქიტექტურული ნაწარმოები მუდმივად არის განლაგებული მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე.

კონვენციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა ნაცვალგებით

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები ვალდებულია დაიცვან ეროვნული რეჟიმი, ავტომატურად მიანიჭონ ნაწარმოებს დაცვა, აგრეთვე უზრუნველყონ მინიმუმი მოთხოვნები დაცვადი უფლებების მიმართ, ზოგიერთ შემთხვევებში აღნიშნული უფლებების გამოყენება იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა ნებადართულია დაექვემდებაროს ნაცვალგებას:

- გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ, თუ იგი დაცულია წარმოშობის ქვეყანაში სამრეწველო ნიმუშად, მაშინ კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყანას აქვს უფლება საავტორო სამართლით არ დაიცვას, მაგრამ დაცვა მაინც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, მაგალითად სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონით.
- თუ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში საავტორო უფლებათა მოქმედების ხანგრძლივობა ნაკლებია ვიდრე იმ ქვეყანაში სადაც მოითხოვება დაცვა, მაშინ დაშვებულია ნაცვალგების

გამოყენება და ნაწარმოების დაცვის ვადის დადგენა წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.

- თუ წარმოშობის ქვეყანა არ ითვალისწინებს ავტორთათვის "droit de suite" – ნაწარმოების თან მიდევნების უფლებას, მაშინ ქვეყანას სადაც მოითხოვება დაცვა შეუძლია ნაცვალგებით შემოფარგლოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების დაცვა წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.
- თუ ნაწარმოების დაცვა მოითხოვება ისეთი ქვეყნის მოქალაქე ავტორის მიერ, რომელიც არ არის ბერნის კონვენციის მონაწილე და რომელიც უცხოელ ავტორებთან დაკავშირებით ითვალისწინებენ თავიანთი მოქალაქეებისათვის მინიჭებული უფლებებისაგან განსხვავებით უფრო შეზღუდულ სამართლებრივ დაცვას, მაშინ ბერნის კავშირის წევრი ქვეყნები უფლებამოსილია ასევე შეუზღუდონ უფლებები აღნიშნული ქვეყნის მოქალაქე ავტორს.

დაცვის მინიმუმი

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით როდესაც საქართველოში დაცვას მოითხოვს უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი, საჭიროა გადაწყდეს რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული მოცემული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ბერნის კონვენცია თავად წყვეტს ამ საკითხს და ეროვნული რეჟიმის დაწესებით ადგენს, რომ უნდა იქნეს გამოყენებული იმ ქვეყნის კანონი სადაც მოითხოვება დაცვა. იმისათვის, რომ კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქენი რაც შეიძლება მეტად იქნენ გათანაბრებული უფლებრივად იგი აწესებს დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მინიჭებული უფლებების ფარგლები ქვეყნებს შორის განსხვავდება. თუ მონაწილე ქვეყნის კანონით მინიჭებული უფლებები და მათი ფარგლები მინიმუმ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული ბერნის კონვენციის დაცვის მინიმუმი. მონაწილე ქვეყნებმა უნდა აუცილებლად უზრუნველყონ სულ მცირე დაცვის შემდეგი მოთხოვნები:

- დაცვას უნდა დაუქვემდებარონ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები იმ ზომით რა ზომითაც ამას კონვენცია ადგენს;
- უნდა იქნეს დაცვადი ქონებრივი – განსაკუთრებული და პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები. განსაკუთრებული

უფლებებიდან უნდა იქნეს დაცული შემდეგი უფლებები: კვლავწარმოების (რეპროდუცირების), ადაპტაციის, არანჟირების და სხვაგვარად გადამუშავების, თარგმნის, საჯარო ჩვენებისა და შესრულების, საჯარო კითხვის (დეკლამირების), მაუწყებლობის, კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის სპეციალურად დაწესებული, ნაწარმოების თან მიდევნების;

– საავტორო უფლებათა ხანგრძლივობა არა ნაკლებ კონვენციით დადგენილისა;

დაცვადი ნაწარმოებები

ბერნის კონვენციის დაცვის ობიექტია კაცის გონებრივ-შემოქმედებითი შრომის ისეთი შედეგი, რომელიც შეიძლება იქნეს მიჩნეული ნაწარმოებად. შესაბამისად კონვენციის მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან დაიცვან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ატარებს ორიგინალურ ხასიათს და მიეკუთვნება ლიტერტურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს. მეცნიერული ნაწარმოებები ლიტერატურული ნაწარმოებებია. ნაწარმოებთა სახეები ბერნის კონვენციით არ არის ჩამოთვლილი ამომწურავად და ეს გასაგებიც არის. კაცის გონი სულ ახალ-ახალ ქმნილებებს იგონებს და მოიგონებს მომავალში. შესაბამისად კონვენცია არ ზღუდავს ახალი სახის ნაწარმოებების დაცვისათვის არსებული ან სპეციალურად ჩამოყალიბებული ნორმების გამოყენებას. მთავარია დაცვადი იყოს ნებისმიერი ნაწარმოები განურჩევლად მისი ავკარგიანობისა და გამოხატვის ფორმისა. ნაწარმოებების ჩამონათვალს ამ ნაშრომში არ წარმოვადგენთ, მითუმეტეს, რომ საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ჩამონათვალი და ბერნის კონვენციის ჩამონათვალი პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. კონვენცია ორიგინალურ ნაწარმოებთა თანაბრად, რასაც კინემატოგრაფიულ ნაწარმოებსაც მიაკუთვნებს, იცავს წარმოებულ ნაწარმოებებს (არსებული ნაწარმოების საფუძველზე შექმნილი ნაწარმოები, მაგალითად თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ა.შ.), აგრეთვე ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებებისაგან შემდგარ, გარკვეული წესით განლაგებულ კრებულებს (მონაცემთა კომპილაციებს, მონაცემთა ბაზებს). ყველა დაცვადი ნაწარმოები უნდა იყოს ინტელექტუალურ (გონებრივ)-შემოქმედებითი ხასიათისა. ნაწარმოების დაცვით მოსარგებლე პირი უნდა იყოს ავტორი და მისი უფლებამონაცვლე. ცალკეულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით კონვენცია უთითებს,

რომ დაშვებულია მათი დაცვის დაქვემდებარება რაიმე მატერიალური ფორმით განმტკიცებაზე, მაგალითად თეატრალური ან ქორეოგრაფიული წარმოდგენის ასახვა რაიმე ინფორმაციის მატარებელზე. ზოგიერთი ნაწარმოების დაცვის საკითხის გადაწყვეტას ბერნის კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობას ანდობს. ეს ნაწარმოებებია: სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული და სხვა ოფიციალური ხასიათის დოკუმენტი, ლექცია, ქადაგება, სხვა საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები და სხვ. ამ უკანასკნელი სახის ნაწარმოებთან დაკავშირებით საჭიროა განიმარტოს, რომ გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებად ბერნის კონვენცია მოიაზრებს ისეთ ნაწარმოებს, რომლის გამოყენებაც უკავშირდება მრეწველობას და იმავდროულად შეიძლება წარმოადგენდეს სამრეწველო საკუთრების კანონმდებლობით დაცვის ობიექტს. ამასთან, კონვენცია ითვალისწინებს ასეთი ნაწარმოების დაცვისადმი განსხვავებულ პრაქტიკას და ეროვნულ კანონებზე გადააქვს აქცენტი, მათი დაცვის მიმართ კონკრეტული მოთხოვნების დაწესების თვალსაზრისით. კერძოდ, ნებადართულია გამოყენებითი ნაწარმოების დაცვა იმ ზომითა და იმ საშუალებებით რა ზომითა და საშუალებებით არის ის დაცული წარმოშობის ქვეყანაში. მაგალითად, თუ იგი დაცულია სამრეწველო ნიმუშად (ორგანზომილებიანი ან სამგანზომილებიანი სახით) სპეციალური კანონის საფუძველზე, მაშინ სხვა ქვეყანას უფლება აქვს მიანიჭოს ასეთ ნაწარმოებს დაცვა იმავე კანონმდებლობით და იმავე ფარგლებით რა ფარგლებითაც ის არის დაცული წარმოშობის ქვეყანაში. მაგრამ, თუ წარმოშობის ქვეყანაში გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები არ არის დაცული სამრეწველო ნიმუშად (რომელიმე შესაბამისი სპეციალური კანონით), მაშინ სხვა ქვეყანაში ასეთი ნაწარმოების დაცვა სავალდებულოა საავტორო უფლებებით. იგივე დაცვა (საავტორო უფლებებით) უნდა მიეცეს გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებს, რომელიც წარმოშობის ქვეყანაში დაცულია სპეციალური კანონით, მაგრამ სხვა ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც მოითხოვება დაცვა სამრეწველო გამოყენებისათვის განკუთვნილი გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების დაცვისათვის სპეციალურ (მაგალითად რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშად) კანონს არ ითვალისწინებს.

დაცვადი ნაწარმოებების დახასიათებას ამით დავასრულებთ, რადგან საკითხი ზემოთაც განვიხილეთ გარკვეულ ფარგლებში, ხოლო დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს არ გაუჭირდება მიმართოს ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურას.[4]

ბერნის კონვენცია უპირველესად ასახელებს **კვლავწარმოების, ანუ რეპროდუცირების უფლებას,** რადგან მის გარეშე ზოგიერთ შემთხვევაში ნაწარმოებს საერთოდ შეიძლება არ მიენიჭოს რაიმე დაცვა. კონვენცია ფართოდ განიხილავს ამ უფლებას და ავტორებს ანიჭებს მათი ნაწარმოებების ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით კვლავწარმოების (ასლების დამზადების, გადაღების და აშ.), მათ შორის ხმოვანი და ხილვადი ჩანაწერების (აუდიო ან ვიზუალური, ანდა აუდიოვიზუალური) გაკეთების განსაკუთრებულ უფლებას.

ადაპტაციის, არანჟირების და სხვაგვარად გადამუშავების, აგრეთვე თარგმნის განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ავტორს ეს უფლებები ეკუთვნის ორიგინალური ნაწარმოების საავტორო უფლებათა მოქმედების ვადის გასვლამდე.

საჯარო ჩვენებისა და საჯარო შესრულების უფლებები შეადგენს ინგლისურად სპეციალური ტერმინით "the right to the communication to the public and public perfomance" ცნობილ უფლებას, რაც ქართულად შეიძლება გადმოიცეს "მოსახლეობამდე დაყვანისა და საჯარო შესრულების უფლება". როგორც ვხედავთ ამ ტერმინით ორი განსხვავებული უფლებაა წარმოდგენილი, რომლებიც კონვენციით მინიჭებულია დრამატული, დრამატულ-მუსიკალური და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორთათვის. ამ უფლებით მოცულია ნაწარმოების ცოცხალი წარმოდგენა ან შესრულება და ნაწარმოების მოსახლეობამდე დაყვანა მექანიკური საშუალებებით. ეს უფლება არ ეხება სამაუწყებლო გადაცემას, რადგან ამ უკანასკნელს კონვენცია ცალკე გამოყოფს.

საჯარო კითხვის (დეკლამირების) უფლება ეძლევა მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოების ავტორებს ზემოთ განხილული საჯარო ჩვენების (წარმოდგენის) და მოსახლეობამდე დაყვანის უფლების მსგავსად. უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ, მაგალითად დრამატული ნაწარმოების შესრულებისაგან განსხვავებით დეკლამირება, ჩვენი აზრით წარმოდგენასთან, ანუ სპექტაკლის დადგმასთან ვერ გაიგივდება. ამის გამო მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში კონვენცია საჯარო შესრულებაზი კი არ მიუთითებს მისი ფართო გაგებით (რომლითაც რა თქმა უნდა შეიძლება მოცულ იქნეს საჯარო კითხვაც) არამედ საჯარო დადგმაზე ან მის ჩვენებაზე.

სამაუწყებლო გადაცემის (მაუწყებლობის) უფლება მოიცავს სამაუწყებლო ხმოვან ან სატელევიზიო გადაცემას, სამაუწყებლო გადაცემის მოსახლეობამდე დაყვანას სამავთულო ან საეთერო (უმავთულო) საშუალებით, როდესაც ასეთ გადაცემას ახორციელებს ნაწარმოების გადამცემი სხვა ორგანიზაცია და არა ის, რომელმაც გადასცა პირველადი (ორიგინალური) გადაცემა – რეტრანსლაციის უფლება, რომელიც არ ვრცელდება იმ ორგანიზაციაზე, რომელსაც თავდაპირველი სამაუწყებლო გადაცემის მოწყობის ნება დაერთო. ეს უფლება ვრცელდება აგრეთვე ნაწარმოების მოსახლეობამდე დაყვანაზე რადიო ან ტელემიმღების საშუალებით.

კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებული უფლებები უნდა მოიცავდეს ასეთი ნაწარმოების შექმნამდე არსებული ნაწარმოებების ავტორთა განსაკუთრებულ უფლებებს და კინემატოგრაფიული ნაწარმოების ავტორთა განსაკუთრებულ უფლებებს. არსებული ნაწარმოებების ავტორთა უფლებები შედგება: ლიტერატურული ან მხატვრული და სხვ. ნაწარმოების სასცენარო ან კინემატოგრაფიულ ნაწარმოებში სხვა მიზნით გამოსაყენებლად გადამუშავების უფლებას; კვლავწარმოების უფლებას, მაგალითად მუსიკალური ნაწარმოების ფილმთან სინქრონიზაციის უფლებას; გადამუშავებული ნაწარმოების თარგმნის უფლებას სუბტიტრირების ან დუბლირების გზით; კინოთეატრებში ჩვენების უფლებას; მოსახლეობამდე მაუწყებლობის გზით დაყვანის უფლებას. არსებული ნაწარმოებების ავტორებს აქვთ აგრეთვე განსაკუთრებული უფლება კინემატოგრაფიული ნაწარმოების შექმნის მიზნით გადამუშავებული ნაწარმოების სხვა მხატვრული ფორმით გადამუშავებაზე, მაგალითად სათეატრო დადგმისათვის. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გავუსვავთ ხაზს, რომ იგი დაცულ უნდა იქნეს ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად. აქედან გამომდინარე საავტორო უფლებათა მფლობელს (საკითხი თუ რომელ სუბიექტს ანიჭებს კონვენცია განსაკუთრებულ უფლებებს ზემოთ იქნა განხილული) ეკუთვნის განსაკუთრებული ყველა ის უფლება, რომლებიც აქვს ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების ავტორს იმ უფლებათა ჩათვლით, რომლებიც დაწესებულია სპეციალურად კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის.

პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები

მორალური უფლებების დაცვის დამკვიდრება ბერნის კონვენციის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა განვიხილოთ, რადგან მათი

დაცვა არაერთგვაროვნად ხდებოდა, მაგალითად ანგლო-ამერიკული სისტემის ქვეყნებში მორალური უფლებების დაცვა მინდობილი იყო საერთო სამართლის ნორმებზე და საავტორო სამართლით მათი დაცვა არ იყო გათვალისწინებული. ეს ნორმა დიდი ხნის განმავლობაში ბერნის კონვენციისადმი აშშ-ს მიერთების ერთ-ერთ დამაბრკოლებელი გარემოება იყო, ხოლო დიდი ბრიტანეთისათვის პარიზის აქტისადმი მიერთების ხელშემშლელი მიზეზი. მორალური უფლებები ავტორის პიროვნებისაგან განუყოფელი უფლებებია, რაზეც მიუნიშნებს თვით ცნება "პირადი არაქონებრივი"). კონვენცია აღიარებს ამ გარემოებას და მიუთითებს, რომ მათი დაცვა განსაკუთრებულ უფლებებზე დამოკიდებული არაა, ანუ მათი დაცვა მაშინაც კი შეიძლება განხორციელდეს, როდესაც საავტორო განსაკუთრებული უფლებები აღარ მოქმედებს, ან სხვა პირს გადაეცა. მორალურ უფლებებთან დაკავშირებით ბერნის კონვენცია ადგენს, რომ ავტორს შეუძლია: მოითხოვოს ავტორობის უფლების დაცვა; წინ აღუდგეს ნაწარმოებში ნებისმიერი ხასიათის ცვლილების შეტანას, ან დამახინჯებას; ნაწარმოების შინაარსის სხვა ნებისმიერი ხასიათის ხელყოფას, რაც ზიანს მიაყენებს ავტორის პატივსა და რეპუტაციას.

საავტორო უფლებათა ხანგრძლივობის მინიმალურ ზოგად ვადად დადგენილია ავტორის სიცოცხლეს მიმატებული 50 წელი (50 წელი post mortem auctoris). გასაგებია, რომ საავტორო განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ამ ვადაზე ხანგრძლივი ვადის დაწესება სრულიად დასაშვებია – ნაკლებისა არა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბერნის კონვენციის პარიზის აქტს უერთდება ამავე კონვენციის რომის რედაქციით შებოჭილი ქვეყანა, რომელსაც დაწესებული აქვს უფრო მოკლე ხანგრძლივობის ვადა. ასეთ ქვეყანას უფლება აქვს შეინარჩუნოს მის მიერ დაწესებული ვადის ხანგრძლივობა. განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ხანგრძლივობით სარგებლობისას ქვეყნებს აქვთ უფლება გამოიყენონ ნაცვალგებისა და ურთიერთშეფარდების უფლება. ნაცვალგების უფლება გამოიყენება მხოლოდ კონვენციაში არ მონაწილე ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ, თუ ამ ქვეყანას დაწესებული აქვს ნაკლები ვადა ვიდრე იმ ქვეყანას სადაც დაცვა მოითხოვება. თუ ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყანა, სადაც მოითხოვება დაცვა ეროვნული კანონმდებლობით არ უზრუნველყოფს დაცვის მინიმუმ ვადას, მაშინ გამოიყენება კონვენციით დაწესებული ვადა. ურთიერთშედარების პრინციპი ნიშნავს იმას, რომ თუ ქვეყანა,

რომელშიც მოითხოვება დაცვა ითვალისწინებს მინიმუმთან შედარებით უფრო ხანგრძლივ ვადას (მაგალითად 70 წელს post mortem auctoris), ხოლო ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის დაცვის მომთხოვნი პირი ითვალისწინებს ნაკლებ ვადას, (მაგალითად 50 ან 60 წელს post mortem auctoris) მაშინ ასეთი ქვეყნის მოქალაქის საავტორო უფლებები იმოქმედებს შესაბამისად 50 ან 60 წელს post mortem auctoris. კერძოდ გერმანიის ან საფრანგეთის მოქალაქე ავტორების განსაკუთრებული უფლებები იმოქმედებს 70 წელს საქართველოში, ხოლო რუსეთის მოქალაქე ავტორების განსაკუთრებული უფლებები დაცული იქნება მხოლოდ რუსეთში მოქმედების ვადით – 50 წლით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონით საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ გათვალისწინებულია 70 წლიანი ვადა.

განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ხანგრძლივობას კონვენცია რიგ შემთხვევებში უკავშირებს ნაწარმოების ნაირსახეობასა და აწესებს დაცვის სპეციალურ ვადებს.

კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის დადგენილია, რომ ქვეყნებს შეუძლია საავტორო უფლებათა მოქმედების ვადის ხანგრძლივობა განსაზღვრონ 50 წლით მას შემდეგ, რაც იგი ავტორის მიერ ან მისი თანხმობით გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. თუ ეს მოვლენა არ დამდგარა მაშინ ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს 50 წლით, კინემატოგრაფიული ნაწარმოების შექმნის დღიდან.

ქვეყანაში უცნობი ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებული ნაწარმოებისათვის შეიძლება საავტორო უფლებათა მოქმედება შემოიფარგლოს 50 წლით მას შემდეგ, რაც ნაწარმოები მართლზომიერად გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. თუკი ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს ან გამჟღავნდება, მაშინ საავტორო უფლებათა მოქმედება განისაზღვრება ჩვეულებრივი წესით.

ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის, რომლებიც დაცულია როგორც მხატვრული ნაწარმოებები, კონვენცია აწესებს, რომ საავტორო უფლებების მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს 25 წელზე ნაკლები შექმნის დღიდან ათვლით[5].

ბერნის კონვენცია აწესებს აგრეთვე საავტორო უფლებათა შესაძლო შეზღუდვების მაქსიმალურ ფარგლებს, რაც მიზნად დაცვის მინიმუმის უზრუნველყოფას ისახავს. შეზღუდვები 2 კატეგორიისაა – კონვენციით დადგენილი და ეროვნული კანონმდე-

ბლობით გასათვალისწინებლად ნებადართული. ამასთან, ზოგი შეზღუდვა ითვალისწინებს საავტორო უფლებებით დაცვის უარყოფას საერთოდ, ხოლო ზოგი კვეცავს ამა თუ იმ უფლების ფარგლებს.

კონვენციით დადგენილი შეზღუდვებიდან გამოსაყოფია ახალი ამბების და მომხდარი სხვავასხვა ფაქტების შესახებ ცნობები, რომლებზეც კონვენცია არ ავრცელებს საავტორო უფლებების მოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული კანონებით ასეთი სახის ობიექტებზე საავტორო უფლებები ვერ წარმოიქმნება.

საავტორო უფლებების გამოყენება შეზღუდულია უშუალოდ კონვენციით, აგრეთვე, მაშინ, როდესაც ნაწარმოები გამოიყენება ციტირებისათვის. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები: ციტატა უნდა იქნეს მოტანილი საჯაროდ ხელმისაწვდომ ნაწარმოებიდან; ციტირება უნდა ხდებოდეს დამკვიდრებული კეთილი ჩვევების დაცვით; ციტატის მოცულობა უნდა იყოს გამართლებული მოტანის მიზნით. ციტირებისას აუცილებელია ავტორის მორალური უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება ავტორის სახელისა და ნაწარმოების დასახელების მითითების ვალდებულებით.

ეროვნული კანონმდებლობით გასათვალისწინებლად ნებადართული შეზღუდვები შეიძლება იყოს საინფორმაციო, სასწავლო და სხვა მიზნებით განპირობებული, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისათვის.

შეზღუდვები საინფორმაციო მიზნებით შეიძლება დაწესდეს:

სამართლებრივი, ადმინისტრაციული ხასიათის, ოფიციალური ხასიათის (სასამართლო გადაწყვეტილებების ჩათვლით) ტექსტებისა და მათ თარგმანთა მიმართ.

წარმოთქმული სიტყვების მიმართ, მაგალითად პოლიტიკური ხასიათის ან სასამართლო პროცესზე წარმოთქმული. ამასთან, ასეთი სიტყვების ავტორებს შეიძლება შეუნარჩუნდეთ კრებულის სახით შედგენილი ნაწარმოების შექმნისა და გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

ლექციებისა და მიმართვების მიმართ, რომლებიც საჯაროდ არის წარმოთქმული ქვეყნებს შეუძლია განსაზღვრონ მოთხოვნები, რომლებიც მოაწესრიგებენ მათ წარმოდგენას მოსახლეობისათვის პრესის ან მაუწყებლობის მეშვეობით, რაც იქნება შემოფარგლული საინფორმაციო მიზნით.

მიმდინარე მოვლენების შესახებ სტატიების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში ან სხვა პერიოდულ გამოცემებში ან გადაიცა მაუწყებლობით ქვეყნებს ასევე შეუძლია განსაზღვრონ მოთხოვნები პრესისა და მაუწყებლობის მიერ მათი გამოყენების მიზნით, ავტორისაგან დაუკითხავად. კონვენცია იძლევა ასეთი მოთხოვნების ჩამონათვალს: სტატიები უნდა ეხებოდეს მიმდინარე მოვლენებს; უნდა აშუქებდეს მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან რელიგიურ საკითხებს; ისინი ადრე უკვე იქნა გამოქვეყნებული; მათი გამოყენება არ არის სპეციალურად აკრძალული უფლებათა მფლობელის მიერ. ყველა ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა დასესხების წყაროს და ავტორის სახელის ზუსტი მითითება.

ს,:მიმდინარე მოვლენების შესახებ ნაჩვენები ან გახმოვანებული ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოებების მიმართ ქვეყნებს აქვთ უფლება განსაზღვრონ მათი გამოყენების პირობები ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული საშუალებებით ან სამაუწყებლო გადაცემით, ავტორთაგან თანხმობის მიღების გარეშე.

შეზღუდვები სასწავლო მიზნებით

ბერნის კონვენცია ნებას რთავს მონაწილე ქვეყნებს დააწესონ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების გამოყენება ავტორთა ნებართვის გარეშე სასწავლო მიზნით, ილუსტრაციების სახით წიგნებში ჩასართავად, აგრეთვე რადიო და ტელეგადაცემებში სასწავლო ხასიათის ბგერითი ან გამოსახულებითი ჩანაწერების სახით. ამასთან, დაცული უნდა იყოს იგივე მოთხოვნები, რაც დადგენილია ციტირებისათვის.

შეზღუდვები ნაწარმოების კვლავწარმოებასთან დაკავშირებით

ბერნის კონვენცია უშვებს, რომ მონაწილე ქვეყნებმა დააწესონ კვლავწარმოების უფლების შეზღუდვები გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებისთვის. ასეთმა შეზღუდვებმა არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება საავტორო უფლებათა ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ უნდა შეუშალოს ხელი ავტორთა სამართლებრივი ინტერესების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, დასაშვებია, მაგალითად პირადი მიზნებისათვის ნაწარმოების რეპროდუცირება. მაგრამ, რეპროდუცირება არ უნდა ხდებოდეს ისეთი ტექნიკით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გამრავლდეს ნაწარმოებე-

ბის ეგზემპლარები პრაქტიკულად უსაზღვრო რაოდენობით. ასეთ ტექნიკას სადღეისოდ მიეკუთვნება ქსეროაპარატები, რომლებიც იქცა ჩვეულებრივ ეგზემპლართა სამრავლ ტექნიკად. ამიტომ ქსეროკოპირება მთლიანად ნაწარმოებისა ხელს უშლის ავტორების კვლავწარმოების განსაკუთრებული უფლების ჩვეულებრივი წესით გამოყენებას, რაც თავად კონვენციითვე არის აკრძალული.

კვლავწარმოების უფლების კიდევ ერთ შეზღუდვას წარმოადგენს ნაწარმოებების მოკლევადიანი (ეფემერული ჩაწერა) ჩანაწერის გაკეთება ავტორთა ნებართვის გარეშე, რაც შეიძლება დადგენილ იქნეს მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობით. ასეთი ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ავტორის ნებართვით განხორციელებული გადაცემისა, ოღონდ საკუთარი ტექნიკური საშუალებებით და საკუთარი გადაცემისათვის გამოსაყენებლად. ასეთი ჩანაწერების შენახვა ოფიციალურ არქივში შეიძლება დაწესებულ იქნეს მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ დოკუმენტურ ფასეულობას.

გარდა აღნიშნული შეზღუდვებისა ბერნის კონვენცია ნებას რთავს მონაწილე ქვეყნებს დააწესონ გამონაკლისები განსაკუთრებული უფლებების განხორციელების თვალსაზრისით და მათი მოქმედება შეზღუდონ მხოლოდ შეთანხმებული და გონივრული გასამრჯელოს მიღების ფარგლებამდე. ასეთ შემთხვევებში ნაწარმოების გამოყენებისათვის არ არის საჭირო ნებართვის მიღება, მაგრამ აუცილებელია ავტორთათვის გასამრჯელოს გადახდა. უფლებათა ასეთი შეზღუდვა საჯარო იძულებით ლიცენზიად შეიძლება მივიჩნიოთ. ბერნის კონვენცია უშვებს აღნიშნული ხასიათის იძულებითი ლიცენზიის გაცემის დაწესების შესაძლებლობას ეროვნული კანონებით, მაუწყებლობისა და ხმოვანი ჩანაწერების განხორციელებისათვის. მაუწყებლობასთან დაკავშირებით იძულებითი ლიცენზირება შეიძლება განხორციელდეს: საეთერო სამაუწყებლო გადაცემისათვის ან ბგერების, გამოსახულების ან სხვაგვარი ნიშნებისაგან შემდგარი ნაწარმოების მოსახლეობამდე დაყვანისათვის, უმავთულო გავრცელებით; სადენებით ან უსადენო საშუალებებით ეთერში ნაწარმოების შემდგომი გადაცემისათვის იმ ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომელსაც არ გადაუცია პირველი გადაცემა; მოსახლეობამდე დაყვანისათვის რადიოსა ან ტელევიზიის მეშვეობით. გარდა ამისა დაშვებულია იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის დაწესება ნაწარმოების მექანიკური საშუ-

ალებებით წარმოდგენისათვის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იძულებითი ლიცენზირების დაწესება დასაშვებია თუ: მისი მოქმედება შეზღუდულია მხოლოდ მოცემული ქვეყნის ტერიტორიით; არ უნდა იქნეს შებღალული ავტორის მორალური უფლებები; არ უნდა იქნეს შექმნილი დაბრკოლებები ავტორის მიერ სამართლიანი გასამრჯელოს მიღებისათვის. იგივე მოთხოვნები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ნაწარმოების მექანიკური ტექნიკით (რადიო და ტელეეკრანი) მოსახლეობამდე იძულებითი წესით დაყვანისას, ოღონდ საქმე შეიძლება გვქონდეს მხოლოდ მუსიკალურ და მასში ჩართული სიტყვიერ ნაწარმოებებთან. იძულებითი ლიცენზირების ყველა შემთხვევაში ნაწარმოები არ შეიძლება იყოს გამოუქვეყნებელი.

უფლებათა გარკვეულ შეზღუდვას წარმოადგენს კონვენციით დადგენილი შესაძლებლობა, რომელიც ეძლევა პარიზის რედაქციას მიერთებულ განვითარებად ქვეყნებს თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაშვებულია ნაწარმოების თარგმნის უფლების შემოფარგლა 10 წლით (ბერნის კონვენციის 1886 წლის აქტისა და 1896 წლის დამატებითი აქტის მიხედვით). ეს უფლება გამოიყენება მაშინ, როდესაც ნაწარმოების ავტორი თავად არ უზრუნველყოფს თარგმნის შესრულებასა და გამოცემას მოცემულ ქვეყანაში გავრცელებულ ენაზე 10 წლის განმავლობაში. ამასთან, თუ ამ წესს განვითარებადი ქვეყანა იყენებს, მაშინ განვითარებულ ქვეყნებს აქვთ უფლება მატერიალური ნაცვალგებით ისარგებლოს. ეს უფლებაც გარკვეულწილად იძულებითი ლიცენზიის დაწესების უფლებად შეიძლება განვიხილოთ. შესაბამისად დაცულ უნდა იქნეს ასეთი ლიცენზიის დაწესებისათვის და მისით სარგებლობისათვის ყველა ჩვეულებრივი მოთხოვნა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ უფლებათა შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით იძულებითი ლიცენზიის დაწესება უფრო მეტად უკავშირდება ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ვიდრე სოციალურ-ეკონომიკურ და ა.შ. განვითარების ხელშეწყობას. ასეა სამრეწველო საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებითაც, რომელთა მიმართ იძულებითი ლიცენზიის გაცემა დამოკიდებულია ქვეყანაში საბაზრო მოთხოვნილების საკმარისად დაკმაყოფილებაზე. განსხვავება ის არის, რომ, მაგალითად, გამოგონების შემთხვევაში იძულებითი ლიცენზია შეიძლება მხოლოდ კონკრეტულმა პირმა მოითხოვოს. დაუშვებელია პატენტის გამოყენება საჯარო ლიცენზირების გზით. გამოგონების საჯა-

რო გამოყენების ნებართვა შეიძლება მხოლოდ თავად პატენტის მფლობელმა გასცეს ე.წ. "ღია ლიცენზირების რეჟიმის" გამოცხადებით.

ბერნის კონვენცია შეიცავს აგრეთვე მატერიალურ-სამართლებრივ სხვა ნორმებს. ამჯერად შემოვიფარგლებით იმ ნორმების გაშუქებით, რომლებიც ეხება საავტორო უფლებათა დარღვევით კვლავწარმოებული ნაწარმოების ეგზემპლარების დაყადაღებას, ნაწარმოების სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის კონტროლს და სხვ.

საავტორო უფლებათა დარღვევით კვლავწარმოებული ეგზემპლარები ექვემდებარება დაყადაღებას ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანისას, საბაჟო ორგანოების მიერ ან სხვა ორგანოების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე შეღწევის შემდგომ. დაყადაღება უნდა განხორციელდეს მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ასლები გამრავლებულია და შემოტანილია ისეთი ქვეყნის ტერიტორიიდან, სადაც ნაწარმოები დაცული არ არის ან აღარ არის, თუკი ქვეყანაში, სადაც ისინი შემოტანილია ნაწარმოები დაცვას ექვემდებარება. ბერნის კონვენცია ადგენს, რომ დაყადაღება უნდა განხორციელდეს მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამასად. აქედან გამომდინარე ქვეყნის კანონმდებლობით უნდა იქნეს დასახელებული უფლებამოსილი ორგანო და დადგენილ უნდა იქნეს დაყადაღების შესაბამისი წესები. საქართველოში საზღვრის გადაკვეთისას დაყადაღების უფლებამოსილება საბაჟოს მიენიჭა სპეციალური კანონის "ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ" ძალით.

ბერნის კონვენცია უტოვებს ქვეყნებს უფლებას განახორციელონ ცენზურა ნაწარმოების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების წინ და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება – გასცენ თანხმობა, გააკონტროლონ, ან აკრძალონ ნაწარმოების გასაღების ქსელში მიმოქცევა, პრეზენტაცია, გამოფენაზე გატანა ან ეგზემპლართა წარმოება. ამასთან, კონტროლის უფლება არ ნიშნავს, რომ ქვეყნებს შეუძლია დააწესონ იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი და ამგვარად ჩართონ სამოქალაქო ბრუნვაში ნაწარმოები ავტორის თანხმობის გარეშე.

მნიშვნელოვნად გვესახება აგრეთვე წარმოვადგინოთ ბერნის კონვენციის მოქმედება.

ამჟამად მოქმედებს პარიზის აქტი, რომელთანაც მიერთებულია საქართველო, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის კონვენციის სხვა ტექსტებს ძალა არა აქვს. ნაწარმოებთან დამოკიდებულებით

კონვენცია ადგენს, რომ, თუ ნაწარმოებს წარმოშობის ქვეყანაში საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა ამოეწურა და საზოგადოებრივი კუთვნილება გახდა იგი ხელახალ დაცვადი ველარ გახდება და მისი დაცვა ვერ განხორციელდება მონაწილე სხვა ქვეყანაშიც. ნაწარმოების დაცვის ასეთი ნორმა გახდა ქვეყნების მიერ ნაცვალგების დაწესების საფუძველი საავტორო უფლებათა მოქმედების ვადების შედარების პრინციპით. იმის გათვალისწინებით, რომ შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა სიტუაცია ნაწარმოების დაცვადობის თვალსაზრისით წარმოშობის ქვეყანაში და იმ ქვეყანაში, სადაც დაცვა მოითხოვება კონვენცია ნებას რთავს, რომ ქვეყნებმა ორმხრივი ხელშეკრულებებით მოაწესრიგონ ურთიერთობა. ორმხრივი ხელშეკრულებით მოსაგვარებელი საკითხების მოწესრიგება ნებადართულია აგრეთვე სხვა შემთხვევებშიც. ქვეყნები თავისუფალია დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები საავტორო უფლებათა სფეროში, თუ: ამით ავტორები უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან საავტორო უფლებათა დაცვის თვალსაზრისით; ხელშეკრულებები არ შეეწინააღმდეგება ბერნის კონვენციის მოთხოვნებს. ამასთან, თუ კონვენციისადმი მიერთების მომენტისათვის ქვეყანას დადებული აქვს სხვა ქვეყანასთან ხელშეკრულება ის ძალას ინარჩუნებს ზემოთ აღნიშნული პირობის გათვალისწინებით. როგორც ვხედავთ, ბერნის კონვენცია ხელს არ უშლის ეროვნული კანონის გამოყენებას და ქვეყანას აძლევს უფლებას შექმნას ავტორთა უფლებების დაცვის უფრო ფართო და ხელსაყრელი პირობები, კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით. მაგალითისათვის, დაცვის მინიმუმის შეუბღალავად ქვეყანას შეუძლია უფრო ფართო უფლებებით აღჭურვოს ავტორი და დააწესოს საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა მეტი ხანგრძლივობით ვიდრე ამას კონვენცია ითვალისწინებს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური დირექტორი არის უმაღლესი აღმასრულებელი ხელმძღვანელი მუშაკი ბერნის კაბშირისა. ბერნის კონვენციის ადმინისტრირებისათვის შექმნილია საერთაშორისო ბიურო, რომლის მეშვეობითაც პარიზის კონვენციის საერთაშორისო ბიუროსთან ერთად დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია. ბიურო უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბერნის

კონვენციის გადასასინჯი კონფერენციების მომზადების პროცესში, აგრეთვე ექსპერტების, ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე.

კონვენცია ღია საერთაშორისო ხელშეკრულებაა. ქვეყნები უფლებამოსილია განსაზღვრონ და აირჩიონ კლასი მიერთებისათვის, რის მიხედვითაც მოუხდებათ ყოველწლიური საფასურების გადახდა. კლასების იერარქია დგინდება გაეროს წესების თანახმად. არჩეული კლასი არ ბღალავს ქვეყნის მონაწილეობის თანაბარუფლებიანობას. მიერთების შემთხვევაში კონვენცია ძალაში შედის 3 თვის შემდეგ, რაც ქვეყანამ აცნობა ისმოს გენერალურ დირექტორს მიერთების შესახებ საჭირო დოკუმენტების ჩაბარების თაობაზე. ამ დოკუმენტებით ქვეყანამ შეიძლება დაადგინოს მის ტერიტორიაზე კონვენციის ამოქმედების სხვა ვადა.

დაფუძნებულია ბერნის კავშირის ასამბლეა, რომელშიც ყველა მონაწილე ქვეყანა შედის ერთი წარმომადგენლით და კენჭისყრაზე ერთი ხმის მიცემის უფლებით. ასამბლეა ამტკიცებს კავშირის საქმიანობის პროგრამასა და ბიუჯეტს, ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს.

ცვლილებების შეტანა კონვენციის ტექსტში შეიძლება მოითხოვოს ასამბლეის მონაწილე ნებისმიერმა ქვეყანამ, აღმასრულებელმა კომიტეტმა ან ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა. ცვლილება შეიტანება თუ მას ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვიდან 3/4 ან 4/5 დელეგატმა. კონვენციის გადასინჯვა მოითხოვს გადაწყვეტილების ერთსულოვნებას.

ქვეყნებს დათქმების გაკეთების უფლება აქვთ. კერძოდ მათ შეუძლია:

არ ივალდებულონ 1-21-ე მუხლებისა და დამატებითი კარის მოთხოვნების შესრულება, როცა ქვეყანა არის მონაწილე და/ან უერთდება კონვენციის გადასინჯულ, ახალ აქტს. ასეთი დათქმა მოქმედებს მანამ, სანამ იმოქმედებს კონვენციის ის წინა აქტი, რომელსაც არის მიერთებული ქვეყანა.

მიერთებისას ქვეყანას შეუძლია თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით ზემოთ განხილული "10-წლიანი წესის" საკუთარ ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ დათქმა გააკეთოს.

ქვეყანას უფლება აქვს არ ჩათვალოს თავისი თავი ვალდებულად საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ კონვენციის მოთხოვნის შესრულებისათვის, რომლის თანახმადაც ქვეყნებს შორის თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში კონვენციის დებულებებ-

ის განმარტების უფლებამოსილება ენიჭება ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს.

ქვეყნებს შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, როცა ისინი ბერნის კონვენციის სხვადასხვა აქტის მონაწილენი არიან დაწესებულია: კონვენციის მონაწილე ქვეყნები პარიზის აქტის მიხედვით ურთიერთობებში იყენებენ ამ უკანასკნელს, გინდაც, რომ ისინი კონვენციის სხვა აქტებსაც აღიარებდნენ. ქვეყნები, რომლებიც არ მონაწილეობენ კონვენციაში პარიზის აქტის მიხედვით ვალდებულნი არიან პარიზის აქტის მონაწილე ქვეყნებთან ურთიერთობებში გამოიყენონ პარიზის აქტი, თუნდაც, რომ თვითონ არ ცნობდნენ ამ აქტს. ამასთან, ეს ქვეყნები სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში გამოიყენებენ იმ უკანასკნელ აქტს, რომელსაც არიან ისინი მიერთებულნი.

კონვენციის პარიზის აქტი მიღებულია ფრანგული და ინგლისურენოვანი ტექსტებით. ამასთან, მისი არსის განმარტებისას ქვეყნებს შორის უთანხმოებების წარმოქმნის შემთხვევაში გამოიყენება ფრანგულ ენაზე არსებული ტექსტი.

დამატებითი კარი

დამატებითი კარი, რომელიც კონვენციის განუყოფელი ნაწილია შეიცავს შეღავათებს, რომლებითაც შეუძლია ისარგებლონ განვითარებადმა ქვეყნებმა ისე, რომ განვითარებული ქვეყნები ნაცვალგებას ვერ დაუწესებენ. ამ კარის დებულებები მიმართულია ინტელექტუალურ – შემოქმედებითი პოტენციალის დაუბრკოლებრივი განვითარების ხელშეყწობისაკენ და აძლევს საშუალებას განვითარებად ქვეყნების მოქალაქეებს გაადვილებული წესით გაეცნონ მსოფლიოში არსებულ ლიტერატურულ, მხატვრულ, მეცნიერულ და სხვა სახის ნაწარმოებებს, რაც მნიშვნელოვანი საწინდარი გახდება კულტურულ-ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინსვლისა. განვითარებადი ქვეყნები ამ კარის დებულებებს იყენებენ იმ ქვეყნებთან ურთიერთობისაც, რომლებიც არ არიან მიერთებული კონვენციის პარიზის აქტს, თუ ეს ქვეყნები ცნობენ დამატებითი კარის ნორმებს და არა აქვთ გაკეთებული დათქმა მის მიმართ. შეღავათები ვრცელდება ნაწარმოების თარგმნასთან და კვლავწარმოებასთან დაკავშირებით. განვითარებადი ქვეყანა ამ შეღავათებით სარგებლობის შესახებ ატყობინებს ისმო-ს გენერალურ დირექტორს და შეუძლია ისარგებლოს 10 წლის განმავლობაში. ნებადართულია შემდგომ ხელახალი შეტყობინების გაკეთება შე-

ღავათებით სარგებლობის შესახებ მორიგი 10 წლიანი პერიოდებით. განვითარებად ქვეყანას უფლება აქვს დააწესოს იძულებითი ლიცენზირების სისტემა ნაწარმოებთა თარგმნისათვის და კვლავწარმოებისათვის, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს ასეთი ლიცენზიისადმი დაწესებული ჩვეულებრივი მოთხოვნები. კერძოდ, ავტორის მორალური უფლებები უნდა იქნეს "პატივცემული", ანუ არ უნდა შეიბღალოს; ლიცენზიის მოქმედება უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მოცემული ქვეყნის ტერიტორიით; ავტორს უნდა გადაეხადოს გონივრული გასამრჯელო. თარგმნის იძულებითი ლიცენზირება წესდება მხოლოდ სასწავლო და სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნებით. ნაწარმოები შეიძლება ითარგმნოს სამაუწყებლო გადაცემისათვის. თუ თარგმანი უნდა შესრულდეს ისეთი ენიდან, რომელიც რამდენიმე ქვეყნის ოფიციალურ ენას წარმოადგენს (მაგ. ფრანგული, ინგლისური, ესპანური ან პორტუგალური), მაშინ ლიცენზირება შეიძლება განხორციელდეს სათარგმნი ნაწარმოების პირველი გამოცემის დღიდან არა ნაკლებ 3 წლის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული ნაწარმოები არ ყოფილა გამოქვეყნებული სათარგმნ ენაზე. იძულებითი ლიცენზირება შეიძლება დაწესდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოდგენილ იქნება მტკიცება, რომ ავტორი ამის ნებართვას არ იძლევა. ავტორს შეუძლია შეწყვიტოს იძულებითი ლიცენზიის მოქმედება, თუ თავად გამოსცემს ნაწარმოებს მოცემული ქვეყნის ენაზე. განვითარებად ქვეყანას აქვს უფლება გამოიყენოს თარგმნის განსაკუთრებული უფლების შეზღუდვა 10 წლიანი წესის პრინციპით.

კვლავწარმოების იძულებითი ლიცენზირება შეიძლება დაწესდეს მხოლოდ 5 წლის გასვლის შემდეგ ნაწარმოების პირველი გამოცემის დღიდან. საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ნაწარმოებზე იძულება შეიძლება განხორციელდეს 3 წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა ზოგიერთი ნაწარმოებისათვის შეიძლება შეადგენდეს 7 წელს, მაგალითად, პოეზია, მუსიკა;ლური, დრამატული, ფანტაზიური ან მხატვრულ-ხელოვნებითი ნაწარმოები.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ დამატებითი კარის ნორმებით სარგებლობენ, მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან მექსიკა, ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე.

ბერნის კონვენციის პარიზის აქტის წინა აქტების მოკლე მიმოხილვა

თავდაპირველი – 1886 წლის ბერნის აქტი შეიცავდა 21 მუხლსა და დანართებს, მათ შორის საბოლოო პროტოკოლს. კონვენციას ხელი მოაწერა 10 ქვეყნის უფლებამოსილმა დელეგატმა. ეს ქვეყნებია: ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, ლიბერია, საფრანგეთი, ტუნისი, შვეიცარია, ჰაიტი.

აქტის ტექსტი ითვალისწინებდა დებულებებს კავშირის დაარსების შესახებ, კონვენციის მოქმედების ფარგლებს, კერძოდ, რომ დაცვას ექვემდებარებოდა როგორც გამოქვეყნებული ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები; ეროვნული რეჟიმის პრინციპს, ავტორობის პრეზუმფციას; წარმოშობის ქვეყნის კანონით გათვალისწინებულ დაცვის დამოკიდებულებას სხვა მონაწილე ქვეყანაში; წარმოშობის ქვეყნის განმარტებას; დაცვადი ნაწარმოებების ჩამონათვალს, რომელიც დასაბამიდანვე არ იყო მოცემული ამომწურავად; დაცვის მინიმუმს, კერძოდ თარგმნის, წარმოდგენისა და საჯარო შესრულების უფლებებს; შეზღუდვებს, კერძოდ მუსიკალური ნაწარმოებების თავისუფალ მექანიკურ კვლავწარმოებას და პრესაში გამოქვეყნებული სტატიების თავისუფალ კვლავწარმოებას; ნაწარმოების ეგზემპლარების დაყადაღების შესაძლებლობას და ადმინისტრაციული ხასიათის სხვა დებულებებს, რომელთა ჩამოთვლაც შემდგომ აქტებთან დაკავშირებითაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

1896 წლის პარიზის დამატებითი აქტი შეეხო გარდაცვალების შემდგომ საავტორო უფლების მოქმედების საკითხს და მიიჩნია დაცვადად გარკვეული დროის განმავლობაში. "გამოცემა" განიმარტა ნაწარმოების ასლების გამოცემად რომელიმე მონაწილე ქვეყანაში, თარგმანთან დაკავშირებით დაწესდა დაცვის უფრო ხანგრძლივი ვადა.

1908 წელს ბერლინში გადასინჯული ტექსტით შემოტანილ იქნა ახალი დებულებები. დადგინდა, რომ ნაწარმოები დაცვადია ფორმალობების შესრულების გარეშე, აგრეთვე, დამკვიდრდა ნაწარმოების დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპი. დაცვად ნაწარმოებთა რიცხვს მიემატა ქორეოგრაფიული, უხმო წარმოდგენა, არქიტექტურული, კინემატოგრაფიული, ფოტოგრაფიული და ფოტოგრაფიის მსგავსი პროცესით შექმნილი ნაწარმოები. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც სამრეწველოდ არის გამოყენებადი დაექვემდებარა დაცვას, თუ ამას ქვეყანა ითვალისწინებდა.

შეტანილ იქნა ზოგიერთ ნაწარმოებებთან დაკავშირებული დაზუსტებანი. თარგმნის უფლება მიჩნეულ იქნა დამოუკიდებელ განსაკუთრებულ უფლებად, ყოველგვარი დათქმების გარეშე. განსაკუთრებული უფლებების დაცვის ხანგრძლივობა განისაზღვრა 50 წლით post mortem auctoris.

1914 წლის ბერნის დამატებითი პროტოკოლით დამკვიდრდა ნაცვალგების უფლება იმ ქვეყნებთან მიმართ, რომლებიც არ იყვნენ ბერნის კონვენციის მონაწილენი და არ უზრუნველყოფდნენ ნაწარმოებების ერთგვაროვან დაცვას და რომელთა ავტორებს არ გააჩნდათ საცხოვრებელი ადგილი რომელიმე მონაწილე ქვეყანაში, ხოლო ნაწარმოების პირველი გამოცემის დროს ისინი იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქენი, რომელიც არ უზრუნველყოფდა ერთგვაროვან დაცვას.

ერ:1928 წლის რომში გადასინჯვის შედეგად ერთ-ერთი მთავარი სიახლე იყო ავტორთა მორალური უფლებების დაცვის შემოღება, რასაც ცხარედ ეწინააღმდეგებოდნენ საერთო სამართლის ქვეყნების დელეგატები. მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ზეპირი ნაწარმოების დაცვის აღიარება, რომელთა მიმართაც ქვეყნებს მიეცათ უფლება დაედგინათ რა შემთხვევებში და რა პირობებით დაცვას არ დაექვემდებარებოდა ზოგიერთი მათგანი, მაგალითად სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვა ან ქადაგება. დამკვიდრდა სამაუწყებლო უფლების (ე.წ. ნაწარმოების საზოგადოებისათვის მიწოდების, ანუ მოსახლეობამდე დაყვანის უფლება) დაცვა. დაშვებულ იქნა იძულებითი ლიცენზიების დაწესების უფლება.

1948 წლის ბრიუსელში გადასინჯვის შემდეგ კონვენციით გათვალისწინებულ იქნა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან ერთად კინემატოგრაფიული პროცესის მსგავსი პროცესით შექმნილი ნაწარმოების დაცვა. მოცემულ იქნა ერთდროული გამოცემის განმარტება. მორალური უფლებების დაცვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომლებიც რომის გადასინჯვის შედეგად დაცული იყო ავტორის სიცოცხლეში, მიდგომა შეიცვალა. ქვეყნებს მიეცათ ნება დაეცვათ ისინი ავტორის გარდაცვალების შემდეგაც, სულ მცირე სანამ მოქმედებდა განსაკუთრებული უფლებები. კინემატოგრაფიული ნაწარმოები მიჩნეულ იქნა ორიგინალურ ნაწარმოებად დაცვადად. შემოღებულ იქნა საჯარო კითხვის (დეკლამირების) უფლება, აგრეთვე ნაწარმოების თანმიდევნების უფლება. დაზუსტდა განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ვადები კინემატოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების, ანონიმურად

და უცნობი ფსევდონიმით გამოცემულ ნაწარმოებებთან მიმართებით. დაზუსტდა ნაწარმოების საჯარო წარმოდგენის და შესრულების, სამაუწყებლო უფლებების შინაარსი.

1967 წლის სტოკჰოლმში გადასინჯული აქტით გამოყოფილად დასახელდა კვლავწარმოების უფლება და დაწესდა შესაძლო გამონაკლისები. ქორეოგრაფიული ნაწარმოები და უხმო წარმოდგენა დაცვას დაექვემდებარა საინფორმაციო მატარებელზე აუცილებელი დატანის გარეშე, მაგრამ მიეთითა, რომ სავალდებულო იყო მათი გამოხატვა მატერიალური ფორმით. მორალური უფლებების დაცვის ხანგრძლივობა დაექვემდებარა ius conventionis-ს. შემოღებულ იქნა დაცვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ნაცვალგების შესაძლებლობა "ვადების შედარების" პრინციპით კინემატოგრაფიულ, ფოტოგრაფიულ და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ. უარყოფილ იქნა მექანიკური საშუალებებით საჯარო შესრულების უფლება . კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებული საავტორო უფლებების სუბიექტთა წრე და ფარგლები დადგინდა იმ სახით, რა სახითაც პარიზის აქტის განხილვისას გადმოვეცით. კონვენციას დაემატა დამატებითი კარი განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ. სტოკჰოლმის მრავალი დებულება უცვლელად დარჩა ამჟამად მოქმედი ბერნის კონვენციის პარიზის აქტში.

თავი 37. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია

(პარიზის კონვენცია)

პარიზის კონვენციას დიდი ხნის ისტორია აქვს – საუკუნეზე მეტია, რაც იგი მოქმედებს და მისი ფუძემდებლური დებულებანი დღემდე უცვლელია, ამასთან, სამრეწველო საკუთრების დაცვის განხორციელების და განვითარების თვალსაზრისით მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა გამოიხატება მისი ეგიდით მრავალი სხვა საერთაშორისო შეთანხმების შემუშავებითა და მოქმედებით, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოს, ჩამოყალიბებით. პროგრამების განხორციელებით, რომლებიც ითვალისწინებს განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენას ეროვნული სამრეწველო საკუთრების სფეროში კანონმდებლობის შემუშავებაში და შესაბამისი დაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ამოქმედებაში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო მონაწილეა ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კავშირისა, რაც ჩვენს ქვეყანას აკისრებს ყველა საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას, მიზანშეწონილი იქნება ვრცლად გადმოიცეს პარიზის კონვენციის ისტორია და შინაარსი.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ინტენსიური გახდა ტექნოლოგიების გაცვლა სახელმწიფოთა შორის და საერთაშორისო ვაჭრობამ მაღალ საფეხურს მიაღწია, თავი იჩინა სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში მოუწესრიგებელი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობამ საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, ამ დროისთვის სხვადასხვა ქვეყნებში უკვე მოქმედებდა ეროვნული კანონმდებლობა გამოგონებათა დაცვის შესახებ. მაგრამ, აღნიშნული ქვეყნების კანონებს გააჩნდა მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც ძალზე ართულებდა სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მოპოვებას ერთდროულად სხვადასხვა ქვეყანაში. მეწარმეები და გამომგონებლები იძულებულნი იყვნენ, რომ განაცხადები გამოგონების დაპატენტებაზე ერთდროულად წარედგინათ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც სურდათ უფლებების დაცვა. ეს, უპირველესად, იმით იყო გამოწვეული, რომ თუ ერთ ქვეყანაში უკვე გაიცა პატენტი და გამოქვეყნდა აღწერილობა,

მეორე ქვეყანაში პატენტის მიღება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან პუბლიკაცია გამოგონების შესახებ ერთ ქვეყანაში იმავე გამოგონებას უკარგავდა სიახლეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა აშკარა გახადა სამრეწველო საკუთრების სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საჭიროება საერთაშორისო დონეზე ისე, რომ რაც შეიძლება მეტი ქვეყანა ყოფილიყო ასეთი ჰარმონიზაციის მონაწილე. საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა მთელი სიმწვავით გამოჩნდა 1873 წელს, როდესაც ავსტრია – უნგრეთის იმპერიის მთავრობამ გადაწყვიტა მოეწყო გამოგონებების საერთაშორისო გამოფენა ვენაში და მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. უცხოელი ქვეყნების ძალიან ბევრმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა გამოფენაზე საკუთარი გამოგონებების წარდგენის თაობაზე, რადგან არ არსებობდა გამოფენილი გამოგონებების შესაბამისი სამართლებრივი დაცვა. განზრახვა გამოფენის ჩატარებაზე რომ არ ჩაშლილიყო, ავსტრიამ შემოიღო სპეციალური კანონი, რომელმაც უზრუნველყო უცხოელთა უფლებების დაცვა დროებით (გამოფენის მოწყობის პერიოდში). უფლებების დაცვა ვრცელდებოდა გამოგონებებზე, სასაქონლო ნიშნებზე და სამრეწველო ნიმუშებზე. იმავე 1873 წელს ავსტრიაში მოწვეულ იქნა ვენის კონგრესი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საპატენტო დაცვის რეფორმის საკითხებს. კონგრესმა მიიღო შესაბამისი რეზოლუციები, რითაც დაფუძნდა ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელებულიყო საპატენტო დაცვის ქმედითი სისტემა. კონგრესმა მსოფლიოს ქვეყნებისათვის შეიმუშავა აგრეთვე რეკომენდაციები, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ურთიერთგაგება საპატენტო დაცვის საკითხებში, რათა შემუშავებულიყო სათანადო საერთაშორისო შეთანხმების პირობები.

ვენის კონგრესის რეზოლუციების ცხოვრებაში გატარების მიზნით საფრანგეთის მთავრობამ ითავა 1878 წელს პარიზში მოეწვია სპეციალური საერთაშორისო კონგრესი სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. კონგრესმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა და მიიღო გადაწყვეტილება რომელიმე მთავრობას მოეწვია სამრეწველო საკუთრების დაცვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დიპლომატიური კონფერენცია. მომავალ კონფერენციას უნდა განესაზღვრა შესაბამისი საფუძვლები სამრეწველო საკუთრების სფეროში ერთგვაროვანი კანონმდებლობის შემუშავებისათვის და დაედგინა სათანადო სამართლებრივი პრინც-

იპები. კონგრესის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ მოამზადა საბოლოო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის დაფუძნებას. ეს პროექტი დაეგზავნა სხვადასხვა ქვეყანას, იმავდროულად საფრანგეთის მთავრობამ დაგზავნა მიწვევებიც, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც უნდა გამართულიყო პარიზში 1880 წელს. კონფერენცია წარმატებით ჩატარდა და მასზე იქნა მიღებული კონვენციის პროექტი, რომელიც შეიცავდა ყველა იმ ძირითად პრინციპს და დებულებას, რომლებიც დღესაც სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენციის მთავარ შინაარსს წარმოადგენს.

ამ დიპლომატიურმა კონფერენციამ ნიადაგი მოამზადა სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში ყოვლისმომცველი საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებისა და ეროვნული კანონმდებლობისათვის გასათვალისწინებელი პრინციპების დამდგენი სახელმწიფოთაშორისო მთავარი შეთანხმების მიღებისათვის. 1883 წელს პარიზშივე ჩატარდა ახალი დიპლომატიური კონფერენცია, რომელმაც დააგვირგვინა 10 წლიანი მოსამზადებელი ციკლი და რომელიც დასრულდა დღეს მოქმედი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის დამტკიცებით, მასში მონაწილე 11 ქვეყნის მიერ ხელმოწერით. ეს ქვეყნები იყო ბელგია, ბრაზილია, გვატემალა, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, პორტუგალია, სალვადორი, საფრანგეთი, სერბია და შვეიცარია. პარიზის კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისთვის – 1884 წლის 7 ივლისისთვის მას მიუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, ეკვადორი და ტუნისი. მონაწილე ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა 14-მდე. იმის მიუხედავად, რომ სამრეწველო საკუთრების დაცვა თავისი შინაარსით და იმ სამართლებრივ ურთიერთობათა სიმრავლით, რომლებიც განსაკუთრებული სპეციფიკურობით გამოირჩევა, აღნიშნული კონვენცია იმდენად კარგად იქნა ჩამოყალიბებული და მასში ასახული პრინციპები, ნორმები და მიდგომები იმდენად საფუძვლიანად გადმოიცა, რომ ეს დოკუმენტი დღესაც თითქმის უცვლელად რჩება მთავარ შეთანხმებად, რომელიც საერთაშორისო დონეზე აწესრიგებს სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო დაცვას. მის საფუძველზე განვითარებადი ქვეყნები ღებულობენ თანამედროვე კანონებს და მისი ეგიდით მოქმედებს მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება და ორგანო.

პარიზის კონვენციის თანამედროვე მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება მისი ძირითადი შინაარსის დაწვრილებითი განხილვა.

1883 წელს, ხელმოწერის შემდეგ, კონვენციის პირობის თანახმად პერიოდულად ხდებოდა კოფერენციების მოწვევა კონვენციის გადასინჯვის მიზნით და მასში პარიზის კავშირის მთელი სისტემის სრულყოფისთვის გამიზნული ცვლილების შესატანად, ასეთი სახის დიპლომატიური კონფერენციები გაიმართა რომში 1886 წ., მადრიდში 1890 და 1891 წ., ბრიუსელში 1897 და 1900 წ., ვაშინგტონში 1911 წ. ამ კონფერენციებზე შემუშავებულ ტექსტებს სადღეისოდ აღარ გააჩნია პარიზის კონვენციაში მონაწილე ქვეყნებისათვის სავალდებულო მოქმედების ძალა და შემდგომში მათ შინაარსზე ყურადღება აღარ გამახვილდება. მომდევნო კონფერენციები, რომლებზე მიღებული ტესქტებიც ამა თუ იმ ქვეყნისათვის სავალდებულოა, გაიმართა ჰააგაში 1925 წ., ლონდონში 1934 წ., ლისაბონში 1958 წ., სტოკჰოლმში 1967 წ., რომელიც შევსებულ იქნა 1979 წელს. სტოკჰოლმის კონფერენციის რედაქციით მიღებული პარიზის კონვენციის მონაწილეა მისი წევრი ქვეყნების უმეტესობა. 2006 წლის მდგომარეობით პარიზის კავშირის მონაწილეთა შორის იყო 169 ქვეყანა. საქართველო შეუერთდა პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს სსრ კავშირის (სსრ კავშირი პარიზის კონვენციის მონაწილე გახდა 1965 წ.) დროს აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე. ეს მოხდა კონვენციის არსებობის 111 წლის თავზე – 1994 წლის 18 იანვარს.

პარიზის კოვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის. დოკუმენტები მისი რატიფიცირების შესახებ უნდა ჩაბარდეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

კონვენციის ძირითად დებულებებს ყოფენ ოთხ ჯგუფად.

1-ლი ჯგუფი შეიცავს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს, რომლებიც აწესებს პარიზის კავშირის წევრ ქვეყანათა უფლებებს და მოვალეობებს და რომლებიც აფუძნებს თვით კავშირის ორგანოებს. ამავე ჯგუფში შედის ადმინისტრაციული სამართლის ნორმები. მაგალითად მე-6 მუხლის მე-(3) და მე-(4) პუნქტი ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოილაპარაკონ ერთმანეთთან იმ ემბლემების და სხვა ნიშნების დაცვის თაობაზე, რომლებიც არ ექვემდებარება სასაქონ-

ლო ნიშნად რეგისტრაციას ან გამოყენებას. მე-12 მუხლი ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს შექმნან სამრეწველო საკუთრების ეროვნული სამსახურები, რომლებმაც აუცილებლად უნდა უზრუნველყოს სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. მე-13 მუხლი ითვალისწინებს კავშირის ასამბლეის შექმნას და განსაზღვრავს ასამბლეის შექმნის წესს, კომპეტენციას და ფუნქციებს, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას.

23-ე და 27-ე მუხლები აწესრიგებს წინა რედაქციის ტექსტების მიხედვით კონვენციის აქტების ურთიერთდამოკიდებულებასა და შეფარდებას.

მე-2 ჯგუფის შემადგენელი დებულებები ავალებს სახელმწიფოებს ან რთავს ნებას მიიღონ კანონები სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ. მაგალითად, მე-4D მუხლი ავალებს ან რთავს ნებას მონაწილე ქვეყანას მოაწესრიგოს პრიორიტეტის უფლების გამოყენების ვადები. მე-5A მუხლი მონაწილე ქვეყნებს აძლევს უფლებას განახორციელონ საკანონმდებლო ღონისძიებანი იმ არამართლზომიერ ქმედებათა აღკვეთისთვის, რომლებმაც შეიძლება იჩინოს თავი საპატენტო განსაკუთრებული უფლების ცხოვრებაში გატარების პროცესში. 25-ე მუხლი აწესებს საერთო პრინციპს, რომლის თანახმადაც ქვეყანამ საკუთარი კონსტიტუციის მიხედვით უნდა უზრუნველყოს კონვენციის გამოყენება მის ტერიტორიაზე. ეს მუხლი აზუსტებს, რომ ქვეყანას, რომელიც პარიზის კონვენციის მონაწილეა უნდა, ძალუძდეს, საკუთარი კანონმდებლობის თანახმად კონვენციის დებულებების შესრულება.

მე-3 ჯგუფი შეიცავს სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ მატერიალური სამართლის ზოგადი წესების მთელ რიგს, რომლებიც დაკავშირებულია კერძო პირების უფლება-მოვალეობებთან იმდენად, რამდენადაც ეს დებულებები მოითხოვს აღნიშნულ პირთა მიმართ კონვენციაში მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას. ამ ჯგუფს განეკუთვნება კონვენციის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება, რომელიც აწესებს, რომ მასში მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე ყველა სხვა მონაწილე ქვეყანაში სარგებლობს იგივე უფლებებით, რითაც სარგებლობს საკუთარი მოქალაქე. ეს პრინციპი ეროვნული რეჟიმის პრინციპად არის ცნობილი. კონვენციის სხვა დებულებები, რომლებიც ასევე ეხება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, ითხოვს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას. ასეთებია, მაგალითად, მე-9 მუხლი, რომელიც ეხება ყადაღის დადებას იმ ნაწარმზე, რომელზეც

არამართლზომიერად არის გამოსახული სასაქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება; მე-10 მუხლი, რომელიც ეხება ცრუ აღნიშვნას ან მითითებებს ნაწარმის წარმოშობის ადგილის თაობაზე.

მე-4 ჯგუფი მოიცავს მატერიალური სამართლის ნორმებს, რომლებიც ეხება კერძო პირთა უფლებებსა და მოვალეობებს და რომლებიც არ ითხოვს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას და თავად აწესრიგებს კონკრეტულ ურთიერთობებს. ამ ჯგუფის ისევე როგორც, წინა ჯგუფის, დებულებებისათვის გასარკვევია პირდაპირ გამოიყენება ის მოქმედი ნორმების სახით მოცემულ ქვეყანაში, თუ უნდა არსებობდეს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დებულებების გამოყენებას. საკითხის მოწესრიგება კონკრეტულ სახელმწიფოში დამოკიდებულია კონსტიტუციურ სისტემაზე. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ნიდერლანდები, საფრანგეთი, კონსტიტუციური სისტემა აძლევს უფლებას ადმინისტრაციულსა და სასამართლო ორგანოებს დაინტერესებულ პირთათვის გამოიყენონ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები, როგორც სამართლის მოქმედი წყარო. ამ ქვეყნებში კონვენციის დებულებანი გამოიყენება ეროვნული კანონმდებლობის ჩარევის გარეშე.

დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიასა და შვეციაში საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები "ბოჭავს" სახელმწიფოს, მაგრამ არ ვრცელდება კერძო პირებზე, თუ ეს ნორმები არ იქნება ინკორპორირებული ეროვნულ კანონმდებლობაში.

აღსანიშნავია, რომ როგორიც არ უნდა იყოს ამა თუ იმ სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემა, ამ ჯგუფის დებულებები შეადგენს სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ ზოგადი ნორმების ძალზე მნიშვნელოვან კომპლექსს. ეს ნორმები ან უშუალოდ, ან ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით უნდა იყოს აღიარებული პარიზის კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ. იმ დებულებებიდან, რომლებიც მზადაა პირდაპირ გამოსაყენებლად ეროვნული კანონმდებლობის გარეშე, უნდა გამოიყოს 1-ლი მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტები, რომლებიც განსაზღრავს სამრეწველო საკუთრებას და იძლევა სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტების ჩამონათვალს. სპეციალისტების აზრით ტერმინი "სამრეწველო საკუთრება", რომელიც ფართოდ დამკვიდრდა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით (მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით), უფრო ტრადიციულ, ვიდრე მეცნიერულად დახვეწილ ტერმინს წარმოადგენს. იგი გამოიყენება საკუთრების უფლების

მსგავს განსაკუთრებულ უფლებათა აღსანიშნავად, რომლებიც ეხება შემოქმედებითი ხასიათის იდეებს, განმასხვავებელი თვისებების მქონე ნიშნებსა და აღნიშვნებს მეწარმეობის ან ვაჭრობის სფეროში. მათ რიგში უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, წესები, რომლებიც მიმართულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისაკენ. "სამრეწველო საკუთრება", გ.ბოდენხაუზენის აზრით, მხოლოდ ანალოგიით შეიძლება შედარდეს ჩვეულებრივად გაგებულ "საკუთრებას" . იგი ვრცელდება არა მარტო სამრეწველო ობიექტებზე, არამედ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებზეც, რაც არ არის სანივთო საკუთრებასთან აუცილებელ კავშირში. სამრეწველო საკუთრების განსაზღვრას თეორიულის გარდა პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. მაგალითად, გადასაწყვეტია მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვა განეკუთვნება თუ არა "სამრეწველო საკუთრებას". ეს საკითხი ღიადაა დარჩენილი და, ჩვენი აზრით, შეიძლება კონკრეტულმა სახელმწიფომ თავისი შეხედულებისამებრ თვითონ გადაწყვიტოს. მაგალითად, რადგან აშშ-ში მცენარეთა ჯიშების დაცვა ხდება პატენტის გაცემით, რომელიც სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკის კანონმდებლობამ სამრეწველო საკუთრების სასარგებლოდ გადაწყვიტა ეს საკითხი. რაც შეეხება საქართველოს, ამ ობიექტის დაცვის შესახებ 1996 წლიდან მოქმედებს კანონი სელექციური მიღწევების შესახებ, რომელიც ძირითად ნაწილში იზიარებს მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დებულებებს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი სასელექციო მიღწევის დაცვას სამრეწველო საკუთრებისადმი მიძღვნილ კარში მოიხსენიებს. მაშასადამე სასელექციო მიღწევა ჩვენშიც სამრეწველო საკუთრების ობიექტია.

სტოკჰოლმის 1967 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე გადასაწყვეტი იყო აგრეთვე, საავტორო მოწმობათა საკითხი. აღნიშნულმა კონფერენციამ კონვენციის მეოთხე მუხლის ახალ რედაქციაში საავტორო მოწმობა ჩართო, როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტი. შესაბამისად, საავტორო მოწმობის მიმართ პარიზის კონვენციის ძალით, ხოლო მცენარეთა ჯიშის მიმართ – კონკრეტული სახელმწიფოს ნებით და პარიზის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, უცხოელი მოქალაქენი უნდა განიხილებოდნენ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა თანაბრად და ამ ობიექტებისათვის უნდა გამოიყენებოდეს ამ კონვენციის ნორმები. ამავე დროს, პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეებს არ ექნებათ

უფლება მოსთხოვონ სხვა სახელმწიფოს ნაცვალგების პრინციპის განხორციელება.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით პარიზის კონვენციის ძირითადი არსი.

სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტები

კონვენციის პირველი მუხლი იძლევა ჩამონათვალს და განმარტავს ამ ობიექტებს. მათ განეკუთვნება პატენტები გამოგონებებზე, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდება, წარმოშობის აღნიშვნა ან წარმოშობის ადგილის დასახელება (მინიშნება), აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.

სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტების განმარტება კონვენციაში შეტანილ იქნა ჰააგის 1925 წლის კონფერენციის შემდეგ. ამ მომენტიდან მოყოლებული ეს განმარტება უცვლელია. გარდა ამისა, 1958 წლის ლისაბონის კონფერენციამ მასში შეიტანა მომსახურების ნიშნების განმარტებაც.

1) პატენტი

კონვენცია არ განსაზღვრავს პატენტის რაობას, რაც ეროვნულ კანონმდებელს აძლევს საშუალებას თვითონ განმარტოს, თუ რომელი ობიექტებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული კონვენცია. მაგალითად, თუ ეროვნული კანონმდებლობით მცენარეთა ახალ ჯიშებზე გაიცემა პატენტი, მაშინ კონვენცია ვრცელდება ამ პატენტებზეც. ამდენად, გ. ბოდენხაუზენის კომენტარის თანახმად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პატენტი უნდა განიმარტოს, როგორც სამრეწველო განხორციელებადობის მქონე გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. პატენტს სახელმწიფოს სახელით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო გასცემს, მაგრამ იგი ადმინისტრაციულ აქტად არ განიხილება პარიზის კონვენციით. პირიქით იგი სამოქალაქო ბრუნვის საგნად არის მიჩნეული და გათანაბრებულია საკუთრებასთან, რომლის ობიექტსაც უსხეულო ნივთი წარმოადგენს. ამ მიდგომას იზიარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც და საპატენტო კანონიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სასელექციო მიღწევა სამრეწველო საკუთრებას განეკუთვნება, მაგრამ პარიზის კონვენცია ამ ობიექტზე მაინც ვერ გავრცელდება. ამის დასტური ისიც არის, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სასელექ-

ციო მიღწევაზე პატენტი არ გაიცემა. მასზე მოწმობა გაიცემა, რომელიც პარიზის კონვენციის ობიექტი არ არის.

განვმარტოთ თუ რა მოცულობისაა "სამრეწველო საკუთრება". კონვენციის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ტერმინი "სამრეწველო საკუთრება" ვრცელდება არა მარტო მრეწველობასა და ვაჭრობაზე, არამედ სოფლის მეურნეობაზე, სამთო მრეწველობასა და სამრეწველო წესით დამზადებულ ან ბუნებრივი წარმოშობის ყველა სახის პროდუქტზე. როგორც ვხედავთ, განმარტება არ ვრცელდება ადამიანის საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროზე, როგორიცაა მედიცინა. შესაბამისად, საპატენტო დაცვის გავრცელება მკურნალობის მეთოდებზე ამ განმარტების ფარგლებს გარეთ გასვლას ნიშნავს.

ე:**2) სასარგებლო მოდელი**

სასარგებლო მოდელი განიხილება, როგორც "მცირე პატენტი". შესაბამისად, მასზე განსაკუთრებული უფლება დაცულია უფრო ნაკლები ვადით, ვიდრე გამოგონების პატენტებზე. პატენტუნარიანობის მოთხოვნებიც უფრო დაბალი დონისაა. მაგალითად, საქართველოს საპატენტო კანონით საგამომგონებლო დონის მოთხოვნა საერთოდ არ არის დაწესებული. სასარგებლო მოდელის დონეს განსაზღვრავს ის, რომ იგი აუცილებლად უნდა იყოს არსებული ობიექტის "გაუმჯობესება", ანუ იმ ნიშან-თვისებებით, რომლებიც სარგებლიანობას უზრუნველყოფენ უნდა აღემატებოდეს არსებულს.

3) სამრეწველო ნიმუში

ეს ობიექტი განიხილება, როგორც ნაკეთობის, ან სხვა სახის სასარგებლო ნივთის გამოხატვა მისი ცალკეული არსებითი ელემენტების გამოყოფით ისე, რომ გადმოიცეს ამ ნივთის ფორმისა და ზედაპირის და თავისებურება ორნამენტული ელემენტების ან სხვა მხატვრული საშუალებების მეშვეობით. სხვაგვარად რომ ითქვას, სამრეწველო ნიმუში უნდა გამოხატავდეს ნივთის გარეგან სახეს. ნივთის ასეთი გარეგანი სახის ავტორს (მფლობელს) ენიჭება განსაკუთრებული უფლება მის წარმოებასა და გამოყენებაზე.

4) სასაქონლო ნიშანი

ეს ობიექტი განიმარტება, როგორც სპეციალური აღნიშვნა, რომელიც განკუთვნილია, ერთი საწარმოს პროდუქციის განსასხვავებლად სხვა საწარმოს პროდუქციისაგან. მის მფლობელს ენი-

ჭება განსაკუთრებული უფლება ნიშნის ან მისი ვარიანტების გამოყენებაზე ერთგვაროვანი ან მსგავსი პროდუქციისათვის.

5) მომსახურების ნიშანი

სასაქონლო ნიშანთან ახლო ანალოგიის გამო ქვეყნების დიდი ნაწილი, მათ შორის საქართველო, ამ ობიექტს იცავს სასაქონლო ნიშნების მსგავსად, როგორც წესი იგივე კანონმდებლობით. მომსახურების ნიშანი ისეთი ნიშანია, რომელიც ორი სხვადასხვა საწარმოს მომსახურების განსასხვავებლადაა განკუთვნილი.

ქვეყნები არ არიან ვალდებულნი შემოიღონ სპეციალური კანონი. შესაბამისად, პარიზის კონვენციის ეს ნორმა მოქმედ ნორმად შეიძლება იქნეს განხილული და ყველას შეუძლია მასზე დაყრდნობით კონვენციის წევრ ქვეყანაში მოითხოვოს მომსახურების ნიშნის დაცვა. ქვეყნებს შეუძლიათ მათი დაცვა განახორციელონ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის კანონმდებლობით.

აქედან გამომდინარე, ქვეყანას თუ არა აქვს მიღებული სპეციალური კანონი, ვერ დაავალდებულებენ რეგისტრაციაში გაატაროს მომსახურების ნიშნები.

ამჟამად ნიშნების შესახებ კანონმდებლობის საერთაშორისო ჰარმონიზაციის გავლენით სულ უფრო ნაკლებია იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებსაც არა აქვს მოქმედი სპეციალური კანონი მომსახურების ნიშნების დაცვის შესახებ.

5.1) კოლექტიური ნიშნები

კონვენცია მე-7ბის მუხლით ავალებს ქვეყნებს მიიღონ განაცხადები და დაიცვან გაერთიანებების (ასოციაციების) კუთვნილი კოლექტიური სარგებლობის ნიშნები. როგორც წესი, ეს ეხება კოლექტიური ნიშნის გამოყენებას მეწარმეთა, გამსაღებელთა, კომერსანტთა გაერთიანებების ისეთ საქონელზე რომელიც იწარმოება მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში ან ადგილზე, ან მას გააჩნია სხვაგვარი საერთო მაჩვენებლები. სახელმწიფოს, ან საზოგადოებრივი ორგანოს ნიშნებს ეს დებულება არ ეხება. კოლექტიური ნიშანი ემსახურება მომხმარებელს საქონლის წარმოების (წარმოშობის) გეოგრაფიული ადგილის, მასალის, წარმოების ხერხის (ტექნოლოგიის), ხარისხის ამოცნობაში. იგულისხება საქონელი, რომელიც იწარმოება გაერთიანებაში შემავალ სხვადასხვა საწარმოს მიერ და რომელიც მისი მფლობელის კონტროლით იყენებს კოლექტიურ ნიშანს როდესაც მფლობელი ნიშნის გამოყენებაზე

რთავს ნებას საწარმოებს, რომლებიც არ შედის გაერთიანებაში, მაგრამ აკმაყოფილებს მოცემული საქონლის ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და არ ლახავს ნიშნის რეპუტაციას, კოლექტიური სარგებლობის ნიშანი "სასერთიფიკაციო ნიშანს" წარმოადგენს. კონვენციის ამ დებულების გამოყენებისათვის საჭიროა, რომ არსებობდეს გაერთიანება, რომელსაც აქვს კოლექტიური ნიშანი და რომლის არსებობაც არ ეწინააღმდეგება მისი დაფუძნების შესახებ ქვეყნის კანონმდებლობას. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის შესახებ უარის თქმა დაუშვებელია იმ მოტივით, რომ გაერთიანება არ არის რეგისტრირებული იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება კოლექტიური ნიშნის დაცვა. გაერთიანებას არ მოეთხოვება, რომ გააჩნდეს სამრეწველო ან კომერციული საწარმო. გაერთიანებას, რომელსაც არ გააჩნია საწარმო, შეუძლია აწარმოოს კოლექტიური ნიშნის კონტროლი სხვა საწარმოების მიერ გამოყენებისას და გააჩნდეს სასერტიფიკაციო ნიშანი.

კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციას უარი ვერ ეთქმის იმის საფუძველზე, რომ გაერთიანება არ არის დაფუძნებული იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მოითხოვება დაცვა.

6) საფირმო სახელწოდება

სამრეწველო საკუთრების ამ ობიექტის შინაარსი ზემოთ იქნა გადმოცემული დაწვრილებით. ამიტომ, გავაშუქებთ მხოლოდ პარიზის კონვენციის მოთხოვნებს მისი დაცვისადმი. კონვენციის მე-8 მუხლი მონაწილე ქვეყნებისგან ითხოვს უზრუნველყოფილი იყოს, საფირმო სახელწოდების დაცვა და რომ აუცილებელი არ არის სპეციალური რეგისტრაცია. ეს პირობა ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც საფირმო სახელწოდება სასაქონლო ნიშნის ნაწილს წარმოადგენს.

პარიზის კონვენციის თანახმად, საფირმო სახელწოდება დაცულია მესამე პირის არაკეთილსინიდისიერი ქმედებებისაგან, რაც შეიძლება იგივე სახელწოდების ან მისი მიმსგავსების (რამაც შეიძლება აღრევა ან შეცდომაში შეყვანა გამოიწვიოს) გამოყენებით გამოიხატოს. საფირმო სახელწოდების დაცვაზე, როგორც სხვა ობიექტებზე, ვრცელდება კონვენციით დადგენილი ეროვნული რეჟიმის პირობები. თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებისთვის განსხვავებულ დაცვას იმავე ქვეყნის ისეთ საფირმო სახელწოდებასთან შედარებით, რომელიც რეგისტრირებული არ არის, მაშინ

აღნიშნული ქვეყანა არ არის ვალდებული განსხვავებული დაცვა მიანიჭოს არარეგისტრირებულ უცხოურ და ადგილობრივ საფირმო სახელწოდებებს. ამასთან, კონვენციის აღნიშნული კომენტარის თანახმად, თუ არსებობს შეცდომაში შეყვანის საშიშროება (სხვა სახელწოდებასთან ან სასაქონლო ნიშანთან ურთიერთმსგავსების გამო), მაშინ უცხოური საფირმო სახელწოდების დაცვა შეიძლება იქნეს დამოკიდებული ფაქტიურ გამოყენებაზე მოცემული ქვეყნის ფარგლებში.

7) წარმოშობის აღნიშვნა და წარმოშობის ადგილის დასახელება

პარიზის კონვენციის გაგებით წარმოშობის აღნიშვნა მოიცავს ნებისმიერ სახელწოდებას, მითითებას ან აღნიშვნას (ნიშანს, სიმბოლოს), რაც ამა თუ იმ ქვეყანაზე, ან ქვეყნის სხვადასხვა ადგილზე მიუთითებს იმ მიზნით, რომ მომხმარებელს აუწყოს საქონლის წარმოშობის ამ ქვეყანასთან ან კერძოდ იქაურობასთან კავშირი. მაგალითად: ნაწარმოებია საქართველოში, ქართული ღვინო, ან, უბრალოდ, ჩინეთი, ჰოლივუდი, პარიზი, ან იმერული ყველი, მეგრული გოჭი, აჭარული ხაჭაპური და სხვ.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება კი უფრო ვიწრო შინაარსისაა. იგი, გარდა იმისა, რომ უკავშირდება მხოლოდ მოცემულ ქვეყანას ან მის რომელიმე კონკრეტულ ადგილს, აუცილებლად გულისხმობს, მის ამ ადგილთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ თვისებებს, რასაც იგივე სახის საქონელი ვერ შეიძენს, თუ სხვა ადგილზე იქნა ნაწარმოები.

გვინდა ხაზი გავუსვათ პარიზის კონვენციის მე-10 და მე-10bis მუხლების მოთხოვნებს. მათში გათვალისწინებულია მომხმარებელთა დაცვა ამ აღნიშვნების არაკანონიერი გამოყენების შემთხვევაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისგან დაცვასთან. იკრძალება წარმოშობისა და ადგილწარმოშობის აღნიშვნების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამოყენება, როდესაც ამას არაუფლებამოსილი პირი აკეთებს. პარიზის კონვენცია, აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიცავს საქონლის დაყადაღების მოთხოვნასაც.

გარდა ამისა, კონვენცია ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ მეწარმეთა ინტერესების დაცვა ქვეყანაში აწარმოოს მეწარმეთა გაერთიანებებმა, რომლებიც უფრო ეფექტურად დააყენებენ

შესაბამის უფლებამოსილ ორგანოთა წინაშე სათანადო მოთხოვნებს და მათი განხორციელების უზრუნველყოფას მიაღწევენ.

ე:რადგან სამრეწველო საკუთრების ეს ობიექტი ფაქტობრივად ყოველთვის გეოგრაფიულ დასახელებასთან არის დაკავშირებული და მას არ შეიძლება ჰყავდეს ერთი მეპატრონე, კონვენცია ადგენს ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი. ასეთად მიიჩნევა საქონლის დამამზადებელი – მწარმოებელი, მეწარმე ან ვაჭარი. ამასთან, აღნიშნულ პირს საწარმო უნდა ჰქონდეს იმ მოცემულ გეოგრაფიულ ადგილზე უშუალოდ ან იმ რაიონში, რომელშიც ეს ადგილი შედის, ან ქვეყანაში (თუ ცრუ მითითებებისას ქვეყანა არის დასახელებული). ეს ნორმა პირდაპირი მოქმედების ნორმად არის გადმოცემული, თუ მის გამოყენებას მიმართავენ სასამართლოში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ეროვნული ტრადიციებით წარმოებული პროდუქტები, რომლებსაც საკუთარი სახელი გააჩნიათ და რომლებიც საშუალებას იძლევიან დავასკვნათ კონკრეტული პროდუქციის წარმოშობა ამა თუ იმ ქვეყნიდან. მაგალითად, "ჩურჩხელა" ან "სულუგუნი" ისეთი აღნიშვნებია, რომლებიც მიენიშნებენ ასეთი პროდუქციის ქართულ წარმოშობაზე. ეს კარგადაა ცნობილი ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში. ამ აღნიშვნებს დაცვა ესაჭიროებათ, თუნდაც იმიტომ, რომ სულუგუნის წარმოების უამრავი მაგალითი გვაქვს რუსეთისა და ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, რაც თუ ასე გაგრძელდა გამოიწვევს "სულუგუნისთვის" წარმოშობის მინიშნების ფუნქციის დაკარგვას და, შესაძლებელია, (რადგან იმ ქვეყნებში ვერ იქნება დაცული ამ ყველის წარმოების ქართული ტრადიციები და პირობები) ხარისხის გაუარესებასა და მომხმარებელთა თვალში საქართველოს ტრადიციების რეპუტაციის შელახვას.

ჩვენი აზრით, აუცილებელია დაჩქარდეს ახლად მიღებული კანონის ამოქმედება, ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ახლადმიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, კერძოდ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული შეთანხმება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ იყენებს ტერმინს "გეოგრაფიული აღნიშვნა", რომელიც აერთიანებს პარიზის კონვენციის ორივე ცნებას – საქონლის წარმოშობის აღნიშვნასა და წარმოშობის ადგილის დასახელაებას. საქართველოს კანონით

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ გეოგრაფიული აღნიშვნა და საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება ერთმანეთისაგან განსხვავებული ობიექტებია.

8) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა

ეს ობიექტიც ადრე უკვე იქნა დაწვრილებით განხილული, ამიტომ, შემოვიფარგლებით პარიზის კონვენციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულების გაშუქებით. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების ამკრძალავი ნორმები შესულია კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-10bis, მე-10ter მუხლებში.

კონვენცია ითხოვს, რომ ქვეყნებმა აუცილებლად განახორციელონ ეფექტური დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან, მაგრამ არ აკონკრეტებს, როგორ და რანაირად. ამ საკითხის გადაწყვეტა დაკისრებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე.

მე-10bis მუხლი გადმოსცემს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციაა ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენაა, რომელიც წინააღმდეგობაშია (ან უპირისპირდება) კომერციულ ან სამეწარმეო საქმიანობაში დამკვიდრებულ პატიოსან ჩვეულებს (პრაქტიკას).

პარიზის კონვენცია გამოყოფს ზოგიერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქმედებებს, რომლებიც უნდა იქნეს აკრძალული. ეს ქმედებებია, მაგალითად:

- რომლებიც იწვევს კონკურენტების ნაწარმის, საქონლის ან სამეწარმეო, ან კომერციული საქმიანობის აღრევას. ეს მოთხოვნა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასაქონლო ნიშნებით ან საფირმო სახელწოდებებით, არამედ მოიცავს ნაწარმის ფორმის, შეფუთვის, ან სავაჭრო კაზმულობის, ან სხვაგვარი საშუალების (მაგალითად, საქმიანობის სტილი) გამოყენებას.
- რომლებიც შეიცავს მოტყუებითი ხასიათის განცხადებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენტის სახელისა და საქმიანობის დისკრედიტაცია, ჩირქი მოსცხოს მისი ნაწარმის თვისებებს და რეპუტაციას და ა.შ. ამასთან, პარიზის კონვენცია ეროვნული კანონმდებლობის საკითხად მიიჩნევს ისეთი ქმედების შეფარდებას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტთან, რომელიც არც თუ მოტყუებითია (შეიცავს სიმართლეს) და ითხოვს შესაბამისი სანქციის დადგენას, ან საკითხის სხვაგვარად მოწესრიგებას.

– რომლებიც შეიცავს შეცდომაში შემყვან მითითებებს, ან განცხადებებს საქონლის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ, მახასიათებლების შესახებ, მათი ხარისხის შესაბამისობის შესახებ, მოცემული ნაწარმის ბუნების შესახებ და ა.შ. ჩვენის აზრით, კონკურენციის ეს მოთხოვნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მთავარი იარაღი უნდა იყოს. მაგრამ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონი ვერ იცავს მომხმარებელთა უფლებებს აღნიშნული მოთხოვნების თვალსაზრისით და დიდად დასახვეწია.

ეროვნული რეჟიმი

პარიზის კონვენციის მეორე და მესამე მუხლებში მოცემულია ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც უარყოფს დისკრიმინაციას და დღემდე უცვლელი რჩება. კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულებები და მოვალენი არიან ამ კონვენციაში გაერთიანებულ სახელმწიფოთა მოქალაქეებს სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით მიანიჭონ ისეთივე უფლებები, რაც გააჩნიათ საკუთარ მოქალაქეებს. ის დებულება, რომ ეროვნული რეჟიმის პრინციპით სარგებლობის შესაძლებლობა ენიჭებათ კონვენციაში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს, არ ნიშნავს იმას, რომ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს საერთოდ არა აქვთ უფლება ისარგებლონ იგივე რეჟიმით. საამისოდ უნდა შესრულდეს გარკვეული პირობები. კერძოდ, ეს პრინციპი ვრცელდება პარიზის კავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებზეც, თუ მათ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი, ან "ნამდვილი სამეწარმეო, ან სავაჭრო საწარმო" მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ დებულებიდან ჩანს, თუ რამდენად თანაბარუფლებიანი და დახვეწილია კონვენციის ტექსტი ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. სწორედ ამ პრინციპის განხორციელებითაა შესაძლებელი სამრეწველო საკუთრებაზე ადეკვატური უფლებების მოპოვება საზღვარგარეთ.

ეროვნული რეჟიმი გამოიყენება კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთათვის. ტერმინი "მოქალაქე" ფართო გაგებითაა გადმოცემული და მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.

ფიზიკური პირისათვის მოქალაქეობის მინიჭების ან ჩამორთმევის საკითხებს აწესრიგებს შესაბამისი ქვეყნის ეროვნული კანონი. ამდენად, მხოლოდ ამ ქვეყნის კანონი შეიძლება იქნეს გამოყენებ-

ული მოქალაქეობის სტატუსის საკითხის განსაზღვრისას, მათ შორის, თუ საკითხი წყდება უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში.

საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორაა დაცული ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე საკუთარი სახელმწიფოს მიერ, მთლიანადაა დამოკიდებული ამ ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაზე. შესაბამისად, მოქალაქეთა უფლებების დასაცავად ვერ იქნება გამოყენებული პარიზის კონვენცია, თუ კონსტიტუცია ან სპეციალური კანონი არ იძლევა ამის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის თანახმად, თუ ეროვნული კანონმდებლობა წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, მაშინ გამოიყენება ამ უკანასკნელის წესები. მაშასადამე, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს პარიზის კონვენციის შესაბამისი დებულებების გამოყენება , თუ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები ეროვნულ კანონმდებლობასა და პარიზის კონვენცის შორის.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი ვრცელდება ყველა იმ შეღავათებზე, რაც გათვალისწინებულია ქვეყნის კანონმდებლობით საკუთარ მოქალაქეთათვის. ამ დებულების თანახმად ეროვნული კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის იმ სახით, რა სახითაც გამოიყენება საკუთარი მოქალაქისათვის. ეს იმავდროულად, ნიშნავს იმას, რომ მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს არა აქვთ უფლება მოითხოვონ სხვა ქვეყანაში ნაცვალგების პრინციპის გავრცელება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პატენტის მოქმედების ვადა აითვლება მისი გაცემის თარიღიდან ამერიკელ მოქალაქეს არა აქვს უფლება იგივე მოითხოვოს საქართველოში, რადგან აქ პატენტის მოქმედება იწყება "საქპატენტში" განაცხადის შეტანის დღიდან. ასევე, საქართველოს მოქალაქეს არ აქვს უფლება მოითხოვოს ამერიკის შეერთებულ შტატებში "წინათსარგებლობის" პრინციპის გავრცელება იმ მოტივით, რომ საქართველოს საპატენტო კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ უფლების გამოყენებას. ამერიკელი მოქალაქე კი საქართველოში ისარგებლებს აღნიშნული პრინციპით.

ნაცვალგების პრინციპის გამოყენება შეიძლება არ ვრცელდებოდეს როგორც კოდიფიცირებულ სამართალზე, ასევე სასამართლოთა პრაქტიკაზე, საპატენტო უწყებების ან სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული დაწესებულებების პრაქტიკაზე. მაგალითად, აშშ-ს საპატენტო უწყება საპატენტო განაცხადს განსახილველად

არ მიიღებს, თუ იგი უშუალოდ გამოგონების ნამდვილმა ავტორმა არ წარადგინა და განცხადებას სპეციალური ფიცი (დეკლარაცია) არ დაურთო, რომ იგი არის პირველი და ნამდვილი გამომგონებელი.

პარიზის კონვენცია იძლევა ეროვნული რეჟიმის პრინციპიდან ზოგიერთი გამონაკლისის გაკეთების უფლებას. ეროვნული კანონმდებლობის დებულებანი რჩება ძალაში უპირობოდ, როდესაც საკითხი ეხება სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოთა კომპეტენციას, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის არჩევას და რწმუნებულის დანიშვნას. მაშასადამე, ეროვნული კანონმდებლობის წმინდა პროცედურული ხასიათის მოთხოვნები, რომლებიც უცხოელთათვის აწესებენ განსაკუთრებულ პირობებს სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურის სფეროში, უნდა იქნეს გამოყენებული კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის მიმართ.

ეს წესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ დაადგინოს ისეთი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლება განაცხადის წარდგენა საქართველოს საპატენტო უწყებაში, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე რწმუნებულის მეშვეობით. ეროვნული რეჟიმის შეზღუდვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ის, რომ სასამართლოში სარჩელი შეიტანება მხოლოდ მოსარჩელეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, (ანუ იმ ქვეყანაში, სადაც მოსარჩელეს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი), ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც მოსარჩელეს გააჩნია ნამდვილი მოქმედი საწარმო.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გადმოიცეს ეროვნული რეჟიმის პრინციპის შინაარსი, უნდა გაირკვეს, თუ რას ნიშნავს ტერმინი "საცხოვრებელი ადგილი" და "ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო".

კონვენციის თანახმად, პირს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, თუ იგი ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ადგილზე, ისე, რომ არც კი აფორმებს თავის ამ ადგილზე ყოფნას იურიდიულად. მაშასადამე ქვეყნის ტერიტორიის ამა თუ იმ ადგილზე ცხოვრება საკმარისია, რომ დაკმაყოფილდეს "საცხოვრებელი ადგილის" მოთხოვნა. ამასთან, სრულიადაც არ არის აუცილებელი მოცემულ ადგილზე იურიდიული გაფორმება.

"ნამდვილი (მოქმედი) სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო" ნიშნავს, რომ პირს უნდა გააჩნდეს ასეთი საწარმო და ახორციელებდეს

სამეწარმეო ან კომერციულ საქმიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს ისეთი ვითარება, როდესაც პირს გააჩნია მხოლოდ საფოსტო ყუთი მოცემულ ქვეყანაში, ან იჯარით აქვს აღებული რაიმე ფართი მცირე კანტორისათვის და არ ეწევა სამეწარმეო ან კომერციულ საქმიანობას.

საკუთარ ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით მოქალაქეს არ მოეთხოვება აუცილებლად გააჩნდეს მოქმედი საწარმო ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

პრიორიტეტის უფლება

კონვენციის მეოთხე მუხლი ადგენს, რომ სწორად გაფორმებული და სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების მოსაპოვებლად ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანაში პირველად წარდგენილი განაცხადის საფუძველზე განმცხადებელს (ან უფლებამონაცვლეს) უფლება აქვს 6 ან 12 თვის მანძილზე მოითხოვოს სამრეწველო საკუთრების დაცვა კონვენციის ნებისმიერ პირველ ქვეყანაში მოპოვებული პრიორიტეტის უფლების გამოყენებით. ამასთან, სხვა ქვეყნებში განაცხადები ჩაითვლება მიწოდებულად იმავე თარიღით, რა თარიღიც გააჩნდა პირველად მიწოდებულ განაცხადს.

პირველ ქვეყანაში მიწოდებული პირველი განაცხადის აღსანიშნავად, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ვიხმაროთ ტერმინი "პირველი განაცხადი", რადგან მის საფუძველზე, იგივე ობიექტზე, შეიძლება 140-ზე მეტ ქვეყანაში გაიცეს დამცავი დოკუმენტი.

პირველი განაცხადის საფუძველზე წარმოქმნილი საკონვენციო პრიორიტეტის უფლება გამოიხატება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ყველა შემდგომ მიწოდებული განაცხადი, ისარგებლებს უპირატესობით პირველი განაცხადის მიწოდების თარიღის შემდეგ განხორციელებულ ყველა იმ ქმედების მიმართ, რომელესაც ჩვეულებრივ პირობებში შეეძლო გაექარწყლებინა განმცხადებლის უფლებები ან ობიექტის დაცვითუნარიანობა.

პრიორიტეტის უფლების მოთხოვნის 6 თვიანი ვადა ვრცელდება სამრეწველო ნიმუშებსა და სასაქონლო ნიშნებზე, ხოლო 12 თვიანი – გამოგონებებსა და სასარგებლო მოდელებზე. მართალია, ამ დებულებაში არ არის მოხსენიებული მომსახურების ნიშნები, მაგრამ კონვენციის წევრ ქვეყანას უფლება აქვს გაავრცელოს მასზე სასაქონლო ნიშნების დაცვისა და გაფორმების მოთხოვნები.

რადგან პრიორიტეტის უფლება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მხოლოდ სწორად გაფორმებული პირველი განაცხადის საფუძველზე

და მხოლოდ იმ ობიექტზე და იმ ფარგლებში, რაც მასშია წარმოდგენილი, დაუშვებელია, რომ ამ განაცხადს მოჰყვეს მეორე, უფრო გაუმჯობესებული, ან უკეთესად გაფორმებული განაცხადი, რომელსაც განმცხადებელი საკონვენციო პრიორიტეტის საფუძვლად გამოიყენებს. კონვენციაში ტერმინი "სწორად გაფორმებული განაცხადის" შინაარსი არ არის ახსნილი. იგულისხმება, რომ განაცხადი ისე უნდა იყოს გაფორმებული, რომ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად მას დაუდგინდეს განაცხადის შეტანის თარიღი პირველი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა პირმა, რომელზეც ვრცელდება ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ამასთან, ეს უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ისე, რომ იმავდროულად არ გადაეცეს მას "პირველი განაცხადი" ფიზიკურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს შეუძლია პრიორიტეტით სარგებლობის უფლება მრავალ პირს დაუთმოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოსაყენებლად.

კონვენცია პრიორიტეტის უფლების ფარგლების განსაზღვრისათვის ადგენს "მრავლობითი" ან "ნაწილობრივი" პრიორიტეტის მოთხოვნის შესაძლებლობას, როდესაც საქმე გვაქვს საპატენტო დაცვასთან. "მრავლობითი პრიორიტეტის" მოთხოვნისათვის შეიძლება გაერთიანდეს ორი ან მეტი განაცხადი (თუ გამოგონების ერთიანობის პირობა არ ირღვევა) და დადგინდეს პრიორიტეტები ყველა პირველი განაცხადის მიხედვით. კონვენციის ეს დებულება კარგად პასუხობს პრაქტიკულ მოთხოვნილებებს. განაცხადის მიწოდების შემდეგ გამომგონებელი ხშირად უფრო სრულყოფს და ხვეწს საგამომგონებლო იდეას, შეაქვს კორექტივები და დამატებები, რომელთაგანაც თითოეული შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი დაცვის საგანი და გაფორმდეს მომდევნო განაცხადით. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება წინა და მომდევნო განაცხადების გაერთიანება და საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის ვადის გასვლამდე მონაწილე ქვეყანაში გაერთიანებული განაცხადის მიწოდება. ასეთი პრიორიტეტის მოთხოვნა დასაშვებია მაშინაც კი, როდესაც მრავლობითი პრიორიტეტის დადგენა მოითხოვება სხვადასხვა ქვეყანაში ადრე მოწოდებული პირველი განაცხადების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშნებისათვის იგივე შესაძლებლობა არ არის კონვენციით გათვალისწინებული და თუ განმცხადებელს ორი ან მეტი განაცხადის საფუძველზე, რომ-

ლებითაც განსხვავებულ საქონლის ჩამონათვალზე მოითხოვება ნიშნის რეგისტრაცია, სურს ერთი გაერთიანებული განაცხადის შეტანა მრავლობითი პრიორიტეტის მოთხოვნით, საკითხს გადაწყვეტს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა. ქვეყნების უმეტესობა არ ცნობს ასეთ პრაქტიკას, მაგრამ სასამართლო პრეცედენტების მიხედვით გვხვდება საკითხის მოწესრიგების მაგალითები მრავლობითი პრიორიტეტის სასარგებლოდ.

საგამოფენო პრიორიტეტის უფლება

პარიზის კონვენციის დაფუძნების ერთ-ერთი მიზეზი გამოფენაზე სამრეწველო საკუთრების ექსპონატების დაუცველობა იყო და ამდენად ეს დებულება თავიდანვე, 1883 წლიდანვე მოქმედებს. კონვენციის მეთერთმეტე მუხლის თანახმად, მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან მიანიჭონ ოფიციალურ ან ოფიციალურად ცნობილ გამოფენაზე ექსპონირებულ გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს, სამრეწველო ნიმუშებს, სასაქონლო ნიშნებს დროებითი დაცვა, ამასთან, დროებითი დაცვის საშუალებანი უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით. შეიძლება დაწესდეს საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის უფლება ადრე განხილული საკონვენციო პრიორიტეტის მსგავსად. ასეთი უფლება დროებითია, რადგან იგი იწურება, თუ მისით სარგებლობის უფლება არ განხორციელდა რაღაცა დროის ვადაში, მაგალითად, გამოფენის დამთავრებიდან ექვს თვეში.

ქვეყნებს უფლება აქვთ დააწესონ პატენტუნარიანი ობიექტების დაცვის სხვაგვარი საშუალება, მაგალითად, დაადგინონ, რომ ექსპონირება არ აბათილებს გამოგონების სიახლეს და რომ ექსპონირებული ობიექტის გამოყენება უნებართვოდ აკრძალულია. ასევე, ექსპონატის მფლობელს შეიძლება დაუწესდეს პირველი მოსარგებლის უფლება, რაც დაუპირისპირდება მესამე პირთა შესაძლო უფლებებს. საქართველოს საპატენტო კანონის 30(2)-ე მუხლით დაწესდა საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის უფლება, რომლის გამოყენებაც დაშვებულია ობიექტის ექსპონირების დღიდან 6 თვის განმავლობაში.

გარდა ამისა, საქართველოს საპატენტო კანონის მე-15 მუხლი ადგენს, რომ სიახლეს ვერ გააბათილებს ინფორმაციის გახსნა განაცხადის შეტანის თარიღამდე, თუ ინფორმაცია გავრცელდა ამ თარიღამდე არა უმეტეს 12 თვით ადრე – გამოგონებისათვის და არა უმეტეს 6 თვით ადრე – სასარგებლო მოდელისა და სამრეწვე-

ლო ნიმუშისათვის. როგორც ვხედავთ, მოცემული ვადები უდრის ან აღემატება საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის ვადებს. ამდენად, ნორმა საგამოფენო პრიორიტეტის შესახებ ზედმეტად გვეჩვენება, რადგან მისი შინაარსი ის არის, რომ არ გაბათილდეს განცხადებული ობიექტის სიახლე და არ მოისპოს პატენტის მიღების შესაძლებლობა. ამასვე ემსახურება შეღავათიანი პერიოდის დადგენა საპატენტო კანონის მე-15 მუხლის თანახმად, რომელიც ვრცელდება და ფარავს საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის დადგენილ ვადებს.

რა სახის გამოფენაა ესა თუ ის გამოფენა, წყვეტს შესაბამისი ქვეყნის სასამართლო, ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო. გამოფენების განმარტება მოყვანილია კონვენციაში საერთაშორისო გამოფენების შესახებ, რომელიც დაიდო პარიზში 1928 წლის 22 ნოემბერს. გამოფენა ოფიციალურია, თუ ის მოწყობილია სახელმწიფოს ან საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანოს მიერ. გამოფენა ოფიციალურადაა მიჩნეული თუ იგი ასეთად მიიჩნია სახელმწიფომ ან საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანომ. გარდა ამისა, დროებითი დაცვის უფლებით სარგებლობისთვის გამოფენა საერთაშორისო უნდა იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი განმარტებების განუსაზღვრელობის გამო, ზოგიერთი ქვეყანა ატყობინებს საერთაშორისო ბიუროს იმ გამოფენების დასახელებას, რომლებზედაც სურს გაავრცელოს დროებითი დაცვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პარიზის კონვენცია ეხება აგრეთვე სამრეწველო საკუთრების ისეთი ობიექტების დაცვის საკითხებს, როგორიცაა სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა და სხვა, რომელთა კონკრეტული განხილვა ამ წიგნში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

პატენტებისა და ნიშნების დამოუკიდებლობა

პატენტებისათვის ეს პრინციპი გადმოცემულია კონვენციის მე-4ბის მუხლში, ნიშნებისათვის კი მეექვსე მუხლში. დაწესებულია, რომ უფლებების გაფორმებისას და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნებისას გამოიყენება მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა, ანუ მოქმედებს ეროვნული რეჟიმი. არც პატენტის და არც ნიშნის ბედი არ არის დამოკიდებული სხვა ქვეყანაში ამავე გამოგონებაზე, პატენტის გაცემა არ გაცემის ან ნიშნის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტაზე. თუ ერთმა ქვეყანამ უარი თქვა პატენტის გაცემაზე, ან ნიშნის რეგისტრაციაზე, ეს არ ავალდებულებს

სხვა მონაწილე ქვეყანას იგივე გადაწყვეტილება გამოიტანოს. ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში ერთ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე გაცემული პატენტები ისევე, როგორც რეგისტრირებული ნიშნები, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელია. კონვენცია აკონკრეტებს, რომ პატენტს, რომელიც გაიცემა საკონვენციო განაცხადის საფუძველზე, მოქმედების ვადა უნდა აითვალოს ისე, რომ საკონვენციო პრიორიტეტის თარიღი არ იქნეს მიღებული მხედველობაში.

პრიორიტეტის მოთხოვნისათვის უნდა შესრულდეს კონვენციის მონაწილე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დაწესებული ფორმალური მოთხოვნები. აუცილებელ მოთხოვნათა რიცხვს განეკუთვნება განმცხადებლის ვალდებულება მიუთითოს პირველი განაცხადის წარდგენის თარიღი და ქვეყანა. აგრეთვე, დასაშვებია მოთხოვნილ იქნეს პირველი განაცხადის ნომრის ჩვენება, როგორც აუცილებელი პირობა. გარდა ამისა, ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება დააწესოს პირველი განაცხადის ასლის (დამოწმებული შესაბამისი ქვეყნის უწყების მიერ) და მისი თარგმანის წარდგენის აუცილებლობა. ამ ასლის წარდგენისათვის არ შეიძლება დაწესდეს ლეგალიზაცია, ხოლო წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები პრიორიტეტის მოთხოვნის სურვილით განაცხადის მიწოდების დღიდან.

აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტის უფლებაზე უარის თქმა ვერ გამოიწვევს სასაქონლო, ან მომსახურების ნიშნის რეგისტრაციის უარყოფას, აგრეთვე, პატენტის გაცემაზე უარის თქმას.

იმ ქვეყნებისათვის, სადაც პატენტი მოქმედებს ეროვნული კანონმდებლობით, საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანიდან პატენტის მოქმედების ვადა უნდა აითვალოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით. მაგალითად, საქართველოში ასეთი პატენტი (ისევე როგორც არასაკონვენციო) იმოქმედებს "საქპატენტში" განაცხადის მიწოდების დღიდან (მიუხედავად საკონვენციო პრიორიტეტისა, რომელიც უფრო ადრინდელი თარიღი იქნება).

ასეთივე წესი ვრცელდება სასაქონლო ნიშნებზე.

აგრეთვე, არ შეიძლება გაბათილდეს პატენტი ან ნიშნის რეგისტრაცია სხვა ქვეყანაში გაბათილების გამო.

გამომგონებლის უფლება სახელის მოხსენიებაზე

კონვენციის მე-4ter მუხლი ეხება კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს და აწესრიგებს გამოგონების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების ავტორების პირადი არაქონებრივი უფლების დაცვის პრობლემას. გამომგონებლის ეს უფლება კონვენციაში დაფიქსირდა ლონდონის 1934 წლის კონფერენციაზე. გამომგონებელს შეუძლია მოითხოვოს მისი სახელის მითითება პატენტში. ამ უფლების განხორციელება მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც პატენტი სხვა პირზე გაიცემა, რაზედაც გამომგონებლის თანხმობა არსებობს. მოცემული წესი ეფუძნება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომლის მიხედვითაც პირადი არაქონებრივი უფლებები, კერძოდ, ავტორობისა და სახელის უფლება, განუსხვისებელი უფლებებია და ქონებრივი უფლებების გადაცემა პირადი არაქონებრივი უფლებების გადაცემას ვერ გამოიწვევს. გამომგონებლის მორალური უფლებების დაცვის მოცემული ნორმა პარიზის კონვენციას ჰარმონიულს ხდის ბერნის კონვენციასთან და ხაზს უსვამს ავტორობის უფლების ერთიან ბუნებას განურჩევლად იმისა, ავტორი გამომგონებელია, თუ მწერალი ან კომპოზიტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, გამომგონებელს უფლება აქვს მოითხოვოს სახელთან დაკავშირებული ყველა უფლების გამოყენება. ჩვენი აზრით, პარიზის კონვენციის მოცემული ნორმა გამომგონებლის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველია.

გარდა აღნიშნულისა, ბერნის კონვენციის მსგავსად, პარიზის კონვენცია უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ გამომგონებელი ანონიმად დარჩეს, რაც მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული. ბერნის კონვენციისაგან განსხვავებით, ანონიმად დარჩენა საპატენტო ქონებრივი უფლებების დაცვის ვადებსა და მათ ათვლაზე გავლენას ვერ იქონიებს.

იძულებითი ლიცენზია

შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს ეკუთვნის უფლება, რომლის არსი ის გახლავთ, რომ თუ პატენტი არ გამოიყენება, ან არასაკმარისად გამოიყენება, დააწესოს იძულებითი ლიცენზიის გაცემის რეჟიმი. საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად იძულებითი ლიცენზია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს აგრეთვე ისეთი პატენტის მფლობელის მიერ, რომელმაც თავისი

გამოგონების გამოყენებით შეიძლება დაარღვიოს სხვა პატენტიდან გამომდინარე უფლებები. ეს წესი არ ეწინააღმდეგება პარიზის კონვენციას და იმავდროულად თანხმობაშია საპატენტო დაცვის თანამედროვე ტენდენციებთან. ამ უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ – განაცხადის მიწოდებიდან არაუადრეს 4 წლისა, ან პატენტის გაცემიდან – 3 წლისა. ამასთან, პატენტმფლობელს უნდა მიეცეს გონივრული გასამრჯელო. ასეთი წესით გაცემული იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება იყოს განსაკუთრებული. დაუშვებელია ლიცენზიატის მიერ მისი გადაცემა ან სუბლიცენზიის გაცემა. კონვენციის მე-5(4) მუხლი გამონაკლისს აწესებს. იძულებითი ლიცენზია შეიძლება იქნეს გადაცემული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა ხდება საწარმოსთან, ან გუდვილთან ერთად. გვინდა აღვნიშნოთ, რომ პარიზის კონვენციის რუსული ოფიციალური ტექსტის მე-5(4) მუხლის ბოლო ოთხი სტრიქონი საპირისპიროდ იკითხება, ამასთან მასში, საერთოდ არ არის მოხსენიებული გუდვილი. ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ეს საკითხი და აღმოჩნდა, რომ ორიგინალში (ფრანგული ტექსტი) და ინგლისურ ოფიციალურ ტექსტში გუდვილი აუცილებლად ფიგურირებს. თუ საქართველოში მოსამართლეს საკითხის განსჯა, მოუხდება პარიზის კონვენციის მოცემული მუხლის გამოყენებით, მაშინ ის არ უნდა დაეყრდნოს რუსულ ოფიციალურ ტექსტს, რადგან ის მცდარია. უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ან ამ წიგნში წარმოდგენილი კონვენციის ქართული თარგმანი (სანამ ოფიციალური ქართული თარგმანი არ არსებობს), ან ფრანგული, ან ინგლისური ტექსტი.

საპატენტო უფლებების გაუვრცელებლობა საერთაშორისო ტრანსპორტზე

თუ გამოგონების გამოყენება აუცილებელი გახდა მაშინ, როდესაც სატრანსპორტო საშუალება დროებით იმყოფება ან ტრანზიტით გადააქვს მოცემულ ქვეყანაში დაპატენტებული პროდუქცია, პატენტმფლობლისაგან რაიმე წინასწარი ნებართვის ან ლიცენზიის აღება საჭირო არ არის.

ნიშნის გამოყენება

სასაქონლო ნიშნების აუცილებელ გამოყენებას, გამოყენების ფორმასა და თანამფლობელთა მიერ გამოყენებას ეხება კონვენციის მეხუთე მუხლი. ამ მუხლის დებულებების მისადაგება მომსახურე-

ბის ნიშნებისათვის სავალდებულო არ არის მონაწილე ქვეყნებისათვის და მხოლოდ მათ ეროვნულ კანონმდებლობაზეა დამოკიდებული.

ნიშნის აუცილებელი გამოყენების მოთხოვნას კონვენცია არ შეიცავს, მაგრამ მოითხოვს, რომ თუ ეროვნული კანონმდებლობა ამას აწესებს, მაშინ მფლობელს უნდა მიეცეს გონივრული დროის პერიოდი და საშუალებანი. ამ პერიოდის გასვლამდე, ნიშნის რეგისტრაცია ვერ გაუქმდება. ამასთან, ნიშნის გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მფლობელი ვერ მოიტანს პატივსადებ არგუმენტებს უმოქმედებასთან დაკავშირებით. საპატიო მიზეზია, მაგალითად, ნიშნის გამოუყენებლობა ქვეყანაში შესაბამისი საქონლის წარმოების ან იმპორტირების აკრძალვის გამო.

მოცემული მუხლი უშვებს, რომ მფლობელმა გამოიყენოს რეგისტრირებულისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებული საკუთარი ნიშანი. განსხვავებებმა არ უნდა გამოიწვიოს ნიშნის დამახასიათებელი ორიგინალურობის ცვლილება, რათა არ გახდეს მისი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

დაშვებულია თანამფლობელთა მიერ ერთი და იგივე ნიშნის ერთსა და იმავე საქონელზე (ან მსგავს საქონელზე) ერთდროული გამოყენება. ასეთი გამოყენება ნიშნის რეგისტრაციას ვერ დააბრკოლებს.

ალ:ნიშნის ერთდროული გამოყენება აკრძალულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს შეცდომაში შემყვანია ან საზოგადოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება. როგორც მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, ლიცენზიატსა და ნიშნის მფლობელს ნიშნის ერთდროულად გამოყენების უფლება არა აქვთ. ეს უფლება მხოლოდ ნიშნის თანამფლობელებზე ვრცელდება. ნიშნების რეგისტრაცია დამოკიდებული არ არის იმაზე, დაიტანს მფლობელი საქონელზე რაიმე ინფორმაციას ნიშნის შესახებ (მაგალითად "რეგისტრირებულია" ან "განაცხადი წარდგენილია და განიხილება უწყების მიერ"), თუ არა. ეროვნულმა კანონებმა შეიძლება გაითვალისწინოს სხვა შედეგები ნიშნის შესახებ ინფორმაციის არ მითითებისა, მაგალითად, დააწესონ, რომ ზიანის ანაზღაურება შეიძლება იყოს დამოკიდებული აღნიშნულ ფაქტზე.

ნიშნების რეგისტრაციის ძალაში შენარჩუნებისათვის დაწესებული საფასურების გადასახდელად გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 6-თვიანი საშეღავათო პერიოდი. ითვლება, რომ ამ პერიოდში უფლება ნიშანზე მოქმედებს დროებით. ამავე მუხლში

პატენტების აღდგენის შესაძლებლობა დაშვებულია უფლებათა დაკარგვის შემდეგ, რაც არ ვრცელდება სასაქონლო ნიშნებზე.

საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები

კონვენციის 6ბის მუხლი ავალებს მონაწილე ქვეყნებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვას. ქვეყნებმა უნდა უარყონ განაცხადი, გააბათილონ რეგისტრაცია და აკრძალონ ისეთი ნიშნის გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა ამ ქვეყანაში მოქმედ საყოველთაოდ ცნობილ ნიშანთან. კონვენციის ამ დებულების შინაარსი ის არის, რომ საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციის გარეშეც უნდა იყოს დაცული. საყოველთაოდ ცნობილ ნიშანს შესაბამისად მაღალი რეპუტაციაც გააჩნია და ამიტომ არის აუცილებელი მასზე გამორჩეული დაცვის რეჟიმის გავრცელება. ამ დებულების მართებულობა იმითაც დასტურდება, რომ თუ მოხდება ცნობილი ნიშნის მსგავსი ან იდენტური ნიშნის რეგისტრაცია ან გამოყენება, მაშინ ცხადია იქნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი, რაც ფრიად მავნე იქნება თავად საზოგადოებისათვის. მაგალითად, ლაღიძის წყლების აღმნიშვნელი ნიშანი რომ სხვამ გამოიყენოს, უდავო იქნება ზიანი როგორც მესაკუთრისთვის, ასევე საზოგადოებისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ წყლის ხარისხი სრულიად სხვა იქნება.

ცნობილია თუ არა, ესა თუ ის ნიშანი ქვეყანაში, წყვეტს შესაბამისი სასამართლო ან კომპეტენტური სხვა ორგანო, მაგალითად, საქართველოს საპატენტო უწყება. აუცილებელი არ არის მოცემულ ქვეყანაში ცნობილი ნიშნით მარკირებული საქონლით ინტენსიური ვაჭრობა ფაქტი იყოს. ნიშანი შეიძლება ცნობილი გახდეს ამ ქვეყანაში რეკლამის გაწევის ხარჯზე ან სხვა ქვეყანაში გაჩაღებული სარეკლამო კომპანიის მეშვეობით. მაგალითად, საქართველოში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ კოკა-კოლას სასმელები არ იყიდებოდა, მაგრამ ნიშანი საყოველთაოდ იყო ცნობილი, ალბათ, უკვე 60-იანი წლებიდან.

თუ მოხდა ცნობილი ნიშნის იდენტური, ან მსგავსი ნიშნის რეგისტრაცია, მაშინ უნდა დადგინდეს არანაკლებ ხუთწლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ცნობილი ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს სადავო რეგისტრაციის გაუქმება. ეს პირობა არ არის საჭირო, თუ რეგისტრაცია მოტყუების გზით იქნა განხორციელებული, მაშინ შედავების ვადა განუსაზღვრელია.

სახელმწიფო გერბის, კონტროლის ოფიციალური დამღისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ემბლემის ნიშნებში გამოყენების აკრძალვა

პარიზის კონვენცია მუხლით 6ტერ კრძალავს სახელმწიფო გერბის, კონტროლის ოფიციალური დამღის ან საერთაშორისო ორგანიზაციათა ემბლემის რეგისტრაციას, ან ავალებს ქვეყნებს რეგისტრაცია ცნონ ბათილად, ან აკრძალონ მათი გამოყენება სასაქონლო ნიშნად, ან მის ნაწილად. ეს ქმედება აკრძალულია, თუ არ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის ნებართვა.

თუ არსებობს შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ნებართვა ამ სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენებაზე, მაშინ კონვენციის ეს დებულება არ გამოიყენება. ანალოგიური სიტუაციაა საერთაშორსო ორგანიზაციების ემბლემების მიმართაც.

პარიზის კონვენცია კრძალავს აგრეთვე, საერთაშორსო ორგანიზაციების სრული ან შემოკლებული სახელწოდების გამოყენებას. ეს პირობა ვრცელდება იმ საერთაშორსო ორგანიზაციების მიმართ, რომელთა მონაწილე კავშირის ერთი სახელმწიფო მაინც არის. მაგალითად, ასეთებს განეკუთვნება "WIPO", "UNESCO", "NATO" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ, თუ შესაბამისი ქვეყნის სიმბოლიკის გამოყენების ნებართვა არსებობს, მაშინ მათი გამოყენება ვერ აიკრძალება სხვა სახელმწიფოს სიმბოლიკასთან მსგავსების ან იდენტურობის გამო. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეს, თუ მას შესაბამისი ნებართვა გააჩნია, ვერ აუკრძალავენ აშშ-ს ტერიტორიაზე სიტყვა "GEORGIA"-ს გამოყენებას.

პარიზის კონვენციის ამ დებულების ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით შემოღებულია პროცედურა, რომლის თანახმადაც მონაწილე ქვეყნებისა და საერთაშორსო ორგანიზაციების სიმბოლიკა ეგზავნება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს, რომელიც მათ გამოსახულებას ავრცელებს პარიზის კავშირის ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა, სხვადასხვა მიზეზებით, ჯერ საერთაშორისო ბიუროში გაგზავნილი არ არის.

ნიშნის გადაცემა

პარიზის კონვენციის მე-6quater მუხლი ადგენს, რომ, თუ ქვეყანაში ნიშნის გადაცემა დაკავშირებულია სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოს ერთდროულად გადაცემასთან, მაშინ საკმარისია მოცემულ ქვეყანაში განლაგებული საწარმოს ან გუდვილის გადაცემა. ადრე აღნიშნული ნიშნების დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მფლობელი არ არის ვალდებული ნიშნის გადაცემასთან ერთად გადასცეს სხვა ქვეყანაში განლაგებული მისი საწარმოს ნაწილი. ანუ, ერთ ქვეყანაში ნიშნის ან საწარმოს (ან მისი ნაწილის) გადაცემა არ იწვევს ასეთი ქმედების განხორციელების ვალდებულებას სხვა ქვეყანაში. ეს დებულება ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომელთა კანონმდებლობა ავალებს ნიშნის მფლობელს ერთდროულად გადასცეს სასაქონლო ნიშანი და საწარმო.

ქვეყნები არ არიან ვალდებულნი გაავრცელონ აღნიშნული პრინციპი მომსახურების ნიშნებზე, მაგრამ არც აკრძალულია, თუ ამას ეროვნული კანონი გაითვალისწინებს.

საქართველოს კანონმდებლობით ნიშნის გადაცემასთან ერთად არ მოითხოვება საწარმოს ან მისი ნაწილის გადაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის კონვენციის განხილული ნორმა უკვე მოძველდა, რადგან დღევანდელი საერთაშორისო ხელშეკრულებები მიმართულია იქით, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემა არ იყოს დამოკიდებული საწარმოს გადაცემაზე.

პარიზის კონვენციის წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ არ ცნონ ნამდვილად საწარმოსთან ერთად ნიშნის გადაცემა, თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ახალი მფლობელის მიერ იწვევს, ან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, მაგალითად, ნაწარმის თვისებების შესახებ. ასეთი ვითარება შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ნიშანი გადაეცემა საქონლის რაღაც გარკვეულ ნაწილზე, რის გამოც წარმოიშობა სიტუაცია, როდესაც ნიშანს ერთდროულად იყენებს ძველი და ახალი მფლობელი. მიუხედავად იმისა, რომ ნიშანი გამოიყენება განსხვავებული ნაწარმისათვის, მომხმარებელმა საქონლის ხარისხი უნებლიედ შეიძლება ისევ ძველ მფლობელს დაუკავშიროს. თუ ძველი მფლობელის საქონელი მაღალი ხარისხით ხასიათდება, ხოლო ახალი მფლობელის ნაწარმის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის მისი დონისა, მაშინ, გასაგებია, მყიდველი შეიძლება მოტყუვდეს.

ტელ-კელი (TELLE QUELLE)

პარიზის კონვენციის მე-6ქუინქუიეს მუხლი ნიშნის მფლობელის სასარგებლოდ ითვალისწინებს კიდევ ერთ საშეღავათო პირობას, რომელიც ეხება უკვე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს. როდესაც სხვა ქვეყანაში მოითხოვება ისეთი ნიშნის რეგისტრაცია, რომელიც საკუთარ ქვეყანაში უკვე რეგისტრირებულია, მაშინ, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილ მასალებში ნიშანმა ცვლილება არ განიცადა, იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში კონვენციის ამ დებულების თანახმად. ეს დებულება ძალაშია მაშინაც, როცა ეროვნული კანონმდებლობით ამგვარი ნიშნის დაცვა გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ციფრობრივი ნიშნების რეგისტრაციას, მაგრამ იძულებული იყო ამ დებულების თანახმად, რომელიც ნიშნის უცვლელობას ითვალისწინებს და "ტელ-კელის" პრინციპად არის ცნობილი, რეგისტრაციაში გაეტარებინა ციფრებისაგან შემდგარი ნიშანი ასევე, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია რეგისტრაცია ისეთი ნიშნებისა, რომლებიც მიუთითებენ საქონლის წარმოების ან გასაღების ადგილზე. ასეთი აღნიშვნა შეიძლება იყოს მხოლოდ გეოგრაფიული დასახელება. მიუხედავად ამ აკრძალვისა, "საქპატენტში" "ტელ-კელის" პრინციპის გავლენით ხდება ზოგიერთი ასეთი ნიშნის რეგისტრაცია, მაგალითად, რეგისტრაციაში გატარდა "ნიუპორტი", "ნევადა" და სხვა.

ეს პრინციპი ვერ გავრცელდება ისეთ ნიშანზე, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით სასაქონლო ნიშნად ვერ განიხილება. მაგალითად, თუ სამგანზომილებიანი ობიექტი ან ბგერითი აღნიშვნა სასაქონლო ნიშნად არ მიიჩნევა, მაშინ ქვეყანა ვალდებული არ არის დაემორჩილოს ტელ-კელის პრინციპს. ეს პრინციპი ასევე ვერ გავრცელდება ისეთ ნიშანზე, რომელიც არ აკმაყოფილებს განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმს. გარდა ამისა, უარი ეთქმევა ისეთ ნიშანსაც (დაცვის თაობაზე), რომელიც ეწინააღმდეგება მოცემული ქვეყნის მორალს, ან საზოგადოებრივ წესრიგს. ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება მაშინაც, თუ იგი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწევის მიზეზი ხდება. გარდა აღნიშნულისა, ამ პრინციპის პირობით ნიშანი დაცვას არ დაექვემდებარება, თუ მისი გამოყენება არღვევს სხვა პირის უფლებებს სასაქონლო ნიშანზე ან სხვა უფლებებს, მაგალითად, საფირმო სახელწოდებაზე ან საავტორო უფლებებს.

ტელ-კელის პრინციპით ვერ ისარგებლებს პირი, რომლის ნიშანი არ არის რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი, რომელსაც განსაკუთრებული უფლება მოპოვებული აქვს წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ ნიშანი არ არის ამ ქვეყანაში რეგისტრირებული, სხვა ქვეყანაში განსაკუთრებული უფლებების მოსაპოვებლად პარიზის კონვენციის ამ პრინციპს ვერ დაეყრდნობა.

მფლობელის ნებართვის გარეშე ნიშნის რეგისტრაცია აგენტის მიერ

კონვენციის მუხლი ნსეპტიეს ადგენს, რომ, თუ ნიშნის მფლობელის აგენტმა, ან სხვა მისმა წარმომადგენელმა მიაწოდა განაცხადი ნიშნის რეგისტრაციაზე, ან გაატარა რეგისტრაციაში ნიშანი თავის სახელზე, მფლობელის თანხმობის გარეშე, მაშინ ნიშნის მფლობელს უფლება აქვს წინ აღუდგეს რეგისტრაციას, ან მოითხოვის რეგისტრაციის გაბათილება. მფლობელს ასევე უფლება აქვს შეეწინააღმდეგოს ნიშნის უნებართვო გამოყენებას. ამასთან, ნიშნის მფლობელს უნდა დაუდგინდეს გარკვეული დრო აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად. კონვენცია ნიშნის მფლობელად თვლის ნებისმიერ პირს, რომელსაც მოპოვებული აქვს განსაკუთრებული უფლება კონვენციის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის იმ ქვეყანაში, სადაც აგენტმა, ან წარმომადგენელმა მიაწოდეს განაცხადი, ან უკვე მოასწრეს რეგისტრაცია. აღნიშნული ვითარება გამორიცხული არ არის, რადგან რიგი ქვეყნებისა არ ატარებს ექსპერტიზას ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით და ნიშანს არეგისტრირებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შემდეგ.

დასაშვებია აგრეთვე, რომ ნიშნის მფლობელმა მოითხოვოს აგენტის, ან წარმომადგენლის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი, ან რეგისტრირებული ნიშნის თავის სახელზე რეგისტრაცია.

საქონლის ნაირსახეობა, რომლისთვისაც გამოიყენება ნიშანი

საქონლის სახეობას ნიშნის რეგისტრაციაზე გავლენა არ უნდა ჰქონდეს, ასეთია კონვენციის კიდევ ერთი სავალდებულო დებულების შინაარსი, რომელიც მოცემულია მის მეშვიდე მუხლში. არა აქვს მნიშვნელობა დაშვებულია თუ არა მოცემულ ქვეყანაში რომელიმე საქონლით ვაჭრობა. ასევე, თუ საქონელი ისეთი ხარისხისაა, რომ ვერ პასუხობს უსაფრთხოების დაცვის პირობებს, ნიშანი

უნდა გატარდეს რეგისტრაციაში საქონელზე ვაჭრობის გაცემის ნებართვისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ ქვეყანაში აკრძალულია იარაღით ან ძვირფასი ლითონებით ვაჭრობა, ამ საქონლის მიმართ სასაქონლო ნიშანს დაცვა მაინც უნდა მიეცეს და გატარდეს რეგისტრაციაში. დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს და დაიშვას ასეთი საქონლით ვაჭრობა, მაშინ ნიშნის მფლობელის უფლებები უკვე მოპოვებული იქნება და იგი არ დაზარალდება, რაც მოხდებოდა, თუ ნიშანი რეგისტრაციაში არ გატარდებოდა.

პროდუქციის დაყადაღება

პარიზის კონვენცია მასში მონაწილე ქვეყნებისაგან ითხოვს, რომ არ იქნეს დაშვებული ქვეყანაში ისეთი საქონლით ვაჭრობა, რომელზეც არაკანონიერად გამოიყენება სასაქონლო ნიშანი, ან საფირმო სახელწოდება. მე-9 მუხლის თანახმად, ყოველი ასეთი საქონელი უნდა იქნეს დაყადაღებული ქვეყანაში შეტანისას. თუ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასეთ სანქციას, მაშინ ქვეყანამ უნდა აკრძალოს ასეთი საქონლის შეტანა, ან გაითვალისწინოს საქონლის ქვეყნის შიგნით დაყადაღება. ტრანზიტით გამავალი საქონელი ასეთ სანქციებს შეიძლება არ დაექვემდებაროს.

ამ მუხლით მოცემული სანქციების გატარება მოითხოვება ეროვნული რეჟიმის შესაბამისად.

კონვენციის დანარჩენი დებულებები ეხება პარიზის კავშირის ადმინისტრაციული ორგანოების დაფუძნებასა და ფუნქციონირებას, ქვეყნების მიერთებას, ფინანსებს და ა.შ., რომელთა დაწვრილებითი განხილვა მიზნად არ დაგვისახავს. თუ მკითხველი დაინტერესდება აღნიშნული ნორმებით შეუძლია უშუალოდ გაეცნოს მათ ამ წიგნში მოყვანილი პარიზის კონვენციის ტექსტის წაკითხვით.

თავი 38. შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია)

მომიჯნავე უფლებების დაცვა უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. რადიომაუწყებლობისა და ფონოჩანაწერების (გრამოფონის ფირფირტების სახით) ცხოვრებაში შემოსვლამ თავიდან შემსრულებელს დიდი პერსპექტივები გაუჩინა მისი შესრულებების საზოგადოებისათვის ფართოდ გაცნობის კუთხით. კერძოდ, შესაძლებელი გახდა მუსიკალური და სხვა სახის შესრულების ჩაწერა, ამ ჩანაწერის შენახვა და შემდგომი გავრცელება შემსრულებლის მონაწილეობის გარეშე. შემსრულებლის სახელი გაცილებით უფრო სწრაფად ხდებოდა ცნობილი და პოპულარული დიდ ტერიტორიებზე, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. ეს ვითარება შემსრულებლის პირად ამბიციებს აკმაყოფილებდა და ამ კუთხით დადებითი მოვლენა იყო. მაგრამ, ვითარებამ მეორე მხარე წამოსწია წინ, რომელიც შემსრულებელთა ქონებრივ მდგომარეობას უკავშირდება. იმის გამო, რომ არსებობდა ჩაწერილი შესრულება და მისი შემდგომი შესრულება გრამოფონის ან რადიომაუწყებლობის მეშვეობით აღარ იყო შემსრულებელზე მიბმული თავად შემსრულებელს ნაკლებად თხოვდნენ აუდიტორიის წინაშე გამოსვლას, რაც განაპირობებდა საქმებიანობისა და საარსებოდ მნიშვნელოვანი შემოსავლის დიდი წილის დაკარგვას. ასეთმა მდგომარეობამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური კრიზის გათვალისწინებით უარყოფითი გავლენა იქონია შემსრულებელთა პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით – მათ წრეში უმუშევრობამ კატასტროფულად დიდი მასშტაბები მიიღო. წარმოქმნილი ვითარების გამოსასწორებლად შემსრულებელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციები ავანგარდში ჩაუდგნენ შემსრულებლებისათვის ეთერში გადაცემასთან და ჩაწერასთან დაკავშირებულკი ქონებრივი უფლებების დაწესების მოძრაობას. შემდგომ მაუწყებლობის ორგანიზაციებისთვის და ხმის ჩანაწერების დამამზადებლებისათვისაც იჩინა ანალოგიურმა პრობლემებმა – ჩანაწერებისა და საეთერო გადაცემების ხელახალი ჩაწერისა და აღნიშნული სუბიექტების ჩარევისა და ნებართვის გარეშე სარფიანი საქმიანობის გაჩაღების შესაძლებლობა გაჩნდა, რამაც სულ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა ტე-

ქნიკური საშუალებების სრულყოფასთან ერთად. ასეთი ორგანიზაციების ინტერესების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობაც დღის წესრიგში დადგა.

პირველი შემოთავაზებები მიმართული იყო შემსრულებლებისათვის რაიმე სპეციალური უფლებების შემოღებისაკენ. ასეთივე წინადადებები იქნა გამოთქმული ხმის ჩამწერი და სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის. საკითხის მოწესრიგების მცდელობა მიმდინარეობდა როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო ნორმების შემუშავების საშუალებით.

ეროვნული კანონებიდან პირველი, რომელმაც ახალი უფლებების დაცვა გაითვალისწინა იყო 1911 წლის ინგლისის კანონი საავტორო უფლებების შესახებ (The Copyright Act). ინგლისის მიერ გაკვალულ გზას საერთო სამართლის ოჯახის სხვა ქვეყნებიც მიჰყვა. საკითხის მოწერიგება კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც მიმდინარეობდა – 1936 წელს ავსტრიამ მიიღო ახალი კანონი, რომელმაც შემსრულებლების, ხმის ჩამწერი და საეთერო სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის სპეციალური უფლებები დააწესა. ასეთივე კანონი იტალიამაც მიიღო 1941 წელს. როგორც ვხედავთ ორი მიმართულება გამოიკვეთა: საერთო სამართლის ქვეყნებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საავტორო კანონმდებლობით დაეცვათ შემსრულებელთა და შესრულების გამავრცელებელთა ხელშემწყობი ორგანიზაციების უფლებები (ფონოჩანაწერი და გადაცემა საავტორო უფლებათა ობიექტად იქნა მიჩნეული). ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ კი სპეციალური კანონები შემოიღო და ამით აღნიშნული სუბიექტების უფლებები სპეციალურ "შუი გენერის" რეჟიმს დაუქვემდებარა. ამით შემსრულებლის, ხმის ჩამწერთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებები საავტოროსგან განსხვავებულ უფლებებად ცნო.

გი: საერთაშორისო დონეზე თავდაპირველი შეთავაზებები საერთო სამართლის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის ანალოგიური იყო და ითვალისწინებდა შემსრულებლების, ხმის ჩამწერი და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებების დაცვას საავტორო სამართლის ნორმებით. კერძოდ, საკითხი მსჯელობის საგანი იყო ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციით დაფუძნებული კავშირის 1928 წელს რომში გამართულ დიპლომატიურ კონფერენციაზე. კონფერენციამ აღნიშნულ სუბიექტთა დაცვა ბერნის კონვენციის საგნად ვერ მიიჩნია, მაგრამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლითაც ქვეყნებს ეთხოვათ

მიეღოთ ქმედითი სამართლებრივი ზომები შემსრულებელთა უფლებების დაცვისათვის.

პრობლემის მოგვარებას მცდელობას არც საზოგადოებრივი და პროფესიული ორგანიზაციები აკლებდნენ. 1934 წელს ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების კონფედერაციამ ხელი მოაწერა შეთანხმებას გრამოფონების ინდუსტრიის საერთასორისო ფედერაციასთან, რომელიც ითვალისწინებდა ბერნის კონვენციის მომავალი რევიზიის დროს ამ კონვენციის დანართის შეთავაზებას. დანართით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ფონოგრამების დაცვა მათი უნებართვოდ გამრავლებისაგან და ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ანაზღაურების უფლების დაწესებას, რომელიც ფარდი უნდა ყოფილიყო ფონოგრამის საზოგადოებამდე დაყვანის (იმხანად მაუწყებლობის ან კინემატოგრაფიის მეშვეობით) მასშტაბისა. როგორც ვხედავთ ეს ორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ფონოგრამის დამამზადებელთა ინტერესების დაცვას ცდილობდა. შემსრულებელთა ინტერესების გამომხატველად უპირველესად შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მოგვევლინა, რომელიც პრობლემების მოწესრიგებას ყურადღებას 1926 წლიდან უთმობდა. 1939 წელს ამ ორგანიზაციამ ბერნის კავშირის ბიუროსთან ერთად შეიმუშავა შესაბამისი წინადადებები. საკითხის საერთაშორისო კუთხით მოგვარება გაგრძელდა მსოფლიო ომის შემდეგ. სპეციალისტთა სხვადასხვა კომისიებმა შეიმუშავა კონვენციის პროექტები, სადაც გათვალისწინებული იყო სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებებიც, რომელთა ინტერესებიც ასევე სულ უფრო და უფრო ზიანდებოდა ინფორმაციის გამრავლებისა და კვლავწარმოების ახალი ტექნოლოგიური საშუალებების შესაძლებლობების დარად. ეს პროექტები იყო: 1951 წლის რომის პროექტი; 1957 წლის პროექტი, შემუშავებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თაოსნობით; 1957 წლის კიდევ ერთი – მონაკოს პროექტი, შემუშავებული ბერნის კავშირის საერთაშორისო ბიუროსა და იუნესკო-ს მიერ შექმნილი სპეციალისტთა ჯგუფის მიერ; ჰააგის 1960 წლის პროექტი, რომელიც შემუშავდა ისმო-ს, იუნესკო-ს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწვეული სპეციალისების მიერ. საბოლოოდ ეს პროექტი გახდა 1961 წელს რომში მოწვეული დიპლომატიური კონფერენციის განხილვის საგანი, სადაც 44-მა მონაწილე ქვეყანამ შეათანხმა შემსრულებლების, ფონოგრამის დამაზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის კონვენციის საბოლოო ტექსტი. დადების ადგილის მიხედვით მას რომის კონვენცია ეწო-

და. იგი ღია კონვენციათა რიცხვს ეკუთვნის და მისი მხარე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ბერნის კავშირის წევრია, ან საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენციის მხარეა. რომის კონვენცია იმართება ისმო-ს, იუნესკოს და შრომის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. კონვენცია ძალაში შევიდა 1964 წელს. 2006 წლის მდგომარეობით მისი მხარე ქვეყანათა რიცხვი 83-ს შეადგენდა. საქართველო რომის კონვენციის მხარე გახდა 2004 წლის 17 თებერვლიდან.

რომის კონვენციის ტექსტი თანამედროვე იურიდიული ტექნიკით არის შედგენილი და XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში დადებული სხვა საერთაშორისო აქტებისაგან, მაგალითად, ბერნის კონვენციისაგან განსხვავებით (რომელიც უფრო ორიენტირებული იყო განსხვავებული სამართლებრივი სისტემების შერიგებაზე და სახელმწიფოების მიერ ურთიერთვალდებულებების გარკვევაზე) შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც ყველა მისმა ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა ჩართოს ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, ან უზრუნველყოს პირდაპირი მოქმედება.

რომის კონვენცია შედგება 34 მუხლისაგან, რომლებიც მატერიალურ-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივი ხასიათისაა. ტექსტს წინ უძღვის პრეამბულა, რომელიც სამართლებრივ დატვირთვას არ ატარებს, სამაგიეროდ მკაფიოდ გამოხატავს კონვენციის დადების მიზანს.

კონვენციის სუბიექტები და ობიექტები

სათაურიდანვე პირდაპირ ირკვევა თუ ვინ არიან კონვენციის **სუბიექტები,** ესენია: **შემსრულებელი, ფონოგრამის დამამზადებელი და მაუწყებლობის ორგანიზაცია.**

ობიექტებიც ადვილად ამოიცნობა კონვენციის სათაურიდან. სუბიექტების საქმიანობის შედეგის მიხედვით შეიძლება გამოვარკვიოთ რომის კონვენციით დასაცავი ობიექტები. ნათელია, რომ შემსრულებელი ქმნის **"შესრულებას",** ფონოგრამის დამაზადებელი ამზადებს **"ფონოგრამას",** ხოლო მაუწყებლობის ორგანიზაცია ამზადებს **"გადაცემას".** კონვენციის მე-3 მუხლი სათაურის მიმდევრობით განსაზღვრავს იმ სუბიექტებსა და ობიექტებს, რომლებმაც შეიძლება ისრგებლონ რომის კონვენციით.

შემსრულებლად კონვენციის მიხედვით მიჩნეულია პირი, რომელიც არის მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე. ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, რადგან მითითებულია აგრეთვე, რომ შემსრულებლად მიიჩნევა სხვა პირიც, თუ ის თამაშობს როლს,

მღერის, გამოთქმით კითხულობს, წარმოთქვამს სიტყვას, უკრავს ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს. სრულიად აშკარაა, რომ შემსრულებელი ყოველთვის ფიზიკური პირია და არა აქვს მნიშვნელობა მის ასაკს ან ქმედუნარიანობას.

რომის კონვენციის ტექსტში გამოყენებული ტერმინი "ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოები" უნდა განიმარტოს ბერნის კონვენციით განსაზღვრული მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე პირი, რომელიც ნაწარმოებს არ ასრულებს არ განიხილება რომის კონვენციის სუბიექტად. ასეთ პირებად შეიძლება დასახელდეს ცირკის მსახიობები, მაგალითად, ეკვილიბრისტები ან მასხარები. მიუხედავად იმისა, რომ რომის კონვენცია აღნიშნულ პირებს თავის საუბიექტებად არ მიიჩნევს ეროვნული კანონებით მათ შეიძლება მიენიჭოს დაცვა. კონვენცია ხომ, უმეტეს შემთხვევაში, ქვეყნებს აძლევს უფლებას ჩამოაყალიბონ დაცვის უფრო ფართო რეჟიმი.

რომის კონვენციის სუბიექტები ვერ იქნებიან სპორტსმენებიც, რადგან მათაც ნაწარმოების შესრულებასთან კავშირი არა აქვთ, თუმცა შემსრულებლად შეიძლება მივიჩნიოთ ამ ცნების ფართო გაგებით.

უთითებს რა ნაწარმოების შესრულებაზე რომის კონვენცია ამყარებს კავშირს საავტორო უფლებებთან – შესრულება უნდა იყოს განხორციელებული ნაწარმოებზე დაყრდნობით. მომღერალი, ნაწარმოების მხატვრულად გადმომცემი თუ სხვა სახის მსახიობი ნაწარმოებს თავისებურად აჟღერებს, ანუ მაყურებელი და მსმენელი ნაწარმოებს აღიქვამს შემსრულებლის მიერ პიროვნულად გამოხატული სახით. იურუდიულად ეს ნიშნავს, რომ შესრულება იქმნება ნაწარმოების შექმნისათვის დამახასიათებელი ინტელექტუალური შემოქმედების მონათესავე შემოქმედების შედეგად. აღნიშნულის გათვალისწინებით და იმასთან დაკავშირებით, რომ უმეტესწილად შესრულების საგანი საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებია რომის კონვენცია გამოკვეთს მომიჯნავე უფლებების კავშირს საავტორო უფლებებთან და იმავდროულად მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან. პირველივე მუხლით გამოცხადებულია, რომ კონვენციით მინიჭებული დაცვით არ შეიძლება შეილახოს ან მიადგეს ზიანი საავტორო უფლებებს. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტთაგანია იმისა, რომ რომის კონვენციის მხარე ქვეყანა შეიძლება გახდეს თუ ის ბერნის კონვენციის მხარეა.

აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს რომ რომის კონვენციის სუბიექტი ის შემსრულებელია, რომელიც შეასრულებს საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებს. რომის კონვენციის სუბიექტი ის შემსრულებელიც არის, რომელიც მაყურებელს ან მსმენელს წარმოუდგენს შესრულებას დაფუძნებულს საავტორო უფლებებით დაცვას მოკლებულ ნაწარმოებზე, მათ შორის, ხალხური შემოქმედების ნაწარმოებზე (ფოლკლორზე).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე რომის კონვენციის სუბიექტი შემსრულებელი ის პირია, რომელიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმით აცოცხლებს ნაწარმოებს ან მოძრაობებით წარმოგვიდგენს მას. ასეთ სუბიექტთა რიცხვში სოლო მუსიკოსი და დირიჟორიც მოიაზრება. რაც შეეხება აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) და თეატრალური შესრულების დამდგმელ რეჟისორებს, ისინი უნდა განვიხილოთ იმ კუთხით, თუ რა ობიექტი იბადება მათი შემოქმედებით. აუდიოვიზუალური შესრულების დამდგმელი რეჯისორის საკითხი გადაწყვეტილია ცალსახად – საავტორო სამართლის სუბიექტად არის ის აღიარებული, რადგან მის მიერ დადგმული კინოფილმი რომის კონვენციით გაგებული შესრულება კი არ არის, არამედ წარმოებული ნაწარმოებების ჯგუფს მიკუთვნებული აუდიოვიზუალური **ნაწარმოებია**. თეატრალური დადგმის რეჯისორმა კი ერთ შემთხვევაში შეიძლება შექმნას საკუთარი შემოქმედების ნაყოფი, რომელიც კინემატოგრაფიული ნაწარმოების სრული ანალოგიით შეიძლება იქნეს მიჩნეული თეატრალურ ლი:**ნაწარმოებად** (უნდა იქნეს განხილული წარმოებული ნაწარმოებების ერთ-ერთ სახედ) და შესაბამისად, მოცემული დამდგმელი რეჟისორი საავტორო სამართლის სუბიექტი იქნება. მეორე შემთხვევაში, შემოქმედების ხასიათიდან და დონიდან გამომდინარე თეტრალური დადგმა შეიძლება არ იქნეს მიჩნეული ორიგინალურ ნაწარმოებად (როგორც ეს ფოტონამუშევრის შემთხვევაშია), მაშინ დამდგმელი რეჟისორი, მეცნიერ-სპეციალისტების აზრით დირიჟორის მსგავსი სუბიექტია და უნდა იქნეს განხილული რომის კონვენციის სუბიექტად[1].

შემსრულებელ სუბიექტზე რომ მსჯელობა დავასრულოთ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ძალზე ხშირად შესრულება იქმნება გუნდის

---

[1] ამ აზრს ჩვენც ვიზიარებთ. უფრო მეტიც, პირველ შემთხვევაში დამდგმელი რეჟისორი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც საავტორო უფლებატა, ისე მომიჯნავე უფლებათა სუბიექტად, რადგან დირიჟორის მსგავსი შემოქმედება მის საქმიანობას მუდამ სდევს თან.

მიერ, ხოლო კონკრეტულ შემთხვევებში სხვანაირად ვერც შეიქმნება. ჩვენ ვოკალურ და ინსტრუმენტულ ანსამბლებს ვგულისხმობთ. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ერთიანი შესრულება იქმნება მრავალი კონკრეტული შემსრულებლის შემოქმედების შედეგად და თანაავტორობის მსგავსი შემოქმედებაა სახეზე – **"თანაშემსრულებლებთან"** გვაქვს საქმე. შესრულება ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაყოფადი ან განუყოფადი იყოს თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების მსგავსად. ამ ანსამბლების ხელმძღვანელები დირიჟორის მსგავსად რომის კონვენციის სუბიექტად განიხილება.

შესრულება როგორც ობიექტი შემსრულებლის სამიანობის განხილვისას დავახასიათეთ და დამატებითი განმარტებების გარეშეც ნათელია, რომ ერთ შემთხვევაში შესრულება სიმღერა იქნება, მეორე შემთხვევაში მუსიკალურ საკრავზე შესრულებული მუსიკა, წაკითხვით წარმოდგენილი ნაწარმოები, სხვა შემთხვევაში მოძრაობებით გამოხატული შესრულება, მაგალითად ცეკვის სახით და ა.შ., ამასთან პანტომიმის შემთხვევაში გადასაწყვეტი იქნება ნაწარმოების წარმოდგენა ხდება თუ არა. შესაბამისად გადწყდება საკითხი პანტომიმა რომის კონვენციით დასაცავი შესრულებაა თუ არა.

მოტანილი ანალიზიდან გამომდინარე შესრულება რომის კონვენციით დაცულია თუ ის აკმაყოფილების **პირველ მოთხოვნას – ის უნდა წარმოადგენდეს ნაწარმოების შესრულებას**. რომის კონვენციით დასაცავ შესრულებასთან დაკავშირებით **მეორე მოთხოვნა ის არის, რომ შესრულებას ადგილი უნდა ჰქონდეს რომის კონვენციის მხარე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.** შესრულებას დაცვა ენიჭება არამარტო მაშინ, როდესაც ის ცოცხალი შესრულებაა, არამედ მაშინაც, როდესაც ის ფონოგრამაზეა ჩაწერეილი და როდესაც ის გადაიცემა ეთერით, თუ ის ფონოგრამაზე არ ყოფილა ჩაწერილი.

შემდეგ სუბიექტად – **ფონოგრამის დამაზადებლად** რომის კონვენციით აღიარებულია პირი, რომელიც საკუთარი გადაწყვეტილებით და ხარჯით პირველად ჩაიწერს შესრულებას ან სხვა ბგერებს. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში შემქმნელობით შემოქმედებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ სამეწარმეო შემოქმედებასთან. კონვენციის მიზანი ის არის, რომ დაიცვას იმ მეწარმე სუბიექტის ქონებრივი ინტერესები, რომელიც გაიღებს გარკვეულ ხარჯებს ფონოგრამის ჩაწერისათვის და, რა თქმა უნდა, გასაღე-

ბისათვის. ამ ნიშნით ფონოგრამის დამამზადებელი ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სუბიექტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და ის სამართლის ამ ინსტიტუტის სფეროს სუბიექტად მხოლოდ იმიტომ არის აღიარებული, რომ ყველაზე სამართლიანად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის რეჟიმით შეიძლება იქნეს დაცული მისი უფლებები.

ფონოგრამის დამაზადებლად ყველაზე ხშირად იურიდიული პირები გამოდიან და ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა მეწარმე სუბიექტები იქნებიან ისინი თუ არა, კერძო სამართლის პირებია ისინი თუ საჯარო სამართლისა – მთავარია, რომ დაცული იყოს მათი საქმიანობის ეკონომიკური მხარე. ამასთან, კონვენციიდან ნათელია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩაწერას ახორციელებს მეწარმე სუბიექტის მიერ დაქირავებული მუშაკი, ფონოგრამის დამამზადებლად აღნიშნული მეწარმე პირი მიიჩნევა და არა მუშაკი.

ფონოგრამის დამაზადებელი ამზადებს ფონოგრამას და სწორედ **"ფონოგრამაა"** მისი დაცვის ობიექტი. ფონოგრამას დიდი განმარტება არ ესაჭიროება მას შემდეგ, რაც განვმარტეთ მისი დამამზადებელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონოგრამა დამზადებულია თუ ფონოდისკზე (ან კასეტაზე, ან ფირზე და.აშ.) ჩაწერილია შესრულება ან სხვა ბგერები. ცხადია, გამოსახულება ფონოგრამაზე დატანილი ჩანაწერის შემადგენელი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, რომის კონვენციით დაცულია მხოლოდ ბგერითი ჩანაწერი. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა რა იქნება ჩაწერილი შესრულება თუ ბგერების სხვაგავარი გამოვლინება. დაცვას ექვემდებარება ისეთი ფონოგრამაც, რომელზეც დატანილია, მაგალითად, ფრინველების ან ცხოველების მიერ წარმოდგენილი გალობა თუ ღრიალი ან სხვაგვარი ხმები. მაგრამ ამ კონტექსტიდან არ უნდა დავასკვნად, თითქოს ბუნებიდან შემოტანილი ბგერები შეიძლება შესრულების მსგავს დაცვის კიდევ ერთ ობიექტად მივიჩნიოთ.

მაშასადამე, ფონოგრამა დაცულია რომის კონვენციის რეჟიმით, თუ შერულებული **პირველი მოთხოვნა – ის წარმოადგენს ხმოვან ჩანაწერს.** თუ ჩანაწერი კომბინერბულია და ხმისა და გამოსახულებებისაგან შედგება, ალბათ, ხმოვანი ნაწილი შეიძლება განვიხილოთ ფონოგრამად (ფონოგრამა ხომ ხმოვანი ჩანაწერია) და რომის კონვენციის დაცვის ობიექტად ამ ნაწილში ვაღიაროთ. რომის კონვეციის დაცვის რეჟიმით სარგებლობისათვის ფონოგრამამ უნდა დააკმაყოფილოს სხვა მოთხოვნებიც. კერძოდ, ფონო-

გრამა უნდა იყოს დამზადებული კონვენციის მხარე სახელმწიფოს მოქალაქის (ნამდვილი საწარმოს მქონე პირის) მიერ. ფონოგრამა უნდა იყოს პირველად ჩაწერილი ან გამოცემული რომის კონვენციის მხარე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ქვეყნებს აქვთ უფლება ფონოგრამას დაცვა მიანიჭონ პირველი ჩაწერის ან პირველი გამოქვეყნების მიხედვით, ანუ შეუძლიათ გამორიცხონ ერთ-ერთი ეს პირობა და დაცვის მოთხოვნად რომელიმე ერთი დატოვონ. ამასთან, მათ არ შეუძლიათ მოთხოვნათა რიცხვიდან მოქალაქეობის პრინციპი გამორიცხონ.

მაუწყებლობის ორგანიზაცია რომის კონვენციის კიდევ ერთი სუბიექტია. ამ სუბიექტის შემოქმედება ისეთივე ხასიათისაა, როგორსაც ფონოგრამის დამაზადებლის შემოქმედება ატარებს. შესაბამისად, ამ სუბიექტის დაცვა განპირობებულია მხოლოდ მისი ქონებრივი ინტერესების დაცვით. მაუწყებლობის ორგანიზაცია, ჩვერულებრივ, მეწარმე სუბიექტია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ფიქციური სამართალსუბიექტია, ანუ იურიდიული პირია. რომის კონვენციის სუბიექტად ის მაუწყებლობის ორგანიზაცია შეიძლება იყოს, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას: ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს რომის კონვენციის მხარე უცხო ქვეყანაში სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმა; გადაცემა ეთერში გადაიცა კონვენციის მხარე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემის მეშვეობით. ამასთან, სახელმწიფოებს შეუძლია განაცხადონ, რომ კონვენციის რეჟიმი მათ ტერიტორიაზე გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება აღნიშნული ორივე მოთხოვნა ერთად.

ამ სუბიექტთან დაკავშირებით რომის კონვენციის ობიექტია **გადაცემა**, რომელიც მოიცავს ხმის ან გამოსახულების უსადენო გადაცემას. აქედან გამომდინარე, კონვენციით მოცულია როგორც რადიო, ისე სატელევიზიო გადაცემები, გადაცემული რადიოტალღების მეშვეობით. ამ პირობიდან გამომდინარე საკაბელო სატელევიზიო გადაცემა უნდა იყოს განკუთვნილი საჯაროდ მისაღებად. გადაცემა დაცულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება მისი ერთდროული გადაცემა (რეტრანსლაცია) სხვა მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ. შესაბამისად ამისა, გადაცემა, რომელიც პირდაპირ გადაცემას არ წარმოადგენს რომის კონვენციის დაცვის საგანი არ არის, ანუ გადაცემის ჩანაწერის გადაცემა დაცული არ არის. როგორც მაუწყებლობის ორგანიზაციის გაშუქებისასაა მოცემული გადაცემა რომ კონვენციის რეჟიმით იყოს დაცული ის

უნდა ხორციელდებოდეს ორგანიზაციის მიერ, რომელსაც შტაბ-ბინა კონვენციის მხარე უცხო ქვეყანაში აქვს ან გადაიცემოდეს ასთ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემით.

რომის კონვენცია ბერნისა და პარიზის კონვენციების მსგავსად ითვალისწინებს სუბიექტების უფლებებისა და ობიექტების დაცვის განხორციელებას **ეროვნული რეჟიმის პრინციპის** დაცვით. ამასთან, რომის კონვენციაც ითვალისწინებს იმ პირობას, რომ ქვეყნებს აკისრიათ ვალდებულება დაიცვან უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები კონვენციით მინიჭებული მინიმუმ უფლებათა მოცულობით იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგივე უფლებებით სარგებლობა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. აქვე უნდა ითქვას, რომ რომის კონვენცია ბერნის კონვენციასთან შედარებთ ეროვნულ რეჟიმს უფრო შეკვეცილად ავრცელებს, რაც უფლებებზეც აისახება. კერძოდ, რომის კონვენციით დაცულია შემსრულებლის მხოლოდ მინიმუმ უფლებები და დაცვას არ ექვემდებარება თავად შესრულება არსობრივი თვალსაზრისით. ბერნის კონვენცია ნაწარმოებსაც მიიჩნევს ეროვნული რეჟიმის საგნად, ანუ, თუ რომელიმე ქვეყანა საკუთარ მოქალაქეებს არ ანიჭებს უფლებებს რაიმე სახის ნაწარმოებზე ის ვალდებულია მიანიჭოს დაცვა ასეთ ობიექტს, თუ ის ბერნის კონვენციის მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეკუთვნის.

უფლებათა დაცვის მინიმუმი მოცემულია სუბიექტების მიხედვით.

შემსრულებლის შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს დაცული მისი ქონებრივი უფლებები, ანუ პირადი არაქონებრივი უფლებები საკონვენციო მინიმუმ უფლებებს არ შეადგენს. აღსანიშნავია, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს შემსრულებლისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას მის შესრულებაზე. გათვალისწინებულია მხოლოდ ცალკეული ქმედებების წინ აღდგომის შესაძლებლობაზე. კერძოდ, შემსრულებელს შეუძლია აკრძალოს შესრულების უნებართვო:

– პირდაპირი გადაცემა (შემსრულებელს ჩანაწერის გადაცემის აკრძალვის უფლება არა აქვს, რაც იმის გამოძახილია, რომ შესრულებაზე განსაკუთრებული უფლებების მინიჭება კონვენციით გათვალისწინებული არ არის);

– ჩაწერა;

– ჩანაწერის კვლავწარმოება (რეპროდუცირება) მაშინ, როდესაც პირველი ჩანაწერი (დედანი, ორიგინალი) შემსრულებლის თანხ-

გრამა უნდა იყოს დამზადებული კონვენციის მხარე სახელმწიფოს მოქალაქის (ნამდვილი საწარმოს მქონე პირის) მიერ. ფონოგრამა უნდა იყოს პირველად ჩაწერილი ან გამოცემული რომის კონვენციის მხარე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ქვეყნებს აქვთ უფლება ფონოგრამას დაცვა მიანიჭონ პირველი ჩაწერის ან პირველი გამოქვეყნების მიხედვით, ანუ შეუძლიათ გამორიცხონ ერთ-ერთი ეს პირობა და დაცვის მოთხოვნად რომელიმე ერთი დატოვონ. ამასთან, მათ არ შეუძლიათ მოთხოვნათა რიცხვიდან მოქალაქეობის პრინციპი გამორიცხონ.

მაუწყებლობის ორგანიზაცია რომის კონვენციის კიდევ ერთი სუბიექტია. ამ სუბიექტის შემოქმედება ისეთივე ხასიათისაა, როგორსაც ფონოგრამის დამაზადებლის შემოქმედება ატარებს. შესაბამისად, ამ სუბიექტის დაცვა განპირობებულია მხოლოდ მისი ქონებრივი ინტერესების დაცვით. მაუწყებლობის ორგანიზაცია, ჩვერულებრივ, მეწარმე სუბიექტია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ფიქციური სამართალსუბიექტია, ანუ იურიდიული პირია. რომის კონვენციის სუბიექტად ის მაუწყებლობის ორგანიზაცია შეიძლება იყოს, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას: ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს რომის კონვენციის მხარე უცხო ქვეყანაში სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმა; გადაცემა ეთერში გადაიცა კონვენციის მხარე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემის მეშვეობით. ამასთან, სახელმწიფოებს შეუძლია განაცხადონ, რომ კონვენციის რეჟიმი მათ ტერიტორიაზე გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება აღნიშნული ორივე მოთხოვნა ერთად.

ამ სუბიექტთან დაკავშირებით რომის კონვენციის ობიექტია **გადაცემა**, რომელიც მოიცავს ხმის ან გამოსახულების უსადენო გადაცემას. აქედან გამომდინარე, კონვენციით მოცულია როგორც რადიო, ისე სატელევიზიო გადაცემები, გადაცემული რადიოტალღების მეშვეობით. ამ პირობიდან გამომდინარე საკაბელო სატელევიზიო გადაცემა უნდა იყოს განკუთვნილი საჯაროდ მისაღებად. გადაცემა დაცულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება მისი ერთდროული გადაცემა (რეტრანსლაცია) სხვა მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ. შესაბამისად ამისა, გადაცემა, რომელიც პირდაპირ გადაცემას არ წარმოადგენს რომის კონვენციის დაცვის საგანი არ არის, ანუ გადაცემის ჩანაწერის გადაცემა დაცული არ არის. როგორც მაუწყებლობის ორგანიზაციის გაშუქებისასაა მოცემული გადაცემა რომ კონვენციის რეჟიმით იყოს დაცული ის

უნდა ხორციელდებოდეს ორგანიზაციის მიერ, რომელსაც შტაბ-ბინა კონვენციის მხარე უცხო ქვეყანაში აქვს ან გადაიცემოდეს ასთ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემით.

რომის კონვენცია ბერნისა და პარიზის კონვენციების მსგავსად ითვალისწინებს სუბიექტების უფლებებისა და ობიექტების დაცვის განხორციელებას **ეროვნული რეჟიმის პრინციპის** დაცვით. ამასთან, რომის კონვენციაც ითვალისწინებს იმ პირობას, რომ ქვეყნებს აკისრიათ ვალდებულება დაიცვან უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები კონვენციით მინიჭებული მინიმუმ უფლებათა მოცულობით იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგივე უფლებებით სარგებლობა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. აქვე უნდა ითქვას, რომ რომის კონვენცია ბერნის კონვენციასთან შედარებთ ეროვნულ რეჟიმს უფრო შეკვეცილად ავრცელებს, რაც უფლებებზეც აისახება. კერძოდ, რომის კონვენციით დაცულია შემსრულებლის მხოლოდ მინიმუმ უფლებები და დაცვას არ ექვემდებარება თავად შესრულება არსობრივი თვალსაზრისით. ბერნის კონვენცია ნაწარმოებსაც მიიჩნევს ეროვნული რეჟიმის საგნად, ანუ, თუ რომელიმე ქვეყანა საკუთარ მოქალაქეებს არ ანიჭებს უფლებებს რაიმე სახის ნაწარმოებზე ის ვალდებულია მიანიჭოს დაცვა ასეთ ობიექტს, თუ ის ბერნის კონვენციის მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეკუთვნის.

უფლებათა დაცვის მინიმუმი მოცემულია სუბიექტების მიხედვით.

შემსრულებლის შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს დაცული მისი ქონებრივი უფლებები, ანუ პირადი არაქონებრივი უფლებები საკონვენციო მინიმუმ უფლებებს არ შეადგენს. აღსანიშნავია, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს შემსრულებლისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას მის შესრულებაზე. გათვალისწინებულია მხოლოდ ცალკეული ქმედებების წინ აღდგომის შესაძლებლობაზე. კერძოდ, შემსრულებელს შეუძლია აკრძალოს შესრულების უნებართვო:

– პირდაპირი გადაცემა (შემსრულებელს ჩანაწერის გადაცემის აკრძალვის უფლება არა აქვს, რაც იმის გამოძახილია, რომ შესრულებაზე განსაკუთრებული უფლებების მინიჭება კონვენციით გათვალისწინებული არ არის);

– ჩაწერა;

– ჩანაწერის კვლავწარმოება (რეპროდუცირება) მაშინ, როდესაც პირველი ჩანაწერი (დედანი, ორიგინალი) შემსრულებლის თანხ-

მობის გარეშე დამზადდა, ან კვლავწარმოება ხორციელდება მიცემული თანხმობისაგან განსხვავებული მიზნებით და არ ხორციელდება კონვენციით დადგენილი უფლებათა შეზღუდვების ფარგლებში;

გარდა აღნიშნულისა მინიმუმ უფლებებს ეკუთვნის სხვა უფლებებიც: თუ გადაცემა გადაიცემა გაცემული ნებართვის საფუძველზე, მაშინ რომის კონვენციის მხარე სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას შესრულება ეთერით ხელმეორედ გადაცემისაგან, მაუწყებლობის მიზნით მისი ჩაწერისა და კვლავწარმოებისაგან; ფონოგრამის მეორე გამოყენების შემთხვევაში, რაც ნიშნავს ფონოგრამის გამოყენებას საეთერო გადაცემისათვის ან სხვაგვარად საყოველთაოდ გაცნობის მიზნით, შემსრულებელს უფლება აქვს ერთჯერად ანაზღაურებაზე.

მაუწყებლობის ორგანიზაციებთან მიმართებით შემსრულებლებს აქვთ უფლება ხელშეკრულებით მოაწესრიგონ მათი ნებართვით გადაცემულ შესრულებებთან დაკავშირებული შემდგომი ქმედებების განხორციელება, მაგალითად, გადაცემის ჩანაწერის რეტრანსლირება.

კოლექტიურ შესრულებასთან დაკავშირებით რომის კონვენცია ითვალისწინებს ნორმას, რომელიც მხარე სახელმწიფოებს რთავს ნებას თავად განსზაღვრონ წესი, რომლის მიხედვითაც გაირკვევა თუ რა ფორმით იქნება წარმოადგენილი კოლექტივი უფლებების განხორციელების დროს.

შემსრულებლის უფლება არ ვრცელდება ზემოთ აღნიშნულ ქმედებებზე, როდესაც მისი ნებართვით იქნა ჩართული მისი შესრულება ვიზუალურ ან ხმოვან ჩანაწერში.

ფონოგრამის დამამზადებლის შემთხვევაში მინიმუმ დასაცავ უფლებებს ეკუთვნის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლება მისი ფონოგრამის პირდაპირ ან ირიბ კვლავწარმოებაზე. ბუნებრივია ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება ფონოგრამის ნაწილზეც.

მაუწყებლობის ორგანიზაციებთან დაკავშირებით მინიმუმ უფლება ასევე გამოხატულია განსაკუთრებული უფლებების მინიჭებით მათი გადაცემების მიმართ. ამ უფლებების ფარგლებში მოქცეულია ეთერით რეტრანსლაცია; გადაცემის მატერიალურ მატარებელზე ჩაწერა; მათი თანხმობის გარეშე გაკეთებული ეთერში გაშვებული გადაცემის ჩანაწერების კვლავწარმოებაზე ან მათი თანხმობით გაკეთებული ჩანაწერების კვლავწარმოებაზე კონ-

ვენციით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით; საყოველთაო გაცნობის მიზნით მათი გადაცემის გამოყენება, თუ ასეთი გამოყენება ხორციელდება იმ ადგილებში, სადაც დასწრება ფასიანია.

შემსრულებლის, ფონოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის უფლებების მოქმედების ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 20 წელი, რომელიც აითვლება იმ წლის დასასრულიდან, როდესაც: შესრულდა შესრულება, თუ ის არ არის ჩართული ფონოგრამაში მოხდა ფონოგრამის ჩაწერა; მოხდა ფონოგრამის ჩაწერა; მოხდა ეთერით გადაცემა.

რომის კონვენცია ითვალისწინებს **უფლებების შეზღუდვების** შესაძლებლობას შემდეგ შემთხვევებში: შესრულება, ფონოგრამა ან გადაცემა გამოიყენება პირადი სარგებლობისათვის; გამოიყენება ზემოთ აღნიშნული ობიექტების მოკლე ნაწყვეტები მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას; გამოიყენება სასწავლო პროცესებში ან სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის; გამოიყენება დროებითი (ეფემერული) ჩანაწერის გაკეთებისათვის მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ საკუთარი ტექნიკითა და საკუთარი მაუწყებლობისათვის.

ასეთია რომის კონვენციის ძირითადი მატერიალური ნორმების არსი, რის გაშუქებაც იყო დასახული მიზნად.

თავი 39. მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია

მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანას კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ახორციელებს, ალბათ მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად მოჰკიდა ხელი მიწათმოქმედებას. ადამიანი თავისდაუნებურად სელექციონერი ხდება. მაგალითად, ჯერ კიდევ პლინიუსს აქვს მოყვანილი ცნობა ახალი მუსკატური ვაზის (APIANA UVA) ჯიშის შესახებ. პირველი სელექციონერები შემთხვევით შერჩეული ჯიშების შეჯვარების საფუძველზე ქმნიდნენ ახალ ჯიშებს. რა თქმა უნდა, შემდგომში სელექციონერთა საქმიანობა მიზანმიმართულ და მეცნიერულ ხასიათს ღებულობს. სასელექციო საქმიანობა სულ უფრო მასშტაბური ხასიათისა ხდება და ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა გასული საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. ქვეყნები ღებულობენ სამართლებრივ აქტებს სელექციონერთა უფლებების დასაცავად, რომელთა წინამორბედად პაპის 1833 წლის ედიქტს ასახელებენ. იგი ეხებოდა გამოგონებებსა და აღმოჩენებზე (ტექნიკასა და სოფლის მეურნეობის სფეროში) უფლებების ფლობას. თავისი ძალზე ზოგადი შინაარსის გამო ედიქტი პრაქტიკულ ცხოვრებაში ვერ გატარდა. შემდგომ მცენარეთა დაცვის კანონები მიიღეს აშშ-მ, საფრანგეთმა, გერმანიამ, ჩეხეთმა, ნიდერლანდებმა, ესპანეთმა, უნგრეთმა, დანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, შვეიცარიამ და ა.შ., შესაბამისად, გამოიკვეთა მზარდი ინტერესი მცენარეთა ახალი ჯიშების საერთაშორისო დაცვის დაფუძნებისადმი.

საერთაშორისო კონვენციის მიღებაში დიდი წვლილი შეიტანა სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო ასოციაციამ (AIPPI, საქართველოში 1998 წლიდან ფუნქციონირებს ამ ასოციაციის საქართველოს ეროვნული ჯგუფი) და მცენარეთა ჯიშების დაცვის მცენარეთა სელექციონერების საერთაშორისო ასოციაციამ. AIPPI ამ საკითხს 1932 წლიდან აყენებს თავის ფორუმებზე. საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ვენის 1952 წლის კონგრესზე დაეთმო. შეხვედრებზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილებოდა მცენარეთა ჯიშების პატენტით (აშშ-ს მსგავსად) დაცვის საკითხი, რაც საბოლოოდ უარყოფილ იქნა 1956 წელს. 1957 წელს მოწვეულ იქნა პარიზის კონფერენცია. შედეგად გამოიკვეთა სურვილი საერთაშორისო კონვენციის მიღების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობდა მცენარეთა ახალი ჯიშებით ვაჭრობის განვითარებას.

შემდგომ საფრანგეთის მთავრობამ მოიწვია დასავლეთ ევროპის 12 ქვეყანა, რომლებსაც ერთგვაროვანი შეხედულება გააჩნდა მცენარეთა დაცვის თაობაზე. შემუშავდა კონვენციის ძირითადი პრინციპები და 1961 წელს პარიზში ხელი მოეწერა მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციას, რომელიც 1968 წელს ამოქმედდა. 1961 წლის კონვენციას ხელი მოაწერეს ბელგიამ, დანიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, დიდმა ბრიტანეთმა. კონვენცია გადასინჯულ იქნა 1972, 1978 და 1991 წლებში. კონვენციის ძალაში შესვლისა და მისი გადასინჯვის ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის არის, რომ ქვეყნებმა ივალდებულეს მცენარეთა ახალ ჯიშებზე სელექციონერთა უფლებების დაცვის განხორციელება კონვენციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად – ანუ, საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციის საფუძველზე. საქართველო ამ კონვენციას 2006 წლიდან მიუერთდა პარლამენტის მიერ 2005 წლის შემოდგომის სესიაზე მიღებული რატიფიცირების აქტის საფუძველზე. 2006 წლის მდგომარეობით მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის კონვენციის მხარე სახელმწიფოთა რიცხმა 60 შეადგინა.

მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციამ დააფუძნა კავშირი, რომელსაც მისი მხარე სახელმწიფოები შეადგენენ. კავშირის ფრანგული დასახელების აბრევიატურას "UPOV" (Union Internationale pour la Protection des Obtentions Vegetales) ფართოდ იყენებენ როგორც კონვენციის, ასევე კავშირის აღსანიშნავად. ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა სხვა ქვეყნების მსგავსად, ქართულადაც გამოგვეყენებინა ამ კონვენციის აღსანიშნად შემოკლებული, საერთაშორისოდ ქცეული დასახელება "უპოვი".

პარიზისა და ბერნის კონვენციის მსგავსად, უპოვი ძირითად პრინციპად ეროვნული რეჟიმის პრინციპს აცხადებს. ამ პრინციპის შინაარსს აღარ გავიმეორებთ.

მცენარეთა ჯიშების დაცვისათვის დაწესებულია კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა უპასუხოს ჯიშმა. ეს კრიტერიუმები იგივეა, რაც მოცემულია საქართველოს კანონში მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ. აქვე დავძენთ, რომ ამ კუთხით მდგომარეობა იგივე იყო 2005 წლამდე მოქმედი საქართველოს კანონის სელექციური მიღწევების შესახებ მიხედვით, რომელიც გაუქმებულ იქნა, ხოლო მის ნაცვლად 2006 წელს მიღებულ იქნა ორი ახალი კანონი "მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ" და "ცხოველთა ახალი ჯიშების შესახებ".

ჯიშს უნდა ახასიათებდეს სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება, სტაბილურობა. უპოვი, პარიზის კონვენციისაგან განსხვავებით, აწესებს აგრეთვე, განაცხადის ნებისმიერ ქვეყანაში მიწოდების უფლებას. სელექციონერს შეუძლია თვითონ განსაზღვროს და აირჩიოს კავშირის ის ქვეყანა, სადაც ის საჭიროდ მიიჩნევს განაცხადის მიწოდებას. ამასთან, ასეთი განაცხადის მიწოდების შემდეგ სელექციონერს უფლება აქვს არ დაელოდოს მისი განხილვის შედეგს და მიაწოდოს განაცხადი იგივე ჯიშის დაცვაზე სხვა ქვეყანაში.

პარიზისა და ბერნის კონვენციის მსგავსად, უპოვი აწესებს ჯიშის დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპს.

დაწესებულია, აგრეთვე, პარიზის კონვენციიდან ცნობილი პრიორიტეტის უფლება, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული პირველი განაცხადის მიწოდების დღიდან 12 თვის განმავლობაში.

უპოვი წევრი ქვეყნებისაგან ითხოვს ჯიშის ექსპერტიზის ჩატარებას და რთავს ნებას მოსთხოვონ სელექციონერს ყველა საჭირო ინფორმაციის, აგრეთვე სანერგე მასალის ან თესლის მიწოდება.

უპოვი განსაზღვრავს სელექციონერის უფლებებს და იძლევა იმ ქმედებების ჩამონათვალს, რაზედაც არის საჭირო სელექციონერის ნებართვა. საქართველოს კანონი სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ ასევე იძლევა ამ უფლებათა ამომწურავ ჩამონათვალს, მაგრამ ოდნავ განსხვავებულად. კერძოდ, კანონის მე-16(გ) მუხლი ერთ-ერთ ქმედებად ასახელებს შენახვას, რასაც უპოვი არ ითვალისწინებს. სამაგიეროდ, გამორჩენილია ისეთი ქმედება, როგორიცაა "გასაყიდად შეთავაზება". ვფიქრობთ, საქართველოს კანონის რედაქცია უნდა გასწორდეს უპოვის გათვალისწინებით, რადგან შენახვა შეიძლება სულაც არ ისახავდეს კომერციულ მიზნებს.

უპოვი შეიცავს უფლებათა ამოწურვისა და შეზღუდვის ნორმებს და ასახელებს ქმედებებს, რომლებიც სელექციონერის უფლებების სფეროს არ განეკუთვნება. ამასთან, როდესაც უფლებათა შეზღუდვა მიზნად ისახავს მესამე პირისათვის რაიმე ქმედების განხორციელებაზე ნებართვის გაცემას, ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი გასამრჯელოს გაცემა სელექციონერისათვის.

უპოვი ასახელებს დაცვის ხანგრძლივობის მინიმალურ ვადას, რომელიც მცენარეთა უმეტესი სახეობისათვის შეადგენს 20 წელიწადს, ხოლო მერქნიანი ჯიშებისა და ვაზისათვის – 25 წელიწადს.

უპოვი მთელ თავს უძღვნის ჯიშის დასახელებას და აწესებს შესაბამის მოთხოვნებს, რაც ძირითადად ასახულია საქართველოს კანონში. დადგენილია მოთხოვნა, რომ ჯიშის დაცვა უპოვის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ერთი დასახელებით. ქვეყანას უფლება აქვს მოითხოვოს ჯიშის დასახელების შეცვლა. ქვეყნები ერთმანეთს აცნობენ რეგისტრირებული ჯიშების დასახელებებს. დასახელების გამოყენება სავალდებულოა, თუნდაც ჯიშის დაცვის ვადა ამოწურული იყოს.

საყურადღებოა დასახელების სხვა მოთხოვნებთან ერთად მე-20(8) მუხლის შინაარსი, რომელიც სასაქონლო ნიშნებს უფრო მოუხდება, ვიდრე ჯიშების დაცვას. კერძოდ, მის მიხედვით დასაშვებია ჯიშის ასოცირება რეგისტრირებული ნიშნის დასახელებასთან.

უპოვი იძლევა სელექციონერის უფლებების ბათილად ცნობისა და გაუქმების ამომწურავ ჩამონათვალს, რასაც შეესაბამება საქართველოს კანონი მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ.

თავი 40. ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ

როგორც ვიცით ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია დრო და დრო გადაისინჯება ხოლმე, რათა მისი ძირითადი დებულებები და ნორმები არ ჩამორჩეს ცხოვრებას და მოუწესრიგებელი არ დარჩეს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებსაც წარმოშობს კაცობრიობის მიერ ახალი ტექნიკური ობიექტების შექმნა და გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. საავტორო უფლებათა დაცვის შემოღება მნიშვნელოვან წილად გამოიწვია სწორედ ტექნიკის განვითარებამ, ხოლო XX საუკუნე ხასიათდება ტექნიკის ახალი ობიექტების, შეიძლება ითქვას "მოულოდნელად სწრაფი" პრაქტიკული გამოყენებით, იმ ზომით, რომ მოსახლეობის ყოფის ნაწილი ხდება. ამ კუთხით განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს კომპიუტერების გამოჩენა, რასაც თან მოჰყვა კომპიუტერული ქმნილებების გავრცელება, კომპიუტერული მონაცემთა ბაზების (ელექტრონული მონაცემთა ბაზების) ფართო გამოყენება და საერთოდ ახალი საინფორმაციო სისტემებისა და ქსელების, მათ შორის გლობალური, მაგალითად ინტერნეტი, საყოფაცხოვრებო დონემდე დაყვანა. გარდა ამისა გამოყენება ჰპოვა ნაწარმოებების კვლავწარმოებისა და მოსახლეობამდე დაყვანის ახალ-ახალმა საშუალებებმა, მაგალითად ასლების გადამღები რეპროგრაფიული ტექნიკა, ვიდეოტექნიკა, კომპაქტ დისკები – CD, DVD და ა.შ., თანამგზავრული სამაუწყებლო ტექნიკა, კაბელური ტელეტექნიკა. ცხადია, ტექნიკის ასეთი განვითარება დღის წესრიგში აყენებს საავტორო უფლებების დაცვის თავისებურებების გათვალისწინებას და საჭიროების შემთხვევაში ახალი ნორმების შემოღებას.

წარმოჩენილი პრობლემების ანალიზმა ცხადყო, რომ საავტორო უფლებათა ეფექტური საერთაშორისო დაცვა, რასაც ბერნის კონვენცია ისახავს მიზნად ვეღარ მიიღწევა და რომ საჭიროა ახალი პირობებისათვის ახალი ნორმების ამოქმედება. ისმო-ს ორი სპეციალისტთა ჯგუფი სწავლობდა ამ საკითხებს და შემუშავებულ იქნა წინადადება ბერნის კონვენციის დამატებით საავტორო უფლებათა შესახებ ახალი საერთაშორისო ხელშეკრულება მიღებულიყო.

ი):1996 წელს გაიმართა დიპლომატიური კონვენცია, რომელზეც მიღებულ იქნა ახალი საერთაშორისო აქტი "ისმო-ს ხელშეკრულება საერთაშორისო უფლებების შესახებ" (შემდგომ ისმო-ს ხელშეკ-

რულება). იგი ღიაა ხელმოწერისათვის 1997 წლის 31 დეკემბრიდან. 2006 წლის მდგომარეობით მისმა მხარე სახელმწიფოთა რიცხვმა 58 შეადგინა. საქართველომ ისმო-ს ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა და მისი მხარე გახდა 2001 წლიდან.

ისმო-ს ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება ბერნის კონვენციას და დადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბერნის კონვენციის მხარე სახელმწიფოებს განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლება აქვთ დადონ სპეციალური ხელშეკრულებები ერთმანეთში, რომლებიც საავტორო უფლებების უფრო ფართო დაცვას ემსახურება. ისმო-ს ხელშეკრულება მიუთითებს, რომ იგი არ არის არანაირ კავშირში არც ერთ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, გარდა ბერნის კონვენციისა. მას შეიძლება მიუერთდეს ისმო-ს წევრი ან ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყანა. იგი შეიცავს მატერიალურ-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ ნორმებს. ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების მოკლე წარმოდგენით შემოვიფარგლებით, რომლებითაც (მე-15 – 24-ე მუხლები) გათვალისწინებულია ასამბლეის დაფუძნება, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, ისმო-ს ორგანოებთან ურთიერთობა, ხელშეკრულებასთან მიერთებისა და მისი ამოქმედების წესი.

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები

ისმო-ს ხელშეკრულება ეხება ორი სახის ნაწარმოებებს, რომლებიც უნდა მივიჩნიოთ ამ ხელშეკრულებით **დაცვად ობიექტებად**, ესენია – **კომპიუტერული პროგრამა და მონაცემთა კომპილაცია, ანუ მონაცემთა ბაზა** (ჩვენ შემდგომში ამ უკანასკნელთა გამაერთიანებელ ტერმინას "მონაცემთა კრებული" გამოვიყინებთ). ისმო-ს ხელშეკრულება მოიხსენიებს აგრეთვე კინემატოგრაფიულ და ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს. ახალი ობიექტები აგრძელებს ბერნის კონვენციის ნაწარმოებების ჩამონათვალს, რომელიც ამომწურავი არ არის. ეყრდნობა რა ბერნის კონვენციას ისმო-ს ხელშეკრულება თავის ობიექტებს დაცვას ანიჭებს ზემოთ აღნიშნული კონვენციის ყველა ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით **mutatis mutandis**. აქედან გამომდინარე კომპიუტერული პროგრამაც და მონაცემთა კრებულიც უნდა აკმაყოფილებდეს დაცვადი ნაწარმოების კრიტერიუმებს. კომპიუტერულ პროგრამასთან დაკავშირებით პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იგი დაცვას

ექვემდებარება როგორც ლიტერატურული ნაწარმოები. მონაცემთა კრებულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ელექტრონული ქსელების გამოყენებამ ხელი შეუწყო სისტემურად ან უამისოდ, ელექტრონული ფორმითა და სივრცეში განლაგებული სხვადასხვა გვარი მონაცემების მზარდ გამოყენებას. მონაცემთა ასეთი კრებულები ისმო-ს ხელშეკრულებით, ანუ საავტორო-სამართლებრივი ნორმებით დაცვადი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ინტელექტუალურ-შემოქმედებით ხასიათს ატარებს. მონაცემთა კრებულები, რომლებიც ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს სხვა კანონმდებლობით შეიძლება იქნეს დაცული.

ისმო-ს ხელშეკრულება აწესებს შემდეგ განსაკუთრებულ უფლებებს დაცვადი ობიექტების ავტორების სასარგებლოდ:

გავრცელების;
გაქირავების;
საჯარო გადაცემის.

გავრცელების უფლება ისმო-ს ხელშეკრულებით განიმარტება ტერმინის "გავრცელება" ვიწრო გაგებით და შეზღუდულია გაყიდვის ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემით. აქედან გამომდინარე განსაკუთრებული უფლება ვრცელდება მხოლოდ ავტორის მიერ გაყიდვის ან მფლობელობის სხვაგავრად გადაცემის გზით, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის საზოგადოებისათვის მიწოდების ნებართვის გაცემით. ასეთი ფორმულირებით დაძლეულია ბერნის კონვენციის ხარვეზი, რომლითაც გათვალისწინებული ანალოგიური განსაკუთრებული უფლებები, მათ შორის მოსახლეობამდე დაყვანის (საზოგადოებისათვის მიწოდების) უფლება ვრცელდება მხოლოდ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე. საზოგადოებისათვის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს როგორც ტრადიციული, მაგალითად ტელე ან რადიოსაკომუნიკაციო ხერხით ასევე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ანუ კომპიუტერული ქსელებით. დადგენილია ქვეყნების უფლება დააწესონ "უფლებათა ამოწურვის" პრინციპის შესაბამისი შემზღუდავი ნორმები ეროვნული კანონმდებლობით.

გაქირავების უფლება

ისმო-ს ხელშეკრულება სავალდებულოს ხდის კომპიუტერული პროგრამების, კინემატოგრაფიული ნაწარმოებების და ყველა იმ ნაწარმოების გამოყენებისათვის, რომლებიც ჩართულია ფონოგრამაში გათვალისწინებულ იქნეს გაქირავების განსაკუთრებული

უფლება ავტორთა სასარგებლოდ. ამასთან, ამ უფლებით სარგებლობისათვის კომპიუტერული პროგრამა აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს გაქირავების ძირითად ობიექტს; კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის კი ცხადი უნდა იყოს, რომ გაქირავებას თან სდევს შეუზღუდავი რაოდენობით ასლების დამზადების შესაძლებლობა, რაც გამოიწვევს მატერიალურ ზიანს კვლავწარმოების უფლების განხორციელების შემთხვევაში.

გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თუ ქვეყანა 1994 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყოფდა ფონოგრამაში ჩართული ნაწარმოებების ავტორების უფლებებს სხვა სახით, მაგალითად სამართლიანი გასამრჯელოს გაცემის გზით, მაშინ მას შეუძლია შეინარჩუნოს ასეთი წესი და არ გაითვალისწინოს გაქირავების უფლების დაწესება ასეთ ავტორთათვის.

საჯარო გადაცემის უფლება

ისმო-ს ხელშეკრულება ითვალისწინებს ავტორებისათვის საჯარო გადაცემის უფლების დაწესებას, რომელიც უნდა განიმარტოს ფართო გაგებით. კერძოდ, ამ უფლებით მოიაზრება ნაწარმოების დაყვანა მოსახლეობამდე (საზოგადოებისათვის მიწოდება) სადენებიანი (მავთულიანი) ან უსადენო სამაუწყებლო გადაცემის გზით, ისე, რომ ნებისმიერ პირს შეეძლოს აღიქვს ხმოვანი ან ხილული სახით იმ ადგილას, სადაც მას სურს და იმ დროს, როცა მას სურს. ასეთი ფორმულირებით გადალახულ იქნა ბერნის კონვენციის ხარვეზი და ახლა ამ უფლებით უეჭვოა, რომ მოცულია ელექტრონული სივრცით, კერძოდ ინტერნეტით, ნაწარმოების გადაცემის უფლება.

ფოტოგრაფიული ნაწარმოების დაცვის ხანგრძლივობა

ისმო-ს ხელშეკრულება ერთ შემთხვევაში უარს ამბობს ბერნის კონვენციის ნორმაზე. ფოტოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით იგი აწესებს, რომ არ უნდა იქნეს გამოყენებული ბერნის კონვენციის მე-7(4) მუხლი, რომელიც ადგენს ამ ნაწარმოებზე საავტორო უფლებათა მოქმედების ხანგრძლივობას. შესაბამისად, ამ უფლებათა მოქმედების მინიმალური ხანგრძლივობა გახდა 50 წელი, ნაცვლად 25-ისა.

შეზღუდვები და გამონაკლისები

ისმო-ს ხელშეკრულება აწესებს ზოგიერთი შეზღუდვებისა და გამონაკლისების დადგენის შესაძლებლობას ეროვნული კანონმდებლობით. ეს დასაშვებია, თუ გამონაკლისები და შეზღუდვები არ აბრკოლებს ნაწარმოების გამოყენებას ჩვეულებრივი წესით; და უსაფუძვლოდ არ ეწინააღმდეგება ავტორთა სამართლებრივად განმტკიცებულ ინტერესებს. ამასთან, შეზღუდვებისა და გამონაკლისების ფარგლები არ უნდა გასცდეს ბერნის კონვენციით დადგენილს.

გარდა აღნიშნულისა ისმო-ს ხელშეკრულება ითვალისწინებს ქვეყნების ვალდებულებას გაატარონ ქმედითი ზომები ავტორთა ინტერესების დასაცავად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებიდან გამომდინარე შექმნილ ვითარებაში. კერძოდ, გათვალისწინებულია ვალდებულებები, რომლებიც ეხება ტექნიკურ ზომებს და ინფორმაციას უფლებათა მართვისათვის.

ტექნიკურ ზომებთან დაკავშირებული ვალდებულებანი

ქვეყნები ვალდებულია მიიღონ შესაბამისად დამაკმაყოფილებელი სამართლებრივი ღონისძიებები ავტორთა მიერ გამოყენებული ისეთი ტექნიკური ზომების გვერდის ავლის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ხელს უშლის ნაწარმოებების უნებართვო გამოყენებას (მაგალითად, კოდირება). გასაგებია, რომ ეს ვალდებულებანი უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ელექტრონულ სივრცეში ავტორთა უფლებების კომპლექსურ დაცვას.

უფლებათა მართვისათვის ინფორმაციასთან დაკავშირებული ვალდებულებანი

ისმო-ს ხელშეკრულებით ყურადღება გამახვილებულია ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა ავტორთა უფლებების ეფექტური მართვისათვის. გასაგებია, რომ თუ არ იარსებებს ისეთი ინფორმაცია, რომელიც იძლევა ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის, ანდა თავად ნაწარმოების ამოცნობის შესაძლებლობას, მაშინ ძალზე გართულდება საავტორო უფლებათა გამოყენება და მართვა. ამიტომ ისმო-ს ხელშეკრულება ავალდებულებს ქვეყნებს გაითვალისწინონ და მიიღონ სამართლებრივი ზომები ასეთი ინფორმაციის განადგურების ან შეცვლის საწინააღმდეგოდ, გათვალ-

ისწინებულია ნაწარმოების მართლსაწინააღმდეგო გავრცელების აღკვეთა, მათ შორის იმპორტი, ეთერში გადაცემა ან მოსახლეობამდე სხვაგვარად დაყვანა, როცა ცნობილია, რომ ნაწარმოების ეგზემპლარებიდან მოსპობილია ან შეცვლილია უფლებათა მართვისათვის გათვალისწინებული ინფორმაცია.

ისმო-ს ხელშეკრულება საგანგებოდ ითვალისწინებს ნორმას, რომელიც ავალდებულებს ქვეყნებს მიიღონ სამართლებრივად საკმარისი ყველა ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ავტორთათვის დადგენილი უფლებების განხორციელება დაუბრკოლებრივ. საამისოდ ქვეყნებს დაეკისრა ეროვნული კანონებით შესაბამისი ნორმების გათვალისწინება, მათ შორის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ.

ისმო-ს ხელშეკრულება დადებულია ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, რომელთა ტექსტების ძალაც სრულიად თანაბარია.

თავი 41. ისმოს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ

ჟენევაში, ისმოს შტაბ-ბინაში გამართულ 1996 წლის დეკემბრის დიპლომატიურ კონფერენციაზე ერთდროულად იქნა მიღებული ორი ახალი ხელშეკრულება. ერთი – საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება, გამიზნულია ციფრულ სივრცეში საავტორო უფლებების დაცვის საკითხის მოგვარებისკენ, რასაც ველარ უზრუნველყოფს ბერნის კონვენცია, ხოლო მეორე, იმავე მიზნით იქნა მიღებული და ემსახურება მომიჯნავე უფლებების დაცვის მოგვარებას იმ გარემოების გათვალისწინებით, რასაც ველარ უზრუნველყოფს რომის კონვენცია. აქედან გამომდინარე ისმო-ს ამ ორ ხელშეკრულებას ბევრი საერთო ნიშანი ახასიათებს და შესაბამისი საკითხების განხილვისას მასზე მითითებით შემოვიფარგლებით, რადგან ზემოთ წარმოვადგინეთ.

ეს ხელშეკრულება ასევე ღია ხელშეკრულებაა და მას შეუძლია მიუერთდეს ისმო-ს წევრი და ევროპის გაერთიანებაში შემავალი ნებისმიერი ქვეყანა. მიერთებისა და ფუნქციონირების სხვა წესები ანალოგიურია საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებისა. 2006 წლის მდგომარეობით მისმა მხარე სახელმწიფოთა რიცხვმა 57 შეადგინა. საქართველომ ისმო-ს ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა და მისი მხარე გახდა 2001 წლიდან

შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების (სიადვილისათვის შემდგომ "ხელშეკრულებად" მოვიხსენიებთ) განხილვისას კვლავ შემოვიფარგლებით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გაშუქებით.

ხელშეკრულება არ არის რაიმე სახით დამოკიდებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, გარდა ეროვნულ რეჟიმთან, შემსრულებლის უფლებებთან და დაცვის ვადებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც რომის კონვენციაზე არის მითითებული. იგი შეიცავს ტერმინთა განმარტებებს, რომელთაგანაც აღვნიშნავთ, რომ მე-2 მუხლის ე) პუნქტით ხელშეკრულების ქართული ტექსტი გვთავაზობს "გამოქვეყნების" განმარტებას, ხოლო აღნიშნული ნორმა დედნის მიხედვით ეხება "გამოცემას", რაზეც მეტყველებს ქართულად მოცემული თავად განმარტების შინაარსიც.

ხელშეკრულების დაცვის ობიექტებია **შესრულება** და **მისი ჩანაწერი ფონოგრამის სახით**, შესაბამისად მოცემულია ორი სუბიექტის შემსრულებლისა და ფონოგრამის დამაზადებლის უფლე-

ბები, რადგან მომიჯნავე უფლებების მთავარი (შემოქმედებითი წვლილის გაღების თვალსაზრისით) სუბიექტის – შემსრულებლის უფლებები თითქმის ყოველთვის არის დაკავშირებული ხმოვანი ჩანაწერების დამზადებასთან და ფართო გავრცელებასთან. უფლებების დაცვა ან განხორციელება არ არის დაკავშირებული არანაირ ფორმალობებთან.

შემსრულებლის უფლებები

ხელშეკრულება ეხება შემსრულებლის როგორც **პირად არაქონებრივ (მორალურ) ისე ქონებრივ – განსაკუთრებულ უფლებებს**.

მორალური უფლებები მინიჭებულია შემსრულებლად აღიარებისა და შესრულების ჩანაწერის დამახინჯების, ცვლილების ან სხვაგვარი ხელყოფის ფარგლებში. ეს უფლებები ბერნის კონვენციით ავტორებისათვის დადგენილი უფლებების ანალოგიურია.

განსაკუთრებული უფლებები ორი კატეგორიისაა – ცოცხალი და ჩაწერილი შესრულებიდან გამომდინარე.

ცოცხალ შესრულებასთან დაკავშირებით შემსრულებელს ეკუთვნის საეთერო მაუწყებლობის (განმეორებითი გადაცემის გარდა), მოსახლეობამდე დაყვანის (საზოგადოებისათვის მიწოდების) და ჩაწერის განსაკუთრებული უფლებები. საეთერო მაუწყებლობისა და მოსახლეობამდე დაყვანის უფლებები საჯარო გადაცემის უფლებას წარმოადგენს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ელექტრონულ სივრცეში მოქმედების ფარგლები რომ გამოჩნდეს მას მოიხსენიებენ ტერმინით "მოსახლეობამდე დაყვანა, ანუ საზოგადოებისათვის მიწოდება ("communication to the public" ნაცვლად "სადენების საშუალებით ან სხვა გზით გადაცემისა"). ითვლება, რომ ასეთი ტერმინის შინაარსი უნდა განიმარტოს ფართო გაგებით ისე, როგორც განმარტებულია ისმოს-ს ხელშეკრულებაში საავტორო უფლებების შესახებ. გამომდინარე აქედან, ამ უფლებით მოცულია შესრულების დაყვანა მოსახლეობამდე (საზოგადოებისათვის მიწოდება) სადენებიანი (მავთულიანი) სამაუწყებლო გადაცემის ან სხვა გზით, გარდა საეთერო გადაცემისა, ისე, რომ ნებისმიერ პირს შეეძლოს აღიქვას ხმოვანი სახით იმ ადგილას, სადაც მას სურს და იმ დროს, როცა მას სურს.

ფონოგრამაზე ჩაწერილ შესრულებასთან დაკავშირებით შემსრულებელს ეკუთვნის **კვლავწარმოების (რეპროდუცირების), გავრცელების, გაქირავებისა და მოსახლეობამდე დაყვანის განსაკუთრებული უფლებები**.

კვლავწარმოების უფლებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი განიმარტება ჩვეულებრივი გაგებით და მონაწილე ქვეყნები არ არიან ვალდებულნი დააწესონ უფლებათა ამოწურვის პრინციპიდან გამომდინარე რაიმე შეზღუდვები ან საერთოდ შემოიღონ რაიმე მომწესრიგებელი ნორმები. კვლავწარმოების უფლება ვრცელდება ციფრულ გარემოში კვლავწარმოებაზეც, მათ შორის, შესრულებისა და მისი ჩანაწერის (ფონოგრამის) ელექტრონულ სივრცეში უნებართვო განთავსება და/ან შენახვა წარმოადგენს კვლავწარმოების ერთ-ერთ ფორმას დიპლომატიურ კონფერენციაზე შეთანხმებული დებულებების გათვალისწინებით, ამ საკითხთან დაკავშირებით. იგივე ვითარებაა გასათვალისწინებელი ფონოგრამის დამამზადებელთა და ავტორთა ანალოგიური უფლების ფარგლების განსაზღვრისას.

დგავრცელების უფლება იმ სიტყვებითა და მოცულობით არის მოცემული, როგორც საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულებით არის ეს გათვალისწინებული. ამიტომ განხილვას აღარ გავიმეორებთ. ორივე შემთხვევაში გამოყენებული ტერმინებით "ასლი" და "ორიგინალი" უნდა ითქვას იგულისხმება ნაწარმოების ან ჩანაწერის ეგზემპლარები ბრუნვაში ჩართული სხეულებრივი ფორმით. ეს განმარტება მართებულია აგრეთვე ფონოგრამის დამამზადებლის გავრცელების უფლების შესაბამისი ნორმისთვის.

გაქირავების უფლების დაწესება დასაშვებია ისე, როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე ლოგიკურია ის, რომ ქვეყნებს, რომლებიც სხვა გვარად აწესრიგებდნენ საკითხს 1994 წლამდე (TRIPS-ის მოთხოვნათა შესაბამისად) დარჩათ უფლება შეინარჩუნონ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესი. მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნებს (აშშ, ინგლისი და სხვ.) შემსრულებლებისათვის ფონოგრამაზე ჩაწერილ შესრულებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული უფლებები დაწესებული არა აქვთ და შესაბამისად არ არიან ვალდებული დააწესონ ისინი, მათ შორის გაქირავების განსაკუთრებული უფლება.

ხელშეკრულება ხაზგასმით ითვალისწინებს, ქვეყნების ვალდებულებას, რომ თუ გაქირავების უფლება დაწესებულია იგი არ უნდა იწურებოდეს შემსრულებლის მიერ ან მისი თანხმობით ფონოგრამის ეგზემპლარების გავრცელებასთან ერთად. გამოთქმულს ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ფონოგრამის დამამზადებლის ანალოგიური

უფლების შესახებ ხელშეკრულების ნორმა არ შეიცავს მითითებას ეროვნულ კანონმდებლობაზე.

მოსახლეობამდე დაყვანის განსაკუთრებული უფლება იგივე სიტყვებით არის გადმოცემული, როგორც საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულებით. ამიტომ განხილვას აღარ გავიმეორებთ, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ ინგლისურ ტექსტში (დედანი) სიტყვები "communication to the public" შეცვლილია სიტყვებით "making available of phonograms", რაც იგივე მნიშვნელობისაა და უფრო მკაფიოდ ეთანადება ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ქართულ ტერმინს "მოსახლეობამდე დაყვანა" ან "საზოგადოებისათვის მიწოდება", ვიდრე "ჩაწერილი შესრულების საჯარო გადაცემა", რომელიც მოცემულია ხელშეკრულების ქართულ ოფიციალურ თარგმანში. ამ უფლების მოცულობა ვრცელდება ნებისმიერ, მათ შორის ელექტრონულ სივრცეში გავრცელებაზე. ელექტრონულ სივრცესთან დამოკიდებულება ზოგადი განმარტებითი მუხლიდანაც ვლინდება, სადაც მოცემულია მაუწყებლობის, ფონოგრამის, გავრცელების, ჩანაწერისა და მოსახლეობამდე დაყვანის განმარტებები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ ისინი შეიძლება შეიცავდეს ხმების ციფრულ გამოსახულებებს, რომლებიც აქამდე არ არსებობდა, მაგრამ არის წარმოქმნილი ელექტრონული საშუალებებით.

ელექტრონულ სივრცეში შემსრულებლის (იგივე ითქმის ფონოგრამის დამამზადებლებების, აგრეთვე ავტორების შესახებ) განსაკუთრებული უფლებების ძალა ვრცელდება შესრულების (ნაწარმოების) ელექტრონულ გარემოში შენახვაზე, ელექტრონულ სივრცეში გადაგზავნაზე (გადაწოდებაზე, გავრცელებაზე).

ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები

ხელშეკრილების ამ სუბიექტისათვის განსაზღვრულია მხოლოდ განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ფონოგრამაზე დატანილი შესრულებიდან გამომდინარე შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებების მსგავსია mutatis mutandis. ფონოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის **კვლავწარმოების (რეპროდუცირების), გავრცელების, გაქირავებისა და მოსახლეობამდე დაყვანის განსაკუთრებული უფლებები.** შესაბამისად ამ უფლებათა დახასიათებას აღარ მივიჩნევთ მიზანშეწონილად.

ხელშეკრულებით დადგენილია შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლებისათვის **ერთიანი გასამრჯელოს მიღების**

უფლების დადგენის შესაძლებლობა, ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც შეიძლება ცალ-ცალკე ან ერთობლივად იქნეს მოთხოვნილი. ამასთან, გასამრჯელოს ანაწილებენ თვითონ ამ უფლების სუბიექტები. ქვეყნებს შეუძლია დაადგინონ შეზღუდვები გასამრჯელოს მიმართ. მაგალითად, მიაბან იგი მხოლოდ რაიმე სახით გამოყენებას. ეს ნორმა რომის კონვენციით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმის ანალოგიურია. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობით ამ ნორმის დაწესება სავალდებულო არ არის.

უფლებათა მოქმედების ხანგრძლივობა

შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებების მოქმედება დადგენილია არანაკლებ 50 წლით, შესრულების ფონოგრამაზე განმტკიცების (ჩაწერის) თარიღიდან ათვლით, მოცემული წლის დასრულების დღიდან.

ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებების მოქმედება დადგენილია ასევე არანაკლებ 50 წლით, ოღონდ ამ ვადის ათვლა იწყება იმ წლის ბოლო დღიდან, როდესაც ფონოგრამა გამოიცა, ხოლო, თუ გამოცემა არ მომხდარა, მაშინ ფონოგრამაზე შესრულების განმტკიცების დღიდან. ამასთან, ამ ნორმის გამოყენებისათვის ერთმანეთთან გაიგივებულია ფონოგრამის გამოცემა და მისი მოსახლეობამდე დაყვანა სამავთულო ან უსადენო ტექნიკის საშუალებებით მიწოდებით იმ ადგილას და იმ დროს, როდესაც მომხმარებელი ისურვებს.

ხელშეკრულება ითვალისწინებს შეზღუდვებისა და გამონაკლისების დაწესების შესაძლებლობას მონაწილე ქვეყნების მხრივ, იმ ფარგლებით და იმდაგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებებისათვის. ეს ნორმა ანალოგიურია რომის კონვენციის შესაბამისი ნორმისა.

საავტორო უფლებათა შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მსგავსად ამ ხელშეკრულებით მოცემულია მოთხოვნები ქვეყნების მიმართ, რათა აუცილებლად გაითვალისწინონ უფლებათა დარღვევის საწინააღმდეგოდ მიმართული, უფლებათა მფლობელის მიერ გამოყენებული ტექნიკური ზომების, აგრეთვე უფლებათა მართვისათვის საჭირო ინფორმაციის გვერდის ავლის, მოშლის, ან განადგურების აღკვეთისათვის.

უფლებათა უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია საავტორო უფლებათა შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მსგავსი მოთხოვნები.

თავი 42. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება

1970 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილი და 1978 წლიდან სრულფასოვნად ამოქმედებული საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება არის მრავალმხრივი, საპატენტო უფლებების მოპოვების პროცედურებთან დაკავშირებული ხელშეკრულება. მისი დადების მიზანია ხელი შეუწყოს განმცხადებლებს საზღვარგარეთ გამოგონებების დაპატენტების თვალსაზრისით, რისთვისაც ადგენს მნიშვნელოვან მატერიალურ-სამართლებრივ და ორგანიზაციული ხასიათის შეღავათებს. მიღწეულია კოოპერირება განაცხადის მიწოდებასთან, საინფორმაციო ძიებასთან და საპატენტო ექსპერტიზასთან დაკავშირებით, აგრეთვე საპატენტო ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. **იგი არ ითვალისწინებს საერთაშორისო პატენტის გაცემას. პატენტის გაცემა მხოლოდ ეროვნული ან რეგიონული უწყებების უფლებამოსილებაა.** საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება ღია ხელშეკრულებაა. მას შეუძლია მიუერთდეს პარიზის კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა, აგრეთვე სამრავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება პატენტის გაცემის რეგიონულ სისტემას. მსოფლიოში მოქმედი ასეთი ორგანიზაციები სადღეისოდ ყველა გაწევრიანებულია ა:PCT კავშირში. საქართველო მიუერთდა 1994 წელს პარიზის კონვენციას მიერთებასთან ერთად, სამთავრობო დეკლარაციის საფუძველზე, რითაც ჩვენმა ქვეყანამ იკისრა საბჭოთა კავშირის დროს აღებული ვალდებულებების შესრულების გაგრძელება. მონაწილე ქვეყნების მიერ შექმნილია კავშირი – PCT კავშირი,[6] რომლის საქმიანობაც ფინანსირდება საერთაშორისო განაცხადებისათვის დაწესებული საფასურების ხარჯზე. 2006 წლის მდგომარეობით PCT მხარე სახელმწიფოთა რიცხვი შეადგენდა 128-ს, რაც მის ქმედითუნარიანობაზე და მაღალ ეფექტურობაზე მოწმობს. ამის მაგალითი ისიც არის, რომ საქართველოში უცხო ქვეყნიდან პატენტის მიღების სურვილით მოწოდებული განაცხადების რიცხვიდან 98%-ზე მეტი PCT განაცხადებზე მოდის. საქართველოდან უცხო ქვეყანაში დაპატენტების მსურველებიც უპირატესობას სწორედ ამ სისტემას ანიჭებენ. PCT გაყინულ საერთაშორისო აქტს არ წარმოადგენს, იგი მრავალგზის გადაისინჯა სრულყოფისა და თანამედროვე საპატენტო სამართლის განვითარებასთან მისი ნორმების შეხამების მიზნით. იგი შედგება პრეამბულისაგან, 8 ნაწილად დაყოფილი 69 მუხლისაგან და მისი განუყოფელი ნაწილ-

ისაგან – ხელშეკრულების ინსტრუქციისაგან. I ნაწილი "საერთაშორისო განაცხადი" შეიცავს 24 მუხლს; II – "საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა" შეიცავს 10 მუხლს; III – "ზოგადი დებულებები" შეიცავს 7 მუხლს; IV – "ტექნიკური მომსახურება" შეიცავს 3 მუხლს; V – "ადმინისტრაციული დებულებები" შეიცავს 7 მუხლს; VI – "დავები" შედგება 1 მუხლისაგან; VII – "გადასინჯვა და ცვლილებები" შედგება 2 მუხლისაგან; ბოლო VIII ნაწილი შეიცავს 8 მუხლს. ინსტრუქცია შედგება 107 წესისაგან. გარდა ამისა, ისმოს მიერ შემუშავებულია ადმინისტრაციული ინსტრუქცია, რომელიც გამოიყენება უწყებების მიერ და რომელიც აწესებს ზოგად წესებს საპატენტო დოკუმენტაციის, მაგალითად განაცხადისათვის ნომრის მინიჭებისა და ზოგიერთი საგანაცხადო მასალების, მაგალითად, ამინომჟავების თანამიმდევრობის წარმოდგენის მიმართ, აგრეთვე ითვალისწინებს მეთოდოლოგიურ მიდგომებს გამოგონების ერთიანობის განსაზღვრისათვის.

PCT ფუნქციონირებს საერთაშორისო ორგანოებისა და ეროვნული უწყებების მეშვეობით. საერთაშორისო ორგანოებს წარმოადგენს: **საერთაშორისო ბიურო**, განლაგებული ისმო-ს შტაბ-ბინაში, ჟენევაში; **საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანოები** – ავსტრალიის, ავსტრიის, აშშ-ს, ევროპის, ესპანეთის, იაპონიის, კანადის, რუსეთის, სამხრეთ კორეის, ფინეთის, შვედეთისა და ჩინეთის საპატენტო უწყებები; **საერთაშორისო წინასწარი (პირობითი) ექსპერტიზის ორგანოები** – იგივე საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანოებია, ესპანეთისა და სამხრეთ კორეის გარდა.

PCT ითვალისწინებს განაცხადების მიღებისა და განხილვის ორ ფაზას, რომლების შესახებ ნორმებს "ხელშეკრულების თავებსაც უწოდებენ". I ფაზა (შესაბამისად I თავი) **საერთაშორისო ფაზას წარმოადგენს**, ხოლო II ფაზა (შესაბამისად II თავი) **ეროვნული ფაზაა**. ქვეყნები ვალდებულია I თავს აუცილებლად მიუერთდნენ. II თავი ფაკულტატურია.

საერთაშორისო ფაზა

საერთაშორისო განაცხადის მიწოდებით იწყება საერთაშორისო ფაზა, რომელიც მოიცავს ფორმალური მოთხოვნების შემოწმებას (მოწმდება მხოლოდ განაცხადის შედგენის და გაფორმების შესაბამისობა PCT მოთხოვნებთან, ხელმოწერების არსებობა, კომპლექტაცია და სხვა), საერთაშორისო საინფორმაციო ძიების

ჩატარებას, ადგენს პატენტუნარიანობის თაობაზე დასკვნას და განაცხადს აქვეყნებს პრიორიტეტიდან არაუგვიანეს მე-18 თვისა. საერთაშორისო ფაზის ეს ნაწილი ხორციელდება I თავის მოთხოვნების მიხედვით. განმცხადებლის სურვილით შეიძლება ჩატარდეს საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა II თავის ნორმების თანახმად. ამ საერთაშორისო პროცედურების დასრულების შემდეგ ხორციელდება ეროვნული ფაზა, თუ განმცხადებელი გადაწყვეტს.

განაცხადის მიწოდება

საერთაშორისო განაცხადის მიწოდების უფლება აქვს მონაწილე ქვეყნის მოქალაქეს, რეზიდენტს ან ამ ქვეყანაში მოქმედი საწარმოს მქონე პირს. განაცხადი მიეწოდება ეროვნულ უწყებას, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს თითოეული მონაწილე ქვეყნის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს – რომლებსაც **"მიმღებ უწყებად"** მოიხსენიებს PCT. განაცხადის მიწოდება დასაშვებია მიმღები უწყების ენაზე, მისი თარგმანის შემდგომ მიწოდების უზრუნველყოფით, დადგენილ ვადაში. საერთაშორისო ფაზის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად განაცხადი უნდა ითარგმნოს (ან უნდა იყოს თავიდან წარდგენილი) ქვეყნის მიერ დასახელებული საერთაშორისო საძიებო ორგანოსა და საერთაშორისო წინასაწარი ექსპერტიზის ორგანოს მუშა ენაზე. საქართველოსათვის ეს ენებია ინგლისური და რუსული. განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას ეროვნული კანონის მოთხოვნები საერთაშორისო განაცხადის მიმღები უწყებისათვის მიწოდებისას. საქართველოს მაცხოვრებელმა განმცხადებელმა უნდა სთხოვოს "საქპატენტს" საზღვარგარეთ დაპატენტების ნებართვა. დადებითი პასუხის მიღების ან 2 თვეში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში განაცხადი დაექვემდებარება საერთაშორისო ფაზას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმღები უწყება ამოწმებს განაცხადს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების თვალსაზრისით, კერძოდ, ხომ არ განეკუთვნება გამოგონება დასასაიდუმლოებელთა რიცხვს. შესაბამისად, ჯერ განხორციელდება საიდუმლო განაცხადების განხილვისათვის დადგენილი წესი და განაცხადი ან დაექვემდებარება საერთაშორისო ფაზას, ან არა. საერთაშორისო განაცხადი შეიძლება თავდაპირველადვე მიეწოდოს მიმღებ უწყებას, ანუ იგი შეიძლება არ ეფუძნებოდეს ადრინდელ განაცხადს. ამ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადის მიღების თარიღი და პრიორი-

ტეტის თარიღი ერთმანეთს დაემთხვევა. შესაბამისად ყველა ვადა PCT-ს მიხედვით აითვლება ამ თარიღიდან. პარიზის კონვენციის მიხედვით შეიძლება საერთაშორისო განაცხადით მოთხოვნილ იქნეს ადრინდელი – პირველი განაცხადის პრიორიტეტი, ანუ საერთაშორისო განაცხადი შეიძლება ეფუძნებოდეს ეროვნულ უწყებაში უკვე შეტანილ განაცხადს. ამ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღი და პრიორიტეტის თარიღი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ზოგიერთი ვადა, მაგალითად გამოქვეყნებისათვის დადგენილი აითვლება მხოლოდ პრიორიტეტის თარიღის მიხედვით. საერთაშორისო განაცხადის მიღების თარიღი კი განმსაზღვრელი იქნება, მაგალითად, პატენტის მოქმედების ვადის ათვლისათვის შესაბამის ქვეყანაში, რადგან საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღი PCT-ს მიხედვით მიიჩნევა ეროვნულ უწყებაში მიწოდების თარიღად. ეს თარიღი იმოქმედებს იმდენი და იმ ეროვნული უწყებების წინაშე, რომლებიც აღნიშნა განმცხადებელმა განცხადების ბლანკში და აირჩია აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე პატენტის მიღების სურვილით. საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღს ადგენს მიმღები უწყება და ანიჭებს მას საერთაშორისო განაცხადის ნომერს. გარდა ამისა მიმღები უწყება ამოწმებს PCT მოთხოვნებით დაწესებულ ფორმალობებს. თუ ეს მოთხოვნები დაცულია და შესაბამისი საფასურები გადახდილია მიმღები უწყება გადაუგზავნის განაცხადის ერთ ეგზემპლარს "სარეგისტრაციო ეგზემპლარი" საერთაშორისო ბიუროს, მეორე ეგზემპლარს "საინფორმაციო ძიებისათვის განკუთვნილი ეგზემპლარი" საერთაშორისო საძიებო ორგანოს (საქართველოს შემთხვევაში საქპატენტი ასეთ ეგზემლარს უგზავნის ან ევროპის საპატენტო უწყებას ან "როსპატენტის" სამრეწველო საკუთრების ფედერალურ ინსტიტუტს). მესამე ეგზემპლარი "საშინაო ეგზემპლარი" რჩება მიმღებ უწყებას. განმცხადებელი იხდის **საერთაშორისო საფასურებს.** ამასთან დაწესებულია შეღავათები იმ ქვეყნების მოქალაქეთათვის, რომლებშიც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 3000$-ზე ნაკლები ეროვნული შემოსავალი. საქართველოც ასეთ ქვეყანათა რიცხვს არის მიკუთვნებული და შესაბამისად განმცხადებელი გადაიხდის 75%-ით შემცირებულ საფასურს. გარდა აღნიშნულისა განმცხადებელი იხდის განაცხადის დამუშავებისა და გადაგზავნის საფასურს მიმღები უწყების სასარგებლოდ. საერთაშორისო განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს, აგრეთვე, ელექტრონული სახით, ქაღალდის მატარებელზე შემდგომი მიწოდების უზრუნვე-

ლყოფით, რაც ხელსაყრელია განმცხადებლისათვის, რადგან კიდევ უფრო უმცირებს გადასახადს. საერთაშორისო განაცხადის მიწოდება დასაშვებია პირდაპირ საერთაშორისო ბიუროში. არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო განაცხადი შემთხვევით მოხვდეს სხვა ქვეყნის უწყებაში, რომელიც განმცხადებლის მოქალაქეობიდან გამომდინარე არ არის მიმღები უწყება. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადი აღირიცხება და, რადგან სხვა უწყებაში მიწოდებული საერთაშორისო განაცხადი საერთაშორისო ბიუროში მიწოდებულად ითვლება იგი გადაეგზავნება საერთაშორისო ბიუროს. ასეთი განაცხადებიც გაივლის მიმღები უწყების მიერ განსახორციელებად ზემოთ აღწერილ პროცედურას. ამის გათვალისწინებით განმცხადებელს ყოველთვის ურჩევნია საერთაშორისო განაცხადი საკუთარ მიმღებ უწყებას მიაწოდოს, რომელიც იმავდროულად აღმოუჩენს საჭირი პირველად დახმარებას ფორმალობების გადალახვის თვალსაზრისით, რაც იმის გარანტია გახდება, რომ ფორმალობების შეუსრულებლობის მიზეზით მისი საერთაშორისო განაცხადი არ იქნება უარყოფილი. რაც მნიშვნელოვანია, გარანტირებული იქნება ეროვნულ უწყებაში დედა ენაზე მიწოდებული განაცხადისათვის მინიჭებული პრიორიტეტით სარგებლობა. საერთაშორისო ფაზის განხორციელების ვადები აითვლება პრიორიტეტის თარიღიდან.

საერთაშორისო საინფორმაციო ძიება და პატენტუნარიანობის შეახებ დასკვნა

საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანო ატარებს გამოგონების მიმართ საერთაშორისო საინფორმაციო ძიებას, რომელიც მოიცავს PCT მინიმუმს – 1920 წლიდან არსებულ საპატენტო ინფორმაციას შემდეგი ქვეყნების მიხედვით: აშშ, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, საბჭოთა კავშირის (რუსეთის), საფრანგეთის, შვეიცარიის. მინიმუმში შედის აგრეთვე გამოქვეყნებული ყველა საერთაშორისო და რეგიონული განაცხადი და სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, რომელთა სიაც განსაზღვრულია. ინფორმაცია, რომელიც არ არის გამოქვეყნებული ძიების ჩამტარებელი ორგანოს მუშა ენაზე ან ენებზე მხედველობაში არ მიიღება, თუ არ არსებობს ინგლისური რეფერატი. ასეთი წესი მოქმედებს, მაგალითად, იაპონურ ან რუსულ ენაზე გამოქვეყნებული საპატენტო ინფორმაციის მიმართ. საერთაშორისო ძიება მთავრდება პრიორიტეტის თარიღიდან ათვლით არაუგვიანეს 9 თვისა, ან საერთაშორისო ძიებისათვის განკუთვნილი განაცხადის ეგზემპლარის მიღე-

ბის დღიდან არა უგვიანეს 3 თვისა, თუ ეს თარიღი უფრო გვიან იწურება. საერთაშორისო საინფორმაციო ძიება არ მთავრდება, მაგალითა, ისეთი ინფორმაციის მოძიებით, რომელიც სრულად შეიცავს გამოგონების არსებით ნიშნებს და ფაქტობრივად აბათილებს გამოგონების სიახლეს. ეს იმიტომ, რომ საერთაშორისო ფაზის დროს არ გამოიტანება გადაწყვეტილება პატენტის გაცემა – არგაცემის თაობაზე. შესაბამისად საინფორმაციო ძიების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია შექმნას სრული სურათი არსებული ტექნიკის დონის შესახებ, გამოგონების მიმართ. საინფორმაციო ძიება ტარდება გამოგონების ფორმულის მთლიანი მოცულობით, იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოგონების ერთიანობა დარღვეულია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განმცხადებელი გადაიხდის დამატებით საფასურს. საინფორმაციო ძიება მთავრდება საერთაშორისო საინფორმაციო ძიების შესახებ ანგარიშის შედგენით, რომელშიც მიეთითება გამოგონების შესატყვისი ყველა საინფორმაციო წყარო გამოგონების ფორმულის შესაბამის მუხლთან მიმართებით. ანგარიში არ შეიცავს რაიმე დასკვნას პატენტუნარიანობის შესახებ. ანგარიში გადაეგზავნება საერთაშორისო ბიუროს, რომელიც ურთავს მას საერთაშორისო განაცხადს, აგრეთვე განმცხადებელს, რომელსაც აქვს უფლება ანგარიშში მითითებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ შეცვალოს გამოგონების ფორმულა დასაშვებ ფარგლებში ან შეწყვიტოს დაპატენტება, თუ პატენტუნარიანობა ბათილდება. ყველა შემთხვევაში პროცედურა მომგებიანია განმცხადებლისათვის, რადგან იზოგება სიტუაციის არცოდნის შემთხვევაში გასაწევი ხარჯები, ან განაცხადის დაპატენტება გრძელდება მაღალი გარანტიით.

განაცხადის გამოქვეყნება

საერთაშორისო ბიურო საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ორგანოსაგან ანგარიშის მიღების შემდეგ აკომპლექტებს განაცხადს და აქვეყნებს მას. საერთაშორისო გამოქვეყნება ხდება პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლის შემდეგ, თუ მანამ განმცხადებელმა, რომელსაც არ სურდა გამოქვეყნება, არ გაიტანა განაცხადი. გამოქვეყნებას ექვემდებარება განაცხადი საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ანგარიშთან და შეცვლილი გამოგონების ფორმულასთან ერთად. ამიტომ, გასაგებია, რომ ასეთი წესით გამოქვეყნებული ინფორმაცია ძალზე ღირებულია ტექნიკის შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის. ამასთან, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, იაპონურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენაზე

მიწოდებული განაცხადი ქვეყნდება ამავე ენებზე, სხვა ენებზე მიწოდებული განაცხადები კი ქვეყნდება ინგლისურად გადათარგმნილი. გამოგონების რეფერატები ქვეყნდება როგორც შედგენილი განაცხადის ენაზე, ისე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გამოქვეყნების შემდეგ მესამე პირებს შეუძლიათ ზუსტად იცოდნენ არსი, განმცხადებლისა და ავტორების ვინაობა, ქვეყნები, რომლებშიც განმცხადებელს სავარაუდოდ სურს მიიღოს პატენტი. კონკურენციული სტრატეგიიდან გამომდინარე, განმცხადებლები, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, უკლებლივ აღნიშნავენ საერთაშორისო განაცხადის განცხადების ბლანკში ჩამოთვლილ ქვეყნებს, ამიტომ ამ ქვეყნებს "აღნიშნული ქვეყნები" ეწოდება.

საერთაშორისო წინასწარი (პირობითი) ექსპერტიზა

თუ განმცხადებელი მოისურვებს ამ არასავალდებულო საერთაშორისო ფაზით სარგებლობას იგი ვალდებულია პრიორიტეტის თარიღიდან არაუგვიანეს მე-19 თვისა (შეღავათების გათვალისწინებით) მოითხოვოს საერთაშორისო ექსპერტიზის ჩატარება და გადაიხადოს შესაბამისი საფასური. მოთხოვნა განმცხადებელმა უნდა გაუგზავნოს უშუალოდ საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ჩამტარებელ უფლებამოსილ ორგანოს, რაშიც მას მიმღები უწყება დაეხმარება. ეს მოთხოვნა იურიდიულად მნიშვნელოვანი იყო 2002 წლამდე, რადგან განმცხადებელს ეძლეოდა შესაძლებლობა გადაედო ეროვნული ფაზის დაწყება იმ ვადით, რა დროც სჭირდება წინასწარი ექსპერტიზის ჩატარებას. ამჟამად დაწესდა და საქართველომ თანხმობა განაცხადა ეროვნული ფაზის დაწყების ერთიანი ზღვრული ვადა. საერთაშორისო ექსპერტიზა მთავრდება პრიორიტეტის თარიღიდან არა უგვიანეს 27-ე თვისა. როგორც ვხედავთ, მისი ხანგრძლივობა 8 თვეს შეადგენს, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ პროცედურის დროს ექსპერტი უკავშირდება განმცხადებელს, მათ შორის არსობრივი საკითხების განხილვის ირგვლივ. კერძოდ, თუ საერთაშორისო ექსპერტი თვლის, რომ არ კმაყოფილდება პატენტუნარიანობის რომელიმე კრიტერიუმი იგი აცნობებს თავის აზრს განმცხადებელს, რომელიც იძლევა შესაბამის განმარტებებს ან ცვლის გამოგონების ფორმულას და საგანაცხადო მასალებს, დასაშვებ ფარგლებში. როდესაც განმცხადებელი საბოლოოდ გადაწყვეტს თუ რომელ ქვეყნებში აპატენტებს გამოგონებას, იგი უთითებს მათ და ატყობინებს საერთაშორისო ექსპერტიზის ჩამტარებელ ორგანოს ექსპერტიზის მოთხოვნასთან ერთად. ამ ქვეყნებს "არჩეულ ქვეყნებს" უწოდე-

ბენ, ხოლო მათ საპატენტო უწყებებს "არჩეულ საპატენტო უწყებებს". ექსპერტიზის შედეგები ფორმდება საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის დასკვნის სახით, რომელშიც მიეთითება აკმაყოფილებს თუ არა გამოგონება პატენტუნარიანობას, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. დასკვნა გამოიტანება გამოგონების ფორმულის ყოველი მუხლის მიმართ. იგი გადაეგზავნება საერთაშორისო ბიუროს და განმცხადებელს. იგი არ ქვეყნდება. დასკვნის მე-3 ეგზემპლარი ეგზავნება მხოლოდ იმ ქვეყნების საპატენტო უწყებებს, სადაც განმცხადებელი საბოლოოდ გადაწყვეტს დააპატენტოს გამოგონება. ამ დასკვნის პირობითობა ის არის, რომ საბოლოოდ არჩეული ქვეყნების საპატენტო უწყებებისათვის იგი სავალდებულო საბუთს არ წარმოადგენს. ანუ, დასკვნა რომც იყოს ყოველმხრივ დადებითი პატენტი მაინც შეიძლება არ გაიცეს და პირიქით.

ეროვნული ფაზა

დაპატენტების ეს ფაზა იწყება საერთაშორისო ფაზის დასრულების შემდეგ. იგი შეიძლება დაიწყოს პრიორიტეტის დღიდან არაუგვიანეს 30 თვის გასვლის შემდეგ. ამასთან, საქართველოსათვის ამ თარიღით შეუძლია ისარგებლოს განმცხადებელმა PCT საერთაშორისო ფაზის ორივე თავის შესაძლებლობებით ან მხოლოდ პირველი თავით, რომელიც შემოიფარგლება საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ჩატარებით. თუ დასაპატენტებლად არჩეულია ქვეყანა, რომელიც ამ დებულებას არ იზიარებს (PCT ქვეყნებს შეუძლიათ არ მიიღონ სამოქმედოთ ეს წესი), მაშინ განმცხადებელმა PCT I თავის განხორციელების შედეგების მიხედვით ეროვნული ფაზის დაწყება უნდა მოასწროს პრიორიტეტის თარიღიდან 30 თვის გასვლამდე. ეროვნული ფაზის დაწყება დამოკიდებულია განმცახდებლის სურვილზე, რასაც იგი ადასტურებს არჩეულ უწყებაში შესაბამისი განცხადების მიწოდებით. ეს განცხადება შეიძლება იყოს ეროვნულ ენაზე გაფორმებული პატენტის მიღების შესახებ განცხადების ბლანკი, რომელიც მიეწოდება ზემოთ მითითებული 30 თვის გასვლამდე. ამ მომენტისათვის განმცხადებელი ვალდებულია შეასრულოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები და უზრუნველყოს განაცხადის ეროვნულ ენაზე თარგმნა, პატენტრწმუნებულისათვის დავალების მიცების შესახებ მინდობილობის მიწოდება და სხვა ფორმალობების დაცვა. აღსანიშნავია, რომ თარგმანის და მინდობილობის მიმართ არ მოითხოვება ლეგალიზა-

ცია ან ნოტარიული დამოწმება. ამ მოთხოვნების შესრულების შემდეგ არჩეული უწყება აწარმოებს ექსპერტიზას ეროვნული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისად, გამოაქვს გადაწყვეტილება და გასცემს ან არ გასცემს პატენტს. **"საქპატენტი" ითვალისწინებს საერთაშორისო საინფორმაციო ძიების შედეგებს და განმცხადებლებს ორჯერ უმცირებს არსობრივი ექსპერტიზისათვის დაწესებული საფასურის ოდენობას.** დიდ შეღავათს წარმოადგენს წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც, ჩვეულებრივ იყენებს "საქპატენტის" ექსპერტი, თუმცა რიგ შემთხვევებში გამოაქვს საკუთარი გადაწყვეტილება, რომელიც განსხვავდება საერთაშორისო ორგანოს დასკვნისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში "საქპატენტის" ექსპერტები საინფორმაციო ძიების პროცესში ავლენენ გამოგონებასთან უფრო ახლო მდგომ ინფორმაციას, რომელიც საერთაშორისო საინფორმაციო ძიების ანგარიშში არ იყო მითითებული.

საქართველოს მკვიდრი განმცხადებლებისათვის საყურადღებოა ზოგიერთ ქვეყანაში PCT პროცედურის განხორციელების თავისებურება. ასე მაგალითად, აშშ-ში დაპატენტების სურვილის შემთხვევაში განმცხადებლად შეიძლება იყოს მითითებული მხოლოდ ნამდვილი ავტორი. გარდა ამისა, ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელიც რეგიონული საპატენტო ორგანიზაციის წევრია განაცხადა, რომ მათ მიმართ PCT პროცედურა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეგიონულ უწყებაზე მითითებით. ევროპიდან ეს ქვეყნებია: ბელგია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, მონაკო, ნიდერლანდები და საფრანგეთი. აქედან გამომდინარე, თუ PCT პროცედურით ამ ქვეყნებში გადაწყდება პატენტის მიღება, მაშინ განმცხადებელი მიიღებს პატენტს ევროპის უწყებაში შემავალ ყველა ქვეყანაში. ეროვნული ფაზის განხორციელება ევროპის საპატენტო უწყების წინაშე ძვირი პროცედურაა. თუ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაშია სასურველი პატენტის მიღება, მაშინ განმცხადებელს ურჩევნია პატენტი PCT-ს გარეშე მიიღოს, განაცხადის შესაბამისი ქვეყნის უწყებისადმი პირდაპირ მიწოდებით.

საერთოდ, საქართველოს მაცხოვრებელ განმცხადებელს ვურჩევთ საზღვარგარეთ დაპატენტებისათვის PCT სისტემის გამოყენებას, თუ აუცილებელია არანაკლებ 5 ქვეყანაში გამოგონების დაცვა, ამ თავისებურებაზე უთითებენ საპატენტო სამართლის სფეროში დასაქმებული პრაქტიკოს სპეციალისტები.

თავი 43. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების ამოქმედებიდან თითქმის ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ დაიდო იმავე მიზანს დამორჩილებული კიდევ ერთი ხელშეკრულება. სათაურის მიუხედავად მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი (შემდგომ პროტოკოლი) დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. მადრიდის ხელშეკრულების მხარედ ყოფნის მიუხედავად, მას შეუძლია მიუერთდეს პარიზის კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა ან სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგალითად ნიშნების მარეგისტრირებელი ევროპის რეგიონული ორგანიზაცია. ამასთან მადრიდის ხელშეკრულების მონაწილედ ყოფნის მიუხედავად პროტოკოლის მონაწილე ქვეყნები ხდებიან მადრიდის ხელშეკრულებით შექმნილი ნიშნების რეგისტრაციის საერთაშორისო კავშირის წევრები.

პროტოკოლის მომზადება და სამოქმედოდ შემოღება განპირობებული იყო მადრიდის ხელშეკრულების იმ ხარვეზებით, რომლებსაც მიერთების ხელშემშლელ გარემოებად თვლიდა ზოგიერთი წამყვანი ქვეყანა, განსაკუთრებით ინგლისი, ამერიკა და იაპონია. ძირითადად, ეს გარემოებები იყო საერთაშორისო რეგისტრაციისათვის განაცხადის მიწოდების დამოკიდებულება წარმოშობის ქვეყანაში არსებულ რეგისტრაციაზე, წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმება, განაცხადის მიღება და განხილვა მხოლოდ ერთ, კერძოდ, ფრანგულ ენაზე, ქვეყნებისათვის განაწილებული საფასურის ოდენობის სიმცირე. 1980 წლიდან დაწყებული პროტოკოლის მომზადების პროცესში, რასაც მრავალი წელი დასჭირდა, მიღწეულ იქნა დამაბრკოლებრივი გარემოებების აღმოფქვრა და ახალი საერთაშორისო აქტის ხელმოწერით დაგვირგვინება. ეს მოხდა 1989 წლის 27 ივნისს, ხოლო ამოქმედება მოხდა 1995 წლის 1 დეკემბერს. საქართველო მას მიუერთდა 1998 წლის 20 მაისიდან (ძალაში შევიდა 1998 წლის 20 აგვისტოდან), მადრიდის ხელშეკრულებასთან მიერთების გარეშე. 2006 წლის მდგომარეობით პროტოკოლის მხარე სახელმწიფოთა რიცხვი 67 იყო.

პროტოკოლი შედგება 26 მუხლისაგან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ინსტრუქცია, რომელიც საერთოა მადრიდის ხელშეკრულებისთვისა და პროტოკოლისათვის. მადრიდის ხელშეკ-

რულებასა და პროტოკოლს მრავალი საერთო წესი ახასიათებს, უფრო ნაკლებია განსხვავებები, რაზედაც გვსურს გავამახვილოთ ყურადღება. კერძოდ პროტოკოლის მიხედვით:

1.განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციისათვის შეიძლება მიწოდებულ იქნეს როგორც ნიშნის ეროვნული რეგისტრაციის საფუძველზე ისე განაცხადის საფუძველზე. ამით განმცხადებელს პარიზის კონვენციით დადგენილი პრიორიტეტის უფლებით სარგებლობის რეალური საშუალება მიეცა, რადგან აღარ არის საჭირო ეროვნული რეგისტრაციის პროცესის დამთავრების ლოდინი, რომელიც მრავალ ქვეყანაში გრძელდება საკონვენციო პრიორიტეტის უფლების გამოყენებისათვის დაწესებული ზღვრულ ვადაზე მეტ ხანს.

2.საერთაშორისო განაცხადის მიწოდებისათვის და განხილვისათვის გამოიყენება ინგლისური და ფრანგული ენა. ამასთან, თუ განაცხადი მიწოდებულია მადრიდის ხელშეკრულების და პროტოკოლის ქვეყნების მიმართ ერთდროული რეგისტრაციის მოთხოვნით, განაცხადს ფრანგულ ენაზე თარგმნის საერთაშორისო ბიურო.

3.საერთაშორისო რეგისტრაცია ავტომატურად აღარ უქმდება წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად. წარმოშობის ქვეყანაში გაუქმებული ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელს უფლება აქვს აქციოს საერთაშორისო რეგისტრაცია ეროვნულ განაცხადებად და განაცხადის შეტანის თარიღად გამოიყენოს გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი.

4.მონაწილე ქვეყნებს აქვთ უფლება შეეწინააღმდეგონ რეგისტრაციას და უარი თქვან თავიანთ ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების თაობაზე 18 თვის განმავლობაში, ნაცვლად 12 თვისა. როდესაც ეროვნული რეგისტრაცია ითვალისწინებს შედავებას მესამე პირთა მხრიდან და შედავება შეტანილ იქნა (მაგალითად, "საქპატენტის" სააპელაციო პალატაში) უწყება ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ საერთაშორისო ბიუროს არაუგვიანეს 7 თვისა შედავების მიწოდების დღიდან. შესაბამისად, გამოდის, რომ, თუ შედავება დაიწყო მე-18 თვეს, უარის თქმისათვის ეროვნულ უწყებას 24 თვეზე მეტი ეძლევა.

5.ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს ნაცვლად იმ საერთაშორისო საფასურებისა, რომლებიც უნდა განაწილდეს მოცემულ ქვეყანაზე, ინდივიდუალური საფასურების დაწესება. ამ შემთხვევა-

ში საფასურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რასაც ქვეყანა მიიღებდა ეროვნული პროცედურით, ნიშნის 10 წლით რეგისტრაციის ჩათვლით გამოკლებული საერთაშორისო ბიუროსათვის განკუთვნილი საფასურების მიხედვით.

6.პროტოკოლის წევრი შეიძლება გახდეს რეგიონული უწყება, როგორც საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლისთვისაც მიწოდებული განაცხადი შეიძლება გახდეს საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველი.

7.ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს 10 წლით, ყოველი მომდევნო 10 წლიანი პერიოდით უსასრულოდ გაგრძელების უფლებით, ნაცვლად 20 წლით რეგისტრაციისა, ხელშეკრულების მიხედვით.

დანარჩენ ასპექტებში მადრიდის ხელშეკრულება და პროტოკოლი ძირითადად შეიცავს მსგავს პროცედურულ და სხვა მოთხოვნებს. განაცხადი უნდა მიეწოდოს წარმოშობის ქვეყნის უწყებას განსაზღვრულ (პროტოკოლისთვის ინგლისურ ან ფრანგულ) ენაზე და სპეციალური საბუთების გამოყენებით, რომელთა ფორმაც დადგენილია. საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მხოლოდ საქონლის იმ ჩამონათვლის მიხედვით, რომელიც ფიგურირებს ეროვნულ განაცხადში ან ეთანადება რეგისტრირებულ ნიშანს. ნიშნად რეგისტრაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სიტყვიერი, გამოსახულებითი და კომბინირებული, ან ხმოვანი სიმბოლოსათვის, აგრეთვე კოლექტიური ნიშნისათვის.

განაცხადში უნდა იქნეს წარმოდგენილი: განმცხადებლის ამოცნობისათვის საკმარისი მონაცემები, ნიშნის გამოსახულება დადგენილი ზომით, მითითება ფერზე ან ფერთა კომბინაციაზე, თუ დაცვა ფერადი სახით მოითხოვება; მითითება იმაზე ორგანზამილებიანი ნიშანია დაცვადი, თუ მოცულობითი; საქონლის ჩამონათვალი, დაჯგუფებული საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით; ნიშნის სიტყვიერი აღწერა (რას წარმოადგენს სიმბოლო), თუ ეროვნული განაცხადი ასეთ აღწერას შეიცავს და სხვა მონაცემებს.

განაცხადის მიწოდებისათვის უნდა იქნეს გადახდილი დადგენილი საერთაშორისო და ეროვნული უწყებისათვის განკუთვნილი საფასური. საერთაშორისო განაცხადი შეიძლება ეფუძნებოდეს ორ ან მეტ ეროვნულ განაცხადს. განაცხადი შეიძლება მიწოდებულ იქნეს **წარმოშობის ქვეყნიდან**, რომელიც შეიძლება იყოს მადრიდის კავშირის ის ქვეყანა: **სადაც განმცხადებელს აქვს მოქმედი საწარმო; სადაც განმცხადებელს საცხოვრებელი ადგილი აქვს; რომლის მოქალაქეც არის განმცხადებელი**. განმცხადებლად

შეიძლება იყოს წარმოდგენილი რამდენიმე პირი. ხელშეკრულებისაგან განსხვავებით პროტოკოლი არ ითხოვს, რომ განმცხადებელი იყოს აუცილებელ კავშირში წარმოშობის ქვეყანასთან. საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღად ითვლება ეროვნული განაცხადის შეტანის დღე, თუ საერთაშორისო განაცხადი შეტანილ იქნა ამ დღიდან ორი თვის განმავლობაში. თუ არადა განაცხადის შეტანის თარიღი საერთაშორისო განაცხადის მიწოდების თარიღი იქნება. განმცხადებელი არ არის ვალდებული მიმართოს წარმომადგენელს – პატენტრწმუნებულს. მას იგი დასჭირდება მხოლოდ თუ მოუხდება შედავების შეტანა იმ ქვეყანაში, რომელიც უარს აცხადებს საერთაშორისო რეგისტრაციის თავის ტერიტორიაზე გავრცელებაზე. ეს უფლება უწყებას აქვს იმ შემთხვევაში, თუ განცხადებული ნიშანი არ პასუხობს ზნეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებს, ან აღიზიანებს რელიგიურ გრძნობებს (უცხო ენაზე დაწერილი სიტყვა შეიძლება ქართულად უხამსად ან შეურაცხმყოფლად იყოს წაკითხული), ან თუ აღმოჩნდება, რომ ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაცია არღვევს მოცემულ ქვეყანაში (მაგალითად საქართველოში) მესამე პირთა უკვე არსებულ უფლებებს.

მიღებული საერთაშორისო განაცხადი ეროვნული უწყების (მაგალითად "საქპატენტის") მიერ გადაიგზავნება საერთაშორისო ბიუროს მისამართით, რომელიც ამოწმებს განაცხადს ფორმალური მოთხოვნების მიმართ და ახდენს რეგისტრაციას საერთაშორისო რეესტრში. ამის შემდეგ საერთაშორისო ბიურო დაუყოვნებლივ აქვეყნებს მონაცემებს ოფიციალურ ბიულეტენში სახელწოდებით **"WIPO Gazette of International Marks. Gazette OMPI des marques internationales"**, რომელიც ამ სახით გამოდის 1996 წლიდან. საერთაშორისო ბიურო დაუყოვნებლივ უგზავნის მონაწილე ქვეყნებს მონაცემებს საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ და ბიულეტენს. ამ მასალების მიღების შემდეგ აითვლება ეროვნული უწყების ვადა უარის თქმისათვის. თუ დადგენილ ვადაში ეროვნულმა უწყებამ არ განაცხადა უარი, მაშინ საერთაშორისო რეგისტრაცია მის ტერიტორიაზე ითვლება ძალის მქონედ და შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ სასამართლო გზით.

წარმოშობის ქვეყანად უცვლელად რჩება ის ქვეყანა, საიდანაც წარმოიშვა განაცხადი. ეს ვითარება არ იცვლება მაშინაც, როდესაც საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელობა სხვა ქვეყნის მოქალაქეს ან საწარმოს გადაეცემა. წარმოშობის ქვეყანაზე საერ-

თაშორისო რეგისტრაციის ძალა არ ვრცელდება, რადგან საფუძველი ეროვნული განაცხადი ან რეგისტრაციაა.

რეგისტრაციის თარიღიდან საერთაშორისო რეგისტრაცია მონაწილე ქვეყნებში იგივე ძალის მქონეა, რა ძალაც ეროვნულს აქვს. განაცხადის მიწოდების ნაცვლად დასაშვებია საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის გავრცელება სასურველ ქვეყანაზე, ტერიტორიული გაფართოების მოთხოვნით.

საქონლის კლასები, რომლის მიხედვითაც განხორციელდა საერთაშორისო რეგისტრაცია არ განსაზღვრავს დაცვის მოცულობას, იგი დგინდება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

თუ წარმოშობის ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაცია არ გაუქმდება 5 წლის განმავლობაში, მაშინ ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება წარმოშობის ქვეყანაში, მაგალითად სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვეღარ იქონიებს გავლენას საერთაშორისო რეგისტრაციაზე.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ პროტოკოლი ამტკიცებს თავის ეფექტურობას, რაც დასტურდება იმით, რომ მას პრაქტიკულად ყველა წამყვანი ქვეყანა მიუერთდა აშშ-ს ჩათვლით.

ამჟამად საქართველოში უცხო ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები სასაქონლო ნიშანზე უმთავრესად საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე იპოვებენ უფლებებს. საშუალო მაჩვენებლებით ყოველწლიურად საქართველოში პროტოკოლის მეშვეობით რეგისტრირდება 2000-ზე მეტი ნიშანი. საერთაშორისო რეგისტრაციას ახორციელებან აგრეთვე საქართველოში მოქმედი მეწარმენი, რომლებიც პროტოკოლს იყენებენ პრაქტიკულად ყოველთვის, როდესაც უცხო ქვეყანაში სურთ მოიპოვონ უფლებები. ეს გასაგებიც არის, რადგან პროტოკოლი ხელსაყრელია, თუნდაც იმ გაგებით, რომ პატენტრწმუნებულისათვის გადასახდელი ხარჯები იზოგება იმ პროპორციით რამდენი ქვეყანაც არის არჩეული.

იმისათვის, რომ მადრიდის ხელშეკრულებამ თავისი მნიშვნელობა არ დაკარგოს პროტოკოლი ითვალისწინებს ნორმას, რომლის თანახმადაც: თუ საერთაშორისო განაცხადის წარმოშობის ქვეყანა იმავდროულად მადრიდის ხელშეკრულების მონაწილეა, მაშინ პროტოკოლი არ გამოიყენება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ასევე მადრიდის ხელშეკრულებისა და პროტოკოლის წევრები არიან. ამ შემთხვევაში საერთაშორისო განაცხადი შეიძლება დაფუძნებულ იქნეს მხოლოდ ეროვნულ რეგისტრაციაზე და, საერთოდ, გამოიყენება მხოლოდ მადრიდის ხელშეკრულება, ანუ მოქმედებს მადრიდის ხელშეკრულების შენარჩუნების დებულებები.

თავი 44. ნარმოშობის ადგილის დასახელებათადაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შეხახებ ლისაბონის ხელშეკრულება

(ლისაბონის ხელშეკრულება)

ხალხური ცოდნა და ტრადიციები, გეოგრაფიული და კლიმატური გარემო დიდად განაპირობებს ზოგიერთი საქონლის ხარისხსა და თვისებებს. მომხმარებელი ყველაზე მისაღებ გზას დაადგა და სხვა საქონლისაგან გამორჩევის მიზნით მათი ამოცნობისათვის წარმოშობის ადგილის დასახელების მითითების გამოყენება დაამკვიდრა. ასეთი საქონლის წარმოების ტრადიციის დამკვიდრებას ათწლეულები და ასწლეულები დასჭირდა. სადღეისოდ გეოგრაფიული ადგილის დასახელებით მონიშნული საქონელი ფართოდაა ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში და, როგორც წესი, დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ადგილობრივ თუ ეროვნულ ბაზარზე. ამასთან, ჟამთაცვლა კი არ აკნინებს ამგვარი საქონლის კარგ სახელს, არამედ კიდევ უფრო ფართოდ ხდება იგი ცნობილი და აღიარებული. როგორც წესი, ასეთი საქონლის მაგალითად მეცნიერები და სპეციალისტები უთითებენ ხოლმე შემდეგ გეოგრაფიულ დასახელებებს: "კონიაკი", "შამპანური", "პორტო", "ცეილონის ჩაი", "ქინძმარეული", "ხვანჭკარა", "წინანდალი", "რუსული ხიზილალა", "ტეკილა". მაგალითები კიდევ მრავლად შეიძლება მოტანილ იქნეს.

რამდენადაც დიდია მოთხოვნილება იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული დასახელებით მონიშნული საქონლის დაცვას საერთაშორისო დონეზე. გააჩნია რა მრავალი დასახელების საქონელი, რომლის წარმოშობაც კონკრეტულ ადგილებთან არის დაკავშირებული და რომლების ნაწილსაც უკვე კარგად იცნობს უცხოელი მომხმარებელი საქართველოსათვის ასეთი ნაწარმის იურიდიული დაცვა ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც, ჩვენ ქვეყანაში განთქმულმა საქონელმა შეიძლება მყარად დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

ამასთან, საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა მრავალ მოსალოდნელ თუ მოულოდნელ სირთულეებთან არის დაკავშირებული დღესაც. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია დიდ დროს უთმობს მოცემული გეოგრაფიული ადგილიდან წარმოშობილი საქონლის დაცვას. საკითხის მოგვარების საქმეში ჩაე-

რთო ევროპის გაერთიანებაც. იქმნება ახალი საერთაშორისო აქტები და მკვიდრდება თანამედროვე შეხედულებებზე აგებული სტანდარტები.

ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია გეოგრაფიული ადგილის დასახელებით მონიშნული საქონლის დაცვისაკენ, არის საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულება საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელებათა დაცვისა და საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ. ეს ხელშეკრულება დაიდო 1958 წელს ლისაბონში. შემოკლებით მას მოიხსენიებენ "ლისაბონის ხელშეკრულებად". სადღეისოდ ამ ხელშეკრულების მხარე 24 ქვეყანაა. საქართველო მას მიუერთდა 2004 წლის სექტემბრიდან.

საერთაშორისო დაცვა ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით ხორციელდება საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე. ქვეყნები, რომლებიც მისი მხარეებია აღიარებენ მათ ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედებას და, შესაბამისად, ნებისმიერ მხარე სახელმწიფოში ასეთი რეგისტრაცია სრული იურიდიული ძალის მქონეა. საერთაშორისო რეესტრში წარმოშობის ადგილის დასახელების რეგისტრაცია არ არის დაკავშირებული არსობრივ სირთულეებთან. ქვეყნებს გარკვეული დრო აქვთ მიცემული, რომ გამოთქვან თავიანთი გადაწყვეტილება რომელიმე დასახელების რეგისტრაციის ძალის საკუთარ ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ. შეიძლება მოხდეს, რომ ორი სახელმწიფო იყოს პრეტენდენტი მოცემული გეოგრაფიული დასახელებით სარგებლობის კუთხით. მაგალითად, ცნობილი ლუდის "ბუდვაიზერის" დასახელებაზე თანაბრად მართებული პრეტენზია ჩეხეთსა და გერმანიას აქვთ. უფრო რთული სიტუაცია შეიძლება შეხვდეს ქვეყანას გეოგრაფიული დასახელების რეგისტრაციისას ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, თუ ის რაიმე მიზეზების გამო გვარეობით ცნებად გადაიქცა, რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში. ასეთი ბედი თავის დროზე ეწია "კონიაკს" და "შამპანურს" და საფრანგეთს ძალზე დიდი ძალისხმევა დასჭირდა რომ უმრავლეს ქვეყნებთან შეთანხმებით დაებრუნებინა მათთვის ადრინდელი სტატუსი. ბევრ ქვეყანასთან პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა და არცა სჩანს პრობლემის გადაწყვეტის საფრანგეთისათვის სასურველი გზა.

ლისაბონის ხელშეკრულების საერთაშორისო რეესტრში 2006 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 867 დასახელება, რომელთაგანაც ძალაშია 750-ზე მეტი. საქართველოდან მათ მი-

ემატა განთქმული ღვინოებისა და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელებები: "ხვანჭკარა", "ქინძმარეული", "წინანდალი", "მუკუზანი", "გურჯაანი", "ნაფარეული", "თელიანი" და "ახაშენი"; ბორჯომი და "ნაბეღლავი"[1]....

ზემოთ მოტანილი ზოგადი ხასიათის შესავლის შემდეგ გავაშუქებთ ლისაბონის ხელშეკრულების ძირითადი ნორმებს.

ლისაბონის ხელშეკრულება მოიცავს მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ (მე-2 – მე-8 მუხლები), აგრეთვე ადმინისტრაციულ ნორმებს. ხელშეკრულების გაშუქებისას ადმინისტრაციულ ნორმებს ნაკლებად შევეხებით.

პირველი მუხლით დადგენილია სპეციალური კავშირის შექმნა, რომელსაც შეადგენს ლისაბონის ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები და გამოხატულია ხელშეკრულების მიზანი – საქონლის წარმოშობის ადგილის დასეხელებათა დაცვა კავშირის წევრ ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ასეთი დაცვის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია საერთაშორისო რეესტრი, რომელშიც შეიტანება ყველა ისეთი წარმოშობის ადგილის დასახელება, რომელიც დაცვით სარგებლობს წარმოშობის ქვეყანაში.

საერთაშორისო რეესტრში შეიძლება იქნეს შეტანილი წარმოშობის ადგილის ის დასახელებები, რომლებიც ეთანადება ლისაბონის ხელშეკრულებით მოცემულ განსაზღვრებას. მე-2 მუხლის მიხედვით **"წარმოშობის ადგილის დასახელება"** ნიშნავს ქვეყნის, რაიონის ან ადგილის (ლოცალიტყ) გეოგრაფიულ დასახელებას, რომელიც ემსახურება იქ წარმოშობილი საქონლის მონიშვნას. ამასთან, წარმოშობის ადგილის დასახელებით მონიშნული საქონლის მახასიათებლები უნდა იყოს განპირობებული მთლიანად ან არსებითად მოცემული ქვეყნის, რაიონის ან კონკრეტული სხვა ადგილის გეოგრაფიული გარემოთი, რომელიც მოიცავს როგორც ბუნებრივ, ისე ადამიანურ ფაქტორებს.

მოცემული განსაზღვრებიდან გამომდინარე საქონლის წარმოშობის ადგილის აღნიშვნა (შემდგომ – "ადგილწარმოშობის აღნიშვნა") უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ მინერალური წყლების დასახელებები არ შეესაბამება ლისაბონის ხელშეკრულებით მოცემული წარმოშობის ადგილის განსაზღვრებას არსებობს საერთაშორისო რეესტრში მათი შეტანის მაგალითები (საერთაშორისო ბიურო მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს არ ამოწმებს) და, თუ რომელიმე ქვეყანამ უარი არ განაცხადა, მაშინ მათი საერთაშორისო რეგისტრაცია იძენს ძალას.

– უნდა წარმოადგენდეს გეოგრაფიულ დასახელებას (მაგალითად, წინანდალი). აღნიშნულის თანახმად წარმოშობის ადგილის ამოსაცნობი სხვა აღნიშვნა, მაგალითად, ეიფელის კოშკი, ადგილწარმოშობის აღნიშვნად ვერ დარეგისტრირდება და ვერ ისარგებლებს დაცვით ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით;

– გეოგრაფიული დასახელება უნდა ემსახურებოდეს საქონლის მონიშვნას, რომელიც წარმოშობილია მოცემული ქვეყნის, რაიონის ან კონკრეტული სხვა ადგილის ტერიტორიულ ფარგლებში;

– მოცემული ქვეყანიდან, რაიონიდან ან კონკრეტული სხვა ადგილიდან წარმოშობილი საქონლის მახასიათებლები (უმთავრესად ხარისხობრივი და, შედეგად, რეპუტაცია) უნდა იყოს განპირობებული ამ გეოგრაფიული ადგილისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით. აქედან გამომდინარე, იკვეთება დასკვნა, რომ ისეთი საქონლის მოსანიშნად გამოყენებული გეოგრაფიული დასახელება, როგორიცაა, მაგალითად "ბორჯომი" მინერალური წყლისათვის ლისაბონის ხელშეკრულებით ვერ იქნება დაცული იმის გამო, რომ საქონლის მახასიათებლები მხოლოდ ბუნებრივი ფაქტორებით არის განპირობებული. სამაგიეროდ ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებად გამოყენებული გეოგრაფიული დასახელება დაიცვება ლისაბონის ხელშეკრულებით, რადგან მისი მახასიათებლები და რეპუტაცია განპირობებულია ორივე ფაქტორით ერთდროულად. ღვინის უნიკალური თვისებები დამოკიდებულია მოცემულ ადგილას გაბატონებულ ტრადიციულ ტექნოლოგიაზე იმდენად, რომ იგივე ღვინომასალისაგან სხვა ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო აღარ იქნება ის ღვინო, რომლის მოსანიშნადაც დასაშვებია გამოყენებულ იქნეს მაგალითად დასახელება "წინანდალი". იმავდროულად სხვა ადგილას მოწეული ყურძნიდან "წინანდლის" ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო არ შეიძლება იქნეს მონიშნული ადგილწარმოშობის დასახელებით "წინანდალი". აღნიშნულიდან ნათელია, რომ გეოგრაფიულ ფარგლებსა და საქოლის მახასიათებლებს შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი. გეოგრაფიული დასახელება, რომელიც ვერ მიუთითებს გეოგრაფიულ ტერიტორიასა და ამ დასახელებით მონიშნული საქონლის მახასიათებლებს შორის მჭიდრო კავშირზე ადგილწარმოშობის დასახელება კი არა, არამედ წარმოშობის ჩვეულებრივი აღნიშვნა იქნება, როგორიცაა, მაგალითად, კაკლის მურაბისათვის "დამზადებულია გორში".

– საქონლის მახასიათებლები უნდა იყოს განპირობებული გეოგრაფიული გარემოთი ან მთლიანად ან არსებითად. ეს მოთხოვ-

ნა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოცემული გეოგრაფიული გარემო ადამიანური ფაქტორის ჩათვლით ქმნის უნიკალურო მახასიათებლების საქონელს. თუ საქონლის მხოლოდ მეორეხარისხოვანი მახასიათებლებია განპირობებული მოცემული ადგილის გეოგრაფიული გარემოთი ადამიანური ფაქტორების ჩათვლით, მაშინ გეოგრაფიული დასახელება ვერ იქნება ადგილწარმოშობის დასახელებად აღიარებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რიგი საქონლისათვის მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორები (წიაღესული პირობები, კლიმატი, ნიადაგი და ა.შ.) განაპირობებს მახასიათებლებს (მაგალითად, მინერალური წყალი, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ განთქმული ჭიათურის მანგანუმი). ისიც აღვნიშნეთ, რომ ასეთი საქონლის მოსანიშნად გამოყენებული გეოგრაფიული დასახელება ვერ ჩაითვლება ადგილწარმოშობის დასახელებად. არის მეორე ტიპის საქონელი – ხალხური ტრადიციებით დამზადებული ნაწარმი, მაგალითად, სვანური ან კახური ქუდი, თუშური ნაქსოვი და სხვა, რომელთა ხარისხი უმთავრესად განპირობებულია მხოლოდ ადამიანური ფაქტორით. ამ შემთხვევაშიც გეოგრაფიული დასახელება ვერ იქნება მიჩნეული ადგილწარმოშობის დასახელებად. თუმცა თუშური ნაქსოვი ნაწარმის შემთხვევაში შეიძლება დამტკიცდეს, რომ მახასიათებლები დამოკიდებულია თუშური წარმოშობის მატყლსა და ადამიანურ ფაქტორზე ერთდროულად. თუ ამ გარემოებას ადგილი ექნება, მაშინ აღნიშვნა "თუშური ნაქსოვი", ან "თუშეთი" ადგილწარმოშობის დასახელებად უნდა მივიჩნიოთ.

ლისაბონის ხელშეკრულება ადგენს, რომ წარმოშობის ქვეყნად ითვლება ის ქვეყანა, რომლის დასახელებაც შეადგენს საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელებას, რომელმაც შესძინა ამ დასახელებით მონიშნულ საქონელს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რეპუტაცია. თუ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებად გამოიყენება რაიონის ან კონკრეტული სხვა ადგილის გეოგრაფიული დასახელება, მაშინ წარმოშობის ქვეყნად ჩითვლება ის ქვეყანა, რომელსაც ეკუთვნის მოცემული რაიონი ან ადგილი.

ლისაბონის ხელშეკრულება მოითხოვს, რომ ადგილწარმოშობის დასახელება იყოს დაცული როდესაც ხდება მისი პირდაპირი მითვისება, ან დასახელების უნებართვო გამოყენება მიმსგავსებული სახით. ამასთან, ადგილწარმოშობის დასახელება დაცვას ექვემდებარება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის წარმოშობა

სწორად არის მითითებული[1]. გარდა ამისა, უფლებათა დარღვევად უნდა იქნეს განხილული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება დამატებითი მითითებებით, რომლებიც ცხადყოფს, რომ საქონელი არ არის ადგილწარმოშობის დასასელებით მონიშნული საქონელი. საამისოდ აკრძალულია გამოყენება სიტყვებისა "სახის", "ტიპის", "დამზადებულია", "მიმსგავსება" და სხვა. ასეთი სიტყვების გამოყენების მაგალითებია: "წინანდლის ტიპისა", "წინანდლის სახისა", "დამზადებულია წინანდლის ტექნოლოგიის მიხედვით", "მიმსგავსებულია წინანდალს".

ადგენს რა ზემოთ აღნიშნულ დაცვის ფარგლებს ლისაბონის ხელშეკრულება არანაირად არ გამორიცხავს ადგილწარმოშობის დასახელებების იმავდროულ დაცვას სხვა საერთაშორისო აქტით, მაგალითად, პარიზის კონვენციით, საქონელზე ყალბი ან შემაცდენელი აღნიშვნების დატანის აღკვეთის შესახებ მადრიდის ხელშეკრულებით. ასევე, ლისაბონის ხელშეკრულება არ უარყოფს ეროვნული სამართლებრივი საშუალებებით დაცვას, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული აქტით, თუ ასეთი დაცვით დასახელება უკვე სარგებლობდა ლისაბონის ხელშეკრულების რეესტრში შეტანამდე.

ლისაბონის ხელშეკრულება სპეციალურ ნორმას შეიცავს, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ადგილწარმოშობის დასახელება განხილულ იქნეს გვარეობით ცნებად, თუ წარმოშობის ქვეყანაში მოცემული გეოგრაფიული დასახელება ადგილწარმოშობის დასახელებად არის აღიარებული და დაცვა არ არის შეწყვეტილი ან გაუქმებული.

სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით ადგილწარმოშობის დასახელების დაცვა დროით შეზღუდული არ არის. ის უნდა იყოს დაცული კავშირის ქვეყნებში მანამ, სანამ დაცულია წარმოშობის ქვეყანაში.

ადგილწარმოშობის დასახელებასთან დაკავშირებული საქმეები შეიძლება წამოიწყოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა კერძო სამართლის თუ საჯარო სამართლუის პირმა. საქმე შეიძლება წამოიწყოს აგრეთვე პროკურორმა.

---

[1] საკითხთან უფრო მეტად გაცნობისათვის მკითხველმა შეიძლება მიმართოს სტატიას "გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ლისაბონისა და TRIPS შეთანხმების მიხედვით", ავტორები დავით გაბუნია, ეკა გაბუნია, გამოქვეყნებულია "საქპატენტის" პერიოდულ ჟურნალში "ინტელექტუალური საკუთრება", თბილისი, 2002, გვ 52

გეოგრაფიული დასახელება რომ იყოს დაცული ლისაბონის ხელშეკრულების მხარე ქვეყნების ტერიტორიაზე ის უნდა იქნეს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებათა საერთაშორისო რეესტრში. რეგისტრაციას ექვემდებარება გეოგრაფიული დასახელება, რომელიც უკვე იქნა მიჩნეული ადგილწარმოშობის დასახელებად წარმოშობის ქვეყანაში. საერთაშორისო რეგისტარცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე, რომელიც რეგისტრაციას ითხოვს ადგილწარმოშობის დასახელებით მოსარგებლე პირთა სახელით. საერთაშორისო ბიუროს არა აქვს უფლება არსობრივად განიხილოს საკითხი და ფორმალობების შემოწმების შემდეგ დაუყოვნებლივ არეგისტრირებს დასახელებას. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ ინფორმაცია გადაეგზავნება ლისაბონის კავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ერთწლიანი ვადა, რომ უარყონ (საკმარისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში) მათ ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ძალა. თუ ამ ვადაში რომელიმე ქვეყანამ არ უარყო საერთაშორისო რეგისტრაცია, მაშინ არსობრივი კუთხით მისი უარყოფა შეუძლებელი იქნება შემდგომში და საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძენს ძალას ყველა ქვეყნის ტერიტორიის მიმართ. საერთაშორისო რეგისტრაციას განახლება რაიმე დროის გასვლის შემდეგ არ ესაჭიროება და ის იმოქმედებს სანამ ძალაში იქნება ადგილწარმოშობის დასახელება წარმოშობის ქვეყანაში.

საერთაშორისო რეგისტრაციამ შეიძლება დაკარგოს ძალა ორ შემთხვევაში:

– ადგილწარმოშობის დასახელება გვარეობით ცნებად იქცა;

– წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილმა ორგანომ მოითხოვა საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმება.

ლისაბონის ხელშეკრულების გაშუქების დასასრულს აღვნიშნავთ, რომ მისით დაარსებულ სპეციალურ კავშირს აქვს ასამბლეა და საკუთარი ბიუჯეტი და, რომ მას შეუძლია მიუერთდეს პარიზის კონვენციის ნებისმიერი მხარე სახელმწიფო.

თავი 45. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმება და ჟენევის აქტი

ჰააგის შეთანხმება და ჟენევის აქტი ეკუთვნის სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე, კერძოდ, სამრეწველო ნიმუშებზე უფლებების მოპოვების ხელშემწყობ მორიგ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვითაც საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. სამრეწველო ნიმუშების მრავალ ქვეყანაში დაცვის უზრუნველყოფის კუთხით მათი მნიშვნელობა მეტად დიდია. ამ ორი ხელშეკრულებით სარგებლობა იძლევა სამრეწველო ნიმუშებზე ექსტერიტორიალური უფლებების მოპოვების პრაქტიკულ შესაძლებლობას, რადგან ერთი განაცხადის საფუძველზე ხდება უფლებების მოპოვება, რომლებიც მოქმედებს მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე. იურიდიული თვალსაზრისით ასეთი შესაძლებლობაა ჰააგის შეთანხმებისა და მისი აქტის ძირითადი საშეღავათო უპირატესობა განმცხადებლებისათვის. ეს უპირატესობა ფულადი დანახარჯების დაზოგვასაც უზრუნველყოფს, რაც განსახილველი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროცედურების შედეგია. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია ერთი განაცხადის მიწოდებით მოიპოვოს უფლებები ყველა იმ უცხო ქვეყანაში, რომლებიც ჰააგის შეთანხმებისა და ჟენევის აქტის მხარეა და დაზოგოს სულ მცირე 600-700 ამ. დოლარი ერთი ქვეყნის ანგარიშით, რადგან მას არ მოუხდება სხვადასხვა ენაზე განაცხადის მომზადება და პატენტრწმუნებულის დაქირავება, რაც სულ მცირე ზემოთ მითითებული თანხის გადახდასათანაა დაკავშირებული[1]. რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს დაზოგილი თანხა თითოელმა ჩვენთაგანმა შეიძლება განსაჯოს, თუ მიიღებს მხედველობაში, რომ ჰააგის შეთანხმებისა და მისი ჟენევის აქტის მხარე ქვეყნების რიცხვი 2006 წლის მდგომარეობით შეადგენდა 42-ს.

იმის გამო, რომ ჰააგის შეთანხმებაცა და მისი ჟენევის აქტიც ერთ მიზანს ისახავს, ერთმანეთთან განუყრელ კავშირშია და

---

[1] ასეთივე შესაძლებლობა გათვალისწინებულია ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულებითა და მისი პროტოკოლით.

ქმნის ერთიან სისტემას მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათი ერთად გაშუქება.

ჰააგის შეთანხმება დაიდო 1925 წელს, პარიზის კონვენციის ეგიდით. იგი რამდენიმეჯერ გადაისინჯა და შეივსო. ამჟამად მოქმედებს ჰააგის შეთანხმების 1934 წლის ლონდონისა და 1960 წლის ჰააგის აქტი. ეს ორი აქტი წარმოადგენს ერთმანეთთან კავშირში მყოფ, მაგრამ ფაქტობრივად ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ორ საერთაშორისო ხელშეკრულებას. 1934 წლის ლონდონის აქტის მოქმედება საქართველოზე არ ვრცელდება. მისი გაშუქება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად იმიტომაც, რომ ძალზე მცირე პრაქტიკული მნიშვნელობისაა. საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, რომ ამ აქტის მიხედვით დაცულია საერთაშორისო რეგისტრაცია(დეპონირება)გავლილი სამრეწველო ნიმუშების მხოლოდ 5%. მაშასადამე, როდესაც ჰააგის შეთანხმებას ვახსენებთ 1934 წლის ლონდონის აქტი მხედველობაში არ გვექნება და ყოველთვის ვიგულისხმებთ მხოლოდ 1960 წლის ჰააგის აქტს.

ჰააგის შეთანხმება საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდებოდა – იგი სრულად ვერ პასუხობდა სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახის მიმდევარი ქვეყნების ნორმებს. ეს გარემოება მასთან ქვეყნების მიერთების სურვილს მნიშვნელოვნად აბრკოლებდა (1990 წლისათვის მხოლოდ 20 ქვეყანა იყო მხარე). საქმის გამოსწორების მიზნით გადაწყდა ჰააგის შეთანხმების ახალი აქტის მიღების საკითხი. ეს გადაწყვეტილება დაგვირგვინდა 1999 წლის ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტის მიღებით. მისი მხარე ქვეყანათა რიცხვი შესამჩნევად იზრდება და შეადგენს 19 (2006 წლის მდგომარეობით). ჟენევის აქტის მიღების შემდეგ იზრდება ჰააგის შეთანხმების მხარეთა რიცხვიც. ჰააგის შეთანხმებაც და მისი ჟენევის აქტიც პროცედურული ტიპის საერთაშორისო ხელშეკრულებებია, ანუ ისინი ძირითადად პროცედურულ ნორმებს შეიცავს. მიუხედავად ამისა, მათში მატერიალური და ადმინისტრაციული ნორმებიც არის გათვალისწინებული.

ორივე აქტი აღიარებს პარიზის კონვენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს "ეროვნულ რეჟიმს".

ჰააგის შეთანხმება ოპერირებს ტერმინით "საერთაშორისო დეპოზიტი", ხოლო ჟენევის აქტი ტერმინით "საერთაშორისო რეგისტრაცია". ამ ორი ტერმინის არსი დიდად განსხვავებული არ არის. ჟენევის აქტით სიტყვა დეპოზიტი აღარ ფიგურირებს მხოლოდ იმის გამო, რომ სამრეწველო ნიმუშის დეპონირება ჰააგის შეთანხმებისაგან განსხვავებით აღარ არის აუცილებელი. დეპონირება შეიცვ-

ალა რეგისტრაციით, მაგრამ ამ წესით და რეგისტრაციით მოპოვებული უფლებების მოქმედება ერთნაირი იურიდიული ძალისაა.

ჰააგის შეთანხმებით განსაზღვრულია "საერთაშორისო დეპოზიტის წარმოშობის სახელმწიფო". ასეთად მიიჩნევა:

მხარე სახელმწიფო (სახელმწიფოები), სადაც განმცხადებელს აქვს ნამდვილი მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო. თუ ასეთი სახელმწიფო რამდენიმეა, მაშინ ასეთი სახელმწიფო ის იქნება, რომელსაც განმცხადებელი მიუთითებს;

მხარე სახელმწიფო, სადაც განმცხადებელს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (თუ მას საწარმო არა აქვს ასეთ სახელმწიფოში);

მხარე სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის განმცხადებელი (თუ მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ასეთ სახელმწიფოში).

ჰააგის შეთანხმების ეს განსაზღვრება მნიშვნელოვანია ჟენევის აქტისათვისაც და, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიურ განსაზღვრებას არ შეიცავს, ზუსტად ამ იურიდიული კონსტრუქციის მიხედვით ადგენს სუბიექტს, რომელსაც შეუძლია შეიტანოს საერთაშორისო განაცხადი (განმცხადებელს). სუბიექტი მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისი პირი შეიძლება იყოს ორივე აქტის მიხედვით. ამასთან, ჟენევის აქტმა გააფართოვა სუბიექტთა წრე და სუბიექტად ისეთი ფიზიკური თუ იურიდიული პირიც დაასახელა, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის წევრ ჟენევის აქტის რომელიმე მხარე სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული ზემოთ დასახელებული მოთხოვნების საფუძველზე.

ორივე აქტის მიხედვით საერთაშორისო რეესტრში შეტანილი სამრეწველო ნიმუში წარმოშობს უფლებებს, რომლების მოქმედება ვრცელდება ყველა იმ მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებიც დაცვისათვის აირჩია განმცხადებელმა. ამასთან, ეს უფლება ისეთივე ძალის მქონეა, როგორი ძალაც აქვს სამრეწველო ნიმუშზე ეროვნული პროცედურებით მოპოვებულ უფლებას. აქედან ნათელად ჩანს, რომ ჰააგის შეთანხმება და ჟენევის აქტი იძლევა შესაძლებლობას გადალახულ იქნეს სამრეწველო ნიმუშზე ერთი განაცხადის მეშვეობით მოპოვებული უფლებების მოქმედების ერთი ქვეყნის ტერიტორიით შეზღუდვა, რასაც ადგილი ექნებოდა ეროვნული პროცედურებით უფლებების მოპოვების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია ორივე აქტის ნორმა, რომელიც გამოკვეთს დამოკიდებულებას სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ, როდესაც სამრეწველო ნიმუშად გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებია რეგისტრირებული. დასაშვებადაა მიიჩნეული, რომ სამრეწველო ნიმუშის მფლობელმა გამოიყენოს იმ კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც უფრო ძლიერ დაცვას უზრუნველყოფს, ანუ საკუთარი სურვილისამებრ მას შეუძლია გამოიყენოს საავტორო სამართლებრივი ან სამრეწველო საკუთრებითი სამართლის საერთაშორისო თუ ეროვნული ნორმები. ასეთი ნორმა სრულად პასუხობს იმ ქვეყნების სამართლებრივ ნორმებსაც, რომლებსაც ე.წ. "ნორმათა კუმულაცია" აქვთ გათვალისწინებული სამრეწველო ნიმუშების დაცვისათვის.

ორივე აქტი ითვალისწინებს მოპოვებული უფლებების მოქმედების ვადის გაგრძელებას პირველი ხუთი წლის გასვლის შემდეგ მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით. დათქმულია ასეთი გაგრძელებების მინიმალური შესაძლებლობა, ხოლო მაქსიმუმი დაკავშირებული ყოველი მხარე სახელმწიფოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციიდან (დეპოზიტიდან) გამომდინარე უფლებების მოქმედების ხანგრძლივობა ორი აქტის ნორმა ერთმანეთისაგან განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული. ჰააგის შეთანხმების მიხედვით სამრეწველო ნიმუშის დაცვის ვადა არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან ათვლით, თუ უფლებათა მფლობელმა განაახლა დეპონირება მომდევნო ხუთი წლით. თუ არ განაახლა, მაშინ ითვლება, რომ მან საკუთარი სურვილით შეიზღუდა დაცვის ვადა პირველი ხუთი წლით.

თუ რომელიმე მხარე სახელმწიფო დაცვის ხანგრძლივობას ითვალისწინებს 10 წელზე მეტი დროით, მაშინ ამ ქვეყანაში საერთაშორისო დეპოზიტით მოპოვებული ვადა შესაბამისი ვადით განისაზღვრება. ამასთან, ქვეყანას, რომლის ეროვნული კანონით გათვალისწინებულია საერთაშოირისოზე უფრო მეტი ვადა ჰააგის შეთანხმების მიხედვით შეუძლია შეზღუდოს ის ამ საერთაშორისო აქტით გათვალისწინებული 10 წლიანი ვადით. დაცვის ხანგრძლივობის შეზღუდვის შესაძლებლობა ნაკარნახებია მხარეთა იურისდიქციის ქვეშ მყოფი სუბიექტების თანაბარი უფლებებით აღჭურვის მიზნით და ერთგვარად ეფუძნება საერთაშორისო სამართალში გავრცელებულ "ნცავალგების პრინციპს".

ჟენევის აქტის მიხედვით საერთაშორისო რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების მოქმედება გრძელდება არანაკლებ 15 წლისა საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან ათვლით. ამასთან, თუ რომელიმე სახელმწიფოში უფრო ხანგრძლივი დაცვის ვადა მომედებს, მაშინ საერთაშორისო დაცვაც შეიძლება გაგრძელდეს ამ ქვეყნის კანონით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე. ამასთან, ასეთ ქვეყანას ჰააგის შეთანხმებისაგან განსხვავებით აღარ რჩება უფლება შეზღუდოს დაცვის ვადა.

საერთაშორისო (დეპოზიტის) რეგისტრაციის განხორციელებისათვის უნდა იყოს მიწოდებული ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე გაფორმებული საერთაშორისო განაცხადი. იგი შეიძლება იყოს წარდგენილი პირდაპირ საერთაშორისო ბიუროში[1] ან ეროვნულ უწყებაში, რომელიც შემდგომ გადაუგზავნის საერთაშორისო ბიუროს[2]. საერთაშორისო განაცხადი შეიძლება იქნეს შეტანილი ერთდროულად ეროვნული განაცხადის შეტანასთან ერთად, ან, თუ ქვეყნის კანონი ამას ითვალისწინებს, მას შემდეგ, რაც გავა დადგენილი დროის პერიოდი და შესრულდება გარკვეული ფორმალობები. მხედველობაშია შემთხვევა, როდესაც მოცემული ქვეყნის კანონი ითვალისწინებს უსაფრთხოების ნორმების შესრულებას. კერძოდ, თუ თავდაცვისუნარიანობის მოთხოვნებიდან გამომდინარე სამრეწველო ნიმუში შეიძლება გასაიდუმლოვდეს, მაშინ სავალდებულოა ეროვნული განაცხადის წინასწარი მიწოდება[3].

გასაიდუმლოების საკითხის გარკვევის შემდეგ განმცხადებელს აქვს უფლება მიაწოდოს საერთაშორისო განაცხადი. ჟენევის აქტით ასეთი განაცხადის მიწოდებისათვის გათვალისწინებული ვადის მაქსიმუმი არ აღემატება 6 თვეს. ეს ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და, თუ მოცემული ქვეყნის კანონი მეტ ვადას ითვალისწინებს საერთაშორისო განაცხადის მიწოდებისათვის ეროვნული კანონის ნორმა ვერ გაახანგრძლივებს ჟენევის აქტით დადგენილ ვადას.

---

[1] არსებობს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან და მდებარეობს ჟენევაში. საქართველოს კანონმდებლობით განმცხადებელი ვალდებული არ არის საერთაშორისო განაცხადი "საქპატენტს" წარუდგინოს.

[2] ასეთ შემთხვევაში ეროვნული უწყება განმცხადებლისაგან მოითხოვს გადაგზავნის საფასურის გადახდას.

[3] საქართველოს კანონი სამრეწველო ნიმუშის გასაიდუმლოებას არ ითვალისწინებს.

განაცხადის მინიმუმ შედგენილობა ორივე აქტით ერთიდაიგივეა. კერძოდ, განაცხადი უნდა შეიცავდეს განცხადებას საერთაშორისო რეგისტრაციის მოთხოვნით; მონაცემებს განმცხადებლის (შემდგომში უფლებათა მფლობელის) შესახებ; ნიმუშის გამოსახულებას ან საკუთრივ ნიმუშს (ჟენევის აქტი საკუთრივ ნიმუშის წარმოდგენას უშვებს მხოლოდ ორგანზომილებიანი სამრეწველო ნიმუშის შემთხვევაში); ნაკეთობის მითითებას, რომელშიც სამრეწველო ნიმუში იქნება ჩართული; ქვეყნების მითითებას, რომელთა ტერიტორიაზეც ვარაუდობს განმცხადებელი უფლებების გავრცელებას.

თუ განმცხადებელი მრავალი ნიმუშის დაცვას მოითხოვს ერთი განაცხადით, მაშინ საერთაშორისო განაცხადით შეიძლება იყოს წარდგენილი არაუმეტეს 100 ნიმუშისა, რომლებიც ეკუთვნის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთიდაიგივე კლასს.

განაცხადის შედგენილობის განსხვავება დამატებით მასალებთან დაკავშირებით არის შესამჩნევი. მართალია ორივე აქტით დამატებით საგანაცხადო მასალებად გათვალისწინებულია სამრეწველო ნიმუშის აღწერილობისა და სამრეწველო ნიმუშის შემქმნელის (დიზაინერის) შესახებ მონაცემების წარდგენის მოთხოვნის შესაძლებლობა, მაგრამ ჟენევის აქტი დამატებით ითვალისწინებს ასეთი პირის მიერ გაკეთებულ სპეციალურ განცხადებას (რომ ის ნამდვილად არის სამრეწველო ნიმუშის პირველი შემქმნელი) და სიტყვიერად გამოხატული დაცვის ფარგლების მოთხოვნის წარდგენას.

განაცხადს უნდა დაერთოს შესაბამისი საფასურების გადახდის დამადასტურებელი საფასურები. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის განხორციელების შემდეგ ის საერთაშორისო ბიუროს მიერ იქნება შეტანილი საერთაშორისო რეესტრში და გამოქვეყნებული დაუყოვნებლივ. ჰააგის შეთანხმებისაგან განსხვავებით ჟენევის აქტით დადგენილია ქვეყნებისათვის ინდივიდუალური საფასურების მოთხოვნის შესაძლებლობაც, ოღონდ მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც სიახლის ექსპერტიზას ატარებს.

საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან უფლებები ითვლება მოპოვებულად განმცხადებლის მიერ მითითებულ სახელმწიფოებში, მაგრამ ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს უარი განაცხადოს მის ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გავრცელებაზე ეროვნული კანონის ნორმებზე დაყრდნობით. ეს

შეიძლება მოხდეს როგორც მორალურ-ზნეობრივი ნორმების საფუძველზე ისე, პროცედურით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე, მაგალითად, როდესაც სიახლის კრიტერიუმის შემოწმება ტარდება ეროვნული პროცედურით[1]. თუ ქვეყანა უარს აცხადებს, მაშინ მან უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს არაუგვიანეს 6 თვისა ჰააგის შეთანხმების მიხედვით. ჟენევის აქტით ეს ვადა გაზრდილია 12 თვემდე, თუ ქვეყანა სპეციალურად მოითხოვს მისთვის ასეთი ვადის მიცემას[2].

ჟენევის აქტით გათვალისწინებულია, აგრეთვე, ქვეყნის ვალდებულება გააკეთოს სპეციალური შეტყობინება, თუ მისი ეროვნული კანონი შეიცავს სპეციალურ ნორმას სამრეწველო ნიმუშის ერთიანობასთან დაკავშირებით. თუ ასეთი შეტყობინება არ იქნა გაკეთებული და ერთიანობასთან დაკავშირებით მოცემული ქვეყნის უწყებას უარყოფითი გადაწყვეტილება გამოაქვს, მაშინ მან განმცხადებელკს უნდა უჩვენოს გზები ხარვეზის გამოსასწორებლად.

ორივე აქტი ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშის გამოქვეყნების გადადებას განმცხადებლის სურვილით. ეს ვადა ჰააგის შეთანხმების შესაბამისად შეადგენს 12 თვეს, ხოლო ჟენევის აქტის მიხედვით იგი გაზრდილია 30 თვემდე განაცხადის პრიორიტეტიდან ათვლით.

ჰააგის შეთანხმებითა და ჟენევის აქტით დადგენილი პროცედურების განხორციელება წესრიგდება აგრეთვე ერთიანი ინსტრუქციით, რომელიც ამ საერთაშორისო აქტების განუყრელ აქტს წარმოადგენს. გარდა ამისა, საქმიანობის გაადვილებისათვის მოქმედებს ადმინისტრაციული სახელმძღვანელო ინსტრუქცია. ადმინისტრაციულ ნორმების გაშუქება მიზნად დასახული არა გვაქვს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ორივე საერთაშორისო აქტი ღია საერთაშორისო ხელშეკრულებების მაგალითს წარმოადგენს და მას შეუძლია მიუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით დაფუძნებული სამრეწველო საკუთრების კავშირის წევრია.

საქართველო ჰააგის შეთანხმებისა და ჟენევის აქტის მხარე ქვეყანა 2003 წელს გახდა.

---

[1] საქართველოს უფლება აქვს უარი ორივე მოტივით განაცხადოს, ოღონდ სიახლე მოწმდება მხოლოდ "საქპატენტში" რეგისტრირებული განაცხადებისა და დაპატენტებული სამრეწველო ნიმუშების მიმართ.

[2] საქართველოს დღემდე უარი არ განუცხადებია რომელიმე საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელებასთან დაკავშირებით.

თავი 46. საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების ბუდაპეშტის ხელშეკრულება

საპატენტო სამართლისათვის უცხო არ არის პატენტის გაცემა, მიკროორგანიზმების ახალ შტამზე, ან ისეთ ობიექტებზე, სადაც გამოყენებულია ასეთი შტამი. პატენტი კი ვერ გაიცემა თუ გამოგონება არ იქნა აღწერილი იმ სისრულით, როგორც ეს მოითხოვება. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაპატენტების ობიექტია მიკროორგანიზმების ახალი შტამი ან ობიექტი სადაც ახალი შტამია გამოყენებული განმცხადებელმა უნდა შესძლოს გახსნას თუ რას წარმოადგენს განაცხადში წარმოდგენილი გამოგონებისათვის არსებითი მიკროორგანიზმის ახალი შტამი. როდესაც გამოგონება მიკროორგანიზმებს არ ემყარება, მაშინ ის განაცხადში სიტყვიერად აღიწერება სრულიად საკმარისად. მხოლოდ სიტყვიერი აღწერა მიკროორგანიზმებზე დაფუძნებული გამოგონების დაპატენტებისათვის საკმარისი არ არის – საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა რომ სპეციალისტს ან სხვა დაინტერესებულ პირს წარედგინოს თავად მიკროორგანიზმების შტამი.

რი:საპატენტო უწყებებისათვის დაინტერესებული პირისათვის მიკროორგანიზმის წარდგენის უზრუნველყოფის დაკისრება უცხო ფუნქცია იქნებოდა, თუნდაც იმის გამო, რომ საჭიროა სპეციალური ცოდნისა და მოწყობილობების ფლობა, მეცნიერ-სპეციალისტთა და სხვა დონის თანამშრომელთა ყოლა. ნათელია, რომ ამ ამოცანას გადაწყვეტისათვის უმჯობესია არსებობდეს სპეციალური დაწესებულება, რომელიც მიიღებს მიკროორგანიზმების შტამების ნიმუშებს დეპონირებისათვის, შეინახავს მათ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებით, არ დაუშვებს მათ დაბინძურებას სხვა მიკროორგანიზმებით და, საბოლოო ჯამში, მზად იქნება წარუდგინოს ნებისმიერ პირს მის მიერ შენახული ჯანსაღი მიკროორგანიზმის შტამის ნიმუში.

ხშირად გამოგონების დაპატენტება მრავალ ქვეყანაში ხდება. ასეთ შემთხვევაში მიკროორგანიზმის ნიმუშის შენახვა საჭიროა ამ მრავალი ქვეყნის დაინტერესებული პირების მოთხოვნილების გათვალისწინებით. თუკი არ იარსებებს დაწესებულება, რომელიც აღნიშნული მიზნებისათვის ქვეყნების მიერ იქნება აღიარებული ორგანო, მაშინ ყოველ ქვეყანას თავად მოუხდებოდა ეზრუნა მიკროორგანიზმების შტამების ნიმუშების შენახვაზე. გასაგებია, რომ

ასეთ შემთხვევაში ერთიდაიგივე მიკროორგანიზმის შტამის პარალელური შენახვისათვის დაიხარჯებოდა გაუმართლებლად დიდი ფულადი და სხვა რესურსები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლების მოგვარების მიზნით 1977 წელს დადებულ იქნა სპეციალური მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის დანიშნულებაც პირდაპირ არის გამოხატული მისი დასახელებით. მისი მხარე სახელმწიფოთა რიცხვმა 2006 წლისათვის 61 შეადგინა.

ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ აღიარებენ მიკროორგანიზმის შტამის ნინუშის დეპოზიტის ძალას და საკმარისად მიიჩნევენ საპატენტო პროცედურის საჭიროებისათვის დეპონირებული ნიმუშის წარდგენას ნებისმიერი უფლებამოსილი დეპოზიტორიუმიდან. ამასთან, სრულიად არ არის საჭირო, რომ მიკროორგანიზმის ნიმუში დეპონირებული იყოს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ უფლებამოსილ დეპოზიტორთან, რომელი ქვეყნის საპატენტო უწყებაც ითხოვს დეპონირიბული ნიმუშის წარდგენას. ასევე, არ არის სავალდებულო, რომ ნიმუში იყოს დეპონირებული იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც წარმოიშვა გამოგონება და სადაც შეტანილ იქნა პირველი საპატენტო განაცხადი. მოკლედ რომ ვთქვათ, გამომგონებელს შეუძლია მიკროორგანიზმის დეპონირება მოახდინოს ნებისმიერ იმ უფლებამოსილ ერთ დეპოზიტართან, რომელიც დასახელებულია ბუდაპეშტის ხელშეკრულებით და ასეთი დეპონირებით დაკმაყოფილდება ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე ქვეყნის საპატენტო უწყების მოთხოვნები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბუდაპეშტის ხელშეკრულების მიხედვით დეპონირებულ მიკროორგანიზმის აღიარება შეუძლია საერთაშორისო ისეთ ორგანოებსაც, როგორიცაა რეგიონული საპატენტო უწყებები. მაგალითად, ევროპის საპატენტო უწყებას აღიარებული აქვს ასეთი დეპონირება.

ბუდაპეშტის ხელშეკრულების უფლებამოსილ დეპოზიტორად შეიძლება გახდეს ნებისმიერი მხარე სახელმწიფოს დაწესებულება, თუ ის დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს სახელმწიფო თხოვნით მიმართავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

დაწესებულება რომ უფლებამოსილ დეპოზიტარად გახდეს უნდა იყოს მეცნიერული ორგანიზაცია და წარმოადგენდეს "მიკროორგანიზმების კულტურათა კოლექციას". მთავარი მისი მოვალეობაა უზრუნველყოს დეპონირებული მიკროორგანიზმის ნიმუშის შენახ-

ვა, სულ მცირე 30 წლის განმავლობაში ისე, რომ შეუნარჩუნოს მას სიცოცხლისუნარიანობა. დეპოზიტორმა ნებისმიერ დროს უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მთავარი ფუნქცია – ერთიდაიგივე პირობით შესანახად მიიღოს ნებისმიერი პირისაგან მიკროორგანიზმის ნიმუში და გასცეს ნებისმიერ დაინტერესებულ საპატენტო უწყებას დეპონირებული ნიმუში. საპატენტო უწყება დაინტერესებულ უწყებად ჩაითვლება, თუ ის იხილავს განაცხადს, რომელიც ეხება მიკროორგანიზმის ახალ შტამს ან სხვა ობიექტს, სადაც გამოგონებისათვის არსებითია მიკროორგანიზმის გამოყენება. დეპონირებული ნიმუში დეპოზიტორმა უნდა გასცეს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს. ასეთ პირად მიიჩნევა პირი, რომელსაც მოცემული ქვეყნის საპატენტო უწყება აღიარებს დაინტერესებულად და მისცემს მას შესაბამის საბუთს. თუ პირს საპატენტო უწყების საბუთი არ ექნა დეპოზიტორი მას დეპონირებულ ნიმუშს ვერ მისცემს.

ხელშეკრულება ითვალისწინებს დეპოზიტარის (პირი, რომელმაც დეპონირება მოახდინა) უფლებას დართოს ნება ნებისმიერ პირს დეპონირებული ნიმუშის მიღებაზე. თუ უფლებამოსილი დეპოზიტორი ორგანო წყვეტს საქმიანობას რაიმე მიზეზის გამო, მაგალითად, როდესაც იგი ვეღარ ახერხებს ბუდაპეშტის ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილებას, მაშინ დეპოზიტარს უფლება აქვს ახალი დეპონირება მოახდინოს სხვა დეპოზიტორთან.

საქართველო ბუდაპეშტის ხელშეკრულების მხარე გახდა 2005 წელს.

ამჟამად ბუდაპეშტის ხელშეკრულების პირობებს აკმაყოფილებს და ფუნქციონირებს შემდეგი ქვეყნებში განლაგებული უფლებამოსილი ორგანოები: ავსტრალია —1, აშშ –2, ბელგია – 1, ბულგარეთი —1, გერმანია – 1, ესპანეთი – 2, იაპონია – 2, ინგლისი – 7, ინდოეთი – 1, იტალია – 2, კანადა – 1, კორეა – 3, ლატვია – 1, ნიდერლანდები – 1, პოლონეთი 2, რუსეთი – 3, საფრანგეთი – 1, სლოვაკეთი – 1, ჩეხეთი – 1, ჩინეთი – 2, უნგრეთი – 1.

თავი 47. ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის ხელშეკრულება

ყოველდღიურად ბაზარზე ბრუნავს უამრავი დასახელების საქონელი. მყიდველი თავისათვის სასურველ საქონელს ირჩევს მისთვის ცნობილი და კარგი სახელის მქონე აღნიშვნის მეშვეობით. აღნიშვნა, რომელიც ეხმარება მომხმარებელს არის სასაქონლო ნიშანი, ანუ ის სიმბოლო, რომლითაც მონიშნულია საქონელი და რომელიც საქონლის განსხვავების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. თანამედროვე მეწარმე კარგად აცნორიებს სასაქონლო ნიშნის ამ ფუნქციას და ეროვნულ თუ საერთაშორისო ბაზარზე საქონელი შემოაქვს მის მიერ შერჩეული სასაქონლო ნიშნით. ამასთან, იცის, რა რომ სასაქონლო ნიშანი დიდ ეკონომიკურ ღირებულებას წარმოადგენ (ეს ღირებულება დროთა განმავლობაში კიდევ უფრო იზრდება) მეწარმე ცდილობს სამრეწველო საკუთრებითი უფლება მოიპოვოს მასზე და გახდეს მოცემული სასაქონლო ნიშნით მონიშნული პროდუქციის ერთადერთი შემთავაზებელი. რათა მოიპოვოს ასეთი უფლება მეწარმე დარწმუნებული უნდა იყოს ხომ არ წარმოადგენს მის მიერ შერჩეული აღნიშვნა სხვის სასაქონლო ნიშანს მოცემული საქონლისათვის. გარდა ამისა, ის უნდა ფლობდეს ამგვარ მონაცემებს იმისათვის, რომ თავიდან აირიდოს სხვისი უფლებების დარღვევა და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი ეკონომიკურად უარყოფითი შედეგები. ყოველივე აღნიშნული ამოცანის უზრუნველსაყოფად ორგანოებმა, რომლებიც არეგისტრირებენ სასაქონლო ნიშნებს უნდა გამოაქვეყნონ ოფიციალური ინფორმაცია ისე, რომ მეწარმემ ადვილად შესძლოს გაეცნოს ყველა სასაქონლო ნიშანს რეგისტრირებულს მოცემული საქონლისათვის. ამ ინფორმაციის მოძიების გაადვილებისათვის შემოღებულ იქნა საქონლისა და მომსახურების სპეციალური საერთაშორისო კლასიფიკაცია.

კლასიფიკაციის ოფიციალური ტექსტები არსებობს არაბულ, გერმანულ, დანიურ, ესპანურ, იაპონურ, იტალიურ, ლიტვურ, მაკედონიურ, ნორვეგიულ, პოლონურ, პორტუგალიურ, რუსულ, სლოვენიურ, შვედურ, ჩეხურ, ჩინურ, ხორვატულ და ჰოლანდიურ ენებზე.

ნიცის კლასიფიკაცია არ არის გამიზნული იმისათვის, რომ მის მიხედვით განისაზღვროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების მოქმედების საგნობრივი ფარგლები. თუ

რომელიმე ქვეყანა გადაწყვეტს და ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინებს ამ მიზნით კლასიფიკაციის გამოყენებას ნიცის შეთანხმება მას ხელს არ შეუშლის.

ნიცის ხელშეკრულებით დაარსებულია სპეციალური კავშირი, რომელსაც შეადგენს ყოველი მხარე სახელმწიფო. კავშირს აქვს ასამბლეა. 2006 წლის მდგომარეობით ნიცის ხელშეკრულების მხარე 79 სახელმწიფო იყო. ჩვენი ქვეყანა მისი მხარე 2002 წელს გახდა.

კლასიფიკაციისათვის გამოიყენება ციფრობრივი სიმბოლოები და სასაქონლო ნიშნების მარეგისტრირებელი უწყებები ვალდებულია ოფიციალურად გამოქვეყნებულ მონაცემებში მიუთითონ მოცემული საქონლის შესატყვისი კლასის მაჩვენებელი ციფრები.

ნიცის ხელშეკრულება ითვალისწინებს ექსპერტთა კომისიას, რომლის ამოცანაა კლასიფიკაციის სრულყოფის მიზნით მასში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და დაეხმაროს ქვეყნებს კლასიფიკაციის ერთგვარონად გამოყენების და გაადვილების საქმეში.

თავი 48. ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ, კონტრაფაქციული საქონლით ვაჭრობის ჩათვლით (TRIPS)

სანამ უშუალოდ ამ ხელშეკრულების შინაარსს შევეხებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ მისი დადება განპირობებული იყო უკვე არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მათ შორის პარიზის კონვენციაში ისეთი ქმედითი ფაქტორების უქონლობით, რომლებიც აბრკოლებდნენ და კვლავაც აბრკოლებენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას საერთაშორისო, თუ ეროვნულ, დონეზე. საქმე იმაშია, რომ პარიზის კონვენცია, ისევე როგორც ბერნის კონვენცია, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ, ეროვნული რეჟიმის პრინციპისა და საპრიორიტეტო შეღავათების გარდა, სხვა არსებით სავალდებულო ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამრეწველო საკუთრების (ასევე საავტორო უფლებების) დაცვას არ შეიცავენ. უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფა გადატანილია ეროვნულ კანონმდებლობაზე, თავად ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებები კი არ აწესებენ ამ მიმართებაში რაიმე მინიმალურ მოთხოვნებს. თანამედროვე ცხოვრება გამოირჩევა თავისი დინამიზმით. ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ რამდენად სწრაფად იცვლება ვითარება ცხოვრების ყველა სფეროში, როგორი ინტენსიურობით ვითარდება საერთაშორისო ურთიერთობები და განსაკუთრებით ვაჭრობა. ასეთი ვითარება დღის წესრიგში აყენებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ქმედითი უზრუნველყოფის საკითხს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გაცხოველებული ვაჭრობის დროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსოფლიოში იმართება მრავალმხრივი შეხვედრები და მოლაპარაკებები, რომელთა დროსაც მხარეები ეძებენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხების გადაწყვეტის გზებს. ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო მრავალმხრივი მოლაპარაკება გაიმართა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (ნ:GATT) ეგიდით, რომელიც ურუგვაის რაუნდით არის ცნობილი და რომლის შედეგებიც აისახა 1993 წლის 15 დეკემბრის შეჯამებულ დოკუმენტში.

ხელშეკრულება, რომელშიც გადმოიცა ურუგვაის რაუნდის შედეგები, იქცა ახალ ფუძემდებლურ შეთანხმებად, რომელმაც დააფუძნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (შემოკლებით ვიხმართ "ვმო",

ინგლისური შემოკლებაა – "WTO", რუსული – """). ხელშეკრულება მოწონებულ იქნა და ხელი მოეწერა 1994 წლის 15 აპრილს მარაკეშში. ვმო-ს დამფუძნებელი შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანართი გახდა ხელშეკრულება ვაჭრობის თანხვედრი ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების შესახებ (TRIPS). მარაკეშში ხელმოწერილი ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს და მასთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო ახალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ.

ვმო-ს წევრი ქვეყნები (ამ ქვეყანათა რიცხვი უკვე 150 აღემატება), მათ შორის, საქართველო (1999 წლის ოქტომბრიდან), ვალდებულნი გახდნენ შეასრულონ TRIPS-ის მოთხოვნები და ამის უზრუნველსაყოფად დაწესდა 1-წლიანი გარდამავალი პერიოდი. ვმო-ს მონაწილე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის TRIPS-ის ძალაში შესვლისთვის დაწესდა 4-წლიანი პერიოდი. აღნიშნული პერიოდი არ ვრცელდება იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ეროვნულ რეჟიმსა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ეხება.

ვმო-ს დამფუძნებელი ხელშეკრულებით დაფუძნდა TRIPS-ის საბჭო, რომლის ფუნქციაა მეთვალყურეობა გაუწიოს TRIPS-ის ცხოვრებაში გატარებას. ეს საბჭო გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ მოამზადებს მიმოხილვით დასკვნას თუ როგორ შესრულდება TRIPS-ის მოთხოვნები.

TRIPS-ის საბჭო თავის საქმიანობას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში. ამას თავად TRIPS-ის ხელშეკრულება განაპირობებს, რომლის პრეამბულაში აღნიშნულია: "გააჩნიათ რა იმის სურვილი, რომ ვმო-სა და ისმო-ს შორის დაამყარონ ურთიერთ დახმარებისაკენ მიმართული ურთიერთობანი...".

TRIPS-ი მუხლით 63.2 მოითხოვს კონსულტაციების გამართვას ისმო-სა და ვმო-ს შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება ქვეყნის მიერ წარმოდგენილ კანონების შესაბამისობას ამ ხელშეკრულებისადმი. TRIPS-ის საბჭო ვალდებულია, აგრეთვე, მხედველობაში იქონიოს მხარეების მიერ პარიზის კონვენციის 6ტერ მუხლის შესრულება, რომელიც ქვეყნის ოფიციალური სამბოლიკის გამოყენებას ეხება.

TRIPS-ის მთავარი მიზანია ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა კეთილსინდისიერი საქმიანობის განხორციელებისათვის. თუ ამ

ხელშეკრულების მოთხოვნებს ვერ შეასრულებს რომელიმე სახელმწიფო, ის ვმო-ს წევრი ვერ გახდება. ამის გამო, ამჟამად, მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, მიმდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის გადასინჯვა TRIPS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საქართველოს კანონმდებლობაც უნდა შემოწმდეს ყურადღებით – როგორც მოქმედი, ასევე კანონპროექტები. TRIPS-ის ნორმების შინაარსის გადმოცემისას შევეცდებით მცირე შედარება მოვახდინოთ და გამოვთქვათ საკუთარი შეხედულება.

TRIPS-ი შეიცავს VII ნაწილს.

ნაწილი I. ზოგადი დებულებანი და ძირითადი პრინციპები

ეს ნაწილი შედგება 8 მუხლისაგან. პირველი მუხლით განსაზღვრულია ვალდებულებათა ხასიათი და მოცულობა. მასში ნათქვამია, რომ ინტელექტუალური საკუთრების ქვეშ იგულისხმება ობიექტები, რომლებიც მოყვანილია მეორე ნაწილის 1-7 განყოფილებებში. ამ ობიექტთა შორის არ ფიგურირებს სამრეწველო საკუთრების ისეთი ობიექტი, როგორიც არის სასარგებლო მოდელი. გამომდინარე აქედან, ქვეყანას შეუძლია, მაგრამ ვალდებული არ არის უზრუნველყოს სასარგებლო მოდელის დაცვა. ეს ნაწილი აწესებს, რომ მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან შეასრულონ პარიზის კონვენციის 1-12 და 19 მუხლის მოთხოვნები.

მოცემულია, აგრეთვე, ეროვნული რეჟიმის პრინციპის შესრულების ვალდებულება, რომელიც სრულად ეთანადება პარიზის და ბერნის კონვენციის მოთხოვნებს.

გათვალისწინებულია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოთხოვნა, რაც არ არის არც ერთ სხვა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში. ამ პრინციპის თანახმად, ყველა ქვეყანა ვალდებულია ვმო-ს მონაწილე ყველა ქვეყანას მიანიჭოს იგივე შეღავათები, პრივილეგიები და იმუნიტეტი, რასაც ის ანიჭებს რომელიმე ერთ ქვეყანას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში. ეს პირობა ვრცელდება ყველა სხვა ქვეყანაზე დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობის გარეშე.

უ:აღნიშნულია, რომ უფლებათა ამოწურვის განსაზღვრისათვის TRIPS-ის დებულებები არ უნდა იქნენ გამოყენებული. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის თაობაზე მე-3 და მე-4 მუხლის მოთხოვნები.

ამ ნაწილში ცალკე მუხლად არის ჩამოყალიბებული TRIPS-ის მიზნები (მუხლი 7): "...ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დაცვა და განხორციელება ხელს უნდა უწყობდეს ტექნოლოგიურ ინოვაციებს და მათ გადაცემასა და გავრცელებას...".

ნაწილი II. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა ხელმისაწვდომობის, ფარგლების და გამოყენების პირობები

ეს ნაწილი შედგება 8 განყოფილებისაგან და სულ შეიცავს 32 მუხლს (მუხლები 9-40).

პირველი განყოფილება ეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებებს და შეიცავს 6 მუხლს (9-14). მოთხოვნები, ჩამოყალიბებული ამ განყოფილებაში, იგივეა, რაც ბერნის კონვენციაში არის ასახული და სავალდებულოა შესასრულებლად. ამასთან, დებულებებიც, რომელთა შესრულება სავალდებულო არ არის, კერძოდ, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ვმო-ს წევრი ქვეყნები არ არიან შებოჭილნი ამ ხელშეკრულების ძალით, რაიმე ვალდებულებით და არ არიან აღჭურვილნი რაიმე უფლებით ბერნის კონვენციის 6ბის მუხლის მიმართ. ეს მუხლი ეხება არაქონებრივ უფლებებს და, ამდენად, გასაგები არის TRIPS-ის პოზიცია, რადგან აღნიშნული უფლებები ვაჭრობის თანხვედრი ვერ იქნებიან. ამავე მუხლის მეორე პუნქტი აწესებს, რომ საავტორო უფლებათა დაცვა ვერ გავრცელდება იდეებზე, ტექნოლოგიურ პროცესებზე, მუშაობის პრინციპებზე და მათემატიკურ კონცეფციებზე. ბერნის კონვენციაში ეს მოთხოვნა პირდაპირ არ არის გადმოცემული, მაგრამ, ჩვენის აზრით, განსხვავება ამ ორ საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის არ არის, რადგან იდეები და ა.შ. "ნაწარმოებად" ვერ იქნება განხილული, რომელსაც ბერნის კონვენცია იცავს.

TRIPS-ი შეიცავს კომპიუტერული პროგრამების დაცვის პირობას, როგორც ნაწარმოებისა. აღნიშნული პირობა შეიძლება შესრულდეს საავტორო უფლებათა კანონმდებლობით (ლიტერატურული ნაწარმოების დაცვის მსგავსად) ბერნის კონვენციის თანახმად. ასეთი მოთხოვნა იმის შედეგია, რომ ბერნის კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს კომპიუტერული პროგრამის დაცვას.

გარდა აღნიშნულისა, მე-11 მუხლი ავალდებულებს TRIPS-ის მონაწილე ქვეყნებს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპიუტერულ პროგრამებზე და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე მაინც გაქირავების უფლება. ამასთან, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით გაქირავების უფლების დაწესება შეიძლება იყოს

დამოკიდებული იმაზე, თუ რა რაოდენობით იქნა გამრავლებული ასლები კომერციული გაქირავების შედეგად. თუ ასლები გამრავლდა ისეთი რაოდენობით, რომ მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა განსაკუთრებული უფლების მფლობელ პირს, მაშინ გაქირავების უფლების დაწესება სავალდებულო იქნება.

რაც შეეხება კომპიუტერული პროგრამის გაქირავების უფლებას, აღინიშნება, რომ ეს უფლება არ მოიცავს ისეთ გაქირავებას, რომელის საგანსაც უშუალოდ კომპიუტერული პროგრამა არ წარმოადგენს, ანუ თუ გაქირავებისას კომპიუტერული პროგრამა მეორეხარისხოვანია.

მე-14 მუხლი ვრცელდება შემსრულებელთა, ფონოგრამის მწარმოებელთა (გამსაღებელთა) და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებებზე. ეს მუხლი ძირითადად სრულ თანხმობაშია რომის კონვენციასთან, თუმცა შეიცავს განსხვავებულ დებულებასაც ფონოგრამებთან დაკავშირებით. კერძოდ, ქვეყნები ვალდებულნი არიან გააწესონ ფონოგრამის გაქირავების უფლება და გაავრცელონ ის.

ეს უფლება ფონოგრამის გამამსაღებელზე. რაც შეეხება ავტორებსა და შემსრულებლებს, რომელთა ნაწარმოები, ან შესრულება არის ფონოგრამაზე ჩაწერილი, მათზე გაქირავების უფლების გავრცელება ქვეყნის ნებაზეა დამოკიდებული. მათზე გაქირავების უფლების გავრცელება დასაშვებია, თუ ფონოგრამის დამამზადებელს არ მიადგება ქონებრივი ზიანი.

საქართველო პირველი განყოფილების მოთხოვნებს მთლიანობაში აკმაყოფილებს. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა საქართველოს საავტორო სამართალი, რომელმაც გაიზიარა ბერნისა და რომის კონვენციის, აგრეთვე, TRIPS-ის განხილული განყოფილების მოთხოვნები.

მეორე განყოფილება მთლიანად ეხება სასაქონლო ნიშნებს და შეიცავს მუხლებს 15-21.

ჩამოყალიბებულია შემდეგი პირობები და მოთხოვნები:

– ნიშანი განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ხილვადი აღნიშვნა. ქვეყნებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ სასაქონლო ან მომსახურების ნიშნად სხვა სახის აღნიშვნების დაცვაც.

– ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება იყოს დამოკიდებული მის გამოყენებაზე, მაგრამ ასეთმა პირობამ ხელი არ უნდა შეუშალოს განაცხადის მიწოდებას. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ნიშანი, განაცხადის მიწოდების დღიდან სამი წლის განმავლო-

ბაში, არ გამოიყენებოდა, არ უნდა იყოს განაცხადის უარყოფის ერთადერთი მიზეზი.

– საქონლის ნაირსახეობა არ შეიძლება იქცეს ნიშნის რეგისტრაციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

– ვმო-ს მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ მონაცემები სასაქონლო ნიშანზე. გამოქვეყნება უნდა მოხდეს ან რეგისტრაციამდე, ან დაუყოვნებლივ რეგისტრაციის შემდეგ. ქვეყნებმა, მესამე პირთათვის, უნდა გაითვალისწინონ სარჩელის შეტანის შესაძლებლობა ნიშნის ბათილად ცნობის შესახებ. ეს აუცილებელი პირობაა. ამასთან ერთად, მხარეებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ შედავებების შესაძლებლობა ნიშნის რეგისტრაციამდე. ეს პირობა შეიძლება შესრულდეს, თუ ნიშანი გამოქვეყნდა რეესტრში შეტანამდე.

– რეგისტრაციით მოპოვებული განსაკუთრებული უფლებები უნდა შეიცავდეს ნიშნის მფლობელის უფლებას, რომ მან აუკრძალოს ნებისმიერ პირს იდენტური ან მსგავსი აღნიშვნების გამოყენება იდენტურ ან მსგავს საქონელზე. იგივე შედეგი იგულისხმება, თუ საქონელი და მომსახურება იდენტურია. TRIPS-ი აქვე, მე-16 მუხლში, ითვალისწინებს, აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების დაცვის გაფართოებას და მიუთითებს პარიზის კონვენციაზე.

– დაიშვება გამონაკლისების დაწესება, როდესაც განსაკუთრებული უფლება ვერ გავრცელდება, მაგალითად, აღწერილობით ფრაზაზე. თუ ამ ფრაზას მესამე პირი კეთილსინდისიერად იყენებდა, ან იყენებს და მისი ინტერესების სფეროში კანონისმიერად შედის ასეთი გამოყენება, მაშინ განსაკუთრებული უფლება შეიძლება შეიზღუდოს და შეიკვეცოს აღნიშნული ქმედებით. ეს პირობა საქართველოს კანონმდებლობით სასაქონლო ნიშნების შესახებ გათვალისწინებული არ არის.

– რეგისტრაცია და ნიშნის რეგისტრაციის ყოველი მომდევნო გაგრძელება უნდა ხდებოდეს არანაკლებ 7 წლის ვადით.

– თუ რეგისტრაციის შენარჩუნებისათვის ან გაგრძელებისათვის დათქმულია ნიშნის აუცილებელი გამოყენების პირობა, მაშინ რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ნიშნის უწყვეტად არ გამოყენების შემთხვევაში 3 წლის განმავლობაში მაინც. ამასთან, რეგისტრაცია გაუქმდება მხოლოდ მაშინ, თუ მფლობელმა ვერ გაამართლა უმოქმედება პატივსადები მიზეზით.

– ვაჭრობისას ნიშნის გამოყენება არ შეიძლება იქნეს შეზღუდული რაიმე ისეთი პირობით, რომელიც ავალდებულებს მფლობელს საკუთარი ნიშნის სხვა სასაქონლო ნიშანთან ერთად გამოყენების, ან სპეციალური რაიმე ფორმით გამოყენებას და ა.შ. ამასთან, ეს პირობა არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება დაწესდეს მოთხოვნა აუცილებელ გამოყენებაზე ისეთი ნიშნებისა, რომლებიც ემსახურებიან საწარმოს და საქონლის გამოცნობას. ასეთი ნიშნების ერთმანეთთან ერთად (შერწყმულად) გამოყენების მოთხოვნა არ შეიძლება იქნეს დაშვებული. საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ნორმას არ შეიცავს.

არ არის დაშვებული იძულებითი ლიცენზირების დაწესება. ამასთან, მფლობელს უნდა ჰქონდეს უფლება ნიშნის გადაცემაზე, როგორც საწარმოსთან ერთად, ასევე საწარმოს გარეშეც.

მესამე განყოფილება ეხება გეოგრაფიულ აღნიშვნებს და მოიცავს სამ მუხლს: 22-24.

ტერმინი "გეოგრაფიული აღნიშვნა" საერთაშორისო სამართალში პირველად TRIPS-ის ხელშეკრულებას შემოაქვს. ეს ტერმინი განიმარტება როგორც აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს, რომ საქონელი წარმოშობილია ვმო-ს მონაწილე ქვეყნიდან, მისი რეგიონიდან ან ადგილიდან. ამასთან, საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, რეპუტაცია, ან სხვა თვისება თუ მახასიათებელი უმთავრესად უნდა იყოს დამოკიდებული მის გეოგრაფიულ წარმოშობაზე. ეს განმარტება კრებითია და შეიცავს წარმოშობის აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებას. ეს საკითხი ადრე უკვე განვიხილეთ, ამდენად, აღარ შევჩერდებით მასზე.

მესამე განყოფილების მუხლები მხარეებისაგან ითხოვს:

– გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი საშუალებანი, რომ არ იქნეს გამოყენებული შეცდომაში შემყვანი აღნიშვნები ნამდვილი გეოგრაფიული აღნიშვნის მიმართ; აკრძალულ იქნეს ქმედებანი გეოგრაფიულ აღნიშვნასთან დაკავშირებით, რომლებიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენენ.

– ex officio ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით უნდა იყოს აკრძალული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ან შესაძლებელი უნდა იყოს მისი გაბათილება, თუ ის შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას, რომელიც მოცემულ საქონელთან კავშირში არ არის.

– შეიძლება იყოს დაცული ისეთი გეოგრაფიული დასახელება, რომელიც ჭეშმარიტია, როგორც მოცემული გეოგრაფიული ადგილის დასახელება, მაგრამ ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს

საქონელი სხვა ტერიტორიიდან არის წარმოშობილი. ამგვარი აღნიშვნის მაგალითად, ჩვენის აზრით, გამოდგება ლუდის ცნობილი აღნიშვნა "PILSEN". თავად გეოგრაფიული ადგილი წარმოადგენს ქალაქს ჩეხეთში, ხოლო აღნიშვნას იყენებენ როგორც ჩეხი, ასევე გერმანელი მეწარმენი.

– უნდა იყოს დაწესებული ისეთი შესაძლებლობანი, რომ აღიკვეთოს გამოყენება გეოგრაფიული აღნიშვნისა ღვინისთვის, თუ სინამდვილეში ღვინო იმ ადგილიდან არ არის წარმოშობილი, იგივე პირობა სპეციალურად არის დათქმული 23-ე მუხლით მაგარი სასმელებისათვის. ამასთან, TRIPS-ის ეს მუხლი ეყრდნობა ლისაბონის ხელშეკრულებას და კრძალავს ისეთი აღნიშვნების გამოყენებასაც, რომლებიც შეიცავენ ფრაზას: "ტიპის", "სახის", "სტილის", "მაგვარი", "მსგავსი", "იმიტაცია" და სხვა. ეს ქმედება აკრძალულია, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა სწორად არის ნაჩვენები. მაგალითად, აიკრძალება აღნიშვნა "მუკუზნის ტიპის", "წინანდლის მსგავსი" და სხვა. აკრძალულია ღვინოებისათვის, ან მაგარი სასმელებისთვის გეოგრაფიული აღნიშვნის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, თუ წარმოშობა და აღნიშვნა ერთმანეთს არ შეეფერება.

– თუ ღვინოებს ერთნაირი გეოგრაფიული აღნიშვნა გააჩნია, მაშინ დაცვა ორივე გეოგრაფიულ აღნიშვნას მიენიჭება. ამასთან, უნდა დაწესდეს რაიმე განმასხვავებელი ელემენტების დამატება.

ამ განყოფილების დანარჩენი მოთხოვნები ეხება საერთაშორისო მოლაპარაკებების გამართვასა და გამონაკლისებს. აღსანიშნავია 24-ე მუხლის მოთხოვნა, რომ ვმო-ს ქვეყნებს უფლება არ აქვთ შეამცირონ გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის მოცულობა, იმასთან შედარებით, რაც არსებობდა წარმოშობის ქვეყანაში მისი ვმო-ში გაწევრიანებამდე. ამასთან, ვერ აიკრძალება ერთნაირი, ან მსგავსი გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეთა მიერ, თუ ისინი ამ აღნიშვნით კეთილსინდისიერად სარგებლობდნენ (იყენებდნენ) არანაკლებ 10 წელიწადს 1994 წლის 15 აპრილამდე. ამავე მუხლში გათვალისწინებულია, რომ ვერ აიკრძალება ვაჭრობისას საკუთარი სახელის გამოყენება, თუ ასეთი გამოყენება შეცდომაში შემყვანი არ არის. TRIPS-ის პირობები არ ავალდებულებენ მხარეებს დაიცვან ის გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც არ არიან დაცულნი, ან მათი დაცვა შეწყდა წარმოშობის ქვეყანაში.

საქართველოში ჯერ კიდევ გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა არ ხორციელდება, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობისთვის მნიშვნელოვანი ხარვეზია.

მეოთხე განყოფილება მიძღვნილია სამრეწველო ნიმუშების დაცვისადმი და შეიცავს 2 მუხლს.

ეს განყოფილება ავალდებულებს მხარეებს, რომ მათ უზრუნველყონ სამრეწველო ნიმუშების დაცვა. ამ განყოფილების სხვა პირობა პარიზის კონვენციის შესაბამისია და მათზე აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ერთი მოთხოვნა კი ახალია. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითხოვს, რომ უზრუნველყოფილი იყოს საფეიქრო ნიმუშების და ტანსაცმლის მოდელების დაცვა, ან სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობით, ან საავტორო სამართლით.

სამრეწველო ნიმუშების დაცვა უნდა იყოს დაწესებული არანაკლებ 10 წლისა, თუ მათი დაცვა ხორციელდება სპეციალური კანონით და არა საავტორო სამართლით.

მეხუთე განყოფილება შეიცავს 8 მუხლს (27-34) და ეხება პატენტებს.

TRIPS-ი, პარიზის კონვენციისაგან განსხვავებით, მოითხოვს, რომ პატენტი უნდა იყოს გაცემული ნებისმიერ გამოგონებაზე, რომელიც წარმოადგენს ნაწარმსა (პროდუქტს) თუ ხერხს. დათქმულია, რომ პატენტით დაცვას ექვემდებარება გამოგონება განურჩევლად იმისა, ტექნიკის რომელ დარგს ეკუთვნის. აგრეთვე აღნიშნულია, რომ საპატენტო უფლებები უნდა მოქმედებდნენ იმისაგან დამოუკიდებლად, თუ სად შეიქმნა გამოგონება; ტექნიკის რომელ დარგს ეკუთვნის; აგრეთვე იმის მიუხედავად, შემოტანილია ნაწარმი ქვეყნის გარედან, თუ მის ტერიტორიაზეა დამზადებული.

გამოგონების კრიტერიუმები იგივეა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაშია უკვე მიღებული.

განყოფილება შეიცავს, პარიზის კონვენციისაგან განსხვავებულ სხვა, პირობებს, როგორიცაა:

– მხარეებს უფლება აქვთ აკრძალონ პატენტის გაცემა, თუ საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეთა სიცოცხლის, აგრეთვე, გარემოს დაცვას ექმნება სერიოზული საშიშროება. გარდა ამისა, ქვეყნებს აქვთ უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, რომ არ გაითვალისწინონ პატენტის გაცემა ადამიანისა და ცხოველების მკურნალობის დიაგნოსტიკურ, თერაპევტულ, ან ქირურგიულ ხერხებზე. აგრეთვე

დაშვებულია, რომ ვმო-ს ქვეყნებმა არ დააწესონ პატენტის გაცემა მცენარეებზე და ცხოველთა ჯიშებზე (მიკროორგანიზმების გამოკლებით) და მცენარეთა, ან ცხოველების გამოყვანის ბიოლოგიურ პროცესებზე.

– განსაკუთრებული უფლებების მოცულობას, უნდა შეადგენდეს: თუ პატენტის საგანს ნაწარმი წარმოადგენს – აკრძალულ ქმედებად უნდა განიხილებოდეს ამ ნაწარმის უნებართვო დამზადება, გამოყენება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა, ქვეყნის გარედან შემოტანა (იმპორტი); თუ პატენტის საგანი ხერხია – უნდა იკრძალებოდეს ამ ხერხის გამოყენება და ამ ხერხის გამოყენებით მიღებული (დამზადებული) ნაწარმის უნებართვო გამოყენება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა ან იმპორტი.

– პატენტის გასხვისება, გადაცემა, აგრეთვე, მის საფუძველზე ლიცენზიის გაცემა უნდა იყოს დაშვებული.

– საპატენტო უფლებების გაფორმებისათვის ქვეყნებმა უნდა დააწესონ მოთხოვნა გამოგონების აღწერილობისადმი. კერძოდ, გამოგონება ისე უნდა იყოს აღწერილი, რომ მისი განხორციელება იყოს შესაძლებელი სპეციალისტის მიერ. აგრთევე, დასაშვებია, რომ მოთხოვნილ იქნეს გამოგონების საუკეთესო ვარიანტის აღწერა, როგორც ეს გამომგონებელს განაცხადის შეტანის თარიღამდე აქვს წარმოდგენილი.

– დაწესებულია განსაკუთრებული უფლების შეზღუდვები, რომლებიც გამოგონების იძულებით გამოყენებას ეხება. ყურადსაღებია, რომ ცალკე არის გამოყოფილი ნახევრადგამტარებთან დაკავშირებული გამოგონებანი. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ გამოგონებას იყენებენ პატენტმფლობელის ნებართვის მიუხედავად, გამოყენება უნდა ატარებდეს არაკომერციულ ხასიათს, ან უნდა იყოს მიმართული კონკურენციის შეზღუდვის აღკვეთისაკენ, თუ ამას ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოები დაადგენენ.

499□:როდესაც იძულებითი ლიცენზია გაიცემა ისეთ პატენტზე, რომელიც სხვა უფრო ადრინდელი პატენტის დარღვევის გარეშე ვერ იქნება გამოყენებული, მაშინ:

ა)გამოგონება, რომლის იძულებითი ლიცენზირება არის განზრახული უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ტექნიკურ მიღწევას, დიდი ეკონომიკური ეფექტით.

ბ) პატენტის მფლობელს, რომლის უფლებაც ირღვევა, უნდა მიეცეს "ჯვარედინი" ლიცენზიის საფუძველზე აღნიშნული დიდი ეფექტის მქონე გამოგონების გამოყენების საშუალება.

გ) ლიცენზია უფროს პატენტზე არ უნდა ექვემდებარებოდეს გადაცემას ჯვარედინი ლიცენზიით მოპოვებული უფლების გარეშე.

– პატენტის გაუქმების შემთხვევაში მის მფლობელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების აღსადგენად.

– პატენტის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 20 წელიწადზე ნაკლები განაცხადის შეტანის თარიღიდან.

– სამოქალაქო სამართლებრივი დავის განხილვისას, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ხერხზე მოქმედი პატენტის დარღვევასთან, რომელიც განკუთვნილია პროდუქტის (ნაწარმის) მისაღებად, სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს მტკიცებულებების წარმოდგენა მოპასუხეს მოსთხოვოს. თუ მტკიცებულება წარმოდგენილ არ იქნა, მაშინ ითვლება, რომ ნაწარმი მიღებულია დაპატენტებული ხერხით. ამასთან, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება, თუ ნაწარმი ახალია ქვეყნის ბაზრისათვის, ან თუ დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ნაწარმის დამზადება მოხდა დაპატენტებული ხერხით, ხოლო პატენტმფლობელს, გონიერი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, არ მიეცა საშუალება, რომ დაედგინა, რომელი ხერხით იქნა მიღებული აღნიშნული ნაწარმი.

მეექვსე განყოფილება შეიცავს სამ მუხლს (35-38) და ადგენს მოთხოვნებს ინტეგრალური მიკროსქემების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველო ჯერ ინტეგრალურ მიკროსქემებს არ იცავს.

TRIPS-ი ეყრდნობა ვაშინგტონის ხელშეკრულებას ინტელექტუალურ საკუთრებაზე ინტეგრალურ მიკროსქემებთან დაკავშირებით.

ინტეგრალური მიკროსქემის დაცვა უნდა იყოს განხორციელებული სპეციალური სამრეწველო საკუთრების, ან საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი კანონით.

აკრძალულ უნდა იქნეს: იმპორტი, კომერციული მიზნებისათვის გავრცელება ისეთი ტოპოლოგიისა, რომელიც ინტეგრალურ მიკროსქემაში არის განხორციელებული. იგივე ეხება ნაწარმს, რომელიც დამზადებულია აღნიშნული ტოპოლოგიის საფუძველზე.

დაწესებულია განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები საპატენტო უფლებების შეზღუდვების ანალოგიურად.

ინტეგრალური მიკროსქემა უნდა იყოს დაცული არანაკლებ 10 წლისა განაცხადის წარმოდგენის, ან პირველად გამოყენების დღი-

დან. გამოყენება კომერციული უნდა იყოს, ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში იქნება გამოყენებული. დაცვა შეიძლება იყოს განსაზღვრული მისი შექმნიდან 15 წლის ვადით.

მეშვიდე განყოფილება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას ითვალისწინებს და შედგება ერთი მუხლისგან.

TRIPS-ი ითხოვს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვისათვის იყოს გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ეს გათვალისწინებულია, ისევე როგორც კანონით ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1105-ე მუხლი იყენებს ტერმინს "საწარმოო – კომერციული საიდუმლოება" და განმარტავს მას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება მისი საიდუმლოდ შენახვისათვის გაწეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებებით.

TRIPS-ი ითხოვს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის მფლობელ პირს უნდა შეეძლოს წინ აღუდგეს ამ ინფორმაციის უკანონო გავრცელებას, გახსნას ან გამოყენებას, თუ ეს ინფორმაცია მფლობელის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამასთან, ინფორმაცია უნდა იყოს:

– საიდუმლო, და არ უნდა იყოს იოლად ხელმისაწვდომი;

– გააჩნდეს კომერციული ღირებულება თავისი საიდუმლოების გამო;

– უნდა იყოს მისი საიდუმლოდ შენახვის გონივრული ღონისძიებებით დაცული.

აღნიშნული, ეს პირობები სრულად არის წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

მერვე განყოფილება ითვალისწინებს სახელშეკრულებო ლიცენზირების ისეთ პირობებზე კონტროლის განხორციელებას, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას. განყოფილება შეიცავს ერთ, მე-40 მუხლს.

ქვეყნებს უფლება აქვთ დააწესონ მოთხოვნები, რომლებიც მიმართული იქნება ისეთი ქმედებების [illegible] დაშვებისაკენ, რომლებიც შესულია სალიცენზიო ხელშეკრულებებში [illegible] რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას, აგრეთვე არახელსაყრელ პირობებს, ქმნიან ვაჭრობის განხორციელებისათვის ან ტექნოლოგიების გადაცემასა და გავრცელებისათვის.

ნაწილი III. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების უზრუნველყოფა

TRIPS-ის ეს ნაწილი სამართლებრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია იმ უფლებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია, ან მათ მოსაპოვებლად შესაბამისი ნაბიჯებია გადადგმული. ნაწილი შედგება ხუთი განყოფილებისაგან და მოიცავს 22 მუხლს.

პირველი განყოფილება ზოგად ვალდებულებებს აწესებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე და ეყრდნობა უფლებების უზრუნველყოფის პრინციპებს. უნდა იყოს გათვალისწინებული უფლებების დარღვევის თავიდან აცილებითი საშუალებანი. ეს საშუალებანი და ღონისძიებანი არ უნდა იყოს ზედმეტად გართულებული ან ძვირი, არ უნდა იწვევდეს ვადების გახანგრძლივებას, ან შეფერხებებს. გადაწყვეტილებანი, საქმის არსის მიხედვით, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ეფუძნებოდეს მხოლოდ მტკიცებულებებს, ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეს არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობა და დაშვებული უნდა იყოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვა.

მეორე განყოფილება აწესებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პროცედურებსა და საშუალებებს. უფლებათა განხორციელებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება უნდა ხდებოდეს ნათელ და სამართლიან საფუძველზე. აუცილებელია მტკიცებულებათა წარმოდგენა, ამასთან, თუ მხარე საშუალებას არ იძლევა, უნდა იყოს შესაძლებელი გადაწყვეტილების გამოტანა არასრული მტკიცებულების მიხედვით. სასამართლოს უნდა შეეძლოს დაავალდებულოს მხარე, თავი შეიკავოს დარღვევისაგან (სასამართლო აკრძალვა). ასეთი გადაწყვეტილება გამოიყენება ისეთი საქონლის იმპორტის არ დაშვების მიზნით, რომელიც არღვევს უფლებებს. მაგრამ, თუ პირმა არ იცოდა და არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობები და პირობები, რომ სცოდნოდა დარღვევის შესახებ, მაშინ ეს ზომა არ გამოიყენება. ასევე არ გამოიყენება სასამართლო აკრძალვები იძულებითი ლიცენზიის გამოყენების დროს.

თუ ქვეყანა არ ითვალისწინებს სასამართლო აკრძალვას, მაშინ უნდა იქნეს გათვალისწინებული დეკლარაციული სასამართლო გადაწყვეტილება და შესაბამისი კომპენსაციის გადახდის დაკისრება.

ვმო-ს მონაწილე ქვეყანაში უნდა იყოს გათვალისწინებული, აგრეთვე, დაცვის სხვა საშუალებანი. კერძოდ, უნდა იყოს დაშვე-

ბული სავაჭრო ქსელიდან კონტრაფაქციული საქონლის ამოღება, მასალისა და მოწყობილობის განადგურება, რომელიც გამოიყენებოდა აღნიშნული საქონლის დასამზადებლად.

თ:უნდა იყოს უზრუნველყოფილი უფლება ინფორმაციაზე. ეს პირობა ითვალისწინებს სასამთრლო ორგანოს უფლებამოსილებას, რომ წაუყენოს მოთხოვნა დამრღვევ პირს, რომელმაც უნდა მიაწოდოს ინფორმაცია უფლებათა მფლობელ პირს მესამე პირთა შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ კონტრაფაქციული საქონლის გასაღებასა ან დამზადებაში. სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება დააკისროს შესაბამის მოდავე მხარეს ზიანის ანაზღაურება ადვოკატის ჰონორარის ჩათვლით.

ადმინისტრაციული საშუალებანი უნდა შეესაბამებოდნენ ამ განყოფილების პირობებს.

მესამე განყოფილება აწესებს დროებით საშუალებებს, რაც უნდა ითვალისწინებდეს სასამართლოსათვის შემდეგი უფლებამოსილების მინიჭებას:

– გადაწყვიტოს მტკიცებულებათა შენარჩუნების (შენახვის) საკითხი;

– მეორე მხარის მოსმენის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი ზომების მისაღებად;

– მოითხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა;

– მიიღოს გადაწყვეტილება კომპენსაციის გადახდაზე, დარღვევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე;

– მოითხოვოს საქონლის იდენტიფიცირებისათვის სხვა ინფორმაციის წარმოდგენა;

– სასამართლომ უნდა შეწყვიტოს დროებითი ზომების ძალაში ყოფნა, თუ სასამართლო პროცესი განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ ჯერ არ დაწყებულა.

მეოთხე განყოფილება ადგენს სასაზღვრო საშუალებათა განხორციელების განსაკუთრებულ მოთხოვნებს. მონაწილე ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული ისეთი ზომები და საშუალებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის, რომ აღკვეთილ იქნეს ქვეყანაში კონტრაფაქციული საქონლის შეტანა. ეს აქტი უნდა განხორციელდეს სასამართლოში, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის საფუძველზე. საქონელი, როდესაც საკმარისი საფუძველი გააჩნია უფლებათა მფლობელს, რომ ივარაუდოს კონტრაფაქციული საქონლის შემოტანის შესაძლებლობა შეიძლება იქნეს დაყადაღებული ქვეყნის საზღვარზე საბაჟო ორგანოს მიერ.

ეს არ ეხება ისეთ საქონელს, რომელიც ტრანზიტით გადის ქვეყნის ტერიტორიაზე.

საბაჟო ორგანოებს უფლება უნდა ჰქონდეთ მოითხოვონ განმცხადებლისაგან ფულადი შენატანის სახის, ან სხვაგვარი გარანტიის უზრუნველყოფა. ამგვარი შენატანი საკმარისი უნდა იყოს მოპასუხის უფლების დასაცავად. იმპორტიორი და განმცხადებელი დროულად უნდა იყვნენ ინფორმირებული საქონლის დაყადაღების შესახებ.

დადგენილია, აგრეთვე, საქონლის დაყადაღების შესაბამისი ხანგრძლივობა. განმცხადებელი, რომელმაც მოითხოვა საქონლის დაყადაღება, თუ მისმა გაუმარლებელმა ქმედებამ ზიანი მიაყენა იმპორტიორს, საქონლის მიმღებს, ან საქონლის მფლობელს, ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია. განსაკუთრებული უფლების მფლობელს უნდა მიეცეს უფლება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ჩაატაროს საქონლის ინსპექცია. ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება კონტრაფაქციული საქონლის განადგურების, ან მიმოქცევიდან ამოღების შესახებ.

მეხუთე განყოფილება სისხლის სამართლებრივ პროცედურებს ეხება. დაწესებულია, რომ ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ სისხლის სამართლებრივი ზომები და ჯარიმები. ეს საშუალებანი უნდა იქნეს გამოყენებული სასაქონლო ნიშნების განზრახ გაყალბების შემთხვევაში ან საავტორო უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, თუ კომერციულ მასშტაბებში იქნა ჩადენილი ეს ქმედებები. უნდა იქნეს გათვალისწინებული დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა, ფულადი ჯარიმები, რაც სხვა ამგვარი სიმძიმის დანაშაულებრივ ქმედებებთან შეფარდებული იქნება. აღმკვეთი ზომები შეიძლება ითვალისწინებდნენ, აგრეთვე, საქონლისა და სხვა მისი წარმოებისათვის განკუთვნილი საშუალებების დაყადაღებას, კონფისკაციასა და განადგურებას. ქვეყნებს შეუძლიათ სისხლის სამართლებრივი საშუალებები გაითვალისწინონ უფლებათა დარღვევის სხვა შემთხვევებშიც, თუ დარღვევა განზრახ ხდება და კომერციულ მასშტაბს მოიცავს.

ნაწილი IV. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა მოპოვება და შენარჩუნება, მომიჯნავე INTER PARTES პროცედურები

ეს ნაწილი ერთი მუხლისაგან შედგება და აწესებს უფლებათა მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის ფორმალური მოთხოვნების

ისეთ პრინციპებს, რომელთა განხორციელებაც მიზნად ისახავს არ დაუშვას უფლებების მოქმედების შემცირება ამ მოთხოვნების შესრულების გამო. ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ გონივრული ვადები ფორმალობებისათვის. ამ ნაწილის მთავარი მოთხოვნა ისიც არის, რომ ქვეყნები ვალდებული არიან უფლებათა მომპოვებელ და სხვა დაინტერესებულ პირს მისცენ შესაძლებლობა საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების სასამართლოში ან კვაზისასამართლო ორგანოში გასაჩივრებაზე.

ნაწილი V. დავების თავიდან აცილება და მოწესრიგება

ეს ნაწილი შედგება ორი მუხლისაგან (53-64). ქვეყნები ვალდებული არიან ხელმისაწვდომი გახადონ (გამოქვეყნების გზით, ან სხვაგვარად) კანონები და წესები, საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებანი და ადმინისტრაციული ნორმები. ამასთან, აღნიშნულია, რომ კანონები, წესები და გადაწყვეტილებანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნულ ენაზე. გარდა ამისა, მოითხოვება საერთაშორისო ორმხრივი, ან მრავალმხრივი ხელშეკრულების გამოქვეყნება. ეს მოთხოვნები პარიზისა და ბერნის კონვენციაშიც არის წარმოდგენილი. ვაჭრობის პროცესში ოფიციალური სიმბოლიკის გამოყენების აკრძალვისათვის (უნებართვოდ) გათვალისწინებულია შეტყობინების გაგზავნა საერთაშორისო ბიუროში, თანახმად პარიზის კონვენციის 6ტერ მუხლისა.

TRIPS-ი აწესებს დავების მოწესრიგების შესაძლებლობას ქვეყანათა შორის და უთითებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულების პირობების გამოყენებაზე. კერძოდ, მითითებულია GATT-ის შეთანხმების XXII და XXIII მუხლები. ამ მუხლების 1(b) და 1(c) პუნქტების თანახმად, პრეტენზიები წარედგინება TRIPS-ის საბჭოს, რომელიც თავის რეკომენდაციებთან ერთად მიანვდის მათ ვმო-ს მინისტრთა კონფერენციას განსახილველად, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კონსენსუსის საფუძველზე.

ნაწილი VI. გარდამავალი დებულებები (მუხლები 65-67)

ეს ნაწილი აწესებს TRIPS-ის გამოყენების დაწყების თარიღებს. დადგენილია განსხვავებული პირობები ნაკლებად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომ მათ გასწიონ ყველა საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. დათქმული არის ვალდებულებანი განვითარებული ქვეყნებისათვის და საერთაშორისო ორგა-

ნიზაციებისათვის მათ მიერ განვითარებად ქვეყნებისათვის შესაბამისი ტექნიკური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ისმოსა და ვმო-ს შორის ამის შესახებ დადებულია სპეციალური შეთანხმება.

ნაწილი VII. ინსტიტუციონალური საშუალებანი; დასკვნითი დებულებანი (მუხლები 68-73)

68-ე მუხლის თანახმად, შექმნილია ვაჭრობის თანხვედრი ინტელექტუალური საკუთრების სპეციალური საბჭო, რომელიც აწარმოებს კონსულტაციებს და აკონტროლებს ვმო-ს წევრი ქვეყნების მიერ ა:TRIPS-ის ვალდებულებების შესრულებას.

ქვეყნები ვალდებული არიან ითანამშრომლონ, რომ არ დაუშვან ერთმანეთის ტერიტორიაზე ისეთი საქონლის მიმოქცევა, რომლებიც არღვევენ უფლებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე. ამისათვის მათ უნდა შექმნან შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში საკონტაქტო პუნქტები, უპირველესად ინფორმაციის ერთმანეთთან გაცვლის მიზნით. ეს ორგანოები მზად უნდა იყვნენ ურთიერთშეთანხმებულად იმოქმედონ ფალსიფიცირებული საქონლის გავრცელების აღკვეთისათვის.

მოცემულია სხვა პირობებიც, რომლებიც არსებულ უფლებათა გამოყენებას ეხება. TRIPS-ის რეალიზაციის კონტროლისათვის საბჭო 2000 წლის 1 იანვრის შემდეგ ორ წელიწადში ერთხელ იხილავს შედეგებს.

მუხლი 72 ადგენს, რომ მონაწილე ქვეყანას რაიმე დათქმების გაკეთების უფლება არ აქვს, TRIPS-თან მიმართებაში, თუ არ იქნა ამაზე სხვა მონაწილე ქვეყნების თანხმობა მიღებული.

გარდა ამისა, TRIPS-ი შეიცავს ნორმას, რომლის თანახმადაც ქვეყანა თავისუფლდება ვალდებულებისგან გამომდინარე ყველა იმ მოთხოვნების შესრულებიდან, რომლებიც წინააღმდეგობაში არიან მისი უსაფრთხოების ინტერესებთან. დასახელებულია, რომ ასეთ ქმედებებად შეიძლება იქნეს განხილული ქმედებები, დაკავშირებული იარაღით ვაჭრობასთან, ბირთვულ მასალებთან, ომიანობის პერიოდთან, ან გაეროს წინაშე ვალდებულების შესრულების დაბრკოლებასთან.

ასეთი პირობები არც ერთ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას არ ახასიათებს, რაც აღნიშნულია ისმოს მიერ 1996 წელს მომზადებულ სპეციალურ მემორანდუმში TRIPS-ის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

კარი VI. სხვა კონვენციები და ხელშეკრულებები

თავი 49. საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიო კონვენცია

ბერნის კონვენციის ძირითადი დებულებები არ გაიზიარა ზოგიერთმა ისეთმა ქვეყანამ, რომლის კანონმდებლობაც ითვალისწინებდა საავტორო უფლებათა დაცვისათვის ნაწარმოებების აუცილებელ რეგისტრაციას. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნებოდა ამერიკის შეერთებული შტატები (რომელიც სულ რამდენიმე წელია, რაც ბერნის კონვენციას მიუერთდა), საბჭოთა კავშირი და ლათინური ამერიკისა და აზიის განვითარებადი ქვეყნები. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ აშშ შეურიგებელი პოზიცია ბერნის კონვენციისადმი, რომელიც ძალას არ იშურებდა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულება დადებულიყო მისი ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით. შედეგად, 1948-1951 წწ შემუშავდა ახალი კონვენციის ტექსტი, რომელიც მიღებულ იქნა ჟენევის სამთავრობათაშორისო კონფერენციაზე 1952 წელს. კონვენცია ძალაში შევიდა 1955 წლიდან. კონვენციის სათაურიდანვე ჩანს, რომ მას მიზანი ჰქონდა შეეცვალა უკვე არსებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ბერნის კონვენცია. კონვენციას ეწოდა Universal Copyright Convention. ქართულად "საავტორო უფლებების შესახებ მსოფლიოკონვენცია". ამ კონვენციის ერთ-ერთი აქტიური წევრი საბჭოთა კავშირი იყო. ბერნის კონვენციას საბჭოთა კავშირი არ მიერთებია. ბერნის კონვენციით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები არანაირად არ ესადაგებოდა საბჭოურ წყობას, რადგან სახელმწიფო ავტორთა უფლებების გამოყენების მართვას თავის სასარგებლოდ ვერ წარმართავდა და ვერ შეზღუდავდა ქონებრივ უფლებებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საავტორო უფლებების შესახებ კონვენციის ადმინისტრირებას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია არ ეწევა. საქართველომ არ გამოთქვა სურვილი, გაეგრძელებინა საბჭოთა კავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და არ მიუერთდა მსოფლიო კონვენციას. როგორც ვიცით, საქართველო ბერნის კონვენციის წევრი გახდა.

მოკლედ გადმოვცემთ განსახილველი კონვენციის ძირითად დებულებებს.

კონვენციის მონაწილე ქვეყანა ვალდებულია ავტორთა და სხვა სუბიექტთა უფლებების დაცვის მიზნით მიიღოს ყველა საჭირო და საკმარისი ზომა. ქვეყნებმა დათქვეს, რომ საავტორო უფლებების დაცვას განახორციელებდნენ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. ამასთან, დაცვით სარგებლობა შეუძლიათ მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს. ეს დებულება შემდგომ შეივსო პროტოკოლით, რომელმაც დაცვის სუბიექტად აღიარა აგრეთვე, ლტოლვილები და მოქალაქეობის არმქონე პირები, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ რომელიმე წევრ ქვეყანაში.

დაეყრდნო რა ეროვნული კანონმდებლობით ავტორთა უფლებების დაცვის პრინციპს, მსოფლიოკონვენციამ მთლიანად მიანდო ქვეყნებს ფორმალობების დაწესების საკითხის გადაწყვეტა, საავტორო უფლებათა წარმოშობის თვალსაზრისით. ამდენად, საავტორო უფლება, კონვენციის ერთ წევრ ქვეყანაში ნაწარმოების შექმნის მომენტიდანვე წარმოიშობოდა, ხოლო სხვა ქვეყანაში სპეციალურ რეგისტრაციაზე ან დეპონირებაზე იყო დამოკიდებული.

მსოფლიო კონვენციამ შემოიტანა საავტორო უფლებათა დაცვის გამაფრთხილებელი აღნიშვნა – ©. ჩვენ ამ საკითხს უკვე შევეხეთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მსოფლიო კონვენციის თანახმად, ამ აღნიშვნაზე დამოკიდებული იყო ნაწარმოების დაცვა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ ნაწარმოები ამ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნდა. საქართველოს საავტორო სამართალმა, დანარჩენი ქვეყნების მსგავსად (ამჟამად თვით აშშ-ს ჩათვლით, რომელიც იძულებული შეიქმნა მიერთებოდა ბერნის კონვენციას), გაიზიარა საავტორო (ასევე მომიჯნავე) უფლებების დაცვის გამაფრთხილებელი აღნიშვნის არსებობის შესაძლებლობა. მაგრამ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე მის მოთავსებაზე საავტორო უფლებათა დაცვა დამოკიდებული არ არის, ხოლო გამოყენება ნებაყოფლობითია. გამოუქვეყნებული ნაწარმოები, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეკუთვნის, დაცვით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონი ითვალისწინებს გამოუქვეყნებელი ნაწარმოების დაცვის სპეციალურ ნორმებს.

კონვენციამ დააწესა მინიმალური დაცვის ვადა, რომელიც შეადგენს ავტორის სიცოცხლის ხანგრძლივობას მიმატებული 25 წელი. თუ რომელიმე ქვეყნის კანონი ორ თანამიმდევრულ ვადას აწესებს, მაშინ პირველი დროის პერიოდი არ უნდა იყოს 25 წელზე ნაკლები. ფოტოგრაფიული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებისათვის

მინიმალური დაცვის ვადა განისაზღვრა 10 წლით. ამ ვადების გამოყენებისათვის კონვენციამ დააწესა, რომ, თუ ურთიერთვალდებულება არ არსებობს, ქვეყანა არ არის მოვალე თავის ტერიტორიაზე დაიცვას სხვა ქვეყნის მოქალაქის უფლებები, გაავრცელოს საკუთარი ქვეყნის ვადები. ანუ, თუ სხვა ქვეყანაში დაცვის ვადა განსაზღვრულია, მაგალითად, 30 წლით, ხოლო მოცემულ ქვეყანაში (რომელშიც უცხო ქვეყნის ავტორი ითხოვს დაცვას) 45 წლით, მაშინ ამ სხვა ქვეყნის ავტორს დაცვა მიენიჭება მისი ქვეყნის კანონის შესაბამისად – 30 წლის განმავლობაში.

ნაწარმოების დაცვის ვადის განსაზღვრისათვის უნდა ვიცოდეთ, რომ, მსოფლიო კონვენციის თანახმად, სხვადასხვა ქვეყანაში მისი ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში წარმოშობის ქვეყნად ის ქვეყანა ითვლება, რომელიც საავტორო უფლებათა დაცვის უმცირეს ვადას ითვალისწინებს.

მსოფლიო კონვენცია საგანგებოდ შეეხო თარგმნის უფლებას. ზოგი ქვეყანა ავრცელებს საავტორო უფლებას თარგმანზე, ზოგიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მას. ამასთან, ქვეყნები სხვადასხვა ვადით აწესებენ მთარგმნელის უფლების მოქმედებას და ზოგი მას საავტორო უფლებათა დაცვის ვადას უტოლებს. გარდა ამისა, ზოგ ქვეყანაში მოქმედებს მკაცრი იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი და ა.შ. მსოფლიო კონვენციამ პრაქტიკულად ცნო ქვეყნის უფლება საკუთარი კანონმდებლობით მოაწესრიგოს ეს საკითხი.

მსოფლიო კონვენციამ ნაწარმოების დაცვა დამოკიდებელი გახადა მისი მატერიალური ფორმით გამოსახვაზე. ამიტომ დაცვადი ვერ იქნებოდა მაგალითად, ცოცხალი წარმოდგენა.

ჩვენ გადმოვეცით მსოფლიო კონვენციის ის ძირითადი დებულებები, რომლებიც არსებითად განსხვავდება ბერნის კონვენციისაგან.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ TRIPS-ი ეყრდნობა ბერნის კონვენციას. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ აშშ ბერნის კონვენციას მიუერთდა და ნაწარმოების დაცვისათვის ფორმალობების აუცილებელი განხორციელება უარყო.

თავი 50. ფონოგრამების მწარმოებლების უფლებების დაცვის კონვენცია მათი ფონოგრამების უნებართვო კვლავწარმოებისაგან

ფონოგრამის მწარმოებლების უფლებების დაცვის ეს კონვენცია მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულების – რომის კონვენციის, დამატებით სპეციალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. ეს კონვენცია ძალზე სწრაფად მომზადდა და ასევე სწრაფად მოეწერა ხელი. ეს იმით აიხსნება, რომ ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებით მომძლავრდა ფონოგრამების მეკობრული წარმოება და გასაღება. ყოფილი სოციალისტური სისტემის ნგრევამ კიდევ უფრო გაამძაფრა მეკობრეობისაგან დაცვის საკითხები. აღნიშნული ქვეყნები კანტიკუნტად თუ ხდებიან რომის კონვენციისა და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო აქტების მონაწილენი.

სოციალისტური სისტემა ჯერ კიდევ არსებობდა, როდესაც მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები შეშფოთებული იყვნენ მეკობრეობის მასშტაბების განვითარებით, რაც განსაკუთრებით ფონოგრამებთან დაკავშირებით იგრძნობოდა. პირატული ფონოგრამები, რომლებზეც პოპულარული ანსამბლების შესრულებები (სიმღერები) იყო ჩაწერილი, მილიონობით ეგზემპლარებად იყიდება მსოფლიოში. მეკობრეთა შემოსავალი და, შესაბამისად, ორიგინალური ფონოგრამების დამამზადებლების ზიანი მილიონობით აშშ-ს დოლარს აღწევს. უკვე არსებულმა რომის კონვენციამ ყველა მტკივნეული პრობლემა სამართლებრივად ვერ მოაწესრიგა. შედეგად გადაწყდა სპეციალური საერთაშორისო კონვენციის შემუშავება და ამოქმედება.

საკითხი საერთაშორისო დონეზე პირველად 1970 წელს განიხილეს, ხოლო 1971 წლის ოქტომბერში ჟენევაში ხელი მოეწერა ახალ კონვენციას, რომელსაც მოკლედ მოიხსენიებენ როგორც "კონვენციას ფონოგრამების შესახებ". 2006 წლის მდგომარეობით მისი მხარე სახელმწიფოთა რიცხვი 75 იყო. პრაქტიკულად მას მიუერთდა რომის კონვენციის ყველა წევრი ქვეყანა. ინგლისურად ამ კონვენციის სრული სათაურია "CONVENTION FOR THE PROTECTION OF PRODUCERS OF PHONOGRAMS AGAINST UNAUTHORIZED DUPLICATION OF THEIR PHONOGRAMS".

ფონოგრამების შესახებ კონვენციის ღირშესანიშნაობა ის არის, რომ მასში ასახვა პოვა ეროვნული ქვეყნების კანონებით განსაზღვრულმა დაცვის საშუალებებმა. შესაბამისად, კონვენცია მის წევრებს უფლებას აძლევს გამოიყენონ ნებისმიერი აღნიშნული საშუალება. ამდენად, ქვეყანას, რომელიც მიუერთდა კონვენციას ფონოგრამების შესახებ, შეუძლია პირდაპირ გამოიყენოს მასში არსებული საშუალებები და ამისათვის აუცილებელი აღარ არის ცვლილებების შეტანა ეროვნულ კანონში.

რომის კონვენცია აძალებს მის წევრებს გაითვალისწინონ მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების უფლებები, კერძოდ, რაიმე ქმედებაზე ნების დართვისა და აკრძალვის უფლებები. ფონოგრამების შესახებ კონვენცია კი ქვეყნებს არჩევანის უფლებას აძლევს. კერძოდ, ქვეყნებს შეუძლია აირჩიოს შესაბამისი სამართლებრივი საშუალებანი, რომლებიც აკრძალული ქმედების განხორციელების თავიდან აცილებისაკენ ან "დათრგუნვისაკენ" (რეპრესიებისაკენ) არის მიმართული. რომის კონვენციისაგან განსხვავებით, კონვენცია ფონოგრამების შესახებ ეროვნულ პრინციპს არ ითვალისწინებს. ის კონკრეტულად ჩამოთვლის აკრძალულ ქმედებებს, რომელთა წინააღმდეგაც მონაწილე ქვეყნებმა უნდა განახორციელონ ქმედითი დაცვა.

კიდევ ერთი განსხვავება რომის კონვენციისაგან ისაა, რომ კონვენცია ფონოგრამების შესახებ ღია კონვენციაა, ანუ მას შეიძლება მიუერთდეს ნებისმიერი გაეროს, ან მისი სპეციალიზებული ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. რომის კონვენციისადმი მიერთებისათვის კი აუცილებელია ქვეყანა, ბერნის ან უნივერსალური კონვენციის წევრი იყოს.

ფონოგრამების შესახებ კონვენციის ძირითადი დებულებებია:

დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ის პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოქალაქეობის კრიტერიუმს. ქვეყნებმა, რომლებიც თავისი კანონმდებლობით ამას არ ითვალისწინებენ, მიერთებისას შეიძლება სპეციალური განცხადებით (დამატებით) ივალდებულონ ამ კრიტერიუმებისათვის დაქვემდებარება. საქართველოს საავტორო სამართალი დაცვის სუბიექტის განსაზღვრისათვის მოქალაქეობის პრინციპს აღიარებს.

ფონოგრამების დამამზადებლები უნებართვო კვლავწარმოებასთან ერთად დაცული არიან არაკანონიერი გზით დამზადებული ფონოგრამების ასლების დისტრიბუციისა და დისტრიბუციისათვის იმპორტისაგან. ფონოგრამების კანონიერად დამზადებული და გავრ-

ცელებული ეგზემპლარების ხელახალი გავრცელება დამამზადებლის მიერ ვეღარ აიკრძალება და ვერც ჰონორარი იქნება მოთხოვნილი. ჩვენი აზრით, საქართველოს საავტორო სამართალი ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დასკვნა პირდაპირ არ გამომდინარეობს, განსაკუთრებით დისტრიბუციის აქტის თაობაზე. თუ ვივარაუდებთ, რომ ტერმინი "გავრცელება" დისტრიბუციასაც მოიცავს, მაშინაც კი ბუნდოვანი იქნება, დაცულია თუ არა ფონოგრამის დამამზადებელი დისტრიბუციისათვის იმპორტისაგან.

ფონოგრამების შესახებ კონვენცია ქვეყნის კომპეტენციაში ტოვებს იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ რა კანონმდებლობით იქნება დაცული დამამზადებელი. იგი შეიძლება დაცული იქნეს საავტორო სამართლით სპეციალური უფლებების (მომიჯნავე) შემოღებით, საავტორო უფლებით დაცვასთან ერთად, ერთიანი საკანონმდებლო აქტით, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობით, ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ფონოგრამების შესახებ კონვენციით დაშვებულია უფლებათა იმგვარივე შეზღუდვების დაწესება, რაც საავტორო უფლებებთან დაკავშირებით არის ცნობილი.

დადგენილია დაცვის მინიმალური ვადა, რომელიც 20 წელზე არანაკლები უნდა იყოს. საქართველოს საავტორო სამართალი ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

კონვენცია ფონოგრამების დაცვის შესახებ იძლევა საშუალებას, რომ ქვეყნებმა თავისი კანონმდებლობით გაითვალისწინონ შემსრულებელთა ინტერესები და დაუწესონ მათ დამატებითი უფლებები.

საქართველოს საავტორო სამართალი ფართოდ იცავს შემსრულებელთა უფლებებს და უტოვებს მათ დამამზადებლისაგან ჰონორარის მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შემსრულებელს ამ უკანასკნელისათვის ხელშეკრულებით აქვს დათმობილი უფლებები. შემსრულებელს, ასეთ შემთხვევაში, ჰონორარის მოთხოვნის უფლება უნარჩუნდება დამამზადებლის მიერ ფონოგრამების გაქირავებისას.

თავი 51. კონვენცია პროგრამების მატარებელი, თანამგზავრით გავრცელებული სიგნალების განაწილების შესახებ

თანამგზავრით გავრცელებული, პროგრამის მატარებელი სიგნალების უნებართვო განაწილებისაგან საერთაშორისო დაცვის აუცილებლობა გამოწვეულია იმავე პრობლემებით, რაც ფონოგრამებების შესახებ კონვენციის დახასიათებისას აღვნიშნეთ.

ეს კონვენციაც მომიჯნავე უფლებათა დაცვის სპეციალური ხელშეკრულებაა და მჭიდრო ვადებში შემუშავდა და დაიდო. საკითხი მწვავედ დაისვა 1965 წლიდან, ხოლო უკვე 1974 წლის მაისში ბრიუსელში ხელი მოეწერა ახალ კონვენციას, რომელსაც მოკლედ მოიხსენიებენ, როგორც "კონვენციას თანამგზავრების შესახებ". მისი სრული ინგლისური დასახელებაა: "Convention Relating to the Distribution of Programme - Carrying Signals Transmitted by Satellite". სატელიტების შესახებ კონვენციის წევრი ქვეყნების რაოდენობა 28 —ს შეადგენდა 2006 წლის მდგომარეობით. ამ კონვენციის ძირითადი განსხვავებები რომის კონვენციისაგან ფონოგრამების შესახებ კონვენციის ანალოგიურია.

სატელიტების შესახებ კონვენცია აწესებს მხოლოდ ერთ მთავარ სავალდებულო მოთხოვნას: აეკრძალოს დისტრიბუტორს, რომელსაც "ხელში ჩაუვარდა" გავრცელებული ან მის ტექნიკურ საშუალებებზე გამავალი სიგნალი, რომელიც დისტრიბუციისათვის არ იყო განკუთვნილი, სხვა პირთათვის გავრცელების აკრძალვა ეს ქმედება აკრძალვას ექვემდებარება იმისდა მიუხედავად, განკუთვნილია თუ არა თანამგზავრით გავრცელებული სიგნალები საჯაროდ მიღებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მათი გავრცელება არ შეადგენს გადაცემას, რომელსაც მაუწყებლობის ორგანიზაცია ახორციელებს რომის კონვენციის განმარტების თანახმად. სატელიტების შესახებ კონვენცია გამოიყენება, როდესაც წარმოებული სიგნალები ვრცელდება კაბელით ან "მავთულის" გარეშე. ამ უკანასკნელ მოთხოვნას რომის კონვენცია არ შეიცავს.

საქართველოს საავტორო სამართალი არ ითვალისწინებს რაიმე პირდაპირ ნორმას, რომელიც თანამგზავრით გავრცელებულ სიგნალებს ეხება.

კონვენცია სატელიტების შესახებ იცავს მხოლოდ პროგრამის შემმუშავებელი ორგანიზაციის უფლებებს. იგი ითვალისწინებს

შეზღუდვებს, რომლებიც ანალოგიურია საქართველოს საავტორო სამართალში მოცემულისა.

გარდა ამისა, კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სიგნალებზე, რომლებსაც სამაუწყებლო მიზნებისათვის გაშვებული სპეციალური თანამგზავრი გადასცემს.

რაც შეეხება უფლებათა დაცვის ვადებს, კონვენცია ამ საკითხს ეროვნული კანონმდებლობის გადასაწყვეტად ტოვებს და რაიმე მინიმუმს არ ასახელებს.

საქართველო, ამ კონვენციის წევრიც არ არის.

თავი 52. ხელშეკრულება საპატენტო კანონმდებლობის შესახებ

ამ ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა ისმო-ს მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფის მრავალწლიანი მძიმე მუშაობა და მრავალი საორგანიზაციო შეხვედრა იმისათვის, რომ დადებულიყო ხელშეკრულება, რომელიც დააფუძნებდა საპატენტო კანონმდებლობის ჰარმონიზებულ საერთაშორისო ძირითად პრინციპებს, ფორმალური მოთხოვნების ნაწილში. ეს მცდელობა დაგვირგვინდა და ხელშეკრულებას სათაური კი შემორჩა ფართო მოცულობისა, მაგრამ სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ ხელშეკრულების მსგავსად მისი შინაარსი შემოფარგლულია საერთაშორისო ფორმალური მოთხოვნების დაწესებით. ხელშეკრულება დაიდო 2000 წელს (მას შემოკლებით ინგლისური აბრევიატურით "PLT"მოიხსენიებენ), საქართველო მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვში არ არის. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საპატენტო კანონმდებლობის მატერიალური ნორმების ჰარმონიზაციის მიზნით ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავება

ხელშეკრულება მიმართულია იმისკენ, რომ განმცხადებელს რაც შეიძლება ნაკლები ფორმალური ხასიათის სირთულე შეექმნას საპატენტო განაცხადის სწორად მიწოდებისათვის.

ხელშეკრულება უმეტესწილად განიხილავს უწყების მიერ შესაბამისი პროცედურის ჩატარებას.

მოთხოვნები ჩამოყალიბებულია:

– განაცხადის მიმართ;

– ცვლილებათა მიმართ, როგორც ექსპერტიზის დროს ისე პატენტის გაცემის შემდეგ;

– ფორმალური მოთხოვნების პროცედურის მიმართ;

– გამოგონების ერთიანობის მიმართ და სხვ.

აღნიშნული მოთხოვნები წარმოდგენილია ხელშეკრულების 27 მუხლით და ინსტრუქციით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. გათვალისწინებულ მაქსიმალურ მოთხოვნათა გარდა ეროვნულ უწყებებს სხვა მოთხოვნების დაწესების უფლება აღარ აქვს.

მაგალითად, ეროვნული საპატენტო უწყება ვალდებულია დაადგინოს განაცხადის შეტანის თარიღი და ექსპერტიზა გააგრძელოს, თუ საგანაცხადო მასალები შეიცავს საბუთებს, საიდანაც

ცხადად არა ჩანს, მაგრამ ივარაუდება, რომ ერთი მათგანი აღწერილობის სახით არის წარმოდგენილი, მეორე – გამოგონების ფორმულის სახით. მთავარია რამენაირად ირკვევოდეს განმცხადებელთან კავშირის დასამყარებელი მისამართი და იყოს მოცემული მისი ამოცნობის საკმარისი მონაცემები. ამ საბუთებიდან ერთი მაინც, რომ არ იყოს წარმოდგენილი უწყებას ეროვნული კანონის მიხედვით შეუძლია განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებითი ვადა მისცეს. თუ მიცემული ვადის განმავლობაში გამორჩენილი საბუთები წარდგენილ იქნება, მაშინ უწყება აგრძელებს საქმისწარმოებას და განაცხადს შეტანის თარიღად ბოლო საბუთის წარმოდგენის თარიღს უდასტურებს. დაწესებულია, რომ შეტანის თარიღის დასადგენად არ არის სავალდებულო ქვეყნის ოფიციალურ ენაზე ყველა საგანაცხადო საბუთის წარმოდგენა განაცხადის შეტანისთანავე. საკმარისია თავდაპირველად ოფიციალურ ენაზე წარმოდგენილი იყოს განცხადების ბლანკი, ხოლო უცხო ენაზე წარმოდგენილ სხვა საბუთებზე მიეინიშნოს რომელი რომელია, მაგალითად ესა და ეს საბუთი არის აღწერილობა ან გამოგონების ფორმულა.

დაწესებულია საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის ფორმა და ვადები, რაც საქართველოში დადგენილისაგან დიდად არ განსხვავდება. საპრიორიტეტო საბუთების წარმოდგენის მოთხოვნა ქვეყნის კანონმდებლობაზეა მინდობილი.

საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებით ქვეყნებს არა აქვთ უფლება გადაუხვიონ საერთაშორისო მოთხოვნებს განაცხადის გაფორმების მხრივ.

ცვლილებების შეტანის შესახებ დაწესებულ მოთხოვნათაგან აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს ან პატენტის მფლობელს ერთი წერილობითი განცხადების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მრავალი ცვლილების შეტანა, ხოლო მათი რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

ხელშეკრულება შეიცავს წარმომადგენლობის გაწევაზე გასაცემ მინდობილობის სტანდარტულ ბლანკს და აწესებს, რომ თუ ასეთი შინაარსის ბლანკის მიხედვით არის გაფორმებული მინდობილობა, სხვა ფორმალური მოთხოვნები ამ დოკუმენტისადმი ვეღარ დაწესდება.

აკრძალულია მინდობილობაზე ან განაცხადის დამოწმებულ ასლზე ან საგანაცხადო მასალების თარგმანზე ხელმოწერის ლეგალიზაციის, ნოტარიუსის ან სხვაგვარი დამოწმების მოთხოვნა,

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან ქმედებას, როგორიცაა პატენტის გაუქმება ან განაცხადის გამოხმობა.

სტანდარტულ მონაცემების მინიმუმს და სტანდარტული საბუთების ფორმას ითვალისწინებს ინსტრუქცია. იგი აგრეთვე ითვალისწინებს მინიმალურ ვადებს, რაც განმცხადებელს უნდა მიეცეს პროცედურული მოთხოვნების შესასრულებლად.

ხელშეკრულება დადებულია ესპანურ, ინგლისიურ, რუსულ, ფრანგულ, არაბულ და ჩინურ ენებზე, რომელთაგანაც ყველა ტექსტი თანაბარი ძალის მქონეა.

ამ ხელშეკრულების მხარე სახემწიფოთა რიცხვი 13 იყო 2006 წლის მდგომარეობით.

რადგან საქართველო ამ ხელშეკრულებისადმი მიერთებული არ არის მისი მოთხოვნების დაწვრილებით განხილვას აღარ წარმოვადგენთ.

თავი 53. საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ სტრასბურგის შეთანხმება

როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყოველწლიურად გაიცემა მილიონზე მეტი გამოგონების პატენტი. შესაბამისად ქვეყნდება ოფიციალური ინფორმაცია ამ გამოგონებათა შესახებ. აგრეთვე, ქვეყნდება სხვა პუბლიკაციები, რომლებიც საპატენტო ინფორმაციასაც შეიცავს. ამასთან, გამოგონების გარდა რეგისტრირდება მოწმობის გაცემით ან პატენტდება დიდი რაოდენობა ე.წ. მცირე გამოგონებებისა, რომლებსაც სასარგებლო მოდელად იცნობს სამრეწველო საკუთრების სამართალი. მაგალითად, მხოლოდ იაპონია ყოველწლიურად აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას 200 ათასზე მეტ სასარგებლო მოდელზე. აღნიშნული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მსოფლიოში იქმნება საპატენტო ინფორმაციის მთელი ოკეანე. იმისათვის, რომ ამ ოკეანეში გზა გავიკვლიოთ, საჭიროა გვყავდეს მეგზური ან გვქონდეს ინსტრუმენტი, რომელიც დაგვეხმარება სწორი გზის მოძებნაში. ასეთ ინსტრუმენტად გვევლინება საპატენტო კლასიფიკაცია. დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნები გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია სარგებლობენ საკუთარი ეროვნული კლასიფიკაციით. ზოგიერთი მათგანი დღესაც იყენებს ეროვნულ კლასიფიკაციას, მაგალითად, აშშ და იაპონია. საბჭოთა კავშირი სარგებლობდა უმნიშვნელოდ სახეცვლილი გერმანული კლასიფიკაციით.

სპეციალისტები და დაინტერესებული ყველა პირი, ცხადია, ამჯობინებს, რომ ერთგვაროვანი საშუალება ჰქონდეს საპატენტო ინფორმაციის მოსაძებნად. საერთაშორისო ერთიანი კლასიფიკაციის მიღების საკითხი უფრო აქტუალური გახდა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებასთან ერთად. შედეგად, შემუშავდა და 1971 წელს სტრასბურგში ხელი მოეწერა საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ხელშეკრულებას. ინგლისურად მისი სრული სათაურია: "Strasbourg Agreement Concerning the International Pftent Classification". კონვენცია გადასინჯულ იქნა 1979 წელს. 2006 წლის მდგომარეობით მისი მხარე 56 ქვეყანაა. საქართველო მასთან მიერთებული არ არის, მაგრამ ეროვნული საპატენტო სისტემის ამოქმედების პირველი დღიდანვე სარგებლობს საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციით. საერთაშორისო კლასიფიკაციას იყენებს გაცილებით მეტი ქვეყანა, ვიდრე მხარედ ჰყავს სტრასბურგის ხელშეკრულებას.

ამ ხელშეკრულებით დამკვიდრებული გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია (შემოკლებით გსკ) შედგება 8 კარისაგან და შეიცავს 100-ზე მეტ კლასს. კლასები, თავის მხრივ, დაყოფილია ქვეკლასებად, შემდეგ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. კლასიფიკაცია სულ შეიცავს 67 ათასამდე მცირე რუბრიკას. ყოველ რუბრიკას შერჩეული აქვს ინდექსი, რომელიც შეიცავს ლათინური ალფაბეტის ასოსა და არაბულ ციფრებს. საერთაშორისო საპატენტო კლასის ჩანაწერის მაგალითია A61K 33/34. პირველი ასო A მიუთითებს, რომ გამოგონება ადამიანის ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ ობიექტს წარმოადგენს. ეს ლათინური ასო A ციფრებთან ერთად (ამ შემთხვევაში 61) მიუთითებს, რომ გამოგონება მიეკუთვნება მედიცინის სფეროს. შემდეგ კვლავ ლათინური ასო ემატება (ამ შემთხვევაში K) და კომბინაცია A61K მიუთითებს, რომ გამოგონება მკურნალობის ხერხებს ეკუთვნის. ხოლო შემდგომი ციფრები ჯგუფისა და ქვეჯგუფის მაჩვენებელია და მთლიანად საკლასიფიკაციო ინდექსი A61K 33/34 ნიშნავს, რომ გამოგონება ეკუთვნის ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სფეროს, კერძოდ, მედიცინის დარგს, უფრო კერძოდ, დაავადებათა მკურნალობის ხერხებს, ხოლო კიდევ უფრო კონკრეტულად – სიმსივნით გამოწვეული დაავადებების მკურნალობას ეხება. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო კლასიფიკაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ძალიან ღრმად დავაწვრილმანოთ ძიების საგანი და, თუ, მაგალითად, ჭანჭიკები გვაინტერესებს, მივაგნოთ იმ საკლასიფიკაციო ინდექსს, რომელშიც მხოლოდ ჭანჭიკების შესახებ იქნება ინფორმაცია.

საერთაშორისო კლასიფიკაცია ხუთ წელიწადში ერთხელ გადაისინჯება ხოლმე, სადღეისოდ მოქმედებს მეექვსე კლასიფიკაცია. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დღემდე არ გააჩნია საერთაშორისო კლასიფიკაციის ქართული თარგმანი და ხელმძღვანელობს უმეტესად რუსული ტექსტით. ჩვენი აზრით, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მუშაობა მის თარგმანზე, რაც ხანგრძლივი პროცესი იქნება და მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა. კლასიფიკაციის ქართულად თარგმნა შეუფასებელ ამაგს გაუწევს ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის სრულყოფას. სტრასბურგის შეთანხმებას აქვს კავშირი და ასამბლეა, რომელსაც შეადგენს კავშირის ყველა ქვეყანა.

თავი 54. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაწესების ლოკარნოს შეთანხმება

საპატენტო უწყებები ერთმანეთს ინფორმაციას უცვლიან, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მესამე პირებისთვის და შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის. როგორც ცნობილია, ყოველდღიურად, მსოფლიოში ინფორმაციის უზარმაზარი მასივები ფორმირდება. განსაკუთრებულ ნაკადს წარმოადგენს ინფორმაცია სამრეწველო ნიმუშების შესახებ, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მონაცემს შეიცავს. ცხადია, არსებობს მოთხოვნილება რაიმე საერთაშორისო ინსტრუმენტზე, რომელიც გადაწყვეტდა ინფორმაციის ამ ზღვაში ორიენტაციისა და საჭირო მონაცემთა დაძებნის გაადვილების ამოცანას. გამოგონებათათვის ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება სტრასბურგის საერთაშორისო ხელშეკრულებით დამკვიდრებული საერთაშორისო კლასიფიკაცია, ხოლო ნიშნებისათვის ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაცია და ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების ვენის საერთაშორისო კლასიფიკაცია.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაწესების საერთაშორისო ხელშეკრულება დაიდო ლოკარნოში 1968 წელს და ძალაში შევიდა 1971 წელს. იგი გადასინჯული იქნა 1979 წელს. ინგლისურად მისი სრული დასახელებაა: "Locarno Agreement Establising an International Classification for Industrial Designs". მისი მხარე ქვეყნების რაოდენობა შეადგენდა 46-ს, 2006 წლის მდგომარეობით. საქართველო იყენებს ამ კლასიფიკაციას, მაგრამ ხელშეკრულების მხარე არ არის

ლოკარნოს ხელშეკრულება ავალდებულებს მონაწილე ქვეყნებს, რომ მათმა უწყებებმა საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისი ინდექსი მიუთითონ ოფიციალურ საბუთებზე, რომლებიც სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციას, ან დეპონირებას ეხება (იგივე შეიძლება გავრცელდეს პატენტგაცემულ სამრეწველო ნიმუშებზეც). იდენტური ვალდებულება ვრცელდება სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ნებისმიერ პუბლიკაციაზე. საერთაშორისო კლასიფიკაცია გადასინჯვას ექვემდებარება ყოველი ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ ექსპერტთა კომისიის მიერ, რომელსაც შეადგენს ლოკარნოს ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოს მიერ დასახელებული სპეციალისტები. გადასინჯვის შედეგად ძალაში კლას-

იფიკაციის ახალი რედაქცია შედის. 2004 წლიდან მოქმედებს მე-8 რედაქცია.

კლასიფიკაცია შედგება 32 კლასისაგან და 224 ქვეკლასისაგან, რომლებიც აგებულია საპატენტო კლასიფიკაციის მსგავსი იერარქიული დამოკიდებულებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია იმ ნაწარმის ანბანური საძიებელი, რომელშიც უნდა იქნეს ჩართული კლასიფიცირებული სამრეწველო ნიმუში. ამ საძიებელში შესულია 6831 ნაწარმის დასახელება. კლასიფიკაციის შემადგენელი ნაწილია, აგრეთვე, განმარტებითი მითითებები.

ლოკარნოს კლასიფიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითად ან დამხმარე საშუალებად, შესაბამისი ქვეყნის გადაწყვეტილების მიხედვით. ამასთან, მხარე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიუთითონ საკლასიფიკაციო ინდექსი სამრეწველო ნიმუშების შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ საბუთებში. ლოკარნოს კლასიფიკაციას მხოლოდ საინფორმაციის შენახვა-შენარჩუნების და მოძიების პროცესების მართვის ეფექტი აქვს. ქვეყნები ვალდებულნი არ არიან მის მიხედვით გასაზღვრონ სამრეწველო ნიმუშების დაცვის იურიდიული ფარგლები. ამ საკითხის გადაწყვეტის დისპოზიციურობას ლოკარნოს ხელშეკრულება მხარე სახელმწიფოს კანონმდებლობის განმგებლობაში ტოვებს. იმ შემთხვევისათვის, როდესაც კლასიფიკაცია გამოიყენება დაცვის ფარგლების განსაზღვრისათვის კლასიფიკაციაში გამოყენებული სიტყვა არ არის ექსპერტთა მიერ გამოყენებული და დადგენილი იმ მნიშვნელობით, რომ სიტყვა გამოხატავდეს უფლებათა გავრცელებისათვის საჭირო საგნობრივ არსს. ანუ, დავის შემთხვევაში, მხარეს არ შეუძლია მიუთითოს, რომ ექსპერტთა კომისიის აზრით კლასიფიკაციაში მოცემული სიტყვა გამოყენებულია განსაკუთრებული უფლების ფარგლების დადგენის მიზნით და ზუსტად შეესაბამება სამრეწველო ნიმუშის საგნობრივ ფარგლებს. მაინც, ჩვენი აზრით, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, სასარგებლო იქნებოდა საქართველო მიერთებოდა ამ კლასიფიკაციის ხელშეკრულებას და სამრეწველო ნიმუშზე მოპოვებული უფლებების მოქმედების საგნობრივი ფარგლები დაექვემდებარა კონკრეტული სამრეწველო ნიმუშისათვის მიკუთვნებულ კლასს.

ლოკარნოს ხელშეკრულებით დადგენილ საერთაშორისო კლასიფიკაციას იყენებენ ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც მისი მხარეები არ არიან, მათ შორის საქართველოც. ასეთი ქვეყნების რიცხვი აღემატება მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობას.

ლოკარნოს ხელშეკრულებით შექმნილია მხარე სახელმწიფოებით წარმოდგენილი სპეციალური კავშირი, რომელსაც აქვს ასამბლეა.

ლოკარნოს ხელშეკრულება ღიაა ხელშეკრულებაა და მასთან მიერთების შესაძლებლობა პარიზის კონვენციის მხარე ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს.

თავი 55. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ

ამ ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა მრავალწლიანი საერთაშორისო ექსპერტების მძიმე მუშაობა და მრავალი საორგანიზაციო შეხვედრა იმისათვის, რომ დადებულიყო ხელშეკრულება, რომელიც დააფუძნებდა სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის ჰარმონიზებულ საერთაშორისო ძირითად პრინციპებს. ეს მცდელობა მხოლოდ ნაწილობრივ დაგვირგვინდა და ხელშეკრულებას სათაური კი შემორჩა ფართო მოცულობისა, მაგრამ მისი შინაარსი შემოფარგლულია საერთაშორისო (ფორმალური) მოთხოვნების დაწესებით. ხელშეკრულება დაიდო 1994 წელს, 1997 წლის 17 აპრილისათვის 8 სახელმწიფო იყო მისი მხარე. 2006 წლისათვის ეს რიცხვი 33-მდე გაიზარდა. საქართველო მათ რიცხვში არ არის. ამ ხელშეკრულებას შემოკლებით მოიხსენიებენ ინგლისური დასახელების აბრევიატურით " TLT".

ხელშეკრულება მიმართულია იმისკენ, რომ განმცხადებელს რაც შეიძლება ნაკლები ფორმალური ხასიათის ჯებირი შეექმნას სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სწორად მიწოდებისათვის.

ხელშეკრულება უმეტესწილად განიხილავს უწყების მიერ შესაბამისი პროცედურის ჩატარებას.

მოთხოვნები ჩამოყალიბებულია:

– განაცხადის მიმართ;
– რეგისტრაციის შემდგომ ცვლილებათა მიმართ;
– რეგისტრაციის გაგრძელების მიმართ.

ხელშეკრულება შეიცავს იმ მაქსიმალურ მოთხოვნათა ჩამონათვალს, რომელთა გარდა ეროვნულ უწყებებს სხვა მოთხოვნების დაწესების უფლება აღარ აქვს.

მაგალითად, თუ ზოგიერთი ეროვნული კანონი არ უშვებს, რომ ერთი განაცხადით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და დაცვა გავრცელდეს საქონლის ჩამონათვლის რამდენიმე კლასზე, ამ ხელშეკრულებისადმი მიერთების შემდეგ ქვეყანა იძულებელი იქნება შეცვალოს ეს პირობა და დაუშვას ნიშნის რეგისტრირება ერთი განაცხადით იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონელი განეკუთვნება სხვადასხვა კლასს. ასევე, ქვეყნის კანონმდებლობა ვეღარ მოითხოვს (თუ ამას მოითხოვდა), რომ მეწარმემ წარადგინოს ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან მისი საწარმოს რეგისტრირების შესახებ. განაცხადის წარდგენისათვის და ნიშანზე დაცვის მოპოვებისათვის

არ არის დასაშვები მოთხოვნილ იქნეს იმის მტკიცების უზრუნველყოფა, რომ განმცხადებელი ნამდვილად ეწევა სამეწარმეო ან კომერციულ საქმიანობას.

რეგისტრაციის შემდგომი ცვლილებების შეტანის შესახებ დაწესებულ მოთხოვნათაგან აღსანიშნავია მთავარი, რომ განმცხადებელს ერთი წერილობითი განცხადების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მრავალი ცვლილების შეტანა, ხოლო მათი რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

რეგისტრაციის გაგრძელების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთ სტანდარტულ ვადას – 10 წელიწადს ყოველი მომდევნო გაგრძელებისათვის.

ხელშეკრულება შეიცავს წარმომადგენლობის გაწევაზე გასაცემ მინდობილობის სტანდარტულ ბლანკს და აწესებს, რომ თუ ასეთი შინაარსის ბლანკის მიხედვით არის გაფორმებული მინდობილობა, სხვა ფორმალური მოთხოვნები ამ დოკუმენტისადმი ვეღარ დაწესდება.

აკრძალულია ხელმოწერის ლეგალიზაციის, ნოტარიუსთან ან სხვაგვარი დამოწმების მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან ქმედებას, როგორიცაა რეგისტრაციის გაუქმება ან რეგისტრაციაზე უარის თქმა.

2006 წელს სინგაპურში გაიმართა დიპლომატიური კონფერენცია, რომელზეც მიღებულ იქნა ხელშეკრულების გადასინჯული რედაქცია.

თავი 56. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება (მადრიდის ხელშეკრულება)

მადრიდის ხელშეკრულება, რომელიც 1891 წლის 14 აპრილს დაიდო, პირველია იმ საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მოპოვების საერთაშორისო პროცედურას აფუძნებენ. ამ ხელშეკრულებამ დააფუძნა სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის საერთაშორისო ორგანო – "მადრიდის კავშირი". ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მიეცათ შესაძლებლობა ერთი განაცხადის მიწოდებით მოიპოვონ განსაკუთრებული უფლებები სასაქონლო ნიშანზე კავშირის ყველა ქვეყანაში.

სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციისათვის დადგენილ იქნა შესაბამისი მოთხოვნები და დამტკიცებულ იქნა ინსტრუქცია.

საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება მოახდინოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც არის მოქალაქე ან გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი (მოქმედი) სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმო მადრიდის კავშირის რომელიმე ქვეყანაში. უფლებათა მოპოვება იწყება განაცხადის წარდგენით. საერთაშორისო განაცხადი უნდა შესრულდეს ერთ ენაზე – ფრანგულზე და მიეწოდოს ისმოს საერთაშორისო ბიუროს. განაცხადმა უნდა დააკმაყოფილოს ფორმალური მოთხოვნები. საერთაშორისო განაცხადის მიწოდებამდე ნიშანი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში. როგორც ხედავთ, მადრიდის ხელშეკრულება ეფუძნება ეროვნული რეგისტრაციის განხორციელების პრინციპს ნიშნის მფლობელის საკუთარ ქვეყანაში ან სხვა ისეთ ქვეყანაში, რომელიც მიიჩნევა "წარმოშობის ქვეყნად". მადრიდის ხელშეკრულების 1(3) მუხლი განმარტავს, რომ წარმოშობის ქვეყანა მადრიდის კავშირის ის ქვეყანაა, სადაც განმცხადებელს გააჩნია ნამდვილი მოქმედი საწარმო, ან საცხოვრებელი ადგილი, ან მოქალაქეობა.

წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის შემდეგ არაუგვიანეს ორი თვისა საერთაშორისო განაცხადი უნდა მიეწოდოს კავშირის საერთაშორისო ბიუროს, რომელიც ასრულებს სარეგისტრაციო პროცედურის ყველა ფორმალობას. თუ მიწოდების ვადა დაირღვა, მაშინ საერთაშორისო განაცხადს რეგისტრაციის თარიღად დაუდგინდება

საერთაშორისო ბიუროს მიერ განაცხადის მიღების დღე. განაცხადის საერთაშორისო ბიუროში გადაგზავნა ხდება მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ, ანუ იმ ორგანოს მიერ, რომელმაც განახორციელა ეროვნული რეგისტრაცია. განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით, თუ ეროვნული რეგისტრაცია განხორციელდა არაუგვიანეს 6 თვისა განაცხადის შეტანის დღიდან. იმისათვის, რომ განაცხადმა გაიაროს ექსპერტიზა საერთაშორისო ბიუროში, დაწესებულია შესაბამისი საფასურების გადახდა. ეს საფასურები ყველა შემთხვევაში გაცილებით უფრო შეღავათიანია, ვიდრე განმცხადებელს უნდა გადაეხადა ყველა ქვეყანაში განაცხადის წარდგენისას. გარდა ამისა, აღარ არის საჭირო სხვადასხვა ენაზე განაცხადის გაფორმება, რაც დროის ეკონომიის გარდა ფულად დანახარჯებსაც მნიშვნელოვნად ზოგავს.

საერთაშორისო ბიურო ამოწმებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნებისადმი შესაბამისობას და, თუ ექსპერტიზის შედეგი დადებითია, ახორციელებს საერთაშორისო რეგისტრაციას, კავშირის ქვეყნებისათვის რეგისტრაციის შესახებ ოფიციალური შეტყობინების გაგზავნას და საერთაშორისო ბიულეტენში "Les Marques Internationales" გამოქვეყნებას.

კავშირის ქვეყანას, რომელიც მიიღებს საერთაშორისო ბიუროს შეტყობინებას ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, უფლება აქვს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ჩაატაროს აღნიშნული ნიშნის ექსპერტიზა და, შედეგების მიხედვით, შეატყობინოს საერთაშორისო ბიუროს, ანიჭებს თუ არა თავის ქვეყანაში მოცემულ ნიშანს ეროვნულ დაცვას. ამგვარი ქმედების განსახორციელებლად მადრიდის ხელშეკრულება იძლევა ერთი წლის ვადას, რომელიც ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის დღიდან აითვლება. თუ ნიშნის დაცვას რომელიმე ქვეყანაში ეთქვა უარი, განმცხადებელი, თავის უფლებების დასაცავად, ისარგებლებს პარიზის კონვენციით დათქმული ეროვნული რეჟიმით, ანუ მას იგივე საშუალებების გამოყენება შეუძლია, რაც მოცემული ქვეყნის განმცხადებელს გააჩნია. თუ ქვეყანამ საერთაშორისო ბიუროს საწინააღმდეგო არ შეატყობინა აღნიშნული ერთი წლის განმავლობაში, მაშინ საერთაშორისო რეგისტრაცია ეროვნული რეგისტრაციის ძალას იძენს. ამასთან, საერთაშორისო ბიულეტენში ნიშნის გამოქვეყნების ფაქტი საკმარისად ითვლება უფლებათა მოპოვების თვალსაზრისით (მუხლი 3(5)).

საერთაშორისო რეგისტრაცია ძალაშია 20 წელიწადს რეგისტრაციის თარიღიდან და მოქმედებს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლებშიც განმცხადებელმა მოითხოვა დაცვა. ქვეყნის მითითების საჭიროება იმის გამო დაწესდა, რომ მადრიდის ხელშეკრულების 3bis მუხლით კავშირის ქვეყანას უფლება მიეცა გაეკეთებინა განცხადება მის ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის გავრცელების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ ამ ქვეყანაში ნიშანს დაცვა მიენიჭებოდა იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ამას პირდაპირ მოითხოვდა. ასეთი დეკლარაცია კავშირის ყველა ქვეყანამ გააკეთა და ამიტომ, საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება მოცემულ ქვეყანაში დამოკიდებული გახდა განმცხადებლის მოთხოვნაზე.

საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება დამოკიდებულია წარმოშობის ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციაზე. თუ წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაცია რაიმე მიზეზით გაუქმდა, საერთაშორისო რეგისტრაციაც ისპობა. ასეთი პირობა მოქმედებს საერთაშორისო რეგისტრაციის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამ ხუთი წლის გასვლის შემდეგ ეროვნული რეგისტრაციის გაუქმება საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმებას ვეღარ გამოიწვევს. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეროვნული რეგისტრაცია გაუქმდა, მაგრამ საერთაშორისო კი ძალაშია. ამ შემთხვევისას ცოტა პარადოქსული სიტუაცია იქმნება – წარმოშობის ქვეყანაში ნიშანი აღარ იმოქმედებს, ხოლო სხვა ქვეყნებში კი ძალაში იქნება.

საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელებულ იქნეს ყოველი მომდევნო 20 წლით. ამასთან, რეგისტრაციის ხელახალი გაგრძელება ჯერადობით შეზღუდული არ არის.

მადრიდის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების რაოდენობა პრაქტიკულად აღარ იზრდებოდა. მიუხედავად ხელშეკრულების ცხოვრებაში წარმატებით გატარებისა, რაზედაც მოწმობს საერთაშორისო რეგისტრაციათა რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად 20 000 აღემატება. მოქმედი საერთაშორისო ნიშნების რიცხვი 350 000 აღწევს. ამ ხელშეკრულებას არ მიურთდა ინგლისი, იაპონია, აშშ და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნები. მადრიდის ამ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოთა რიცხვმა 2006 წლისავის 56 შეადგინა.

საერთაშორისო ბიუროს მიერ განაცხადის მიღების დღე. განაცხადის საერთაშორისო ბიუროში გადაგზავნა ხდება მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ, ანუ იმ ორგანოს მიერ, რომელმაც განახორციელა ეროვნული რეგისტრაცია. განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით, თუ ეროვნული რეგისტრაცია განხორციელდა არაუგვიანეს 6 თვისა განაცხადის შეტანის დღიდან. იმისათვის, რომ განაცხადმა გაიაროს ექსპერტიზა საერთაშორისო ბიუროში, დაწესებულია შესაბამისი საფასურების გადახდა. ეს საფასურები ყველა შემთხვევაში გაცილებით უფრო შეღავათიანია, ვიდრე განმცხადებელს უნდა გადაეხადა ყველა ქვეყანაში განაცხადის წარდგენისას. გარდა ამისა, აღარ არის საჭირო სხვადასხვა ენაზე განაცხადის გაფორმება, რაც დროის ეკონომიის გარდა ფულად დანახარჯებსაც მნიშვნელოვნად ზოგავს.

საერთაშორისო ბიურო ამოწმებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნებისადმი შესაბამისობას და, თუ ექსპერტიზის შედეგი დადებითია, ახორციელებს საერთაშორისო რეგისტრაციას, კავშირის ქვეყნებისათვის რეგისტრაციის შესახებ ოფიციალური შეტყობინების გაგზავნას და საერთაშორისო ბიულეტენში "Les Marques Internationales" გამოქვეყნებას.

კავშირის ქვეყანას, რომელიც მიიღებს საერთაშორისო ბიუროს შეტყობინებას ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, უფლება აქვს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ჩაატაროს აღნიშნული ნიშნის ექსპერტიზა და, შედეგების მიხედვით, შეატყობინოს საერთაშორისო ბიუროს, ანიჭებს თუ არა თავის ქვეყანაში მოცემულ ნიშანს ეროვნულ დაცვას. ამგვარი ქმედების განსახორციელებლად მადრიდის ხელშეკრულება იძლევა ერთი წლის ვადას, რომელიც ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის დღიდან აითვლება. თუ ნიშნის დაცვას რომელიმე ქვეყანაში ეთქვა უარი, განმცხადებელი, თავის უფლებების დასაცავად, ისარგებლებს პარიზის კონვენციით დათქმული ეროვნული რეჟიმით, ანუ მას იგივე საშუალებების გამოყენება შეუძლია, რაც მოცემული ქვეყნის განმცხადებელს გააჩნია. თუ ქვეყანამ საერთაშორისო ბიუროს საწინააღმდეგო არ შეატყობინა აღნიშნული ერთი წლის განმავლობაში, მაშინ საერთაშორისო რეგისტრაცია ეროვნული რეგისტრაციის ძალას იძენს. ამასთან, საერთაშორისო ბიულეტენში ნიშნის გამოქვეყნების ფაქტი საკმარისად ითვლება უფლებათა მოპოვების თვალსაზრისით (მუხლი 3(5)).

საერთაშორისო რეგისტრაცია ძალაშია 20 წელიწადს რეგისტრაციის თარიღიდან და მოქმედებს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლებშიც განმცხადებელმა მოითხოვა დაცვა. ქვეყნის მითითების საჭიროება იმის გამო დაწესდა, რომ მადრიდის ხელშეკრულების 3bis მუხლით კავშირის ქვეყანას უფლება მიეცა გაეკეთებინა განცხადება მის ტერიტორიაზე საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის გავრცელების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ ამ ქვეყანაში ნიშანს დაცვა მიენიჭებოდა იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ამას პირდაპირ მოითხოვდა. ასეთი დეკლარაცია კავშირის ყველა ქვეყანამ გააკეთა და ამიტომ, საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება მოცემულ ქვეყანაში დამოკიდებული გახდა განმცხადებლის მოთხოვნაზე.

საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება დამოკიდებულია წარმოშობის ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციაზე. თუ წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაცია რაიმე მიზეზით გაუქმდა, საერთაშორისო რეგისტრაციაც ისპობა. ასეთი პირობა მოქმედებს საერთაშორისო რეგისტრაციის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამ ხუთი წლის გასვლის შემდეგ ეროვნული რეგისტრაციის გაუქმება საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმებას ვეღარ გამოიწვევს. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეროვნული რეგისტრაცია გაუქმდა, მაგრამ საერთაშორისო კი ძალაშია. ამ შემთხვევისას ცოტა პარადოქსული სიტუაცია იქმნება – წარმოშობის ქვეყანაში ნიშანი აღარ იმოქმედებს, ხოლო სხვა ქვეყნებში კი ძალაში იქნება.

საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელებულ იქნეს ყოველი მომდევნო 20 წლით. ამასთან, რეგისტრაციის ხელახალი გაგრძელება ჯერადობით შეზღუდული არ არის.

მადრიდის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების რაოდენობა პრაქტიკულად აღარ იზრდებოდა. მიუხედავად ხელშეკრულების ცხოვრებაში წარმატებით გატარებისა, რაზედაც მოწმობს საერთაშორისო რეგისტრაციათა რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად 20 000 აღემატება. მოქმედი საერთაშორისო ნიშნების რიცხვი 350 000 აღწევს. ამ ხელშეკრულებას არ მიურთდა ინგლისი, იაპონია, აშშ და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნები. მადრიდის ამ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოთა რიცხვმა 2006 წლისავის 56 შეადგინა.

თავი 57. საქონელზე ყალბი ან შემაცდენელი აღნიშვნის დატანის აღკვეთის შესახებ მადრიდის ხელშეკრულება

საქონლის წარმოშობის ზუსტი მინიშნება კომერციული წარმატებისათვის ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. ამგვარი აღნიშვნების გაყალბების ან შეცდომითი აღნიშვნების გამოყენება პატიოსან საქმიანობას ზიანს აყენებს, ხოლო არაპატიოსან მოსაქმეს უსაფუძვლო გამდიდრების შანსს აძლევს. საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურების დროს ამ საკითხების სამართლებრივ მოწესრიგებას ევროპის თუ ამერიკის კონტინენტის წამყვანი ქვეყნები შესაფერის ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ ამჟამადაც. არაკეთილსინდისიერი საქმიანობის ამ გამოვლენას პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნები წინ აღუდგნენ საერთაშორისო დონეზე.

პარიზის კონვენცია ჯერ კიდევ ახალი ამოქმედებული იყო როცა, მისივე ეგიდით, მიღებულ იქნა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულება.

1891 წელს მიღებული მადრიდის აღნიშნული ხელშეკრულება ნებისმიერი სახის საქონელზე კრძალავს ისეთი აღნიშვნის დატანას, რომელიც მოცემული საქონლის წარმოშობის ყალბ მითითებას ან შეცდომაში შეყვანას წარმოადგენს. ასეთი მითითება შეიძლება იყოს პირდაპირი, მაგალითად, როდესაც კონკრეტულ ქვეყანას ან სხვა გეოგრაფიულ დასახელებას შეიცავს საქონელზე დატანილი აღნიშვნა, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება. მაგალითად, საქონელი ოდესაშია წარმოშობილი, ხოლო აღნიშვნაზე მითითებულია სან-ფრანცისკო. მითითება შეიძლება იყოს ირიბიც, მაგალითად, აღნიშვნა შეიცავს ეიფელის კოშკის გამოსახულებას, ხოლო საქონელი წარმოშობილია პოლონეთში. ყოველი ასეთი საქონელი, რომელსაც ყალბი ან შეცდომითი აღნიშვნები აქვს, ექვემდებარება დაყადაღებას ქვეყანაში მათი შეტანის მცდელობისას. ან მათ მიმართ ქვეყნებმა უნდა განახორციელონ სხვა ქმედითი ზომები, რომ არ დაუშვან ასეთი საქონლის თავისუფალი მიმოქცევა.

ხელშეკრულება კრძალავს, აგრეთვე, ნებისმიერი ხასიათის საქონლის გაყიდვას, დემონსტრირებას ან გასასაღებლად შეთავაზებისას სარეკლამო აღნიშვნების გამოყენებას, რომლებიც იწვევენ, ან შეიძლება გამოიწვიონ საზოგადოების შეცდომაში შეყ-

ვანა საქონლის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით. მონაწილე ქვეყნის სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ რომელი დასახელება არ განიხილება შეცდომის გამომწვევად.

მადრიდის ამ ხელშეკრულებაის მხარე ქვეყანათა რიცხვი არც თუ ისე დიდია და 2006 წლისათვის 34-ს მიაღწია. საქართველო ამ ხელშეკრულების მხარე არ არის.

თავი 58. ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დამფუძნებელი ვენის ხელშეკრულება (ვენის ხელშეკრულება)

სასაქონლო ნიშნებად სიტყვების გარდა ფართოდ გამოიყენება გამოსახულებები ან გამოსახულებითი ელემენტები სიტყვებთან კომბინაციით თუ ასეთი კომბინაციის გარეშე. საქონლისა და მომსახურების მიმოქცევის სადღეისო მასშტაბებიდან გამომდინარე იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა მოძებნოს კონკრეტული გამოსახულების მსგავსი ან იდენტური აღნიშვნა უნდა არსებობდეს ეფექტური სისტემა, რომელიც გაადვილებს მოძებნის პროცესს. ამასთან, ასეთი სისტემა საერთაშორისოდ აღიარებული უნდა იყოს, რადგან ერთიდაიგივე საქონელი და მომსახურება, თანამედროვე ეპოქაში, ერთდროულად ბრუნავს მრავალი ქვეყნის ბაზარზე.

შეიძლება ითქვას, რომ საქონლის გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია ვენის საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც შემოიღო საერთაშორისო საზოგადოებამ საპატენტო კლასიფიკაციის მსგავს ამოცანებს წყვეტს და ძალზე აადვილებს კონკრეტული გამოსახყლებითი სასაქონლო ნიშნის მოძებნას, რომელიც კონკრეტულ საქონელზე გამოყენებისათვის არის რეგისტრირებული. ამიტომ გასაგებია, რომ ვენის ხელშეკრულებით დაფუძნებულ კლასიფიკაციას გარკვეული კავშირი აქვს გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციასთან და ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციასთან.

ვენის ხელშეკრულება მიღებულ იქნა 1973 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 1985 წელს. ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოთა რიცხვი არც თუ მრავალრიცხოვანია და 2006 წლის 15 იანვრისათვის შეადგინა 23. მიუხედავად ამ ფაქტისა, მას იყენებს ქვეყანათა უფრო დიდი რაოდენობა – 30, მათ შორის, ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც ვენის ხელშეკრულების მხარეები არ არიან – საქართველოც მათ რიცხვშია. ვენის კლასიფიკაცია კარგად აგებული და მოსახერხებელი საძიებო საშუალებაა.

ვენის ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები ვენის კლასიფიკაციას იყენებენ თავისი შეხედულებისამებრ – ძირითად ან დამხმარე საკლასიფიკაციო საშუალებად, მაგრამ ვალდებულნი არიან ნიშნების რეგისტრაციისა და მისი გაგრძელების შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ საბუთებში მიუთითონ საკლასიფიკა-

ციო ინდექსი, რომელიც წარმოადგენს ციფრით გამოხატულ სიმბოლოს. ციფრებით გამოხატულ საკლასიფიკაციო ინდექსს წინ უნდა უძღოდეს სიტყვები "გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია" ან ამ სიტყვათა აბრევიატურა "გეკ".

ვენის კლასიფიკაცია წარმოადგენს გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მსგავს იერარქიულ სისტემას, რომელიც აგებულია ზემოდან ქვემოთ შევიწროვების პრინციპით. ყოველ გამოსახულებით ელემენტს (ციური სხეულები, ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებები, წრე, სამკუთხედი, წარწერა, ფერი და ა.შ.) აქვს თავისი შესატყვისი ციფრული სიმბოლო, რომლებიც მიუნიშნებს კატეგორიებს, ჯგუფებს და ქვეჯგუფებს. კლასიფიკაცია მოიცავს 29 კატეგორიას, 144 ჯგუფსა და 1887 ქვეჯგუფს.

მაგალითისათვის საკლასიფიკაციო ინდექსი გამოიყურება: **24. 13. 22.**

24 – კატეგორიაა, რომელიც მიუთითებს, რომ გამოსახულება შეიძლება იყოს ჰერალდიკა, მონეტები, ემბლემები, სიმბოლოები. 13 – ჯგუფია და აკონკრეტებს, რომ გამოსახულება სიმბოლოა, კერძოდ, ჯვარია. 22 – ქვეჯგუფია და მიუთითებს ჯვრის მოტავსების ადგილზე, კერძოდ, წრეწირის ან მრავალკუთხედის შიგნით ჯვრის მოთავსებაზე. მთლიანად საკლასიფიკაციო ინდექსი უნდა იყოს წაკითხული: ჯვრები, რომლებიც მოთავსებულია წრეწირის ან მრავალკუთხედის შიგნით.

ნიცის კლასიფიკაციის მსგავსად ვენის კლასიფიკაცია არ ბოჭავს სახელმწიფოებს იმ კუთხით, რომ ის გამოყენებულ იქნეს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების ფარგლების დასადგენად.

კლასიფიკაცია ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას და შედეგად შემუშავდება ხოლმე კლასიფიკაციის შესაბამისი რედაქცია. ამ სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ექსპერტთა კომისიის არსებობა, რომელშიც შეადგენს ყველა მხარე სახელმწიფოს წარმომადგენელი. ამჟამად მოქმედებს მე-5 რედაქცია, მიმდინარეობს მე-6 რედაქციის შემუშავება, რომელიც ძალაში შევა 2008 წლიდან.

ვენის ხელშეკრულება შედგენილია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, მისით გათვალისწინებულია სპეციალური კავშირი, რომელსაც აქვს ასამბლეა. მას შეუძლია დროს მიუერთდეს პარიზის კონვენციის მხარე ნებისმიერი სახელმწიფო.

თავი 59. ოლიმპიური სიმბოლოს დაცვის ნაირობის ხელშეკრულება

ოლიმპიური მოძრაობა დროთა განმავლობაში სულ უფრო კომერციალიზებული ხდებოდა. მისი სიმბოლიკით მონიშნული ნაწარმისა და საქონლის გასაღება უფრო წარმატებულად ხორციელდებოდა, განსაკუთრებით ოლიმპიადის ჩატარების წელიწადს. ასეთმა ვითარებამ დღის წესრიგში დასვა ოლიმპიური სიმბოლოს საერთაშორისო დონეზე დაცვის უზრუნველყოფა. შედეგად, 1981 წელს ნაირობში ხელი მოეწერა ოლიმპიური სიმბოლოს დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებას. მისი ინგლისური დასახელებაა: "Nairobi Treaty on the Protection on the Olimpic Symbol". ნაირობის ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოტა რიცხვს შეუძლია მიუერთდეს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არის გაეროს, ისმოს, პარიზის კონვენციის ან გაეროს სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციის წევრი.

წევრი ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ ოლიმპიური სიმბოლოს სამართლებრივი დაცვა, რომელიც ხუთ ურთიერთგადაბმულ რგოლს წარმოადგენს. დაცვას ექვემდებარება კომერციული მიზნებისათვის გამოყენება, რაც გულისხმობს ამ სიმბოლოს აღბეჭდვას თავად საქონელზე, სასაქონლო ნიშნად ან სარეკლამო მასალებში.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელსაც სალიცენზიო საზღაური გადაუხადეს, უზრუნველყოფს მისი წევრი ქვეყნებისათვის გარკვეული წილის ოდენობის თანხის გადარიცხვას.

საქართველო ამ ხელშეკრულების მხარე ჯერ არ გამხდარა. ჩვენი აზრით, მისი მხარედ ყოფნა უკანასკნელი პირობიდან გამომდინარე ფინანსურად სასარგებლო იქნება. 2006 წლისათვის ნაირობის ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოთა რიცხვმა 44 შეადგინა.

თავი 60. ევროპის საპატენტო კონვენცია

ევროპის საბჭოს წევრად გახდომის შემდეგ აქტუალურად ჟღერს საქართველოს მისწრაფება ევროპის სხვადასხვა რეგიონალურ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციად ევროპის საპატენტო უწყება გვევლინება, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს ევროპის საპატენტო კონვენციის საფუძველზე. ეს კონვენცია იძლევა ე.წ. ევროპის პატენტის მოპოვების შესაძლებლობას და ამ თვალსაზრისით მის პირობებთან გაცნობა საინტერესო იქნება ქართველ გამომგონებელთა და მეწარმეთათვის. ევროპის ერთიანი პატენტის გაცემის სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა დასაწყისს 1950-იან წლებში იღებს და დღესაც მთავარი მიზანი მიღწეული არ არის. ჯერ კიდევ ძალაში არ შესულა ლუქსემბურგის 1975 წლის კონვენცია ევროპის საერთო ბაზრის პატენტის შესახებ, რომელსაც შემდგომ – 1985 წელს ევროპის თანამეგობრობის შეთანხმება ეწოდა. მაშასადამე, გაერთიანებული ევროპის პატენტი ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

ლე:ამჟამად მოქმედებს ევროპის საპატენტო კონვენცია, რომელსაც 1973 წელს ხელი მიუნხენში მოეწერა. ეს კონვენცია ძალაში 1977 წლის ოქტომბერს შევიდა. მისი ეგიდით დაარსებულია ევროპის საპატენტო ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინა განლაგებულია მიუნხენში (გერმანია). ორგანიზაციას ფილიალები გააჩნია ჰააგაში – საპატენტო საძიებო ორგანო (ატარებს საპატენტო საინფორმაციო გამოკვლევებს და ადგენს გამოგონების ტექნიკის დონეს ყოველ კონკრეტულ განაცხადზე), ვენაში – საპატენტო დაკუმენტაციისა და ინფორმაციის სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანო, ბერლინში – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის ორგანო, თანამშრომელთა რიცხვი 4000 კაცს უახლოვდება. ევროპის საპატენტო ორგანიზაცია საკუთარი სახსრებით ფარავს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ხარჯებს. 1989 წლამდე ეს ორგანიზაცია ფინანსირდებოდა წევრი ქვეყნების მიერ. ევროპის საპატენტო კონვენციას ხელი 17-მა ქვეყანამ მოაწერა, ამჟამად ეს რაოდენობა 31-ს შეადგენს (ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კვიპროსი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, უნგრეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, სლოვენია, სლოვაკია, შვეიცარია, ჩეხეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონაკო, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინე-

თი, ჰოლანდია, შვედეთი). უნდა აღინიშნოს, რომ რიგი ქვეყნებისა დაკავშირებულია ევროპის საპატენტო ორგანიზაციასთან და საქმიანობს, როგორც ასოცირებული წევრი. ეს ქვეყნებია: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, სერბია და ჩერნოგორია (ყოფილი იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა). საქართველოსაც აქვს ასეთ ქვეყანათა შორის მოხვედრის შესაძლებლობა.

ევროპის პატენტის მიღება შეუძლია პარიზის კონვენციის წევრი და საპატენტო კოოპერაციის მონაწილე ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. გასაგებია, რომ ევროპის საპატენტო კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქეს უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნია ამისა, თუმცა ის ვალდებული არ არის. მას შეუძლია მიიღოს საკუთარი ქვეყნის ეროვნული პატენტი ან პირდაპირ მიმართოს სხვა ქვეყანას, რომელშიც მას პატენტის მიღების სურვილი აქვს. ითვლება, რომ ევროპის პატენტის მიღება სარფიანია, როდესაც გამოგონების დაპატენტება ხდება სულ ცოტა 3 ქვეყანაში მაინც. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია ევროპის პატენტი საერთაშორისო განაცხადით მიიღოს (საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების საფუძველზე), თუ ის აღნიშნავს და აირჩევს ევროპის საპატენტო უწყებას. ევროპის საპატენტო ორაგნიზაცია სამ ენაზე: მუშაობს ინგლისურზე, გერმანულსა და ფრანგულზე.

ევროპის საპატენტო უწყება განაცხადის მიღების შემდეგ ატარებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას და გამოქვეყნებას მე-18 თვის გასვლის თავზე. გამოქვეყნებიდან 6 თვის დამლევამდე განმცხადებელმა ან სხვა პირმა უნდა მიაწოდოს ევროპის საპატენტო უწყებას საგანგებო თხოვნა არსობრივი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. თუ ეს თხოვნა არ იქნა, განაცხადი უქმდება. დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში გაიცემა ე.წ. ევროპის პატენტი, რომელსაც "დახუნძლულ პატენტს" უწოდებენ. ის დახუნძლულია იმდენი პატენტიდან გამომდინარე უფლებით, რამდენ ქვეყანაზეც გავრცელდება მისი მოქმედება, რაც გარკვეული ფორმალობების შესრულებასთან არის დაკავშირებული. ამის გამო ითვლება, რომ ევროპის პატენტი ერთი პატენტი არ არის და ერთიან დოკუმენტს არ წარმოადგენს, იმ გაგებით, რომ მისი მოქმედება ავტომატურად არ ვრცელდება ყველა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე. ევროპის პატენტი რომ ყველა ქვეყანაში ამოქმედდეს, საჭიროა პატენტმფლობელმა შესაბამისი ქვეყნის უწყებაში ოფიციალურ ენაზე შესრულებული გამოგონების

ფორმულის თარგმანი წარადგინოს, რასაც ეროვნულ ფაზაში გადასვლა სდევს თან. ამ დროს საჭიროა უწყებასთან ეროვნული პატენტრწმუნებულის მეშვეობით წარიმართოს საქმიანობა. ამასთან, პატენტმფლობელი ვალდებულია გადაიხადოს პატენტის ძალაში შენარჩუნების წლიური საფასური. თანხა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ქვეყანაში სურს მას პატენტის მოქმედების გავრცელება.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ, გარდა წმინდა საპატენტო ექსპერტიზით საქმიანობისა, ევროპის საპატენტო უწყება დახმარებას უწევს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მათი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაში. "საქპატენტის" თანამშრომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მის მიერ გამართულ სემინარებში. 1998 წელს ევროპის საპატენტო უწყებამ და "საქპატენტმა" ერთობლივად ორი სემინარი გამართეს საქართველოში. თანამშრომლობა 1999 წელსაც გრძელდება.

იმედია, ახლო მომავალში საქართველო ევროპის კონვენციის ასოცირებული წევრი გახდება, რაც უფრო გააიოლებს ქართველ გამომგონებელთა მიერ ევროპის პატენტის მიღებას.

თავი 61. ევრაზიის საპატენტო კონვენცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლის 1 დეკემბრიდან, როდესაც ერთიანი საპატენტო სისტემა დაიშალა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა დაიწყეს ეროვნული საპატენტო სისტემების ჩამოყალიბება. საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა აამოქმედა თავისი ეროვნული საპატენტო სისტემა. სხვა ქვეყნებმა უფრო მოგვიანებით. რუსეთის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1990 წელს იგრძნო ინტეგრაციული პროცესების წამოწყებისა და განვითარების საჭიროება საპატენტო საქიმანობის სფეროში. უკვე 1991 წელს მუშავდება ღონისძიებები ერთიანი საპატენტო სივრცის შენარჩუნებისათვის. 1991 წლის 27 დეკემბერს (ჯერ კიდევ ერთი თვეც არ არის გასული საბჭოთა კავშირის დანგრევიდან!) მინსკში, დსთ-ს ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და ხელი მოეწერა სამრეწველო საკუთრების დაცვის დროებით შეთანხმებას. ეს უკანასკნელი ქვეყნებს სთავაზობდა, დაყრდობოდნენ სსრ კავშირის კანონს გამოგონებების შესახებ, რომელიც 1991 წლის ივლისში ამოქმედდა. მინსკში რუსეთის დელეგაციამ შესთავაზა მონაწილე ქვეყნებს შეექმნათ ერთიანი საპატენტო სისტემა ერთიანი პატენტის გაცემით (გაერთიანებული ევროპის პატენტის მსგავსად, რომელიც დღესაც ვერ ამოქმედდა!). 1993 წელს შეიქმნა სამრეწველო საკუთრების სახელმწიფოთაშორისო საბჭო დსთ-ს ფარგლებში. შემდეგ შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელსაც დაევალა კონვენციის პროექტის შემუშავება. 1994 წელს კონვენციას ხელი მოეწერა მოსკოვში დსთ-ს მთავრობათა ხელმძღვანელების სხდომაზე. კონვენციას ხელი მოაწერა საქართველომაც (ო.ფაცაცია), მაგრამ ის დღემდე საქართველოსთვის ძალაში შესული არ არის, რადგან პარლამენტს რატიფიცირება არ მოუხდენია. კონვენცია ძალაში შევიდა მისი 3 ქვეყნის მიერ რატიფიცირებიდან (თურქმენეთი – 01.05.1995; რესპუბლიკა ბელარუსი – 08.05.1995 და ტაჯიკეთი – 12.08.1995) 3 თვის გასვლის შემდეგ, ანუ 1995 წლის 12 აგვისტოდან. ამჟამად ევრაზიული კონვენცია მოქმედებს რუსეთის, ბელარუსის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთისათვის. ევრაზიული კონვენციის წევრი შეიძლება გახდეს გაეროს, პარიზის კონვენციისა და საპატენტო კოოპერაციის წევრი ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ევროპასა ან აზიაში. ანუ, ჩანაფიქრით, ეს კონვენცია რეგიონალური ტიპისაა, მა-

გრამ არ შემოიფარგლება დსთ-ს ქვეყნებით. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ამოცანა მიუწვდომელი იქნება, სანამ ერთადერთ მუშა ენად რუსული ენაა გამოცხადებული. კონვენციით შექმნილია ევრაზიის საპატენტო უწყება, რომლის შტაბ-ბინა მოსკოვშია განთავსებული.

განაცხადი მიეწოდება რუსულ ენაზე, გადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას და მე-18 თვეზე ქვეყნდება. ამის შემდეგ 6 თვის გასვლამდე უნდა აღიძრას შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. თუ ასეთი შუამდგომლობა არ იქნა, განაცხადი გაწვეულად ითვლება და პატენტი არ გაიცემა. განაცხადი შეიძლება მიწოდებულ იქნეს, როგორც პირდაპირ, ასევე საპატენტო კოოპერაციით დადგენილ საერთაშორისო განაცხადში ევრაზიული საპატენტო უწყების აღნიშვნის მეშვეობით. ექსპერტიზას აწარმოებს სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა სამეული. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაიცემა პატენტი, რომელიც ავტომატურად ყველა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიას ფარავს პირველი ორი წლის მანძილზე. შემდეგ პატენტმფლობელს თავისი სურვილით შეუძლია შეწყვიტოს პატენტის მოქმედება რომელიმე ქვეყანაში შესაბამისი საფასურის გადაუხდელობით. საფასურები გადაიხდება ცენტრალიზებულად, რომელიც შემდგომ ნაწილდება მონაწილე ქვეყნებზე. ყველა საფასური განაცხადის მიწოდებასთან და განხილვასთან დაკავშირებით ეკუთვნის ევრაზიის საპატენტო უწყებას და გადანაწილებას არ ექვემდებარება. ძალაში შენარჩუნების საფასურის გადანაწილება იმ პროპორციით ხდება, რომელსაც დაადგენს ადმინისტრაციული საბჭო. ამასთან, ევრაზიის საპატენტო უწყებას ეკუთვნის ყველა ძალაში შენარჩუნების საფასურის ჯამის არანაკლებ 20% (ანუ ამაზე ნაკლები სიდიდის პროპორცია ვერ დადგინდება). ქართველი გამომგონებლისათვის ევრაზიის საპატენტო კონვენციით დადგენილი პირობებით გამოგონების დაპატენტება ხელსაყრელია, რადგან მიეწოდება ერთი განაცხადი, რუსულ ენაზე გაფორმებული, ამასთან, პატენტრწმუნებული საჭირო არ არის. ყურადსაღებია, რომ ებრაზიის კონვენცია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებსაც ერთ სულ მოსახლეზე 3000 ამ. დოლარზე ნაკლები შემოსავალია აქვთ გათვალისწინებულია ფინანსური შეღავათი – საფასურები მცირდება 75%-ით.

თავი 62. ხელშეკრულება გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნის შესახებ

ევროპის ქვეყნების ლტოლვა ერთმანეთში ურთიერთთანამშრომლობისაკენ სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში და დაცვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისკენ წარმატებულად განხორციელდა და გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნის ცნობით დასრულდა. კონკრეტული წინადადება ერთიანი სასაქონლო ნიშნის შემოღების თაობაზე 1980 წელს შეიმუშავა ევროპის კომისიამ. 1993 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება და გამოიცა ევროპის საბჭოს დადგენილება №40/94, რომელმაც დააფუძნა შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება, რომლის ადგილსამყოფელი ალიკანტეში, (ესპანეთი), განისაზღვრა.

ამ დროისათვის გაერთიანებული ევროპის ბაზარზე უკვე თავისუფლად მოძრაობს საქონელი. გამოცემულია სპეციალური აქტები, რომელიც საქონლის გადაადგილებას აწესებს ასეთ პირობებში. ამდენად, ერთიანი სასაქონლო ნიშნის არსებობა ხელშემწყობ იარაღად ითვლება საქონლის მიმოქცევის პროცესის მოწესრიგებულად წარმართვისათვის.

აღსანიშნავია, რომ ევროპის თანამეგობრობის სასაქონლო ნიშნის შემოღებით ეროვნული სისტემები არ გაუქმებულა. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება იყოს დაცული გაერთიანებული ევროპის უწყებაში რეგისტრაციით და მასთან ერთდროულად ეროვნული რეგისტრაციითაც. ამოქმედების დღიდან – 1996 წლის 1 აპრილიდან – გაერთიანებული ევროპის უწყებაში ნიშნის რეგისტრაცია ფარავს 15 ქვეყნის ტერიტორიას, ესენია: ავსტრია, იტალია, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ფინეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, შვედეთი, გერმანია, ესპანეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი და ირლანდია.

ბ:ევროპის თანამეგობრობის სასაქონლო ნიშნად თავისი აღნიშვნა შეუძლია დაარეგისტრიროს პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ, მათ შორის საქართველოს მეწარმემაც. ალიკანტეს უწყება მუშაობს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე. ამდენად, განმცხადებელმა თუ ევროპის სხვა ენაზე შეადგინა განაცხადი, მაშინ მან უნდა ამოირჩიოს აღნიშნული ხუთი ენიდან ერთ-ერთი და თავის განაცხადზე საქმის წარმოება განაგრძოს ამ ერთ ენაზე. რეგისტრაციას ძალა ყველა 15 ქვეყნის ტერიტორიაზე აქვს. ხარჯების განევა

განმცხადებელს ერთხელ უხდება, ამასთან, იგი მხოლოდ ერთ პატენტრწმუნებულს ირჩევს, თუ რეგისტრაცია უქმდება, ის ყველა ტერიტორიაზე კარგავს ძალას, მაგრამ დასაშვებია განაცხადის ეროვნულ განაცხადად გარდაქმნა.

ნიშნის ექსპერტიზა, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გარდა ითვალისწინებს ესქპერტიზას აბსოლუტურ საფუძვლებზე. ამის შემდეგ გათვალისწინებულია შედავებების პროცედურა, რომლის დროსაც მესამე პირებს ეძლევათ უფლება შეედავონ ნიშნის რეგისტრაციას ადრე რეგისტრირებული ნიშნის მიხედვით. ამასთან, საკმარისია ასეთი ნიშანი ეროვნულ უწყებაში იყოს ადრე რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, ევროპის რეგისტრაციის მოპოვება მრავალჯზის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ერთ ქვეყანაში, თუნდაც გერმანიაში. ეროვნულმა უწყებებმა მხოლოდ საკუთარ რეგისტრირებულ ნიშნებთან შედარებით შეიძლება არ მოახდინონ რეგისტრაცია შედავების საფუძველზე.

შეღავათად შეიძლება ჩაითვალოს ერთ ქვეყანაში ნიშნის გამოყენებით გაერთიანებული ევროპის ნიშნის რეგისტრაციის შესაძლო გაუქმების თავიდან აცილება. ნიშნის მოქმედების ვადა 10 წელია შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით ყოველი მომდევნო 10 წლით, ასეთი 10-წლიანი პერიოდების შეუზღუდავად.

გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნად რეგისტრირდება ნებისმიერი გრაფიკულად გამოსახვადი აღნიშვნა. რეგისტრაციას ექვემდებარება, აგრეთვე, მომსახურების ნიშანი.

თავი 63. ხელშეკრულება გაერთიანებული ევროპის სამრეწველო ნიმუშების შესახებ

მას შემდეგ, რაც ამოქმედდა გაერთიანებული ევროპის ერთიანი ბაზარი გადაწყდა სამრეწველო საკუთრების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხების მოგვარება ისე, რომ სამრეწველო საკუთრებით უფლებებს არ შეექმნა გაუმართლებელი დაბრკოლება საქონლის თავისუფალი მოძრაობისათვის, ანუ არ შეეშალა ხელი ევროპის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში საქონლის გადაადგილებისათვის. ამ მიმართებით ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასაქონლო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტას. მას შემდეგ, რაც მოხდა ეროვნული კანონების არსობრივი ნორმების მაქსიმალური ჰარმონიზაცია გამოიცა გაერთიანებული ევროპის დირექტივები, რომელთა ძალითაც შეიქმნა და ამოქმედდა გაერთიანებული ევროპის ერთიანი უწყება, რომელიც განლაგდა ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში. ამ უწყებას ეწოდა "შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება", რომელსაც შემოკლებით მოიხსენიებენ მისი ინგლისური დასახელების აბრევიატურით "OHIM" (Office for Harmonisation in the Internal Market). სასაქონლო ნიშნების მიმართ უწყება ამოქმედდა უფრო ადრე – 1996 წლიდან, ხოლო სამრეწველო ნიმუშებისათვის იგი ამოქმედდა 2003 1 აპრილიდან.

გაერთიანებული ევროპის ყველა ქვეყნის მიმართ ერთი განაცხადით გახდა შესაძლებელი სამრეწველო ნიმუშზე უფლებების მოპოვება. განაცხადი რეგისტრირდება უწყების მიერ ფორმალური მოთხოვნების შემოწმების შემდეგ, გაიცემა მოწმობა, ქვეყნდება ოფიციალური ინფორმაცია და უფლებები იძენს ძალას.

გათვალისწინებულია პროცედურები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს კონკურენტებს წინ აღუდგნენ რეგისტრაციას ან გაასაჩივრონ უკვე რეგისტრირებული ნიმუში. სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლებები მოქმედებს მაქსიმუმ 25 წელი. პირველი რეგისტრაცია ხდება ხუთი წლის ვადით და გათვალისწინებულია რეგისტრაციის გაგრძელება ხელახალი 5 წლიანი პერიოდებით, სანამ არ ამოიწურება მაქსიმუმ ვადა.

გათვალისწინებულია, აგრეთვე რეგისტრაციის გარეშე სამრეწველო ნიმუშების დაცვა. ასეთ სამრეწველო ნიმუშზე უფლება მოიპოვება ახალი დიზაინის საქონლის ფაქტობრივი ჩართვით

ეკონომიკურ ბრუნვაში და უფლება მოქმედებს 3 წლის განმავლობაში. ორივე ნიმუშის მიმართ დაწესებული არსობრივი კრიტერიუმები სიახლე და ინდივიდუალობა.

სხვა დანარჩენში გაერთიანებული ევროპის სამრეწველო ნიმუშთან დაკავშირებული საკითხები მსგავსია გაერთიანებული ევროპის სასაქონლო ნიშნისა, რაც ზემოთ აღვწერეთ და მეტ განხილვას აღარ ვთლით მიზანშეწონილად.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ერთიანი უფლების მოპოვება ძალზე ხელსაყრელია განმცხადებლებისათვის და უფლებათა მფლობელებისათვის, რადგან საკმაოდ მცირე დანახარჯებით ისინი ხდებიან მონოპოლიური უფლების მფლობელები მთელი ევროპის ბაზარზე.

თავი 64. ხელშეკრულება აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის შესახებ

1962 წელს აფრიკის 12-მა ფრანგულენოვანმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ლიბრევილის შეთანხმებას, რომლითაც დაარსდა აფრიკისა და მალაგასიის სამრეწველო საკუთრების ორგანიზაცია. ეს შეთანხმება შემდეგ გადაისინჯა და რეგიონალურ ორგანიზაციას ეწოდა აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (Organization africane de la propriete industrielle – შემოკლებით OAPI). ამ ორგანიზაციამ საქმიანობა 1982 წელს დაიწყო.

OAPI მონაწილე ქვეყნების სახელით აწარმოებს განაცხადების მიღებას, ექსპერტიზასა და დამცავი დოკუმენტების გაცემას. დამცავი დოკუმენტი მოქმედებს ყოველ კონკრეტულად აღნიშნულ ქვეყანაში. თუმცა მისი მოქმედება შეიძლება ერთი ქვეყნის მიმართ შეწყდეს და არა აუცილებლად ყველა მონაწილე ქვეყნის მიმართ. ამ რეგიონალური ორგანიზაციის საქმიანობა ვრცელდება საავტორო სამართლის ობიექტებზეც.

ისმო დიდ დახმარებას უწევს აფრიკის რეგიონალურ ორგანიზაციებს, კერძოდ, მისი უშუალო ძალისხმევით იაუნდეში (კამერუნი), სადაც მდებარეობს OAPI-ს შტაბ-ბინა, დაფუძნდა საპატენტო დოკუმენტაციის დეპარტამენტი. მისი დაფუძნება და აღჭურვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით განხორციელდა გაეროს სპეციალური პროგრამით.

ამჟამად, OAPI დამცავ დოკუმენტებს გასცემს შემდეგი ქვეყნების სახელით: ბენინი, ბურკინა ფასო, კამერუნი, აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკა, ჩადი, კონგო, კოტდივუარი, ჯიბუტი, გაბონი, გვინეა, მალი, მავრიტანია, ნიგერი, სენეგალი, ტოგო.

თავი 65. ხელშეკრულება სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციის შესახებ

1976 წლის დიპლომატიური კონფერენციის მუშაობის შედეგად, რომელშიც აფრიკის ინგლისურენოვანი 13 ქვეყანა მონაწილეობდა, ხელი მოეწერა შეთანხმებას ამ ქვეყნებისათვის სამრეწველო საკუთრების ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში 1978 წელს შევიდა. სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია (ეთ:African Regional Industrial Property Organization – შემოკლებით ARIPO) აწარმოებს საქმიანობას პატენტებთან, ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებით. გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშის პატენტი გაიცემა და მოქმედებს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს. ექსპერტიზა წარმოებს რეგიონალურ უწყებაში, მაგრამ ქვეყნებს უფლება აქვთ არ ცნონ მათ ტერიტორიაზე პატენტის მოქმედება, თუ არ კმაყოფილდება ეროვნული კანონის მოთხოვნები. იგივე ითქმის სამრეწველო ნიმუშის მიმართაც.

1993 წლიდან შესაძლებელი გახდა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია რეგიონალური უწყების მეშვეობით. სპეციალურ შეთანხმებას ხელი 6 ქვეყანამ მოაწერა.

1993 წლიდან საპატენტო კოოპერაციის მიხედვით საერთაშორისო განაცხადში შეიძლება მითითებულ იქნეს აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია და პატენტის მიღება შემდეგი ქვეყნების ტერიტორიაზე: ბოტსვანა, გამბია, განა, კენია, ლესოტო, ზიმბაბვე, მალავი, სიერა-ლეონე, სომალი, სუდანი, სვაზილენდი, ტანზანია, უგანდა.

პატენტი მოქმედებს 20 წელიწადს განაცხადის შეტანის დღიდან.

სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია განთავსებულია ჰარარეში, (ზიმბაბვე).

ლიტერატურა

ეროვნული ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ
4. საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ
5. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
6. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ
7. საქართველოს საპატენტო კანონი
8. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
9. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ
10. საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ
11. საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ
12. საქართველოს კანონი სელექციური მიღწევების შესახებ (ამჟამად მიმდინარეობს ამ კანონის ბაზაზე ახალი ორი კანონის მიღების პროცესი, ესენია კანონი მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ და კანონი ცხოველთა ახალი ჯიშების შესახებ).
13. საქართველოს კანონი სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ (გაუქმებულია)
14. საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ (გაუქმებულია და მის ნაცვლად მიღებულია კანონი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებს აღარ შეიცავს)

საერთაშორისო აქტები

15. Convention Establishing the World Intellectual Property Organization
16. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works

17. WIPO Copyright Treaty
18. WIPO Perfomances and Phonograms Treaty
19. International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations (Rome Convention)
20. Geneva Convention for the Protection of Producers of Phonograms Against Unauthorized Duplication of Their Phonograms
21. Brussels Convention Relating to the Distribution of Programme-Carrying Signals Transmitted by Satellite
22. Paris Convention for the Protection of Industrial Property
23. Patent Cooperation Treaty
24. Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks
25. Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks
26. Hague Agreement Concerning the International Depozit of Industrial Designs and Jeneva Act
27. Madrid Agreement for the Repression of False or Deceptive Indications of Source on Goods
28. Trademark Law Treaty
29. Lisbon Agreement for the Protection of Appelation of Origin and their International Registration
30. Patent Law Treaty
31. Budapest Treaty on the International Recognition of the Deposit of Microorganisms for the Purposes of Patent Procedure
32. Strasbourg Agreement Concerning the International Patent Classification
33. Nice Agreement Concerning the International Classification of Goods and Services for the Purposes of Registration of Marks
34. Viena Agreement Establishing an International Classification of the Figurative Elements of Marks
35. Locarno Agreement Establishing an International Classification for Industrial Designs
36. Nairobi Treaty on the Protection of the Olimpic Simbols
37. Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights
38. International Convention for the Protection of New Varieties of Plants

39. Treaty on Intellectual Property in Respect of Integrated Circuits
40. Europen Patent Convention
41. Council Regulations on Community Designs and Community Trademarks

სამეცნიერო და სხვა ლიტერატურა

42. დავით ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000წ
43. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი, თბილისი, 2001წ., შემდგენელი, დავით ძამუკაშვილი
44. სანდრო ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, 1998წ
45. სანდრო ჯორბენაძე, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, 2006წ
46. თენგიზ ლილუაშვილი. საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2000წ
47. საერთაშორისო სამართალი, სახელმძღვანელო, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1949 წ.
48. კონსტანტინე კორკელია. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი, 1998 წ.
49. დავით გაბუნია, გიორგი თაქთაქიშვილი, საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბილისი, 2005წ
50. დავით ძამუკაშვილი, პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, თბილისი, 2000წ.
51. დავით ძამუკაშვილი, სამრეწველო საკუთრება (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში), თბილისი, 1997წ.
52. დავით ძამუკაშვილი, სამრეწველო საკუთრება (კომერციული აღნიშვნები, არაკეთოლსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა), თბილისი, 1998წ.
53. დავით ძამუკაშვილი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, თბილისი, 2002
54. დავით ძამუკაშვილი, დიმიტრი ძამუკაშვილი, საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, კომენტარი, თბილისი, 2004
55. დავით ძამუკაშვილი, საქართველოს საპატენტო კანონი, კომენტარი, თბილისი, 2003
56. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბილისი, 1984წ

57. არჩილ კოსტავა, მეტაკრეაციონიზმის შესავალი, ქუთაისი, 1999წ
58. არჩილ კოსტავა, სისტემების განვითარების ძირითადი კანონები და პრობლემატიკა, ქუთაისი, 2002წ
59. სიმონ არველაძე, შემოქმედება და თავისუფლება, თბილისი, 1977წ
60. აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება, მთარგმნელები მინდია უგრეხელიძე, ვიქტორ ყიფიანი, თბილისი, 1997წ
61. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, მთარგმნელი როინ მიგრიაული, თბილისი, 1995წ
62. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები., მთარგმნელი ნუგზარ სურგულაძე, თბილისი, 2002წ
63. საავტორო სამართალი, ქართული სასამართლო პრაქტიკა. შემდგენელი სანდრო ჯორბენაძე, თბილისი, 2005წ
64. საიუბილეო კრებული მიძღვნილი სერგო ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი, თბილისი, 1996წ
65. საიუბილეო კრებული მიძღვნილი გივი ინწკირველის 70 წლისთავისადმი, თბილისი, 1996წ
66. თამარ ტალიაშვილი, საქონლის წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვის საფუძვლები, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2003წ
67. ბესარიონ ძოიძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 2003წ
68. ბიძინა სავანელი, სამართლის თეორია, თბილისი, 1993წ
69. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეორე. სანივთო (ქონებრივი სამართალი), თბილისი, 1999წ
70. ლელა ნადიბაიძე, საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2002წ
71. შალვა ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998წ
72. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997წ
73. თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული "სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თბილისი, 2003წ
74. რომან შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 1999წ
75. შალვა ჩიკვაშვილი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 1999წ

76. მარიამ ცაცანაშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 1999წ
77. ეკა გაბუნია, გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2000წ
78. ოთარ კეკელაშვილი, საპატენტო სამართლის ეკონომიკური საფუძვლები, 2002წ
79. ოთარ კეკელაშვილი, თამაზ ქვლივიძე გამოგონებათა დაპატენტების საფუძვლები, 1996წ

80. Model Law for developing countries on Marks, Trade Names and Acts of Unfair Competition, BIRPI Publication N805 (E), Geneva, 1967.
81. Model Law for developing cointries on Appelations of Origin and Indications of Source, WIPO Publication N809 (E), Geneva, 1975.
82. Model Provisious on Protection Against Unfair competition, WIPO Publication N832 (E), Geneva, 1996.
83. Guide to the Rome Convention and to the Phonograms Convention, WIPO Publication N617 (E), Geneva, 1994.
84. Franchising Guide, WIPO Publication N480 (E), Geneva, 1994.
85. Guide to the International Registration of Marks, Wipo Publication N430 (E), Geneva, 1993.
86. International Property Reading Material, WIPO Publication N476 (E), Geneva, 1998.
87. Protection Against Unfair Competition, WIPO Publication N725 (E), Geneva, 1994.
88. Collective Administration of Copyright and Neighboring Rights, Wipo Publication N688 (E), Geneva, 1994.
89. Introduction to Trademark Law and Practice. The Basic Concepts. A WIPO Training manual, WIPO Publication N653 (E), Geneva, 1993.
90. Intellectual Property: Patents, Copyright, Trade Marks and Allied Rights, by W.R. Cornish, Third Edition, London, Sweet and Maxwell, 1996.
91. Guide to the application of the Paris Convention for the Protection of industrial Property, by professor G.H.C. Bodenhausen, WIPO Publication No 611(E), 1991
92. Guide to the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works, WIPO Publication No 615(E), 1978

93. Copyright and Neighbouring Rights, by Delia Lipszyc, UNESCO Publishing, 1999
94. Intellectual Property Reding Material, WIPO, 1998, second edition, WIPO Publication No 476(E)
95. WIPO Intellectual Property handbook: Policy, Law and Use, WIPO Publication No 489 (E), 2004
96. Fundamentals of United States Intellectual Property Law: Copyright,Patent, and Trademark, by Sheldon W. halpern, Craig Allen Nard, Kenneth L. Port, 1999
97. Principles of Patent Law, University Case Law Series, by Donald S. Chisam, Craig Allen Nard, Herbert F. Schwartz, Pauline Newmann, F. Scott Kieff, 1998
98. Patents for Chemicals, Pharmaceuticals and Biotechnology. Fundamentals of Global Law, Practice and Strategy, by Philip W, Grubb, Oxford University Press, third edition, 1999
99. Intellectual Property: Patents, Copyright, Trade Marks and Allied Rights, by William Cornish, third edition, Sweet&Maxwell, 1999
100. Intellectual Property. The Law of Trademarks, Copyright, Patents and Trade Secrets, by Deborah E. Bouchaux, 2000
101. Intellectual Property: Trademark, Copyright and Patent Law, by Rochelle Cooper Dreyfus, Roberta Rosenthal Kwal, The foundation Press Inc. 1996
102. New UK Registered Design Law, Intellectual Property Today, by Alex Piesold, 2002
103. Guide to Industrial Property in Japan, Japanese Patent Office, 1994
104. The Commercial Law of Intellectual Property, by Peter A. Alces and Harold F. See, 1994
105. Guide to the Rome Convention and yo the Phonograms Convention, by Claude Masouye, WIPO Publication No. 617(), 1994
106. Legal Training Course on Trademarks organised by the WIPO at the invitation of the General Administration for Industry and Commerce of the Peoples Republic of China, Beijing, May 11 to 20, 1982, WIPO Publication No. 629(E), 1983
107. Trademark Valuation, by Gordon V. Smith, 1997
108. Intellectual Property: The Law of Rights in Activities, published by Sweet&Maxwell, 2000
109. Intellectual {roperty and Human Rights. A panel Discussion to commemorate the 50th Anniversary of the Universal Declaration of Hu-

man Rights, Geneva, November 9, 1998, WIPO Publication No 762(E), 1999
110. Intellectual Property in the Information Age: The Politics of Expanding Ownership Rights, By Debora J. Halbert, Printed in USA, 1999
111. The Ontology of Syberspace: law, Philosophy, and the Future of Intellectual Property, by David Koepsell, printed in USA by Carus Publishing Company, first edition, 2000

112. Э. П. Гаврилов Комментарий к закону об авторском праве и смежных правах, М., фонд «Правовая культура», 1996.
113. Азбука авторского права: "Пер. с англ., М., "Юрид. лит ", 1982.
114. Ю. Г. Матвеев. Международные конвенции по авторскому праву, М., "Международные отношения", 1975.
115. Ю. Г. Матвеев, Международная охрана авторских прав, М., Юри-ди-чес-кая литература, 1987.
116. Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. Сбор-ник нормативных актов: Авторское право. М., Университет дружбы народов, 1988.
117. В. А. Копылов Информационное право, М., "Юристь", 1997.
118. Коммерческое право: Учебник/А. Ю. Бушев, О. А. Городов, Н. С. Кова-левская и др.: Изд. С-Петер-бургского университета, 1998.
119. И. А. Носова, Н. П. Козадеров. Программное обеспечение: правовые проблемы, пути их решения, М., КомпьютерПресс, 1988.
120. В. И. Блинников, А. Н. Григорьев, В. И. Еременко. Комментарий к Ев-ра-зийскому патентному законодательству, М., фонд "Правовая культура", 1997.
121. В. И. Еременко. Законодательство о пресечении недобровестной кон-куренции в зарубежных странах, М., ВНИИПИ, 1997.
122. Национальная система охраны объектов промышленной собствен-нос-ти республики Таджикистан (под редакцией И. Г. Тахирова), Душанбе, 1997.
123. В. И. Персиков, В. М. Савинков. Толковый словарь по информатике, М., "Ф. и С.", 1998. @Q:124. Е. А. Богатых, В. И. Левченко. Патентное право капиталистических и раз-вивающихся государств. М., Юридическая литература", 1978.
125. Питер Розенберг. Основы патентного права США, М., Прогресс, 1979.
126. В. В. Андрюшин. Изобретательское и патентное право, Минск, Бела-русь, 1975.

127. Н. К. Финкель. Правовое регулирование служебных изобретений в ка-питалистических странах, М., ВНИИПИ, 1989.
128. В. И. Еременко. Патентное законодательство развивающихся стран Азии, М., ВНИИПИ, 1988.
129. А. Н. Григорьев и др. Законодательство государств СНГ в области про-мышленной собственности, М., ВНИИПИ, 1996.
130. Патентное законодательство зарубежных стран, в двух томах, М., Прогресс, 1987.
131. Патентные законы скандинавских стран, М., ВНИИПИ, 1987.
132. Патентные законы стран американского континента, М., ВНИИПИ, 1989.
133. Патентные законы стран Карибского бассейна, М., ВНИИПИ, 1989.
134. М. М. Богуславский. Международное частное право. Учебник, 2-е изд. М., Международные отношения, 1994.
135. Изобретательское право. Учебник, М., "юридическая литература", 1986.
136. Инженеру об изобретении. Под редакции Е. Л. Макеева, М., Атомиздат, 1974.
137. Г. С. Альтшуллер. Алгоритм изобретения. М., Московский рабочий, 1973.
138. А. Д. Корчагин и др. Как защитить интеллектуальную собственность в России. М., Инфра М., 1995.
139. А. А. Шестимиров, А. А. Минаев. Промышленные образцы. Учебное пособие. М., ВНИИПИ, 1996.
140. Гражданское право. Учебник в 2-х томах. Под редакцией Е. А. Су-ханова, М., Бек, 1993.
141. Гражданско-правовая норма и формы ее применения, Тбилиси, Мец-ниереба, 1982.
142. Правовая охрана промышленных образцов в капиталистических странах. М., ВНИИПИ, 1990.
143. И. Кондаков. Логический словарь-справочник, М., Наука, 1975.
144. А. Ф. Ренкель. Третейский патентный суд, М. ИНИЦ, 1998.
145. Типовой закон ВОИС об Авторском и смежных правах.

David Dzamukashvili

Intellectual Property Law

The book consists of 4 sections. The first one is dedicated to Copyright and Neighbouring Rights. The second one - to Industrial Property Law. This section is divided into two chapters, in which Patent Law and the Law of Commercial Signs (Trademarks, Service Marks, Geographical Indications, firm names, etc.) is presented. The third section familiarizes a reader with the objects of Intellectual Property which do not refer immediately either to Copyright or to Industrial Property (Breeders Achievements, Domain Names, Goodwill, know-how, etc.).The fourth section enlights multirateral international agreements in field of Intellectual Property. Respective place is featured to those international agreements which party is Georgia.

The main principals of legal protection of the objects of Intellectual Property in Georgia are provided in the book in comparison with the approved international norms and scientific and legal principles and doctrines.

Давид Дзамукашвили

Право интеллектуальной собственности

Книга состоит из 4 разделов. Первый посвящен авторскому праву. Второй – праву промышленной собственности. Этот раздел разбит на две главы, в которых представлено патентное право и право коммерческих обозначений (товарные знаки, знаки обслуживания, географические указания, фирменные наименования и др.) Третий раздел знакомит читателя с объектами интеллектуальной собственности, которые прямо не относятся ни к авторскому праву, ни к праву промышленной собственности (селекционные достижения, домейн, гудвил, ноу-хау и др.). Четвёртый раздел освещает многосторонние международные договоры, где особое место отведено договорам стороной которых является Грузия.

В книге, основные положения правовой охраны объектов интеллектуальной собственности даются в сравнении действующего законодательства Грузии с принятыми нормами международного права и научно-правовыми принципами и доктринами.